11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
12. http://geostat.ge/?action=page&p_id=2104&lang=geo;
13. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030 (დოკუმენტი) - მიმდინარე ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ქვეყნის პრიორიტეტები განათლების მიმართულებით;
14. ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია - 2023 - საქართველოს ეროვნული ბანკი, მიმდინარე ნაშრომი საკმაოდ ინფორმირებულია და წარმოდგენილია ინფორმაცია ფინანსური განათლების საკითხების შესახებ;
15. ფინანსური განათლების პროგრამების, აქტივობებისა და რესურსების ეროვნულ სტრატეგიასთან შესაბამისობის პრინციპები;
16. https://www.mes.gov.ge/uploads/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf
17. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - https://www.atsu.edu.ge/ge/home.

# ეკოპროდუქტების წარმოების პერსპექტივები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
# Perspectives of Production of Eco-Products in the Autonomous Republic of Adjara

**ნატო ჯაბნიძე**, ასოცირებული პროფესორი
**ნათია წიკლაშვილი**, პროფესორი
**ია მესხიძე**, ასოცირებული პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Nato Jabnidze**, Associate Professor
**Natia Tsiklashvili**, Professor
**Ia Meskhidze**, Associate Professor
Batumi Shota Rustaveli State University

**რეზიუმე.** სბოლო წლებში მსოფლიოში განვითარებულმა და COVID-19-ის პირობებში დაწესებულმა შეზღუდვებმა შეცვალა ადამიანების დამოკიდებულება ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართ. ამიტომ ჯანსაღი კვება, ეკოლოგიურად სუფთა, ორგანული პროდუქციის წარმოების და მოხმარების საკითხები წინა პლანზე წამოვიდა. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მოთხოვნა იზრდება, ბიზნესისთვის ეკომეგობრული პრინციპების გათვალისწინება გამოწვევად იქცა. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ფერმერებს სუბსიდირების გზით ხელს წარმოების მასშტაბების გაფართოებაში, რაც პროდუქციის ბაზარზე უწყვეტ მიწოდებას განაპირობებს. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში წარმოების ეს მიმართულება სახელმწიფოსგან ნაკლებად მხარდაჭერილია და ძირითადად ფერმერის ინიციატივით ვითარდება. საქართველოში, მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ეკოპროდუქტების წარმოების სერიოზული პოტენციალი არსებობს და საჭიროა მისი გონივრული გამოყენება.

**საკვანძო სიტყვები:** სასურსათო უსაფრთხოება; ეკომეგობრული პროდუქტი; ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი.

**Abstract:** In recent years, the restrictions forced around the world due to COVID-19 have changed people's attitude towards a healthy lifestyle. Therefore, the issues of healthy nutrition, production and consumption of ecologically clean, organic products came to the fore front. The demand for environmentally friendly products is increasing, however, it has become a challenge for businesses to consider eco-friendly principles. In developed countries, the state helps farmers to expand the scale of production through subsidies, which ensures a continuous supply of products to the market. In countries with a transition economy, this direction of production is less supported by the state and is mainly developed by the initiative of the farmer. In Georgia, including the Autonomous Republic of Adjara, there is a serious potential for the production of eco-products and it needs to be used wisely.

**Keywords:** Food Security; Eco-Friendly Product; Environmentally Friendly Product.

საკვების მოხმარება მთელ რიგ რისკებთანაა და უკავშირდება პროდუქციის ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ დაბინძურებას. ჯანსაღი კვება ორ ელემენტს მოიცავს-სრულფასოვნება და უსაფრთხოება, ასევე კვების პროდუქტებში საკვები ნივთიერებების არასათანადო რაოდენობით (დისბალანსი ან სიჭარბე) შემცველობა. ასეთი რისკების თავიდან ასაცილებლად კვების საწარმოებისთვის შემუშავებულია HACCP სისტემა,

რომელიც გულისხმობს გარკვეული ჰიგიენური ნორმების დაცვას და მათზე კონტროლის ორგანიზაციას. ევროკავშირის და მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ ეს მოთხოვნები შესაბამისი კანონმდებლობის მიღებით დაარეგულირა.

ბოლო პერიოდში მომხდარმა მოვლენებმა და COVID-19-ის პირობებში დაწესებულმა შეზღუდვებმა ადამიანებს მეტი დრო მისცა ცხოვრებისეულ ღირებულებებზე, ჯანსაღი ცხოვრების წესსა და სხვა ისეთ საკითხებზე დასაფიქრებლად, რომელსაც მანამდე ნაკლებ დროს უთმობდა. ამიტომ ჯანსაღი კვება, ეკოლოგიურად სუფთა, ორგანული პროდუქცია და საერთოდ, ჯანსაღი ცხოვრების წესი წინა პლანზე წამოვიდა.

თუმცა, მოსავლის დიდი რაოდენობით მიღების სურვილით მეურნეობებმა ქიმიური სასუქის დიდი რაოდენობით გამოყენება დაიწყეს, თუმცა მათ გვერდით ჩნდება როგორც მცირე და საშუალო ფერმერული, ასევე საოჯახო (თვითუზრუნველმყოფი) მეურნეობები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ბაზრისთვისაც შექმნან პროდუქცია, რომელიც სუფთაა და აკმაყოფილებს ეკოპროდუქტებისადმი წამოყენებულ ყველა მოთხოვნას.

საქართველოში უკვე მნიშვნელოვნად იზრდება ქიმიური ნივთიერებების გარეშე მოყვანილ პროდუქციაზე მოთხოვნა, მოსახლეობა თანდათან ითვისებს ბიომეურნეობების განვითარების პოტენციალს. მწარმოებელმა გააცნოებიერა ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის უზარმაზარი შესაძლებლობები. უნდა ითქვას, რომ ეკოწარმოება და ბიომეურნეობა ქვეყნის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველია. ამ პრინციპით წარმოებისადმი მწარმოებლის მიდგომა სამომავლოდ ეკოლოგიური პრობლემებისგან თავის არიდების შესაძლებლობებს იძლევა.

ეკომეგობრული, ანუ მწვანე პრინციპების გათვალისწინება ბიზნესისთვის ახალ გამოწვევად იქცა. ფერმერული მეურნეობების ნაწილი ისედაც ცდილობდა მეურნეობა ეკომეგობრულ პრინციპებზე გადაეყვანა. ახლა კი, როცა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მოთხოვნა იზრდება, ბიზნესისთვის ეკომეგობრული პრინციპების გათვალისწინება ახალ ტრენდად იქცა. მწარმოებლები ცდილობენ საკუთარი საქმიანობა არსებულ გლობალურ თუ ლოკალურ ეკოაუცილებლობებსა და გამოწვევებს მოარგონ, რითაც ეფექტურად პასუხობენ გლობალურ ეკოლოგიურ გამოწვევებს, ასევე მომხმარებლის მოთხოვნებს. ორგანული პროდუქტების პოპულარობა მათი წარმოების ზრდას მოითხოვს, იზრდება ადგილობრივ ფერმერებთან პირდაპირი კავშირის, მათი მოტივაციის, დახმარების და ორმხრივი თანამშრომლობის აუცილებლობა.

ეკომეგობრული პროდუქტი დამუშავებული უნდა იყოს ნატურალური ინგრედიენტებისგან, რაც ამცირებს სინთეზური ქიმიკატების გამოყენებას. ამგვარი პროდუქტი არ საჭიროებს სხვა გარე ენერგიის მოხმარებას,

დამზადებულია გადამუშავებული ნედლეულისგან, მრავალჯერ გამოყენებადია იმავე დატვირთვით და სასიცოცხლო ციკლის დასრულების შემდეგ მისი გადამუშავება არ წარმოადგენს საშიშროებას გარემოსთვის. პროდუქტის შეფუთვა მინიმალურია და ნატურალური. პროდუქციის შეძენა შესაძლებელია ლოკალურად, სერთიფიცირებულია როგორც ეკომეგობრული პროდუქტი და ორგანული მეურნეობიდანაა. ქართულ სინამდვილეში ბაზარზე უკვე ბევრი ეკომეგობრული პროდუქტია და მათ მიმართ მოთხოვნა მზარდია.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელი ბიომეურნეობები არიან. ისინი იყენებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეთოდს, რომელიც გულისხმობს პესტიციდების, მინერალური სასუქების, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების, ანტიბიოტიკების და ზრდის ჰორმონების გამოყენებაზე უარის თქმას. კოვიდ-19-ის პირობებში პერიოდულად გამოცხადებულმა კარანტინმა, იზოლაციის აუცილებლობამ და ვირუსის გავრცელების საშიშროებამ ბევრი ოჯახი დაუბრუნა სოფელს და სოფლის მეურნეობას, რომელთა უმრავლესობამ საოჯახო მეურნეობების დონეზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას მიჰყო ხელი და ქიმიური ნივთიერებების გარეშე მოჰყავთ მცენარეული და ცხოველური ნაწარმი. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება გაცილებით ძვირია, თუმცა ის დიდი გემოვნური და სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა. ბიოპროდუქტი, რომელიც პრემიუმ სეგმენტს მიეკუთვნება და საკმაოდ რთულ შრომასთან ერთად ნაკვეთის მდებარეობა ძალიან მნიშვნელოვანია.

განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე ეკოპროდუქცია დიდი მოთხოვნაა. სახელმწიფოების მხრიდან ფერმერებს სუბსიდირების გზით ხელი ეწყობათ წარმოების მასშტაბების გაფართოებაში, რაც პროდუქციის ბაზარზე უწყვეტ მიწოდებას განაპირობებს. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში წარმოების ეს მიმართულება სახელმწიფოსგან ნაკლებად მხარდაჭერილია და ძირითადად ფერმერის ინიციატივით ვითარდება. დარგის სუბსიდირება არ ხდება და დაფინანსების წყაროებს ძირითადად გრანტი (იშვიათად, მაგრამ მაინც) და სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ პროგრამებში მონაწილეობა წარმოადგენს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომელიც ჩვენს ბაზარზეა წარმოდგენილი, ძირითადად იმპორტირებულია, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი პროგრამა ხორციელდება სოფლის მეურნეობის მხარდაჭერით, ბევრი შემაფერხებელი ფაქტორია წარმოების გაფართოებისთვის, დაწყებული მცირემიწიანობით, დამთავრებული ზ/ა აღნიშნულ პროგრამებში ჩართულობის სირთულით.

სოფლად განვითარების ძირითადი პრობლემებისა და ტენდენციების გამოსავლენად, ჩავატარეთ კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა აჭარაში ეკომეგობრული პროდუქტების წარმოებისა და საექსპორტო პოტენციალის

განსაზღვრა და ფერმერის (მეურნის) მზაობის შეფასება ეკომეგობრული პროდუქტის საწარმოებლადა. გამოვიკითხეთ 221 ფერმერული მეურნეობა.

ფერმერული მეურნეობების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები სხვადასხვა ფართობისაა. გამოკითხულთაგან ყველაზე მოცულობით 16.3%-ი ფლობს 4000-დან 5000 კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთს, 12%-12% ფლობს 3000-დან 4 000 და 5000-დან 8000კვადრატულ მეტრს. 11.3% ფლობს 8000-დან 1 ჰექტარ ფართობს, ხოლო 1 ჰექტარზე მეტი ფართობის მქონე ფერმერი უმცირესობაშია. აღნიშნული კარგად ასახავს არსებულ რეალობას და ჩანს, რომ საშუალო და მსხვილი ფერმერული მეურნეობების განვითარებისთვის არსებული ფართობები არასაკმარისია. რაც შეხება კოოპერირების თემას, მეურნეობების ნაწილი მას იყენებს სხვადასხვა შეღავათის მისაღებად, მაგრამ პრაქტიკაში კოოპერატივის იდეის განხორციელება ნაკლებად ხდება.

გარდა თვითშეფასების დონისა, გამოკითხულ ფერმერების 20%-ს შეექმნათ რიგი პრობლემატური საკითები მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. რაც შემდეგი სახით გამოვლინდა:

მიწის რეგისტრაცია რთულად მიმდინარეობს;

დღევანდელი რეფორმით რაც უწერია არქივში, იმაზე მეტი ვერ დაარეგისტრირა, რეალურად სარგებლობაში ორჯერ მეტი აქვს;

ბევრი მათგანის სურვილია პროექტის ღირებულება იყოს უფასო და პროცესის დაჩქარება;

ხდება ნაკვეთების გადაფარვა;

ქონების სააგენტოსთან და სატყეო სააგენტოსთან ბიუროკრატიული პრობლემები;

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, შემოსავლების განაწილების მიხედვით მეურნეობები დავყავით შემდეგი ზღვარის მიხედვით:

500-დან-3000 ლარამდე შემოსავალს იღებს - გამოკითხულა - 35,5 %,

3000-დან -7000 ლარამდე შემოსავალს იღებს - გამოკითხულა - 41,5%,

7000-დან 30 000 ლარამდე შემოსავალს იღებს - გამოკითხულა -18 %,

30 000-დან 50 000 ლარამდე შემოსავალს იღებს - გამოკითხულა - 2.4%,

50 000 დან 70 000 ლარამდე შემოსავალს იღებს - გამოკითხულა - 2.6%,

70 000 დან 100 000 ლარამდე შემოსავალს იღებს - გამოკითხულა - 0.5%,

100000 ლარი და მეტი შემოსავალს იღებს - გამოკითხულა - 0%.

აღნიშნული შედეგი არ არის სახარბიელო, რადგანაც მცირე და საშუალო მეურნეობათა წლიური საშუალო შემოსავალი ძირთადად 1500-10000 ლარის ფარგლებში მერყეობს.

მცირე მიწაზე მეურნეობის წარმოება, როგორც წესი, ფერმერს არ აძლევს საშუალებას, ე.წ. მასშტაბის ეკონომიურობის ეფექტით ისარგებლოს და წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად შეამციროს. გარდა ამისა, მცირე მიწის მფლობელი საოჯახო მეურნეობა არ არის

ორიენტირებული მოგების მიღებაზე და თავის საქმიანობას, როგორც ბიზნესს არ განიხილავს. ასევე ვერ ხედავს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას. გამოკითხულ მეურნეთა 80% უფრო რეალურად მიიჩნევს ეკომეგობრული პროდუქციის წარმოების გაზრდას.

| | კი | არა |
|---|---|---|
| თანახმა ხართ თუ არა აწარმოოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი | 12 | 109 |
| თანახმა ხართ თუ არა აწარმოოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი სახელმწიფოს მხარდაჭერით | 22 | 99 |
| თანახმა ხართ თუ არა აწარმოოთ ეკომეგობრული პროდუქტი | 100 | 21 |
| თანახმა ხართ თუ არა აწარმოოთ ეკომეგობრული პროდუქტი სახელმწიფოს მხარდაჭერით | 115 | 6 |

**წყარო:** ავტორთა კვლევის შედეგები

მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან დიდი ძალისხმევისა, სოფლის მეურნეობა კვლავ რჩება მოწყვლად მიმართულებად, რაშიც ფერმერი არ/ვერ აკეთებს კაპიტალდაბანდებას შემდეგი მიზეზების გამო:

- წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა;
- იმპორტირებული, მაღალტექნოლოგიური და საექსპორტო სუბსიდირებული პროდუქციის მიმართ არა კონკურენტუნარიანობა;
- მცირე ფართობიანი ნაკვეთი (აჭარის რეგიონში 3000-5000მ2) არ იძლევა შესაძლებლობას მასიური წარმოებისთვის;
- კოოპერატიულ მეურნეობებში გაერთიანებისა და ერთმანეთისადმი უნდობლობა.

სასურსათო სისტემა მოიცავს საქმიანობის ყველა სფეროს, რომელიც დაკავშირებულია სურსათის გადამუშავებასთან, განაწილებასთან, მომზადებასა და გამოყენებასთან. თუ შევადარებთ 2021წლისა და 2022 წლის მონაცემებს ვნახავთ, რომ აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 8%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 40%-ით, ხოლო უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აგროსასურსათო სექტორში 27%-ით შემცირდა. ამასთან, 2022 წელს იმპორტი ექსპორტს აღემატებოდა 3,5-ჯერ, მაშინ როცა 2012 წელს იმპორტი 2,4-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს. (სასურსათო.., 2021).

არასახარბიელოდ მიგვაჩნია ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობის პირველადი და კვების პროდუქტების იმპორტი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად აღემატება ექსპორტის მოცულობას, რის მიზეზადაც მიგვაჩნია ამ პროდუქტების წარმოების დაბალი მოცულობა და შესაბამისი სექტორის სუსტი კონკურენტუნარიანობა უცხოელ მწარმოებლებთან შედარებით.

ცხრილი №1.

| საქონლის დასახელება | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|
| მთლიანი ექსპორტი (მილიონი აშშ დოლარი) | 2745,66 | 3379,72 | 3798,39 | 3344,47 | 4242,65 | 5592,84 |
| სურსათის ექსპორტი (მილიონი აშშ დოლარი) | 246,80 | 263,87 | 244,79 | 316,84 | 385,05 | 419,39 |
| სურსათის წილი მთლიან ექსპორტში (%) | 35,65 | 31,15 | 25,44 | 37,12 | 35,89 | 29,72 |
| *მთლიანი იმპორტი (მილიონი აშშ დოლარი)* | *8057,08* | *9361,43* | *9519,47* | *8053,82* | *10099,76* | *13450,05* |
| *სურსათის იმპორტი (მილიონი აშშ დოლარი)* | *923,47* | *980,40* | *980,95* | *957,86* | *1049,02* | *1468,97* |
| *სურსათის წილი მთლიან იმპორტში (%)* | *45,89* | *41,91* | *41,11* | *48,27* | *41,53* | *43,30* |

**წყარო:** სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური

მიუხედავად მხარდამჭერი აქტივობებისა აგროსასურსათო სექტორი მაინც საჭიროებს დახმარებას. შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბაზრების სურსათით მომარაგებასა და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას:

- აუცილებელია მეწარმეთა და ხელისუფლების წარმომადგენელთა აქტიური კომუნიკაცია რეგულაციების, გადაწყვეტილებების, დახმარებებისა თუ სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის დროულად მიღების გამო.
- ფერმერებისათვის და ბიზნესისათვის (განსაკუთრებით მცირე ფერმერებისათვის) სპეციალური გეგმების და პროგრამების შემუშავება კრიზისებთან გასამკლავებლად.

საქართველოში აგროსასურსათო სექტორის განვითარების პრიორიტეტებს უპირველესად საფუძვლად უნდა დაედოს მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის პრინციპები. ამით სექტორის განვითარებაში არსებული პრობლემების გადაჭრა სისტემური მიდგომებისა და აგროსასურსათო ბაზრების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით იქნება შესაძლებელი. (ჯაბნიძე ნ, .., 2020)

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე პანდემიის გამოცხადებამ საქართველოსთვის მთავარ გამოწვევად აქცია სასურსათო უსაფრთხოება, ანუ საკვებისა და პირველადი მოხმარების საგნების ხელმისაწვდომობა.

გამოიკვეთა საქართველოს იმპორტზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი, რამაც თავის მხივ გამოკვეთა აუცილებელი აგროსასურსათო პროდუქტებით თვითდაკმაყოფილების დაბალი დონე. (შაქარი საქართველოში სრულად იმპორტირებულია, ხორბლის მოხმარების მხოლოდ 15%-ს ვაკმაყოფილებთ შიდა წარმოებით, ხორცის ბაზარზე შიდა

უზრუნველყოფა 47%-ია. შედარებით საიმედო მდგომარეობა და თვითკმარობის მაღალი მაჩვენებელი გვაქვს სიმინდის (70%), კარტოფილის (93%), ბოსტნეულის (62%), კვერცხის (96%), რძისა და რძის პროდუქტების (81%) სასაქონლო კატეგორიებში. შედარებით საიმედო მდგომარეობა და თვითკმარობის მაღალი მაჩვენებელი გვაქვს სიმინდის (70%), კარტოფილის (93%), ბოსტნეულის (62%), კვერცხის (96%), რძისა და რძის პროდუქტების (81%) სასაქონლო კატეგორიებში.

ლოკდაუნმა და ადგილობრივ ბაზარზე შექმნილმა კრიზისმა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ნაწილს საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საოჯახო მეურნეობების მოწყობისკენ, გამოცდილებამ კი ახალი ფერმერული მეურნეობების შექმნას შეუწყო ხელი, ბაზარზე გაჩნდა ეკომეგობრული პროდუქციის მწარმოებელი მეურნეობები. ასევე იზრდება მოსახლეობაში ამ პროდუქციის შეძენის სურვილი. სოფლის მეურნეობის სამინისტრო შესაბამისი ფერმერთა მხარდამჭერი პროგრამებით, სწავლებებით, ტრენინგებით, საინფორმაციო მასალების გავრცელებით ხელს უწყობს ამ ტენდენციის განვითარებას.

თუმცა, წარმოების განვითარების სურვილს სოფლად მხოლოდ გლეხის მონდომება არ ყოფნის. ის სინთეზში უნდა იყოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებსა და ღონისძიებებთან. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ფერმერთა დასახმარებლად და მათი ცოდნის ასამაღლებლად დღეს სახელმწიფო არაერთ ღონისძიებას მართავს, ინფორმაციის მიწოდების, სწავლების და ნერგებით მომარაგების ჩათვლით, ექსპერტთა და ფერმერთა ნაწილი მაინც თვლის, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი ტემპი ამ ღონისძიებების არასათანადოდ დაგეგმვასა და არათანმიმდევრულობას უკავშირდება.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების სრულად ათვისების, წარმოების პოტენციალის ზრდის ხელშეწყობით შეგვიძლია ეკოლოგიურად სუფთა, ორგანული პროდუქციით ბაზარზე არსებული მოთხოვნის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკმაყოფილება. სამწუხაროდ, დღეს არ ხდება ასეთი მცირე მეურნეობების აღრიცხვა, ამიტომ ზუსტი ციფრის დასახელება არ შეგვიძლია, მაგრამ სამომავლოდ იმედია ესეც მოგვარდება და ასეთი მეურნეობების სხვადასხვა მხარდამჭერ პროგრამებში ჩართვის გამარტივებით მათი განვითარება შესაძლებელი გახდება.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ნებისმიერ ფერმერს აქვს პოტენციალი აწარმოოს ეკომეგობრული პროდუქცია თუ გარკვეული რისკების დაზღვევა ექნება და ასევე შეიქმნება მიკრობანკები, რომელიც შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთით დააფინანსებს მეურნეს, ფერმერს. უნდა ჩამოყალიბდეს ასევე საკონსულტაციო ჯგუფები, რომელიც პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვის სრულყოფაში დაეხმარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯაბნიძე ნ. ცეცხლაძე ლ. მესხიძე ი. ,,სურსათით უზრუნველყოფის პრობლემები განვითარებადი სახელმწიფოებისთვის კოვიდ-19-ის პირობებში (საქართველოს მაგალითზე)“
2. თხილაიშვილი გ., ჯაბნიძე ნ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ,,ფერმერული მეურნეობების განვითარების ძირითადი მიმართულებები აჭარის აგრარულ სექტორში“
3. დათუნაშვილი ლ. ,,სოფლის მეურნეობა და ეკონომიკური გამოწვევები პანდემიის პირობებში“
4. კაცია ი. ,,Covid-19 საქართველოს სოფლის მეურნეობაში-გამოწვევა, შესაძლებლობა თუ ორივე?” 21.02.2021; https://www.iset.ge
5. ,,FAO-ს და ევროკავშირის მხარდაჭერით, ქართველი ფერმერები შემოსავლებს და წარმოებას ზრდიან”. https://www.fao.org/georgia/news/detail-events/ge/c/1370512/
6. სასურსათო უსაფრთხოება, 2021, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/297/sasursato-usafrtkhoeba

# კათოლიციზმის როლი თანამედროვე რესპუბლიკანიზმისა და პარტიული სისტემების ჩამოყალიბებაში
# The Role of Catholicism in the Formation of Modern Republicanism and Party Systems

**გიორგი ფარეშიშვილი**
აფილირებული, აკადემიური ასისტენტი,
რექტორის მრჩეველი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**Giorgi Pareshishvili**
Advisor to the Rector
Caucasus International University

**რეზიუმე.** ქრისტიანობას, კონკრეტულად კათოლიციზმს უდიდეს როლი მიუძღვის ევროპული იდენტობისა და მის ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბებაში, რომელმაც შემდგომში განაპირობა თანამედროვე რესპუბლიკანიზმის შექმნა. უმნიშვნელოვანესია კათოლიციზმის ფაქტორი კულტურაში, ვინაიდან იგი თანამედროვე დასავლური პოლიტიკური წესრიგის განუყოფელი ნაწილია და მის განვითარებაში უდიდესი წვლილი გააჩნია. ზემოხსენებულის ნათელი მაგალითია პოლიტიკურ იდეოლოგიებში გამოკვეთილი რელიგიური, კონკრეტულად ქრისტიანული ფასეულობები, რომელიც დღესდღეობით ევროპის არა ერთი პარტიის მთავარ იდეურ დასაყრდენს წარმოადგენს. მიუხედავად რელიგიის, კეთოლიციზმის უდიდესი მნიშვნელობისა, იგი არ აერთიანებს სახელმწიფოსა და რელიგიას, პირიქით მიჯნავს ერთამენეთისგან, რაც თავისთავად პროგრესული წარმონაქმნია, იგი დემოკრატიასთან, დემოკრატიულ ღირებულებებთან არის დაკავშირებული და სეკულარიზმის იდეას ემსახურება - ქრისტიანობისთვის მნიშვნელოვანია დემოკრატიულ და სამართლებრივ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო. მიუხედავად ამისა, ისტორიული პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ

ხშირად იკვეთება განსხვავებული სახის შეხედულებები ქრისტიანულ სწავლებასთან დაკავშირებით, რა დროსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიურ დიალოგებს. განსხვავებული ხედვები და მიდგომები წარმოშობს შემდგომში ახალ რელიგიურ მიდგომებს, რომელიც თავისთავად პოლიტიკურ იდეოლოგიებშიც იკვეთება - ამის ნათელი მაგალითია პროტესტანტიზმი და პროტესტანტული ეკლესიის ჩამოყალიბება.

**საკვანძო სიტყვები:** ქრისტიანობა, კათოლიციზმი, პოლიტიკური იდეოლოგიები, სეკულარიზმი, დემოკრატია, პროტესტანტიზმი.

**Abstract.** Christianity, specifically Catholicism, played a major role in the formation of the European identity and its value system, which subsequently led to the creation of modern republicanism. The factor of Catholicism in culture is very important, since it is an integral part of the modern Western political order and has the greatest contribution to its development. A clear example of the above is the religious, specifically Christian values highlighted in political ideologies, which today represent the main ideological base of more than one party in Europe. Despite the great importance of religion, Orthodoxy, it does not unite the state and religion, on the contrary, it separates them from each other, which in itself is a progressive formation, it is connected with democracy, democratic values and serves the idea of secularism - a state based on democratic and legal principles is important for Christianity. Nevertheless, historical practice shows us that different views regarding Christian teaching are often encountered, in which case religious dialogues are of great importance. Different visions and approaches give rise to new religious approaches, which in turn are reflected in political ideologies - a clear example of this is Protestantism and the formation of the Protestant Church.

**Keywords:** Christianity, Catholicism, Political Ideologies, Secularism, Democracy, Protestantism.

კათოლიკეთა და ზოგადად ქრისტიანთა წვლილი ევროპაში და დასავლურ პოლიტიკურ კულტურაში პლურალიზმისა და სეკულარიზმის დამკვიდრების საქმეში განსაკუთრებულია. კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება, პლურალიზმის პრინციპი, ბუნებრივია, არ წარმოადგენს ევროპული პოლიტიკური კულტურის თანდაყოლილ ელემენტებს. აქ ქრისტიანულ მემკვიდრეობასთან გვაქვს საქმე. ისტორიული ფაქტია, რომ არა უგვიანეს ათასი წლის წინ არ დარჩენილა ევროპაში ქვეყანა, რომელსაც ქრისტიანობა არ მიეღო. ქრისტიანობასთან მიღებამ კი უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ევროპული იდენტობის ჩამოყალიბებაში. ქრისტიანული რწმენა იმთავითვე ევროპულ კულტურებს შეერწყა. მან ფესვები გაიდგა სხვადასხვა - ლათინური თუ კელტური, გერმანული თუ სლავური წარმომავლობის _ ხალხებში, რომლებიც საერთო ჯამში ევროპას წარმოადგენენ. (პიტერ ბრაუნი, 2014) ქრისტიანული დასავლური, პროტესტანტული სამყარო იერარქიული ეკლესიისა და მის წინააღმდეგ გამოსული ახალი სულიერი მოძრაობების კონფლიქტების ფონზე ჩამოყალიბდა. შპაიერის რაიხსტაგის წევრთა უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება რელიგიური საკითხების თაობაზე, ,,პროტესტანტებმა'' კი ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გაილაშქრეს და, ეკლესიური და სეკულარული ძალაუფლების ურთიერთგამიჯვნის თვალსაზრისით, თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფოს შექმნის პროცესში თავიანთი

წვლილი შეიტანეს. ისინი სინდისის თავისუფლების აღიარებას მოითხოვდნენ და პოლიტიკურ ავტორიტეტებს რელიგიის საკითხებში თავშეკავებისაკენ მოუწოდებდნენ. ახალ ეპოქაში გადასვლის დროს, ქრისტიანულ ღირებულებებს ევროპულ ღირებულებათა სისტემაში უკვე დიდი ადგილი ეკავა.

კათოლიციზმი კვლავ განმსაზღვრელი ძალაა, როდესაც ევროპის პოლიტიკურ კულტურაში, მის პარტიულ სისტემათა ჩამოყალიბებაში ფასეულობების განმსაზღვრელ პოზიციაზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, იმ ღირებულებებსა და ნორმებს ვგულისხმობთ, რომელიც ქრისტიანული რწმენის პრინციპებიდან ამოიზარდა და დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოების საერთო სიკეთედაა მიჩნეული. აქ საუბარია ადამიანის ელემენტარულ უფლებებზე, რომელიც განიხილება არა როგორც განსაკუთრებული ევროპული სიკეთე, არამედ, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, როგორც უმთავრესი ელემენტი სამართლის უნივერსალური ეთოსისა. (ვოლფგანგ ჰუბერი, 2004)

დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოსათვის ,,ქრისტიანობის მაცოცხლებელი ძალა'' იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ქრისტიანობა, როგორც რელიგია, რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთ გამიჯვნის პრინციპს აღიარებს. ქრისტიანობა სახელმწიფოს სეკულარობაში განსაზღვრულ შინაარსობრივ დამოკიდებულებას გულისხმობს. ქრისტიანობა დადებითად უყურებს სახელმწიფოს სეკულარულობას. ბიბლიური თვალსაზრისით, სახელმწიფო არც ,,ზეციური სამყაროა'' და არც ეკლესიის გაგრძელება; სახელმწიფოს არ ქმნიან რელიგიური ავტორიტეტები. მსოფლმხედველობითი ნეიტრალობა რელიგიის, საზოგადოებაში არსებული კულტურული ღირებულებებისა და რწმენების პატივისცემას გულისხმობს. (ვოლფგანგ ჰუბერი, 2004)

სწორედ მსგავსმა დამოკიდებულებებმა გააჩინა ევროპაში კათოლიციზმის გავლენით პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ქრისტიანულ ფასეულობებს იზიარებენ და მათ ღირებულებსა და პრინციპებშიც სწორედ ქრისტიანული მორალიდან და ტრადიციიდან წამოსული იდეები დევს. ევროპის და მსოფლიო მასშტაბითაც არაერთ ქვეყანაში ვნახავთ წამყვან პარტიებს, რომლებიც სწორედ ქრისტიანულ ღირებულებებს იზიარებენ და ამით ერთმანეთთან კავშირზეც არიან, რითიც ქმნიან სერიოზულ ანგარიშ გასაწევ მოწინავე ძალებს როგორც თავიანთ ქვეყნებში, ისე მათი კავშირების სახით მთელს მსოფლიოში. მაგალითად, ქრისტიანულ ღირებულებებზე შექმნილი და დღესაც საკმაოდ აქტიურად მოქმედი პარტიებია: ავსტრიის სახალხო პარტია, ბელგიის ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ბრიტანული ქრისტიან ხალხთა ალიანსი,

უნგრეთის ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია, გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, ევროპის სახალხო პარტია, წინ იტალია, ნიდერლანდების სამეფოს ქრისტიანული კავშირი, ნორვეგიის სახალხო ქრისტიანული პარტია და აშ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ყველა ამ პარტიის ძირითადი მამოძრავებელი ძალა და ფასეულობათა ერთიანობა ქრისტიანულია და ევროპის უმეტესი ქვეყნების შემთხვევაში სწორედ კათოლიკურ და პროტესტანტულ ღირებულებებს ეფუძვნება.

ევროპაში პიროვნების თავისუფლების გამოკვეთის ერთ-ერთი დიდი მიზეზი სხვა სოციო-პოლიტიკურ კონფლიქტებთან და განვითარებებთან ერთად იყო რელიგიური დიალოგები. იმ დროს, როდესაც ის ეკლესია ( ამ შემთხვევაში კათოლიკური), რომელსაც აქვს პრეტენზია იყოს ჭეშმარიტების ერთადერთი წყარო, ავითარებს ისეთ სწავლებებს და ასევე სჩადის ისეთ ქმედებებს, რომლებიც აეჭვებენ ადამიანებს ამ რელიგიის უცდომელობასთან დაკავშირებით. ქრისტეს და ღმერთის სახელით ხდება თავისუფალი აზრის დევნა, ადამიანების დასჯა არასწორი თეოლოგიური თუ ფილოსოფიური და მეცნიერული შეხედულებების გამო.

ევროპაში სინდისის გათავისუფლება იწყება ამ დიდი ეჭვით: ნუთუ ის, რასაც ოფიციალური ეკლესია ასწავლის და აკეთებს უნდა ქრისტეს? ეს ეჭვი უჩნდებათ თავად კათოლიკე სასულიერო პირებს და ტრაგიკულ მსოფლმხედველობით ვითარებაში აგდებს მათ: “მე კათოლიკე ვარ, იმიტომ რომ ვუჯერებ პაპს, მაგრამ ჩემი სინდისი მეუბნება, რომ პაპის დაჯერება მაცილებს ქრისტეს; აბა, აღარ ვიყო კათოლიკე, რომ ვიყო მართალი ქრისტესთან? მაგრამ აკი კათოლიკობა ნიშნავს ქრისტესთან ერთადერთ სწორ ურთიერთობას. მაშინ რაღა ვქნა?” აი ამგვარი ტრაგიკული დილემა ჰქონდა მარტინ ლუთერს და ეს დილემა მან საკუთარი სინდისის სასარგებლოდ გადაწყვიტა. (ლევან გიგინეიშვილი, 2020)

ცნობილია, რომ როცა ვორმსის კრებაზე ლუთერს ჰკითხეს “აღიარებდა თუ არა რომ უცდომელი იყო რომის პაპი, ლუთერმა უპასუხა: “მაშინ, როცა სიმართლეს ამბობს, კი, ვაღიარებ რომ უცდომელიაო”. ასევე ყველასათვის ცნობილი სიტყვები “აქ ვდგავარ და სხვანაირად არ ძალმიძს” – გახდა გარკვეული ბიძგი, რასაც მოყვა პიროვნების სინდისის რელიგიური ინსტიტუციის ავტორიტეტისგან გათავისუფლება.

სწორედ ლუთერის, კალვინის და სხვათა შეხედუებებზე წარმოქმნილმა პროტესტანტულმა ტალღამ განაპირობა შემდგომ უკვე პოლიტიკურ იდეოლოგიებში სწორედ პროტესტანტული ღირებულების გაჩენა, რამაც განსაკუთრებული პოპულარობა სწორედ ევროპასა და ამერიკაში ჰპოვა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. სემუელ ჰანთინგტონი, „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“, https://e-learning.tsu.ge/pluginfile.php/291510/mod_resource/content/1/Hantington-2017.pdf უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 19.02.2021;
2. დეკანოზი ლევან მათეშვილი, „კალვინისტური, ანუ რეფორმაციული აღმსარებლობა“, ჟურნალი ‘კარიბჭე“ http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/skhva-religiebi/305-kalvinisturi-anu-reformaciuli-eklesia.html
3. ანზორ ახვლედიანი, „პროტესტანტიზმი“ http://anzorakhvledini.blogspot.com/p/blog-page_2314.html უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 19.02.2021;
4. ლევან გიგინეიშვილი, „ევროპული და ქრისტიანული ხედვა ადამიანზე“ https://publika.ge/article/evropuli-da-qristianuli-khedva-adamianze/ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 19.02.2021;
5. გიორგი მელაძე, „მითების დეტექტორი“ თბილისი,2015. https://www.mythdetector.ge/ka/myth/miti-titkos-amerikelebi-ebrdzvian-religias-usapudzvloa უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 19.02.2021;
6. გიორგი კეკელიანი, „რელიგიის როლი თურქეთისა და ირანის შიდა პოლიტიკაში“ 2019; https://www.academia.edu/41111700/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98 უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 19.02.2021;
7. ემზარ ჯგერენაია, „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება“ http://dictionary.css.ge/content/protestant-ethic-and-spirit-capitalism ; უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 26.07.2021;
8. PETER BROWN'S CHRISTIANITY , https://www.wenglinskyreview.com/wenglinsky-review-a-journal-of-culture-politics/2017/9/20/peter-browns-christianity უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 26.07.2021;
9. მაქს ვებერი, „პოლიტიკური თეორიის საკითხები“ https://e-learning.tsu.ge/pluginfile.php/291506/mod_resource/content/1/Veberi-kreb-2019.pdf უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 26.07.2021;
10. Exhibition Home „Religion and the Founding of the American Republic“ https://www.loc.gov/exhibits/religion/ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 26.07.2021;
11. Anders Kjølen, „How the Catholic Church Influences Italian Politics“; 2017.
12. ვოლფგანგ ჰუბერი, „ქრისტიანული რწმენა და პოლიტიკური კულტურა ევროპაში“ http://tengos-ideabox.blogspot.com/2009/11/blog-post_6346.html
13. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა: 26.07.2021.

# თანამედროვე მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე - ენერგეტიკის სექტორი
# Modern World Facing New Challenges - Energy Sector

**ქეთევან ვეზირიშვილი-ნოზაძე,** პროფესორი,
**ელენე ფანცხავა,** ასოცირებული პროფესორი,
**ირაკლი გუგუშვილი,** მე-2 კურსის მაგისტრანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Ketevan Vezirishvili-Nozadze,** Professor
**Elene Pantskhava,** Associate Professor
**Irakli Gugushvili,** 2nd year master's student
Georgian Technical University

**აბსტრაქტი.** რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, მთელი მსოფლიოსთვის ცხადი გახდა, რომ მალე ახალი გეოპოლიტიკური რეალობა დადგებოდა და ამ ომის ექო ყველა ქვეყანას მისწვდებოდა. როგორც ვიცით, სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა და ეკონომიკა დიდწილად დამოკიდებულია მათ ენერგორესურსებზე, როგორიც არის: ნავთობი, ბუნებრივი აირი, ქვანახშირი და განახლებადი ალტერნატიული წყაროები. დროთა განმავლობაში იცვლება სხვადასხვა რესურსებზე მოთხოვნა და მიწოდება. ენერგორესურსების მოხმარება შეიძლება განვიხილოთ იმის მიხედვით, თუ რა დადებითი და უარყოფითი გავლენა აქვთ მათ ჩვენს პლანეტაზე, შესაბამისად, მსოფლიო პოლიტიკაში დიდი სიტყვა ეთქმით იმ ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ ან ექნებათ ისეთი რესურსები, რომლებიც მსოფლიოს „აცოცხლებს".
ევროკავშირის მაგალითზე ნათელი გახდა, თუ რა საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს ერების ეკონომიკური განვითარებისთვის ენერგოსაჭიროებების დასაკმაყოფილებლად მეტწილად ერთ ქვეყანაზე - ამ შემთხვევაში რუსეთზე - დამოკიდებულება და რა დიდ გამოწვევებთანაა დაკავშირებული ენერგოუსაფრთხოების მიზნის მიღწევა, როდესაც რუსეთი ამ რესურსებს პოლიტიკურ იარაღად იყენებს.
კონფერენციის ფარგლებში ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევები დაეფუძნა საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების კუთხით არსებულ მნიშვნელოვანი გამოწვევების გამოვლენას, ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის მთავარი აქცენტების გამოკვეთას რუსეთთან მიმართებით და ევროპის ქვეყნების გავლენების შეფასებას ჩვენი ქვეყნის ენერგომომარაგებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** გეოპოლიტიკური რეალობა, ენერგორესურსები, განახლებადი ენერგიის წყაროები, ევროკავშირი, მსოფლიო პოლიტიკა, ენერგოუსაფრთხოება..

**Abstract.** After the Russian invasion of Ukraine, it was announced to the whole world that a new geopolitical reality would soon emerge and all countries would be involved in this struggle. As we know, the foreign policy and economy of states largely depends on their energy resources, such as: oil, natural gas, coal and renewable alternative sources. Demand and supply of various resources change over time. The consumption of energy resources can be considered according to the positive and negative impact they have on our planet, therefore, the countries that have or will have such resources that "liven" the world have a big say in world politics.
Using the example of the European Union, it became clear how dangerous it can be for the economic development of nations to rely on one country to meet their energy needs - in this case on Russia - and what great challenges are associated with achieving the goal of energy security when Russia uses these resources as a political weapon.
The research conducted by us within the framework of the conference was based on the identification of important challenges in terms of energy security of Georgia, the outline of the main emphases of the EU

energy policy in relation to Russia, and the assessment of the influence of European countries on the energy supply of our country.

**Key words:** Geopolitical Reality, Energy Resources, Renewable Energy Sources, European Union, World Politics, Energy Security.

**შესავალი.** რუსეთ - უკრაინის მიმდინარე ომის პირობებში შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს რა შეიცვლება რუსეთის პოლიტიკაში მეზობელ ქვეყნებთან მიმართებით, თუმცა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მოკლევადიან პერსპექტივაში წამოჭრილი საკითხებისა და გამოწვევების ანალიზი, რათა შევიმუშავოთ დაცვის შესაბამისი მექანიზმები.

ომის პირობებში წინა პლანზეა წამოწეული ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები და კერძოდ, ევროპის დამოკიდებულება რუსულ ენერგეტიკულ რესურსებზე. ევროკავშირში იმპორტირებული გაზის საერთო მოცულობის დაახლოებით 40-45% რუსეთის ფედერაციიდან შედის, უმსხვილესი მიმწოდებელი კომპანია გაზპრომია, რომელიც, გაზის მიწოდების გარდა, ევროპის მასშტაბით მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ და ფიზიკურ აქტივებსაც ფლობს.

ევროკავშირის მოთხოვნის თითქმის 22% ადგილობრივი წარმოების საშუალებით კმაყოფილდება, ბუნებრივი აირის იმპორტის საერთო მოცულობის 23% ნორვეგიაზე მოდის, 12% – ალჟირზე, 6% – აშშ-ზე, გაზის იმპორტის 5% კი კატარიდან ხორციელდება. 5%-ზე ნაკლები წილი აქვს გაერთიანებულ სამეფოს.[1]

ევროკავშირში რუსული გაზის იმპორტზე ყველაზე მეტად დამოკიდებულნი არიან: გერმანია, იტალია, საფრანგეთი, უნგრეთი და ჩეხეთი. აღსანიშნავია, რომ გერმანია და იტალია ევროკავშირის მიერ რუსეთიდან იმპორტირებული გაზის საერთო მოცულობის დაახლოებით ნახევარს მოიხმარენ, შესაბამისად, კრემლის პოლიტიკური ზეწოლის მთავარი სამიზნეებიც სწორედ ეს სახელმწიფოები არიან.

ბუნებრივი აირის გარდა, რუსეთი ევროკავშირისთვის თხევადი გაზის მთავარი მიმწოდებელიცაა. იმპორტირებული გაზის 41% რუსეთზე მოდის, 24% – ნორვეგიაზე, ალჟირი კი ევროკავშირის მოთხოვნის 11%-ს აკმაყოფილებს.

რუსეთს, ასევე, დიდი გავლენა აქვს ქვანახშირის მიწოდებაზე. ევროკავშირში იმპორტირებული ქვანახშირის თითქმის 46% რუსეთზე მოდის, 15% – აშშ-ზე, კოლუმბიაზე – 17%, ქვანახშირის 13% კი ევროკავშირში ავსტრალიიდან შედის.

რაც შეეხება ნედლი ნავთობის იმპორტს, ამ შემთხვევაშიც, რუსეთი პირველ ადგილს იკავებს, თუმცა გაზთან და ქვანახშირთან შედარებით, ევროკავშირის დამოკიდებულება რუსეთზე ნაკლებია. ნავთობის იმპორტის საერთო მოცულობის 27% რუსეთზე მოდის, 9% – ერაყზე, 8-8% – ნორვეგიასა

და აშშ-ზე, 7.9% – ნიგერიაზე, 7.8% – საუდის არაბეთზე, 7.5% კი – ყაზახეთზე. ნედლი ნავთობის იმპორტში 5%-ზე ნაკლები წილი აქვთ: ლიბიას, გაერთიანებულ სამეფოს და აზერბაიჯანს.

ევროკავშირისგან განსხვავებით, აშშ-ის ენერგეტიკული სექტორი შედარებით ნაკლებადაა დამოკიდებული რუსულ ნავთობსა და გაზზე. 2021 წელს აშშ-ში იმპორტირებული ნედლი ნავთობის მხოლოდ 3% შევიდა რუსეთიდან. ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკული სექტორი ძირითადად ადგილობრივ წარმოებაზე, კანადაზე, მექსიკასა და საუდის არაბეთზეა დამოკიდებული.

ბუნებრივი აირის შემთხვევაშიც, აშშ-ის რუსეთზე პირდაპირი დამოკიდებულება პრაქტიკულად ნულის ტოლია, რადგან იმპორტირებული გაზის 98% მის მეზობელ სახელმწიფოზე, კანადაზე მოდის.

**ძირითადი ნაწილი.** რუსეთის უკრაინის მიმართ აგრესიული ქმედების საპასუხოდ ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება დააჩქაროს განახლებად ენერგიის წყაროებზე გადასვლა, რაც ,,ევროპის მწვანე შეთანხმებით“ 2030 წლამდე წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირებას გულისხმობდა. ევროკავშირის ახალი გეგმით ამ თარიღმა გადმოინაცვლა და ის უკვე 2023 წლის ბოლომდე რუსულ გაზზე დამოკიდებულების ორი მესამედით შემცირებას გეგმავს. ევროკომისია აღნიშნავს, რომ ევროპა მზადაა დაეხმაროს უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს უზრუნველყოფილი იყვნენ საიმედო და მდგრადი ენერგიით.[2]

ევროკავშირში იმპორტირებული რუსული გაზის ჩანაცვლების საკითხში აზერბაიჯანის როლიც იკვეთება: თუკი აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით ევროკავშირისთვის მიწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობები გაიზრდება, ჩვენი ქვეყანა შეძლებს მეტი ბუნებრივი გაზი იყიდოს შეღავათიან ფასად (გატარებული გაზის 5%).

ჩვენი კვლევების ძირითად ნაწილს წარმოადგენს იმ არგუმენტთა დასაბუთება, რომელიც აყალიბებს ახალ ხედვას რუსეთის ,,იაფი“ გაზის ჩანაცვლებისა ევროპის კონტინენტზე, დეტალურად განვიხილავთ შესაძლებლობების კასკადს და წარმოვადგენთ იმ ქვეყნების ნუსხას, რომლებიც ლიდერობენ ამ სფეროში.

დღეის მდგომარეობით, რადგან ნავთობი და ბუნებრივი აირი ყველაზე პოლიტიკური რესურსებია, შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ ის ქვეყნები, რომლებიც ყველაზე დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოგებას ნახულობენ მათი ფლობით.

ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის შესახებ საინფორმაციო ადმინისტრაციის 2022 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებშიც ჩამოთვლილია ის ქვეყნები, რომლებიც ნავთობის უმსხვილესი

მწარმოებლები არიან, პირველი სამი სახელმწიფო გვხვდება: აშშ, საუდის არაბეთი და რუსეთი. რადგან, აშშ ნავთობის არა ექსპორტს, არამედ იმპორტს ახდენს, პირველ ადგილზე რჩება საუდის არაბეთი. სწორედ ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიო ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული საუდის არაბეთის ნავთობწარმოებაზე. მაგალითად, 2019 წლის 14 სექტემბერს საუდის არაბეთის საკუთრებაში მყოფ ორ ნავთობტერმინალზე თავდასხმამ დიდი დარტყმა მიაყენა ნავთობის წარმოებას. რის შედეგადაც წარმოება შეფერხდა დაახლოებით 5,7 მილიონი ბარელით დღეში; ანუ გლობალური წარმოების 5 % - ით. შედეგად, ორ დღეში ნავთობის ბარელზე ფასი 20% - ით გაიზარდა.[3]

რაც შეეხება ბუნებრივ აირს, ამავე ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული კვლევის 20 წლის მონაცემებით, ბუნებრივი აირის წარმოების მხრივ პირველი ხუთი ქვეყანა არის: რუსეთი, აშშ, ირანი, კანადა და კატარი. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი და შეერთებული შტატები აწარმოებდნენ თითქმის ერთიდაიგივე რაოდენობის ბუნებრივ გაზს, რუსეთს ჰქონდა და აქვს გაცილებით მეტი კომპენსირებული ბუნებრივი გაზის მარაგი. ირანსა და კატარს ბუნებრივი აირის დიდი მარაგი აქვთ ასევე, მაგრამ არ აწარმოებდნენ ბუნებრივ გაზს ისე აგრესიულად როგორც აშშ და რუსეთი. შედეგად, რუსეთის ბიუჯეტში ენერგორესურსების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები ქვეყნის ბიუჯეტის 60% - ს შეადგენდა.[4]

რაც შეეხება საქართველოს ელექტროენერგიის სექტორს ბოლო ათი წლის განმავლობაში (2011-2021 წწ), 2021 წელს რუსული ელექტროენერგიის იმპორტის წილმა საერთო გამოყენების 9%-იან მაქსიმუმს მიაღწია, როდესაც ენგურჰესი რეკონსტრუქციის გამო დაკეტილი იყო. იმპორტირებული ენერგიის 80% აფხაზეთს მოხმარდა. დამოკიდებულების კოეფიციენტი, ერთი შეხედვით, შესაძლოა, საგანგაშო არ ჩანდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არსებობს მიზეზები, რომლებიც უფრო აქტიური ქმედებების განხორციელების საჭიროებას უსვამს ხაზს. ერთი მიზეზი ის არის, რომ ელექტროენერგიაზე მოთხოვნა ბოლო ათი წლის განმავლობაში საშუალოდ 5%-ით იზრდება, რაც ნაწილობრივ აფხაზეთსა და სვანეთში იაფი ან სუბსიდირებული ელექტროენერგიის არსებობის გამო არაკონტროლირებადი ‘მაინინგის’ აქტივობების განხორციელებით არის გამოწვეული. მეტიც, სუბსიდიებიდან გამომდინარე არაეფექტური მოხმარება კვლავ პრობლემად რჩება, ვინაიდან სამეწარმეო მიზნებისთვის კომერციული სექტორიც იაფ ელექტროენერგიას მოიხმარს, რაც კიდევ უფრო ზრდის მოთხოვნას ელექტროენერგიაზე. მეორე მიზეზი ისაა, რომ კვლავ პრობლემად რჩება ახალი სიმძლავრეების ნელი განვითარება. ბოლო ათი წლის განმავლობაში ელექტროენერგიის წარმოება საშუალოდ 2%-ით გაიზარდა. ამასთან, ეს ზრდა დიდწილად თბოელექტროსადგურების მიერ

ელექტროენერგიის წარმოების 22%-იანმა ზრდამ განაპირობა მაშინ, როდესაც განახლებადი ელექტროენერგიის წარმოება მხოლოდ 1%-ით გაიზარდა.[1;5]

ელექტროენერგიის სექტორში უსაფრთხოების ზრდისკენ გადადგმული საკვანძო ნაბიჯი შესაძლოა იყოს ადგილობრივი განახლებადების წარმოების ხელშეწყობა და არსებული თბოსადგურების გაზრდილი ეფექტურობა (რათა იმპორტირებულ გაზზე დამოკიდებულება შემცირდეს). ადგილობრივი საზოგადოების პროტესტი დიდი ჰიდროელექტროსადგურების (ჰესების) მშენებლობის მიმართ კვლავ პრობლემად რჩება რიგ შემთხვევებში დეზინფორმაციის, ხოლო რიგ შემთხვევებში შესაბამის ადგილობრივ საზოგადოებასა და პროექტის მენეჯერებს შორის ინფორმაციის არაეფექტიანი გაცვლის მიზეზით. პროექტის საწყის ეტაპზევე ამ საზოგადოების ჩართულობისა და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, შესაძლოა, ერთ-ერთი გამოსავალი იყოს. გარდა ამისა, ელექტროენერგიის სისტემა განახლებასა და გაუმჯობესებას საჭიროებს, რათა ახალი განახლებადი ენერგიის წყაროების ინტეგრირება და სტაბილურობის შენარჩუნება შეძლოს. რაც შეეხება მოთხოვნის მართვას, ამ მხრივ ერთ-ერთი ალტერნატივა, შესაძლოა, კომერციული მიზნებისთვის სუბსიდირებული ელექტროენერგიის მოხმარებაზე შეზღუდვების დაწესება, სუბსიდიების მიმართვა მოწყვლად მომხმარებლებზე და 'მაინინგის' რეგულირება იყოს. კიდევ ერთი ალტერნატივაა ენერგოეფექტურობის პოლიტიკის შემუშავების დაჩქარება, რაც ენერგოეფექტური ხელსაწყოების უფრო ფართო გამოყენებას შეუწყობს ხელს ინდუსტრიების, საოჯახო მეურნეობისა და დანარჩენი კომერციული სექტორის მიერ. მნიშვნელოვანია უფრო მეტი ენერგოეფექტური ნაგებობების მშენებლობაც. საბოლოოდ, ენერგო მოთხოვნის დაგეგმვამ ჭკვიანი ქსელებისა და მრიცხველების დამონტაჟების გზით, შეიძლება მოაგვაროს ენერგიის მოხმარების მუდმივი ზრდის პრობლემაც.[6]

ელექტროენერგიის სექტორისთვის დამახასიათებელი გამოწვევების გაანალიზებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ქსელი რუსეთის ელექტროენერგიის სისტემასთანაა დაკავშირებული და მის სტაბილურობასა და სიხშირეს რუსეთი აკონტროლებს. საქართველო სინქრონიზებულად არა მხოლოდ რუსულ, არამედ აზერბაიჯანულ სისტემასთანაც მუშაობს. ამგვარად, დამოკიდებულება არამხოლოდ რუსეთზე, არამედ აზერბაიჯანზეც, საქართველოს შედარებით უსაფრთხოების გარანტიებს აძლევს, ვინაიდან რუსული სისტემიდან წამოსული ნებისმიერი არასტაბილურობა გავლენას არამხოლოდ ქართულ, არამედ აზერბაიჯანულ სისტემაზეც მოახდენს (WEG2022).[1] მიუხედავად ამისა, ევროპის გადამცემი სისტემის ოპერატორების ქსელში (Entso-E)

გაწევრიანებისა და მისი კონტინენტური ევროპის ქსელთან მიერთების/ინტეგრაციის იდეა უგულებელყოფილი არ უნდა იყოს. მეორე მხრივ, პოზიტიური ამბავია, რომ საქართველოს ელექტროსისტემის ოპერატორი (GSE) აქტიურად მუშაობს ENTSO-E-ში ზედამხედველის სტატუსის მოსაპოვებლად, რაც ქართული სისტემის Entso-E-ში ინტეგრაციისთვის საჭირო მოსამზადებელ სამუშაოებს მოიცავს. რაც შეეხება ტექნიკურ მხარეს, ამ მხრივ საქართველოსთვის ორი შესაძლებლობა არსებობს: თურქეთის სისტემასთან დაკავშირება ან ენერგეტიკული კავშირის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან წყალქვეშა კავშირების დამყარება. აღსანიშნავია, რომ წყალქვეშა გადამცემი ხაზების პროექტის ტექნიკური განხორციელებადობის ანალიზი 2021 წლის აპრილში დაიწყო და 18 თვის განმავლობაში გაგრძელდება. საწყის ეტაპზე ექსპერტები პროექტს პოზიტიურად აფასებენ.[7]

ქვეყანაში გაზრდილი გაზიფიკაციისა და თბოსადგურების გაზრდილი წარმოების გათვალისწინებით, უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს სულ უფრო მეტი ბუნებრივი აირის იმპორტი სჭირდებოდა რუსეთიდან, რათა ბუნებრივი აირის ბაზარზე დეფიციტი შეევსო. რუსულმა იმპორტმა 2021 წლის საერთო იმპორტის 15% შეადგინა 2019 და 2020 წლებში, შესაბამისად, 6.3% და 8%-თან შედარებით. საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მთავარ იმპორტიორად კვლავ აზერბაიჯანი რჩება. საქართველოს სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, შაჰ-დენიზის გაზსადენიდან ბუნებრივი აირის თურქეთსა და ევროპაში გატანის ტრანზიტული შესაძლებლობები ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს, ტრანზიტული ბუნებრივი აირის 5% ფასდაკლებით შეიძინოს და მიღებული გაზი სამომხმარებლო სექტორისა და თბოსადგურების ელექტროენერგიის წარმოებისთვის გამოიყენოს. არსებული გარემოებების გათვალისწინებით, აზერბაიჯანი ტრანზიტის გაზრდას გეგმავს შემდეგ წლებში ევროპისთვის მეტი ბუნებრივი აირის მიწოდების გზით (ტრანზიტის ოდენობის გაორმაგებით, კერძოდ 10 მილიარდი კუბური მეტრიდან 20 მილიარდ კუბურ მეტრამდე), რაც საქართველოსთვის უფრო იაფი გაზისა და გაზრდილი უსაფრთხოების მომტანი გახდება.[8]

**დასკვნა.** დასკვნისა და რეკომენდაციების სახით ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე ალტერნატივას საქართველოსთვის, რუსულ სექტორზე დამოკიდებულების მინიმიზაციისა და ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეს ალტერნატივებია:

- ✓ ელექტოენერიის ადგილობრივად წარმოების ხელშეწყობა;
- ✓ ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფა, ნავთობპროდუქტების მომწოდებლების დივერსიფიკაცია;

- ✓ გაზისა და ნავთობპროდუქტების საცავების მშებებლობა;

ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ის, რომ აუცილებელი არ არის ყველა ეს ალტერნატივა ცალ - ცალკე იქნას არჩეული ან მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით განხორციელდეს. პირიქით, გონივრულმა ენერგეტიკულმა პოლიტიკამ ეტაპობრივად პოლიტიკის ყველა ზომა უნდა გააერთიანოს და გამოიყენოს წარმოქმნილი შესაბამისობისა და სინერგიის სარგებელი. აუცილებელია, პოლიტიკური გადაწყვეტილებები დაეფუძნოს უახლეს ინფორმაციას. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ თითეული ალტერნატივის ეკონომიკური ეფექტურობის შეფასებისას ყველა ეს ელემენტი მხედველობაში იქნეს მიღებული. ხარჯისა და სარგებლის ამგვარი ანალიზი რისკის სიღრმისეული შეფასების მეშვეობით უნდა განხორციელდეს და ღირებულება რისკის შემცირების კომპონენტსაც უნდა მიენიჭოს. კვლევების თანახმად, მთელი ეს მოსამზადებელი სამუშაო უზრუნველყოფს, რომ პროექტებმა მეტი სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას ენერგოუსაფრთხოების გაზრდისა და თანდართულ;ი რისკების მინიმიზაციის ხარჯზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. მ. მარგველაშვილი, ,,რუსეთ - უკრაინის ომის გავლენა საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე მოკლევადიან პერსპექტივაში". WEG 2022. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის( WEG) თბილისი ,2022.
2. ქ. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ე. ფანცხავა, (2019). 20-21 სექტემბერი.,, ენერგოეფექტურობა - ქვეყნის თანამედროვე განვითარების ქვაკუთხედი", III საერთაშორისო კონფერენცია ,, თანამედროვე განვითარების ეკონომიკური სამართლებრივი და სოციალური პრობლემები", ქუთაისი, 20-21 სექტემბერი.[ გვ.54-56]. EISSN 2346-8203
3. ქ. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ე.ფანცხავა , (2020წ). 7-10 დეკემბერი. ,,საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარების ანალიზი და შუქ-ჩრდილები(შედეგები)", II საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია "ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები. და მათი გადაწყვეტის გზები", თბილისი, საქართველო, [ გვ. 80-84] SSN 1512 - 0120
4. ქ. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ე. ფანცხავა.(2021). 10-12 February ,,ენერგოეფექტურობა-ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი",international Scientific and Practcal Conference,,,The world of science and innovation" ,. Лондон, Великобритания. [ გვ.132-141]. ISBN 978-92-9472-197-6
5. ქ. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ე. ფანცხავა. (2021). 14-15 march, ,,ენერგიის ცვალებადი განახლებადი და არატრადიციული წყაროები", For being an active participant in VIII international Scientific and Practcal Conference,,,Actual trends of modern scientific research",MUNICH, [გვ.232-240]. ISBN 978-3-954753-02-4
6. ქ. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ე. ფანცხავა, თ. კანაშვილი.(2022). ,, ევროპის „მწვანე შეთანხმება" და მისი გავლენა საქართველოს ენერგეტიკულ სექტორზე", საერთაშორისო კონფერენცია ,, მწვანე შეთანხმება და მისი პოლიტიკური და

ეკონომიკური გავლენა საქართველოზე“, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალი:,,სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები“ N3, [39-52]. ISSN 2667-9892, DOI:https://doi.org/10.51895/VSS, უაკ(udc) 001.5 ს 75;
7. ქ. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ე. ფანცხავა,(2022წ.), „ენერგორესურსები, როგორც პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტი რუსეთისთვის და სად არის საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობის გასაღები?“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი”-ის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „მულტიდისციპლინარული სამეცნიერო კვლევების გლობალური პრაქტიკა“,გვ-210-217. ISBN: 978-625-8323-63-4 IKSAD GLOBAL PUBLISHING HOUSE,
8. ქეთევან ვეზირიშვილი-ნოზაძე, ელენე ფანცხავა, ,,რუსეთ-უკრაინის ომით განპირობებული ახალი გეოპოლიტიკური გარემოებები ევროკავშირისა და საქართველოსთვის“, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მე-V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ,, თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“. 30 სექტემბერი, 2022, ქუთაისი.

## ცირკულარული ეკონომიკა და მდგრადი განვითარების პრიორიტეტები საქართველოში
## Circular Economy and Sustainable Development Priorities in Georgia

**მაია ალადაშვილი,** ასოცირებული პროფესორი,
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Maia Aladashvili,** Associate Professor
I.Gogebashvili Telavi State University

**აბსტრაქტი.** ცირკულარული ეკონომიკა ამ დარგის შედარებით ახალი მიმართულებაა. მისი საჭიროება განსაკუთრებით აქტუალური გახდა XXI-ე საუკუნეში, როდესაც სამყაროსთვის ცხადი გახდა ბუნებრივი რესურსების და ზოგადად რესურსების სიმწირე და ასევე, ნარჩენების უზომოდ დიდი რაოდენობა, რომლითაც გადაიტვირთა დედამიწა. ამავე დროს, ეს ნარჩენები არა მხოლოდ უსარგებლოა, არამედ გამოუსწორებელ ზიანს აყენებს გარემოს, რომლის შედეგებიც უკვე აისახება როგორც ბუნებაზე, ისე ადამიანთა ჯანმრთელობაზე.
სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ეკონომიკური გავნვითარების აქამდე არსებულ მოდელში ცვლილების შეტანა და ხაზოვანი ეკონომიკა, რომელიც გულისხმობდა მოპოვებას, წარმოებას, გამოყენებას და გადაგდებას, ამჟამად არსებულ ციკლში უკანასკნელი ეტაპი, ანუ „გადაგდება“ შეიცვალა აღდგენით და ხელახალი გამოყენებით, ანუ ერთხელ უკვე მოხმარებული პროდუქცია ხელახლა ერთვება ეკონომიკური წრებრუნვაში, რითაც იზოგება ბუნებრივი რესურსები, მცირდება უსარგებლო ნარჩენების რაოდენობა, მცირდება მავნე ზემოქმედება გარემოზე, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და სხვა.

ქვემოთ განხილულია ცირკულარული ეკონომიკის განვითარების მიმდინარეობა საქართველოში, ასევე გარემოს დაცვითი და მდგრადი განვითარების პრიორიტეტები საქართველოში.

**საკვანძო სიტყვები:** ცირკულარული, ეკონომიკა, მდგრადი, განვითარება, ასოცირების შეთანხმება.

**Abstract.** Circular economy is a relatively new direction in this field. Its need became especially urgent in the 21st century, when it became clear to the world the scarcity of natural resources and resources in general, as well as the enormous amount of waste with which the earth was overloaded. At the same time, these wastes are not only useless, but also cause irreparable damage to the environment, the consequences of which are already affecting both nature and human health.

That is why it has become an utmost necessity to amend the existing model of economic development and a linear economy, which meant extraction, production, use and disposal, in the current cycle, the last stage, i.e. "disposal", has been replaced by recovery and reuse, i.e. products that have been used once are re-integrated into the economic cycle, thereby saving natural resources, reducing the amount of useless waste, thus reducing harmful effects on the environment, creating new jobs etc.

The development of the circular economy in Georgia, as well as the priorities of environmental protection and sustainable development in Georgia, are discussed below.

**Key words:** Circular, Economy, Sustainable, Development, Association Agreement.

**შესავალი.** ცირკულარული ეკონომიკა ამ დარგის შედარებით ახალი მიმართულებაა, რომელიც ანაცვლებს აქამდე არსებულ ხაზოვანი ეკონომიკის მოდელს, რომელიც გულისხმობს მოპოვებას, დამუშავებას ანუ წარმოებას, გამოყენებას და გადაგდებას. ხაზოვანი ეკონომიკა წარმტებული იყო ათწლეულების განმავლობაში. მის წარმატებას განაპირობებდა ის ფაქტორები, რომ

1. მოსაპოვებელი რესურსი დიდი ოდენობით იყო მსოფლიოში;
2. დედამიწაზე უამრავი ადგილი იყო ნაჩენების განსათავსებლად;
3. არ ექცეოდა სათანადო ყურადღება იმას, თუ რა გავლენა შეიძლებოდა ჰქონოდა ამ ნარჩენებს ბუნებაზე და ადამიანზე.

თანამედროვე პერიოდში, როდესაც მსოფლიოში შემცირებულია ბუნებრივი რესურსები, როდესაც დედამიწა გადაიტვირთა ამდენი უსარგებლო და ზიანის მომტანი ნარჩენებით, როდესაც ცხადი გახდა ამ ნარჩენების უარყოფითი გავლენა გლობალურად, რამაც გამოიწვია ოზონის გარსის სერიოზული დაზიანებები, რასაც მოჰყვა უამრავი ნეგატიური გავლენები როგორ ბუნებაზე, ისე ადამიანთა ჯანმრთელობაზე, უკვე დადგა აუცილებლობა, რომ ეკონომიკის ხაზოვანი მოდელი შეცვლილიყო, კერძოდ, ბოლო ეტაპი, „გადაგდება“ ჩანაცვლებულია „აღდგენით და ხელახალი გამოყენებით“, რითაც ერთხელ უკვე მოხმარებული პროდუქცია ხელახლა ერთვება ეკონომიკურ წრებრუნვაში, რის შედეგად იზოგება ბუნებრივი რესურსები, მცირდება უსარგებლო ნარჩენების რაოდენობა, მცირდება მავნე ზემოქმედება გარემოზე, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და სხვა. ანუ

ეკონომიკის ხანგრძლივი მოქნილობიდან შესაძლებელია დამატებითი სარგებლის მიღება შემცირებული ხარჯებით, ახალი ბიზნესშესაძლებლობებით, მაგალითად, საპირისპირო ციკლის საშუალებით, როგორიცაა: შეგროვება, დახარისხება, ხელახალი გამოყენება, შესაძლებელია ახალი ბიზნეს მოდელების შექმნა.

ცირკულარული ეკონომიკა გარდაუვალ კავშირშია მდგრად ეკონომიკასთან, რომელიც საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა კეთილდღეობას და ცხოვრების დონის ხარისხის ამაღლებას ისე, რომ მომავალმა თაობამაც ისარგებლოს მაქსიმალურად დაცული და სტაბილური ბუნებრივი რესურსებით.

2015 წლის სექტემბერში, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, სახელწოდებით „2030 დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის", რომელშიც ასახულია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ინდიკატორი, რომელთა შესრულების ვადაა 2030 წელი. ეს მიზნები ეფუძნება ძირითადად ათასწლეულის (ე.წ.მილენიუმის) განვითარების მიზნებს, რომელთა შესრულება დაგეგმილი იყო 2000-2015 წლებში, მაგრამ ვადის ამოწურვისას მათი სრულყოფილად მიღწევა ვერ მოხერხდა და ზოგიერთი გამოწვევა ისევ იდგა მსოფლიოს წინაშე, როგორებიცაა სიღარიბის და შიმშილის აღმოფხვრა; პირველადი განათლების ხელმისაწვდომობა; ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება და სხვა. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო, დაესახათ როგორც ადრინდელი, შეუსრულებელი მიზნები, ასევე ახალი გამოწვევების შესაბამისი ამოცანები.

მდგრადი განვითარების მიზნები განსაზღვრულია სამი ძირითადი მიმართულებით, ესენია ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებები და ეხება ისეთ გლობალურ გამოწვევებს, როგორებიცაა სიღარიბის აღმოფხვრა; ნულოვანი შიმშილი, უთანასწორობა, კეთილდღეობა, ხარისხიანი განათლება, გენდერული თანასწორობა, სუფთა წყალი და სანიტარია, მშვიდობა და სამართლიანობა, კლიმატური და ეკოლოგიური ცვლილებები, დედამიწის ეკოსისტემები, ოკეანის და ზღვის რესურსები და ასე შემდეგ.

გამომდინარე იქიდან, რომ 2015 წელს, საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რითაც ჩვენი ქვეყანა აქტიურად ჩაერთო ევროკავშირის სტრატეგიებში, პროგრამებში და ორგანიზაციებში, ასოცირების ხელშეკრულების 301 პარაგრაფის თანახმად, ეს ურთიერთობები მხარეებს შორის აგებული უნდა იყოს მდგრადი განვითარების და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით. ამიტომ , საქართველოშიც გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ ამოცანების შესასრულებლად. კერძოდ:

მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით შეიქმნა მაკოორდინირებელი საბჭო და თემატური სამუშაო ჯგუფები, რომელშიც გაერთიანებული არიან მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების და კულტურის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო, დევნილთა სამინისტრო და სხვა.

შემუშავდა 2030 წლის დღის წესრიგის ეროვნული დოკუმენტი - იგივე SDG (ესდიჯი) მატრიცა, რომლის ფარგლებში განისაზღვრა ეროვნული ამოცანები და შეფასების ინდიკატორები, ასევე საბაზისო მონაცემთა და მათი წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი.

2019 წელს შეიქმნა ვებპლატფორმა sdg.gov.ge, რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო პორტალს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ. ასევე პორტალზე განთავსებულია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ ანგარიშები და ამ მიმართულებით განსახორციელებელი დაგეგმილი პროექტები, სიახლეები და ღონისძიებები.

განისაზღვრა საქართველოსთან მისადაგებული მდგრადი განვითარების 94 ამოცანა, 201 სამიზნე და საბაზისო ინდიკატორი.

გატარდა ღონისძიებები ამ ამოცანებზე პასუხისმგებელი უწყებების განსაზღვრის კუთხით.

რაც შეეხება მდგრადი განვითარების პრიორიტეტულ ამოცანებს საქართველოში, ისინი შემდეგია:

2030 წლისათვის საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისთვისუკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა (უკიდურეს სიღარიბედ ჩათვლილია ადამიანი დღეში 1,9 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავლით)

2030 წლისთვის უზრუნველყოფილი იქნას, რომ ყველა მამაკაცს და ქალს, განსაკუთრებით სირარიბეში მყოფ მოწყვლად პირებს ჰქონდეთ თანაბარი უფლებები ეკონომიკურ რესურსებთან მიმართებაში.

2030 წლისთვის ყველა ადამიანის გაძლიერება და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობა.

უთანასწორობის შემცირება დისკრიმინაციული კანონების პოლიტიკის და პრაქტიკის აღმოფხვრით.

ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა, ტყეების აღდგენა და განახლება.

გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, ჰაერის ხარისხის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხები.

იძულებით გადაადგილებულ პირთათვის უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა და ასე შემდეგ.

2016 წელს საქართველომ, ერთერთმა პირველმა გაეროს წევრი ქვეყნებიდან, წარადგინა პირველი ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ამსახველი ანგარიში. პოლიტიკურ ფორუმზე საქართველო მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ ანგარიშს 4 წელიწადში ერთხელ წარადგენს, ხოლო 2030 წელს უკვე საბოლოო ანგარიშს წარადგენს.

**პრობლემები:**

მიუხედავად მთავრობის მიერ წინგადადგმული ნაბიჯებისა და მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, როგორიცაა მაგალითად, ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების აუცილებლობა, გამონაბოლქვის კოეფიციენტის დაწევა, დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართების გადაცემა საკუთრებაში და სხვა, საქართველოში ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევის წინაშე ვდგავართ სამიზნე ინდიკატორების რეალიზების მიმართულებით. მაგალითად:

მიმდინარე პერიოდისათვის მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები ფრაგმენტულად არის ასახული 2020 -2023 წლების სამოქმედო გეგმებში და არ აქვს სისტემატიზებული სახე.

არ არის განსაზღვრული სამუშაო ჯგუფებში ჩართული კონკრეტული მხარეები და მათი როლები და სამოქმედო გეგმები. (მაგალითად, საზოგადოების და ბიზნესის როლი)

მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი განვითარების ერთ ერთ ამოცანად დასახელებულია სხვადასხვა წყაროებიდან რესურსების მნიშვნელოვანი მობილიზება, დღემდე არ არის შეფასებული კონკრეტული მიზნების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების მოცულობა.

ძალიან ნელა მიმდინარეობს ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების და ამოცანების შესრულება.

არ არის მკაფიოდ განსაზღვრული პრიორიტეტები შესასრულებელ ამოცანებს შორის.

მოსახლეობის უდიდესი ნაწილის არაინფორმირებულობა მდგრადი განვითარების შესახებ.

ჩემს მიერ ჩატარებული იქნა მცირე კვლევა, (გამოკითხვის მეთოდით), რომელიც ეხებოდა საზოგადოების ინფორმირებულობას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების, მდგრადი განვითარების ამოცანების განხორციელების შესახებ, ასევე ნარჩენების მართვის, გარემოს დაბინძურების ხარისხის შესახებ. გამოკითხული იქნა 187 რესპოდენტი. მათ შორის 57 ბიზნესის წარმომადგენელი და 130 საზოგადოების რიგითი წარმომადგენელი. გამოკითხულთა 95 %-მა არ იცის რა არის მდგრადი განვითარება საერთოდ, არ აქვს ინფორმაცია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესახებ, 98%-მა არ იცის, რა არის ევროკავშირთან

ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული, 90% არ იცის, მოწერილი აქვს თუ არა ხელი საქართველოს, 78%-მა არ იცის საქართველოს მიერ განსახორციელებელი ან უკვე განხორციელებული რომელიმე ამოცანების შესახებ. დამეთანხმებით, ეს არასახარბიელო მდგომარეობაა.

**დასკვნა.** გამომდინარე იქიდან, რომ საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას, ბუნებრივია, რომ ქვეყანამ უნდა აითვისოს ევროკავშირის ხედვა ცირკულარულ ეკონომიკის განხორციელების კუთხით. სწორედ ამიტომ, უნდა შემუშავდეს მართებული მარეგულრებელი ჩარჩო.

- მხოლოდ მთავრობის გადაწყვეტილებებით, რაც არ უნდა საუკეთესო იყოს იგი, შეუძლებელი იქნება ნებისმიერი ამოცანის შესრულება, თუ საზოგადოება, ბიზნესი, მთელი თავისი შეგნებით არ იქნება ჩართული ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებაში;

- მოხდეს საზოგადოების ცნობადობის ამაღლების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი საშუალებით, რადგან როდესაც ინფორმირებული ხარ, კონკრეტულად რა ამოცანა და რა შედეგისთვის უნდა განხორციელდეს, მაშინ უფრო ადვილი შესაძლებელია მათი განხორციელება; მხოლოდ ვებსაიტის არსებობა არ არის საკმარისი, აუცილებელია სისტემატური და ინტენსიური საინფორმაციო კამპანია.

- მთავრობის მიერ წახალისდეს ისეთი ბიზნეს მოდელები, რომლებიც ყველაზე საუკეთესო გარემოს დაცვით შედეგებს უზრუნველყოფს;

- სასწრაფოდ დაიწყოს ქვეყანაში ნარჩენების სეპარირება, რაც თავიდან აგვაცილებს აუმრავ პრობლემას.

- ნარჩენების მართვა გახდეს სავალდებულო ყველასთვის და არა მხოლოდ ერთეული ბიზნესებისთვის (მაგ.სამედიცინო ნარჩენის მართვა);

- დაიწყოს სტარტაპების დაფინანსება ისეთი ბიზნესებისთვის, რომლებიც ნედლეულის სახით ნარჩენებს გამოიყენებს;

_ შეძლებისდაგვარად გადმოვიტანოთ ევროპული ქვეყნების გამოცდილება და მდგრადი მართვის პრინციპები და მეთოდები ჩვენს ქვეყანაში, თუნდაც დავიწყოთ პლასტმასის ნივთების ჩაბარებით, რადგან დღეს საქართველოში ეს ერთერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ჰანს ვისმეტი, (2019), ცირკულარული ეკონომიკა - კონცეფცია და ფაქტები, სახელმძღვანელო 1 და 2. მომზადებულია CENN -ის მიერ, თბილისი
2. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულება.https://www.eeas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo_ka?s=221
3. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა.https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=30
4. საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია.

5. https://www.pec.org.ge/language/ka/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/
6. https://sdg.gov.ge/text-page/29
7. https://sdg.gov.ge/goals/1

# საბანკო რეგულირების და ზედამხედველობის თანამედროვე ასპექტები
# Modern Aspects of Banking Regulation and Supervision

**გოგა გელიტაშვილი,** სტუდენტი, სამაგისტრო პროგრამა ევროპულ და საერთაშორისო მმართველობაში, ჟენევის უნივერსიტეტი
**გუგული ყურაშვილი,** პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**მედეა ჭელიძე,** პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Goga Gelitashvili,** Student , The Master Programme in European and International Governance (MEIG), University of Geneva
**Guguli Kurashvili,** Professor, Faculty of Business Technologies, Georgian Technical University
**Medea Chelidze,** Professor, Faculty of Business Technologies, Georgian Technical University

**რეზიუმე.** თანამედროვე პირობებში რეგულირება და ზედამხედველობა აუცილებელი პირობაა სახელმწიფოში ჯანსაღი ფინანსური სისტემის ჩამოყალიბების, საბანკო სექტორის განვითარებისა და საბანკო სფეროს მიმართ ნდობის შენარჩუნებისათვის.
საბანკო რეგულირების მიზნები შეიძლება განსხვავდებოდეს ეროვნული ეკონომიკის არსებული მდგომარეობის და საბანკო სისტემის მეშვეობით გადასაჭრელი პრობლემების მიხედვით. რეგულირების მიზანი შესაძლოა იყოს ბანკების სტაბილური, უსაფრთხო, მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კრედიტორებისა და მეანაბრეების ინტერესების დაცვა, საბანკო სისტემაში დესტაბილიზაციუ¬რი ტენდენციების თავიდან აცილება, განვითარება და საბანკო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება.
შეიძლება ითქვას, რომ საბანკო ზედამხედველობა ფინანსური შუამავლების ზედამხედველობის ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა. საზედამხედველო ორგანოები შექმნილია იმისათვის, რომ განხორციელდეს საბანკო კანონმდებლობის ნორმების, სალიცენზიო მოთხოვნების, საბანკო ოპერაციების მიმართ არსებული წესების, ფინანსური ანგარიშგების შევსების და წარდგენის, სავალდებულო ნორმატივების დაცვის, საბანკო კანონმდებლობის ნორმების შესრულების სისრულის, სისწორისა და სანდოობის კონტროლი და ზედამხედველობა.
სტატიაში განხილულია საბანკო რეგულირების და ზედამხედველობის თანამედროვე ასპექტები და ჩამოყალიბებულია ავტორების მოსაზრებები აღნიშნული საკითხების შემდგომი სრულყოფის მიმართულებით.

**საკვანძო სიტყვები:** ბანკი, საბანკო რეგულირება, საბანკო ზედამხედველობა, საზედამხედველო ორგანო, საბანკო რისკი, მეგარეგულატორი.

**Abstract.** In modern conditions, regulation and supervision is a necessary condition for creating a healthy financial system in the state, developing the banking sector and maintaining confidence in the banking sector.
The goals of banking regulation may vary depending on the current state of the national economy and the problems to be solved through the banking system. The purpose of regulation may be to ensure stable, safe, sustainable functioning of banks, protect the interests of creditors and depositors, prevent destabilizing trends in the banking system, develop and increase the efficiency of banking activities.
It can be said that banking supervision is the most important area of supervision of financial intermediaries. Supervisory bodies are created to control and supervise the completeness, correctness and reliability of banking legislation, licensing requirements, existing rules for banking operations, filling out and submitting financial statements, compliance with mandatory standards and banking legislation.
The article discusses modern aspects of banking regulation and supervision, and also formulates the opinions of the authors in the direction of further improvement of these issues.

**Key Words:** Bank, Banking regulation, Banking supervision, Supervisory authority, Banking risk, Mega-regulator.

**ძირითადი ტექსტი.** ბანკი გარკვეული სპეციფიკის მქონე ეკონომიკური სუბიექტია, რომელსაც ექსკლუზიური უფლება გააჩნია განახორციელოს შემდეგი ოპერაციები: სახსრების დეპოზიტების და ანაბრების სახით მოზიდვა; მოზიდული სახსრების განთავსება საკუთარი სახელით და ხარჯებით დაბრუნებადობის, ფასიანობის, ვადიანობის პირობებით; საბანკო ანგარიშების გახსნა და წარმოება.

ბანკისთვის, როგორც ფინანსური ბაზრის ინსტიტუტისათვის, ასევე დამახასიათებელია მთელი რიგი ოპერაციები, რომლებსაც ის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე განახორციელებს. აღნიშნული საბანკო ოპერაციები ძირითადად მოიცავს: ფიზიკური და იურიდიული პირების დავალებით ფულადი გზავნილების განხორციელება; ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის თამასუქების, ფულადი სახსრების, საგადახდო და საანგარიშსწორებო დოკუმენტების ინკასაცია; უცხოურ ვალუტასთან და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები (ნაღდი და უნაღდო ფორმით); ფულადი გზავნილების განხორციელება საბანკო ანგარიშების გახსნის გარეშე, ელექტრონული ფულის ჩათვლით (გარდა საფოსტო ფულადი გზავნილებისა); საბანკო გარანტიების გაცემა და სხვა.

შესაბამისად, ბანკი, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტი, წარმოადგენს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ორგანოების ინტერესის სფეროს. მაგალითად, საგადასახადო რეგულირების კუთხით ბანკები საგადასახადო ორგანოების ინტერესის ობიექტია; ისინი წარმოადგენენ დეპოზიტების დაზღვევის და ანტიმონოპოლიური სამსახურების ინტერესების სფეროს; ბანკების მიერ ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონმდებლობის დაცვა ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ინტერესის საგანია და ა.შ.

მიუხედავად ამისა, ბანკებისთვის მთავარ მარეგულირებელს და ზედამხედველს, როგორც წესი, ქვეყნის ცენტრალური ბანკი წარმოადგენს, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად ასრულებს მონეტარული რეგულირების ფუნქციას, ასევე ახორციელებს მაკრო- და მიკროპრუდენციულ საქმიანობას.

ვინაიდან ბანკების საქმიანობა დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკებთან, აღნიშნულმა შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას კრედიტორების, მეანაბრეების და ინვესტორების ინტერესებს. ამრიგად, საბანკო საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის აუცილებლობა განაპირობა ქვეყნის ეკონომიკაში ბანკების საქმიანობის უაღრესად დიდმა მნიშვნელობამ და სპეციფიკამ.

საბანკო რეგულირების განვითარება და ფართო გამოყენება დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში და შემდეგ მთელ მსოფლიოში 1930-იან წლებში გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს. სწორედ საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის რეგულირების პრაქტიკული ღონისძიებების კომპლექსის შემუშავებამ და დანერგვამ განაპირობა განვითარებულ ქვეყნებში საბანკო სექტორის სტაბილიზაცია. შეიძლება ითქვას, რომ საბანკო რეგულირების სისტემის შექმნით, მოწინავე ქვეყნებს რამდენიმე ათწლეულის მანძილზე არ განუცდიათ სერიოზული საბანკო კრიზისი. მიუხედავად ამისა, საბანკო საქმიანობის ფუნქციონირების ეფექტიანობა კვლავ დაბალი იყო, საკმაოდ მოძველდა დაფინანსების მეთოდებიც, რაც აღარ შეესაბამებოდა დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეს. საბანკო სექტორის ფუნქციონირების ეფექტიანობის ასამაღლებლად საჭირო იყო საკრედიტო ინსტიტუტებს შორის თავისუფალი კონკურენციის გაძლიერება, საბანკო საქმიანობაზე სახელმწიფოს მარეგულირებელი გავლენის შესუსტება.

1970-ანი წლებიდან ეროვნულმა სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურებმა დაიწყეს ზომების გატარება საბანკო ბაზრის დერეგულირების მიზნით, რათა მნიშვნელოვნად შეემცირებინათ მარეგულირებლების ზემოქმედება საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობაზე. ამ პოლიტიკის შედეგად მოხდა სხვადასხვა სახის საბანკო პროდუქტებზე საპროცენტო განაკვეთებზე არსებული შეზღუდვების გაუქმება, ხოლო მთელ რიგ საბანკო საქმიანობებს შორის მოიშალა საზღვრები - კომერციულმა ბანკებმა შეძლეს ოპერაციების უფრო ფართო სპექტრის განხორციელება. აგრეთვე, საკმაოდ მკვეთრად შეიცვალა განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის მექანიზმები, მოხდა რაოდენობრივ შეზღუდვებზე უარის თქმა და მონეტარული პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტი გახდა ოპერაციები ღია ბაზარზე და ცენტრალური ბანკების საპროცენტო განაკვეთი.

მკაცრი საბანკო რეგულირების ამგვარმა თვისებრივმა შესუსტებამ ხელი შეუწყო ბანკებს შორის კონკურენციის გაძლიერებას, მნიშვნელოვნად გაიზარდა ოპერაციების ოდენობა და მოცულობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, გაფართოვდა საბანკო დაკრედიტების ალტერნატიული ოპერაციები. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა საბანკო შუამავლობის ეფექტიანობა. თუმცა ამავდროულად, კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად ბანკებს მოუწიათ უარის თქმა მაღალ საკომისიოებსა და საპროცენტო განაკვეთებზე, რის შედეგად საგრძნობლად შემცირდა მარჟები. გარდა ამისა, საკრედიტო ორგანიზაციებმა, იმისათვის, რომ არ წაეგოთ ბრძოლა კონკურენტებთან, საბანკო ოპერაციების განხორციელებისას დაიწყეს გაზრდილი რისკების თავისთავზე აღება, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია საბანკო სისტემების სტაბილურობის დაქვეითება. საბანკო კრიზისებისა და გაკოტრების ტალღამ კვლავ მოიცვა მსოფლიოს მთელი რიგი სახელმწიფოები. კრიზისების შედეგები კიდევ უფრო გაამწვავა იმ ფაქტმა, რომ საერთაშორისო ბაზრები გახდა მჭიდროდ ინტეგრირებული, გლობალიზებული და ეროვნული საბანკო ბაზრების პრობლემები გარდაუვლად აისახებოდა სხვა ქვეყნების საკრედიტო ინსტიტუტების სტაბილურობაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საბანკო სისტემაში სტაბილურობის რისკი შეიძლება განპირობებული იყოს ცალკეული ბანკებით, და რომ არასტაბილური საბანკო სისტემა არის პოტენციური საფრთხე მისი მონაწილეების მდგრადობისთვის, საბანკო რეგულირება მიმართულია როგორც მთლიანად საბანკო სისტემაზე, ასევე თითოეულ კონკრეტულ ბანკზე, როგორც მის ერთ-ერთ ელემენტზე. მნიშვნელოვანია აქცენტი შინაარსობრივ კომპონენტზე, რადგან საშუალებას იძლევა განვასხვავოთ საბანკო რეგულირება საბანკო სისტემის ცენტრალიზებული მართვისგან. ეს უკანასკნელი მიუღებელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მარეგულირებელმა არ უნდა მართოს საბანკო სისტემა. მან უნდა განსაზღვროს მისი განვითარების ორიენტირები და სტაბილური ფუნქციონირების ძირითადი პარამეტრები ყველაზე მნიშვნელოვან ან/და პრობლემურ ასპექტებზე ყურადღების კონცენტრირებით. საბანკო სექტორის მდგომარეობის ანალიზის დროს მარეგულირებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ბანკები იცავენ მათთვის დადგენილ მოთხოვნებს და ნორმატივებს. ეფექტიანი რეგულირება ასევე გულისხმობს მარეგულირებლის მიერ პრევენციული და მაკორექტირებელი ზემოქმედების ღონისძიებების განხორციელებას იმ ორგანიზაციებთან მიმართებაში, რომლებიც არ იცავენ დაწესებულ მოთხოვნებს.

საბანკო რეგულირების ძირითადი მახასიათებლები მოიცავს შემდეგს:

არის გაცნობიერებული გარე ზემოქმედება საბანკო საქმიანობაზე;

ხორციელდება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ;

ეფუძნება საბანკო საქმიანობის სპეციფიკას;

მიმართულია როგორც ცალკეული ბანკის, ისე მთლიანად საბანკო სისტემის სტაბილურობის მიღწევასა და თანმიმდევრულ განვითარებაზე;

ხორციელდება საბანკო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ან/და პრობლემურ სფეროებში გარკვეული კრიტერიუმებისა და პარამეტრების დადგენის მეშვეობით;

მოიცავს ზედამხედველობის ეტაპს არსებული კრიტერიუმების და პარამეტრების შესაბამისობის დასადგენად ზოგადად საბანკო სისტემის და კონკრეტულად ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზის საფუძველზე;

საჭიროების შემთხვევაში გულისხმობს მთელი რიგი პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებას როგორც რეგულირების ცალკეული სუბიექტების, ისე მთლიანად საბანკო სისტემის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ რეგულირების მიზანი ზოგადად არის ბანკების სტაბილური, უსაფრთხო, მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კრედიტორებისა და მეანაბრეების ინტერესების დაცვა, საბანკო სისტემაში დესტაბილიზაციუ¬რი ტენდენციების თავიდან აცილება, განვითარება და საბანკო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, მარეგულირებლები უფრო ხშირად უპირატესობას ანიჭებენ საბანკო სისტემის სტაბილურობის და მდგრადობის უზრუნველყოფას ეფექტიანობის ხარჯზე.

თუ საბანკო საქმიანობა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული სადაზღვევო საქმიანობასთან და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საინვესტიციო საქმიანობასთან, ფინანსურ ბაზარზე რეგულირება და ზედამხედველობა ერთდროულად ხორციელდება საბანკო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიების, საინვესტიციო და საპენსიო ფონდების, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებისა და სხვა ფინანსური შუამავლების მიმართ, ხოლო საზედამხედველო ორგანოს (ცენტრალური ბანკის) საქმიანობა იძენს მეგარეგულატორის ხასიათს. საზედამხედველო ორგანო სცდება საბანკო სისტემის ფარგლებს და ხდება ზოგადი/ფართო კომპეტენციის ორგანო.

მეგარეგულატორის ფარგლებში პრუდენციური ზედამხედველობის გაძლიერება ყოველთვის არ იწვევს ოპტიმალური ბალანსის ჩამოყალიბებას საბანკო სისტემის სტაბილურობასა და ბანკებს შორის ბუნებრივი კონკურენციის შენარჩუნებას შორის. ასევე მეგარეგულატორის მოდელზე გადასვლა ყოველთვის არ შეესაბამება ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური განვითარების დონეს. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია რეგულირების და ზედამხედველობის კონცენტრირება ცენტრალური ბანკისგან განსხვავებულ სპეციალურ ორგანოში (მაგ. სააგენტოში). თუმცა აღნიშნულ ვითარებაშიც

ცენტრალური ბანკის, როგორც ფინანსური ბაზრის მეგარეგულატორის საქმიანობა, ხშირად გამართლებულია.

საბანკო რეგულირება და ზედამხედველობა საჭიროა განიხილებოდეს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი არის ინსტიტუტის მაგალითი, რომელიც ახორციელებს საერთაშორისო საბანკო რეგულირებას. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტის დოკუმენტები სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და მათი ზედმიწევნით დაცვა ეროვნული მარეგულირებლების მიერ არ არის სავალდებულო, კომიტეტის მიერ განხორციელებული საერთაშორისო რეგულირება შეესაბამება საბანკო რეგულირების ყველა ნიშან-თვისებას.

ეროვნულ დონეზე საბანკო რეგულირება შედის სახელმწიფო და სპეციალური უფლებამოსილი ორგანოს კომპეტენციაში, სახელმწიფო კი ადგენს ბანკების ფუნქციონირების ძირითად წესებს. ასე, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ევალება დაამტკიცოს კანონები, რომლებიც განსაზღვრავს საბანკო საქმიანობის საკანონმდებლო ბაზას.

ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის არსებობა შეუძლებელია დამოუკიდებელი და სამართლებრივად დაცული საზედამხედველო ორგანოს პასუხისმგებლობის სფეროს, უფლებამოსილებებისა და მიზნების მკაფიო დადგენის გარეშე. ზედამხედველობა ეფექტიანი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა და გარემო სტაბილურია, არსებობს საბაზრო დისციპლინა, საკმარისად კარგად არის განვითარებული ინფრასტრუქტურა და ზედამხედველის მიერ შემუშავებულია სტანდარტული პროცედურები არსებული/პოტენციური საფრთხეების გასანეიტრალებლად. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის შექმნაზე, მექანიზმის, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს სისტემური დაცვის მაღალი ხარისხი, მათ შორის საკრედიტო ინსტიტუტების უსაფრთხოება და სანდოობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩამოვაყალიბეთ საბანკო რეგულირების შემდეგი მახასიათებლები:

- საბანკო საქმიანობის რეგულირება სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი ფუნქციაა, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს უფლებამოსილი ორგანოების (ძირითადად ცენტრალური ბანკის) მეშვეობით.

- საბანკო საქმიანობის რეგულირება ხორციელდება მაკრო დონეზე — ფულად-საკრედიტო ურთიერთობებთან დაკავშირებული პროცესების რეგულირებით (ფულად-საკრედიტო რეგულირება) და ფინანსური ბაზრების სტაბილურობის უზრუნველყოფით (მაკროპრუდენციული რეგულირება); მიკრო დონეზე - საბანკო სისტემის ცალკეული ელემენტების

რეგულირების გზით მათ საოპერაციო საქმიანობაში პირდაპირი ჩარევის გარეშე.

- საბანკო რეგულირების მიზნები და ამოცანები დეტერმინირდება ნორმატიულობით, შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შექმნით და მუდმივი განახლებით.

- საბანკო საქმიანობის რეგულირება ითვალისწინებს ობიექტების ფუნქციონირების კონტროლს რეგულირების დონეების შესაბამისად, რაც მიმართულია მართვის ობიექტის ფაქტობრივი პარამეტრების მიზნობრივი პარამეტრებიდან გადახრების აღმოფხვრაზე.

**დასკვნა.** საბანკო რეგულირების მიზნები შეიძლება განსხვავდებოდეს ეროვნული ეკონომიკის არსებული მდგომარეობის და საბანკო სისტემის მეშვეობით გადასაჭრელი პრობლემების მიხედვით. მარეგულირებლები უფრო ხშირად უპირატესობას ანიჭებენ საბანკო სისტემის სტაბილურობის და მდგრადობის უზრუნველყოფას ეფექტიანობის ხარჯზე.

საბანკო რეგულირება და ზედამხედველობა საჭიროა განიხილებოდეს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი არის ინსტიტუტის მაგალითი, რომელიც ახორციელებს საერთაშორისო საბანკო რეგულირებას.

ფინანსების სხვადასხვა დარგის სუბიექტებზე ცენტრალური ბანკის მიერ საზედამხედველო ფუნქციების ერთდროული განხორციელებისას აუცილებლად ადგილი აქვს საბანკო ზედამხედველობის დომინირებას სხვა სუბიექტების ზედამხედველობასთან შედარებით.

მეგარეგულატორის ფარგლებში პრუდენციური ზედამხედველობის გაძლიერება ყოველთვის არ იწვევს ოპტიმალური ბალანსის ჩამოყალიბებას საბანკო სისტემის სტაბილურობასა და ბანკებს შორის ბუნებრივი კონკურენციის შენარჩუნებას შორის. ასევე მეგარეგულატორის მოდელზე გადასვლა ყოველთვის არ შეესაბამება ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური განვითარების დონეს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Hussain, B. (2009). Integrated Financial Supervision and its Implications for Banking Sector Stability. Leonard N. Stern School of Business, New York : New York University.

2. Абрамова, С. Ю. (2018). Инструменты регулирования банковской деятельности в условиях нестабильности экономики . Вестник университета, №4, 125-130.

3. Демченко, Л. В., & Зверькова, Т. Н. (2020). Надзор и регулирование банковской деятельности. Оренбург: Оренбургский гос. университет.

4. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი - http://www.bis.org/

# ინფორმაციული ტექნოლოგიები მშენებლობაში: მისი გავლენა მშენებლის პროფესიაზე
# Information Technologies in Construction and their Impact on the Construction Profession

**ქეთევან მდინარაძე** - პროფესორი,
**გელა ლობჟანიძე** - ასოცირებული პროფესორი
**ეკა აბესაძე** - ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Ketevan Mdinaradze** - Professor
**Gela Lobjanidze** - Associate Professor
**Eka Abesadze** - Associate Professor
Georgian Technical University

**აბსტრაქტი.** ნაშრომში განხილულია თანამედროვე ეტაპზე სამშენებლო ინდუსტრიაში მიმდინარე ცვლილებები, რაც განპირობებულია დარგში საინფორმაციო ტექნოლოგიების მიღწევების დანერგვითა და გამოყენებით. აღწერილია სამშენებლო სფეროში არსებული გლობალური ტენდენციები, ჩამოთვლილია ახალი პროფესიები, რომელიც გაჩნდა ბაზარზე ახალი ტექნოლოგიების გაჩენასთან ერთად.
ახლა სამშენებლო კომპანიებს შეუძლიათ შესთავაზონ მომხმარებლებს მომსახურების ფართო სპექტრი, ვიდრე ოდესმე. ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით პროცესი არის უფრო სწრაფი და ეფექტური. ტექნოლოგიების დახმარებით შესაძლებელია ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელება გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინებით.
თანამედროვე საინფორმაციო მოწყობილობები და პროგრამული უზრუნველყოფა ხელს უწყობს სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის ამაღლებას, მშენებლობის დროის შემცირებას, მატერიალური რესურსების რაციონალურ მოხმარებას და სხვ. სტატიაში მოცემულია სამშენებლო ინდუსტრიის ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები და გლობალური სამშენებლო ბაზრის მასშტაბების სტატისტიკური მონაცემები 2020-2030 წლებისთვის მსოფლიო ,,COVID-19"-ის პანდემიის პირობებში; ასევე, შესწავლილი, განხილული და გაანალიზებულია სამშენებლო სფეროში შრომის ბაზრის ტენდენციები საინფორმაციო სისტემების და ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის გათვალისწინებით, შემოთავაზებულია სამშენებლო ინდუსტრიაში ციფრული ტრანსფორმაციის და ტექნოლოგიების გამოყენების ტენდენციები და პერსპექტივები.

**საკვანძო სიტყვები:** სამშენებლო ინდუსტრია, საინფორმაციო ტექნოლოგიები მშენებლობაში, BIM მოდელირება, 3D-დიზაინი, დრონი, პროფესია მშენებელი.

**Abstract.** The work discusses the current changes in the construction industry, which are due to the introduction and use of information technology achievements in the field. The global trends in the field of construction are described, new professions that have appeared in the market along with the emergence of new technologies are listed. Also, modern information technologies (IT), which have a significant impact on many sectors of the economy, are studied and analyzed, among them on the construction industry and made many acceptable and necessary changes in the work routine of specialists. The implementation of modern software and information devices in production processes at the design and construction stages of buildings can lead to an increase in the quality of construction and installation works, reduction of construction time, rational consumption of material resources, etc. The article presents the benefits of information technology, statistical data on the size of the global construction market for 2020-2030, and the prospects for the development of the infrastructure of this important industry under the influence of the so-called global ,,COVID-19" pandemic; Also, the labor market trends

in the construction sector are studied, discussed and analyzed, taking into account the introduction of information systems and digital technologies, the trends and perspectives of the digital transformation and the use of technologies in the construction industry are proposed.

**Key words:** Construction Industry, Information and Digital Technologies in Construction, BIM Modeling, 3D-Design, Drone, Construction Profession.

**შესავალი.** სიტყვა მშენებლობასთან ყოველთვის ასოცირდება ექსკავატორები, ბულდოზერები და „მტვრის ღრუბელი“, ცოტას თუ წარმოუდგენია მშენებლობის სფეროში ვირტუალური გარემო, დრონები, რობოტები და „ჭკვიანი გაჯეტები“. მიუხედავად დარგის კონსერვატიულობისა, ინფორმაციული ტექნოლოგიები სამშენებლო სფეროშიც შემოიჭრა და მოიტანა ცვლილებები.

გარდა ამისა, მშენებლობა ეკონომიკაში სიდიდით მეოთხე დარგია, იგი ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია. დარგში ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ შრომის ბაზარზე ახალი პროფესიები გააჩინა, რომელიც დამატებით ცოდნასა და კვალიფიკაციას მოითხოვს.

მშენებლობა არ ნიშნავს მხოლოდ შენობის აგებას, ეს ნიშნავს აღმშენებლობას, შექმნას. ჭეშმა¬რიტად ლამაზი შენობის აგება მშენებლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ცოდნას და გამოცდი¬ლებას, არამედ ნიჭს. ამიტომ მშენებლის პროფესია ყოველ დროს სარგებლობდა საყოველთაო დაფასებითა და პატივისცემით. მშენებლის საქმიანობა ყველასთვის თვალშისაცემია, მისი ოსტატუ¬რად შესრულება კი ესთეტიურ სიამოვნებას ანიჭებს გარშემომყოფებს.

აღმშენებლობა თანდაყოლილია ადამიანის ბუნებისთვის, რაც იმით დასტურდება, რომ ადამიანი არსებობის პირველივე დღეებიდან ეწევა აღმშენებლობით საქმიანობას. ადამიანი, რომელიც ირჩევს მშენებლის პროფესიას, უნდა ხასიათდებოდეს პასუხისმგებლობით, შრომისმოყვარეობით და თავისი საქმის სიყვარულით. ამავდროულად, მშენებლის პროფესია ყველაზე მშვიდობიანი პროფესიაა, რადგან სწორედ მშენებელი აძლევს ადამიანს საკუთარი სახლის უსაფრთხოებისა და კომფორტის განცდას.

თანამედროვე ეტაპზე მშენებლის პროფესია არის არა მხოლოდ მოთხოვნადი და პოპულარული, არამედ, ამავდროულად, მაღალანაზღაურებადი პროფესია. ახალი თანამედროვე საზოგადოება „შენდება“ ამ სიტყვის გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობით. სწორედ სამშენებლო დარგი ამარაგებს და უზრუნველყოფს მრეწველობის სხვა დარგების ფუნქციონირებას სამშენებლო მოედნებით, მასალებით, ტექნიკით და სხვ. ამრიგად, მშენებლობა უზრუნველყოფს წარმოების განვითარებას და დასაქმების გარანტიას. ყველაფერი ეს ქმნის მომავლის იმედს და კარგი მშენებლის საჭიროებას მომავალშიც.

სწორედ მშენებელს აქვს შესაძლებლობა თავისი საქმიანობით დატოვოს ყველასათვის შესამჩნევი კვალი მრავალი ათეული წლის განმავლობაში. დღეს აშენებული სახლი მოემსახურება არა ერთ თაობას. თუ ახლა შენდება, ეს ნიშნავს დიდხანს და ბედნიერად ცხოვრებას.

**ძირითადი ტექსტი.** მშენებლობა ეკონომიკის ერთ-ერთი უმსხვილესი და სწრაფად მზარდი ინდუსტრიული დარგია, რომლის წარმოების მოცულობა ეკონომიკის სტაბილურობის მაჩვენებელი და განმსაზღვრელია. საინფორმაციო ტექნოლოგიები მთლიანად ცვლის სამშენებლო სფეროს. სამშენებლო პროცესი გახდა უფრო ეკონომიური, ეფექტური და უსაფრთხო. სამშენებლო პროექტის ხელმძღვანელს შესაძლებლობა აქვს პროექტის განხორციელების პროცესში სრულად თვალყური ადევნოს და აკონტროლოს სამუშაო პროცესის მსვლელობა. საინფორმაციო ტექნოლოგიები:

ამცირებს შეცდომებს და ხარვეზებს 30-40 პროცენტით; .

ქმნის სამშენებლო მასალების გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების შესაძლებლობას, სამშენებლო ნარჩენები მცირდება 10-15 პროცენტით;.

აუმჯობესებს ფინანსურ დაგეგმვას 15-25 პროცენტით;

ზრდის შრომის პროდუქტიულობას 20-40 პროცენტით;

ამცირებს სამშენებლო პროექტის დასრულების ხანგრძლივობას 15-20 პროცენტით;

ქმნის უფრო რთული და კომპლექსური სტრუქტურების მშენებლობის შესაძლებლობას;

ამცირებს რისკებს და უზრუნველყოფს სამუშაო პროცესების უსაფრთხოებას;

ქმნის რთულად მისადგომ ადგილებში მუშაობის შესაძლებლობას;

ამცირებს მშენებლობის პროცესით გამოწვეული ნახშირბადის ემისიას 5-10 პროენტით;

ახორციელებს სამშენებლო პროცესის დისტანციურ მონიტორინგს;

ქმნის პროექტის ვირტუალურ მოდელს;

ამუშავებს ინდივიდუალურ პროექტებს;

ერთმანეთთან აკავშირებს პროფესიონალ მშენებელთა გუნდს.

გლობალური სამშენებლო ინდუსტრიის ბაზრის მასშტაბების განხილვისას, აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემების მიხედვით, სამშენებლო ინდუსტრიაში, მთელს მსოფლიოში, დასაქმებულია 100 მლნ-ზე მეტი ადამიანი, დარგში შექმნილი ღიებულება კი შეადგენს გლობალური მშპ-ს 6 პროცენტს. უფრო კონკრეტულად, განვითარებული ქვეყნების მშპ-ის დაახლოებით 5 პროცენტს, განვითარებად ეკონომიკებში კი მშპ-ის 8 პროცენტს. უახლოესი ორი ათწლეულის განმავლობაში მოსალოდნელია ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი საჭიროებების გაჩენა, რაც მოგვარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

მთავრობა გაზრდის მშპ-ის წილს ინფრასტრუქტურის განვითარებაში. გლობალური ინფრასტრუქტურის ინვესტიცია 2040 წლამდე შეფასებულია 3,7 ტრლნ აშშ $-ად წელიწადში და გასათვალისწინებელია, რომ ამერიკასა და აფრიკას აქვს ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურული ინვესტიციების უფსკრული სხვა რეგიონებთან შედარებით. (www.market-prospects.com. 2023)

მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიური ინოვაცია ვითარდება დიდი სისწრაფით, სექტორმა განიცადა მასიური ვარდნა გლობალური პანდემიის ე. წ. ,,COVID-19“-ის გამო. თუმცა, პანდემიის პერიოდის შემდეგ, გლობალური ეკონომიკის გამოჯანმრთელების და ზრდის ფონზე, მშენებლობის მენეჯმენტის მომავალი პროგრესულად გამოიყურება. ამის დასტურია, ის, რომ 2030 წლისთვის არსებობს გლობალური სამშენებლო ინდუსტრიის შემოსავალის გაორმაგების მოლოდინი. სახელდობრ, სამშენებლო ბაზარმა 2020 წელს 6,4 ტრლნ დოლარის ღირებულება შექმნა, 2030 წლისთვის ეს მაჩვენებელი 14,4 ტრლნ დოლარამდე გაიზრდება. (იხ. ნახ. 1.)




ნახ. 1. გლობალური სამშენებლო ინდუსტრიის ბაზრის ზომა, 2020-2030 წწ., ტრლნ $ (Statista Research depart,ent. 2022)

სამშენებლო სფეროში ახალი ტექნოლოგიების გაჩენამ სრულად შეცვალა შრომის ბაზარი. პროფესიები, რომელიც ტრადიციულად მარადიული ჩანდა, მოძველდა. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად არაკვალიფიციურ მომუშავეებზე მოთხოვნა შემცირდა. გაჩნდა ახალი პროფესიები:

BIM - მენეჯერი სპეციალისტი, რომელიც პასუხს აგებს პროექტის დიზაინსა და მართვაზე, აკონტროლებს სამშენებლო ობიექტის სასიცოცხლო ციკლს;

3D დიზაინერი - სპეციალისტი, რომელიც ამზადებს კონსტრუქციის მოდელს 3D ფორმატში;

მშენებლობის მენეჯერი - სპეციალისტი, რომელიც ციფრულ ფორმატში ახორციელებს პროექტის ეფექტურ მართვას;

ძველი შენობების რეკონსტრუქტორი - სპეციალისტი, რომელიც ფლობს ძველი შენობების რეკონსტრუქციის თანამედროვე მეთოდებს;

სამუშაოს მწარმოებელი-დამკვირვებელი - სპეციალისტი, რომელიც პრაქტიკულად მუშაობს ოფისიდან და ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით აკონტროლებს და აკორექტირებს სამშენებლო პროცესს.

ეკოანალიტიკოსი - სპეციალისტი, რომელიც იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად;

„ნულოვანი ენერგიის" სახლების არქიტექტორი - სპეციალისტი, რომელიც მუშაობს ენერგომდგრადი სახლების მშენებლობაზე, რომელშიც იყენებენ თანამედროვე მასალებს. (www.planradar.com 2022)

უახლოეს მომავალში სამშენებლო სფეროში ციფრიზაციის ტენდენცია სულ უფრო მეტად გაიზრდება. ჩვენ ვიმყოფებით გარდამტეხ ეტაპზე, როდესაც ადგილი აქვს არა მხოლოდ ტექნოლოგიების, არამედ თაობების ცვლას. ახლა ბაზარზე გამოდის ტექნოლოგიების ეპოქაში დაბადებული თაობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მშენებლობაში დიგიტალიზაციის პროცესზე. დღეს სამშენებლო სფეროს შრომის ბაზარზე ადგილი აქვს შემდეგ ტენდენციებს:

- ხელით შრომის ჩანაცვლება რობოტებით. უახლოეს მომავალში საჭირო იქნება სპეციალისტები, რომლებიც კარგად ფლობენ ტექნოლოგიებს. „ჭკვიანი" მანქანები სამუშაოს წაართმევენ მათ, ვინც ასრულებენ რუტინულ ოპერაციებს. მათ შეუძლიათ ჩაანაცვლონ 40-დან 70-მილიონამდე სამუშაო ადგილი მთელს მსოფლიოში. დასავლეთის და აზიის ქვეყნებში ფიზიკური შრომის მრავალი სფერო უკვე საგრძნობლად შეიცვალა ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებით.
- საფრთხის ქვეშ არის „თეთრ საყელოიანთა" სამუშაო ადგილებიც. სამშენებლო ინდუსტრიაში არის ბევრი სამუშაო, რომლებსაც ასრულებენ ინჟინრები, ხარჯთაღრიცხვის მწარმოებლები, პროექტების მენეჯერები. მსგავს დავალებებს უკვე მარტივად ართმევს თავს ხელოვნური ინტელექტი. მაგალითად, არქიტექტორთა შრომას მალე ჩაანაცვლებს BIM მენეჯერი.
- გაიზრდება მოთხოვნა ჯვარედინი-ფუნქციური ცოდნის სპეციალისტებზე. ციფრულ სამყაროში პროექტის მენეჯერს, პროცესის ეფექტურად მართვისათვის, დასჭირდება კომპლექსური ცოდნა. იგი უნდა იყოს ინჟინერინგის, პროგრამირების, ტექნოლოგიების, ფინანსების, ეკოსისტემის სპეციალისტი. უნდა შეეძლოს შემოქმედებითი და ინოვაციური აზროვნება.

- გაიზრდება მოთხოვნა ვიწრო კვალიფიკაციებზე. ინფორმაციული ტექნოლოგიები სამშენებლო ინდუსტრიაში უახლოეს მომავალში ახალ სპეციალობებს გააჩენს, რომელიც ამჟამად არ ისწავლება უნივერსიტეტებში. გაჩნდება მოთხოვნა სპეციალისტებზე, რომლებსაც ექნებათ დარგის ტექნოლოგიების ღრმა ცოდნა. აქ უნდა აღვნიშნოთ ის, რომ დარგში ცვლილებები სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, რასაც ჩამორჩება საგანმანათლებლო დაწესებულებები, ამდენად საჭირო იქნება საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისად.
- მაღალი დონის სპეციალისტების მოზიდვა. უახლოეს მომავალში „ბაზრის მონაწილეებისთვის" აუცილებელი იქნება დარგის ტექნოლოგიების ცოდნა. დეველოპერები იძულებული იქნებიან მოიწვიონ სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ციფრულ პროექტებთან მუშაობის უნარი, რაც ასევე იმოქმედებს ანაზღაურების დონეზე. (S.Gaurav.2022)

უახლოეს მომავალში შემდუღებლის, კალატოზის, ამწყობისა და სახურის ოსტატის პროფესიები აქტუალური რჩება. მოკლევადიან პერიოდში აღნიშნული პროფესიები მოთხოვნადია, მანამ სანამ მათ ადგილსაც რობოტები არ დაიკავებენ.

არასდროს ყოფილა მშენებლობა ისე უსაფრთხო, როგორც ახლა. ტექნოლოგიების არსებობა ხელს უწყობს სამშენებლო მოედანზე ავარიების თავიდან აცილებას. პასუხისმგებელი მენეჯერი სრულად აკონტროლებს მთელს სამშენებლო პროცესს, მომუშავე კი სრულად არის გაცნობილი ყველა სამშენებლო პარამეტრს. უკვე არსებულ და გავრცელებულ ტექნოლოგიებს შორის შეიძლება გამოვყოთ:



სამშენებლო პროექტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპისთვის. (E.Bondarev.2021)

ნახ. 2. BIM/შენობის ინფორმაციული მოდელირება (O. Olugboyega. 2018)




BIM მოდელირებასთან მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი არის ის, რომ დეველოპერი არაფერს არ ხატავს და არაფერს არ ხაზავს. BIM მოდელირების მთავარი პროგრამა, ადამიანის ზედმეტი ქმედების გარეშე, ამუშავებს შენობის შიდა და გარე პერიმეტრის ყველა დეტალს ისე, რომ იქმნება ობიექტის და მოწყობილობების რეალური სურათი ზუსტად, ეფექტურად, დანახარჯების და შეცდომების მინიმალური რაოდენობით, ამრიგად, BIM მოდელირება არის სამშენებლო ინდუსტრიის პროგრესული მომავალი.(იხ. ნახ. 2).

მსოფლიო ,,COVID-19“-ის პანდემიამ მკვეთრად შეცვალა სამშენებლო ინდუსტრია და წარმოშვა ადგილზე უკეთესი უსაფრთხოების საჭიროება. ტერიტორიის უსაფრთხოებისა და სისუფთავის უფრო მკაცრი რეგულაციების ფონზე, ინდუსტრიამ მუდმივად უნდა გაზარდოს დამცავი აღჭურვილობის გამოყენება, რომელსაც შეუძლია უსაფრთხოების წესების ეფექტიანი მართვა და საფრთხეების იდენტიფიცირება. სწორედ უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გათვალისწინებით, პოსტ-პანდემიურ პერიოდსა და პირობებში სამშენებლო კომპანიები მთელს მსოფლიოში იყენებენ დრონებს, პერსონალურ დამცავ აღჭურვილობას (PPE-Personal protective equipment), როგორიცაა მყარი ქუდები, ჭკვიანი საათები და სხვ. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ PPE გლობალური ბაზრის ზომა, რომელიც 2021 წელს 63 მლრდ $ იყო, 2027 წლისთვის მიაღწევს 106,4 მლრდ $-ს 9,07 % CAGR-ით (CAGR - Compound Annual Growth Rate - ნაერთი წლიური ზრდის ტემპი). თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება და უსაფრთხოებაზე დაფუძნებული პროგრამების განხორციელება ამ სეგმენტის ზრდას უწყობს ხელს. [3]

- დრონი არის მოწყობილობა, რომელიც უკვე ფართოდ გამოიყენება მშენებლობაში სხვადასხვა ამოცანების შესასრულებლად. კერძოდ, სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ადრე მომუშავეებს სიცოცხლის რისკის ფასად უწევდათ მუშაობა სახიფათო ზონებში, ახლა კი მათ უსაფრთხოებაზე ზრუნავენ უპილოტო დრონები. დრონები იღებენ მაღალი სიზუსტის სურათს რეალურ დროში, მონაცემები აისახება პასუხისმგებელი მენეჯერის პლატფორმაზე, ან მუშავდება სპეციალური სისტემის მიერ, რომელიც გამოსცემს სიგნალს პოტენციური საფრთხის შემთხვევაში. უპილოტო დრონებზე დამაგრებული სენსორები აკონტროლებენ გარემოს მდგომარეობას, ავრცელებენ

სიგნალებს მავნე აირების, ქიმიკატების გაჟონვის შემთხვევაში. ასევე მცირდება ტრავმების რისკი იარაღებისა და აღჭურვილობების ტრანსპორტირების პროცესში ჩართული დრონების გამოყენებით. (J.Kendall.2020)

- უკაბელო მობილური მოწყობილობები აფრთხილებენ მომუშავეებს სამშენებლო მოედანზე არსებული საფრთხეების შესახებ. მაგალითად, ჩაფხუტებს და ჟილეტებს შეუძლიათ გაზომონ მომუშავის სხეულის ტემპერატურა, გულისცემა. ხელმძღვანელი მენეჯერი მიიღებს სიგნალს თუ მომუშავე თავს გრძნობს შეუძლოდ და მას ესაჭიროება დასვენება. ასევე, თანამშრომლებზე მონიტორინგის მოხერხებული საშუალებაა „ჭკვიანი გაჯეტები“, მისი დახმარებით მენეჯერები თვალ-ყურს ადევნებენ მომუშავეთა გადაადგილებას და იღებენ სიგნალს უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში. მაგალითად, მენეჯერი მიიღებს სიგნალს, თუ მომუშავე შევიდა მაღალი რისკის ზონაში შესაბამისი აღჭურვილობის გარეშე. კომპანია ,,MarketWater“-ის მონაცემების თანახმად, მობილური მოწყობილობების მსოფლიო ბაზარი 2019 წელს შეფასდა 28 მლრდ $-ად. არსებობს მოლოდინი, რომ 2027 წლისთვის ეს მაჩვენებელი გაიზრდება 15 %-ით.
- ვიდეო თვალის ჭკვიანი სისტემა - კამერა, რომელიც განთავსებულია ისე, რომ მოახდინოს სამშენებლო მოედნის მაქსიმალური დაფარვა და ამით უზრუნველყოს სამუშაო პროცესის უსაფრთხოება. „ჭკვიანი სისტემა“ ონ-ლაინ რეჟიმში აანალიზებს სამუშაო პროცესს, აფიქსირებს შრომის უსაფრთხოების ყველა დარღვევას და აძლევს სიგნალს პასუხისმგებელ მენეჯერს.

სენსორები და ინტერნეტ მოწყობილობები - ხმაურის მაღალი დონე, ექსტრემალური ტემპერატურა, ჰაერის დაბინძურება, აქროლადი ნივთიერებები საფრთხეს უქმნის მომუშავის ჯანმრთელობას. სამშენებლო მოედანზე სენსორების დამონტაჟებით შესაძლებელია გარემოს მონიტორინგი. თუ მავნე ნივთიერებების დონე გადააჭარბებს უსაფრთხო დონეს, მენეჯერები დაუყოვნებლივ მიიღებენ სიგნალს და მოხდება მომუშავეთა ევაკუაცია. [5]

სამშენებლო მოედნებზე თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ცვლის მუშაობის ტრადიციულ წესებს და ფორმებს. ამასთან ერთად იცვლება სამშენებლო მასალებიც. მაგალითად, გამჭვირვალე ბეტონი ან „ცოცხალი“ მინა, რომელიც არეგულირებს ჟანგბადის დონეს შენობაში. უფრო მეტიც, მომავალში გაჩნდება უნიკალური თვისებების მქონე, კონკრეტული პროექტისთვის შექმნილი მასალები.

სწრაფად ცვალებად გლობალურ ბაზარზე, კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი და მზარდი ხარჯები, სავარაუდოდ, გაგრძელდება ათწლეულის განმავლობაში. მარეგულირებელი პოლიტიკა შეიძლება გამკაცრდეს სამუშაო ადგილის უსაფრთხოებისა და კლიმატის ცვლილების საკითხებზე გაზრდილი აქცენტით. ახალი პრაქტიკის მიღებით, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით და ახალ პროექტებში ინვესტიციებით, მშენებლებსა და დეველოპერებს შეეძლებათ შეამცირონ რისკი, მოიპოვონ მეტი კონტრაქტი და ისარგებლონ მომგებიანობით.

ქალაქებისა და მოსახლეობის ზრდამ, ისევე როგორც ახალმა ფორმატმა ადამიანთა კომუნიკაციის დონისთვის BIG DATA-ს ეპოქაში, ეკონომიკის ზრდამ და ხალხის კეთილდღეობამ, გაააქტიურა სამშენებლო ინდუსტრია უფრო დინამიური ინტეგრაციისთვის, ინოვაციების და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, სამშენებლო ტექნოლოგიების განვითარების

სიჩქარე იწვევს მთელი ინდუსტრიის მასშტაბურ დიგიტალიზაციას და IT ტექნოლოგიების გამოყენების საკითხი უკვე კონკურენტუნარიანობის საკითხი გახდა, სადაც სამშენებლო ინოვაციები გარდაქმნის სამშენებლო მოედანს და ზრდის მოგებას, ასევე იგებს საპროექტო ტენდერებს. ვინაიდან სწორედ ინოვაციებს მოაქვს ეკონომიკური სარგებელი, ზრდის კონკრეტული სამშენებლო კომპანიის კონკურენტუნარიანობას და საბოლოო ჯამში, ახორციელებს მომხმარებლის მოთხოვნას მაქსიმალური ეფექტურობით.

ამრიგად, აშკარაა, რომ ფართომასშტაბიანი დიგიტალიზაცია და BIM ტექნოლოგიების დანერგვა სამშენებლო ინდუსტრიაში პროგრესირებს, რაც არის ბაზრის მოთხოვნა, სადაც პრიორიტეტი ხდება ეფექტურობა და დროისა და ხარჯების შემცირება. ამიტომ კონსტრუქცია ჭკვიანი ხდება ობიექტის შექმნის უშუალო პროცესში რობოტების, 3D ბეჭდვის, სენსორების, ჭკვიანი მასალებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. და ბოლოს, ახალი ტექნოლოგიები აუცილებლად იმოქმედებს სამშენებლო ბიზნესის მოგებაზე, რადგან ისინი მიზნად ისახავს პროექტის ყველა ეტაპის ოპტიმიზაციასა და ეფექტურობას, საინჟინრო კვლევებიდან ექსპლუატაციამდე. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ახალი სამშენებლო მასალების ძიება ნაკლებად აქტუალური გახდება - პირიქით, ტექნოლოგიების სინერგია მშენებლობის პროცესში უახლეს ეკო-მასალებთან მშენებლობას ახალ ჰორიზონტს აძლევს.

**დასკვნა.** მშენებლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაწყებული სამშენებლო დოკუმენტაციის შექმნით და დამთავრებული თავად წარმოებით. იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიები ვითარდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ შესაბამისად განვითარდება სამშენებლო დარგიც. ინფორმაციული ტექნოლოგია დიდი ხანია გამოიყენება საქმიანობის ყველა სფეროში, განსაკუთრებით სამშენებლო ინდუსტრიაში. საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების გამო მცირდება დაპროექტების დრო, მშენებლობის ღირებულება, შრომის ინტენსივობა, უმჯობესდება დიზაინისა და მშენებლობის ხარისხი და ინჟინრების მუშაობის ეფექტურობა. თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით, დიზაინერებს აქვთ დამატებითი შესაძლებლობები, რაც ამარტივებს დოკუმენტაციის შემუშავების პროცესს და ხელს უწყობს ამ პროცესის გაადვილებას, ამრიგად, ინფორმაციული ტექნოლოგიები არის გარანტია მარტივი, უსაფრთხო და მაღალი ხარისხის მშენებლობისათვის.

საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში განვითარებული სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კონკურენტულ გარემოში ის ორგანიზაციები გადარჩებიან და მიაღწევენ წარმატებას, რომლებიც იყენებენ მართვის თანამედროვე მეთოდებს. ამ მხრივ, საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების დანერგვა მენეჯმენტის საქმიანობაში, რომლებიც უზრუნველყოფენ მართვის პროცესებში გამოყენებული ინფორმაციის სისრულეს, დროულობას, მათი მოდელირების, ანალიზისა და პროგნოზირების შესაძლებლობას, უმნიშვნელოვანესია. ამჟამად, როგორც წესი, სამშენებლო ორგანიზაციებში მართვის ყველა დონეზე გამოიყენება მონაცემთა დამუშავების ავტომატური სისტემები. თუმცა, დროული, მაღალი ხარისხის, ოპერატიული ინფორმაციის გაზრდილი საჭიროება მოითხოვს მათ მოდერნიზაციას და ახალ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საფუძველზე საინფორმაციო

სისტემებისა და ტექნოლოგიების შექმნას. სამშენებლო ინდუსტრიის სპეციალისტების მომზადება, რომლებიც იკავებენ სხვადასხვა პოზიციებს სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებსა და საწარმოებში, უნდა უზრუნველყოფდეს მართვის თეორიისა და პრაქტიკის ფუნდამენტური ცოდნის დაუფლების შესაძლებლობას, აგრეთვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარს, მათ პროფესიულ საქმიანობაში. პერსონალური კომპიუტერების, საკომუნიკაციო ინსტრუმენტების ფართო გამოყენება, მონაცემთა ბაზებზე და ცოდნის ბაზებზე მარტივი წვდომა ამ სპეციალისტებს საშუალებას აძლევს ეფექტიანად უპასუხონ არსებულ მოთხოვნებს და მიიღონ უკეთესი მართვის გადაწყვეტილებები.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Jones Kendall, Construction Technology is Reshaping Industry, https://www.constructconnect.com/blog/technology-reshaping-construction-industry last updated April 16,2020;
2. Gaurav Sanchit, The Impact of Technology on the Construction Industry, https://www.e-architect.com/articles/impact-of-technology-on-the-construction-industry Last updated Jun 15, 2022;
3. Bondarev E.S., Kupchenko V.A., Инноваций в строительной отрасли, Информационные технологии в строительных социальных и экономических системах, №24, 2021 https://cchgeu.ru/science/nauchnye-izdaniya/informatsionnye-tekhnologii-v-stroitelnykh-sotsialnykh-i-ekonomicheskikh-sistemakh/arkhiv-vypuskov/
4. Olugboyega Oluseya, Managing information with BIM throughout the building lifecycle, (figure), 2018, https://www.researchgate.net/figure/Managing-information-with-BIM-throughout-the-building-lifecycle_fig2_324091575
5. Dan Harrison. Construction Industry Digital Transformation for 2023, 2022, https://olive.app/blog/construction-industry-digital-transformation/
6. Statista Research Department, Global construction market size from 2020 to 2021, with forecasts up until 2030, Nov.2022. https://www.statista.com/statistics/1290105/global-construction-market-size-with-forecasts/
7. IT технологии в строительстве: переориентация рынка труда. https://www.planradar.com/ru/it-v-stroitelstve-vliyanie-na-professiyu-stroitelya/
8. Overview of the Development of the Global Construction Industry, Jan.2023, https://www.market-prospects.com/articles/overview-of-the-development-of-the-global-construction-industry.

# მსოფლიოს ქვეყნები მეოცე საუკუნეში
# World Countries in the 20th Century

**ლია პიტიურიშვილი,** პროფესორი
**ნელი სესაძე,** პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ

**Lia Pitiurishvili,** Professor
**Neli Sesadze,** Professor
Georgian National University, SEU

**რეზიუმე.** მიუხედავად ომების, შოკებისა და ეკონომიკური კრიზისებისა, ეკონომიკა გასული საუკუნის განმავლობაში აგრძელებდა ზრდას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის ზრდის ტემპის ტენდენცია განსხვავებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.
მოცემული სტატია ეძღვნება სახელმწიფოთა მართველობის ფორმების ცვლილებასა და მსოფლიოს ქვეყნების არათანაბარ ეკონომიკურ განვითარებას შორის ურთიერთკავშირის განხილვას.

**საძიებო სიტყვები:** მსოფლიო ეკონომიკა, გლობალიზაცია, უთანაბრო განვითარება, მშპ.

**Resume.** Despite wars, upheavals and economic crises, the economy continues to grow every century. faster and faster, in the process of globalization is increasingly manifested. But the upward trend in growth rates varies from country to country.
This article is devoted to the consideration of the relationship between changes in the forms of management and the uneven economic development of the countries of the world.

**Key words:** Globalization, Uneven Development, Economic Situation, GDP Growth Rates, Incomes.

საუკუნეთა განმავლობაში ქვეყნები, სახელმწიფოები, იმპერიები გავლენის სფეროების გაზრდას, მთლიანი პროდუქციის წარმოების მასშტაბის გაფართოებას, მოსახლეობის შემოსავლის მატებას და ა.შ. ცდილობდნენ. ამ მიზნის მისაღწევად ამ ქვეყნებში იცვლებოდა მმართველობის ფორმები, ხშირად ისინი ერთმანეთსაც ებრძოდნენ. ისტორიის დროთა უღრან ტევრში ძალზე შორს რომ არ წავიდეთ, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი, ამის გასაშუქებლად გასული საუკუნეც იკმარებს.

ამ სტატიაში ჩვენ გვინდა დავინახოთ, თუ ზემოთ ნახსენები მიზნების მისაღწევად როგორ იცვლებოდა სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმა. ეს უკანასკნელი ხომ იმიტომ იცვლება, რომ სწორედ ეს მიზნები იყოს მიღწეული.

ამ ეპოქაში ყოველივე ამისათვის, განსაკუთრებით, რამდენიმე ქვეყანა მიისწრაფოდა. კერძოდ, ესენი იყვნენ: ბრიტანელები, ჩინელები, რუსები, გერმანელები, იაპონელები, ინდოელები და ფრანგები. და რადგან ამ საუკუნეში, განსაკუთრებით მის პირველ მეოთხედში ქვეყნები უფრო ექსტენსიური მეთოდით ვითარდებოდნენ, იშვიათი როდი იყო

ტერიტორიის, გავლენების სფეროს გაფართოება; ისინი შესაბამისად, იქ, სადაც მათი გავლენა იგრძნობოდა, ზრდიდნენ წარმოებული პროდუქციის მოცულობას, ამრავლებდნენ მოსახლეობას და ა.შ.

კერძოდ, აღნიშნულ, ძირითადად, ასე ვთქვათ, ექსპანსიურ პერიოდში, განსაკუთრებით და ამასთან, ყოველ მხრივ, გაიზარდა ბრიტანეთის იმპერია; მას გარდა, იზრდებოდნენ და ძლიერდებოდნენ აშშ, ჩინეთი, რუსეთი, გერმანია, იაპონია და საფრანგეთი.

შესაბამისად, ამ ქვეყნებში იზრდებოდა მშპ-ც, რადგან სწორედ ეს იყო ამ ცვლილებების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი.

ქვემოთ მოტანილ ცხრილში წარმოდგენილია გასულ საუკუნეში მსოფლიოს ძირითადი ქვეყნების, სახელმწიფოების (იმპერიების) მიერ წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტი პერიოდების მიხედვით.

ცხრილი 1

**მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება 1901-2021 წლებში (მლრდ აშშ დოლარში)**

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | | |
| | | | | | | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | | | | | | | | |
| აშშ | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | 518.5 | | | | | | | |
| [illegible] | - | 556.2 | 577.2 | 568.0 | 857.0 | 4300.0 | 16000.0 | 27500.0 |
| [illegible] | | | | | | | | |
| [illegible] | 304.0 | 462.6 | | | | | | |
| [illegible] | | | 223.0 | | | | | |
| [illegible] | | | | 521.0 | 1500.0 | 4100.0 | | |
| [illegible] | | | | | | | 3900.0 | 4300.0 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | | | | | | |
| [illegible] | | | [illegible] | [illegible] | | | | |
| [illegible] | | | | | 694.0 | 2600.0 | | |
| | | | | | | | 4200.0 | 4786.0 |
| [illegible] | | | | | | | | |
| [illegible] | | | [illegible] | | | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | | | | | | | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | 307.9 | 388.5 | 271.2 | | | | | |
| [illegible] | | | | 481.4 | | | | |
| [illegible] | | | | | | | | |
| [illegible] | | | | | 161.4 | 592.3 | 1200.0 | 3200.0 |
| [illegible] | 41.5 | | | | | | | |
| [illegible] | | | | | | | | 2750.0 |

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მეტ წარმატებას მშპ-ს წარმოების მიხედვით, განსაკუთრებით ჩინეთმა მიაღწია; 2021 წელს ამ ქვეყანამ აწარმოა 27 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების პროდუქცია; მას მისდევს აშშ - 23 ტრილიონი, ინდოეთი 10 ტრილიონი და ა.შ.

აქ, ალბათ, საინტერესო იქნება გადავხედოთ ზემოთ წარმოდგენილ ზოგიერთი ქვეყნის, სახელმწიფოს (იმპერიის) მოკლე ისტორიას.

ცინის დინასტია იყო ჩინეთის უკანასკნელი საიმპერატორო დინასტია. ის დააარსეს მანჯურიელებმა, რომლებიც ციმბირიდან მანჯურიაში

ჩასახლებული ხალხები იყვნენ . ცინის დინასტია ჩინეთს 1644-1911 წლებში მართავდა.

ცინის ხანამ ჩინეთს მშვიდობა, აყვავება და უსაფრთხოება მოუტანა. იმ ეპოქაში განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მოსახლეობის ზრდა - ჩინელთა რიცხოვნობა 100 მილიონიდან (1650) - 300 მილიონამდე (1800) გაიზარდა. მიუხედავად ამისა, XVIII საუკუნის ბოლოს ქვეყანაში კორუფციამ იმატა და დაიწყო დაცემის პროცესი.

ადრეულ 1900-იან წლებში სუნ იატსენმა რევოლუციის ორგანიზება დაიწყო ცინის დინასტიის წინააღმდეგ. 1911 წელს რევოლუცია მართლაც მოხდა, თუმცა შედარებით უსისხლოდ ჩაიარა და სუნ იატსენი პირველი პრეზიდენტი გახდა. ახალი მთავრობის დედაქალაქი მდებარეობდა ნანკინში. 1912 წელს დასრულდა ცინის დინასტია და დაიწყო ჩინეთის რესპუბლიკის ერა. იმპერატორი პუი გადადგა. ჩინეთის 2000 წლიანი იმპერატორული მმართველობა დასრულდა.

ბრიტანეთის იმპერია წარმოადგენს დომინიონთა, პროტექტორატთა, კოლონიათა, მანდატთა და სხვა ტერიტორიების ერთობას, რომლებზეც გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლება ვრცელდებოდა.

იმპერიას დასაბამი მისცა ზღვისიქითურმა სამფლობელოებმა და სავაჭრო წერტილებმა, რომელთა დაარსებაც ინგლისმა XVI – XVIII საუკუნეებში მოახერხა. იმპერიას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ინგლისი და შოტლანდია ცალკეული სამეფოები იყვნენ. 1496 წელს,

ძლევამოსილების პიკის დროს ბრიტანეთის იმპერია მსოფლიო ისტორიაში ფართობით უდიდესი იმპერია იყო და წარმოადგენდა მსოფლიოს უმთავრეს სახელმწიფოს.[1] 1913 წლისთვის ბრიტანეთის იმპერიას გავლენა ჰქონდა 412 მილიონ ადამიანზე (იმ დროისთვის მსოფლიო მოსახლეობის 23%), ხოლო ტერიტორიის ფართობი იყო 35,500,000 კვ.კმ[3] (ხმელეთის 24%).

ინგლისი (მოგვიანებით კი 1707 წლის ინგლის-შოტლანდიის უნიის აქტის შედეგად წარმოქმნილი დიდი ბრიტანეთი) დომინანტი კოლონიალური იმპერია გახდა ამერიკასა და აზიაში.

XX საუკუნის დასაწყისისათვის ბრიტანეთის ეკონომიკას გამოუჩნდა კონკურენტები — გერმანიის იმპერია და ამერიკის შეერთებული შტატები. ბრიტანეთის და გერმანიის შემდგომი ეკონომიკური და სამხედრო დაპირისპირება პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა, რომლის დროსაც დიდი დატვირთვა გადაიტანა ბრიტანეთის ფინანსურმა, ადამიანურმა და სამხედრო რესურსებმა. ომში გამარჯვების შედეგად ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ტერიტორიული გაფართოების მიუხედავად, ბრიტანეთი აღარ იყო მსოფლიოს პირველი სამხედრო, ან კიდევ, ინდუსტრიული ძალა. მეორე მსოფლიო ომში ბრიტანეთის

კოლონიები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იაპონიის იმპერიამ დაიპყრო. მიუხედავად საბოლოო გამარჯვებისა, იმპერიის პრესტიჟი დაეცა, რის შედეგადაც მისი დაშლა სწრაფად დაიწყო — უკვე 1947 წელს დამოუკიდებელი გახდა ინდოეთი. ინდოეთის შემდეგ დაიწყო დეკოლონიზაციის პროცესი, რომლის შედეგადაც დამოუკიდებელნი გახდნენ სხვა კოლონიებიც. 1997 წელს ბრიტანული ჰონგ-კონგის ჩინეთისთვის გადაცემა ბევრისთვის იმპერიის აღსასრულის ნიშანი გახდა, თუმცა, 14 ზღვისიქითა ტერიტორია დღემდე რჩება ბრიტანეთის ხელისუფლების ქვეშ. გარდა ამისა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბევრი ქვეყანა გაწევრიანდა ერთა თანამეგობრობაში, რომლებსაც ყავთ საერთო მონარქი.

რუსეთის იმპერია დაარსდა 1721 წელს, იმპერია დაემხო 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. ვიდრე რუსეთი იმპერიულ სახელმწიფოდ გამოცხადდებოდა, მანამდე ის იყო სამეფო, ხოლო დამხობის შემდეგ შეიქმნა ახალი სახელმწიფო საბჭოთა კავშირი. იმპერიული რუსეთი ფართობით, მესამე იყო მსოფლიო იმპერიებს შორის.

რუსეთის წვლილი მსოფლიოს მშპ-ში 2006 წელს 3,09%-ს შეადგენდა. ამ მაჩვენებელმა აღნიშნულ წელს შეადგინა 987,94 მლრდ დოლარი. 2007 წელს სწრაფის ზრდის წყალობით (7,8%), რუსეთის წვლილი გაიზარდა 3,2%-მდე (ანალოგიურ პერიოდში აშშ-ის წვლილი შეადგენდა 21%-ს).

გერმანიის იმპერია (გერმ. Deutsches Reich) — გერმანიის სახელმწიფოს ოფიციალური სახელწოდება 1871-1943 წლებში (1943-1945 წლებში ერქვა დიდი გერმანული იმპერია — გერმ. Das Großdeutsche Reich). იმპერიის დამაარსებლები იყვნენ ოტო ფონ ბისმარკი და ვილჰელმ I.

ზოგადად დასახელება „გერმანიის იმპერია“ გამოიყენება, როგორც 1871-1918 წლების პერიოდისთვის, შესაბამისად გერმანული ტერმინისა Deutsches Kaiserreich, როდესაც იმპერიას მართავდა ჰოენცოლერნთა საგვარეულო დინასტია, ასევე ამ პერიოდს უწოდებენ „მეორე რაიხს“.

ვაიმარის რესპუბლიკა (გერმ. Weimarer Republik) — გერმანიის სახელმწიფოს ისტორიული დასახელება 1919-1933 წლებში, კონსტიტუციური კრების საპატივსაცემოდ, რომელიც გაიმართა ქალაქ ვაიმარში. ოფიციალურად სახელმწიფოს ერქვა ისევ „გერმანიის იმპერია“ (გერმ. Deutsches Reich). 1933 წელს ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შედეგად ვაიმარის რესპუბლიკამ შეწყვიტა არსებობა.

ოსმალეთის იმპერია (ოსმ. „دَوْلَتِ عَلِيّهٔ عُثمَانِيّه“ , Devlet-i Âliye-i Osmâniyye; თურქ. Osmanlı İmparatorluğu), ასევე ისტორიულად მოიხსენიებოდა, როგორც თურქეთის იმპერია ან თურქეთი — სუნიტურ-ისლამური სახელმწიფო, დაარსდა ოღუზი თურქების მიერ ოსმან I-ის მეთაურობით ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში 1299 წელს. მურად I-ის მიერ ბალკანეთში

წარმოებული დაპყრობითი ომებისა და მეჰმედ II-ის მიერ კონსტანტინოპოლის აღების შედეგად ოსმალეთის სასულთნო იმპერიად ჩამოყალიბდა.

XVI-XVII საუკუნეებში, მისი ძლიერების მწვერვალზე სულთან სულეიმან კანონმდებლის მმართველობისას, ოსმალეთის იმპერია იყო მძლავრი მრავალეთნიკური და მრავალენოვანი იმპერია, რომელიც აკონტროლებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, დასავლეთი აზიის, კავკასიის, ჩრდილოეთ აფრიკისა და სომალის ნახევარკუნძულის უმეტეს ნაწილს.

XVII საუკუნის დასაწყისში იმპერია მოიცავდა 32 პროვინციასა და უამრავ ვასალურ სახელმწიფოს. ზოგიერთი მათგანი მოგვიანებით იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო დანარჩენებმა საუკუნეთა მსვლელობისას სხვადასხვა სახის ავტონომია მიიღეს.

კონსტანტინოპოლის ფლობითა და ხმელთაშუა ზღვისპირა ტერიტორიების კონტროლით, ოსმალეთის იმპერია ექვსი საუკუნის განმავლობაში იყო დასავლური და აღმოსავლური სამყაროების ურთიერთობის ცენტრში. ევროპულ სახელმწიფოებთან ხანგრძლივი სამხედრო დაპირისპირებების შედეგად იმპერია მნიშვნელოვნად დასუსტდა და პირველი მსოფლიო ომის შედეგად საბოლოოდ დაიშალა. მის ტერიტორიაზე კი თურქეთის რესპუბლიკის გარდა წარმოიშვა ბალკანეთისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა უმეტესობა.

აქვე საინტერესოა ვნახოთ, თუ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ბოლოს როგორი იყო აღნიშნული ქვეყნების (იმპერიების) მოსახლეობის რიცხოვნობა.

ცხრილი 2

ქვეყნების მოსახლეობის რიცხოვნობა 2005 წლისათვის (მლნ კაცი)

| | რაოდენობა | პროცენტულად მსოფლიო მოსახლეობასთან |
|---|---|---|
| მთელი მოსახლეობა | 6400,0 | 100% |
| ჩ.მ. ჩინეთი | 1306,0 | 20,1 |
| ინდოეთი | 1100,0 | 17,2 |
| აშშ | 296,0 | [illegible] |
| იაპონია | 127,0 | 2,0 |
| რუსეთი | 144,0 | 2,2 |
| გერმანია | 82,0 | 1,4 |
| თურქეთი | 69,0 | 1,1 |
| საფრანგეთი | 61,0 | 0,9 |
| დ. ბრიტანეთი | 59,0 | 0,5 |

აქვე საინტერესოა იმის ნახვაც, თუ აღნიშნულ ქვეყნებში როგორც ნაწილდებოდა წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტი (ჯერჯერობით ხალხის ცხოვრების დონის განსასაზღვრად უკეთესი მაჩვენებელი არ შემუშავებულა: არის მცდელობა, ამ მაჩვენებელთან ერთად ამა თუ იმ ქვეყნების წარმატებულობის დასახასიათებლად გამოიყენონ ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცა გარემოს გაფრთხილება, ჯანმრთელობის დაცვა, განათლების ხელმისაწვდომობა და სხვ.).

ცხრილი 3

**მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 2015 წლის მონაცემები**

| ქვეყნები | მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით (ათ. აშშ დოლარი) |
|---|---|
| [illegible] | 41 |
| აშშ<br>[illegible] | 56,0<br>5,0 |
| [illegible] | 25 |
| [illegible]<br>[illegible] | 47,0<br>37 |
| [illegible] | 6 |
| საფრანგეთი<br>[illegible] | 41<br>37 |

ცხადია, მშპ-ს წარმოების ზრდა/კლება გავლენას ახდენდა მოსახლეობის ფულად შემოსავლებზე. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის არსებულ პროცესზე:

ყველაზე მაღალი საშუალო ნომინალური ხელფასი 2020 წელს შვეიცარიის მოქალაქეებს ჰქონდათ თვეში – $5933, მეორე ადგილზე $4245-ით სინგაპურია, სამეულს $4073-ით ავსტრალია ასრულებს. ნეპალში, ვენესუელაში, პაკისტანსა და ნიგერიაში კი საშუალო ხელფასი $200-ზე ნაკლებია. საქართველო კვლევაში არ შესულა. საქსტატის ცნობით 2020 წელს საშუალო ხელზე ასაღები ხელფასი 935 ლარს შეადგენდა, რაც იმდროინდელი კურსით $290-ს უდრიდა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Report on inequality in the world 2022
2. https://wir2022.wid.world/wwwsite/uploads/2021/12/Summary_WorldInequalityReport2022_Russian.pdf
3. world imbalance. Fact Collection
4. https://online.zakon.kz/Document/?doc_id=30185817
5. OECD Multilingual Summaries How Was Life? Global Well-being since 1820
6. https://www.oecdilibrary.org/sites/1779d5c0ru/index.html?itemId=/content/component/1779d5c0-ru
7. https://moluch.ru/archive/67/8811/
8. https://gtmarket.ru/ratings/world-population
9. https://nonews.co/directory/lists/countries/gdp-per-capita-ppp
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi

# საბანკო ოპერაციების მართვის სამართლებრივი საკითხები საქართველოში
# Legal Issues of Banking Operations Management in Georgia
## საბანკო ოპერაციების მართვის სამართლებრივი საკითხები საქართველოში

**ხათუნა შალამბერიძე** - ასოცირებული პროფესორი;
**სოფიკო მიქაბაძე** - - ასოცირებული პროფესორი;
**ნანული კირთაძე** - სამართლის დოქტორანტი,
მოწვეული სპეციალისტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**რეზიუმე.** კომერციული ბანკები ეკონომიკისა და საზოგადოების ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ითვლება. მათ მნიშვნელოვანი როლი უკავიათ ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში. საბანკო რეგულირების და ზედამხედველობის სრულყოფილმა სისტემამ, უნდა გადაწყვიტოს ის ამოცანები, რომლებსაც არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნები.

საქართველოს საბანკო საქმიანობის რეგულირების მექანიზმების საკითხების შესწავლას განსაკუთრებულ აქტუალურობას ანიჭებს მართვის თანამედროვე ეტაპზე ბანკების როლის გაძლიერება. საბანკო სისტემის საქმიანობის რეგულირება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს რეფორმების თანმიმდევრულ განხორციელებას, იურიდიულ-სამართლებრივი საკანონმდებლო აქტების დროული მიღების საფუძველზე საბანკო სისტემის განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

საბანკო რეგულირება არის ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემაში ძალიან მნიშვნელოვანი სამართლებრივი ელემენტი, რომელიც თავის მხრივ არის ბანკების მიმართ მოთხოვნათა დაცვის სპეციფიკური სისტემა. საბანკო ზედამხედველობის არსი, ფართო გაგებით, არის კონტროლი იმ სპეციფიკური მოთხოვნების დაცვაზე, რომლებიც ბანკებს ეკისრებათ. ასევე შეიძლება ვთქვათ, მათი საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე, ეს არის იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლითაც სახელმწიფო ორგანო აკონტროლებს და არეგულირებს საკრედიტო ორგანიზაციებისათვის დაწესებული ეკონომიკური ნორმატივების დაცვას.

საბანკო ზედამხედველობის და სამართლებრივი რეგულირების მთავარი მიზანი არის საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება, კომერციული ბანკების მდგრადობის და საიმედოობის უზრუნველყოფა, შესაძლო რისკის თავიდან აცილება და ამ გზით კომერციული ბანკების, მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა ინტერესების დაცვა.

**საკვანძო სიტყვები:** საბანკო ოპერაციები; საბანკო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება.

**Resume.** Commercial banks are considered an integral part of the economy and society. They play an important role in the growth of the country's economy. A perfect system of banking regulation and supervision should solve the tasks that cannot meet the requirements of the market economy.

The strengthening of the role of banks at the modern stage of management gives special urgency to the study of the mechanisms of regulation of banking activity in Georgia. Regulation of banking system activity, first of all, implies consistent implementation of reforms, creation of favorable conditions for the development and functioning of the banking system based on the timely adoption of legal-legal legislative acts.

Banking regulation is a very important legal element in the financial and credit system of the country, which in turn is a specific system of protection of claims against banks. The essence of banking

supervision, in a broad sense, is control over compliance with the specific requirements imposed on banks. It can also be said, based on their legislative acts, that it is a set of measures by which the state body controls and regulates the observance of economic norms imposed on credit organizations.

The main goal of banking supervision and legal regulation is to maintain the stability of the banking system, to ensure the stability and reliability of commercial banks, to avoid possible risks and thus to protect the interests of commercial banks, depositors and other creditors.

**Keywords:** Banking Operations; Legal Regulation of Banking Activities.

თანამედროვე გლობალური კრიზისების ფონზე საბანკო სექტორი ხასიათდება დიდი კონკურენტუნარიანობით. საზოგადოების მოთხოვნები რომ დაკმაყოფილდეს, მისი საქმიანობა უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს მაღალეფექტიანი. თანამედროვე ბანკები მძაფრი კონკურენციის პირობებში მუშაობენ. ამიტომ ისინი ცდილობენ მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შექმნან მომხმარებლებისათვის. სწორედ ამ საკითხებს ეხება უმთავრესად ბანკის სტრატეგიის განსაზღვრა, რაც წარმოადგენს ბანკის მიზნების შესრულების საუკეთესო გზების ამორჩევას მენეჯერული გადაწყვეტილებების საშუალებით. ბანკები განსაზღვრავენ თავიანთი განვითარების მიმართულებებს და ამ დროს ამოდიან იმ კონკრეტული საბოლოო მიზნებიდან, რომლებიც თავიანთ წინაშე დაისახეს.

საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად კომერციულ ბანკს, როგორც საკრედიტო ორგანიზაციას უფლება აქვს მოახდინოს იურიდიული და ფიზიკური პირების დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაცია და თავისი სახელით განათავსოს დაბრუნებადობის, ფასიანობის, ვადიანობის, გადახდევინების პირობით და განახორციელოს კლიენტების დავალებით საანგარიშსწორებო ოპერაციები. ბაზარზე ბანკის მდგომარეობის ადექვატური პოლიტიკის გატარება, მენეჯერებისა და მათი მიმღებების გუნდების ხარისხი, ურთიერთობა ინსაიდერებთან არის [8]

საქართველოში მნიშვნელოვანია კომერციული ბანკების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების საკითხები. საბანკო რეგულირებისა და ზედამხდეველობის მთავარი მიზანია საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება, კომერციული ბანკების საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაძლო რისკის თავიდან აცილება. ბანკის

[8] მარიამ შიუკაშვილი რისკების მართვა საბანკო სისტემებში წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2015 გვ.90
ზ.გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., 2017, გვ.226-227

ჩამოყალიბებასა და მისი საქმინობის განხორციელების ეტაპის უმთავრეს და პირველ საფეხურს მისი დაფუძნება და ლიცენზირება წარმოადგენს, ხოლო შემდგომ ეტაპებს ხშირ შემთხვევაში მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია მოიცავს, კომერციული ბანკის სრულყოფილ საქმიანობის განხორციელებას, ხელს უწყობს მისი სამართლებრივად სწორი რეგულირება და ზედამხედველობა.

საქართველოს სამოქალაქო სამართლიდან გამომდინარე კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს კრედიტის თემა. საბანკო კრედიტი საბანკო დაწესებულების უმნიშვნელოვანესი პროდუქტია. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა ქვეპუნქტის შესაბამისად, კომერციული ბანკებისათვის ნებადართულია „სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით"[9]. კრედიტის გაცემა საბანკო დაწესებულების უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გამოყოფს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას და განმარტავს, რომ: „საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს, ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით". საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მხარეები არიან კრედიტის გამცემი და მსესხებელი. კრედიტის გამცემი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგისტრირებული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული სუბიექტი. ამგვარი სუბიექტები შეიძლება იყვნენ კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და საკრედიტო კავშირები.[10]

რაც შეეხება მსესხებელს, იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური, იურიდიული პირი და პირთა გაერთიანება, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. საბანკო კრედიტის გაცემა საკრედიტო ორგანიზაციის მიერ წინასწარ განსაზღვრული პროცედურის დაცვით ხდება. სესხის გაცემამდე საბანკო დაწესებულება ამოწმებს სესხის მიმღების მსურველის

---

[9] https://matsne.gov.ge/ka/document/view/32962?publication=46

[10] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 867

ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობას, აფასებს მოსალოდნელ რისკებს და შემდომ იღებს გადაწყვეტილებას. საბანკო კრედიტის ხელშეკრულება ყოველთვის სასყიდლიანია და საპროცენტო განაკვეთი არის ორი სახის: მყარი და ცვალებადი. მყარ საპროცენტო განაკვეთში იგულისხმება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით წინასწარ დადგენილი ფიქსირებული საპროცენტო სარგებელი, რომელიც საბანკო კრედიტის ვადიანობის და ბაზარზე არსებული განაკვეთების ცვალებადობის მიუხედავად არ იცვლება ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე. ცვალებადია საპროცენტო განაკვეთი, რომელიც შესაძლებელია პერიოდულად გადაიხედოს კრედიტის გამცემის მიერ და მისი წინასწარ პროგნოზირება მსესხებლისათვის ძალიან რთულია[11]. სწორედ ამიტომ ცვალებადი საპროცენტო განაკვეთისა და მისი სიდიდის განსაზღვრის და გაზრდის წესებს შემდეგნაირად განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსი.

საბანკო კრედიტის გაცემისას დაცული უნდა იქნეს კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები საპროცენტო განაკვეთთან, პირგასამტეხლოსთან და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის დაკისრებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ჩანაწერი სამოქალაქო კოდექსში სიახლეა. საპროცენტო განაკვეთის და სესხის სარგებლობის ხარჯების მოცულობის განსაზღვრის ნორმის არსებობა აუცილებელი გახდა სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემულ სესხებზე შეუსაბამოდ მაღალი საპროცენტო სარგებლის პრაქტიკაში არსებობის გამო. სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯისა და წინსწრების საკომისიოს მოცულობის ზედა ზღვარი. კერძოდ, „მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის პროცენტის განსაზღვრისას სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს ორმოცდაათ პროცენტს, მათ შორის, სესხის ვადის გაგრძელების შემთხვევაში. ამ ნაწილის მიზნებისათვის სესხის ვადის გაგრძელებად მიიჩნევა არსებული სესხის დაფარვის შემდეგ ახალი სესხის გაცემა, თუ არსებული სესხის დაფარვიდან ახალი სესხის გაცემამდე 5 სამუშაო დღე არ გასულა“.

---

[11] გაბისონია ზ. საბანკო სამართალი, გვ. 174

„სესხის გაცემის შემთხვევაში ნებისმიერი საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის.[12]

თითოეულ დღეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის წლიურ ასორმოცდაათ პროცენტს“. შეზღუდულია სესხის წინსწრების საკომისიოს მოცულობა.

„თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, სესხის გაცემის შემთხვევაში გამსესხებელს ეკრძალება, მის მიერ გაცემული სესხის რეფინანსირების შემთხვევაში ან სესხის მომხმარებლის საკუთარი სახსრებით ან/და მესამე პირის მიერ, ამ კოდექსით დადგენილი წესით დაფარვის შემთხვევაში, მომხმარებელს დააკისროს წინსწრებით დაფარვის საკომისიო ან/და პირგასამტეხლო ან ნებისმიერი საჯარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად არის წინსწრებით დაფარვის საკომისიო ან/და პირგასამტეხლო, რომელიც სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის ორ პროცენტს აღემატება“.

სესხის ხელშეკრულების გაცემის უზრუნველყოფის მიზნით საბანკო დაწესებულებამ შესაძლებელია გამოიყენოს უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალება. მაგ: თავდებობა, იპოთეკა, გირავნობა, პირგასამტეხლო და სხვა. ამ საშუალებების არსებობის ძირითად მიზანს წარმოადგენს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების დამატებითი უზრუნველყოფა მსესხებლის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენება, უმეტესად ხდება ძირითადი ხელშეკრულების გაფორმების დროს. მათი სახე, ვადა და ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებით.

„საბანკო კრედიტი“ სპეციფიკური ელემენტებით გამოირჩევა. ისეთი დავები, სადაც მოსარჩელის როლში გვევლინებიან ბანკები, საქმეთა უმეტეს ნაწილს მოსარჩელენი, საარბიტრაჟო ხელშეკრულების საფუძველზე განსახილველად გადასცემენ არბიტრაჟს, სადაც ხელი ეშლება სასამართლოს დაამკვიდროს სრულფასოვანი, ერთგვაროვანი პრაქტიკა. ამ საქმეთა ძირითად შემთხვევაში არბიტრაჟი იღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებებს,

[12] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 13 იანვრის 2/04 ბრძანება

რომლებსაც სააპელაციო სასამართლო ცნობს და სააღსრულებო ფურცელს გასცემს (აქვე აღვნიშნავთ, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღება და მისი შემდგომ სააპელაციო სასამართლოში გაუსაჩივრებლობა, ძირითად შემთხვევაში ან მეორე მხარის მიერ შესასრულებელ ვალდებულებათა გულგრილ დამოკიდებულებაზე და/ან სამოქალაქო მართლშეგნების არქონის დონეზე მიუთითებს), რაც კვაზი, გაუმართავი სისტემის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულ იქნას შემდეგი წინადადებები: „სესხი და სასესხო ვალდებულებანი“, რომელშიც დეტალურად იქნება გაანალიზებული მისი, ხელშეკრულების დადების წესი და პირობები, ფორმები, მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა;

„საბანკო კრედიტის“ შინაარსი გვაძლევს საბანკო კრედიტის სასესხო ურთიერთობის ნაირსახეობად მიჩვევის საფუძველს, რასაც სამოქალაქო კანონმდებლობის ანალიზი ადასტურებს. კერძოდ, საჭიროა „სესხისა და სასესხო ვალდებულების“ ფართოდ განმარტების საფუძველზე მოხდეს კოდირება ეროვნულ სამოქალაქო კანონმდებლობაში და ასევე, მოხდეს მყარი ინსტიტუციური წესების ჩამოყალიბება. ყოველი ამ პრობლემის აღმოფხვრა, როგორ რა ფორმითა და მოცულობით უნდა იყოს რეგულირებული, ეს განხილვისა და არა ნაჩქარევი განსჯის საგანია, რადგან დღეს, საქართველოში მოდელური კანონების ნაჩქარევი მიღებისა და ამოქმედების საფუძველზე ვხვდებით საზოგადოებაზე მოურგებელ, ხარვეზის შემცველ ნორმატიულ აქტებს[13];

სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევისათვის ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ხელშეკრულებით არ იქნას გათვალისწინებული მსესხებლისათვის კაბალური პირობების შესრულების ვალდებულებები;

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული საბანკო კრედიტის ცნება/განმარტება, რაც სასურველი იქნება, რომ განიმარტოს შემდეგი რედაქციით: „საბანკო კრედიტის ხელშეკრულება წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების ისეთ ნაირსახეობას, რომლის მიხედვითაც საკრედიტო დაწესებულება საკუთრებაში აძლევს ან მოვალეა

[13] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 867

მისცეს მსესხებელს ფულადი სახსრები მხარეთა შორის შეთანხმებული ოდენობითა და პირობებით, ხოლო მსესხებელი ვალდებულია განსაზღვრულ დროში დააბრუნოს სესხი, მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად“;

საბანკო კრედიტის ხელშეკრულების, სასესხო ურთიერთობების ბუნება ასეთ განმარტებაში თავისუფლად ფორმულირდება. აგრეთვე, ამავე განმარტების ჩარჩოებში ექცევა მისი მიზნობრიობის, ანაზღაურებითობის, ორმხრივობის, ვადიანობის, კონსესუალურობის და უზრუნველყოფის განმსაზღვრელი ნიშნები;

სასამართლო პრაქტიკისა და კანონმდებლობის შესწავლის შემდგომ, უპრიანი იქნება თუ მოხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ გადასინჯვა-განახლება ამ ინსტიტუტის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების მიზნით;

სასურველი იქნება, თუ მოხდება ზემოაღნიშნული საკითხის მოწესრიგება მოქმედი კანონის კიდევ უფრო გაუმჯობესებისა და დახვეწის საფუძველზე, ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოებისათვის უფრო მეტად ხარისხიანი სამოქალაქო ბრუნვისა და გამართული სისტემის შეთავაზების კუთხით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბ., 2017;
2. შენგელია რ., შენგელია ე., სასესხო ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი, (ავტორთა კოლექტივი, ადამიანის უფლებები და კონსტიტუციური გარანტიები) თბ., 2019;
3. ჭეჭელაშვილი ზ., ქართული ბიზნესსამართალი (მეოთხე გადამუშავებული გამოცემა 2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით), თბ., 2017;
4. ზაალიშვილი ვ., სტანდარტული პირობების ცალკეული პრობლემური საკითხები შეთანხმების თავისუფლება და მისი ფარგლები, სამართლის ჟურნალი N1/2017, თბ., 2017;
5. შენგელია რ., შენგელია ე., სასესხო ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი, (ავტორთა კოლექტივი, ადამიანის უფლებები და კონსტიტუციური გარანტიები) თბ., 2017
6. Ellenberger J., in Palandt Der führende BGB-Kommentar Spitzenqualität 2018;
7. სტატისტიკა IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო გადაწყვეტილებათა პროაქტიული გამოქვეყნების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა. თებერვალი 2017. https://idfi.ge/public/upload1/IDFI_FOTOS_2016/Court_Desions_Proctive_Practice.pdf

8. Leitentscheidung des Reichsgerichts zur bereicherungsrechtlichen Abwicklung eines Wucherkredits; aus RGZ161,52 bis 61; 30.06.1939. http://ruessmann.jura.unisb.de/Kredit/Entscheidungen/Wucherkredit/V_50_38.htm
9. http://www.tbappeal.court.ge/?category=g
10. www.supremecourt.ge
11. https://financer.com/ge/sesxi/ipotekuri-sesxi/sesxis-gadaxda/
12. https://www.efse.lu/fileadmin/user_upload/File_Attachments/Publications/Brochures/EFSE_brochure _georgia_geo_210x210mm__3mm_trim
13. Proposed EU Consumer-credit Harmonisation Directive: Interim Report; Report, Report with Evidence, 13th Report of Session 2020, European Union Committee, House of Lords,.
14. მომხმარებლის ფინანსები და გადასახადები ევროპულ კავშირში, http://ec.europa.eu/consumers/financial_services/consumer_credit_directive/index_en.htm#related_d ocuments

## მიგრაცია და ქვეყნის ეკონომიკა: კავშირი და გამოწვევები
## Migration and Country's Economy: Relationship and Challenges Between them

**დალი სეხნიაშვილი,** პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**Dali Sekhniashvili,** Professor, Georgian Technical University

**Abstract.** The article considers intellectual migration and its impact on the economy of Georgia in general. It analyzes the impact of intellectual migration on the economy of Georgia and sets out ways to eliminate the problem, conducts research on the issues of intellectual migration in Georgia, makes appropriate conclusions and gives recommendations for improving the policy of intellectual migration in Georgia purpose.
We discuss current events and present a set of arguments on which our analysis is based. We have developed a common optimistic view of migration, which challenges the pessimistic views of the "brain drain". The effects of intellectual migration on the economy of Georgia are analyzed and ways to eliminate the problem are outlined, recommendations for policy improvement in this area are formulated.
The results of the research prove that low economic growth in Georgia is to some extent related to brain drain due to several factors, namely: institutional failure, low level of investment, health system, quality education and underdevelopment of other infrastructures that can make people's lives more meaningful in their homeland and which They can encourage migrants to stay in their home country and invest in their home country's economy.
The research shows that the negative effect of brain drain on economic growth is mainly due to the existence of poor proper institutions that could encourage migrants to stay in their home country and invest in their home country's economy.
The article uses the ordinary least squares approach and the method of empirical analysis and establishes a negative relationship between brain drain, remittances and economic growth. At the end of the paper, there are recommendations on policies to be implemented to reduce the brain drain in Georgia.

**Keywords:** Intellectual Migration, Brain Drain, Economic Growth, Remittances.

განათლებული და გამოცდილი ადამიანების მიგრაცია განვითარებულ ქვეყნებში გაგრძელდება მანამ, სანამ საერთაშორისო უთანასწორობა ცხოვრების სტანდარტებში დარჩება ისეთი, როგორიც არის ახლა. რაც უფრო პატარა და ნაკლებად განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო რთული იქნება მისთვის გლობალური კონკურენციის გაწევა და კვალიფიციური სამუშაო ძალის შენარჩუნება. ამის მიუხედავად, განვითარებულმა ქვეყნებმა ბევრი რამ შეიძლება გააკეთონ, რათა დაეხმარონ ასეთ ქვეყნებს მათ წინაშე არსებული პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ცხადია, რომ განათლებაში განხორციელებული ინვესტიცია არის აუცილებელი ქვეყნის ზრდისა და კეთილდღეობისთვის, თუმცა, საერთაშორისო ანგარიშების უმეტესობა აღიარებს, რომ ეს არა მხოლოდ ძვირი, არამედ გარკვეულწილად, სარისკო ინვესტიციაა ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის, რადგან განათლებული და პროფესიონალი ადამიანები უფრო ხშირად იპოვიან პროფესიული დასაქმების შესაძლებლობებს საზღვარგარეთ. შესაბამისად, გამოსავალი არის ის, რომ ინდივიდებმა თავად გადაიხადონ საკუთარი განათლების საფასური. მსოფლიო ბანკი სწორედ ასე ხედავს აღნიშნული დილემის გადაწყვეტის გზას, ხოლო გაეროს განვითარების პროგრამა საუბრობს „განათლების დაფინანსების რეფორმაზე", რათა გაფართოვდეს კერძო სექტორის შეთავაზება ისე, რომ ადამიანები, რომლებსაც სურთ საზღვარგარეთ წასასვლელად, არ იყვნენ დამოკიდებული სახელმწიფო დაფინანსებაზე.

ცხადია, რომ ჩვენი კვლევის ფარგლებში არ გადაიჭრება კვალიფიციური მიგრაციის შესახებ არსებული პრობლემები. ამ თემაზე რამდენიმე ათწლეულის კამათის მიუხედავად, მკაფიო დასკვნა არ გაკეთებულა და ამიტომ ანალიტიკოსებისთვის ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოულოდნელად გამოასწორონ ეს სიტუაცია. ფაქტი ფაქტად რჩება, რომ აუცილებელია ჩარევა ამ სფეროში, ამიტომ მნიშვნელოვანია არგუმენტების შესწავლაც.

ბოლო პერიოდის განმავლობაში ქართველი მიგრანტების რაოდენობა მკვეთრად იზრდება. გაერო-ს მონაცემებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნა საქართველოს მოქალაქეების მხრიდან საგრძნობლად მატულობს. კვლევებმა კი აჩვენა, რომ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში გასული ქართველი მიგრანტების უმრავლესობას - მათ 70%-ს უმაღლესი განათლება აქვს. ეს მონაცემები ცოტათი ძველია, თუმცა გაეროს მონაცემების მიხედვით განვითარებადი ქვეყნებიდან ინტელექტუალურ მიგრაციას მზარდი ტენდენცია აქვს. ამავე წყაროს ინფორმაციით, განვითარებადი ქვეყნებიდან მიგრირებული ინტელექტუალი მიგრანტების 2/3 ნაწილი გა

ნვითარებულ ქვეყნებში განაგრძობს მოღვაწეობას, როგორიც არის ამერიკა, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ავსტრალია.

მაღალინტელექტუალური სპეციალისტების უმრავლესობა მიდის საქართველოდან და შესაძლებელია, რომ ისინი უკან არ დაბრუნდნენ. მიზეზები კი, ძირითადად, არის ის ფაქტორები, რომ ხელი ვერ ეწყობათ მათ სამეცნიერო განვითარების თვალსაზრისით, ჩვენთან არ არსებობს ზოგიერთი სამეცნიერო მიმართულება, უცხოურ უნივერსიტეტებში გაცილებით უკეთესი სამეცნიერო გარემოა, უკეთესი ლაბორატორიები, მაღალი ანაზღაურება და სხვ.

ინტელექტუალური მიგრაციისადმი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ეფუძნება გარკვეულ ფასეულობებს. მაგრამ რა არის ეს ფასეულობები? ამ კითხვაზე ორი პასუხია. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოება/სახელმწიფო აცნობიერებს დიპლომის ღირებულებას და სურს, რომ დაიბრუნოს საკუთარი ინვესტიციები. ნაკლებად შემზღუდველი პოლიტიკა, როგორიც არის ემიგრაციის უფლება განათლების ხარჯების ანაზღაურებით, რა თქმა უნდა შესაძლებელია. ანუ, ეთიკური პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობს ამ ტიპის პოლიტიკა, არის ის, რომ საზოგადოების ინვესტიცია უნდა ანაზღაურდეს.

განათლებული მიგრანტებისადმი დამოკიდებულების და მიდგომის მეორე გზა მდგომარეობს იმაში, რომ შევაფასოთ ისინი არა წარსული ინვესტიციების, არამედ მისი პოტენციური წვლილის ფონზე. ეკონომისტმა ჯაგდიშ ბჰაგვატიმ შესთავაზა მიგრანტების დაბეგვრა წარმოშობის ქვეყნის სასარგებლოდ, როგორც კომპენსაცია იმ წვლილისთვის, რომელსაც ისინი გააკეთებდნენ, რომ არ წასულიყვნენ ემიგრაციაში. ამ ტიპის პოლიტიკის წამყვანი პრინციპია ის, რომ ქვეყნის კეთილდღეობის დანაკარგი უნდა იყოს კომპენსირებული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინტელექტუალური მიგრანტებისთვის წარმოშობის ქვეყნის წინაშე კომპენსაციის ვალდებულება არასაკმარისია ეთიკური თვალსაზრისით. არც შემოსავლების დაკარგვაზე დაფუძნებული არგუმენტები და არც ის არგუმენტები, რომლებიც ეხმიანება საზოგადოების ინვესტიციას განათლებაში, არ არის საკმარისი ასეთი ვალდებულების გასამყარებლად. ამის ნაცვლად, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტორების შეფასებას მშობლიურ ქვეყნებში, რომლებიც წაახალისებენ ადამიანებს სამშობლოსი დარჩენაზე.

კვლევის ფარგლებში ჩვენ დეტალურად გავეცანით მუანგი და მუენდას[14] და პიაბუო და ტიეგუჰონგის კვლევებს[15], სადაც მათ ეკონომიკურ ზრდაზე ინტელექტუალური მიგრაციის გავლენის გამოკვლევისთვის გამოიყენეს დინამიური ჩვეულებრივი უმცირესი კვადრატის მეთოდი, რათა შეემუშავებინათ მოდელი ტვინის გადინებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კორელაციის შესახებ აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში. ფუნქციური და პარამეტრული მოდელები მოცემულია ქვემოთ:

$RGD = f(BR_t, IMQ_t, REM_t, HCD_t, INFRA_t)$……..

$RGDP_t = \beta O + \beta IBR_t + IMQ_t + REM_t + HCD_t + INFRAt + \ldots + Ut$

საქართველოში ეკონომიკურ ზრდაზე ინტელექტუალური მიგრაციის გავლენის გამოსაკვლევად, ჩვენ ანალოგიურად გამოვიყენეთ დინამიური ჩვეულებრივი უმცირესი კვადრატების მოდელები. ცვლადების დროის სერიების თვისებები გამოკვლეული იყო (ADF) ერთეული ფესვის ტესტის გამოყენებით. ეს ტესტი გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა მიზეზობრივი კავშირი ცვლადებს შორის. ცვლადებს შორის გრძელვადიანი ურთიერთობა შემოწმდა იოჰანსენის კოინტეგრაციის ტესტის გამოყენებით, დინამიური ჩვეულებრივი უმცირესი კვადრატი, ხოლო გრეინჯერის მიზეზობრიობის ტესტი გამოყენებული იყო იმის დასადგენად, არის თუ არა მიზეზობრივი კავშირი ცვლადებს შორის.

სანდო შედეგის მისაღებად ცვლადების სტაციონარული ტესტირება მეტად მნიშვნელოვანია. ტესტმა აჩვენა, რომ 5% კრიტიკულ მნიშვნელობებზე, მშპ, ტვინების გადინება, ფულადი გზავნილები და ადამიანური კაპიტალის განვითარება სტაციონარულია 0.0000-ის შესაბამისად, როგორც ნაჩვენებია ცხრილში 1.

ცხრილი 1.

გაერთიანებული შედეგების პანელი

| ცვლადები | LL დონე | IPS დონე | Hadri დონე | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| მშპ | 4.81 | 4.85 | 4.30 | I(0) |
| ტვინის გადინება | 12.67 | 10.57 | 10.34 | I(0) |
| ფულადი გზავნილი | 2.75 | 2.54 | 2.23 | I(1) |
| ადამიანური კაპიტალი | 2.33 | 2.41 | 3.57 | I(1) |

**წყარო:** ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

[14] Mwangi B. & Mwenda S.. The effect of international remittances on economic growth in Kenya. Microeconomics and Macroeconomics, 3 (1), 2015

[15] Piabuo S. & Tieguhong J. Health expenditure and economic growth.  Health economics review, 7(1), 2017

ეკონომეტრიული კვლევით გამოვლინდა, რომ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების  უმეტესობა არ არის სტაციონარული ყველა დონეზე. ჩვეულებრივი უმცირესი კვადრატების (OLS) რეგრესიის შედეგები საიმედოდ რომ იყოს, სერია უნდა იყოს სტაციონარული დონეზე, ანუ I (0). ამ ფონის გათვალისწინებით, ცვლადების სტაციონარული ტესტირება უფრო სანდო შედეგის მისაღებად უაღრესად აუცილებელი ხდება.  ჩვენ გამოვიყენეთ ტექნიკის ისეთი სერია, როგორიცაა LLC, IPS და Hadri. ტესტმა აჩვენა, რომ 5% კრიტიკულ მნიშვნელობებზე, მშპ, ტვინების გადინება, ფულადი გზავნილები და ადამიანური კაპიტალის განვითარება სტაციონარულია 0.0000-ის შესაბამისად, როგორც ნაჩვენებია ცხრილში.

ამის გათვალისწინებით, კვლევისას გადავედით OLS პანელზე (იხ. ცხრილი 2).

კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ მოდელი არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და ინტელექტუალური მიგრაციის დამოუკიდებელი ცვლადი და სხვა ცვლადები ერთობლივად ხსნიან ეკონომიკურ ზრდას საქართველოში. შედეგებმა აჩვენა, რომ ტვინის გადინება, ფულადი გზავნილები და ადამიანური კაპიტალი ერთობლივად აჩვენებენ ეკონომიკურ ზრდას 0.75 პუნქტით.

ცხრილი 2

ჩვეულებრივი უმცირესი კვადრატების შედეგი

| ცვლადი | კოეფიციენტი | Std. შეცდომა | t სტატისტიკური | ალბათობა |
|---|---|---|---|---|
| ტვინის გადინება | -1.16E+11 | 2.19E+10 | 5.603205 | 0.0000 |
| ფულადი გზავნილები | -7.347504 | 1.477528 | 4.994463 | 0.0001 |
| ადამიანური კაპიტალი | 1286.503 | 205.0857 | 6.272950 | 0.0000 |
| R კვადრატი | 0.753052 | | | |
| F-სტატისტიკა | 114.7397 | | | |
| ალბ. (F-სტატისტიკა) | 0.0000 | | | |
| დარბინ-უოტსონი | 2.224 | | | |

**წყარო:** ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

ტვინების გადინება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ტვინების გადინების მაჩვენებლის ერთი პუნქტით ზრდა იწვევს  ეკონომიკური ზრდის 1.16E+11 შემცირებას. ეს გარემოება ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ტვინების გადინება გავლენას ახდენს განვითარებაზე და მისი ეფექტი ცალსახად ნეგატიური ხდება, როდესაც ემიგრაციის მაჩვენებელი მაღალია.

მეორე, ეკონომიკური ზრდის დაბალი მაჩვენებელი უმაღლესდამთავრებულებს ემიგრაციისკენ უბიძგებს. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ბევრი კურსდამთავრებული ტოვებს საქართველოს და მიემგზავრება იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური კეთილდღეობა უფრო მაღალია.

გარდა ამისა, ხელფასების მასშტაბი საქართველოში არ არის წამახალისებელი მსოფლიოში მათ კოლეგებთან შედარებით. ამის გათვალისწინებით, ემიგრანტების უმეტესობა, რომლებმაც უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ მიიღეს, სამშობლოში არ ბრუნდებიან. გარდა ამისა, ბიზნეს რისკების მაღალი დონე, არასათანადო ინფრასტრუქტურა, არასათანადოდ განვითარებულ ინსტიტუტები, ეკონომიკური და პოლიტიკური გაურკვევლობა არ ახალისებს ემიგრანტებს, რომ მათ ინვესტიციები განახორციელონ საქართველოში. ყველაზე გულდასაწყვეტი კი ისაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველო იღებს ფულადი გზავნილების დიდ რაოდენობას ჩვენი ეკონომიკის ზომასთან შედარებით, თითქმის არ არსებობს ფულადი გზავნილების გამოყენების წარმატებული ისტორიები.

უფრო მეტიც, ფულადი გზავნილები არ განაპირობებს საქართველოს რეალურ ეკონომიკურ განვითარებას სხვადასხვა მიზეზების გამო. ჩვენი კვლევის შედეგები ემპირიულად შეესაბამება მუანგი და მუენდას და პიაბუო და ტიეგუჰონგის კვლევებს. შესაბამისად, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ პოლიტიკის შემქმნელებს, დააწესონ საკმარისი სტიმული და მექანიზმები მიგრანტებისთვის და მათი ოჯახებისთვის, რათა მათ შეძლონ, რომ განახორციელონ ფულადი გზავნილების ინვესტიცია სხვადასხვა პროექტებში, რაც სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ მათ, არამედ საქართველოს მთელ ეკონომიკას.

ადამიანური კაპიტალი დადებითად მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან ჩვენი კვლევის თანახმად, ადამიანური განვითარების ერთი ერთეულით ზრდა იწვევს ეკონომიკური ზრდის 2.35E+11-ით ზრდას. სპეციფიკაციის მიუხედავად, ადამიანური კაპიტალისა ეს დადებითი ზრდის ეფექტი მნიშვნელოვანია 5%-იან დონეზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ შედარებით დაბალი ეკონომიკური ზრდა საქართველოში, გარკვეულწილად, დაკავშირებულია ტვინების გადინებასთან რამდენიმე ფაქტორის გამო, კერძოდ: ინსტიტუციური წარუმატებლობა, ინვესტიციების დაბალი დონე, ჯანდაცვის სისტემა, ხარისხიანი განათლება, გზები და წყალსადენი მილები და სხვა ინფრასტრუქტურა, რომლებსაც შეუძლიათ ცხოვრება უფრო მიმზიდველი გახადონ. დადასტურებულია, რომ ეკონომიკურ ზრდაზე ტვინის გადინების ნეგატიური ეფექტი ძირითადად არის განპირობებული სათანადო ინსტიტუტების არ არსებობით, რომლებსაც შეეძლებოდათ წაეხალისებინათ მიგრანტები, რომ დარჩნენ სამშობლოში და ინვესტიციები განახორციელონ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკაში.

კვლევა გვაწვდის იმ მნიშვნელოვანი არხების იდენტიფიცირების საშუალებას, რომელთა მეშვეობითაც ინტელექტუალური მიგრაცია გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. ჩვეულებრივი უმცირესი კვადრატების მიდგომის გამოყენება და ემპირიული ანალიზი ადასტურებს, რომ ფულადი გზავნილები და ადამიანური კაპიტალის განვითარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს ინტელექტუალური მიგრაცია საქართველოში ეკონომიკურ ზრდაზე. ჩვენ აღმოვაჩინეთ ნეგატიური კავშირი ტვინების გადინებას, ფულად გზავნილებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის.

ჩვენი მოსაზრებით, საქართველოში ტვინების გადინების შესამცირებლად შემდეგი პოლიტიკა არის რეკომენდირებული. უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა დანერგონ საკმარისი სტიმული და მექანიზმები მიგრანტებისთვის და მათი ოჯახებისთვის, რათა მათ განახორციელონ ფულადი გზავნილების ინვესტიცია სხვადასხვა პროექტში, რომლებიც სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ მათ, არამედ საქართველოს მთელ ეკონომიკას.

ფულადი გზავნილები საერთაშორისო მიგრაციის ყველაზე ხელშესახები სარგებელია. ათწლეულების მანძილზე დიდი იმედი იყო, რომ შინამეურნეობები, რომლებიც იღებენ ფულად გზავნილებს, განახორციელებენ მათ სასარგებლო ინვესტირებას, რათა შექმნათ ახალი შემოსავლის შესაძლებლობები. ბუნებრივია საინტერესო და ლეგიტიმურია კითხვა, თუ როგორ ხარჯავენ ადამიანები მიღებულ ფულად გზავნილებს. "ფულადი გზავნილების გამოყენების" შესახებ ჩატარებული კვლევების უმეტესობა ასკვნის, რომ ფულადი გზავნილების დიდი ნაწილი იხარჯება მოხმარებაზე და არა ინვესტირებისთვის და, შესაბამისად, არ გამოიყენება პროდუქტიულად.

მეორე, საჭიროა მთავრობამ შექმნას პროგრამები, რომლებიც საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს გააცნობიერონ თავიანთი პოტენციალი, მაგალითად, IT ინოვაციების ცენტრები, წაახალისონ ადგილობრივი იდეები და ასევე უზრუნველყონ შესაძლებლობები მოქალაქეებისთვის, რომლებმაც შეისწავლეს სპეციალიზებული პროგრამები.

მესამე, ქვეყანაში მაღალშემოსავლიანი სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა.

მეოთხე, უნდა განხორციელდეს ჯანსაღი მაკროეკონომიკური პოლიტიკა.

და ბოლოს, საქართველოს მთავრობამ საბოლოოდ უნდა აღმოფხვრას კორუფცია და ნეპოტიზმი ხელისუფლების ყველა დონეზე.

თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაშინაც კი, როდესაც ქვეყნები ინვესტირებას და პირობებს გააუმჯობესებენ, ზოგიერთი მოქალაქე მაინც

საჭიროდ მიიჩნევს მიგრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ უფრო ფართო კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც ხდება იმიგრაცია, მიგრაციის გადაწყვეტილება რჩება ინდივიდუალური.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ფანოზიშვილი რ. ტვინების გადინება, http://liberali.ge/articles/view/436/tvinebis-gadineba, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.03.2023
2. Bhagwati J., Delalfar W. The Brain Drain and Income Taxation, World Developement 1973 https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/0305750X73902246?via%3Dihub, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 08.03.2023
3. Bhagwati J., In Defense of Globalization, Oxford, Oxford University Press. 2004
4. Mwangi B. & Mwenda S.. The effect of international remittances on economic growth in Kenya. Microeconomics and Macroeconomics, 3 (1), 2015
5. Piabuo S. & Tieguhong J. Health expenditure and economic growth. Health economics review, 7(1), 2017.


# ფასიანი ქაღალდების ბაზრის როლი მთავრობის ვალის მართვაში
# The Role of the Securities Market in a Government Debt Management


**ნაზი ჭიკაიძე,** პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**მზევინარ ზოტიკიშვილი,** დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Nazi Chikaidze** – Professor, Georgian Technical University
**Mzevinar Zotikishvili** – Ph.D. student
Georgian Technical University



**აბსტრაქტი.** ქვეყნის განვითარებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსურ რესურსებს, რომელსაც მთავრობა მოიზიდავს ორმხრივი და მრავალმხრივი კრედიტორებისაგან, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი ბაზრებიდან ფასიანი ქაღალდების გამოშვებით.

ინვესტიციების მოზიდვისათვის აუცილებელია იყოს შესაბამისი გარემო, რაც ჩვენს პარტნიორებს მისცემს იმის საშუალებას, რომ უფრო თამამად განათავსონ სახსრები და ამით წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში.

მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ვალის მართვის ეფექტიანი პოლიტიკის გატარება და ვალის მართვის მიზნების მიღწევა. მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიულ მიმართულებებში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.



**საკვანძო სიტყვები:** ფასიანი ქაღალდები, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, მთავრობის ვალი, ინვესტიცია.

**Abstract**. Financial resources collected from bilateral and multilateral lenders, as well as those generated through the issuance of securities in international and domestic markets, play an essential role in the development of countries.
An appropriate economic environment that allows partners to fund economic resources is essential to attract investments. It will contribute to the country's economic growth.
The debt management strategy of the government should ensure effective debt management and the achievement of debt management objectives. The development of the securities market is an important dimension in the strategic direction of government debt management.

**Keywords:** Securities, Securities marker, Government debt, Investment

**შესავალი.** საქართველოში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებზე საუბარი შესაძლებელია დავიწყოთ სახაზინო ვალდებულებებითა და სახაზინო ობლიგაციებით. მათი გამოშვება ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს მიერ. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები იყიდება აუქციონზე, რომელიც ტარდება ეროვნული ბანკის მიერ წინასწარ გამოცხადებულ თარიღებში.

საქართველოში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შეძენა შეუძლიათ: იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რეზიდენტებს და არარეზიდენტებს. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შეძენა რეზიდენტებსაც და არარეზიდენტებსაც შეუძლიათ საქართველოს კომერციული ბანკების დახმარებით.

ამ საკითხში ბანკებსაც თავისი შეზღუდვები აქვთ დაწესებული. კერძოდ თითოეული ბანკის მიერ მოთხოვნილი ფასიანი ქაღალდების შესყიდვის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ემისიის 75 % ს. თითო კლიენტის განცხადების ჯამური მოცულობა კი არ უნდა აღემატებოდეს გამოცხადებული ემისიის მოცულობის 50 %.

**ძირითადი ნაწილი** სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებს მინიმალური რისკიანობა და მაღალი ლიკვიდურობა ახასიათებთ. ასეთი ფასიანი ქაღალდები ქვეყანაში საფინანსო ბაზრის განვითარებას ხელს უწყობს.

ბაზრის განვითარება კი თავის მხრივ ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მონეტარულ პოლიტიკაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ცხადდება მის ოფიციალურ გვერდზე აუქციონის პირობები, რის შემდეგაც კომერციული ბანკები იღებენ გადაწყვეტილებას მიიღონ ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებულ ამ აუქციონში მონაწილეობა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვისათვის.

ბოლო პერიოდში წინა წლებთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმართ კომერციული სექტორის აქტივობა.

ამის მიუხედავად ძირითად მაინც კომერციული ბანკები რჩებიან დიდი ნაწილის შემსყიდველები. მიუხედავად იმისა რომ ბოლო პერიოდში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გაიზარდა ბრუნვა, მაინც საჭიროა კიდევ უფრო მეტად მოხდეს ამ ბაზრის განვითარება რათა სახელმწიფო დასიანი ქაღალდები კიდევ უფრო მეტმა პიროვნებამ შეიძინოს და ამით თითოეულმა მათგანმა გარკვეული წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, თუნდაც მცირედით.

ქვეყნის ეკონომიკის კიდევ უფრო განვითარებისათვის მიზანშეწონილია ფასიანი ქაღალდების შესყიდვაში კიდევ უფრო ბევრი ორგანიზაციისა და ფიზიკური პირის დაინტერესება და ჩართვა.

საქართველო მსესხებელი ქვეყანაა, ამიტომ ამ თემის განხილვისას მიზანშეწონილია განვიხილოთ ინფორმაცია საქართველოს ვალის შესახებ.

ფინანსთა სამინისტროს მიერ მათ ოფიციალურ გვერდზე საქართველოს საშინაო და საგარეო ვალის შესახებ გამოქვეყნებულ მასალაში ჩანს თუ როგორი დიდი სხვაობაა საშინაო და საგარეო ვალს შორის. აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს ბოლო ხუთი წლის მაჩვენებლების სტატისტიკას. მართალია საგარეო ვალის კლება შესამჩნევია თუმცა მისი მოცულობა მაინც დიდია. ასევე საგრძნობი მატება არ ჩანს შიდა ვალში.

საგარეო ვალის აღებას თან ერთვის გარკვეული სახეობის ხარჯები, რომლებიც საკმაო მოცულობით გამოირჩევა.

დიაგრამა1: სახელმწიფო ვალის დინამიკა




წყარო: ბიუჯეტის მონიტორი, https://budgetmonitor.ge/ka/debt

შესაძლებელია საგარეო ვალის შემცირება საშინაო ვალის ხარჯზე, რომელიც ქვეყნის შიგნით არსებული თავისუფალი სახსრების მოზიდვით იქნება შესაძლებელი. აღნიშნული მოზიდვა კი ფასიანი ქაღალდების შესყიდვით იქნება შესაძლებელი.

საშინაო ვალს საგარეო ვალთან შედარებით რამდენიმე უპირატესობა გააჩნია. ესენია:

- სუვერენული კონტროლი, რაც მოიცავს მთავრობის მიერ სავალო ვალდებულებებზე კონტროლის ფლობას;
- ვალუტის სტაბილურობა, რაც გამომდინარეობს იქიდან რომ შიდა ვალი დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში;
- უფრო მცირე ხარჯები, რომელიც მოიცავს ქაღალდებში გადახდილ საპროცენტო განაკვეთებს და ასევე სხვა სახის საკომისიოებს. ეს ხარჯი ზოგადად უფრო დაბალია ვიდრე საგარეო ვალის დროს.
- უცხოურ ვალუტაში კონვერტაციის საჭიროება არ არსებობს, შესაბამისად ამ გადახდებზე არ მოქმედებს ვალუტის კურსის ცვალებადობა რომელიც რიგი სხვა შემთხვევებისგან არის გამოწვეული;
- შიდა კაპიტალური ბაზრის განვითარებას ხელს უწყობს და იწვევს მის განვითარებას.
- ახლა კი წარმოგიდგენთ საგარეო ვალების უარყოფით მხარეებს. ესენია:
- მაღალი საპროცენტო განაკვეთები;
- ვალის ხაფანგი. საგარეო ვალი წარმოადგენს გრძელვადიან ვალდებულებას რომელიც ტვირთად აწევს სახელმწიფოს და მისმა ხანგრძლივმა დაგროვებამ შეიძლება გაართულოს ვალის დაბრუნება;
- ვალუტის კურსის დევალვაცია;
- ვალუტის კურსის რყევასთან დაკავშირებული რისკები, რაც იმას ნიშნავს რომ ვალუტის ღირებულების გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს გადასახდელი ვალის ზრდა;
- შემცირებული სუვერენიტეტი. უცხო ვალის აღებამ შეიძლება შეზღუდოს მთავრობის შესაძლებლობები- მისდიოს დამოუკიდებელ ეკონომიკურ პოლიტიკას;
- დამოკიდებულება უცხოურ მსესხებლებზე. ამ დამოკიდებულებამ შეიძლება სახელმწიფო გახადოს მოწყვლადი მისი კრედიტორების პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებზე;
- დეფოლტის რისკი. თუ კი მთავრობა გახდება უუნარო ვალის გადახდაზე მაშინ მცირდება მისი საკრედიტო რეიტინგი და ეზღუდება საგარეო ფინანსურ რესურსებზე წვდომა;
- რეფინანსირების კურსი;
- ამცირებს ფინანსური კრიზისების დაძლევის უნარებს;
- გადაჭარბებულმა საგარეო ვალმა შესაძლოა შეამციროს ქვეყნის შესაძლებლობები განახორციელოს ინვესტირება სხვადასხვა სექტორში, რაც ხელის შემშლელია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის.

წარმოგიდგენთ, ბიუჯეტის მონიტორინგის მიერ გამოქვეყნებულ ბოლო მონაცემებს სახელმწიფო ვალის შესახებ. გრაფიკის შესაბამისად ჩანს ის მონაცემები რაზეც ვისაუბრე ზემოთ, რომ საგარეო ვალი ბევრად მეტია

საშინაო ვალზე და საგარეო ვალის უარყოფითი მხარეების თავის გავლენას მეტ-ნაკლებად მაინც ასახავს ქვეყნის ბიუჯეტზე.

გრაფიკში კარგად ჩანს რომ 2020 სა და 2021 წლებში სახელმწიფო ვალის მოცულობამ საგრძნობლად იმატა და 30 მილიარდ ლარსაც კი გადააჭარბა, რაც კოვიდპანდემიის ეკონომიკური კრიზისით იყო გამოწვეული. ამ ვალის მხოლოდ 20 % მოდის შიდა ვალზე დანარჩენი 80 % წარმოადგენს საგარეო ვალს. ამ მონაცემებით ვალის მოცულობა მშპ-სთან მიმართებაში 2020 წელს 60 % საც კი გადასცდა რომელიც კრიტიკულ ზღვარს წარმოადგენს.

ამ ეტაპისათვის ვალის შემცირება ფიქსირდება თუმცა მთლიანი მოცულობიდან შიდა ვალი ბევრად ნაკლებია საგარეო ვალზე.

ასევე საინტერესო სანახავია თუ რისგან შედგება საშინაო ვალი. საშინაო ვალის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე. გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ჩანს რომ საშინაო ვალი შედგება სახაზინო ვალდებულებებისაგან, სახაზინო ობლიგაციებისაგან და სხვა ფასიანი ქაღალდებისაგან, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ობლიგაციებს საქართველოს ეროვნული ბანკისათვის და ობლიგაციებს ღია ბაზრის ოპერაციებისათვის. ასევე საშინაო ვალში შედის საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალი.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, მისი განვითარება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება ფინანსური ბაზრის კერძოდ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებასთან მჭიდრო კავშირშია.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, განთავსებისა და მიმოქცევაში ჩაშვების ყველაზე კარგი მაგალითი მსოფლიოში ლიდერი ქვეყანა ამერიკაა. სწორედ ამერიკას აქვს მსოფლიოში ყველაზე დიდი და ძლიერი ფასიანი ქაღალდების ბაზარი.

საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების განვითარებული ბაზარი ამცირებს ბიუჯეტისთვის სესხების მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებს და რისკებს საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისთვის.

განვითარებული ბაზარი მთავრობას საშუალებას აძლევს სწრაფი რეაგირება მოახდინოს ფინანსურ საჭიროებებზე და ეფექტიანად მართოს ფულადი სახსრები.

ვალის პორტფელის ლარიზაციის ზრდის მიზნის მისაღწევად ფასიანი ქაღალდების განვითარებული ბაზარი კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების განვითარებული ბაზარი ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის ფუნდამენტს წარმოადგენს. ასევე, მნიშვნელოვან როლს

ასრულებს ნვესტორთა ბაზის ფორმირებასა და გაფართოებაში. მთავრობის ფასიანი ქაღალდი ქმნის სხვა კორპორაციული ფასიანი ქაღალდებისათვის ბენჩმარკს, რაც საბოლოო ჯამში კორპორაციულ ემიტენტებს საშუალებას აძლევს უფრო ეფექტურად მოიზიდონ ინვესტორები.

ამ მიმართულებით, მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიული მიზნებია: ა) ბაზრის ლიკვიდობის ზრდა და ბ) ინვესტორთა ბაზის დივერსიფიკაცია.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია შემდეგი

ნაბიჯების გადადგმა: ლიკვიდობის ზრდის მიმართულებით:

• ფასიანი ქაღალდების მოცულობის ზრდა. მიმოქცევაში არსებული ფასიანი

ქაღალდების გაზრდილი მოცულობა ზრდის ინვესტორების მხრიდან

დაინტერესებას. დიდი მოცულობის ბაზარი ამცირებს ინვესტორებისთვის

ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გასვლის რისკებს;

• მეორადი ბაზრის განვითარება. განვითარებული მეორადი ბაზარი

მნიშვნელოვანი ფაქტორია ინვესტორებისათვის. მეორადი ბაზრის განვითარების

მიზნით 2020 წლის ნოემბრიდან ფინანსთა სამინისტრომ საერთაშორისო

სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან კონსულტაციების შედეგად დანერგა

პირველადი დილერების საპილოტე პროგრამა.

ძლიერი ბენჩმარკი. ბენჩმარკის მოცულობა ბენჩმარკის სიძლიერის მთავარი ინდიკატორია. ფინანსთა სამინისტრომ 2018 წელს დაიწყო ბენჩმარკ ფასიანი ქაღალდების გამოშვება, რომელთა მოცულობა შეადგენდა 240 მილიონ ლარს.

ამჟამად, ყველაზე დიდი ბენჩმარკის მოცულობა შეადგენს 1,078 მილიონ ლარს, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა. პორტფელის სიჯანსაღისთვის, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პორტფელის კონცენტრაციას რამდენიმე ვადიანობის მქონე ძლიერ ბენჩმარკზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოხდეს დიდი ზომის ბენჩმარკების ეტაპობრივი შექმნა. აღსანიშნავია, რომ ბაზრის ზომა და ბენჩმარკის სიდიდე არის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი საქართველოსთვის ადგილობრივ ვალუტაში გამოშვებული სამთავრობო ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ინდექსებში (JP Morgan GBI-EM, FTSE Frontier Emerging Markets Government Bond Index) მოსახვედრად. შესაბამისად, პორტფელის გაჯანსაღებით შესაძლებელი გახდება აღნიშნული კრიტერიუმების დაკმაყოფილება

საშუალოვადიანი პერიოდისთვის.

ინვესტორთა ბაზის დივერსიფიკაციის მიმართულებით:

არარეზიდენტი ინვესტორების წილის ზრდა. არარეზიდენტი ინვესტორების წილის ზრდით მოხდება ინვესტორთა ბაზის დივერსიფიკაცია, რაც შეამცირებს ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული ვალის ხარჯს და გაზრდის ვალუტის შემოდინებას ქვეყანაში.

საცალო ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნა. საცალო ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნა ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ფინანსური ბაზრების შესახებ ცნობადობის ზრდას და ფინანსური განათლების დონის ამაღლებას.

მთავრობის საშინაო ვალი ძირითადად მზარდი ტენდეციით ხასიათდება. 2021 წლის ბოლოსთვის მთავრობის ფასიანი ქაღალდების პორტფელი მშპ-ის 9.7%-ს, ხოლო 2022წლის წინასწარი მონაცემებით, მშპ-ის 10.0%-ს შეადგენს. მის მნიშნველოვან ნაწილს სახაზინო ობლიგაციები წარმოადგენს, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს სახელით გამოშვებულ 2, 5 და 10 წლიან ფასიან ქაღალდებს. მთავრობის ფასიანი ქაღალდების გამოშვებების ზრდის მიუხედავად წლების განმავლობაში მოთხოვნა მნიშვნელოვნად აღემატებოდა გამოშვების მოცულობას.

მთავრობის ფასიანი ქაღალდების მოთხოვნა მიწოდების კოეფიციენტმა 2021 წლისთვის 2.5, ხოლო 2022 წლის ფაქტობრივი მონაცემით 2.3 შეადგინა.

**დასკვნა.** ეკონომიკის განვითარებისა და აღმავლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ფასიან ქაღალდებში სახსრების ინვესტირებაა. ფასიანი ქაღალდების სრული და ჯეროვნად განვითარება თავის მხრივ ფინანსურ სფეროსაც აჯანსაღებს. ამ უკანასკნელის გაჯანსაღება კი საბანკო სფეროს კიდევ უფრო გაძლიერებას განაპირობებს.

ფასიანი ქაღალდები არის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტი, რომლებიც გამოშვებულია ფინანსური სახსრების მოსაზიდად, რომელსაც მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია სახელმწიფო ვალის მართვაში.

ფასიანი ქაღალდების ბაზრების უპირველესი ფუნქციაა ხელი შეუწყოს რესურსების გადაცემას უმოქმედო რესურსების მქონე პირებისგან სხვებზე, კერძოდ მათზე რომლებსაც აქვთ პროდუქტიული საჭიროება ამ ფინანსებისა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. CFI (2023) External Debt; https://corporatefinanceinstitute.com/resources/economics/external-debt/ ; უკანასკნელად გადამოწმდა 7.03.2023
2. Mislav Brkich (2021) Costs and benefits of government borrowing in foreign currency: is it a major source of risk for EU member states outside the Euro? http://www.pse-journal.hr/upload/files/pse/2021/1/2.pdf ; უკანასკნელად გადამოწმდა 7.03.2023

3. WallStreetMojo Team (n.d) External Debt https://www.wallstreetmojo.com/external-debt/#advantages-and-disadvantages ; უკანასკნელად გადამოწმდა 7.03.2023
4. ბიუჯეტის მონიტორი უკანასკნელად გადამოწმდა 7.03.2023წ.https://budgetmonitor.ge/ka/debt
5. https://mof.ge/images/File/sashinao-valebi/2023/16-01-2023/DPD%20Stock_31.12.22.pdf
6. მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია 2023-2026 https://www.mof.ge/ უკანასკნელად გადამოწმდა 7.03.2023

# საქართველოს დამამუშავებელი მრეწველობის საექსპორტო პოტენციალის ანალიზი
# Analysis of the Export Potential of Processing Industry in Georgia

**ნინო გრიგოლაია,** ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
**მარინა ალანია,** ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ალტე უნივერსიტეტი

**Nino Grigolaia,** Doctor of Economics, Professor
**Marina alania,** Doctor of Economics, Professor
Alte University

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია საქართველოს დამამუშავებელი მრეწველობის საექსპორტო პოტენციალი. გაანალიზებულია დამამუშავებელ მრეწველობაში არსებული გამოწვევები. მიმოხილულია საქართველოს საექსპორტო პოლიტიკა, ჩამოყალიბებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების დადებითი ეფექტები. ნაშრომში დასაბუთებულია დამამუშავებელი მრეწველობის განვითრების და საექსპორტო პოტენციალის ათვისების აუცილებლობა.
დამამუშავებელ მრეწველობაში გამოვლინდა ოთხი წარმოება, რომელსაც შესაბამისი მხარდაჭერისას, გააჩნია ექსპორტის პოტენციალი, კერძოდ ტანსაცმლის წარმოება, ფეხსაცმლის წარმოება, ტყავისა და მასთან დაკავშირებული საქონლის წარმოება, ხის და კოპის წარმოება, ნაკეთობების წარმოება წნული მასალებისგან.
ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ დამამუშავებელ მრეწველობას გააჩნია საექსპორტო პოტენციალი, თუმცა ექსპორტის ძირითადი ნაწილია დაბალტექნოლოგიური პროდუქციაა. ექსპორტის სტრუქტურა არადივერსიფიცირებულია, როგორც პროდუქციის ნაირსახეობის თვალსაზრისით, ასევე საექსპორტო ქვეყნების თვალსაზრისითაც. ასევე ჯერჯერობით დაბალია ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის პოტენციალი, თუმცა არსებული შეთანხმება ამის შესაძლებლობას იძლევა.

**საკვანძო სიტყვები:** დამამუშავებელი მრეწველობა, საექსპორტო პოტენციალი, საგარეო ვაჭრობა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება DCFTA.

**Abstract.** The article discusses the export potential of Georgian manufacturing industry. The challenges in the manufacturing industry are analyzed. Georgia's export policy will be reviewed, positive effects of the agreement on the deep and comprehensive free trade area between Georgia and the European Union will be noted. The paper establishes the need to develop processing industry and exploit export potential. In the manufacturing industry, four productions were identified that have export potential with appropriate support, namely clothing production, shoe production, leather and related goods production, timber and coppice production, production of knitted goods.

The paper concludes that the manufacturing industry has export potential, although the bulk of exports are low-tech products. The export structure is not diversified, both in terms of product variety and export countries. The potential for entering the EU market is also still low, although the existing agreement offers the possibility.

**Keywords:** Manufacturing Industry, Export Potential, Foreign Trade, Agreement on Deep and Comprehensive Free Trade Space Between Georgia and The European Union DCFTA.

საგარეო ვაჭრობა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას. განუხრელად იზრდება საგარეო ვაჭრობის, განსაკუთრებით ექსპორტის მნიშვნელობა, როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკისათვის, ასევე რეგიონებისათვის და ეკონომიკის ცალკეული დარგებისთვის, მათ შორის დამამუშავებელი მრეწველობისათვის. მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური წარმატება ეფუძნება საგარეო ვაჭრობას. ჯერჯერობით ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ მოახერხა შეექმნა ჯანსაღი ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკური სისტემისგან იზოლირებულად (R.Wacziarg K. Horn Welch, 2014).

საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობა უნდა გაიზარდოს, პირველ რიგში ქართველი მეწარმეების მიერ საექსპორტო პროდუქციის მოცულობის ზრდით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო თანმიმდევრულად ახორციელებს ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის და სავაჭრო პარტნიორებთან ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას.

დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას შეუძლია ქვეყანას მთელი რიგი მიმართულებით მოუტანოს სარგებელი. საქართველო ბოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა, როგორც მომხმარებლური ეკონომიკა და დაბალია მისი მწარმოებლურობა. შესაბამისად ღრმავდება ქვეყნის სავაჭრო დეფიციტი, რაც ლარის გაუფასურებას და მრავალ სხვა ნეგატიურ ეფექტს იწვევს. საქართველოს სავაჭრო დეფიციტი 39.6 პროცენტია (_https://ex-trade, geostat.ge/ka ), რაც საკმაოდ არასახარბიელო მაჩვენებელია. ამდენად დამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის. დარგის განითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სტრუქტურულ ტრანსფორმაციას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, რაც გახდება, მდგრადი ეკონომიკური ზრდის საფუძველი. შემცირდება ქვეყნის სავაჭრო დეფიციტი, გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, შეიქმნება სამუშაო ადგილები, გაუმჯობესდება ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობა.

საქართველოს მთავარ უპირატესობად დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების, ინვესტიციების მოზიდვისა და ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით ქვეყანაში არსებული სავაჭრო პოლიტიკა და სავაჭრო

ხელშეკრულებები შეიძლება ჩაითვალოს. 90-იანი წლების შემდეგ ქვეყანამ გეზი აიღო ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკისაკენ, კანონმდებლობის თანახმად ექსპორტი და რეექსპორტი გათავისუფლებულია როგორც საბაჟო, ასევე დღგ-ს გადასახადისგან. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ დამატებული ღირებულების გადასახადისა და სააქციზო განაკვეთები ადგილობრივ და იმპორტირებულ საქონელზე თანაბარია. ასევე, მინიმუმამდეა დაყვანილი საჭირო ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა და გამარტივებულია მათი გაცემის პროცედურა. დამამუშავებელი მრეწველობის განვითარების, ინვესტიციების მოზიდვისა და ექსპორტის განვითარების თვალსაზრისით, ყველაზე დიდ წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ ბოლო წლების განმავლობაში ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებების რატიფიცირება. საქართველოს უკვე დიდი ხანია აქვს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი დსთ-ს ყველა ქვეყანასთან და თურქეთთან. 2014 წელს კი ძალაში შევიდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება DCFTA, რომელიც საშუალებას აძლევს ქართველ მეწარმეებს ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევიდნენ ევროკავშირის 500 მილიონიან ბაზარზე.

ასევე, აღსანიშნავია, რომ 2017 წლის შემდეგ საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება აქვს ჩინეთთანაც და რეგიონში პირველი ქვეყანაა ვისთანაც ჩინეთმა ამგვარი ხელშეკრულება გააფორმა. ხელშეკრულების ფარგლებში ქართული პროდუქციის 94% გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან ჩინეთის ბაზარზე შესვლისას. საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებულია ჩინური საქონლის საქართველოში იმპორტიც. საქართველო ასევე მუშაობს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებზე ინდოეთთან და ისრაელთან, რაც ქვეყნისთვის დამატებით შესაძლებლობებს გააჩენს პროდუქციის დივერსიფიკაციისა და ახალ ბაზრებზე შეღწევის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციისა და მნიშვნელოვანი სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმებისა, საქართველოს ჯერ მნიშვნელოვანი სარგებელი ამ მიღწევებიდან არ უნახავს. 2014 წლის შემდეგ ევროკავშირთან სავაჭრო დეფიციტის კუთხით მცირედი გაუმჯობესება შეინიშნება, თუმცა სტატისტიკა მერყევია და ამგვარ ტენდენციას გაუმჯობესებას ვერ დავარქმევთ. რაც შეეხება ჩინეთს, სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ჩინეთთან მეტად გაღრმავდა სავაჭრო დეფიციტი, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებული ხელშეკრულებით ჩინეთმა მეტად ისარგებლა, ვიდრე საქართველომ. იგივე შეიძლება ითქვას თურქეთზეც - 2014 წლის შემდეგ საქართველოს სავაჭრო დეფიციტი თურქეთთან ყოველწლიურად ღრმავდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ზრდადია დამოკიდებულება რუსეთის

ბაზარზე, როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის კუთხით რაც დამამუშავებელი მრეწველობის დარგის სამომავლო განვითარებას საფრთხეს უქმნის.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) არის ახალი თაობის შეთანხმება, რომელმაც საქართველოს გამოცდილება საერთაშორისო ვაჭრობასა და საერთაშორისო მოლაპარაკებებში შეცვალა http://www.dcfta.gov.ge/ge 4 .

შეთანხმების დასახელებაში ტერმინი ღრმა გულისხმობს საქართველოს ვალდებულებას მოახდინოს საკუთარი სისტემის დაახლოება ევროკავშირის სისტემებთან. ამ შეთანხმებით ჩვენი ევროკავშირთან დაახლოება უფრო სიღრმისეულია, ვიდრე უბრალოდ ვაჭრობა. საქართველომ თავისი სექტორული კანონმდებლობა ეტაპობრივად უნდა დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას. რაც შეეხება შეთანხმების დასახელებაში ტერმინს ყოვლისმომცვლი, იგი აღნიშნავს იმას, რომ შეთანხმება მოიცავს არამხოლოდ საქონლით ვაჭრობას, არამედ სერვისებით ვაჭრობასაც.

საქართველოსთვის კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან არის ერთ-ერთი დიდი გამოწვევა, რადგან ის გულისხმობს არა მხოლოდ სახელმწიფოს ადმინისტრაციული სისტემის შეცვლას, არამედ მეწარმეების მიერ საკუთარი ყოველდღიური საქმიანობის ტრანსფორმაციას, მათ უკვე აქვთ ვალდებულება საკუთარ საქმიანობაში სტანდარტების დანერგვის შესახებ. DCFTA-ს სწორედ ეს საკანონმდებლო მხარე მოიტანს შედეგად იმას, რომ არა მარტო ევროპაში გატანილი პროდუქტები, არამედ ჩვენს ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი პროდუქტები დააკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს. შესაბამისად DCFTA გავლენას ახდენს როგორც ექსპორტზე, ასევე ადგილობრივ ბაზრებზე, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს მათ შორის იმპორტირებული პროდუქტი იქნება ეს ინდოეთიდან, ჩინეთიდან თუ ნებისმიერი სხვა ქვეყნიდან. DCFTA-ს სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისგან სწორედ ეს საკანონმდებლო დაახლოების ვალდებულება გამოარჩევს. DCFTA-ით საქართველოს ევროკავშირთან დაახლეობის პროცესი ეტაპობრივია. პირობითად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველი ეტაპი გულისმობს 2014-2027 წლებს დაახლოების გეგმაში წერია რომელ სფეროებში რომელი მარეგულირებელი აქტი რომელ დირექტივასთან უნდა იყოს დაახლოებული. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არის ინსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს დაახლოების პროცესის წარმართვას და მონიტორინგს.

დამამუშავებელ მრეწველობაში გამოვლინდა ოთხი წარმოება, რომელსაც შესაბამისი მხარდაჭერისას, გააჩნია ექსპორტის პოტენციალი, კერძოდ: ტანსაცმლის წარმოება, ფეხსაცმლის წარმოება, ტყავისა და მასთან

დაკავშირებული საქონლის წარმოება, ხის და კოპის წარმოება, ნაკეთობების წარმოება წნული მასალებისგან. ეს დარგები ტექსტილთან, სოფლის მეურნეობასთან, ხე-ტყის დამუშავებასთან, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოებასთან ერთად ქმნიან კლასტერებს, რაც პერსპექტივაში ყველა დარგის განვითარების შესაძლებლობას იძლევა. ამჟამად ეს კლასტერები ჩანასახის მდგომარეობაშია და სწორი განვითარების და შესაბამისი ეკონომიკური პირობების არსებობის შემთხვევაში განვითარების კარგი პოტენციალი გააჩნიათ https://eprc.ge/wp-content /uploads/2022/02/.

ტანსაცმლის ინდუსტრია, ბოლო წლების განმავლობაში ზოგადად მრეწველობასთან და დამამუშვებელი მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით იზრდება. მართალია, მისი ხვედრითი წილი მრეწველობაში მაღალი არ არის, მაგრამ ზრდის პოტენციალი იმდენად მაღალია, რომ მისი გამოყენება, ახალ ბაზრებზე გასვლის შემთხვევაში პრობლემა არ არის. ასევე, ხის დამუშავების სფეროში სწრაფად იზრდება ბრუნვაც და დამატებული ღირებულებაც. ზრდის ტემპით უსწრებს დამამუშავებელ მრეწველობას და მთლიანად მრეწველობასაც. ხის დამამუშავებელ მრეწველობაში განვითარება მცირე მოცულობის ინვესტიციებითაა შესაძლებელი. ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტი საშუალოდ 10 პროცენტით იზრდება. პრესპექტიულ ქვედარგად ყალიბდება საბავშო ტანსაცმლის წარმოება და სათამაშოების წარმოება (უმეტესწილად ხის სათამაშოების), აღსანიშნავია რომ ამ დარგებში შედარებით მცირე დანახარჯებით შესაძლებელია მეტი ეფექტის მიღწევა.

ქართული ფეხსაცმლის წარმოებას განვითრების საკმაოდ ხელშესახები პრესპექტივა გააჩნია, რადგან წარმატებით ვითარდება მხარდამჭერი დარგები. აღსანიშნავია ქუთაისის ფეხსაცმლის წარმოების გეოგრაფიული კლასტერი. საწარმოთა ნაწილში იტალიური დიზაინით იკერება როგორც საბავშვო, სპორტული, ასევე გამოსასვლელი ფეხსაცმელები. თუმცა ევროკავშირის ბაზარზე გასასვლელად ქართველ მწარმოებლებს მნიშვნელოვანი დაბრკოლებების გადალახვა მოუწევთ, რადგან ევროპული ბაზარი რეგულირების თვალსაზრისით საკმაოდ მკაცრია. აქ, გარდა საკანონმდებლო შეზღუდვებისა, მოქმედებს კონკრეტულად მომხმარებლის საჭიროებაზე მორგებული სტანდარტები. თუმცა ევროპულ ბაზარზე შესვლის სირთულისა, იმპორტიორთა შორის არსებულმა კონკურენციამ, პროდუქციის გაიაფებამ, ტექნოლოგიურმა გაუმჯობესებამ, პროდუქციის მიტანის სერვისის გაუმჯობესებამ ახალ მოთამაშეებს მნიშვნელოვანი პერსპექტივა გაუჩინა.

ტყავისა და ტყავის დამუშავების დარგის პროდუქციის ექსპორტი იზრდება ევროკავშირში. ასევე, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ის გამოიყენება მსუბუქი მრეწველობის სხვა დარგებში, კერძოდ ფეხსაცმლის

წარმოებაში. ასევე, სტაბილურად იზრდება დამატებული ღირებულება, თანაც უფრო სწრაფად ვიდრე მრეწველობის სხვა დარგებში. 2014 წლიდან დღემდე იზრდება ტყავეულის ექსპორტი მსოფლიოსა და ევროკავშირის ქვეყნებში. ამ პროდუქციის ექსპორტი ხდება ფეხსაცმლის, ჩანთებისა და აქსესუარების მწარმოებელ ისეთ ქვეყნებში როგორიცაა იტალია და ესპანეთი.

ხის და კოპის წარმოების, წნული მასალებისგან დამზადებული ნაკეთობების ექსპორტი ბოლო წლებში შთამბეჭდავი ტემპით იზრდება, თან ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა გერმანია, პოლონეთი, საფრანგეთ, დიდი ბრიტანეთი, იტალია და ესპანეთი. ამ დარგის პროდუქციისათვის საჭირო ნედლეული თითქმის მთელი საქართველოს ტერიტორიაზე მოიპოვება. დარგი არის ნედლეულის მიმწოდებელი ავეჯის ინდუსტრიისათვის, ასევე, ხის სხვა დანიშნულების ნაკეთობების მწარმოებლებისათვის.

გამოიკვეთა უმთავრესი გამოწვევები საქართველოს დამამუშავებელი მრეწველობისთვის. კერძოდ: კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა; ნაწარმის შეზღუდული ასორტიმენტი, რაც არ იძლევა მოგების მაღალ მარჟებზე გასვლის საშუალებას; მაღალი დამოკიდებულება იაფფასიან მაკომპლექტებელ მასალებზე და სუსტი ინტეგრაცია ღირებულებათა ჯაჭვის სხვა აქტორებთან, მათ შორის მაკომპლექტებელი მასალების მწარმოებლებთან; პროდუქციის შედარებით დაბალი ხარისხი, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია შედარებით მაღალფასიანი და მაღალხარისხიანი ნიშის დაკავებაში; არასტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ვალუტის კურსის ცვალებადობა, რაც აძვირებს იმპორტირებულ მაკომპლექტებელ მასალებს და ამცირებს დარგის კონკურენტუნარიანობას.

ამრიგად, დამამუშავებელ მრეწველობას გააჩნია საექსპორტო პოტენციალი, თუმცა ექსპორტის ძირითადი ნაწილია დაბალტექნოლოგიური პროდუქცია. ექსპორტის სტრუქტურა არადივერსიფიცირებულია, როგორც პროდუქციის ნაირსახეობის თვალსაზრისით, ასევე საექსპორტო ქვეყნების თვალსაზრისითაც. ასევე, ჯერჯერობით დაბალია ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის პოტენციალი, თუმცა არსებული შეთანხმება ამის შესაძლებლობას იძლევა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ლომთაძე მ., ბიძინაშვილი თ., საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები, თბ., 2017
2. საქართველოდან ევროკავშირში მრეწველობის და მომსახურების ცალკეული პროდუქტების ექსპორტირების პერსპექტივების შეფასება https://eprc.ge/wp-content /uploads/2022/02/.
3. თავისუფალი ვაჭრობა ევროკაშირთან http://www.dcfta.gov.ge/ge 4

4. Wacziarg R. Welch K. Horn. Trade Liberalization and Growth: New Evidence. The World Bank Economic Reviw. 2014. .Pp. 187-231. http://documents.worldbank.org/curated/en/660841468162283031/pdf/775730JRN02 0080alization0and0Growth.pdf
5. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12
6. „საქსტატი“, საგარეო ვაჭრობის პორტალი https://ex-trade. geostat.ge/ka

# საქმიანი ტურიზმი: თანამედროვე გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები
# Business Tourism: Modern Challenges and development Prospects

**თამარ ბერიძე,** ასისტენტ პროფესორი
**ნარგიზ ფალავანდიშვილი,** ასისტენტ პროფესორი
**თამილა თურმანიძე,** ასისტენტ პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Tamar Beridze,** Assistant Professor
**Nargiz Phalavadishvili,** Assistant Professor
**Tamila Turmanidze,** Assistant Professor
Batumi Shota Rustaveli State University

**რეზიუმე.** საქმიანი ტურიზმი მოგზაურობის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული და მომგებიანი ფორმაა. ყოველწლიურად ქვეყნებსა და რეგიონებს შორის საქმიანი, კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობები სულ უფრო ინტენსიური ხდება. ამ მხრივ, ბიზნეს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება წარმატებული ბიზნესის წინაპირობაა და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე და მის მსოფლიო ბაზარზე ინტეგრაციაზე. თანამედროვე ბიზნეს ტურიზმი ჩამოყალიბდა, როგორც სწრაფად განვითარებადი ეკონომიკური სექტორი ბევრ ქვეყანაში, რომელიც უზრუნველყოფს სავალუტო შემოდინებას; სამუშაო ადგილების შექმნა ტურისტული პროდუქტის მოთხოვნის, ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ჯანდაცვის სექტორების განვითარებაში.
საქმიანი ტურიზმი თავისი ეკონომიკური ბუნებით ხელსაყრელია საქართველოსთვის, მაგრამ მის განვითარებას ხელს უშლის უამრავი გადაუჭრელი საკითხი და ორგანიზაციულ-ეკონომიკური, სამართლებრივი, სამეცნიერო, ტექნიკური, სამრეწველო და ფინანსური სირთულეები.
ქვეყანაში ბიზნეს ტურიზმის განვითარების პოზიტიური ტენდენციები აუცილებელია პრობლემის გადაჭრის ინტეგრირებულ მიდგომად ჩამოყალიბებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** საქმიანი ტურიზმი; ეკონომიკური ბენეფიტი.

**Resume.** Business tourism is one of the most promising and profitable forms of traveling. Each year, the business, cultural and scientific relations between countries and regions is becoming increasingly intense. In this regard, the business tourism industry development is a prerequisite for successful business and has the significant impact on the national economy development and its integration into the world market. The modern business tourism has been established as a rapidly developing economic sector in many

countries, providing foreign exchange inflow; create jobs in tourism product demand, economy, science, education, culture and health care sectors development.

The positive trends in the development of business tourism in the country are essential for the formation of a fragmentary form into the integrated approach to problem-solving. which is reflected in the development and implementation of appropriate strategies, which include legal, organizational and economic environment.

**Keywords:** Business Tourism; Economic Benefit.

სპეციალისტთა დიდი ნაწილი საქმიან ტურიზმს განსაზღვრავს, როგორც ,,შეხვედრების ინდუსტრიას“. სექტორს ძალიან ხშირად მოიხსენიებენ აბრევიატურით MICE, რომელიც შემდეგი ინგლისური სიტყვების აბრევიატურაა: meetings (შეხვედრები), incentives (წამახალისებელი ღონისძიებები), conventions (კონვენციები, ღონისძიებები) და exhibitions (გამოფენები). (შენიშვნა: არსებობს MICE-ს სხვადასხვა დეფინიცია, C-შეიძლება იყოს Conference (კონფერენცია), E-შეიძლება იყოს events (ღონისძიებები)). მსგავსი ღონისძიებები, დასაქმებული ადამიანების მოტივაციის ამაღლებაზე და წახალისებაზე მოგზაურობებითა და სხვა ტურისტული აქტივობებით ზრუნავს. ზოგ კომპანიაში წამახალისებელი ტურიზმის ტურებს ჯილდოდ იმ თანამშრომლებს გადასცემენ, რომლებმაც თავიანთი სამუშაო დიდი წარმატებით შეასრულეს. MICE-ის სხვა კომპონენტებისაგან განსხვავებით, რომლებსაც მუშაობის უფრო პროფესიული და საგანმანათლებლო მიზნები აქვთ, წამახალისებელ ტურიზმს უფრო დაჯილდოების სახე აქვს და კარგი გართობის საშუალებაც არის.

საქმიანი ტურიზმი მოიცავს როგორც კერძო საქმიან ვიზიტებს, ასევე საერთაშორისო კონგრესებს, სიმპოზიუმებს, კონფერენციებს, გამოფენებს და ბაზრობებს. MICE მსოფლიო მოცულობა იყოფა სამ ძირითად შემადგენელ ნაწილად. მიახლოებით 73%-ს შეადგენს კორპორატიული მოგზაურობა (როგორც კერძო, ასევე ჯგუფური), მოგზაურობები ყრილობებზე, კონფერენციებში, კონგრესებზე მონაწილეობის მიღება -16%-ს და დანარჩენი 11% მოდის გამოფენების/ბაზრობების ტურებზე.

საქმიანი ტურიზმი მოგზაურობის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული და მაღალშემოსავლიანი სახეა, რომელიც ხასიათდება მაღალი და სტაბილური ზრდით და კლიმატური, პოლიტიკური, ეკონომიკური ფაქტორების მიმართ მედეგობით.

საქმიანი ტურიზმის ბაზარი ტურისტული ბიზნესის სპეციალისტთა იმ ნაწილისთვის, რომლებიც ტრადიციული მასობრივი საექსკურსიო მიმართულებებით არიან დაკავებული, ნაკლებად მიმზიდველია. ამასთანავე, საქმიანი ტურიზმი - საკმაოდ ფართო კლიენტურა, მსხვილი ფულადი ბრუნვა, ტურ-ოპერატორების საკუთარი წრე და გაყიდვების

სპეციფიკური ორგანიზაციაა. ეს სექტორი მთელს მსოფლიოში ითვლება ტურიზმის პერსპექტიულ მიმართულებად პროგნოზირებადი და მა

ყოველწლიურად საქმიანი კულტურული და სამეცნიერო კავშირები ქვეყნებსა და რეგიონებს შორის სულ უფრო ინტენსიური ხდება. ამასთან დაკავშირებით საქმიანი ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება წარმატებული ბიზნესის პირობაა და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებასა და მსოფლიო ბაზარზე მის ინტეგრაციაზე. თანამედროვე პირობებში საქმიანი ტურიზმი ბევრ ქვეყანაში ჩამოყალიბდა როგორც სწრაფად განვითარებადი ეკონომიკური სექტორი, რომელიც უზრუნველყოფს უცხოური ვალუტის შემოდინებას, სამუშაო ადგილების შექმნას, სხვადასხვა ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის გაზრდას, ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ჯანდაცვის დარგების განვითარებას. საერთაშორისო საქმიანი ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოცემული ქვეყნის და ქალაქის რეიტინგის ამაღლებაში. განვითარებულ ქვეყნებში საქმიანი ტურიზმი შემოსავლის მიხედვით უსწრებს ნავთობის ბიზნესს, მიუხედავად იმისა, რომ საქმიანი ტურისტები საერთო ტურისტულ ნაკადებში შეადგენენ საერთო რაოდენობის 20-30%, მათზე მოდის ტურისტული ინდუსტრიის ბრუნვის 60% -მდე.

MICE განეკუთვნება ტურიზმის იმ ტიპს, რომელშიც მცირე და მსხვილი ჯგუფები წინასწარ განსაზღვრული მიზნების შესასრულებლად ერთიანდებიან. ეს ტერმინი, როგორც ინდუსტრიის სახელი, ფართოდ გამოყენებადია, განსაკუთრებით -აზიაში. სხვები, მაგალითად კონვენციების ინდუსტრიის საბჭო (Convention Industry Council-CIC) ამ სექტორს ,,შეხვედრების ინდუსტრიას“ უწოდებს. შეხვედრების ინდუსტრია ძალიან დიდია და პიკს აღწევს, როცა ეკონომიკა ზრდის პერიოდშია, ხოლო ფერხდება, როცა ეკონომიკის განვითარება ნელდება. CIC ეკონომიკის კვლევებს ინდუსტრიის სიძლიერის საჩვენებლად ყოველ 5 წელიწადში ატარებს. ამ კვლევამ აჩვენა, რომ შეხვედრების ინდუსტრია არის ბიზნესი, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით წელიწადში 365 დღეს მოქმედებს. ინდუსტრიის პირდაპირმა ხარჯმა 122.31 მლრდ დოლარი შეადგინა და სიდიდის მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტის 29-ე უდიდესი მონაწილე გახდა. ინდუსტრიის ხარჯები და საგადასახადო შემოსავლები ადგილობრივი ეკონომიკის ყველა სექტორზე აისახება, დაწყებული რესტორნებით და ტრანსპორტირებით, მაღაზიებითა და სხვა მომსახურებით დამთავრებული. შეერთებულ შტატებში ეს საქმიანობა 1.7 მილიონ სამუშაო ადგილს ქმნის.

საერთაშორისო ასოციაცია ICCA-ი უკვე რამდენიმე წელია ასახელებს გერმანიას საქმიანი ტურიზმის საუკეთესო ცენტრად ევროპაში. მსოფლიო

რეიტინგში ქვეყანა კვლავ აშშ-ს შემდეგ მეორე ადგილზეა. გერმანია საერთაშორისო გამოფენებისა და ბაზრობების მსოფლიო ცენტრად ითვლება. ყოველწლიურად, საშუალოდ 150 საერთაშორისო და რეგიონული გამოფენა-ბაზრობა ტარდება გერმანიაში, რაც ევროპაში ორგანიზებული საერთო რაოდენობიდან შეადგენს თითქმის ორ მესამედს.

გერმანიაში საქმიანი ტურიზმის ბაზრის სტრუქტურაში გამოირჩევა ორი ძირითადი სეგმენტი:1. ინდივიდუალური ჩასვლები 2.გამოფენებზე და ბაზრობებზე დასწრება.

ესპანეთი (მადრიდი და ბარსელონა) ცნობილია: განვითარებული ინფრასტრუქტურით, თანამედროვე საგამოფენო და კონგრეს-ცენტრებით, უნიკალური კულტურით, კლიმატით, გართობის მძლავრი ინდუსტრიით.(International ... 2020)

გლობალური საქმიანი მოგზაურობის ინდუსტრია აგრძელებს პროგრესს სრული აღდგენისკენ კოვიდთან დაკავშირებული მდგომარეობის გამოსწორებასთან ერთად. ახალი მოვლენები გავლენას ახდენს საქმიანი მოგზაურობის აღდგენის დროზე, ტრაექტორიასა და ტემპზე, როგორც გლობალურად, ისე რეგიონის მიხედვით.

2021 წელს გლობალურ საქმიან მოგზაურობებზე დანახარჯებმა 697 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც 5.5%-ით აღემატება 2020 წლის პანდემიის ეპოქის მაჩვენებელს. ინდუსტრიამ დაიბრუნა დაახლოებით 36 მილიარდი დოლარი 2020 წელს დაკარგული 770 მილიარდი დოლარიდან. 2022 წლის გამოჯანმრთელება დამოკიდებული იყო და დიდწილად განპირობებული იყო გლობალური საქმიანი მოგზაურობის აღდგენის ოთხი ფაქტორის გაუმჯობესებით - გლობალური ვაქცინაციის ძალისხმევა, ეროვნული სამოგზაურო პოლიტიკა, საქმიანი მოგზაურების განწყობა და მოგზაურობის მართვის პოლიტიკა - სადაც, პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო პერიოდში.” ( Stephanie Glanzer,....2022)

საქმიანი ტურიზმის განვითარება დადებითად აისახება სოციალური სფეროს განვითარებაზე. ბაზრის ბრუნვის გაზრდას 1 მილიარდი დოლარით, მოყვება 100 000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა. საქმიანი ტურიზმის განვითარებისადმი ინტერესი ბევრ ქვეყანაში იზრდება, რაც აიხსნება იმით, რომ ბიზნეს მოგზაური ხარჯავს სამჯერ მეტ თანხას, ვიდრე ჩვეულებრივი ტურისტი. საქმიანი ვიზიტები არ არის დამოკიდებული წლის სეზონზე, თუმცა, ასეთი ტურების ორგანიზების სპეციფიკა და სირთულე არ იძლევა მისი ყველგან განვითარების საშუალებას.

მოგზაურები საქმიან მოგზაურობას ახორციელებენ: სხვებთან შედარებით ნაკლებად არიან დამოკიდებული გარემო პირობებზე. საქმიანი მიზნებით საერთაშორისო ტურიზმი როგორც მეურნეობაში ასევე საგარეო ვაჭრობაში ასახავს შრომის ისეთ განაწილებას, რომლის დროსაც ექსპორტში მთავარ

როლს თამაშობენ მაღალგანვითარებული ქვეყნები. შეიძლება ვთქვათ, რომ ძირითადი გაცვლა ბიზნეს ტურისტებისა და შემოსავლებისა სწორედ ამის შესაბამისად ხდება. ზოგადად, საერთაშორისო ტურიზმი მაღალგანვითარებულ ქვეყნებში გვევლინება მნიშვნელოვან სავალუტო შემოსავლების წყაროდ. მთელ რიგ ასეთ ქვეყნებში საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები შეადგენს ექსპორტის მნიშვნელოვან ნაწილს.

საქმიანი ტურიზმის დაჩქარებული განვითარება აგრეთვე განპირობებულია მისი ეფექტურობით, რამდენადაც ტურისტული საქმიანობის არსებული სახეებიდან პრაქტიკულად არც ერთი არ ფლობს მსგავს მულტიპლიკაციურ ზემოქმედებას არა მხოლოდ ტურიზმის სფეროზე, არამედ მთელს ეკონომიკაზე.

საქმიანი ტურიზმი, თავისი ეკონომიკური ბუნებით ხელსაყრელია საქართველოსთვის, მაგრამ მის განვითარებას ხელს უშლის მთელი რიგი გადაუწყვეტელი პრობლემები და ორგანიზაციულ-ეკონომიკური, ნორმატიულ-სამართლებრივი, სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო და ფინანსური ხასიათის სირთულეები. მათ შორის აღსანიშნავია სერიოზული ჩამორჩენა ტურისტული საქმიანობის განვითარების პერსპექტივებსა და არსებულ მარეგულირებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შორის, საქმიანი ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე (განთავსების საშუალებები, კვება, სატრანსპორტო მომსახურება, გასართობი ინდუსტრიის ინსტრუმენტები და სხვა). სარეკლამო საქმიანობის, ტურისტული კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პრობლემები და სხვა.

საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციის ფარგლებში 2016 წლის თებერვლიდან ოფიციალურად ფუნქციონირებს საკონვენციო და საგამოფენო ბიურო, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს:

- საქართველოში საქმიანი ტურიზმის (MICE) განვითარების ხელშეწყობა
- ქვეყანაში სხვადასხვა სახის შეხვედრების, წამახალისებელი ტურების, კონფერენციების, გამოფენებისა და მსგავსი საერთაშორისო ღონისძიებების მოზიდვის წახალისება.
- საზღვარგარეთ საქართველოს საქმიანი ტურიზმის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

2021 წლის თებერვალში საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები წლიურად 91%-ით შემცირდა. 2020 წელს საქართველოში სულ 1.7 მილიონი ვიზიტორი იმყოფებოდა, რაც 81%-იან შემცირებას ნიშნავს. ეროვნული ბანკის მონაცემებით, საქართველოს ტურისტული სექტორის დანაკარგმა 2020 წელს $2.7 მილიარდი დოლარი შეადგინა. 2019 წელს კი ქვეყანას 9 მილიონზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორი ესტუმრა და

ტურიზმმა ქართულ ეკონომიკას $3.2 მილიარდიანი შემოსავალი მოუტანა. (ჩიტაია, 2022)

ქვეყანაში საქმიანი ტურიზმის განვითარების დადებითი ტენდენციების ფორმირებისთვის აუცილებელია განხორციელდეს პრობლემების გადაჭრის ფრაგმენტული ფორმიდან კომპლექსურზე გადასვლა, რაც გამოიხატება შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზაციაში, რომელიც მოიცავს სამართლებრივ-ორგანიზაციულ და ეკონომიკურ გარემოს.

მნიშვნელოვანად მიგვაჩნია საქმიანი ტურიზმის, როგორც ტურიზმის განსაკუთრებით მაღალშემოსავლიანი სახეობის არსისა და თავისებურებების ანალიზი. კონფერენციების, კონგრესის, საგამოფენო ღონისძიებების კლასიფიკაცია. უნდა განზოგადდეს ინსენტივ მოგზაურობის ძირითადი, სპეციფიკური მოთხოვნები და მათი ორგანიზების ადგილების შერჩევის კრიტერიუმები. გამოიკვეთოს ადგილების, როგორც საქმიანი ტურიზმის ცენტრის, მიმზიდველობა, ჩატარდეს რეგიონის/ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივის სვოტ ანალიზი. ჩამოყალიბდეს საქმიანი ტურიზმის კონცეფციის ძირითადი ფაქტორები, განისაზღვროს მისი პოზიტიური ზემოქმედების მიმართულებები ეკონომიკაზე. განზოგადდეს პრობლემები, რომლებიც შემაფერხებელია საქმიანი ტურიზმის ინფრასტრუქტურის ობიექტების ნორმალური ფუნქციონირებისთვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ჩიტაია ი. ,, MICE ტურიზმის განვითარების რა პოტენციალი აქვს საქართველოს?
2. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025. https://www. https://gnta.ge
3. Stephanie Glanzer 2022, https://www.meetingsmeanbusiness.com/case-studies-and-research
4. www.meetingsmeanbusiness.com
5. International Congress and Convention Association, https://www.iccaworld.org/

# ტურისტული ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების გზები
# Modern Problems and Ways of Development of Tourism Business

**ჯამბული ბიწაძე** - ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
**ნანა ბენიძე** - ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
**თინათინი გუგეშაშვილი**, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**რეზიუმე.** სტატიაში „ტურისტული ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების გზები" გადმოცემულია ტურიზმის როლზე და მნიშვნელობაზე ქვეყნის ეკონომიკასა და მის განვითარებაში. აღნიშნულია აგრეთვე ის პრობლემები რომელიც ამ დარგში არსებობს, ყურადღებაა გამახვილებული თუ რა გავლენა იქონია პანდემიამ ქვეყნის მაშტაბითნაშრომში საუბარია ტურისტულ ბიზნესში განხორციელებულ ცვლილებებზე. სტატიაში მოცემულია

ასევე აღნიშნულია ის პრობლემები, რაც ხელს უშლის ტურისტული ბიზნესის განვითარებას ქვეყნის მაშტაბით. კერძოდ:

1. პოლიტიკისა და ეკონომიკის არასტაბილურობა;
2. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის ნაკლოვანება;
3. სავალუტო კურსის მერყეობა;
4. შესაბამისი ინფრასრუქტურის არარსებობა;
5. ტურისტულ ბიზნესში დასაქმებული პერსონალის არაკვალიფიციურობა.

აქვე მოცემულია რესპოდენტთა რეკომენდაციები სხვადასხვა მიმართულებით. აღსანიშნავია:

- ტურიზმის სფეროში კანონმდებლობის დახვეწა და შესაბამისობა თანამედროვე ტურისტულ ბიზნესთან, რაც მიიღწევა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მაღალი დონის ჩართულობით;
- სასტუმროების ქსელის მოწესრიგება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა;
- ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
- სამოგზაურო დაზღვევის პაკეტების გაუმჯობესება.

ყოველივე ამის გათვალისწინება ხელს შეუწყობს ტურისტული ბიზნესის განვითარებას ქვეყნის მაშტაბით.

სტატიაში მოცემულია ავტორთა მოსაზრებები და რჩევები, რომელიც დანახულია მეცნიერთა თვალთახედვით და მისი პრაქტიკაში განხორციელება დაეხმარება დარგის საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში.

**საკვანძო სიტყვები:** ტურისტული ბიზნესი. ეკონომიკა. ინფრასტრუქტურა. სამოგზაურო დაზღვევა.

**Abstract.** There are the role and importance of tourism in the economy and development of country indicated in the article "the modern problems and the ways of development of the touristic business". There are also those problems which exist in this domain, the influence of the pandemic throughout the country is emphasized.

In the paper, there are discussed the changes in the touristic business. The results of the research are given in the article, the analysis of these results gives an idea about quality, infrastructure and the existence of unqualified specialists in touristic business.

There are also shown problems, which prevent the development of touristic business throughout the country, in particular:

1. Instability of politics and economy;
2. The lack of support from the government;
3. The fluctuation of currency;

4. Absence of appropriate infrastructure;
5. The unqualified personnel in touristic business

There are also indicated the recommendations of respondents on various subjects. It is noteworthy:

1. The sophistication of law in the field of tourism and appropriation with the modern business, which will be approached by the engagement of high-qualified specialists;
2. The arrangement of hotel network and its appropriation with international standards;
3. The arrangement of infrastructure;
4. The improvement of travel insurance package

Taking all of these into account will promote the development of touristic business throughout the country.

There are shown ideas and advice of authors, which are seen from scientists' point of view and using them practically will help to make the domain effective.

Keywords: touristic business, economy, politics, infrastructure, travel insurance.

ტურიზმის სფეროს მოთხოვნა უძველესი დროიდან არსებობდა, და დღესაც იგივე ტენდენციით ხასიათდება. ამ მიმართულებით მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება, როგორც მსოფლიო მასშტაბით, ასევე საქართველოშიც. ეს ყველივე ტურისტული ბიზნესის სიძლიერეზე მიუთითებს, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერესთან. ტურიზმი არის დარგი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებას, ისეთი დარგების განვითარებას, რომლებიც მასთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ კავშირშია. რაც მეტნაკლებად იწვევს ეროვნული ვალუტის კურსის სიმყარეს და საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს და სტაბილურობას. სწორედ აქედან გამომდინარე თემა აქტუალურია და მიზანშეწონილად მივიჩნიეთ კვლევის ჩატარება.

საქართველოს მთავრობის მიერ ტურიზმი ჩვენს ქვეყანაშიც აღიარებულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად. ტურიზმმა დიდი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელებაში.ტურიზმი 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიო კულტურასა და ეკონომიკაში მდგრადი განვითარების დარგად ჩამოყალიბდა, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურაში. ტურიზმმა რომ ეკონომიკური მოგება მოუტანოს ქვეყანას, ქალაქს, მისი განვითარება უნდა ატარებდეს მდგრად ხასიათს. ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა არსებობდეს შემდეგი კომპონენტები: 1) თავისუფალი დროის გატარების ფორმები და ღირშესანიშნაობები.2) ტურისტული ნაკადების მიღების და მომსახურების ინფრასტრუქტურა.3) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება. 4)

ადგილობრივი საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა.5) მოგზაურობების ორგანიზება. ტურისტული საინფორმაციო მომსახურებისთვის საჭიროა სამსახურების არსებობა და ტურისტული პროდუქტის ბაზარზე გატანა.

ტურიზმს, ისე როგორც სხვა ეკონომიკურ სექტორს სტაბილურად განვითარებისათვის სჭირდება შესაბამისი პოლიტიკის ჩამოყალიბება, როგორც ეროვნული, ასევე ლოკალური, რეგიონული განვითარების თვალსაზრისით. ტურიზმში პოლიტიკის შემუშავება აუცილებელია იმისათვის, რომ ეფექტიანად მივაღწიოთ დასახულ მიზნებს, რომელიც ჩამოყალიბდა კონკრეტული ქვეყნის, ან რეგიონის მასშტაბით მოკლევადიან და გრძელვადიან დინამიკაში.საქართველოში ტურიზმის დარგიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროდ ტურიზმის აღიარებამ და მთავრობის მხრიდან მის მიმართ განსაკუთრებულმა ყურადღებამ განაპირობა. მოგზაურობისა და პრიორიტეტულობის რეიტინგში საქართველომ 72-ე ადგილიდან 31-ე ადგილზე 27 გადაინაცვლა და ამ მაჩვენებლით მეზობელ სახელმწიფოებს მნიშვნელოვნად გაუსწრო. ტურიზმის განვითარება ქვეყნის ეკონომიკის ზრდის, სხვა დარგების განვითარების და ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის კარგი შესაძლებლობაა. ამიტომ სახელმწიფოები მის სტიმულირებას სხვადასხვა ღონისძიებებით ახორციელებენ. ერთ-ერთი მათგანია თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა. (გელაშვილი, დიხამინჯია 2016).

2023 წლის მონაცემებით 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით, დასვენება, გართობა, რეკლეცია-210,2%. მეგობრების/ნათესავების მონახულება-78,7%. მკურნალობა-1,8%. შოპინგი-16,6. ტრანზიტი-53,35%. ეკონომიკური საქმიანობა-26,0%. სხვა-5,7%. სულ-392,0% შეადგენს.

ახალი ტიპის კორონავირუსის გავრცელების შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმის სექტორმა მიიღო, ყველა იმ სფეროს ჩათვლით, რომელიც ერთიანობაში ამ ინდუსტრიას ქმნის. ტურიზმი არის მოსახლეობის დასაქმების, ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების, რეგიონული და ინფრასტრუქტურული განვითარების, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის, ქვეყანაში მრავალფეროვანი წარმოებისა თუ მომსახურების

შექმნის ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანი წყარო. აქედან გამომდინარე, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები პირდაპირ აისახა ქვეყნების შემოსავლებზე, რამაც საბოლოო ჯამში, პირდაპირ თუ ირიბად დიდ დანაკარგებთან მიგვიყვანა.

გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული რიგი გადაწყვეტილებები შეიძლება შეფასდეს, როგორც არსებული დაძაბული ფონის დეესკალაციისაკენ გადადგმული ნაბიჯი. გადაწყვეტილების მიხედვით, ტურიზმის სექტორის ობიექტებს (სასტუმრები, რესტორნები, კაფე-ბარები, სატრანსპორტო და საექსკურსიო კომპანიები და სხვა) ქონებისა და საშემოსავლო გადასახადები 4 თვით გადაუვადდათ. ეს შეეხება 18 000-მდე კომპანიასა და 50 000-ზე მეტ დასაქმებულ პირს.

2012-2021 წლებში საქართველოში არაერთი სისტემური რეფორმა განხორციელდა. საქართველომ სერიოზულ გაუმჯობესებას მიაღწია ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, მთავრობის გამჭვირვალობა, კორუფციისგან გათავისუფლება, ეფექტიანი მმართველობა, ბაზრის ეფექტიანობა და ხელსაყრელი ბიზნეს გარემო. სწორედ სისტემური რეფორმების წარმატებულმა და ეფექტიანად განხორციელებამ განაპირობა საქართველოს პოზიციების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ავტორიტეტულ საერთაშორისო რეიტინგებში.

მრავალი შესაძლებლობა არსებობს ამ სფეროში ინვესტიციების დაბანდებისას. 1993 წელს საქართველო გაწევრიანდა მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მდიდარია ტურისტული ღირშესანიშნაობებით. მაგრამ თანამედროვე ინფრასტრუქტურა მოწყობილი აქვს მათგან მხოლოდ 29%-ს. მნიშვნელოვანია გაირკვეს, რა ფორმით შეიძლება საქართველომ მონაწილეობა მიიღოს ტურისტული ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლებაში, ამისთვის რა წინაპირობები არსებობს. (ალფაიძე 2016).

აღსანიშნავია ისიც, რომ დაზღვევის როლი ტურისტული ბიზნესის განვითარებაში ერთ–ერთი სასიცოცხლოა, რადგანაც დაზღვევაზე მოთხოვნილება განვითარებული ქვეყნების მოქალაქეებს აქვთ და განვითარებული ქვეყნის მოქალაქე–ტურისტი კი უფრო მომგებიანია ეკონომიკური და რაოდენობრივი თვალსაზრისით სახელმწიფოსთვის. სწორედ უცხოელი ტურისტებისაგან მიღებული შემოსავლები,

ინდუსტრიაში მყოფი ფირმების გადასახადები და შანსი, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება, ქმნის ამ ქვეყნისათვის განვითარების შესაძლებლობას. სახელმწიფოს ამოცანაა, რომ მაქსიმალური სარგებლიანობა იქნეს მიღწეული და მკვეთრად უნდა იყოს გამოხატული სახელმწიფოს მიერ ტურისტული ბიზნესის სადაზღვევო დაცვა და მათი სადაზღვევო უზრუნველყოფა.

ტურიზმის ბიზნესის განვითარების საკითხში მნიშვნელოვანი როლი აკისრია უცხოური ვალუტის სტაბილურობას. უცხოური ვალუტის შემოდინება- ადგილობრივი ვალუტის გამყარების ერთ ერთი გზა ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებშია, რაც თავის მხრივ არეგულირებს ინფლაციურ პროცესებს რისგანაც განპირობებულია პროდუქტებზე ფასების სტაბილურობა.

<u>საქართველოს მთავრობამ გამოსცა განკარგულება (№ 693 2009წლის 22 სექტემბერი)ტურისტული ინფრასტუქტურის გაუნჯობესების მიზნით.</u> ტურისტული ინფრასტრუქტურა ეს არის ობიექტების და ინსტიტუტების ერთობლიობა,რომელიც წარმოადგენს მატერიალურ და ორგანიზაციულ ბაზას ტურიზმის განვითარებისათვის. .ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურა შესაძლებელს ხდის ტურიზმის განვითარებას, ამიტომ უნდა არსებობდეს სტრატეგიული გეგმა და კარგი მენეჯმენტი.

ეკონომიკურმა ბუმმა ტურიზმი გახადა ნებისმიერი ქვეყნის ინფრასტრუქტურის შექმნის აშკარა მიზეზი, რამაც შესანიშნავი სინერგია გამოიწვია სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებს შორის.როდესაც მთავრობა ახორციელებს ინვესტიციებს ტურისტულ ინფრასტრუქტურაში, ის ქმნის ხელსაყრელ წრეს, რომლითაც იგი ხელს უწყობს კერძო ინვესტიციებს და მის ეკონომიკურ მოგებას, ხოლო მეორეს მხრივ, კერძო ინვესტიციებს მივყავართ სოციალური მოგების სათავეში, რომელიც მთავრობის ინვესტიციებით ხდება.

იმისთვის, რომ ტურზმის ინდუსტრია იყოს მდგრადი მომავალში, მნიშვნელოვანია ეფექტური პოლიტიკის დაგეგმვა და განვითარება დღეს. პოლიტიკოსებმა, ოფიციალურმა პირებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა, რომლებიც ახორციელებენ დაგეგმვას უნდა განსაზღვრონ განვითარებადი ტენდენციები ტურიზმში და მიიღონ ახალი ზომები, რომელიც გამოიწვევს

თანმიმდევრულ ზრდას და ხარისხიანი პროდუქტის შექმნას, რაც მოუტანს სარგებელს, როგორც ტურიზმის სფეროს, ისე ადგლობრივ მოსახლეობას.

ტურიზმის გავლენაზე მხოლოდ საიმედო და ყოვლისმომცველი კვლევა გამოიწვევს კარგი გადაწყვეტილების მიღებასა და პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობას. სწორედ ამ მიზნით ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა კვლევა, რომლის შედეგების ანალიზმა შემდეგი სურათი აჩვენა:

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 130-მა რესპოდენტმა,რომელთაგან 67,55% მდედრობითია,ხოლო 32,5% მამრობითი.ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით რესპოდენტები ასე განაწილდა:20-25 წლის-57,5%, 26-35 წლის-7%, 36-40 წლის-6,5%, 41-55წლის-15%. 56-60 წლის-10%. 60 და ზევით-10%. სოციალური სტსტუსის მიხედვით:სტუდენტი-52,5%.მოსამსახურე-25%. საჯარო მოხელე-12,5%.უმუშავერი-7,5%. სხვა-2,5%. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაზეც ჩვენ ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება ეს იყო, თუ რა უშლიდა ხელს ტურისტული ბიზნესის განვითარებას საქართველოში.გამოკითხულთა 55% განაცხადა,რომ ეს მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა.47,5% -პოლიტიკური არასტაბილურობა.17.5%-ვალუტის კურსის მერყეობა.5%-საკანონმდებლო ბაზა.სხვა--15%.კითხვაზე,თუ როგორია სახელმწიფოს როლი,ყველა რრესპოდენტი აცხადებზ,რომ მნიშვნელოვანის(100%).რაც შეეხება პროფესიულ კადრებს-70% აცხადებს,რომ ნაწილობრივ არიან დაკომპლექტებული. შეესაბამება თუ არა სამოგზაურო დაზღვევა სტანდარტებს-65% აცხადებს,რომ ნაწილობრივ შეესაბამება. 22,5%-არ ფლობს ინფორმაციას, 7.5%-სრულად აკმაყოფილებს.

კვლევაში მნიშვნელოვანია რესპოდენტთა ხედვები ტურისტული ბიზნესის გაუნჯობესებასთან დაკავშირებით:

1. აუცილებელია პოლოტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია
2. სახელმწიფომ მეტი ყურადღება დაუთმოს ინფრასტრუქტურის გაუნჯობესებას
3. სახელმწიფომ მეტი მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს ტურისტული ბიზნესის მფლობელებს.
4. უნდა მოხდეს ტურისტულ ბიზნესში კადრების გადამზადება კვალიფიცირებული სექტორის მიერ.
5. სადაზღვევო კომპანიების მხროდან,სადაზღვევო პაკეტების გაუნჯობესება

**დასკვნები.** უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ სრულიად ვიზიარებთ კვლევაში მონაწილე რესპოდენტების მოსაზრებებს და ვიძლევით გარკვეულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება დაეხმარება დარგის სპეციალისტებსა და რეგიონის ხელმძღვანელობას დროულად გადაჭრან ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები და უფრო გაიზარდოს დარგის წილი ეკონომიკურ განვითარებაში. ეს რეკომენდაციებია:

1. აუცილებელია პოლოტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია
2. სახელმწიფომ მეტი ყურადღება დაუთმოს ინფრასტრუქტურის გაუნჯობესებას
3. სახელმწიფომ მეტი მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს ტურისტული ბიზნესის მფლობელებს.
4. უნდა მოხდეს ტურისტულ ბიზნესში კადრების გადამზადება კვალიფიცირებული სექტორის მიერ.
5. სადაზღვევო კომპანიების მხროდან,სადაზღვევო პაკეტების გაუნჯობესება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. https://openscience.ge/bitstream/1/2274/1/Tariel%20Ivaniedze%20Samagistro.pdf
2. https://ejournals.atsu.ge/BLSS2015/eJournal/Papers/BenidzeNana.pdf
3. file:///C:/Users/admin/Desktop/wlis_angarishi_2016.pdf
4. file:///C:/Users/admin/Desktop/wlis_angarishi_2016.pdf
5. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika
6. https://ka.warbletoncouncil.org/infraestructura-turistica-8049#menu-1
7. [ https://geoeconomics.ge/?p=13699
8. https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/vako.pdf
9. https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/vako.pdf

# კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე საქართველოს ნიადაგების ეკოლოგიური მდგომარეობა, მისი ათვისებისა და დაცვის თანამედროვე გზები

# Ecological State of Soils in Georgia, Modern Ways of their Use and Protection in the Context of Global Climate Change


**ლანა მზარელუა,**

ასისტენტ პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Lana Mzarelua**

Assistant Professor, Sokhumi State University

Faculty of natural Sciences, Mathematics, Technology and Pharmacy



**რეზიუმე.** კლიმატის ცვლილება ცოცხალი ორგანიზმისთვის წარმოადგენს გლობალურ პრობლემას და უდიდეს საფრთხეს, შესაბამისად დიდი გამოწვევების წინაშეა მსოფლიო, ხორციელდება კლიმატური რყევის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც „კლიმატის ცვლილების კონვენციის“ ფარგლებში მიმდინარეობს და სწორედაც, რომ კონვენციის სახელმწიფოებისათვის ძირითადი მოთხოვნა და ვალდებულებაა კლიმატის ცვლილებების და მისი შედეგების შესარბილებლად ბრძოლა.

ჩვენს ნაშრომში წარმოჩენილია საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსის ნიადაგის თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობა კლიმატური ცვლილებების ფონზე, როგორიცაა გაუდაბნოება, წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია, სოფლის მეურნეობაში ქიმიური სასუქების უნებლიე გამოყენება და თესლბრუნვის პროცესის გაუთვალისწინებულობა, ასევე შემუშავებულია ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნების რეკომენდაციები.

ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია ქიმიური სასუქების შეცვლა ისეთი ალტერნატიული, ეკოლოგიურად სუფთა საშუალებებით, როგორიცაა ვერმიკულტირებით, ბიოჰუმუსის გამოყენებითა და კომპოსტირებით.

ნაშრომში ავტორის მიერ დასახულია შემდეგი ღონისძიებათა გატარება: I. მდინარეთა მეანდრირებისა და გვერდითი ეროზიის გათვალისწინებით ნიადაგების დაზიანებული ფრაგმენტების მოწესრიგება, ფიტომელიორაციის წარმოება, დაზიანებული ფრაგმენტების გატყიანება. მიწების რეკულტივაცია, ღვარცოფების საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება, ქარსაცავი ზოლების მოწყობა და სხვ. ასევე აუცილებელია ნიადაგის ლაბორატორიული კვლევები, შემდგომში მიწის მენეჯმენტი და ფერმერებში ცნობიერების ამაღლება აგრარული მიმართულებით.



**საკვანძო სიტყვები:** კლიმატის ცვლილება, ნიადაგი, ეკოლოგია, გაუდაბნოება, ეროზია, ნაყოფიერება, დაცვა, მდგრადი განვითარება



**Abstract**. Climate change is a global problem and the greatest threat for living organisms, therefore the world is facing great challenges, the fight against climate change is being implemented within the framework of the "Climate Change Convention" and it is evident that the principal requirement and obligation for the member states of the convention is to fight against climate changes and mitigation of its consequences.

In our work is shown the modern ecological condition of soil, one of the important natural resources of agriculture in Georgia, on the background of climatic changes, such as desertification, water and wind erosion, inadvertent use of chemical fertilizers in agriculture and the careless process of crop rotation, as well as recommendations for maintaining of soil fertility, such as using vermiculture, biohumus and composting.

In this paper, the author plans to carry out the following measures: I. arrangement of the damaged fragments of the soil taking into account the meandering of rivers and lateral erosion, production of phytomelioration, the afforestation of the damaged soil fragments. Also Land re-cultivation, development of anti-flood measures, arrangement of windbreak lines and etc. are necessary. It is also necessary to perform laboratory studies of soil, for the direction of further land management and raising knowledge among the farmers in the agricultural sphere.

**Key words:** Climate Change, Soil, Ecology, Desertification, Erosion, Fertility, Protection, Sustainable Development.

თანამედროვე პერიოდში ნიადაგების ეკოლოგიურ მდგომარეობას, კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე და მისი ათვისების საკითხების შესწავლას თეორიული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც, ნიადაგი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ფასეული ბუნებრივი რესურსია, იგი დედამიწაზე სიცოცხლის წყაროდ არის აღიარებული და ლანდშაფტური გარსის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს. ხოლო დეგრადირებული ნიადაგების აღდგენისა და დაცვის ღონისძიებების შემუშავება ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

კლიმატის ცვლილება კაციობრიობისთვის და ცოცხალი ორგანიზმისთვის წარმოადგენს უდიდეს გლობალურ პრობლემას და საფრთხეს, შესაბამისად დიდი გამოწვევების წინაშეა მსოფლიო, ხორციელდება კლიმატური რყევის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ,,კლიმატის ცვლილების კონვენციის" ფარგლებში მიმდინარეობს და სწორედაც, რომ კონვენციის სახელმწიფოებისათვის ძირითადი მოთხოვნა და ვალდებულებაა კლიმატის ცვლილებების და მისი შედეგების შესარბილებლად ბრძოლა.

მსოფლიოში ნიადაგების დღევანდელი ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლა მოითხოვს გეოგრაფიის, ეკოლოგიისა და დედამიწის შემსწავლელ სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროს მკვლევართა ადეკვატურ რეაქციას,ს. აქედან გამომდინარე ჩვენი ნაშრომის მთავარი მიზანია საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსის ნიადაგის თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემების წარმოჩენა კლიმატური ცვლილებების ფონზე, ასევე ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნების რეკომენდაციების შემუშავება.

საქართველოში მიუხედავად იმისა, რომ იგი მცირე მიწიანი ქვეყანაა, წარმოდგენილია თითქმის ყველა ტიპის ნიადაგები დაწყებული ნახევრადუდაბნოს რუხი ნიადაგებით, მლაშობებით და დამთავრებული ალპური მდელოების ნიადაგებით.

კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი საშიში შედეგია ნიადაგების გაუდაბნოება და დეგრადაცია, ცნობილი ფაქტია, რომ ეს პროცესი მიმდინარეობს ჩქარი წესით, გაუდაბნოების შედეგად ყოველ წელს 12 მლნ.ჰა ანუ წუთში 23 ჰა მიწა იკარგება. მათზე დაახლოებით 20მლნ.ტონა მარცვლეული მოვიდოდა.ასევე 24 მილიონი ადამიანია ეკომიგრანტი და ვარაუდობენ, რომ მათმა რაოდენობამ 2050 წლისთვის შეიძლება 200მილ. გადააჭარბოს.

საქართველოშიც ნიადაგების გაუდაბნოების პროცესი ჩქარი ტემპით მიმდინარეობს რომელიც გამოწვეულია როგორც ბუნებრივი კლიმატური ცვალებადობით, ასევე სოფლის მეუნეობის არამდგრადი განვითარებით. ჩვენს ქვეყანაში დაახლოებით გაუდაბნოებულია 3000კმ2 მიწის ფართობი, ძირითად ეს ტერიტორიებია შირაქის და ელდარის დაბლობი, ივრის ზეგანი, ტარიბანას ზეგნებს , ნიადაგის გაუდაბნოების პრობლემა ყველაზე მეტად დამახასიათებელია კახეთის, ქვემო და შიდა ქართლის რეგიონისთვის. საქართველოში ნიადაგის უდიდეს ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიები, რომლის დროსაც ირღვევა ნიადაგის ბიოლოგიური ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და მცირდება მისი ნაყოფიერება ან ის გადაიქცევა ბენდლენდ ნიადაგად. ეროზიის გამომწვევი მიზეზებია როგორც ბუნებრივი ფაქტორები ისე ადამიანის არაგონივრული ზემოქმედება, მაგ.ქარსაცავი ზოლების არ არსებობა ან სიმცირე, სარწყავი სისტემების გაუმართაობა, ჭარბი გადამოვება.[1]

სულ საქართველოში ეროზირებულია 1 მლნ ჰა მეტი მიწა, აქედან სახნავი მიწები 380 ათ. ჰა საძოვრები და სათიბები 579 ათასი ჰა. და შავი ზღვის სანაპირო ზოლის 87ათ. ჰა. ქარისმიერ ეროზიას განიცდის 105ათ.ჰა სახნავ-სათესი სავარგული, 18 ადმინისტრაციულ რაიონში. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა სოფლის მეურნეობაში ქიმიური სასუქების უნებლიე გამოყენება და თესლბრუნვის პროცესის გაუთვალისწინებულობა, რომელიც იწვევს ნიადაგის უნაყოფობას, ზემოთ დასახელებული პრობლემები კატასტროფულად აფერხებს საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას და დიდ პრობლემას წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობისათვის, განსაკიუთრებულად აგრარულ სექტორში დასაქმებულთათვის, ამიტომ აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარება მდგრადი მიმართულებით, რომელიც მნიშვნელოვნად

გაუმჯობესებს სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურ მდგომარობას და უზრუნველყოფს მოსახლეობის კეთილდღეობას.

ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია ქიმიური სასუქების შეცვლა ისეთი ალტერნატიული, ეკოლოგიურად სუფთა საშუალებებით, როგორიცაა ვერმიკულტირება, ბიოჰუმუსის გამოყენება და კომპოსტირება.

ვერმიკულტირება ეს არის ბიოტექნოლოგიის ახალი მიმართულებაა და გულისხმობს ჭიაყელების ზოგიერთი სახეობის სამრეწველო გაშენებას. ჭიაყელები აფხვიერებენ ნიადაგს და მიწისქვეშ გაყავთ ქსელი და ასრულებენ მელიორაციული სამუშაოებს და გამოყოფენ დიდი რაოდენობით ჰუმუსს. ამავე დროს ჭიაყელა ორგანულ მასას უქრობს სუნს, აუვნებლებს, აგრანულებს და მიწის სასიამოვნო სურნელს სძენს. ისინი ორგანულ ნარჩენებს უფრო სწრაფად და სრულყოფილად გადაამუშავებენ, ვიდრე ნიადაგში მცხოვრები სხვა მიკროორგანიზმები. აღსანიშნავია ის რომ ჭიაყელას მიერ გადამუშავებული ნაკელი შვიდჯერ უფრო ეფექტური ხდება. ვერმიკულტირების გამოყენების უპირატესობა ისაა, რომ ჭიაყელების მოშენება შესაძლებელია სახლის პირობებში. მათ გამრავლებისთვის ესაჭიროებათ ტენიანი ნიადაგი. [2]

ბიოჰუმუსის გამოყენება ერთ-ერთი აპრობირებულია მეთოდია ნიადაგის ნაყოფიერების აღსადგენად, იგი წარმოადგენს ბიოლოგიურად აქტიურ და ეკოლოგიურ სასუქს. ასევე ნიადაგის ჰუმუსოვანი ნაწილის შენარჩუნების და გაუმჯობესების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია კომპოსტირება, რომელიც წარმოადგენს ბიოქიმიურ პროცესს, სადაც ორგანული ნარჩენების გარდაქმნა ხდება ჰუმუსის მსგავს პროდუქტად, რაც შეეხება ნიადაგის ქარისმიერი ეროზიის საწინააღმდეგოდ და მასში ტენიანობის შესანარჩუნებლად იყენებენ მულჩირებას, რომელიც გულისხმობს გვალვიან პერიოდში ნიადაგის ზედაპირის დაფარვას სხვადასხვა მასალით, მაგ. როგორიცაა ჩალა, ტორფი, ფოთლები, ნახერხი, ნაკელი, ფიჩხი, ახალგათიბული ბალახი, ნამჯას, პოლიმერულ მასალა და სხვ.

ნიადაგების დაცვის ღონისძიებათა შემუშავების მიზნით ჯერ კიდევ მრავალი ამოცანაა გადასაჭრელი:

1. ნიადაგების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, მოწყვლად ფრაგმენტებზე დაკვირვების ქსელის მოწყობა და კვლევის სტაციონარული ბაზის ორგანიზაცია;

2. მეცნიერულად დადასტურებული შედეგებიდან გამომდინარე ნიადაგების დაცვითი ღონისძიებების შემუშავება;

მიზანშეწონილად ითვლება შემდეგი ღონისძიებათა გატარება: I. მდინარეთა მეანდრირებისა და გვერდითი ეროზიის გათვალისწინებით ნიადაგების დაზიანებული ფრაგმენტების მოწესრიგება ფიტომელიორაციის წარმოება, დაზიანებული ფრაგმენტების გატყიანება. 2. ნიადაგების დაცვის მიზნით: ა). 150-ზე ნაკლები დახრილობის ფერდობებზე ტყის შერჩევითი ჭრის წარმოება; ბ). 150-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე ტყის ჭრის აკრძალვა); გ). ეროზიულ და მეწყრულ მოვლენებთან ბრძოლის ღონისძიებების გატარება;

3. მიწების რეკულტივაცია: ა). განივი და კონტურული დამუშავება და დაკვალვა; ბ). ბუფერზოლების მოწყობა და ფერდობების ზოლმორიგეობით ათვისება; გ). ნახნავების დატერასება; დ). ჩამორეცხილი ნიადაგების გაკორდება; ე). ქარსაცავი ზოლების მოწყობა;

4. კულტურული მცენარეების რეგულაცია - ფიტომელორაცია: ა). ქარსაცავი ზოლების მოწყობა; ბ). თავთავიანი კულტურების ჯვარედინი თესვა; გ). ბელტის გადმოუბრუნებლად დამუშავება ნამჯის შენარჩუნებით; დ). ნიადაგების დამაგრება მცენარეებით.

5. მელორაცია და ირიგაცია: ა). თოვლის შეკავება; ბ).ხელოვნური დაწვიმება; გ). დაშრობა.

6. ტექნიკური საქმიანობა: ა). ხევებისა და ხრამების გამაგრება; ბ). ღვარცოფების საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება; დ). მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დამუშავება და რეალიზაცია; ე). ტყის ქარსაცავი ზოლების მოწყობა; ვ). ნიადაგის დამუშავება მოხვნის გარეშე; ზ). ჯვარედინი თესვა; თ). დაკვალვა; ი). ირიგაციულ ეროზიასთან ბრძოლა; კ). სელებისაგან დამცავი ნაგებობების მოწყობა და სხვ.

ნიადაგის მდგომარეობის დასადგენად პირველ რიგში, საჭიროა ლაბორატორიული კვლევების ჩატარება, შემდგომში მიწის მენეჯმენტის დაგეგმვა და ფერმერებში ცნობიერების ამაღლება, აგრარული მიმართულებით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მზარელუა ლ. სასწავლო კურსი ნიადაგები და მიწის რესურსები თბილისი, 2019

2. კალანდაძე ზ, ტრაპაიძე ვ., ნიადაგების ნაყოფიერების პრობლემები ეროზიული პროცესების ფონზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. კონფერენციის მასალები ,,რეგიონული განვითარების პერსპექტივები: სამცხე-ჯავახეთი" თბილისი, 2016.
3. ურუშაძე თ., ბლუმი. ნიადაგების გეოგრაფია ნიადაგმცოდნეობის საფუძვლებით, თბილისი, 2011.

# საერთაშორისო ტურიზმი საქართველოში: პრობლემები, აღდგენის ღონისძიებები
# International Tourism in Georgia: Problems, Recovery Measures

**ნინო ლეთანძე**, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ)
**Nino Letandze**, Doctor of Business Administration, Assistant Professor,
Georgian National University (SEU)

**რეზიუმე.** საქართველოს ეკონომიკა დიდწილად არის დამოკიდებული საერთაშორისო ტურიზმზე, რადგან იგი უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა და მოსახლეობის დასაქმებას უწყობს ხელს, მაგრამ ქვეყნისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია შიდა ტურიზმი. COVID-19 და მასთან დაკავშირებული პანდემია აღმოჩნდა უდიდესი დამაზარალებელი ფაქტორი, რამაც გავლენა იქონია საერთაშორისო ტურიზმზე საქართველოში. კრიზისიდან გამოსასვლელად ტურიზმის სექტორი სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური მხარდამჭერი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.
ნებისმიერი კრიზისი თითქმის ყოველთვის იძლევა დამატებით შესაძლებლობებს შემდგომი ზრდისა და განვითარებისთვის. შესაბამისად, საქართველოში კორონავირუსის პანდემიამ დააჩქარა ტურიზმის ტრანსფორმაცია, რაც გულისხმობს შიდა ტურიზმზე მოთხოვნის ზრდას, ქვეყანაში უფრო მდგრადი ტურისტული ეკონომიკის შექმნას, ტურისტული სერვისების დიჯიტალიზაციის პროცესების დაჩქარებას. აღსანიშნავია, საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ტურიზმის განვითარებისთვის საქართველოში.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს ეკონომიკა, საერთაშორისო ტურიზმი, შიდა ტურიზმი, კოვიდ–19 და პანდემია, კრიზისის დაძლევა, სახელმწიფო ღონისძიებები, საერთაშორისო ორგანიზაციები.

**Abstract:**. The economy of Georgia is largely dependent on international tourism, as it is an important source of foreign currency inflow and promotes employment of the population, but domestic tourism is no less important for the country. The COVID-19 and related pandemic has proved to be the biggest negative impact on international tourism in Georgia. In order to get out of the crisis, the tourism sector needs effective support measures from the state.
Any crisis almost always provides additional opportunities for further growth and development. Accordingly, the coronavirus pandemic in Georgia has accelerated the transformation of tourism, which implies an increase in the demand for domestic tourism, the creation of a more sustainable tourism economy in the country, and the acceleration of the digitalization of tourism services. It should be noted that the role of international organizations for the development of tourism in Georgia.

**Keywords:** economy of Georgia, international tourism, domestic tourism, Covid-19 and pandemic, crisis management, state events, international organizations.

**შესავალი.** თემის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტორი, რომ საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტურიზმის სექტორზე. 2019 წლის მონაცემებით საქართველოს 5 მილიონზე მეტი ტურისტი ესტუმრა, მათგან მიღებულმა შემოსავალმა 3 მილიარდზე მეტი შეადგინა, რამაც ქვეყნის ეკონომიკაში წილობრივად შეადგინა დაახლოებით 20%. საქართველოში ჩამოსული ტურისტების რაოდენობამ მოსახლეობის რაოდენობას თითქმის 200%-ით გადააჭარბა. WTO-ს მონაცემებით საქართველოს ტურიზმის სფეროში საქმიანობდა 18 000-მდე კომპანია და 50 000-მდე ადამიანი. სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის სექტორი და ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაზარალდა COVID-19–ის შედეგად. ზოგადად, ტურიზმი ძალიან მგრძნობიარეა ისეთი კრიზისების მიმართ, როგორებიცაა ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა. იგი ნებისმიერ ცვლილებაზე გაცილებით სწრაფად რეაგირებს, ვიდრე ეკონომიკური საქმიანობის სხვა სფერო. COVID-19-მა შეცვალა მსოფლიო: დაინფიცირდნენ და დაიღუპნენ ადამიანები, რეკორდულად შენელდა ეკონომიკური ზრდა, დააზარალა ეკონომიკის დარგები, მაგრამ ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო ტურიზმმა, რადგან იგი უშუალოდ უკავშირდება მოგზაურობას და გადაადგილებას. 2020 წლის პირველი კვარტლის შემდეგ საქართველოში შეჩერდა საერთაშორისო მოგზაურობები. წლიურმა შემოსავალმა კი წინა წლებთან შედარებით განიცადა მნიშვნელოვანი ვარდნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, აქტუალური ხდება ტურიზმის ინდუსტრიაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა და ანალიზი.

არსებული რეალობა ითხოვს ტურისტული პროდუქტების ეფექტურად წარდგენასა და რეალიზებას. საჭიროა დროული ადაპტირება იმ გამოწვევებთან, რომელიც უკავშირდება საქართველოში COVID-19-ის გავლენას საერთაშორისო ტურიზმზე.

1. საერთაშორისო ტურისტული ჩამოსვლები საქართველოში და პანდემიის გავლენა

წარმოდგენილია მონაცემები, რომელთა მიხედვით საქართველოში განხორციელებული საერთაშორისო ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა პანდემიამდე ყოველთვიურად შეადგენდა საშუალოდ 450 ათასი ვიზიტორს. ვიზიტორთა ნაკადს ახასიათებდა მზარდი ტენდენციები, რომელმაც პიკს 2019 წელს მიაღწია და საშუალოდ ნახევარ მილიონიან ნიშნულს გასცდა. 2020-2021 წლებში ნაკადების მკვეთრი შემცირება დაფიქსირსა და 2019 წლის მონაცემების მხოლოდ მეხუთედი შეადგინა.

ნახ. 1   საერთაშორისო ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდ–ბა საქართველოში (ათასი) 2017–2021წწ




წყარო: Geostat.ge[16]

ნახ. 2  ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება  მეზობელი ქვეყნების მიხ. ათასი




პანდემიის ზეგავლენის შედეგად, ბუნებრივია, თითოეული ქვეყნიდან შემცირდა ვიზიტორთა რაოდენობა, მაგრამ ყველაზე შესამჩნევი რაოდენობრივი ცვლილება აღინიშნა მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში, საიდანაც ვიზიტორთა რაოდენობა ყოველთვიურად შემცირდა 60-80 ათასით. მეზობელ ქვეყნებს შორის უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ვიზიტების რაოდენობა განაწილდა შემდეგი თანმიმდევრობით - რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი.

ნახ. 3     საერთაშორისო ვიზიტორების საშუალო თვიური ხარჯის განაწილება (მლნ–ი ლარი)




[16] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/100/turizmis-statistika

საშუალო თვიური ხარჯებიც ტურისტული ჩამოსვლების შესაბამისად განაწილდა: მზარდი სტატისტიკა ახასიათებდა პანდემიამდე არსებულ პერიოდში, ხოლო 2020 წელს ფაქტობრივად განახევრდა წინა წლის მონაცემები და საგრძნობლად შემცირდა მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის მონაცემებით (მხოლოდ 3 კვარტლის) საშუალო თვიური ხარჯები წინა წლების (მათ შორის პანდემიამდელი პერიოდის) ანალოგიურ მონაცემებს საგრძნობლად აღემატება.

საერთაშორისო ტურიზმის მონაცემების ანალიზი ადასტურებს თუ როგორ შეიცვალა ტურიზმის ინდუსტრია პანდემიურ პერიოდში. განთავსებისა და კვების ობიექტებში დასაქმებულთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ცვლილება დაფიქსირდა: 2020 წლის მონაცემებით თითქმის განახევრდა დასაქმებულთა რაოდენობა.

**ნახ. 4 განთავსებისა და საკვების მიწოდების საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 2017–2021წწ**




წყარო: Geostat.ge

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი მიუთითებს, რომ საქართველოში კოვიდ–19–ით გამოწვეული პანდემიის შედეგად შემცირდა საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა და ხარჯები, უარყოფითი შედეგები დაფიქსირდა განთავსებისა და კვების ობიექტებში დასაქმების მხრივ, მნიშვნელოვნად შემცირდა ინვესტიციები და ზოგადად, ტურიზმის სექტორმა განიცადა კრიზისი. მხოლოდ შიდა ტურიზმის კუთხით იქნა დაფიქსირებული დადებითი ტენდენცია, რაც მიუთითებს, რომ ნებისმიერ კრიზისს არ მოსდევს მხოლოდ უარყოფითი პროცესები. შიდა ტურიზმის განვითრება ხელს შეუწყობს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას, შემოსავლების გადანაწილებას სოფლის მოსახლეობაზე. ასევე, შიდა ტურიზმი ნაკლებად მგრძნობიარეა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური შოკებისა და კრიზისების მიმართ.

2. პოსტპანდემიური პერიოდის კრიზისის დაძლევის ღონისძიებები

საქართველოს ტურიზმის სექტორის ანტიკრიზისული გეგმის ნაწილი გახდა ,,ახალი მოთხოვნადი’’ ტურისტული პროდუქტების არსებობა და

განვითარების შესაძლებლობა, რომლებიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ღვინის ტურიზმი, დაცული ტერიტორიები, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, ეკო და აგრო ტურიზმი, მთის კურორტები. საქართველოში შიდა ტურიზმის განვითარება ორიენტირებული უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის ადგილობრივი პროდუქციის მოხმარებაზე.

ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე თემებში (გორი, ქარელი, კასპი, ზუგდიდი) ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს კულტურული ტურიზმის საბაზრო სისტემა, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევების შედეგად დაფიქსირდა ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ კულტურული ტურიზმის განვითარებას. მაგალითად: განთავსების ობიექტების ნაკლებობა ხანმოკლე ტურისტული ჩასვლებისას, ღონისძიებებისა და ფესტივალების არასათანადო მარკეტინგი (ამის მაგალითია ანაკლიის მუსიკალური ფესტივალი), ტურისტულ მარშრუტებში არამატერიალური მემკვიდრეობის ძეგლების არასაკმარისი ჩართულობა. უნდა აღინიშნოს, რომ USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამა გახლავთ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ხუთწლიანი პროგრამა, რომლის მიზანია საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა და შემოსავლების გაზრდა. პროგრამის ფარგლებში ზემოთ დასახელებული მუნიციპალიტეტის მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა გასტრონომიული და არამატერიალური კულტურული ტურიზმის განვითარებისთვის მიიღოს თანადაფინანსება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც უნდა აღინიშნოს, არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ოთხწლიანი (2021-2024) პროექტი EU4Culture. მისი მიზანია ქალაქების კულტურული და სოციალური განვითარების სტრატეგიების მომზადებაში მხარდაჭერა, რაც გულისხმობს კულტურის პროფესიონალების მობილობის პროგრამების დაფინანსებას მუსიკალური ფესტივალებისა და ღონისძიებების ჩასატარებლად, არამატერიალური კულტურული ტურიზმის განვითარებისთვის პროექტების დაფინანსებას. EU4Culture პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 70-მა ქალაქმა აღმოსავლეთ პარტნიორობის 5 ქვეყნიდან: აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა. საქართველოდან გამარჯვებულად დასახელდა ქუთაისი, ზუგდიდი და ფოთი. თითოეულმა მოიპოვა 300 000 ევრო კულტურის სტრატეგიის განხორციელების მიზნით.

**დასკვნა.** თანამედროვე მსოფლიო ნაკლებად სტაბილურ ურთიერთკავშირშია, რაც ხშირად აისახება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროზე: ტრანსპორტი, ფინანსები, საინფორმაციო-ტექნოლოგიური

ინდუსტრია, ტურიზმი. XXI საუკუნეში გახშირებული კრიზისების (ძირითადად გახშირდა ბუნებრივი კატაკლიზმები, ტერორიზმი, პანდემია) გამო ტურისტები და ტურისტული მომსახურების მიმწოდებლები მიეჩვივნენ ამ სფეროს მაღალ მოქნილობას: ყოველი ახალი კრიზისის დროს, ქვეყანაში პრიორიტეტული ხდება ახალი ტურისტული მიმართულება. კრიზისის ყველა ნეგატიური შედეგის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ კორონავირუსის პანდემიის შედეგად საქართველოში ტურიზმის სექტორში გაჩნდა ცვლილებების აუცილებლობა, რაც გულისხმობს სოფლის ტურიზმის, გასტრონომიული და არამატერიალური კულტურული ტურიზმის განვითარებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ღლონტი ნ. ბერძენიშვილი ნ. ,,ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები", საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ISC SEU 2019 II, 10 ნოემბერი, 2019 წელი, თბილისი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი(SEU)
2. ღლონტი ნ. ,,შიდა ტურიზმი პანდემიის პირობებში''; ეკონომიკა და ფინანსები, N1; ეკონომიკის კვლევისა და განვითარების ინსტიტუტი, 2021
3. დუშუაშვილი თ. შიდა ტურიზმი საქართველოში, https://forbes.ge/
4. https://euneighbourseast.eu/[უკანასკნელად გადამოწმდა 10.03.2023];
5. https://www.amerikiskhma.com/a/usaid-resilient-communities-program-georgia/6818923.html[უკანასკნელად გადამოწმდა 10.03.2023];
6. Our mission is to support inbound-related business decisions with highly relevant analytics, https://www.germany.travel/ [უკანასკნელად გადამოწმდა 17.03.2023];
7. Bildung muss weitergehen/2021/09/ https://www.giz.de/ [უკანასკნელად გადამოწმდა 17.03.2023];
8. Кобяк М.В., Ильина Е.Л., Латкин А.Н., Валединская Е.Н., Астафьева О.А. ,,Влияние пандемии COVID-19 на мировой туризм: трансформационный потенциал и последствия для устойчивого восстановления'', Экономика, предпринимательство и право. Том 12, Номер 2, 02.2022 https://1economic.ru/ [უკანასკნელად გადამოწმდა 17.03.2023]
9. 9. https://gnta.ge/ge/სტატისტიკა/ https://wttc.org/Initiatives/To-Recovery-Beyond [უკანასკნელად გადამოწმდა 15.03.2023]
10. ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა
11. http://www.economy.ge/?page=news&nw=1479
12. "პანდემიის პირობებში ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული გამოწვევები, სიტუაციის სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის რეკომენდაციები" https://eap-csf.ge/ [უკანასკნელად გადამოწმდა 10.03.2023].

# დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში
# Directions for Improving the State Employment Policy in Georgia

ეკა ლეჟავა, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს იმერეთის რეგიონის ხელმძღვანელი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**Eka Lezhava,** Head of Imereti Branch, State Employment Agency
Akaki Tsereteli State University, Invited specialist
PHD student of Technical University of Georgia

**აბსტრაქტი.** უმუშევრობა ქვეყანაში ცხოვრების ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომი მაჩვენებელია. უმუშევრობა მწვავე პრობლემაა საქართველოში. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ინსტრუმენტს კი სამუშაო ძალის მიღმა მყოფი სოციალურად დაუცველი მოქალაქეების შრომის ბაზარზე გააქტიურება წარმოადგენს. აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების მიზნით საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამა ამოქმედდა ქვეყანაში. სტატიაში განხვიხილავ მოკლევადიან პერიოდში პროგრამის შედეგებს.

**საკვანძო სიტყვები:** საკვანძო სიტყვები: უმუშევრობა, დასაქმება, სახელმწიფო პოლტიკა, საზოგადოებრივი სამუშაოები.

**Abstract.** Unemployment is one of the important indicators of the quality of life in the country. Unemployment is an acute problem in Georgia. One of the tools of the implementation of the state policy of employment promotion is the activation of socially vulnerable citizens who are outside the labor force in the labor market. In order to implement the mentioned policy, the public works employment program was launched in the country. In the article, I will discuss the results of the program in the short term.

**Keywords:** Unemployment, Employment, State Policy, Public Works.

სიღარიბე არის სერიოზული გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს განვითარებადი ქვეყნები დგანან. საჭიროა ფოკუსირებული და მდგრადი მოქმედება სიღარიბის ციკლის გასარღვევად და ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად.

უმუშევრობა/დასაქმება ქვეყანაში ცხოვრების ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომი მაჩვენებელია. უმუშევრობა მწვავე პრობლემაა საქართველოში. ამას მოწმობს საზოგადოებრივი კვლევები, სადაც ხალხს უმუშევრობა უმთავრეს გამოწვევად მიაჩნიათ, ვიდრე ადამიანის უფლებები, ტერიტორიული ერთიანობა, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, განათლება და ა.შ.

საქართველოს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2022 წელს უმუშევრობის დონე ქვეყანაში 17.3% იყო, 2021 წელს კი 20.6 %. 2022 წლის მეოთხე კვარტალში უმუშევრობის პროცენტული მაჩვენბლი 16.1%-მდე შემცირდა, 2021 წელს ანალოგიურ პერიოდში კი 19 % იყო.

აღნიშნული პოზიტიური შედეგების განმსაზღვრელ ფაქტორად სახელმწიფო პოლიტიკის შემოქმედნი ქვეყანაში ბოლო საანგარიშგებო პერიოდში გატარებულ დასაქმების ხელშემწყობ სახელმწიფო პოლიტიკას ასახელებენ, რაც ნაშრომის განხილვის საგანი იქნება. სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა დასაქმების ხელშემწყობი პროგრამის საფუძველზე დახმარების მიმღებ პირთა გარკვეული ნაწილი აღნიშნული პოლიტიკით დასაქმდა, შესაბამისად სამუშაო ძალის შემადგენელ ნაწილად იქცნენ და საანგარიშგებო პერიოდისთვის აღარ ითვლებიან უმუშევრად. ეკონომისტები უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებლის შემცირების განმაპირობებელ ფაქტორად ასევე თვლიან ემიგრაციულ პროცესებს. მოქალაქეები, რომლებიც ტოვებენ ქვეყანას, აკლდება სამუშაო ძალას და შესაბამისად ისინი აღარ ითვლებიან უმუშევრებად, რაც პოზიტიურად ვერ შეფასდება.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის პირველი იანვრიდან ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელების მიზნით ფუნქციონირება დაიწყო დამოუკიდებელი სახით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულმა **სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ,** ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელების მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 21 თებერვლის N 81 დადგენილებით დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ადმინისტრირების ფარგლებში დამტკიცდა „საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა[17], განხორციელება კი დაიწყო 2022 წლის 1 მარტიდან.

საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია, სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა, რათა მოხდეს მათი წახალისება და მოტივაციის ამაღლება - გახდნენ აქტიური სამუშაო ძალა და ინტეგრირდნენ შრომის ბაზარზე. პროგრამის მოსარგებლე არის შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველი პირი, რომელსაც აქვს მინიჭებული 120 000 ქულამდე და იღებს სოციალურ დახმარებას. საზოგადოებრივი სამუშაოს მომწოდებელი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არიან თვითმმართველი ერთეულები და სახელმწიფო ორგანიზაციები. მოსარგებლეს აქვს არჩევანი შემდეგ შეთავაზებებს შორის:

- ✓ საზოგადოებრივი სამუშაო;

[17] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5385740?publication=0

- ✓ შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსია;
- ✓ დასაქმების ფორმალიზება;
- ✓ მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადება.

სოციალურად დაუცველ შრომისუნარიან მოქალაქეებს საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა დასაქმდნენ შემდეგი პოზიციებზე: მეეზოვე, სკოლისა და ბაღის დამლაგებელი, ტერიტორიების კეთილმოწყობისა და გამწვანების სამსახურის თანამშრომელი, რეინჯერის დამხმარე, ამინდზე დამკვირვებელი, ბიბლიოთეკარის დამხმარე, მეტყევე, მზარეულის არაკვალიფიციური დამხმარე, დარაჯი, კურიერი და სხვა.[18] სოციალური გასაცემელი - საზოგადოებრივი სამუშაოს ანაზღაურება კი შეადგენს 300 ლარს, რომელიც პროპორციულად განსაზღვრულია სამუშაო განაკვეთის მიხედვით. [19]

თუ მოსარგებლე თანახმაა ერთ რომელიმე შეთავაზებაზე ოჯახს 4 წლის განმავლობაში უწყვეტად უნარჩუნდება საარსებო შემწეობა (არ განხორციელდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმება), ხოლო თუ ოჯახი უარს იტყვის აღნიშნულ შეთავაზებებზე, უარის დაფიქსირების მომდევნო თვიდან 1 წლის შემდეგ სოციალური დახმარების მიმღები ოჯახი დაექვემდებარება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმებას.

აღსანიშნავია, რომ საარსებო შემწეობის მიმღები პირები სახელმწიფოსგან სოციალური შეღავათების მიღების მიზნით ხშირად ამბობენ უარს დასაქმებაზე, არ ეძებენ სამსახურს, შესაბამისად ისინი არ ერთვებიან ეკონომიკური დოვლათის შექმნის პროცესში და სამუშაო ძალის მიღმა რჩებიან. მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის უმთავრეს გამოწვევად უმუშევრობა და ეკონომიკური კრიზისი სახელდება, სოციალური დახმარების იმედზე მყოფი მოქალაქეები ხშირად საკუთარი ნებით არ თანხმდებიან შრომის ბაზარზე არსებულ დასაქმების შესაძლებლობებს, ეს კი კიდევ უფრო ამძიმებს მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და მათი ცხოვრების კეთილდღეობის დონეს. ამასთანავე შიში, ფორმალური დასაქმების შემთხვევაში სოციალური დახმარების შეწყვეტასთან დაკავშირებით ამ ადამიანებს არაფორმალური დასაქმებისკენ უბიძგებს, რაც გარკვეულ რისკებთან არის ხშირ შემთხვევაში დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 28 თებერვლის N87 ბრძანებულების საფუძველზე იქნა მიღებული დებულება

---

18 https://www.interpressnews.ge/ka/article/704789-ra-samushaoebze-sakmdebian-socialurad-daucvelebi-romlebsac-mushaobis-survili-akvt-mtavrobis-programis-detalebi/

19 https://matsne.gov.ge/ka/document/view/5693644?publication=0

„საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზების შესახებ“, „დასაქმების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. აღნიშნული დებულების საფუძველზე საზოგადოებრივ სამუშაოდ ითვლებოდა ისეთი სამუშაო, რომელიც არ საჭიროებდა დასასაქმებელი უმუშევარი პირის განსაკუთრებულ პროფესიულ მომზადებას და რომლის მიზანი იყო ინფრასტრუქტურული და საზოგადოებრივი სარგებლობის სხვა ობიექტების რეკონსტრუქცია, მშენებლობა ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღება-დაბინავება“. [20] დებულებაში აღნიშნულია, რომ „საზოგადოებრივ სამუშაოთა განხორციელებისას დასაქმების უპირატესი უფლებით სარგებლობდნენ დასაქმების სახელმწიფო სამსახურში აღრიცხვაზე მყოფი დაბალკონკურენტუნარიანი შრომითი რესურსები, სამუშაოების განხორციელების ვადა კი არ აღემატებოდა 6 თვეს.

საზოგადოებრივი სამუშაოების (PW) პროგრამები არის გრძელვადიანი განვითარების ინტერვენციები, რომლებიც სულ უფრო პოპულარული გახდა ბოლო წლებში მათი პოტენციური „ორმაგი დივიდენდის“ გამო სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით. თავდაპირველად გამოიყენებოდა, როგორც სიღარიბის დროებითი შემსუბუქების ინსტრუმენტი ეკონომიკური ვარდნისა და სტიქიური უბედურებების საპასუხოდ, ახლა ისინი სულ უფრო აქტიურად გამოიყენება, როგორც გრძელვადიანი სოციალური დაცვის ინსტრუმენტები.[21]

აღნიშნული პროგრამების განხორციელება დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ამიტომ კონკრეტულ ჯგუფებზე ხდება კონცენტრირება ხშირად დაბალი კვალიფიკაციის მქონე და იმედგაცრუებულთა - შრომის ბაზარზე დასაბრუნებლად, რათა შემცირდეს ძალადობრივი აფეთქებებისა და კონფლიქტების პოტენციალი. რთული შეიძლება იყოს სტაბილურობისა და მაღალი რისკის ჯგუფების სოციალური ინტეგრაციის სარგებლის რაოდენობრივი შეფასება, რამაც შეიძლება გაამართლოს PW პროგრამების შედარებით მაღალი ღირებულება. პროგრამებში მკაფიო აქცენტი კეთდება ინფრასტრუქტურის გენერირებასა და რეაბილიტაციაზე: მათი უმრავლესობა გულისხმობს გზების, წყლისა და სარწყავი ქსელების მშენებლობას.

იმ ქვეყნებში, სადაც ადაპტირებულია აღნიშნული პროგრამები შემდეგი ტიპიური PW აქტივობები არის წარმოდგენილი: გზის მშენებლობა და მოვლა, წყალმომარაგება, წყალდიდობის კონტროლი, მიწის განაშენიანება, ეროზიის კონტროლი, ტყის გაშენება, ხანძრის პრევენცია, საზღვაო

---

[20] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/115534?publication=0

[21] https://www.idos-research.de/en/discussion-paper/article/how-can-public-works-programmes-create-sustainable-employment/

ტერიტორიების დაცვა, ველური ბუნებისა და ჭაობების კონსერვაცია. **მშენებლობა და მოვლა:** სკოლები, ჯანმრთელობის ცენტრები, პარკები და საჯარო სივრცეები. **საზოგადოების მომსახურება:** დახმარება ბავშვის მოვლაში, მოხუცების მოვლაში, ჯანდაცვის მუშაკებისთვის, უსაფრთხოების მონიტორინგი სკოლებში, პარკებში და ა.შ. საჯარო სივრცეების დასუფთავება.

ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემები ამ ეტაპზე მწირია. 2022 წლის 15 სექტემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ (MOH 0 22 00316060) საქართველოს პარლამენტართა დასმული შეკითხვების პასუხად წარდგენილ დოკუმენტში ასახული არის, რომ „12 სექტემბრის მდგომარეობით სააგენტოების სერვის-ცენტრებს დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და კონსულტირებისთვის მიმართა 60 615 პირმა. აქედან:

**• 27 078 პირმა თანხმობა განაცხადა საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვასთან დაკავშირებით და ჩაერთო 22 440 ადამიანი.**

• 3 039 პირმა აირჩია დასაქმება ღია შრომის ბაზარზე;

•4 276 სოციალურად დაუცველმა გამოთქვა სურვილი არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობის ფორმალიზებისა;

• 594 პირმა აირჩია პროფესიული მომზადება-გადამზადების მოკლევადიან კურსებში მონაწილეობა;

• 11 760 პირმა გაიარა კონსულტირება, მაგრამ თავი შეიკავა პროგრამაში მონაწილეობისგან;

• 11 535 პირმა დეკლარირებულად განაცხადა უარი პროგრამაში მონაწილეობაზე; [22]

პარლამენტის წინაშე წარდგენილ წერილში ასახულია, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ადგილობრივმა თვითმმართველობებმა შეძლეს შემდეგი სამუშაოების შესრულება:

- „• ყოველდღიურად ანდა საჭიროებისამებრ სუფთავდება და წესრიგდება 532 საბავშვო ბაღის ეზო, 311 სკვერი და პარკი და 163 სპორტული მოედანი ყველა მუნიციპალიტეტში.
- მთელი ქვეყნის მასშტაბით დასუფთავდა და მოწესრიგდა 1019 სასაფლაო, 205 საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობა-ნაგებობა, გაიწმინდა 1480 კმ. სანიაღვრე არხი. ასევე, მოწესრიგდა და დასუფთვდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები. ნარჩენებისგან გაიწმინდა, გამწვანებითი

---

[22] https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/23.09.2022-azarashvili/23.09.2022-pasuxi.pdf?fbclid=IwAR0mmB1yf7Zh4wyEbPEVNymqMllkKYtbmun3YgWgG4K9R9Vbxnr9sptTjDY

სამუშაოები ჩატარდა, ბალახები და ბუჩქები მოიჭრა დასახლებული პუნქტების გზების ნაპირებსა და მიმდებარე ფერდობებზე.

- თბილისის მასშტაბით რეგულარულად წესრიგდება 7 სასაფლაო, 107 სკვერი და პარკი.
- თბილისში 14 უსინათლო პირს ჰყავს სამსახურში გამცილებელი. აქამდე, ამ სერვისით სარგებლობა უსინათლო პირებს უხდებოდათ თავისი ხარჯით, ამ პროგრამამ კი მათ მისცა შესაძლებობა მიიღონ ეს მეტად მნიშვნელოვანი მომსახურება უფასოდ და შეძლონ სამუშაოს გაგრძელება.
- 45 მარტოხელა მოხუცთან ხდება უფასო სასადილოდან საკვების მიწოდება.
- საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფმა სსიპებმა შეძლეს უფრო ფართო მასშტაბის ტერიტორიაზე მოეხდინათ ფაროსანას გავრცელების ინსპექტირება.
- 423 საჯარო სკოლამ და 532 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებამ შეძლო დამატებითი სამუშაო ძალა მიეღო დარაჯის და დამლაგებლის პოზიციაზე, რომლებიც არსებულ თანამშრომლებთან ერთად იზრუნებენ სკოლებისა და ბაღების ინფრასტრუქტურის მოვლასა და მოწესრიგებაზე, ასევე ბავშვებისთვის შესაფერისი სასწავლო გარემოს შექმნზე.
- 2022 წლის 21 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში დასაქმებულმა სოციალურად დაუცველმა პირებმა აქტიურად მიიღეს მონაწილეობა ბორჯომის მუნიციპალიტეტში გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად მიმდინარე სამუშაოებში და დიდი წვლილი შეიტანეს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაში.“[23]

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ 2022 წლის საქმიანობის შედეგები კი შემდეგნაირად გამოიყურება დეკემბრის თვეში:

✓ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ 77 640 საქართველოს მოქალაქეს გაუწია სხვადასხვა სახის კონსულტირება, მათ შორის 71 319 პირს მუნიციპალურ დონეზე.

✓ სააგენტოს ხელშეწყობით ღია შრომის ბაზარზე დასაქმდა 12 645 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 8 811 პირი სოციალურად დაუცველია.

[23] https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/23.09.2022-azarashvili/23.09.2022-pasuxi.pdf?fbclid=IwAR0mmB1yf7Zh4wyEbPEVNymqMllkKYtbmun3YgWgG4K9R9Vbxnr9sptTjDY

✓ საზოგადოებრივ სამუშაოებზე ჩართვის საშუალება მიეცა 29 323 სოციალურად დაუცველ პირს.[24]"

**დასკვნები და რეკომენდაციები:** უმუშევრობა ქვეყნის უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ინსტრუმენტს კი სამუშაო ძალის მიღმა მყოფ სოციალურად დაუცველი მოქალაქეების შრომის ბაზარზე გააქტიურება წარმოადგენს. განვითარებად ქვეყნებში საჯარო სამუშაოების პროგრამებს შეუძლიათ გრძელვადიან პერსპექტივაში სიღარიბის შემცირება და დაბალკვალიფიციურ მუშაკებს მოკლევადიან პერიოდში აქვთ შესაძლებლობა გაუმკლავდნენ ეკონომიკურ შოკებს. წარმატება კი დამოკიდებულია პროგრამის ადმინისტრირების წესზე, სადაც გასათვალისწინებელია სამიზნე პოპულაციის სწორად იდენტიფიცირება, ადეკვატური ხელფასის შერჩევა და ეფექტური განმახორციელებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. https://ssa.moh.gov.ge/statistik.php?lang=1&id=202212070002225855299551#page-1
2. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5385740?publication=0
3. https://drive.google.com/file/d/1tKJeoJ7x57cJOPLmDvXpiuYGgNmWHZJB/view
4. https://www.interpressnews.ge/ka/article/704789-ra-samushaoebze-sakmdebian-socialurad-daucvelebi-romlebsac-mushaobis-survili-akvt-mtavrobis-programis-detalebi/
5. https://matsne.gov.ge/ka/document/view/5693644?publication=0
6. https://ssa.moh.gov.ge/index.php?lang=1&v=0
7. https://www.idos-research.de/en/discussion-paper/article/how-can-public-works-programmes-create-sustainable-employment/
8. https://www.intechopen.com/chapters/79838
9. https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0958928718792130
10. https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/23.09.2022-azarashvili/23.09.2022-pasuxi.pdf?fbclid=IwAR0mmB1yf7Zh4wyEbPEVNymqMllkKYtbmun3YgWgG4K9R9Vbxnr9sptTjDY
11. How can public works programmes create sustainable employment? Esther Gehrke Renate Hartwig, Bonn 2015.


[24] https://www.facebook.com/worknet.gov.ge/posts/pfbid0QGjCCj9FtbsM9A3EFTKpeo1UD1TSYb5gnVCZ4GTxRCpPrHu5aQAjkLmYCp89S5W6l?locale=ka_GE

# გაციფრულების პროცესები საფინანსო-საბანკო სისტემაში
# Digitization Processes in the Financial and Banking System

**თამარ გვაძაბია**
ეკონომიკის პროგრამის დოქტორანტი
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Tamar Gvadzabia,** PhD student
Akaki Tsereteli State University of Kutaisi

**რეზიუმე:** 21-ე საუკუნე გამოირჩევა გაციფრულების ყველაზე სწრაფი ტემპებით. ინტერნეტის გამოგონებით დაიწყო ტრანსფორმაციის ახალი ერა თითოეული ადამიანის ცხოვრებაში, რამაც ასახვა პოვა ყველა დარგსა თუ დისციპლინაზე და მათ შორის ეკონომიკაზეც. ცხადია, ეკონომიკის მთავარი მიზანია ადამიანთა ცხოვრების დონის ამაღლება, რომელიც დღეს წარმოუდგენელია ციფრული ტექნოლოგიების გარეშე.
იმ ფონზე როცა ერთის მხრივ, ეკონომიკის მთავარი ბერკეტი საფინანსო-საბანკო სისტემაა და მეორეს მხრივ, ვერცერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო გარიგება ვერ განხორციელდება საფინანსო-საბანკო ტრანზაქციების გარეშე ცხადია მნიშვნელოვანია ამ სისტემის გაციფრულების ისტორიის, არსებული მდგომარეობის და სამომავლო პროგნოზების პროცესების კვლევა -ანალიზი და ეკონომიკური ეფექტიანობის შედეგების განსაზღვრა.

**საკვანძო სიტყვები:** გაციფრულება, საფინანსო-საბანკო სისტემა, ეკონომიკური წინსვლა, დიჯიტალიზაცია, დასაქმება.

**Resume.** The 21st century is characterized by the fastest rates of digitization. With the invention of the internet, a new era of transformation began in the life of each person, which reflected on all fields and disciplines, including economics. Obviously, the main goal of the economy is to raise the standard of living of people, which today is unimaginable without digital technologies. Against the background that, on the one hand, the main lever of the economy is the financial-banking system, and on the other hand, no local or international transaction can be carried out without financial-banking transactions, it is obviously important to research and analyze the processes of the digitization of this system, the current situation and future forcasts, and determine the results of economy efficiency.

**Key words:** Digitization, Financial And Banking System, Economic Progress, Digitization, Employment.

**შესავალი.** გლობალიზაციის პროცესებმა თანამედროვე ადამიანი კიდევ უფრო მეტად დაახლოვა საფინანსო-საბანკო სისტემას. ყოველდღიურად ადამიანები იყენებენ სხვადასხვა ბანკის მრავალფეროვან ტექნოლოგიურ საშუალებებს, რათა გადაიხადონ გადასახადები, შეიძინონ სამომხმარებლო პროდუქტები თუ მომსახურება. კომერციული ბანკები კი თავის მხრივ მუდმივად ცდილობენ გააациფრულონ თავიანთი სერვისი რათა მომხმარებლებს გაუმარტივონ წვდომა ბანკთან. ფაქტობრივად, გაციფრულების შედეგად ტრადიციული საბანკო მომსახურება ნელ-ნელა ინაცვლებს ონლაინ სივრცეში.

დღეს როცა შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში საქონლის /მომსახურების შეძენა და შემდგომ გადახდა და მიწოდება მარტივად და

სწრაფად ტექნოლოგიების განვითარების დახმარებით - ჩნდება იმედი რომ სხვა ქვეყნების მსგავსად საქართველოც შეძლებს ეკონომიკურ წინსვლას.

რადგან ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებამ საქართველოში გააჩინა შესაძლებლობა ფინანსური ურთიერთობების ჩამოყალიბების ახალი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების განვითარებულ და მდიდარ ქვეყნებთან. გაზარდა შესაძლებლობები მეტი ინვესტიციების მოზიდვის მსოფლიო ბანკებიდან და გაიზარდა ფინანსური რესურსები.

ყველაფერი ეს კი მთლიანობაში იწვევს ეკონომიკურ წინსვლას რადგან ჩნდება რეალურად მეტი ფული რომელიც ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას დაიწყონ ახალი ბიზნესი ან განავითარონ არსებული. გავიდნენ მსოფლიო ბაზრებზე და არ იყვნენ დამოკიდებული მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე.

საბანკო სისტემის გაციფრულების მოკლე ისტორია

მნიშვნელოვანი ცვლილებები მაშინ დაიწყო როცა 1980-იან წლებში საბანკო და საფინანსო ორგანიზაციებმა ევროპასა და შეერთებულ შტატებში დაიწყეს პროგრამირების ექსპერიმენტები „სახლის ბანკინგის“ კონცეფციის სახით. თავდაპირველად, 80-იან წლებში, როდესაც კომპიუტერები და ინტერნეტი არც თუ ისე კარგად იყო განვითარებული „სახლის ბანკინგი“ - სთვის ძირითადად გამოიყენებოდა ტელეფონი და ფაქსის აპარატი. ინტერნეტისა და პროგრამირების ფართო გავრცელებამ შექმნა შემდგომი შესაძლებლობები სახლის ბანკინგის განსავითარებლად. 1983 წელს Nottingham Biulding Society ჩვეულებრივ შემოკლებით მოხსენიებული როგორც NBS, გაუშვა პირველი ინტერნეტ ბანკინგის სერვისი გაერთიანებულ სამეფოში. ეს სერვისი საფუძვლად დაედო შემდგომი ინტერნეტ ბანკის საშუალებების უმეტესობას. ეს სერვისი მიღებული იყო სისტემიდან, რომელიც ცნობილია როგორც Prestel, რომელიც  გაერთიანებული სამეფოს საფოსტო სამსახურის განყოფილების მიერ იყო შექმნილი. პირველი ონლაინ ბანკინგი შეერთებულ შტატებში დაინერგა 1994 წლის ოქტომბერში, რომელიც  შეიქმნა ფინანსური ინსტიტუტის მიერ - სტენფორდის ფედერალური კავშირი. სწორედ აქედან იღებს სათავეს საბანკო სისტემის გაციფრულება, რომელიც საქართველოში ყველაზე აქტიურად 2000 წლიდან დაიწყო.

თავდაპირველად ბანკებმა დაიწყეს სპეციალური პროგრამების ჩატვირთვა მომხმარებლების კომპიუტერებში, შემდგომ შეიქმნა ვებ გვერდები და საბოლოოდ ყველაზე აქტიურად ონლაინ ბანკინგი აპლიკაციების სახით გამოიყენება.  დღეს კი ფაქტობრივად ნებისმიერი ადამიანის ტელეფონში ნახავთ ონლაინ ბანკის აპლიკაციას, რომლის დახმარებით online ან off line შესაძლებელია ნებისმიერი სახის საბანკო პროდუქტის ან მომსახურების შეძენა. ონლაინ ბანკინგის დახმარებით ბანკში

შეგიძლია მისვლის გარეშე აიღოთ სესხი, გახსნათ დეპოზიტი, შეუკვეთოთ პლასტიკური ბარათი და ა.შ.

საბანკო სისტემის გაციფრულების არსებული მდგომარეობა

საბანკო სისტემის არსებული რეალობის გასაანალიზებლად ყველაზე საინტერესო მაგალითად შეგვიძლია სფეისი განვიხილოთ. რომელიც წარმატებით ოპერირებს უკვე 2018 წლიდან საქართველოში. სფეისი ეს არის ნეობანკის ტიპის ფინტექი, რომელიც არის პირველი სრულად ციფრული, მხოლოდ მობილურ აპლიკაციაში არსებული საბანკო მომსახურება. და მაინც რით განსხვავდება ის ტრადიციული ბანკისაგან? - პასუხი მარტივია არ აქვს ფილიალები. ნებისმიერი სახის მომსახურებას ახორციელებს ვირტუალურ სივრცეში. ძალიან ბევრი უპირატესობა აქვს სფეისს მაგალითად: სფეისში შეგიძლია ნაგარიში გახსნა დისტანციურად 2 წუთში, სფეისში არ არსებობს არასამუშაო საათი, ყველა მომსახურება არის 24/7-ზე, სფეისში შეგიძლია მიაბა შენი ყველა ბანკის ბარათი და მართო ისინი ერთ სივრცეში.

მართალია ჯერ კიდევ საქართველოს კომერციული ბანკების მომხმარებლების 45 % უპირატესობას ანიჭებს ბანკში ვიზიტს ეს რიცხვი ყოველდღე მცირდება. რადგან კომერციული ბანკები აქტიურად მუშაობენ თავიანთ მომხმარებლებზე რათა მათ მაქსიმალურად ისარგებლონ ონლაინ სერვისებით, რაც სხვადასხვა აქციებში გამოიხატება.

ამდენად სწორედ სფეისი გვაძლევს ნათელ მაგალითს თუ რა შეუძლია გაციფრულებას და როგორია დღევანდელი გაციფრულებული ბანკი.

საბანკო სისტემის სამომავლო პროგნოზები

როცა საბანკო სისტემის მომავალზე ვსაუბრობთ - ეს პირდაპირ პროპოციულად დაკავშირებულია ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან. ცხადია, ხელოვნური ინტელექტის მიზანია შექმნას ისეთი კომპიუტერული მოწყობილობა რომელიც შეძლებს ადამიანის ინტელექტის გაგებას. პირველად ეს ტერმინი ამერიკელმა მეცნიერმა ჯონ მაკარტმა გამოიყენა 1955 წელს. ხელოვნური ინტელექტის გარეშე ვერც ერთი თანამედროვე ელექტრონული დანადგარი ვერ იმუშავებს. მაკარტის განმარტებით ეს უკანასკნელი არის პროგრამა ან კომპიუტერი, რომელსაც შეუძლია იაზროვნოს, როგორც ადამიანმა და მიიღოს ლოგიკური გადაწყვეტილებები. გამოყოფენ ხელოვნური ინტელექტის სამ კატეგორიას:

- ხელოვნური ვიწრო ინტელექტი (Artificial Narrow Intelligence, ANI)
- ხელოვნური ზოგადი ინტელექტი (Artificial General Intelligence, AGI)
- ხელოვნური სუპერ ინტელექტი (Artificial Super Intelligence, ASI)

ხელოვნური ვიწრო ინტელექტი მოიცავს ყველა მანქანას, რომელსაც შეუძლია კონკრეტული ამოცანების შესრულება. მაგალითად ნივთების კლასიფიკაცია, სახის ამოცნობა, თვითმართვადი მანქანა და ა.შ. მსგავსი ალგორითმების მქონე კომპიუტერი ადამიანზე უფრო სწრაფად

ახორციელებს სხვადასხვა ამოცანებს და შეცდომის დაშვების ალბათობაც მინიმუმამდეა დაყვანილი. ის უბრალოდ ხელსაწყოა, რომელიც ადამიანს შავ სამუშაოს აშორებს. ხელოვნური ზოგადი ინტელექტისთვის უფრო მარტივია ადამიანური გრძნობებისა და განცდების დასწავლა. ვიწრო ინტელექტისგან განსხვავებით ხელოვნურ ზოგად ინტელექტს აზროვნება შეუძლია. მას შეუძლია უფრო ფართო ამოცანების შესრულება, მსჯელობა და ადამიანის მსგავსი უნარების განვითარება. ხელოვნური ზოგადი ინტელექტი განვითარება მიმდინარეობს დღეს და ვარაუდობენ რომ 2040 წლისთვის უკვე იარსებებს ასეთი ტიპის მანქანები, რომელიც იმოქმედებს ზოგადი ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე. ეს რადიკალურად შეცვლის საფინანსო-საბანკო სფეროს მუშაობას. ხელოვნური სუპერ ინტელექტი კი ადამიანის იმიტაციის ნაცვლად შეძლებს ადამიანის შესაძლებლობებზე უფრო მაღალი ინტელექტის განვითარებას.

საფინანსო-საბანკო სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ჩეტბოტების არსებობა. ჩეტბოტი ფაქტობრივად ვირტუალური კონსულტანტია, რომელსაც შეუძლია პასუხი გასცეს მომხმარებლისთვის საინტერესო კითხვებს. მეცნიერები პროგნოზირებენ რომ 2025 წლისთვის გაორმაგდება ჩეტბოტების და ვირტუალური ასისტენტების როლი და ფუნქციები. შესაძლებელია სატელეფონო კონსულტანტები სრულად ჩაანაცვლოს ვირტუალუმა ასისტენტებმა. ასევე თვალსაჩინოა რომ ნელ-ნელა ნაღდი ფულის ჩანაცვლება ხდება კრიპტო ვალუტით.

The Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ილონ მასკმა ხმამაღლა განაცხადა „კრიპტოვალუტა ფასეულობების გადასაცემად ბევრად უფრო უკეთესი გზაა ვიდრე დაჭრილი ქაღალდი" და „მსოფლიოს საბოლოოდ მხოლოდ ერთი ვალუტა ექნება, ინტერნეტშიც და რეალურ ცხოვრებაშიც. ქაღალდის ფული ნელ-ნელა გაქრება. ცხადია, ხელოვნური ინტელექტის განვითარება რადიკალურად ცვლის და სამომავლოდ კიდევ უფრო ძირეულად შეცვლის საფინანსო-საბანკო სისტემას, რომელიც ინოვაციების დანერგვაში მოწინავე სფეროა.

გაციფრულების ეკონომიკური შედეგი (დასაქმება)

ყველა მოვლენას რომელიც ზემოთ ავღნიშნეთ ცხადია მოყვება დიდი ცვლილებები საფინანსო-საბანკო სისტემაში. დიჯიტალიზაციის პროცესების დადებითი მხარეებიდან მნიშვნელოვანია გამოვყოთ : ტრანზაქციების სიმარტივე, სისწრაფე, ადამიანური შეცდომების რისკის შემცირება საბანკო ტრანზაქციების განხორციელებისას და ა.შ. ხოლო უარყოფითი მხარეებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, რომ თქვენი ვებსაიტი და მონაცემები შეიძლება მოიპარონ ან გატეხონ, რაც გამოიწვევს ფულის ან

პირადი ინფორმაციის დაკარგვას. ონლაინ თაღლითობა სამწუხაროდ რეალური საშიშროებაა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება დღეს გარდა ეროვნული შიდა პროდუქტის გაზრდისა დიდწილად დამოკიდებულია შრომით ბაზარზე არსებული სიტუაციის რეგულირებაზე . დასაქმება ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ქვეყნის ეკონომიკის, რაზეც დიდ გავლენას ახდენს დიჯიტალიზაციის პროცესები.

გაციფრულებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საფინანსო-საბანკოს სისტემაში დასაქმებულ ადამიანებზე. ერთის მხრივ შესაძლოა გაქრეს მოთხოვნა ისეთ პოზიციებზე როგორიც არის მოლარე, მრჩეველი, კონსულტანტი, ექსპერტი და ა.შ.

მაგრამ მეორეს მხრივ გაიზრდება მოთხოვნა ციფრულ სამყაროში მუშაობის უნარის მქონე ადამიანებზე. რადგან ტექნოლოგიებს სჭიდებათ მართვა და შესაბამისი მაინდსეტის მქონე კადრები. პრობლემა სწორედ ეს არის დღეს, განვსაზღვროთ უახლოეს წლებში რომელმა პოზიციებმა შესაძლოა დაკარგოს მოთხოვნა დასაქმების ბაზარზე საფინანსო-საბანკო სისტემის და ასევე რომელ პოზიციებზე შესაძლოა გაიზარდოს მოთხოვნა.

რა ეკონომიკურ შედეგებს გვაძლევს გაციფრულების პროცესები საფინანსო-საბანკო სისტემაში?

დღეს საქართველოში 15 კომერციული ბანკი ოპერირებს. მხოლოდ სს თიბისი ჯგუფში დასაქმებულია დაახლოებით 7 978 ადამიანი. მთლიანად საბანკო სისტემაში დასაქმებულია დაახლოებით 50 000 ადამიანი, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაახლოებით 5000 მდე . ჯამში 55 000 ათასი ადამიანის ძირითადი დასაქმების წყარო არის საბანკო სისტემა, რომლისთვისაც საინტერესოა საბანკო სისტემაში მიმდინარე დასაქმების პროცესები, რომელიც მოყვება დიჯიტალიზაციას.

საქართველოს მოსახლეობა ბოლო სტატისტიკური მაჩვენებლებით არის 3 688 600 ადამიანი. გასათვალისწინებელია რომ დაახლოებით 1 500 000 ადამიანი იმყოფება ემიგრაციაში თუმცა ზუსტი რიცხვი არ არის ცნობილი სამწუხაროდ. თუ ამ სტატისტიკურ მონაცემებს გავყვებით საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის 5% ზე მეტი დასაქმებულია საბანკო სფეროში. სწორედ ამიტომ დიჯიტალიზაციის პროცესების კვლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვცემს დასაქმების კუთხით რა ცვლილებებს ექნება ადგილი საფინანსო-საბანკო სისტემაში.

მარტივი მაგალითისთვის შეგვიძლია ავიღოთ თიბისი ფეის ერთი ბოქსი რომელიც საშუალოდ დაახლოებით 15000 ტრანზაქციას აკეთებს თვეში ანაცვლებს ხუთ ოპერატორს რომლებმაც შესაძლოა ჯამში მთელი თვის განმავლობაში ვერ გააკეთოს 15000 ტრანზაქცია. თუმცა ერთია თანამედროვე ტექნოლოგიები და მეორეა ციფრული შესაძლებლობები. ციფრული ბანკი

შესაძლებლობას იძლევა კიდევ უფრო მეტი ტრანზაქცია განხორციელდეს ყოველგვარი ტექნიკის საშუალების გარეშეც ვირტუალურ სივრცეში. მაგალითად შეგვიძლია შევადაროთ პოსტ ტერმინალის აპარატი და გადახდების აპლიკაცია. პოსტ ტრემინალს ჭირდება პერსონალი ვინც უზრუნველყოფს მის გამართულ მუშაობას და მომსახურებას, ხოლო გადახდების აპლიკაცია იძლევა შესაძლებლობას ყოველგვარი პერსონალის გარეშე თქვენ თავად გადაიხადოთ.

ყველა ამ პროცესს მივყავართ ერთის მხრივ კომპანიების მოგების ზრდასთან რადგან დიდი ეკონომია კეთდება სამუშაო ძალებზე მაგრამ მეორეს მხრივ მცირდება დასაქმება. ცხადია გაციფრულება გამოიწვევს საბანკო სფეროში დასაქმებული ადამიანების შემცირებას. რაც უფრო განვითარდება ხელოვნური ინტელექტი ადვილად შეძლებს ბანკი ადამიანური რესურსები ჩაანაცვლოს ციფრული რესურსებით. ბანკებისთვის ციფრული ტრანსფორმაციის მთავარი მიზიდულობა სწორედ საოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირებაა, რადგან ავტომატური აპლიკაციები და პროცესები აცილებენ ზედმეტ შრომას და ძალისსხმევას, შეცდომოების შანსს და იძლევა ეფექტურ შედეგებს. ტექნოლოგიური განვითარება ცვლის საზოგადოებას, ეკონომიკას, ბანკებს და საბანკო საქმეს. სკინერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ტრადიციული ბანკები მთლიანად გაქრება. რადგან მომხმარებლები აღარ მივლენ ფილიალებში, ხოლო მობილური ტექნოლოგია გახდება მთავარი კონტაქტი მომხმარებელთან.

ფილიალების გაქრობა ცხადია შეამცირებს დასაქმებას საფინანსო-საბანკო სფეროში. მაგრამ მეორეს მხრივ გაიზრდება მოთხოვნა მონაცემთა მეცნიერის, მონაცემთა ინჟინერის არქიტექტორის და ა.შ. სხვადასხვა IT მიმართლების სპეციალისტებზე. მიუხედავად ყველაფრისა დასაქმება საბოლოო ჯამში შემცირდება საფინანსო-საბანკო სისტემაში, რადგან ადამიანური სამუშაო ძალა ჩანაცვლდება ციფრული ტექნოლოგიებით. პარალელურად კონკურენცია გაიზრდება რადგან ტრადიციული საბანკო საქმესთან შედარებით ციფრული ბანკინგი გზას უხსნის ბანკებს უფრო დაბალი ხარჯებით შევიდეს საფინანსო-საბანკო სექტორში.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე ცხადია ერთის მხრივ მოსალოდნელია გაციფრულებამ შეამციროს დასაქმება საფინანსო-საბანკო სისტემაში მომუშავე კადრების, მაგრამ მეორეს მხრივ გაიზრდება მოგება კომერციული ბანკების. ქვეყნის ეკონომიკისთვის კი ეს დადებით შედეგს გამოიღებს, რადგან მეტი მოგება ნიშნავს რომ კომერციულ ბანკებს ექნებათ ზევრად მეტი ფინანსური რესურსების ინვესტიციის საშუალება მცირე და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად რაც საბოლოო ჯამში დადებით გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ყანჩაველი, გ. (2021) ციფრული ტრანსფორმაცია. თბილისი, 134 გვ.
2. კოვზანიძე, ი.; კონტრიძე, გ. (2022) თანამედროვე საბანკო საქმე თეორია და პრაქტიკა. თბილისი, 704 გვ.
3. ჭილაძე, მ. ; თოფჩიშვილი, მ. (2021) ფინანსური ტექნოლოგიების როლი საბანკო სექტორის განვითარებაში. თბილისი
4. Martin Chorzempa (2022) The Cashless Revolution
5. Bred King (2022) Bank 4
6. Anne Boden (2022) Banking on it
7. Bryan Wells Nato Chief Scientist , Science and Technology Trends 2020-2040
8. Denis Ilnytskyy (2022) Digital Economy
9. www.ecomoy.ge
10. www.mof.ge


# სადაზღვევო ბაზრის განვითარების გამოწვევები საქართველოში
# Challenges of Insurance Market Development in Georgia


**თამარ ლაზარიაშვილი,** ასისტენტ-პროფესორი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Tamar Lazariashvili,** Assistant professor
Faculty of Economics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University



**რეზიუმე.** სტატიაში შესწავლილია საქართველოს სადაზღვევო ბაზარის განვითარების გამოწვევები, შეფასებულია სადაზღვევო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ასპექტები, დასაბუთებულია სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიების კოორდინაციით საკანონმდებლო აქტების შემუშავების, კადრების მომზადება-გადამზადების, ბაზრის მონოპოლიისაგან დაცვის, კომპანიების მოზიდული სახსრების ინვესტირებისათვის საფონდო ბაზრის განვითარების აუცილებლობა.
ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები სადაზღვევო ბაზრის განვითარების აუცილებლობის შესახებ და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.



**საკვანძო სიტყვები:** სადაზღვევო ბაზარი, განვითარების გამოწვევები, სადაზღვევო პრემია, სადაზღვევო ინდუსტრია.



**Abstract.** The article examines the challenges of developing the insurance market of Georgia, assesses the main aspects of state regulation of insurance business, justifies the need to develop legislative acts in coordination with the state and insurance companies, to prepare and retrain personnel, to protect the market from monopolies and to develop a stock market for investing the funds raised by companies.

Based on the analysis, conclusions are drawn about the need for the development of the insurance market and appropriate recommendations are made.

**Keywords:** Insurance Market, Development Challenges, Insurance Premium, Insurance Industry.

თანამედროვე ეტაპზე სადაზღვევო ბაზარს საბაზრო ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. სულ უფრო და უფრო იზრდება სადაზღვევო სექტორის ფუნქციონირება და მნიშვნელობა, რაც ზრდის მასზე მოთხოვნას და აისახება ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. დღეს თითქმის ყველა სახეობის რისკი დაზღვევადია, თუ ის ექვემდებარება დაზღვევას. საქართველოში იზრდება დაზღვევის კულტურა, რაც დადებითად მოქმედებს როგორც ეკონომიკის, ისე ქვეყნის განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, მეტად აქტუალურია იმის გაანალიზება, თუ რა მდგომარებაა დღეს საქართველოს სადაზღვეო ბაზარზე, როგორია მისი განვითარების გამოწვევები, როგორაა გადანაწილებული მოპოვებული სადაზღვეო პრემიები, რომელი სექტორი ლიდერობს და სხვა. დაზღვევა არის რისკის ყიდვა-გაყიდვის ბიზნესი. ბევრ სიტუაციაში, ბიზნესი და კერძო პირები არიან რისკისადმი მიდრეკილი. ეს ნიშნავს, რომ მათ ურჩევნიათ გადაიხადონ გარკვეული თანხა, რათა შეამცირონ გაურკვევლობის რაოდენობა კონკრეტულ სიტუაციაში.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია სადაზღვევო ბაზრის განვითარების ანალიზი საქართველოში და ბაზრის განვითარების გამოწვევებზე რეკომენდაციების შემუშავება.

საქართველოში, დაზღვევაზე მოთხოვნა წლებთან ერთად იცვლებოდა. აღნიშნული ცვლილება კი ასახულია დიაგრამაზე,[1] რომელიც გვიჩვენებს 2012-2021 წლებში გამომუშავებულ სადაზღვეო პრემიებს. როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2012-2014 წლებში კერძო სადაზღვეო კომპანიების მიერ მოზიდული სადაზღვევო პრემიები კლებად ტენდეციაში იმყოფება, რაც გამოწვეულია საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ძალაში შესვლით, 2015 წლიდან კი უკვე მზარდი დინამიკა შენიშნება დღემდე, რაც განპირობებულია მომხმარებლების საყოველთაო დაზღვევიდან კერძო დაზღვევაზე გადასვლით. აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ 2020 წლიდან იყო კოვიდ პანდემია, მაგრამ აღნიშნულმა უარყოფითი გავლენა ვერ იქონია სადაზღვეო ბაზრებზე, პირიქით, 2021 წელს, კომპანიების მოზიდული პრემია პიკს აღწევს და ის 2020 წელთან შედარებით 147,7 ათასი ლარით გაიზარდა. დიაგრამა 2 გვიჩვენებს 2021 წელსა და 2020 წელში მოპოვებულ სადაზღვეო პრემიებს, სადაზღვევო მოგებასა და წმინდა მოგებას.




დიაგრამა 1. გამომუშავებული სადაზღვევო პრემია (მლნ. ლარი)

როგორც დიაგრამიდან ჩანს, მოზიდული სადაზღვეო პრემია 2021 წელს აღემატება 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელს, ხოლო სადაზღვეო მოგება მცირედით, მაგრამ მაინც, მეტია 2020 წელს 2021 წელთან შედარებით. 2020 წლის წმინდა მოგებაც აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს 7,7 მლნ ლარით და 647,6 მლნ ლარს, რაც ერთ-ერთი მნიშველოვანი მაჩვენებელია.



დიაგრამა 2. მოზიდული სადაზღვევო პრემია 2020-2021 წელს (მლნ ლარი)

მოზიდული პრემია 2021 წელს გაიზარდა 105,4 მლნ. ლარით, 2020 წელთან შედარებით და შეადგინა 772,7 მლნ ლარი. აქედან ყველაზე დიდი წილი მოდის „ჯი-პი-აი“-ზე და შეადგენს 140,4 მლნ ლარს. კომპანია „ჯი-პი-აი“ ლიდერი იყო გასულ წელსაც 128,9 მლნ ლარით. შემდეგ მოდის „ალდაგი“ 123,2 მლნ. ლარით. დინამიკაში უმეტესი სადაზღვეო კომპანიების მოზიდული პრემიები 2020 წელთან შედარებით გაიზარდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „ნიუ ვიჟენის“ მოზიდული პრემიები საგრძნობლად გაიზარდა გასულ წელთან შედარებით და შეადგინა 21.4 მლნ ლარი, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით კომპანიებზე „ქართუ“, ,,ბენეფიტი“, „ალფა“ და ,,ევროინის“ რადგან მათ 2020 წელთან შედარებით უფრო ნაკლები პრემია მოდის.

ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალის ანალიზი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტატისტიკური მაჩვენებელია, მისი საშუალებით შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ რამდენად საჭირო და აუცილებელია დაზღვევის არსებობა.



დიაგრამა 3. საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების რეიტინგი 2021 წელს მოზიდული პრემიების მოცულობის მიხედვით

ქვეყანაში მოქმედ 18 სადაზღვევო კომპანიას შორის, 2021 წელსაც პირველ ადგილზე „ჯიპიაი ჰოლდინგი" იყო, რომელმაც 2021 წელს 135,5 მილიონი ლარის პრემია გამოიმუშავა. 121,3 მილიონი ლარის მოზიდული პრემიით ბაზრის მეორე ადგილზე არის „ალდაგი", თუმცა მისი მაჩვენებელი 2020 წელთან შედარებით შემცირებულია 33,3 მლნ ლარით, აგრეთვე, შემცირდა „ალფას", „უნისონის" და „ბენეფიტის" ანაზღაურებული სადაზღვეო ზარალი. 113,6 მლნ ლარის პრემიით კი მესამე ადგილზეა „თიბისი დაზღვევა". ფინანსური ანგარიშების თანახმად, 2021 წელს სადაზღვევო კომპანიების ზუსტად ნახევარში შემოსავლის ზრდა, ნახევარში კი შემცირება დაფიქსირდა. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბაზარი სტაბილურად და სწრაფად იზრდება საქართველოში.



დიაგრამა 4. ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები კომპანიების მიხედვით

დიაგრამა 5-ზე გამოსახულია ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალი კომპანიების მიხედვით 2020 და 2021 წლების 6 თვის შედეგების მიხედვით. მთლიანად ანაზღაურებულმა ზარალმა  2021 წელს შეადგინა 194,2 მლნ ლარი, აქედან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა ,,ჯიპიაი ჰოლდინგს,'' სადაზღვევო ზარალმა შეადგინა 46,12 მლნ ლარი, რაც 17,31 მლნ ლარით აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მეორე ადგილზეა ალდაგი, რომლის ანაზღაურებულმა სადაზღვევო ზარალმა შეადგინა 28,69 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით მოცემული მაჩვენებელი გაიზარდა 4,98 მლნ ლარით. მოცემული სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ სადაზღვევო ბაზრის ზრდასთან ერთად იზრდება სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებული ზარალის ოდენობაც, რის განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორს დაზღვევისადმი მოსახლეობის გაზრდილი ცნობადობაც წარმოადგენს.  შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში, სადაზღვევო ბაზარზე არსებული სერიოზული კონკურენციის მიუხედავად, საქმისადმი სწორი მიდგომა და დროული

რეაგირება განაპირობებს კომპანიის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრასა და წარმატებულ საქმიანობას.



დიაგრამა 5. მოქმედი პოლისების რაოდენობა  სამედიცინო და სახმელეთო  სატრანსპორტო საშუალებათა  დაზღვევის სახეობებში ( 2019- 2021 წწ.)

სადაზღვევო ბაზრის ზრდასთან ერთად იზრდება სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებული ზარალის ოდენობაც, რის განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორს დაზღვევისადმი მოსახლეობის გაზრდილი ცნობადობაც წარმოადგენს (საქსტატი, 2023). მთლიანად დაზღვევის სფეროში შეინიშნება სადაზღვევო ბაზრის ათვისების, როგორც ხარისხობრივი, ასევე, რაოდენობრივი მახასიათებლების ზრდის დადებითი ტენდეცია, რომლის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ სადაზღვევო ორგანიზაციები კარდინალურად აუმჯობესებენ მენეჯმენტს. ასევე, თანდათან იზრდება, როგორც ორგანიზაციების, ასევე, მოსახლეობის სადაზღვევო კულტურის დონე, რაც აუცილებელი წინაპირობაა ქვეყნის სადაზღვევო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. სამედიცინო დაზღვევა ითვალისწინებს დაზღვეული პიროვნებისათვის სამედიცინო მომსახურებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. ტიპური დაფარული სერვისები როგორც ცნობილია, სერიოზული ავადმყოფობის შემთხვევაში საკმაოდ დიდი თანხაა გადასახდელი მკურნალობაში, რაც მძიმე ტვირთად აწვება პიროვნებასა და მის ოჯახს. მთელ მსოფლიოში ამ რისკის მართვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად ითვლება სამედიცინო დაზღვევა, რომელიც ითვალისწინებს დაზღვეული პიროვნებისათვის სამედიცინო

მომსახურებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. სამედიცინო დაზღვევის რაოდენობის მაჩვენებელი დინამიკაში ზრდადია. თუ ეს მაჩვენებელი 2019 წელს შეადგენდა 602,833 მლნ ლარს, 2020-ში ეს მაჩვენებელი 620,408 მლნ ლარი იყო, ხოლო 2021 წელს 637,953 მლნ ლარია. ეს მონაცემები საკმაოდ კარგი მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ იზრდება პოპულარიზაცია მოსახლეობაში დაზღვევასთან მიმართებაში. სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის მაჩვენებელიც მზარდია წლების განმავლობაში, კერძოდ, 2019 წელს მან შეადგინა 95,758 მლნ ლარი, 2020 წელს 93,196 მლნ ლარი და 2021 წელს 105,423 მლნ ლარი.

მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 17% სარგებლობს სიცოცხლის დაზღვევით, ხოლო 7% ავტომობილის დაზღვევით, რაც არც თუ ისე სახარბიელო მაჩვენებელია, თუმცა კარგია ის ფაქტი, რომ წლების მანძილზე ერთად ეს მონაცემებიც იზრდება და დადებით დინამიკას ინარჩუნებს.

2021 წლის მონაცემებით სამედიცინო დაზღვევის სახეობაში სულ მოზიდული პრემია შადგენს 305,5 მლნ ლარს, საიდანაც 28% ეკუთვნის ,,ჯი-პი-აის'', რითაც ის კვლავ ლიდერია, შემდეგ მოდის ,,იმედი l'' 20%, ,,არდი'' 17%, ,,ირაო'' 8%, ,,პსპ'' 6% და სხვა დანარჩენი კომპანიების წილი კი ჯამში 22%-ს შეადგენს. 2021 წელს მიღწეულმა ეკონომიკურმა ზრდამ დადებითი გავლენა იქონია სადაზღვევო სექტორზეც, GWP-ის ზრდამ წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +16%-ს მიაღწია და 773 მლნ ლარამდე შეადგინა. თუმცა სადაზღვევო სექტორი კვლავაც საქართველოს მშპ-ის მცირე ნაწილს შეადგენს.ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ საქართველოს მოსახლეობაში ქონებისა და ძვირფასი ნივთების დაზღვევაზე კულტურა და მოთხოვნა ჯერ კიდევ ძალიან დაბალია, თუმცა სექტორს ზრდის საკმარის სივრცეს აძლევს, რასაც ადგილობრივი კანონმდებლობისა და კანონმდებლობის შემუშავება დაეხმარება.

კვლევის შედეგად გამოვლინდა სადაზღვევო ბიზნესის განვითარების შემდეგი ხელისშემშლელი ფაქტორები: არაჯანსაღი კონკურენცია და არამიმზიდველი ბიზნესგარემო, ქვეყნის მოსახლეობის უმუშევრობის მაღალი დონე, დასაქმებულთა დაბალი შემოსავლები, ბუნებრივი კატაკლიზმები, არასწორი ფინანსური პოლიტიკა და სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობაში არსებული პრობლემები. სადაზღვევო ბაზარზე დღეს ბევრი მოთამაშეა. ამიტომ საჭიროა სიახლეების დროული დანერგვა, ხშირად კონკურენტები ფასებს ძალიან დაბლა წევენ კლიენტების გადაბირების მიზნით. ბაზარზე მრავალი სადაზღვევო ფირმა არსებობს და, შესაბამისად, დაზღვეულთა ინტენსიური გამოწვევა არსებობს. თითოეული კომპანია ეძებს საუკეთესო სადაზღვევო პროდუქტის გაყიდვის საუკეთესო გზას და მიზნად ისახავს ინდივიდთა კონკრეტულ ჯგუფს. სინამდვილეში,

ადამიანების უმეტესობა ენდობა არსებულ სადაზღვევო ფირმებს ზოგიერთ ახალ ბიზნესთან შედარებით, რადგან ახალი საწარმოები ფუნქციონირებს ნაკლები კაპიტალით და მხვილ კომპანიებთან შედარებით, ძნელია გამოწვევებს ფეხი აუწყონ იმ ფულის მცირე ნაწილით, რომელიც მათ აქვთ. თუ ადგილობრივ ბაზარს ევროპულ, წამყვან ბაზრებს შევადარებთ, საქართველოში ძალიან კარგი ზრდა შეინიშნება. 2021 წელს ზრდის ტემპი 20%-ს შეადგენს, თუმცა ბაზრის ისეთი კლასიკური სახეობები, როგორიცაა სავალდებულო მესამე პირის დაზღვევა და ქონების დაზღვევა, საქართველოში ძალიან მცირედ არის წარმოდგენილი. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ბაზარს გაცილებით დიდი წარმატება ექნება, როცა ამ ტიპის დაზღვევები ამოქმედდება. საქართველოს ბაზრის მთავარი გამოწვევა არის ზრდის ტემპი და სავალდებულო დაზღვევის არარსებობა. რაც შეეხება მსოფლიოს ბაზარს, ყველაზე დიდ სირთულეებს კლიმატური პრობლემები უქმნის. დაზღვევისთვის ყველაზე დიდი და დამანგრეველი რისკებია ბუნებრივი კატაკლიზმები და ამ გამოწვევის წინაშე დგას არა მარტო ქვეყანა, არამედ მთელი მსოფლიო და აქ სადაზღვევოს როლი ძალიან მნიშვნელოვანია. დღევანდელი კლიმატური მდგომარეობიდან გამომდინარე, გვაქვს დიდი რაოდენობით წყალდიდობები, სტიქიური უბედურებები. აუცილებელია, ამ პრობლემის დაუყონებლივ მოგვარება.

მონაცემების შეფასებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში, სადაზღვევო ბაზარზე არსებული სერიოზული კონკურენციის მიუხედავად, საქმისადმი სწორი მიდგომა და დროული რეაგირება განაპირობებს კომპანიის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრასა და წარმატებულ საქმიანობას. კვლევამ გვიჩვენა რომ საქართველოში არსებული სადაზღვეო ინდუსტრია ვითარდება, რაც განპირობებულია საზოგადოებაში დამოკიდებულების ამაღლებაში, ეს კი უბიძგებს სადაზღვეო კომპანიებს პროდუქტის დახვეწისა და განვითარებისაკენ, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. დეკანოსიძე ვ. (2021), „სადაზღვევო ბაზრის მიმდინარე და სამომავლო გამოწვევები“. ლინკი: https://commersant.ge/ge/post/sadazgvevo-bazris-mimdinare-da-samomavlo-gamowvevebi
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - https://www.geostat.ge/ka
3. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური - https://insurance.gov.ge/
4. ლაზარიაშვილი თ. (2017), „სადაზღვევო ბაზარი და აგრობიზნესის განვითარების მიმართულებები“. ლინკი: https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=

5. ჭელიძე მ., ბერიძე თ., ჟორჟოლიანი გ. (2018), „საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს მიმოხილვა“
6. ხუციშვილი მ. (2012), „სადაზღვევო პროდუქტების ბაზრის მარკეტინგული ანალიზი“. Georgian Technical University (ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი) 23 კოკაია ქ. , დაზღვევა საქართველოში.

# მიწების მელიორაციის მართვის ინსტრუმენტულ-სტრუქტურული მექანიზმის ფორმირება
# Formation of the Instrumental-Structural Mechanism for Land Reclamation Management

**თენგიზ ლაჩქეპიანი,** პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
**მაია კილაძე,** პროფესორი, ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
**მთვარისა თანანაშვილი,** ასოცირებული პროფესორი, ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
**მაია ლომიშვილი,** ასისტენტ პროფესორი, აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

**Tengiz Lachkepiani,** Professor,
Academic Doctor of Economics
**Maya Kiladze,** Professor, Academic Doctor of Engineering
**Mtvarisa Tananashvil,** Associate Professor,
Academic Doctor of Engineering in Construction
**Maia Lomishvili,** Assistant Professor,
Academic Doctor of Agricultural Engineering
**Georgian Technical University**

**აბსტრაქტი.** სტატიაში განხილულია ეკოლოგიურ-ეკონომიკური ხასიათის საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფენ აგრომელიორირებულ ლანდშაფტებზე მიწების მართვის სისტემის ინსტრუმენტურ-სტრუქტურული მექანიზმის ჩამოყალიბებას. ასევე აღნიშნულია, რომ მიწების კადასტრის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მილიორირებული მიწებისა და საკადასტრო შეფასების ღონისძიებების აღრიცხვას, რომელიც წარმოადგენს კომპლექსური სისტემის მონაცემებს, რაოდენობრივ და ხარისხობრივ დახასიათებას. სტატიის ბოლოს ჩამოთვლილია მიწის მელიორაციის ჩატარების წესებმა, რომელი საკითხები უნდა მოიცვან.

**საკვანძო სიტყვები:** ეკოლოგია, ინსტრუმენტი, მექანიზმი, მელიორაცია, მართვა.

**Abstract.** The article discusses issues of an ecological-economic nature, which ensure the formation of the instrumental-structural mechanism of the land management system on agro-improved landscapes. It is also noted that in the structure of the land cadastre, an important place is occupied by the recording of reclamation land and cadastral assessment measures, which represent the data of a complex system, quantitative and qualitative characterization.
**Key words:** Ecology, Tool, Mechanism, Amelioration, Management.

ცნობილია, რომ უკანასკნელ ათწლეულის განმავლობაში მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის არამდგრადი განვითარების პრობლემებმა მიიღო პრობლემური ხასიათი. მთლიანად არადამაკმაყოფილებელმა სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის რეორგანიზაციამ და განსაკუთრებით კი მელიორაციამ და წყალთა მეურნეობამ, დარგში თანამედროვე მართვის ინსტრუმენტების და საინვესტივიო და საინოვაციო ფაქტორების არასაკმარისმა გამოყენებამ გამოიწვია მიწისა და წყლის რესურსების გამოყენების დონის დაცემა.

ცხადია, რომ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ეკონომიკა აგებულია ორგანიზაციულ-სტრუქტურულ განზალანსირებაზე, რომელსაც არ შეუძლია უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგრადი განვითარება.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი, საკუთრების სხვადასხვა ფორმების არსებობისას, უნდა იყოს საერთო სახელმწიფო სტრატეგიის განვითარება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ცალკეული მეურნეობის სისტემაში მელიორაციის დარგის აღდგენის აუცილებლობა და მნიშვნელობა. ამასთან დაკავშირებით, დგება მელიორაციისა და წყალთა მეურნეობაში არსებული ურთიერთობების რადიკალური გარდაქმნის აუცილებლობა. ასეთ პირობებში საჭიროა ახალი სტრუქტურული ინსტრუმენტები საწარმოო პროცესების მართვის მხრივ ორგანიზაციულ, ეკოლოგიურ-ეკონომიკურ, ნორმატიულ-სამართლებრივი ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას მის დინამიკაზე და სამეურნეო მექანიზმში მის ჩართულობაზე.

ამ მიზნით აუცილებელია დარგში კონცეპტუალურ-თეორიული მიდგომების კონსტრუქციული სინთეზი, რათა გადაწყდეს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის განვითარებაში ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემები. თანამედროვე პირობებში მელიორაციასა და წყალთა მეურნეობაში ეკოლოგიურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მენეჯმენტს. ყოველივე ეს მართვას უყენებს ახალ მოთხოვნებს მელიორაციასა და წყლთა მეურნეობაში.

კონსტრუქციულმა მოქმედებებმა მელიორაციასა და წყალთა მეურნეობის განვითარებაში, არსებული პრობლემების გადაწყვეტაში, გამოხატულება უნდა ჰპოვოს ინოვაციური პროექტების დამუშავებით, რომლითაც მიღწეულ იქნება ამ პროცესების მართვის სხვადასხვა დონეები და ჩამოყალიბდება ერთიან კონცეპტუალურ საფუძველზე. ასეთი ინოვაციური პროექტი მელიორაციასა და წყალთა მეურნეობისათვის, რომელიც მოიცავს დარგში ორგანიზებულ-სტრუქტურულ ცვლილებებს შეიძლება წარმატებით დამუშავდეს და განხორციელდეს და გამოყენებულ იქნას ადექვატურად

ჩამოყალიბებულ მეთოდოლოგიაში, სამმართველო სტრუქტურების ფორმირებისას სისტემური მიდგომების პრინციპების დაცვით.

ჩვენი აზრით, ინოვაციური პროექტები, რომელიც მოიცავს მელიორაციის დარგის აღდგენისა და განვითარების მსხვილ პრობლემებს, საწარმოო პროცესების მმართველობის აღდგენას ეკოლოგიურ-ეკონომიკური საქმიანობას ეფექტიანობის გათვალისწინებით მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. მელიორაციული და წყალთა მეურნეობის ობიექტების თანამედროვე მდგომარეობის არსებული სიტუაციის ანალიზი და სისტემატიზაცია, მისი გავლენა სასურსათო პრობლემების რეგულირებისა და სოციალური საკითხების გადაწყვეტაზე, აგრეთვე მელიორაციულ გარემოს მდგომარეობაზე:

- წყალთა მეურნეობის კომპლექსში არსებული სისტემისა და მისი საწარმოო და ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი;
- მელიორირებული მიწების, სარწყავი სისტემის, მელიორირებული ტერიტორიების საინჟინრო მოწყობილობებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი;
- მელიორაციის დარგის დეგრადაციისა და მელიორაციის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი;
- სარწყავი თესლბრუნვების სისტემაში მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენების ანალიზი;
- მელიორაციის დარგის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის სოციალურ-ეკონომიკური პირობების ანალიზი;
- ბუნებისდაცვითი პრობლემების, ნიადაგის ნაყოფიერებისა და სარწყავი წყლის ხარისხის გაუმჯობესების ანალიზი;
- სამელიორაციო მიწების გამოყენების საზღვარგარეთის გამოცდილების გაზიარება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების თვალსაზრისით;

2. მელიორაციის პერსპექტიული განვითარების საკითხები საქართველოსათვის, რისთვისაც საჭიროა:

- ეკოლოგიურად მდგრადი მელიორაციის დარგის განვითარების კონცეფციის დამუშავება;
- სარწყავი მიწათმოქმედების გაუმჯობესების ღონისძიებათა დამუშავება;
- განისაზღვროს წყლის მოთხოვნილებისა და წყლის გამოყენებას მეთოდები მიწაზე და წყლის რესურსებზე მოთხოვნების სხვადასხვა ფორმების პირობებში.
- დაისახოს ღონისძიებათა კომპლექსი მელიორაციისა და წყლთა მეურნეობების ექსპლუატაციის საიმედოობის პრობლემების გადაწყვეტისათვის;

- განისაზღვროს მელიორაციის ეფექტიანი განვითარების სახელმწიფო რეგულირების საფუძვლები, ჩამოყალიბდეს დარგის მართვისათვის სტრუქტურული ინსტრუმენტი;
- განისაზღვროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ობიექტების მდგრადობა;
- დამუშავდეს წინადადებები მელიორაციის დარგის ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარებისათვის;

3. მელიორაციული და წყალთა მეურნეობის საქმიანობისათვის სამართლებრივი და ნორმატიული უზრუნველყოფა;

4. მელიორაციის დარგის განვითარების და სრულყოფისათვის დამუშავდეს ინფორმაციული ღონისძიებები;

5. დამუშავდეს ღონისძიებათა კომპლექსი, მიმართული მელიორაციული დარგების ინვესტიციური მოთხოვნილებების შექმნისათვის;

6. განისაზღვროს ღონისძიებათა კომპლექსი მელიორირებული ლანდშაფტების ეკოლოგიურ-ეკონომიკურობის მხრივ მდგრადი განვითარებისთვის;

დაისახოს ღონისძიებები მელიორაციული დარგების განვითარების რეალიზაციისათვის.

მართვის ინსტრუმენტულ-სტრუქტურულ სისტემაში მნიშვნელოვან როლს ღებულობს სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ ღონისძიებების შემუშავება მელიორაციის მიწების მხრივ.

ინსტრუმენტულ-სტრუქტურულ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელმწიფო მიწისა და მათ შორის მელიორირებული მიწების კადასტრს.

მელიორირებული მიწების კადასტრის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მელიორირებული მიწებისა და საკადასტრო შეფასების ღირებულების აღრიცხვას. მელიორირებული მიწების სახელმწიფო საკადასტრო აღრიცხვა წარმოადგენს კომპლექსური სისტემის მონაცემებს, რაოდენობრივ და ხარისხობრივ (ჰიდროლოგიური, ფიზიკურ-ტექნიკური, ეკოლოგიური, გეომორფოლოგიური და სხვა) დახასიათებას.მელიორირებული მიწების ღირებულების საკადასტრო შეფასება გამოდის თანამედროვე პირობებში ერთ-ერთ მთავარ ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ინსტრუმენტად მელიორირებული მიწების სახელმწიფო მართვის სისტემაში. მელიორირებული მიწების ღირებულების მაჩვენებელთა განსაზღვრის წესსა და პირობებს განსაზღვრავს საკადასტრო შეფასების მეთოდური რეკომენდაციები. მელიორირებული მიწების ღირებულების საკადასტრო შეფასების მაჩვენებლები საბაზისოა.

მელიორირებული მიწების სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკვია მელიორაციული ღონისძიებების ჩატარების ორგანიზაციას. მიწების

მელიორაციის ჩატარების პირობებმა და წესებმა უნდა მოიცვან შემდეგი საკითხების (ამოცანები) გადაწყვეტა:

- მიწების მელიორაციის დაგეგმვა;
- მელიორაციული ღონისძიებების ჩატარებისათვის მიწების გამოყენების წესი და პირობები;
- ცალკე არსებული ჰიდრონაგებობების და აგრომელიორაციული მიწების მელიორაციული სისტემების მიღება ექსპლუატაციაში;
- მოქალაქეებისათვის (ფიზიკური პირი) კერძო საკუთრებაში მელიორირებული მიწების გადაცემა;
- მელიორაციული სისტემების სამართლებრივი დაცვა;
- მელიორაციული ღონისძიებების ჩატარებისას ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვა და ა. შ.
- ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირველადი მოთხოვნებიდან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა იქნეს გათვალისწინებული მიწების მელიორაციის პრიორიტეტად ტიპები და სახეები, რომლებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ:
- ჰიდრომელიორაცია;
- აგრომელიორაცია;
- მიწების კულტტექნიკური მელიორაცია;
- მიწების ქიმიური მელიორაცია.

საბოლოოდ უნდა ავღნიშნოთ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური, ტექნიკური და ეკოლოგიურ - ეკონომიკური ხერხების მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს საწარმოო პროცესების უწყვეტი რეგულირება მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სისტემაში და მოხდეს ეკოლოგიზაცია საქმიანობის ამ სფეროში.

**დასკვნა.** ზემოთ აღნიშნული მელიორაციის მიწების და წყალთა მეურნეობის ობიექტების მართვის ინსტრუმენტულ-სტრუქტურული სისტემის არჩევა, ადგილზე დარგის მართვის განხორციელება უნდა მოხდეს ბუნებისდაცვითი მოქმედებების გათვალისწინებით.

ამასთან ერთად შეიძლება დავასკვნათ,რომ მელიორაციის სფეროში არსებული მართვის სწორი აპარატის საშუალებით შეიძლება მივაღწიოთ მიწის რესურსების ხარისხის გაუმჯობესებას, მაგრამ არ შეიძლება დავიწყებულ იქნას ინოვაციური მეთოდებიც, დაფინანსება და სხვა ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს სიღრმისეულად მივუდგეთ მელიორაციის საკითხებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ი. ყრუაშვილი, ი. ინაშვილი - წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში, სტუ, თბილისი 2009 წ. 339 გვ;
2. საქართველოს კანონი მიწების მელიორაციის შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 44, 11/11/1997წ;
3. მ. ვართანოვი - წყალთა მეურნეობის ეკონომიკა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, თბილისი, 2016 წ. 110 გვ.

## ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში და მისი განვითარების გზები საქართველოში

## The importance of Digital Technologies in Agriculture and Ways of its Development in Georgia

**ბექა ზაუტაშვილი**
დოქტორანტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Beka Zautashvili**
PhD Student, Tbilisi State University

**რეზიუმე.** სტატიაში განხილულია ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში და წარმოდგენილია მათი განვითარების გზები საქართველოში. ხაზგასმულია ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდაში და გამოკვეთილია საქართველოში მათი დანერგვის გამოწვევები და ბარიერები. ბარიერების აღმოსაფხვრელად და საქართველოში სოფლის მეურნეობის ციფრული გარდაქმნისათვის წარმოდგენილია ინიციატივები, რომლებიც მოიცავს ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებას, ინოვაციებისა და მეწარმეობის ხელშეწყობას, პოლიტიკის შემუშავებას და სხვ. დასკვნის სახით წარმოდგენილია, რომ სოფლის მეურნეობის ციფრული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვანია საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ზრდისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** სოფლის მეურნეობა; ციფრული ტრანსფორმაცია; ციფრული ტექნოლოგიები; ინოვაციები.

**Resume.** The article discusses the importance of digital technologies in agriculture and presents ways to develop them in Georgia. The article highlights the importance of digital technologies in increasing the efficiency and productivity of agriculture and also identifies the challenges and barriers to their implementation in Georgia. To eliminate these barriers and facilitate the digital transformation of agriculture in Georgia, the article presents various initiatives such as the development of digital infrastructure, promotion of innovation and entrepreneurship, policy development, and others. In conclusion, the article emphasizes that the digital transformation of agriculture is crucial for ensuring Georgia's food security and promoting its economic growth.

**Keywords:** Agriculture; Digital Transformation; Digital Technologies; Innovations.

ციფრიზაცია და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები ეკონომიკის ყველა სექტორს ძირეულად ცვლის, გამონაკლისი ამ მხრივ არც აგროსექტორია, სადაც ციფრული ტრანსფორმაცია და ინოვაციური პროცესები მოქმედებს ამ დარგის ეფექტიანობაზე, პროდუქტიულობასა და შემოსავლიანობაზე. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით (ზუსტი სოფლის მეურნეობა, ნივთების ინტერნეტი (IoT), ხელოვნური ინტელექტი და სხვ.) ფერმერებს შეუძლიათ განახორციელონ ნათესების, ნიადაგისა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა მონაცემის ანალიზი და მონიტორინგი. მიღებული შედეგები კი შესაძლებელია გამოიყენონ საირიგაციო სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის, სასუქებისა და პესტიციდების მოხმარების ოპტიმიზაციისთვის, კლიმატისა და ამინდის ცვლილების საპრევენციო ღონისძიებების გატარებისთვის და სხვ. ციფრული ინსტრუმენტების მოხმარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოებული პროდუქტის რეალიზაციაზეც, კერძოდ, მათი გამოყენებით მარტივდება მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი, კომუნიკაციისა და კოორდინაციის პროცესი ფერმებს, შუამავლებსა და მომხმარებლებს შორის. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის დიგიტალიზაცია სექტორის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს აწარმოონ მეტი პროდუქტი ნაკლები დანახარჯით, შეამცირონ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება და გაზარდონ შემოსავლები.

სოფლის მეურნეობის ციფრიზაციის პერსპექტიულობის მიუხედავად, მისი დანერგვა სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული, შესაბამისად, ამ ეტაპზე მისი გამოყენებით შეუძლებელია აგროსექტორის მთავარი გამოწვევის - გლობალური შიმშილის სრულად აღმოფხვრა და სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელიც კიდევ უფრო გამძაფრდა პანდემიისა და მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე. გარდა პანდემიისა და შეიარაღებული დაპირისპირებისა, აგროსექტორს უჭირს ციფრული ტექნოლოგიების სრულყოფილი ათვისება, რადგან სოფლებსა და ქალაქებს შორის ძალიან დიდი ციფრული უფსკრულია. განსხვავება განპირობებულია სოფლად ციფრული ინფრასტრუქტურის განუვითარებლობითა და გაუმართაობით, მწირი ფინანსური რესურსებით, ფერმერთა ციფრული უნარების ნაკლებობითა და სხვა ფაქტორებით. მსგავსი პრობლემებია საქართველოშიც, სადაც სოფლის მეურნეობა საუკუნეების განმავლობაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. თუმცა, ამ ეტაპზე სექტორი არაერთი გამოწვევის წინაშეა, რომლის შემსუბუქება შეუძლია ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და დარგის ციფრულ ტრანსფორმაციას.

საქართველოს აგრო-სექტორის გამოწვევებზე საუბრისას აღსანიშნავია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის

განვითარების სტრატეგია 2021 – 2027“, სადაც განხილულია დარგის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები, რომლებიც საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით პირდაპირ ახდენენ უარყოფით ზეგავლენას ციფრულ ტრანსფორმაციაზე, მათ შორისაა: პროფესიული განათლების დაბალი დონე, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ცოდნის არასაკმარისი გამოყენება; სუსტი საბაზრო კავშირები მიწოდების ჯაჭვში; სუსტად განვითარებული სამეწარმეო საქმიანობის კულტურა; გაუმართავი ინფრასტრუქტურა; ინტერნეტზე დაბალი ხელმისაწვდომობა; ნაკლებად განვითარებული სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა; ცოდნასა და ახალ ტექნოლოგიებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა და სხვ. ასევე, სოფლის მეურნეობის სექტორის გამოწვევებს შორისაა საკვების თვითკმარობის დაბალი კოეფიციენტები, განსაკუთრებით ხორბლის, ხორცისა და თევზის პროდუქტებზე (17-47%). ციფრიზაციის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყანაში დიდი რაოდენობით წარმოდგენილი წვრილი/მცირე ზომის მეურნეობები და სხვ.

ზემოხსენებული პრობლემები, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს დარგის მწარმოებლურობაზე და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა დასაქმების მხრივ მესამეა (დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი-15.2%), 2010 წლის შემდეგ სოფლის მეურნეობის წილმა მთლიან სამამულო პროდუქტში 11.4%-დან 7.4%-მდე (2021) დაიწია, კლების ტენდენციით ხასიათდება ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების რაოდენობა და საშუალო მოსავლიანობაც (ხორბლისა და ქერის გარდა, სადაც 2020 წელთან შედარებით, საშუალო მოსავლიანობა 2021 წელს გაიზარდა). აქვე აღსანიშნავია, რომ კლების ტენდენცია პიდაპირი ინდიკატორი არაა აგრო-სექტორის პრობლემურობის განსაზღვრისთვის, რომლის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ინოვაციური სოფლის მეურნეობის სექტორით ცნობილი ისრაელი, სადაც სოფლის მეურნეობა GDP-ს დაახლოებით 2.5%-ს შეადგენს და  დასაქმებულთა მხოლოდ 1.8%-ს მოიცავს. მიუხედავად მცირე პროცენტული მაჩვენებლებისა, ისრაელი არის რძის პროდუქტებისა და ხორცის მთავარი მწარმოებელი, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წამყვანი ექსპორტიორი (EU, აშშ, რუსეთის ფედერაცია) - 2019 წელს პროდუქციის ექსპორტმა 2,9 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიის 43%-ს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეადგენს, თუმცა მიწის რესურსის არაეფექტიანი გამოყენების, კვალიფიციური კადრებისა და ტექნოლოგიების ნაკლებობის გამო ქვეყანაში ვერ ხდება საკმარისი რაოდენობის აგრო პროდუქტის წარმოება, და კვლავაც, იმპორტი აჭარბებს ექსპორტს (მაგ.: 2022 წელს აგროსასურსათო პროდუქტებზე უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა შეადგინა -590 მლნ აშშ დოლარი).

პრობლემათა დასაძლევად სახელმწიფო ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას: რეგიონების ინტერნეტიზაცია (ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა), სოფლის მეურნეობის ფინანსური დახმარება, ინოვაციებისა და წარმოების სტიმულირება („სოფლის განვითარების სააგენტო“, „აწარმოე საქართველოში“, „სტარტაპ საქართველო“ და „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ და სხვ.), პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით რეგიონებში გახსნილია პროფესიული სასწავლებლები და სხვ. ამასთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია აქტიურადაა ჩართული სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ პროექტებში, მაგ.: USAID (სოფლის მეურნეობის პროგრამა პროგრამას ახორციელებს - CNFA), ევროკავშირის პროგრამა, რომელიც საქართველოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს უწყობს ევროპის სამეზობლო პროგრამის, ENPARD-ის დახმარებით და სხვ.

მცდელობების მიუხედავად ფაქტია, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა კვლავ არაერთი გამოწვევის წინაშეა და წარმოებაში ციფრული ტექნოლოგიები მასობრივად არ გამოიყენება. პრობლემაზე საუბრისას გასათვალისწინებელია შიდა და გარე მიგრაციული პროცესები, რომელიც ცალსახად უარყოფითად მოქმედებს, არა მხოლოდ სოფლის მეურნეობასა და მის სამომავლო განვითარების პოტენციალზე, არამედ ეკონომიკის ყველა დარგზე. შეუსაბამო ინფრასტრუქტურისა და პირობების გათვალისწინებით მოსახლეობის დიდი ნაწილი, საუკეთესო შემთხვევაში, სოფლიდან გადადის საქართველოს დიდ ქალაქებში, რის შედეგადაც 2019 წლის მონაცემებით საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 58,7% ცხოვრობს ქალაქში. სოფლის დაცლა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აგროსექტორში ადამიანის შრომა ჯერ ისევ აქტიურად გამოიყენება, უარყოფითად მოქმედებს სოფლის მეურნეობაზე. ამასთანავე, სოფელს ტოვებენ ახალგაზრდები, რაც პირდაპირ აფერხებს აგროწარმოებაში ციფრულ ტრანსფორმაციას, ვინაიდან კორელაცია ასაკსა და ციფრულ უნარებს შორის მაღალია. მიგრაციული პროცესის შესაჩერებლად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მცირე საქალაქო დასახლებების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (მაგალითად, სულ მცირე, უნდა მოწესრიგდეს გზები, წყალანირების სიტემა, ძირითადი მოთხოვნილების დაკმყოფილებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, აუცილებელი სერვისების ადგილზე მიღების შესაძლებლობა, საგანმანათლებლო სივრცეები და სხვ.). აღნიშნული ქმედებები შესაძლებელია გახდეს სტიმული მიგრაციული პროცესის შესაფერხებლად.

თანამედროვე ეკონომიკურ პროცესებზე ციფრული ტექნოლოგიების გავლენა და მნიშვნელობა ცალსახაა, რომელსაც ფეხი უნდა აუწყოს ნებისმიერმა ეკონომიკურმა სუბიექტმა. საქართველოში აგროსექტორის

წარმატებული ციფრული ტრანსფორმაციისთვის საჭიროა აქტიური თანამშრომლობა და კოორდინაცია სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხით დაინტერესებულ მხარეებს შორის (სახელმწიფო, ფერმერი, მკვლევარი, კერძო სექტორი). მათი ერთობლივი მუშაობით უნდა შეიქმნას გარემო, სადაც ციფრული ტრანფორმაციის პირობებში ქართველი ფერმერების სპეციფიკური საჭიროებები სრულად იქნება დაკმაყოფილებული. ამასთანავე, მნიშვნელოვანია შიდა მიგრაციული პროცესის შეფერხება და მოსახლეობის სოფელში დაბრუნების ხელშეწყობა, ვინაიდან სოფლის მეურნეობაში ინოვაციური პროცესისა და ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის გარანტი სწორედ ადამიანისეული რესურსია.

## გამოყენებული ლიტერატურა:


- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი, 2023 წელი;
- მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი, 2019;
- Amankwah-Amoah J. and others, COVID-19 and digitalization: The great acceleration, 2021;
- Central Bureau of Statistics, ლინკი: https://www.cbs.gov.il/en/subjects/Pages/Agriculture-and-Environment.aspx# ;
- EU4Georgia, პროგრამა ENPARD, ლინკი: https://eu4georgia.eu/ka/enpard/;
- Eurepean Comission, The Digitalisation of the European Agricultural Sector, ლინკი: https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/digitalisation-agriculture ;
- Hodder, A. New Technology, Work and Employment in the era of COVID-19: Reflecting on legacies of research. New Technol. Work. Employ. 2020, https://doi.org/10.1111/ntwe.12173;
- ISRAEL EXPORT INSTITUTE, ლინკი: https://www.export.gov.il/en ;
- KharaiShvili E., Challenges for Sustainable Food Security in Georgia, 2017;
- Opennet, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა;
- USAID, ლინკი: https://www.usaid.gov/ka/georgia/our-programs ;
- World Bank, Food Security Update, 2023, ლინკი: https://www.worldbank.org/en/topic/agriculture/brief/food-security-update .

# ბოცვრის კომბინირებულ საკვებში ტომატის ფქვილის გამოყენება და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა
# The Use of Tomato Flour in the Combined Fodder of Rabbits and its Economic Effectiveness

**გიორგი ნატროშვილი,** ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
**მანანა ცინცაძე,** ს/მ ასოცირებული პროფესორი
**ნაილე ორჯანელი,** მეცხოველეობის აკადემიური დოქტორი, ასისტისტენტ პროფესორი
**ნათია ნატროშვილი,** ვეტერინარიის აკადმიური დოქტორი, ასისტისტენტ პროფესორი
**ლაშა ჩხარტიშვილი,** მეცხოველეობის მიმართულების დოქტორანტი
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

**Giorgi Natroshvili,** Academic Doctor of Economics
**Manana Tsintsadze,** Associate Professor
**Naile Orjaneli,** Academic Doctor, Assistant Professor
**Natia Natroshvili**, Academic Doctor of Veterinary Science, Assistant Professor
**Lasha Chkhartishvili,** PhD student
**Georgian Technical University**

**აბსტრაქტი.** წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია საქართველოში მემცენარეობა, მეცხოველეობის და საკონსერვო წარმოების მჭიდრო კავშირი და მათი ერთობლივი მონაწილეობა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში. სტატიაში ასევე ყურადღება არის გამახვილებული მეცხოველეობის დარგის კერძოდ მებოცვრეობის მიმართულებით კომბინირებული საკვების ღირებულებაზე და მასში მარცვლეულის დაზოგვის მიზნით 10% პროცენტით საკონსერვო ანარჩენი-ტომატის ფქვილის ჩართვაზე.
სტატიაში მოყვანილია ტომატის ფქვილის ქიმური შედგენილობა, ფართოდ არის გაშლილი ცდის მიმდინარეობა და შედეგების შეფასებაშა, რომელიც მთავრდება ეკონომიკური ეფექტიანობის შესწავლით და წარმოდგენილი რეკომენდაციით.

**საკვანძო სიტყვები:** საკონსერვო ანარჩენი, ტომატის ფქვილი, ბოცვერი, სადღეღამისო წონამატი, საკვები, ერთეული, ნედლი პროტეინი, ნედლი უჯრედანა, ნედლი ცხიმი, ნაცარი, მონელება, ხორცის გამოსავლიანობა, ნაკლავის წონა, თვითღირებულება, ხორცის რეალიზაცია.

**Abstract**. The present article presents the close relationship between horticulture, animal husbandry and canning production in Georgia and their joint participation in creating a strong food base for livestock.In the article, attention is focused on the value of combined feed in the field of animal husbandry, in particular, in the direction of skinning, and the inclusion of canning waste-tomato flour with a 10% percentage in order to save grain. In the article, the chemical composition of tomato flour is presented, the course of the trial is widely spread and the evaluation of the results, which ends with the study of the economic efficiency and the presented recommendation.

**Key words:** Canning Residue, Tomato Flour, Pulp, Daily Weight Gain, Feed, Unit, Crude Protein, Crude Cell, Crude Fat, Ash, Digestibility, Meat Yield, Slaughter Weight, Self-Value, Sale of Meat.

მეცხოველეობა ერთმანეთთან ორგანულად იყო დაკავშირებული, მათ თამამად შეიძლება ითქვას, მიემატა მესამე მიმართულება სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საკონსერვო ტექნოლოგიური ხაზი (პამიდვრის, ხილის, ჩაის და სხვა), რომელიც

ანარჩენების სახით გამოირჩევა. მეცნიერული შესწავლის ფონზე დადგინდა, რომ ზოგადად ანარჩენები მდიდარია ყველა იმ საზრდო ნივთიერებებით (როგორც ნედლი, ისე მშრალი მდგომარეობა) რომელიც ესაჭიროება სხვადასხვა სახის ცხოველს კომბინირებული საკვების დამზადების სფეროში, გარკვეულად ძვირად ღირებული ინგრედიენტების დაზოგვის მიზნით, რაც მიღებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას გამოიწვევს.

მეცხოველეობის მიმართულება - მებოცვრეობა უნდა ითქვას, რომ მთლიანად კონცენტრირებულია (96%) კომბინირებულ საკვებზე, სადაც 60% ჩართულია ძვირად ღირებული მარცვლოვანი კულტურები, ეს კი საგრძნობლად ამაღლებს ბოცვრის ხორცის თვითღირებულებას. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რესპუბლიკაში თანდათანობით მატულობს კერძო საოჯახო ფერმერული სტრუქტურები, რომლებსაც უნდა შეეძლოთ დაამზადონ ისეთი კომბინირებული (გრანულირებული) საკვები, რომელიც გაადვილებს სულადობის მაქსიმალურ შენარჩუნებას, უზრუნველყოფს წონამატის ზრდას და ბოცვრის ხორცის მიღებას მინიმალური დანახარჯებით. კვლევის მიზანი იყო მებოცვრეობის სფეროში, კერძოდ მის კომბინირებულ საკვებში 10% ჩაგვერთო ხორბლის გამოთავისუფლებით საკონსერვო ანარჩენი - ტომატის ფქვილი. მისი ქიმიური შედგენილობა მშრალ მდგომარეობაში ასე გამოიყურება (იხ. ცხ. 1)

ცხრილი 1

ტომატის ანარჩენის ქიმიური შედგენილობა

| | მაჩვენებელი | ჰაერმშრალ მდგომარეობაში, % |
|---|---|---|
| 1. | ჰიგროსკოპიულიტენი (წყალი) | 13,49 |
| 2. | პროტეინი | 8,65 |
| 3. | ცხიმი | 4,64 |
| 4. | ნაცარი | 25,63 |
| 5. | უჯრედანა | 24,69 |
| 6. | უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერება (უენ) | 22,9 |
| 7. | კალციმი (Ca) | 275 მგ/კგ |
| 8. | ფოსფორი (P) | 2გ/კგ |
| 9. | საკვები ერთეული(ს.ე.) | 0,38 სე |

გამოყენებულ ბოცვრის კომბინირებულ საკვების რეცეპტში 10 %-ით ჩავრთეთ ტომატის ანარჩენი. რეცეპტი ასე გამოიყურება:

**ცხრილი 2**

| შემადგენლობა | პროცენტული შემცველობა (%) | |
|---|---|---|
| ყვითელი სიმინდი | 25 | |
| ხორბალი | 21 (31) | |
| სოიოს შროტი | 16 | |
| ტომატის ანარჩენი (ფქვილის სახით) | 10 | |
| ხორბლის ქატო | 10 | |
| ძვლის ფქვილი | 1 | |
| თევზის ფქვილი | 1 | |
| საკვები საფუარი | 1 | |
| პრემიქსი | 1 | |
| მარილი | 1 | |
| სულ: | 100 | |
| 100 გრამი საკვები შეიცავს | | |
| მაჩვენებელი | ფაქტიურად | ნორმით |
| საკვები ერთეული | 0,106 | 0,11 |
| სამიმოცვლო ენერგია კკალ | 294 | 295 |
| ენერგეტიკული საკვები ერთეული | 0,84 | 0,84 |
| ნ/პროტეინი | 17,2 | 17,3 |
| ნ/უჯრედანა | 6,5 | 6,1 |
| ნ/ცხიმი | 2,4 | 2,6 |

| | | |
|---|---|---|
| ლიზინი | 0,85 | 0,86 |
| მეთიონინი | 0,25 | 0,36 |
| ცისტინი+მეთიონინი | 0,39 | 0,40 |
| ტრეონინი | 0,79 | 0,81 |
| ტრიფტოფანი | 0,21 | 0,20 |
| კალციუმი | 0,74 | 0,6 |
| ფოსფორი | 0,74 | 0,79 |
| ნატრიუმი | 0,45 | 0,4 |

აღნიშნული კომბინირებული საკვების ჩართვამ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით შესწავლილი იქნა- ცოცხალი მასის დინამიკა, მოზარდის შენარჩუნება, საკვების ათვისება, ხორცის გამოსავლიანობა და ეკონომიკური ეფექტიანობა.

ცოცხალი მასის დინამიკამ აჩვენა დადებითი შედეგი, კერძოდ საკონტროლოსთან შედარებით გაზრდილია 60, 90 და 120 დღის ასაკში შესაბამისად-იყო: 1,6-1,7 კგ, 2,6-28 კგ და 3,0-3,1 კგ ბოცვრის მოზარდის საშუალო სადღეღამისო წონამატი საკონტროლოსთან შედარებით, ასე გამოიყურება შესაბამისა 60-90 და 120 დღის ასაკში - 30,0-40 გ, 10,0-13,3გ და 21,67-25,0გ.

ბოცვრის მოზარდის შენარჩუნება მაღალია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, კერძოდ 90 დღიანი ბაჭიის ინტენსივობა 1, 5% გაიზარდა, ხოლო 120 დღიანის 3,6%-ით. ასევე ინტენსიურად ხდებოდა საკვების ათვისება საცდელ ჯგუფში დაახლოებით 2-3 %-ით.

საკონტროლო დაკვლის შედეგად ბოცვრის ხორცის გამოსავლიანობამ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (50%)- შეადგინა 51, 39% .

მოვახდინეთ ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება რომელი ცხრილი 3 სახით ასე გამოიყურება:

ცხრილი 3

| მაჩვენებლები | ზომის ერთეული | I (საკონტროლო) | II (საცდელი) |
|---|---|---|---|
| საცდელი სულადობა | სული | 100 | 100 |

| | | | |
|---|---|---|---|
| შენარჩუნება 120 დღის ასაკში | % | 95 | 95 |
| დაკლული ბოცვრის რაოდენობა | სული | 950 | 950 |
| დაკლული ბოცვრის საშ. ცოცხ. მასა | კგ | 3,1 | 3,2 |
| სულ წარმოებული ხორცი. | კგ | 2945 | 3040 |
| ხორცის გამოსავალი | % | 51 | 51,39 |
| დაკლული წარმოებული ხორცი | კგ | 1501,95 | 1562,30 |
| საკ. დანახარჯ. 1 სულზე გამზ. პერ. | კგ | 8,85 | 9,0 |
| სულ საკვების დანახარჯი | გ | 8407,5 | 8550,0 |
| 1 კგ საკვების ღირებულება | ლარი | 0,73 | 0,72 |
| დახარჯული საკვების ღირებ. | ლარი | 6137,50 | 6156 |
| სხვა დანახარჯი | ლარი | 2206,9 | 2206,9 |
| სულ დანახარჯი | ლარი | 8344,30 | 8362,6 |
| 1 კგ წარ. ხორცის თვითღ. | ლარი | 2,83 | 2,75 |
| 1კგ დაკლული ხორც. თვითღ. | ლარი | 5,55 | 5,35 |
| კგ. ხორცის სარეალიზაციო ფასი | ლარი | 6,0 | 6,0 |
| ხორცის რეალიზაც. მიღ. თანხა | ლარი | 9013,7 | 9373,8 |
| მოგება | ლარი | 667,4 | 1011,2 |
| მოგება 1 სულზე | ლარი | 0,67 | 1,01 |

ეკონომიკური ეფექტიანობით დადგინდა, რომ საცდელი ჯგუფმა საკონტროლოსთან შედარებით აჩვენა მოგება. კვლევის შედგენად დადგინდა, რომ ბოცვრის კომბინირებულ საკვებში მარცვლის ნაცვლად ჩაირთოს 10 % ტომატის ანარჩენი, რომელიც დადებითად მოქმედებს , როგორც ბოცვრის ზრდა-განვითარებაზე, ამასთან ერთად მიღებული

პროდუქცია იქნება მაღალხარისხიანი და შესაბამისად ეკონომიკური მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იქნება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ნატროშვილი ნ, ცინცაძე მ. ორჯანელი ნ., ბოცვრის დაავადებები, მოვლა, კვება და შენახვა, 2022;
2. ბოგდანოვი გ. სასოფლო სამეურნეო ცხოველთა კვება-ბოცვრის კვება, 1990;
3. თოდუა დ, ჭკუასელი ა. ცინცაძე მ. და სხვ., კომბინირებული საკვების დამზადება და შენახვა 2009.


# სოციალური მედია გზავნილები კოვიდ-პანდემიის პერიოდში საქართველოს მაგალითზე
# Social Media Messages During the COVID Pandemic on the Example of Georgia


**ეკატერინე ჭალაგანიძე**
მასობრივი კომუნიკაციების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**Ekaterina Chalaganidze**
PhD Student of Mass Communication Program
Caucasus International University



**რეზიუმე.** ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სოციალური სარეკლამო გზავნილების მნიშვნელობაზე კრიზისული მდგომარეობის დროს. დღეს მსოფლიო მრავალი სოციალური პრობლემის წინაშე დგას. კორონავირუსმა, რომელიც პანდემიად იქცა და მსოფლიო მოიცვა, დიდი ცვლილებები მოუტანა მთელ სამყაროს. სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა საქმიანობის თითქმის ყველა სფერო. არსებობს ვარაუდი, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე ამოუცნობი ვირუსი სამუდამოდ შეცვლის ადამიანების ზოგიერთ ქცევასა და ყოველდღიური ცხოვრების წესს.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, სოციალური პრობლემების აღმოფხვრის მიზნით ტარდება სხვადასხვა ტიპის კვლევა და იგეგმება შესაბამისი კამპანიები. მოსახლეობის სამოქალაქო შეგნების ამაღლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალება სოციალური გზავნილების გავრცელებაა.

ნაშრომში წარმოდგენილი კონტენტ-ანალიზი ნათლად წარმოაჩენს სოციალური მედია გზავნილების შინაარსს და მათ აუცილებლობას საზოგადოებისთვის, აღწერს თუ როგორ იქცა ხელისუფლებისთვის მოსახერხებელ ინსტრუმენტად სოციალური მედია გზავნილები კოვი პანდემიის პერიოდში, როგორ გახდა შესაძლებელი მოქალაქეთა ქცევაზე ზემოქმედება სოციალური ხასიათის გზავნილების დახმარებით.



**საკვანძო სიტყვები:** სოციალური მედია გზავნილები, სოციალური რეკლამა, კომუნიკაცია კოვიდპადემიის დროს.

**Abstract.** Today the world is facing numerous social problems. The coronavirus, which became a pandemic and swept the world, brought great changes to the whole world. Almost all spheres of activity faced serious challenges. There is speculation that the yet-to-be-discovered virus will forever change people's behaviors and daily lifestyles. In Georgia, as in other countries, various types of research are conducted and relevant campaigns are planned to eliminate social issues. A key way of raising the civic consciousness of the population is through the dissemination of social messages.
The content analysis presented in the paper clearly shows the content of social media messages and their necessity for society describes how social media messages became a convenient tool for the government during the Covid pandemic, and how it became possible to influence the behavior of citizens with the help of social media messages.

**Keywords:** Social Media Messages, Social Advertising, Communication During The Covid Pandemic.

“2019 წლის მიწურულს ახალი კორონავირუსის (SARS-CoV-2) პირველი შემთხვევის გამოვლენის შემდეგ, ვირუსი სწრაფად გავრცელდა მსოფლიოში, ექსპერტების მიერ პანდემიად შეფასდა და უკვე თითქმის სამი წელია, რაც გრძელდება წარმოქმნილი გამოწვევები როგორც გლობალურად, ასევე ეროვნულ დონზე.” (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2022; COVID 19 - შესაძლებლობები, თუ გამოწვევები მარკეტერებისთვის, n.d.)
მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა ყველა სფერო, ვერცერთმა ქვეყანამ მოახერხა თავიდან აეცილებინა უარყოფითი შედეგები, რომლის წინაშეც მსოფლიო აღმოჩნდა. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. უარყოფითი ეფექტი სხვადასხვა ინტენსივობით ყველა სექტორმა იგრძნო, ისევე როგორც ყველა ქვეყანამ, მისთვის დამახასიათებელი სისუსტეებისა და თავისებურებების გათვალისწინებით. ახალმა რეალობამ მოითხოვა ახალი მიდგომები მომხმარებელთან ურთიერთობის მიმართულებით.

“COVID-19-თან გამკლავება ყველა ქვეყნის ძირითად პრიორიტეტად იქცა და მნიშვნელოვანი გავლენა იქონია როგორც ჯანდაცვის, ასევე სხვა სექტორების ოპერატიულ და სტრატეგიულ დღის წესრიგზე". (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2022)

პანდემიამ შეცვალა მარკეტინგის როლი და მიდგომების განახლება მოითხოვა. მოქმედება ორი მიმართულებით განხორციელდა: სახელმწიფოს მიერ განვითარებული სოციალური კამპანია და კერძო სექტორის მიერ წარმოებული კომუნიკაცია.

სახელმწიფო სექტორი კარგად გათვლილი საკომუნიკაციო სტრატეგიით მოქმედებდა.

“ქვეყანაში COVID-19-ის პირველი შემთხვევის დაფიქსირებამდე, 2020 წლის იანვრიდან სახელმწიფომ გააძლიერა კომუნიკაცია მოსახლეობასთან, დაიწყო კომუნიკაცია და სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. მოახდინა როგორც საკუთარი რესურსების მობილიზება, ასევე პროცესში

ჩართო შესაბამისი სფეროს ექსპერტები და, პარტნიორებისა და დონორების დახმარებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში აწარმოებდა აქტიურ საკომუნიკაციო კამპანიას თითქმის ყველა საკომუნიკაციო არხის საშუალებით, როგორც ზოგადად მოსახლეობასთან, ასევე მოსახლეობის პრიორიტეტულ ჯგუფებთან. შესაბამისი დარგის ექსპერტებისა და დონორების დახმარებით". (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2022)

პანდემიის მართვისა და იმუნიზაციის პროცესში შემუშავდა საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი მიმართულებები:

**განათლება** - მზადდებოდა საინფორმაციო ხასიათის ვიდეორგოლები, ითარგმნებოდა და ვრცელდებოდა ჯანმოს მიერ გამოქვეყნებული უახლესი მასალა, მიმდინარეობდა სოციალური მედია კამპანია ყველა პლატფორმის საშუალებით (Facebook, Twitter, Instagram, YouTube) სადაც გადიოდა სამოტივაციო შინაარსის ვიდეორგოლები რეგულაციების დაცვის შესახებ; შეიქმნა პანდემიის მართვის ვებგვერდი, სადაც განახლებად რეჟიმში განთავსდებოდა ახალი ინფორმაცია. განხორციელდა 20-ზე მეტი საინფორმაციო ვებინარი.

**ბეჭდვითი მასალა** - ბილბორდები, პოსტერები, ბროშურები,

**გარე რეკლამა** - დამზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლები ქუჩის მონიტორებზე გასანთავსებლად. დაიბეჭდა და განთავსდა ბილბორდები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. მომზადდა ვაქცინაციის მხარდამჭერი საინფორმაციო ბილბორდები, თბილისისა და რეგიონებისთვის.

**ვიდეომასალა** - დამზადდა 30-მდე ვიდეორგოლი რეგულაციებისა და რეკომენდაციების შესახებ

**პირისპირ შეხვედრები** - ვაქცინაციის მნიშვნელობის წარმოსაჩენად, შედგა საინფორმაციო სახის შეხვედრები ცენტრის ხელმძღვანელობისა და თანამშრომელთა მონაწილეობით. „შეხვედრებში მონაწილეობდნენ ყველა რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლები" (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2022).

**იმუნიზაცია** - სლოგანით „ვიცრებით ერთმანეთისთვის", ვაქცინაციის მოტივირებისა და პანდემიასთან ბრძოლაში მოსახლეობის ჩართვის მიზნით განხორციელდა წამახალისებელი კამპანიები, დამზადებულია 8 ვიდეორგოლი სამედიცინო პერსონალის მონაწილეობით.

პანდემიამ კერძო კომპანიები სერიოზულად დააფიქრა მომხმარებელთა საჭიროებებზე. აქტუალური გახდა შემდეგი კითხვები: რა შეცვალა პანდემიამ? როგორ მოერგნენ თანამედროვე კომპანიები ახალ მოცემულობას?

როგორ შეიცვალა მომხმარებელი? რა საჭიროებები გაუჩნდა მას და როგორ შეიცვალა მისი ქცევა?

ისეთ სფეროებში, როგორიც არის საბანკო სფერო და სათამაშო ბიზნესი, საკვები პროდუქტების გაყიდვები და სასტუმრო ბიზნესი, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად სწრაფ გაციფრულებას ასახელებენ. რამდენად კარგად უმკლავდებიან სხვადასხვა სექტორები აღნიშნულ გამოწვევას მეტწილად დამოკიდებულია მათ გამოცდილებაზე და ბიზნესის სპეციფიკაზე. საბანკო სექტორი შედარებით მარტივად მოერგო ახალ რეალობას, საკვები პროდუქტების სექტორში კი რთული აღმოჩნდა ონლაინ მომსახურებაზე სწრაფი გადასვლა, მარაგების მართვა, სერვისების სიმწირე. ოფლაინ ვაჭრობას სრულად ონლაინით ჩანაცვლება ნაკლებად იყო მოსალოდნელი, თუმცა ონლაინ ვაჭრობის კომპონენტი ყველა სექტორში გაძლიერდა. გაიზარდა მოთხოვნა ონლაინ მაღაზიების შექმნასა და ვებგვერდის ახალი ტიპის ფუნქციებზე. პანდემიის პირობებში საუკეთესოდ ადაპტირებულ ბიზნესად დასახელდა „გლოვო“ და „ვოლტი“, რომლებიც ზუსტად მოერგნენ მომხმარებლის საჭიროებებს, მათ გაამრავალფეროვნეს შეთავაზებები და სახლში დარჩენილებს მშველელებად მოევლინენ.

პანდემიით გამოწვეულმა მოთხოვნებმა უბიძგა კომპანიებს მყისიერად გადაეწყოთ მუშაობა ციფრულ პლატფორმებზე და შეესწავლათ ელექტრონული კომერცია. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი გამოწვევა კომპანიებისთვის პროფესიონალი და მულტიფუნქციური კადრის მოძიება აღმოჩნდა. კომპანიებისთვის გარდა საკუთარი პროდუქტების რეკლამისა, აქტუალური გახდა სოციალური თემატიკის გზავნილების გაჟღერება, რადგან მთელი მსოფლიო მოიცვა სლოგანებმა: „დარჩი სახლში“, „ატარე პირბადე“, „დაიცავით დისტანცია“ და აშ.

აღსანიშნავია, რომ, რაც უფრო ინტენსიურია საინფორმაციო ნაკადი, მით ეფექტურია სარეკლამო კომუნიკაცია.

ეფექტური რეკლამა შემდეგ მოტივებზე იქმნებოდა:

1. პოზიტიური განწყობის მატარებელი.
2. სიუჟეტის მთავარი გმირია ადამიანი, საკუთარი ჩვევებით, პრობლემებითა და სურვილებით.
3. იცავს ფასეულობებს, ტრადიციებს, სოციალურ ნორმებს.
4. არ ახდენს აზრთა სხვადასხვაობის პროვოცირებას მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის.
5. ხელს უწყობს პატივისცემის ფორმირებას ტრადიციების და ეროვნული ფასეულობების მიმართ.
6. გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა მოუწოდებდეს რაღაცის უარყოფისკენ.

7. ხელს უწყობს მოქალაქეთა გააქტიურებას (მაგალითად: პასუხისმგებლობის შეხსენება ხანძრის შემდეგ ხეების დარგვის საკითხში).

რაც შეეხება პანდემიის დროს მომხმარებლის „ჩვევაში გადასულ“ ქცევებს, ყველაზე მეტად იკვეთება ციფრული სერვისების მოხმარების ზრდა, მათ მიმართ მეტი ნდობის გაჩენა მიმდინარე პერიოდში და მოთხოვნის ზრდა სამომავლოდ. (ნაშრომი, 2019) არსებობს მოლოდინი, რომ გამყარდება ფულის ონლაინ ხარჯვის ქცევა, როგორიცაა კომუნალური გადასახადების ონლაინ გადახდა, ტაქსის გამოძახების ონლაინ სერვისი. აღსანიშნავია, ასევე მომხმარებლის მოთხოვნები არა ემოციური, არამედ რაციონალური საჭიროებების მიმართ, როდესაც პირისპირ ინტერაქციას მოწყურებული მომხმარებელი მოინდომებს ტრენინგზე/სემინარზე დასწრებას ფიზიკურად დასწრებას, თუ ამჯობინებს უკვე გარკვეულ კომფორტად ქცეული ონლაინ სივრციდან ჩართვას. სამყარო ჯერ ისევ ადევნებს თვალს პანდემიით გამოწვეულ ცვლილებებს, თუმცა ეს პერიოდი უამრავ სირთულესთან ერთად, ახალი შესაძლებლობებისა და ინსპირაციის წყაროდ შეიძლება იქცეს. (COVID 19 - შესაძლებლობები, თუ გამოწვევები მარკეტერებისთვის, თ. გ.)

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Retrieved from Agitation Management During the COVID-19 Pandemic: The Time for a Noncoercive Approach Is Now: https://www.psychiatrist.com/pcc/covid-19/agitation-management-during-the-covid-pandemic/
2. Broom, G. M. (2013). Cutlip and Center's Effective Public Relations .
3. COVID 19 - შესაძლებლობები, თუ გამოწვევები მარკეტერებისთვის. (n.d.). Retrieved from https://act-global.com/ka/georgia/insight/covid-19-shesadzleblobebi-tu-gamotsvevebi-marketerebistvis
4. Margaret E.Tait, J. R. (2022). Serving the public? A content analysis of COVID-19 public service announcements .
5. Николайшвили, Г. (2008). Социальная Реклама. Аспект Пресс.рекламы", А. К. (n.d.).
6. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. (2022). NCDC. Retrieved from http://test.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=c6c26041-e123-4591-b1c6-50103eb5205f
7. ზუბაშვილი, ვ. (2015). სარეკლამო სახე/ხატის შექმნის აუდიო-ვიზუალური ტექნოლოგიები. თბილისი. Retrieved from http://www.tafu.edu.ge/files/pdf/Disertacia/vaja_zubashvili-disertavia.pdf
8. ლივიეჩკა-ტანსკა, ი. ტ. (2004). საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები.
9. მაღრაძე, კ. (2019). პიარის გზამკვლევი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის;.

10. პანდემიის გავლენა სარეკლამო ინდუსტრიაზე. (n.d.). Retrieved from https://digitalnews.ge/ge/article/media-gakhidvebi/242-pandemiis-gavlena-sareklamo-industriaze
11. საფუძვლები, ს. რ. Retrieved from https://comcom.ge/ge/regulation/broadcasting/broadcasting-sakonsultacio-dokumentebi-da-sxva-masalebi/socialuri-reklamis-samauwyeblo-badeshi-gantavsebastan-dak.
12. ქარქაშაძე.ნ. (2017). სოციალური რეკლამის მნიშვნელობა და ეფექტურობა თანამედროვე საქართველოში;
13. საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ, მე-12 მუხლის პირველი პუნქტი. საქართველო.

## კიბერუსაფრთხოების გამოწვევები მცირე და საშუალო ბიზნესში
## Cyber Security Challenges in Small and Medium Businesses

**ნინო სიბაშვილი** - საბანკო საქმის მაგისტრი, შპს პოსტ რედ - ფინანსური მენეჯერი

**Nino Sibashvili** - Master of Banking, LTD POSTRED-Financial manager

**რეზიუმე:** წინამდებარე სტატია ხაზს უსვამს კიბერუსაფრთხოების მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომელსაც აწყდებიან მცირე და საშულო ბიზნესის წამომადგენლები.
კიბერუსაფრთხოება ერთნაირად მნიშვნელობანია, როგორც დიდი ასევე მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, მნიშვნელოვანია თითოეულიმა მათგანმა გაიაზროს მათ წინაშე არსებული რისკები და მისი შედეგები, რაც შეიძლება მოყვეს კიბერთავდასხმებს.
კიბერთავდასხმით გამოწვეული შედეგები ხშირად უფრო ძვირი უჯდება მცირე ბიზნესს (მათ ზომასთან შედარებით) ვიდრე დიდი ბიზნესს, თუმცა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის კიბერუსაფრთხოების სისტემის დანერგვა დიდ ფინასურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მცირე და საშულო ბიზნესი მფლობელები ხშირად ყოყმანობენ იმაზე თუ რამდენად ღირებულია მათთვის განახორციელონ ფულადი ინვესტიცია იმაში, რაც შესაძლოა არც კი მოხდეს.
მცირე და საშულო ბიზნესი (SMB) კიბერუსაფრთხოების რამოდენიმე გამოწვევის წინაშე ერთდროულად დგას, თუმცა მათგან შეგვიძლია გამოვყოთ ყველაზე მნიშვნელოვანი - რესურსები. ამ შემთხვევაში მცირე და საშულო ბიზნესი ისეთი ორი დიდი პრობლემის წინაშეა, როგორებიც არის ფინანსუირი და ადამიანური რესურსები.
მიუხედავად იმისა რომ მცირე და საშულო ბიზნესისათვის (SMB) ფინანსური და ადამიანური რესურსების პრობლემა საკმაოდ დიდი გამოწვევაა, არსებოს მისი გადაჭრრის რამოდენიმე ალტერნატიული გზა, რისი დახმარებითაც შეძლებენ შეამსუბუქონ მათ წინაშე მდგარი გამოწვევები, შეამცირონ კიბერთავდასხმებით გამოწვეული ზარალი, მინიმალური ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** კიბერუსაფრთხოება, კიბერსივრცე, კიბერთავდასხმა, გამოწვევები, მცირე, ბიზნესი.
]

**Abstract:** This article highlights the significant cyber security challenges faced by small and home businesses. Cybersecurity is essential for both large and small businesses alike, and each of them needs to understand the risks they face and the consequences that can come from cyber attacks.

The consequences of a cyber-attack are often more costly to small businesses (relative to their size) than to large businesses. However, implementing a cyber security system for small and medium-sized businesses is associated with significant financial costs, and small and medium business owners are often hesitant about whether it is worth the financial investment for them. It might not even happen.
Small and medium-sized businesses (SMBs) face several cybersecurity challenges at the same time, but we can highlight the most important of them - resources. In this case, small and domestic businesses are facing two big problems, such as financial and human resources.
Although the problem of financial and human resources is a big challenge for small and medium-sized businesses (SMB), there are several alternative ways to solve it, with the help of which they can mitigate the challenges they face, reduce the losses caused by cyber-attacks, using minimal financial and human resources.

**Keywords:** Cyber Security, Cyberspace, Cyber Attack, Challenges, Small Business.

**შესავალი**. თანამედროვე ცხოვრებაში ხშირად შევხვდებით ისეთი ტემინების როგორებიც არის კიბერსივრცე, კიბერთავდასხმა, კიბერტერორიზმი, კიბერუსაფრთხოება და ა.შ. დღეს რთულად დასაჯერებელია რომ რამოდენიმე ათეული წლის წინ ეს სფერო არც კი არსებობდა. მიუხედავად იმისა რომ ეს სფერო ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, შეძლო თავი დაემკვიდრებინა ადამინების ყოვედღიურ ცხოვრებაში.

თანამედროვე სამყაროში არ არსებობს სფერო სადაც არ შევხვდებით კიბერსივრცეს და მის განვითარებასთან ერთად თანმდევ საფრთხეებსაც. ციფრული ტრანსფორმაციის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანდ იზრდება ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისებზე დამოკიდებულებაც. ტექნოლოგიების გაუმჯობესების პარალელურად კი ხდება კიბერ შეტებვების დახვეწა, იმდენადაც რომ ადამიანის ჩარევის გარეშე შესაძლებელია ადვილად მიაყენოს ზიანი სხვადასხვა სერვისებს, ხელოვნური ინტელექტის ე.წ “Machine Learning”-ის საშუალებით.

ავტომატური კიბერშეტევები წარმოადგენს გლობალურ საფრთხეს, იგი ერთნაირად საზიანოა ყველა ტიპის და სიდიდის ბიზნესისათვის სადაც ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ხდება. თანამედროვე სამყარო წარმოუდგენელია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე, ალბათ არ არსებობს სფერო, რომლიც მის გარეშე შეძლებს სრულყოფილად ფუნქციონირებას.

დღესდღეობიათ კიბერუსაფრთხოება ერთ-ერთ აქტუალლურ თემას წარმოადგენს, რადგან თანამედროვე სამყაროში ყველაფერი დაკავშირებულია კომპიუტერთან და ინტერნეტთან, მისი საშვალებით ხდება ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტების მართვა, როგორც არის: ელექტრო

სადგურები, ბირთული სადგურბი, ელ. მომარაგების სისტემები, თავდაცვის სისტემები და სხვა, ყველა ზემოთ ნახსენები კი ერთპიროვნულად მნიშვენლოვანია ქვეყნის არსებობისა და განვითარებისთვის. არდა ამისა ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც დაკავშირებულაი კიბერუსაფრთხოებასთან, მცირე და საშუალო ბიზიზნესი ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალია, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სწორედ SMB-ში არის დასაქმებული, ფართო მაშტაბით თუ განვიხილავთ ევროკავშირში არსებული საწარმოების 99% სწორედ მცირე და საშულო ბიზნესია. კიბერუსაფრთხოება კი მათთვის დიდი გამოწვევაა. კიბერსივრცის გამოყენების ინტენსივობის ზრდასთან ერთად იზრდება თანმდევი რისკებიც, კიბერსაფრთხეებისაგან თავის სრულად დაცვა კი შეუსრულებელ მისიად რჩება. SMB-ებისთვის კიბერუსაფრთხოება თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა რომ არის ცხადია, რომელსაც ხშირ შემთხვევა არ გააჩნია საკმარისი რესურსები მის წინააღმდეგ საბრძოლველად.

**ძირითადი ნაწილი:** მცირე და საშულო ბიზნესი (SMB) კიბერუსაფრთხოების რამოდენიმე გამოწვევის წინაშე ერთდროულად დგას, მათ შორის: რესურსების ნაკლებობა, შიდა საფრთხეები, ინფორმაციისა ნაკლებობა, გამოცდილების ნაკლებობა და ა.შ.

თითოეული მათგანი ერთანირად მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია მცირე ბიზნესი მფლობელისათვის ასევე მასში დასაქმებული ადამიანებისთვის, რაგან შიდა საფრთხეები ყოველთვის დაკავშირებულია საწარმოში მომუშავე პერსონლთან, ამის მარტივი მაგალითია ელექტრონული ფოსტის სწორად გამოყენება, სხვადასხვა კვლევების შედეგად გამოიკვეთა, რომ კობერთავდასხმების დიდი ნაწილი სწორედ ელ. ფოსტის საშუალებით ხდება, მაგალითად თანამშრომლი კომპანიის ელეტრონული ფოსტას ხსნის უცნობი ბრაუზერიდან, ან პაროლს უტოვებს სხვა თანამშრომელს რომელიც ყოვლად დაუშვებელია. ინფორმაციის ნაკლებობაც დიდი პრობლემის წინაშე აყენებს, როგორც მცირე ბიზნესის მფლობელებს ასევე მასში დასაქმებულ ადამიანებსაც, მცირე და საშუალო ბიზნესმა შეიძლება არ იცოდეს კიბერუსაფრთხოების პოტენციური რისკები, რასაც უგულებელყოფენ იქამდე სანამ ფაქტის წინასე არ დადგებიან.

რესურსების ნაკლებობა კი მცირე ბიზნესისთვის ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს

ამ შემთხვევაში, ის ისეთი ორი დიდი პრობელიმის წინაშეა, როგორიცაა ფინანსური და ადამიანური რესურსის ნაკლებობა.

მცირე და საშუალო ბიზნესს (SMB) ხშირ შემთხვევაში შეზღუდული ფინანსური რესურსები აქვთ, რაც ართულებს კიბერუსაფრთხოების

ყოვლისმომცველი ზომების განხორციელებას. სწორედ ამიტომ მცირე და საშუალო ბიზნესი კიბერკრიმინალების მთავარ სამიზნეს წამოადგენს.

SMB-ს უმრვლესობა მუშოაბს შეზღუდული ბიუჯეტით, რაც იმას შნიშნავს, რომ არ აქვთ კიბერ თავდაცვისათვის გამოყოფილი შესაბამისი ფინანსები.

მცირე და საშულო ბიზნესი მფლობელების ხშირად ყოყმანობენ იმაზე თუ რამდენად ღირებულია მათთვის განახორციელონ ფულადი ინვესტიცია, რაც შესაძლოა არ მოხდეს, ამიტომ უგულებელყოფენ კიბერ საფთხეებს, რომელსაც მომავალში გაცილებით დიდი ზიანის მოტანა შეუძლია როგორც ფინასური ასევე რეპუტაციული. ფირმის საქმიანობიდან გამომდინარე კიბერ შეტევამ ერთდროულად შეიძლება რამოდენიმე სახის ზიანი მიაყენოს, როგორც უკვე ავღნიშნეთ ეს ფინანსურთან ერთად რეპუტაციული ზიანია, რომელიც იმდენად დიდ შეიძლება ღმოჩნდეს რომ ბიზნესმა ვეღარ შეძლოს მისი აღდგენა და უკიდურეს შემთხვევაში შეწყვიტოს ფუნქციონირება.

შესაბამისობის ხარჯები კიდევ ერთი ფინანსური გამოიწვევაა მცირე და საშულო ბიზნესისთვის.

ბევრი SMB ექვემდებარება ინდუსტრიის სპეციფიკურ რეგულაციებს და სტანდარტებს, ამ რეგულაციებს ხშირად გააჩნია უსაფრთხოების მკაცრი მოთხოვნები, რომელის განხორციელება მცირე ბიზნესისათვის შეზრუდული ბიუჯეტის გათვალისწინებით შეიძლება ძვირი იყოს, როგორებიც არის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR)[25], ევროკავშირმა და ევროპის საბჭომ გაატარეს მონაცემთა დაცვის ფართო და ზოგ შემთხვევაში, კომპლექსური ღონისძიებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფიზიკურ პირებსა და ბიზნესზე, რომელმაც ფართო სარგებელი მოუტანა მათ. ციფრულ ანუ „დიდი მონაცემების“ (Big Data) ეპოქაში მონაცემები ეკონომიკის „ახალ ნავთობად“ მიიჩნევა, რომელიც ზრდის ინოვაციასა და კრეატიულობას. მონაცემების დამუშავების გარეშე საკმაოდ ვებრმა კომპანიამ შექნმა მყარი ბიზნეს მოდელი, ბევრ მათგანს მიაჩნია რომ პერსონალუირ მონაცემების დაცვის კონკრეტული წესები, ზედმეტად მძიმე ვალდებულებას ქმნის დაპრაქტიკაში მის განხორცილება დაკავსირებულია არა ერთ პრობლემასთან განსაკუთრებით მცირე და საშულო ბიზნესის წარმომადგენლებისთვი. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელსაც მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი ითვალისწინებს არის

---

[25] მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია არის რეგულაცია ევროკავშირის კანონმდებლობაში მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის შესახებ ევროკავშირსა და ევროპის ეკონომიკურ ზონაში

მეტი კონტროლის მინიჭება ფიზიკური პირებისათვის, თავიაანთ პერსონალურ მონაცემებზე, თუმცა ეს ქმნის დისბალაანს ციფრულ ეპოქაში, რადგან ერთ მხარეს არის ბიზნესორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ წვდომა დიდ მონაცემებზე, მეორეს მხრივ კი პერსონალურ მონაცემთა მფლობელი ფიზიკური პირების უფლება, აკონტროლონ თავიანთი ინფორმაცია, ამტომ მცირე ბიზნესისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა მსგავსი რეგულაციების და წესების დაცვა.[26] გარდა ამისა უამრავი რეგულაციები არსებობს ინდუსტრიის შესაბამისი რეგულაციები, მაგალითად ასეთებია HIPAA[27] ჯანდაცვის ბიზნესისთვის ან PCI DSS[28] გადახდის ბარათის დამუშავებისთვის. ამ რეგულაციებს ხშირად გააჩნია უსაფრთხოების მკაცრი მოთხოვნები, რომელთა განხორციელება და შენარჩუნება შეიძლება ძვირი იყოს მცირე ბიზნესისთვის.

SMB-ის ფინანსური გამოწვევას ასევე წარმოადგენს, ბიზნესის შეფერხების ხარჯები- თუ კიბერშეტევა მოხდა, ბიზნესი დაუყოვნებლივ ვერ შეძლებს გსაქმიანობის გაგრძელებას, რასაც შეიძლება სწრაფად სწრაფად დაემატოს წარმოების შეჩერების შედეგად გამოწვეული ფინანსურ ზარალს ხარჯებიც.

SMB-ებს შეიძლება დასჭირდეთ ბიზნეს ოპერაციების შეჩერება, მონაცემთა აღდგენისათვის, რაც დაკავშირებულია და სისტემის შეკეთების გადასახადი,ასევე შესაძლოა გამოიწვიოს იურიდიული გადასახადები და ჯარიმებიც კი.

IBM(International Business Machines Corporation)[29] -ს ბოლო კვლევამ აჩვენა რომ მცირე ბიზნესი მომაცემების დარღვევის საშუალო ღირებულაბა შეიძლება მერყეობდეს $120.000-დან $1.24 მილიონამდე[30], რაც საკმაოდ დიდი დანაკარგია მცირე ბზნესისთვის, ასეთი დარღვევები კი ხშირად უფრო ძვირი უჯდება მცირე ბიზნესს (მათ ზომასთან შედარებით) ვიდრე დიდი ბიზნეს. ამავე ანგარიშის თანახმად კიბერშეტევის იდენტიფიცირებისა და შეკავების

---

[26] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო გვ.90.

[27] 1996 წლის ჯანმრთელობის დაზღვევის პორტაბელურობისა და ანგარიშვალდებულების აქტი (HIPAA) არის ფედერალური კანონი, რომელიც მოითხოვდა ეროვნული სტანდარტების შექმნას, რათა დაიცვან სენსიტიური პაციენტის ჯანმრთელობის ინფორმაცია პაციენტის თანხმობის ან ცოდნის გარეშე გამჟღავნებისგან.

[28] გადახდის ბარათების ინდუსტრიის მონაცემთა უსაფრთხოების სტანდარტი (PCI DSS) არის უსაფრთხოების სტანდარტების ნაკრები, რომელიც ჩამოყალიბდა 2004 წელს Visa, MasterCard, Discover Financial Services, JCB International და American Express-ის მიერ. რეგულირდება გადახდის ბარათების ინდუსტრიის უსაფრთხოების სტანდარტების საბჭოს მიერ (PCI SSC), შესაბამისობის სქემა მიზნად ისახავს უზრუნველყოს საკრედიტო და სადებეტო ბარათების ტრანზაქციები მონაცემთა ქურდობისა და თაღლითობისგან.

[29] კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი კორპორაცია მსოფლიოში.

[30] https://www.ibm.com/us-en/

საშუალო დრო 206 დღეა, რაც საკმაოდ დიდ დროა მცირე ბიზნესისათვის. კიბერუსაფრთხოების ეროვნული ალიანსის ანგარიშის მიხედვით, მცირე კომპანიების 60% ვეღარ განაგრძობს ბიზნეს საქმიანობას კიბერშეტევის შემდეგ და ისინი მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში სრულად წყვეტენ ფუნქციონირება.[31]

ოგორც უკვე ვახსენეთ, მცირე და საშულო ბიზნესისთვის გარდა ფინანსურისა არსებობს ადამიანური რესურსების ნაკლებობის პრობლემაც, ვინაიდან ეს სფერო არის ახალი შესაბამისად ბაზარი განიცდის ადამიანური რესურსების ნაკლებობას.

ადამიანური რესურსების ნაკლებოა კიბერუსაფრთხოების სფეროში გლობალური პრობლემაა. სხვადასხვა კვლებევის თანახმად კიბერუსაფრთხოების სფეროში სამუშოა ადგილების ზრდა და მოთხოვნა შესაბამის კადრებზე მკვეთრად იქნება გაზრდილი მომდევნო წლებშიც, მაგალითად Cybersecurity Ventures კვლევის თანახმად 2025 წლისთვის კიბერუსაფრთხოების სფეროში 3,5 მილიონი სამუშაო ადგილი გაჩნდება დასაქმების ბაზარზე გლობალურად, რაც წარმოადგენს 350%-იან ზრდას ბოლო რვა წლის განმავლობაში.

აღნისნული პრობლემა იმდენად დიდი და მაშტაბურია, რომ ქვეყნები საკუთარი ძალებით ვერ შეძლებენ გამკლავებას, სწორედ ამიტომ ისეთმა დიდმა ორგანიზაციები როგორებიც არიან Google და Microsoft მსოფლიოს 23 ქვეყანაში დაიწყო გაფართოებული კამპანია კიბერუსაფრთხოების უნარების განვითარების მიზნით, მათ დაიწყეს კადრების გადამზადება, სხვადასხვა ღონისძიებების გატარება რათა ქვეყნებს შეუმსუბუქდეთ იმ გამოწვევებისდ დაძლება რომელიც მათ წინაშე დგას კიბერ თავდასხმების სახით.

როგორც უკვე ავღნიშნეთ კიბერუსაფრთხოლების სფეროში კვალიფიცირებული კადრის ნაკლებობა გლობალური პრობლემას წარმოადგენ, აქედან გამომდინარე მცირე და საშუალო ბიზნესისათვის შესაბამისი კადრების მოძიება გაცილებით, რთული საკითხია, დიდი ზომის კომპანებთან შედარებით, კადრების სიმცირიდან გამომდინარე კიბერ სივრცეში დასაქმებულების ანაზრაურება გაცილებით მაღალია, მცირე ბიზნესს კი ამის ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნია. მსოფლიოში კიბერუსაფრთხოების სფეროში ადამიანური რესურსებიუს სიმწირეს რამოდენიმ ფაქტორი განაპირობებს, უპირველესყოვლისა სფერო არის ჯერ კიდევ ახალი, სხვადასხვა მოსაზრების თანახმად კიბერთავდასხმების პირველი ნიშნები მეოცე საუკუნის შუა ხანებში შეიმჩნევა, როდესც ადამიანებმა დაიწყეს სატელეფონო ხაზების გატეხვა,

[31] https://staysafeonline.org/

რათა უფასოდ განეხორციელებიანთ ზრებით, თუმცა მოგვიანებით ორიათასიან წლებში, როდესაც ინტერნეტის მოხმარება აქტიურად დაიწყეს ადამიანებმა, ამის შემდეგ გავრცელდა პირველი მავნე პროგრამებიც, ითველბა რომ სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო კიბერუსაფრხოებაზე ფიქრი ადამიანმა და ეტაპობრივად ჩამოყალიბდა როგორც პროფესია.

კიდევ ერთი მოზეზი რის გამოც კიბერუსაფრთხოების სფეროში არის ადამიანური რესურდების ნაკელბიობა გამომდინარეობს იქიდან, რომ სფერო არის ჯერ კიდევ ახლია, არ არსებობდა შესაბამისი სპეციალიზირებული პროგრამა, რომელსაც ადამიანი არიჩევს და დაეუფლება ამ პროფესიას.

ცნობიერიება კიდევ ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია ადამიანური რესურსების ნაკლებობის, კიბერუსაფრთხოება როგორც სპეცილობა შეიძლება განიხილოს სხვადასხვა პროფესიების ნაკრებად, მაგალითად, როგორიც არის ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტორი, ქსელური ინჟინერი, პროგრამული უზრუნველყოფის ანალიტოკოსი და სხვა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ კიბერუსაფრთხოების როგორც სპეცილაობა სხვადასხვა ქვე პრიფესიებს მოიცავ, ამიტომ ბიზნესმა კარგად უნდა იცოდე საქმიანობის, რომელ ეტაპზე რა მიმართულებით სჭირდება სპეცილისტის დახმარება, რა თქმა უნდა დიდ ბიზნესს შედარებით მარტივად შეუძლია კიბერუსაფრთხოების სპეციალისტის დაქირავება, თუმცა მცირე ბიზნესის წამომადგენლებისთვის დიდ ფინანსურ ხრჯებთან არის დაკავშირებული.

**დასკვნა:** ვენს მიერ ზემოთ აღნიშნული პრობლრმის გადაჭრის, რამოდენიმე ალტერნატიული გზა არსებობს, მაგალითად მცირე და საშულო ბიზნესს ფინანსური პრობლემების გადასაწყევტად შეუძლა გამოიყენოს დონორული პროექტები, რომლის დახმარებითაც შეძლებს იმ ფინანსური ხარჯების მოძიებას რომელიც საწყის ეტაპზე დაეხმარება კიბერუსაფრთხოებისთვის საჭირო ღონისძიებების გასატარებლად. იზნენსი წარმომადგენელმა უნდა მოიძიოს ისეთი დონორებ,რომლის დაინტერესებასაც შეძლებს და მისი ბიზნესის მიირებს ბენეფიტებს ფულადი სახსრების საშულებით.

დონორულ პროექტებტან ერთად აქტიურად არის შესაძლებლი სხვადასხვა გრანტების მოძიება კერძო თუ სახელმწიფო სექტორში, გრანტები ფინანსური რესურსების მოძების ერთ-ერთი საუკეთესო საშვალებაა, თუმცა ბიზნესის წამრომადგენლება უნდა იცოდნენ სად შიძლება მათთივის შესაბამისი გრანტები და დაფინანსების წყაროების მოძიება, მათი საქმიანობის სფეროდან გამომდინარე. მათ შეუძლია გამოიყენონ სახლემწიფოს მიერ განხორციელბული სხვადასხვ პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყანაში მცირე და საშულო ბიზნესის განვითარებას. გარდა ქვეყნის შიგნთ დაფინასების წყაროების მოძიებისა, ასევე შესაძლებელია მისი მოპოვება ქვეყნის გფარგლებს გარეთ, მაგალითად უხცოური ინვესტიციების

საშულებით, რომლებიც მზად არიან, ინვესტიცია განახორციელონ ბიზნესში, რომელიც თავის მხრივ დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკს ზრდა-განვითარებაზე.
გარდა კერძო და სახელმწიფო გრანტებისა, მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს შეუძლიათ გამოიყენონ ბარეტი, როგორც ვიცით ბარტერი არის გარიგება, როდესაც ერთი პირი ცვლის საქონელს ან/და მომსახურებას მეორე პირის საქონელში ან/და მომსახურებაში, სხვა სიტყვებით, ადგილი აქვს საქონლის/მომსახურების გაცვლას სხვა საქონელში/მომსახურებაში ფულადი სახსრების მონაწილეობის გარეშე, ბარეტის მონაწილე ორივე მხარე შესაძლებელია იყოს მცირე და საშულო ბიზნესის წარმომადგენელი, აქედან გამომდინარე თითოელული მათგანი შეძლებ იმ მომსახურების მიღებას, რომლიც მათი ბიზნენსი სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის არის აუცილებელი, ყოველგვარი ფინანსური დანახარჯების გარეშე.

ჩვენს მიერ განხილულ ალტერნატიულ გზებთან ერთად, მნიშვნელოვანია მცირე და საშულო ბიზნესის წამომადგენელმა კიბერუსაფრთხოება განიხილონ როგორც ინცესტიცია.

კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფას სჭირდება გარკვეული სახის ინვესტიცია, ამისთვის საჭიროა პირველ რიგში ბიზნესის წარმომადგენლებმა გააცნობიეროს, რომ ეს არის რეალური საფრთხე, რომლიც მომავალში შესაძლოა ისეთი ზიანი მიაყენოს მის ბიზნესს, რომ სრულად შეწყვიტოს ფუნქციონირება, ამიტომ თუ ბიზნესის წარმომადგენლები კიბერუსაფრთხოებას განიხილავე, როგორც ინვესტიციას და არა ტყუილად გაწეულ ხარჯს, იმისთვის რაც შეიძლება სამომავლოდ არც კი მოხდეს, იქნებიან ბევრად დაცულები კიბერთავდახმებისგან.

როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური რესურსების ნაკლებობით გამოწველი პრობლემის გადაჭრის რამოდენივე ალტერნატიული გზა შეიძლება განვიხილით, პირველი ეს არის ჯუნიორ ან დამწყები კადრების დაქირავება, იქიდან გამოდინარე რომ კიბერუსაფრთხოების სფეროში ადამიანური რესურსების ნაკლებობაა, შესაბამისად მისი დაქირავებაც მცირე ბიზნესისთვის დიდ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ამიტომ დამწყები კადრები ერთ-ერთი ალტერნატივაა, რომელიც დაეხმარება ბიზნესს საწყის ეტაპზე კიბერსაფრთხეების შემცირებაში.

ბიზნესი წამომადგენელს ასევე შეუძლია მიმართოს უფასო ან შედარებით ბიუჯეტურ სასწავლო პლატფორმებს (coursera,Try Hackme, Hack The Box), რომელიც დაეხმარება დამწყებ კადრები კვალიფიკაციის ამაღლებაში.

დღესდღეობით უამრავის უფასო ონლაინ სასწავლო პლატფორმა არსებობს, რომლის დახმარებითაც ბიზნესის წარმომადგენლებს და ამ ბიზნესში დასქმებულ ადამიანებს შეუძლიათ აიმაღლონ კვალიფიკაცია,

აითვისონ და გამოიმუშაონ ის უნარები, რომლიც შეამცირებს კიბერსაფრთხეს, რადგან როგორც ზემოთ ავღნიშნთ კობერთავდასხმების დიდი ნაწილი ელექტრონული ფოსტის საშულებით ხდება, მაგალითად თანამშრომლი კომპანიის ელეტრონული ფოსტას ხსნის უცნობი ბრაუზერიდან, ამ პაროლს უტოვებს სხვა თანამშრომელს, რომელიც ყოვლად დაუშვებელია, სწორედ

ამიტომ აღნიშნული სასწავლო პლატფორმების აქტიური გამოყენება აუცილებელია თითოეული თანამშრომლისთვის, რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს კიბერსაფრთხეებს.

ადაიანური რესურსების პრობლემის გადაჭრის ალტერატიულ გზად შეგვიძლია განვიხილოთ კოლაბორაციული პროექტები, რომლიც მსგავსია ბარტერის. შეიძლება კონკრეტული სფერო იმდენად საინტერესო და სპეციფიური იყო IT ინტეგრატორი კომპანიებისთვის, რომ მათი სერვისი მიღება და ადამინური რესეურსის გამყენება ჩვენი ბიზნესისათვის შევძლოთ ფინასური დანახარჯების გარეშე.

მცირე და საშულო ბიზნესის ერთ-ერთი უპირატესობა მოქნილობა და ადაპტაციის მარტივი უნარია, რაც ეხმარება მის წინაშე არსებული რობლემების გადაწყვეტაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. https://www.ibm.com/us-en/
2. https://blogs.microsoft.com/blog/2022/03/23
3. https://www.business.com/
4. https://www.businessdit.com/small-business-cyber-attack-statistics
5. https://staysafeonline.org/
6. მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო 2018 წ.

# მარკეტინგის როლი უნივერსიტეტის საქმიანობაში
# The Role of Marketing in University Activities

**თენგიზ კუპრაშვილი**, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**Tengiz Kuprashvili,** Associate Professor, Department of Business Administration Head of Quality Assurance Service, Faculty of Business Law and Social Sciences. Akaki Tsereteli State University

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია დღევანდელ დღეს უნივერსიტეტის მარკეტინგული საქმიანობის მნიშვნელოვანი საკითხები. განსაზღვრულია ქვეყნის, თუ რეგიონის განვითარების უზრუნველსაყოფად უმაღლესი განათლებისადმი მუდმივად მზარდი მოთხოვნების შინაარსი და განსაზღვრულია მათ გამო მარკეტინგის გაუმჯობესების მიმართულებები. იდენტიფიცირებულია უნივერსიტეტის არჩევის მიზეზები და შესაბამისად ფასდება ბრენდის კომპონენტები სამიზნე აუდიტორიის წარმომადგენლების მარკეტინგული კვლევის მონაცემები.

**საკვანძო სიტყვები**: მარკეტინგის ეფექტურობა, პროაქტიული მარკეტინგი, უნივერსიტეტის არჩევის მიზეზები, ბრენდის კომპონენტების შეფასების მეთოდები.

**Resume.** discusses the marketing activities of a classical university in modern conditions of innovative development of the world economy and globalization of the market. The content of the ever-growing requirements for higher education in ensuring the innovative development of the region is clarified, and the directions for improving marketing due to them are determined. The reasons for choosing a university are identified and the components of the brand are assessed based on data of marketing research of representatives of target audiences.

**Keywords:** marketing effectiveness, proactive marketing, reasons for choosing a university, methods for evaluating brand components.

თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები დაკავშირებულია გლობალიზაციასთან და ინოვაციებთან. ინოვაციური განვითარება ხასიათდება მაღალტექნოლოგიური წარმოებით, რესურსების ეფექტური გამოყენებით, ახალი პროდუქტების და კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების აღმოჩენების შესაძლებლობების უწყვეტი. ეკონომიკის გლობალიზაცია ასოცირდება შრომის ტერიტორიული დანაწილების გაღრმავებასთან, ბაზრების ლიბერალიზაციასთან და რის გამოც იზრდება კონკურენცია ინოვაციურ პროდუქტებზე.

მსოფლიოში ინოვაციური განვითარება ამჟამად მიმდინარეობს ორი მიმართულებით:

1. ლიდერობა ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში;
2. თანამედროვე მიღწევების დანერგვა საქმიანობის ყველა სფეროში.

ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მეცნიერებას, რომელიც პირველ შემთხვევაში ინოვაციური განვითარებისთვის ქმნის

სამეცნიერო და ტექნიკურ საფუძველს და ხელს უწყობს მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებას, ხოლო მეორეში - უზრუნველყოფს მსოფლიოში არსებული მიღწევების ეფექტურ გამოყენებას და შენარჩუნებას.

ამ პირობებში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი წყაროა უმაღლესი სკოლა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს განვითარების ინოვაციურ გზაზე დაჩქარებულ გადასვლას.

მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაში იმერეთის რეგიონის მიერ წამყვანი პოზიციის მიღწევა არაა ადვილი ამოცანა. ამ ამოცანის გადაწყვეტის ერთერთი გზა არის რეგიონში არსებული უნივერსიტეტების სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის ეფექტური გამოყენება. გამომდინარე იქიდან, რომ უმაღლესი განათლების სფეროს წინაშე არსებულმა გამოწვევებმა გაცილებით ფართო მასშტაბი შეიძინა, ფუნდამენტური განათლება, მეცნიერება და კულტურა, წარმოადგენს არა მხოლოდ კორპორატიულ, არამედ სახელმწიფო ინტერესებსაც. სწორედ უნივერსიტეტებს ეკისრებათ მთავარი როლის შესრულების პასუხისმგებლობა ახალი ტექნოლოგიების შექმნაზე, მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებებით "გარღვევაზე", თანამედროვე სპეციალისტის პიროვნების ჩამოყალიბებაზე, უმაღლესი განათლების პედაგოგიკის პრობლემების შემუშავებასა და ახალგაზრდების აღზრდაზე.

უნივერსიტეტების საქმიანობის სფეროები, რომლებიც ხელს შეუწყობს რეგიონის მონაწილეობას გლობალურ საინოვაციო სისტემაში შეიძლება დაიყოს რამოდენიმე მიმართულებათ:

პირველი მიმართულება არის მაღალი დონის საგანმანათლებლო მომსახურება, რომელიც კურსდამთავრებულებს უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საჭირო უნარ-ჩვევებით. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ერთდროული ორიენტირება

აბიტურიენტებზე, პროფესიონალებზე და საზოგადოებაზე, ქვეყნის, რეგიონის წამყვანი პოზიციის უზრუნველსაყოფაზე, როველივე ეს საჭიროებს ამ ოთხი მდგენელის კოორდინაციას ყველა დონეზე. მაგალითად, მხოლოდ უცხოელი სტუდენტებისათვის სასწავლო პროგრამების შექმნა-განხორციელება, რაც მართალია დიდ ხარჯს მოითხოვს, მაგრამ კარგად დაგეგმვისა და მიზნობრივი აუდიტორიის სწორად შერჩევის საფუძვლეზე

საკმაოდ დიდი სარგებლის მოტანაც შეუძლია როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის და უშუალოდ უნივერსიტეტისათვის.

მეორე მიმართულება არის უნივერსიტეტის ორიენტაციის ზრდა პრაქტიკულიად გამოყენებად და კომერციულად მომგებიანი სამეცნიერო კვლევებისაკენ. რეგიონში უმაღლესი საგანათლებლო ორგანიზაციების მონაწილეობით მიღწეული სამეცნიერო შედეგები უნდა იყოს მოთხოვნადი პროდუქტი, როგორც სამეცნიერო და ტექნიკურ ბაზარზე. აუცილებელია კვლევის ზოგად სფეროებში გამოიყოს ფუნდამენტური და გამოყენებითი სფეროები. უნივერსიტეტმა ზოგადად უნდა შეძლოს რეგიონული ინოვაციური მეწარმეობის განვითარება, მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ბაზარზე დანერგვა, შესაბამისი რესურსების ფორმირება და სამეცნიერო-ტექნიკური კონსულტაციები, ზრდის ახალი შესაძლებლობების შექმნა რეგიონში. მაგალითად, კლასტერული სტრუქტურის განხორციელება რომელიც გაითვალისწინებს უმაღლესი განათლების მიზანმიმართულ მონაწილეობას სამეცნიერო პროდუქტიულობის სტიმულირებასა და განვითარებაში.

უნივერსიტეტის მარკეტინგი ესაა მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტისა და მისი თითოეული განყოფილების ბაზარზე ორიენტაციას, ასევე სერვისებისა და პროდუქტების განვითარებას და პოპულარიზაციას, ღირებული სამიზნე აუდიტორიისთვის უნივერსიტეტისა და მთლიანად საზოგადოებისთვის ყოვლისმომცველ საფუძველზე ბაზრის ანალიზს.

საუნივერსიტეტო მარკეტინგის დამახასიათებელი თვისებაა მისი შემადგენელი კომპონენტების მუდმივად მზარდი რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მდგრადობას კონკურენტული უპირატესობებსა და ინოვაციური განვითარებას. კომპონენტებთან ერთად, რომლებსაც განსაზღვრავს ნებისმიერი უნივერსიტეტის მარკეტინგი (უნივერსიტეტის ბაზარზე ორიენტაცია, განვითარების სტრატეგიის ფორმირება, ბრენდის იმიჯის და კაპიტალიზაციის მხარდაჭერა, სამიზნე აუდიტორიის საჭიროებების დაკმაყოფილება), თანამედროვე უნივერსიტეტი მარკეტინგულ საქმიანობაში სრულად იყენებს ახალ ტექნოლოგიებს, რომელთა დანერგვა შესაძლებელია სახელმწიფო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ბიზნესს შორის მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში.

ზოგადად უნივერსიტეტი მუდმივად უნდა ცდილობდეს ბაზარზე ფართომასშტაბიან შესვლას, რომელიც მოითხოვს მიზნების მისაღწევად კონკურენტული პოლიტიკის წარმართვას, შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით, სამიზნე აუდიტორიის შესაძლო რეაქციების სწორად გათვალისწინებით. ამიტომ, აუცილებელია უნივერსიტეტის მარკეტინგული საქმიანობის გაფართოება, მარკეტინგული ტექნიკებისა და ტექნოლოგიების მუდმივი განვითარება, რაც უზრუნველყოფს უნივერიტეტის პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას რეგიონის, ქვეყნის განვითარებასა და საერთაშორისო ბაზარზე პოზიციის განმტკიცებაში.

უნივერსიტეტის მარკეტინგული საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესების შესაძლო გზაა „პროაქტიული" მარკეტინგის განხორციელება, კერძოდ უნივერსიტეტის მარკეტინგული საქმიანობაში თანამშრომლებისა და სტუდენტების ჩართვა. პროაქტიული მარკეტინგს შეუძლია უზრუნველყოს რეგიონის ინოვაციური განვითარება და თანამედროვე სპეციალისტის აღზრდა კონკურენტუნარიანი ინოვაციური პროდუქტების შექმნის კომპეტენციებით (განვითარება, წარმოება, მსოფლიო ბაზარზე გაშვება, შემდგომ გაუმჯობესება). უნდა აღინიშნოს, რომ პროაქტიული მარკეტინგის დამახასიათებელი ნიშანი მისი რეგიონული ხასიათია, ვინაიდან მნიშვნელოვანია ფოკუსირება ისეთი ინოვაციური პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს რეგიონში. სტრუქტურულად თანამედროვე, განვითარებაზე ორიენტირებულ უნივერსიტეტის მარკეტინგულ საქმიანობაში უნდა არსებობდეს შემდეგი ძირითადი კომპონენტები.

- ✓ შიდა მარკეტინგი - უზრუნველყოფს პროაქტიული მარკეტინგის პრინციპების დანერგვა-განხორციელებას უნივერსიტეტის პერსონალის, განსაკუთრებით უფროსი მენეჯმენტის მიერ;
- ✓ ინტეგრირებული მარკეტინგი - უზრუნველყოფს ღირებულების შექმნის, პოპულარიზაციისა და მიწოდების სხვადასხვა საშუალებების ოპტიმალურ გამოყენებას;
- ✓ ურთიერთობების მარკეტინგი - უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფებთან ურთიერთობას და თანამშრომლობას სამთავრობო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ბიზნეს ორგანიზაციებთან;

- ✓ სოციალური პასუხისმგებლობის მარკეტინგი - უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის ეთიკური, ეკოლოგიური, სამართლებრივი და სოციალური შედეგების გაგებას.

უნივერსიტეტის მარკეტინგული საქმიანობა არის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარე წარმოადგენს უწყვეტ, მუდმივად განახლებადი პროცესი (ბაზრის ანალიზი, იდეების გენერირება, ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, ხელშეწყობა), რომლებიც უზრუნველყოფენ საჭირო ინფორმაციის ავტომატიზებულ ძიებას, შეგროვებას, დამუშავებას და პრეზენტაციას მიზნობრივი აუდიტორიისათვის მოსახერხებელ ფორმაში, შემდგომი გამოყენებისთვის. ინტერნეტის ფართო გავრცელებამ რადიკალურად შეცვალა სამიზნე აუდიტორიის ქცევა და საგანმანათლებლო სერვისების და სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქტების პოპულარიზაციის გარემოებები. ამ პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ მარკეტინგული საქმიანობა ნაწილობრივ გართულდა, გაფართოვდა მისი განხორციელების შესაძლებლობები და კონტროლი.

უნივერსიტეტის მარკეტინგული საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები თანამედროვე პირობებში შესაძლებელია იყოს თვითონ მარკეტინგული სტრატეგიის ელემენტები (მიზნის მიღწევის გზები, ინოვაციური განვითარების მახასიათებლები). შეფასების ინდიკატორები არის რაოდენობრივი და ისინი შერჩეულია ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, რომ მოიცავს უნივერსიტეტის მარკეტინგული საქმიანობის ყველა ასპექტს: ფაქტორებს რომლებიც მოქმედებენ მარკეტინგის ეფექტურობაზე და მარკეტინგის საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესების გზები. კრიტერიუმების შეფასების სისტემის სტრუქტურა და უნივერსიტეტი მარკეტინგული საქმიანობის შესრულების ინდიკატორები ნაჩვენებია ნახ. 1, რიცხვები მიუთითებს შემდეგი ინდიკატორებს:

1. მარკეტინგული სტრატეგიის შეფასება (ინოვაციური პროექტების რაოდენობა, პოზიციონირებისა და იმიჯის შეფასება).
2. მარკეტინგული აქტივობების შეფასება (გაანგარიშება მომგებიანობა ROI, ROMI, დროის გადახრები პროექტები, IRR ანაზღაურება, ნაკადის პოტენციალი IPS ინოვაციები).

3. შექმნილის გამოყენების ეფექტურობა ღირებულებები და ბრენდი (NPS მომხმარებელთა ლოიალობის ინდექსი, ბრენდის სიძლიერე, ბრუნვის მაჩვენებელი CTR, სტუდენტის კმაყოფილების მაჩვენებელი CSI).



4. VSU უნივერსიტეტის რეპუტაციის შეფასება (რეიტინგები, WOM რეკომენდაციების რაოდენობა და ინტენსივობა).
5. გაყიდვების პროცესის ეფექტურობის შეფასება (CR კონვერტაციის მაჩვენებელი, სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებელი, თანამშრომლების ლოიალობა და ჩართულობის დონე).
6. კომუნიკაციის გამოყენების შეფასება არხები (საიტის ადგილი საძიებო სისტემების რეიტინგში, DFI სოციალური მედიის გაშუქება, OSOV ბრენდი აღნიშნავს, KS ღრუბლოვანი რეიტინგი).
7. სამიზნეზე ზემოქმედების შეფასება ჯგუფები (პოტენციალის ცნობიერების დონე CPL მომხმარებლები, მათი ლოიალობის ხარისხი).
8. კონკურენტების ანალიზი (RMS ბაზრის შედარებითი წილის მაჩვენებელი, ინტენსივობის შეფასება და კონკურენციის დონეები, კონკურენტების ფასები).
9. მომხმარებელთა ანალიზი (ბაზრის ზრდის ტემპი MGR, მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორები არიან მომხმარებლები ჯგუფურად (გარკვეული ტიპის კომუნიკაციაზე დახარჯული დროის რაოდენობა, ტიპი მარკეტინგული კამპანიები).
10. პარტნიორების ანალიზი (სტრატეგიული პარტნიორობის რაოდენობა, ღირებულების ჯაჭვის შეფასების ინდიკატორები).

მითითებული ინდიკატორები შეიძლება დაზუსტდეს კონკრეტულის მიხედვით მარკეტინგული მიზნების მიხედვით. მოცემული ინდიკატორები მარკეტინგული საქმიანობის პროცესში იძლევა სიტუაციის დიაგნოსტიკის საშუალებას, რაც უმაღლეს სასწავლებელს საშუალებას აძლევსდაუყონებლივი რეაგირება მოახდინოს სხვადასხვა გადახრებზე.

უნივესიტეტებში მუდმივად უნდა ტარდებოდეს კვლევა, რომლის ამოცანაც უნდა იყოს უნივერსიტეტის იმიჯის შეფასება და იმ ფაქტორების დადგენა რომლებიც უბიძგებენ აბიტურიენტებს უნივერსიტეტის არჩევისას. უნივერსიტეტი ღია კარის დღის ფარგლებში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველწლიურად ტარდება ასეთი კვლევა.

გამოკითხვის მიზანი არის იმ რეალური მიზეზების დადგენა თუ რის გამო ირჩევდნენ კონკრეტულ სპეციალობას სტუდენტები. გამოკითხვის მონაწილეებს სთხოვეს აღენიშნათ არაუმეტეს ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი შეთვაზებული თხუთმეტი ფაქტორიდან. მათი აზრით უნივერსიტეტში ჩაბარება განაპირობა მათთვის საინტერესო სპეციალობების არსებობამ და სწავლების, განათლების მაღალმა ხარისხმა (72% და 63%). მნიშვნელოვანი მიზეზების ჩამონათვალში კვლევის მონაწილეთა მესამედზე მეტი მოიცავდა ასევე გარანტირებული დასაქმების მაღალი შესაძლებლობა, ძლიერი პროფესურა, უნივერსიტეტის პრესტიჟი.

არჩევის ამ საკმაოდ აშკარა წამყვან მიზეზებთან ერთად, ყურადღება უნდა მივაქციოთ ყურადღება ისეთი ფაქტორებს, როგორიცაა „ადგილი საუნივერსიტეტო რეიტინგებში“, „საზღვარგარეთ სწავლის და ორი დიპლომის მიღების შესაძლებლობა“.



**კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო** უნივერსიტეტის იდენტიფიცირება, როგორც ბრენდის იდენტურობის კონკურენტული კომპონენტი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში განათლებისადმი დამოკიდებულება დადებითია, უნივერსიტეტების დიდ ნაწილს პოზიტიური იმიჯი და რეპუტაცია გააჩნია, თუმცა, კვლევის საფუძველზე შესაძლებელია მომავალში უნივერსიტეტის მდგრადი პოზიტიური იმიჯის მიზანმიმართული სტრატეგიის აგება. გააზრება იმისა თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას საზოგადოებაზე უნივერსიტეტის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებაში.

ბრენდის იმიჯის ფორმირებისას გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ბაზარზე კონკურენციის დონე, კონკრეტულ სპეციალობებზე მოთხოვნის შესაბამისობა, მათ შორის, პოტენციური მომხმარებლების მიერ უნივერსიტეტის იმიჯის აღქმა. ეს მიდგომა უნივერსიტეტის ბრენდის განვითარების მართვის საშუალებას იძლევა სტრატეგიულ საფუძველზე გრძელვადიან პერსპექტივაში.

იმიჯის კვლევის მიზნით გამოვიყენეთ სემანტიკური დიფერენციალის მეთოდი, ვინაიდან ეს მეთოდი ასოცირდება სოციალურ დამოკიდებულებებთან და აღქმის სტერეოტიპებთან (განზომილების მასშტაბი – 3-დან 3 ქულამდე), რადგანაც უნივერსიტეტის იმიჯის რეპოდენტთა თვალში შესაძლებელია შეიცავდეს როგორც დადებით, ასევე უარყოფით შეფასებებს.

მიღებული შედეგების ანალიზი მეტყველებს იმაზე, რომ აწსუ-ს იმიჯი პოტენციური აუდიტორიის წარმომადგენლებს შორის ასოცირდება პრესტიჟულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც უზრუნველყოფს განათლების მაღალ ხარისხს მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაციის, კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამო. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საზოგადოებაში დომინირებს პოზიტიური იმიჯი უნივერსიტეტის შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიღებული განატლების პრაქტიკაში გამოყენებას - სასწავლო პროცესი მიმართული უნდა იყოს ცოდნის მდგომ გამოყენებისაკენ და გარკვეულწილად უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტობის დროს დასაქმებასაც კი. ყოველივე ეს მომავალ აბიტურიენტებს დადებითად განაწყობს როგორც მთლიანად უნივერსიტეტის, ასევე კონკრეტული სპეციალობის მიმართ.




აქვე საინტერესოა უნივერსიტეტის არჩევისა და უნივერსიტეტის იმიჯის ფაქტორების შედარება, ვინაიდან ასეთი შედარება შესაძლებელს ხდის არსებული მოთხოვნებსა და აღქმებს შორის შეუსაბამობების იდენტიფიცირებას, რაც თავის მხრივ შესაძლებელს ხდის იმ ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებსაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს უნივერსიტეტის ბრენდის გასაძლიერებლად.

პოტენციური აბიტურიენტების ქცევის, უნივერსიტეტისა და კონკრეტული დარგის არჩევის პროცესში, ანალიზმა აჩვენა, რომ სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა ორიენტირებულია სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ერთიდაიგივე სპეციალობის მიღების ვარიანტების შერჩევაზე. გამოკითხვის მონაწილეთა დიდი ნაწილი, აწსუ-ს ალტერნატივად ა განიხილავს საქართველოს, კერძოდ თბილისის, სხვა უნივერსიტეტებს და მხოლოდ მცირე ნაწილი განიხილავს ადგილზე არსებულ უნივერსიტეტებში ჩაბარების შესაძლებლობას.

ასეთ ვითარებაში აქტუალურია საზოგადოების ცნობიერებაში უნივერსიტეტის ბრენდის გაძლიერება მოხდეს არა მხოლოდ მისი იმიჯის პოზიტიური ფაქტორების გაძლიერებაზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმის მიმართულებით. არამედ იმ სუსტი ფაქტორების გაძლიერებით რაც მუდმივად თანს სდევა ქართულ უმაღლესი განათლების სისტემას.

ამრიგად, ჩვენ უნდა გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები.

1. უნივერსიტეტის მარკეტინგული საქმიანობა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისა და ბაზრის გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში გართულდა.

2. რეგიონის განვითარების უზრუნველსაყოფად უმაღლესი სკოლისადმი მუდმივად მზარდი მოთხოვნები აიძულებენ უნივერსიტეტებს მარკეტინგის მიმართულებების გაუმჯობესებას. შემოთავაზებული უნივერსიტეტის მარკეტინგული აქტივობების ეფექტურობის შეფასების სტრუქტურა მოვახდინოთ ბაზრის ცვლილებების დაიგნოსტირება და მათზე დაუყონებლივი რეაგიორება.

3. უმაღლესი განათლების სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიის წარმომადგენლების მარკეტინგული კვლევა წარმოადგენს პროაქტიული მარკეტინგის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის მიღების ეფექტურ ინსტრუმენტს.

# დემოკრატიული ინსტიტუტების გავლენის შეფასება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებზე (საქართველოს მაგალითზე)

# The assessment of Democratic Institutions impact on the inflow of foreign direct investment (in the case of Georgia)

**თინათინ ჟორჟოლიანი**
ასოცირებული პროფესორი,
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

**Tinatin Zhorzholiani**
Associate Professor,
David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia

**აბსტრაქტი.** სტატია იკვლევს დემოკრატიის გავლენას პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების ნაკადების ზრდაზე. პოლიტიკური რეჟიმის ტიპის გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების (უპი) ნაკადებზე დებატების საგანია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კვლევა აღნიშნავს დემოკრატიის დადებით გავლენას უპი-ზე, არსებობს კვლევები, რომლებიც უარყოფით გავლენას ადასტურებს. მეცნიერები გვთავაზობენ მრავალ არგუმენტს იმის შესახებ, თუ რატომ ახდენენ დემოკრატიული ინსტიტუტები წახალისებას ან ხელს უშლიან უპი-ს ნაკადებს. მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ მრავალეროვნული კორპორაციები უგრძნობლად უგულებელყოფენ პოლიტიკურ უფლებებსა და სამოქალაქო თავისუფლებებს თავიანთი ინვესტიციების მასპინძელ ქვეყნებში. ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციები მრავალეროვნულ კორპორაციებს განვითარებად ქვეყნებში რეპრესიული რეჟიმების ხელშეწყობაში ადანაშაულებენ და უპი-ს ექსპლუატაციის ინსტრუმენტად მიიჩნევენ. სტატიაში ემპირიულად არის გამოკვლეული კომპლექსური ურთიერთობა დემოკრატიასა და უპი-ს ნაკადებს შორის სისტემატური გზით და პანელის მონაცემთა ანალიზის გამოყენებით. შედეგები მიუთითებს, რომ - საშუალოდ - მულტინაციონალური კომპანიების ინვესტიციები მნიშვნელოვნად მაღალია დემოკრატიულ ქვეყნებში, რითაც უარყოფს ჰიპოთეზას, რომ პოლიტიკური რეპრესიები ხელს უწყობს უპი-ს ნაკადების ზრდას. თუმცა ეს პოზიტიური კავშირი არ არსებობს 1970-იან წლებში, როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი წილი რეპრესიული რეჟიმების მქონე ქვეყნებში გადიოდა.

**შესავალი.** პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (უპი) მნიშვნელოვანი ზრდა, ან მრავალეროვნული კორპორაციების (ტეკ) საქმიანობის ზრდა ქვეყნებში, იყო მსოფლიო ეკონომიკის მზარდი გლობალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიშანი ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. საერთაშორისო ინვესტიციების უმეტესობა ხორციელდება განვითარებულ

ქვეყნებსა და რეგიონებში, როგორიცაა აშშ (367 მილიარდი აშშ დოლარი), ჩინეთი (181 მილიარდი აშშ დოლარი) კანადა (60 მილიარდი აშშ დოლარი), ევროკავშირი და იაპონია (21 მილიარდი აშშ დოლარი) (UNCTAD, 2022). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალური ნაკადები გასულ წელს აღდგა პანდემიამდელ დონემდე და მიაღწია $1.6 ტრილიონს (UNCTAD, 2022). განსაკუთრებით ძლიერი იყო ტრანსსასაზღვრო გარიგებები და საერთაშორისო პროექტების დაფინანსება, რაც წახალისებული იყო დაფინანსების არასტაბილური პირობებით და ინფრასტრუქტურის სტიმულით. თუმცა, გრინფილდის ინვესტიციების აღდგენა ინდუსტრიაში რჩება მყიფე, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ომის შედეგები უკრაინაში, სამმაგი სასურსათო, საწვავის და ფინანსური კრიზისით, COVID-19-ის მიმდინარე პანდემიასთან და კლიმატის დარღვევასთან ერთად, სტრესს მატებს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებს. არსებობს მნიშვნელოვანი რისკი, რომ საერთაშორისო ინვესტიციების აღდგენის იმპულსი ნაადრევად შეჩერდეს, რაც შეაფერხებს მდგრადი განვითარებისთვის დაფინანსების გაძლიერების მცდელობებს.

ტრანსეროვნული კორპორაციების კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ტეკ-ების გაფართოება განვითარებად ქვეყნებში შესაძლოა არ იყოს მომგებიანი ამ ქვეყნებისთვის და ადანაშაულებენ ტეკ-ებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური სუვერენიტეტის ძარცვაში და რეპრესიული რეჟიმების მხარდაჭერაში (Meyer, 1998). გარდა ამისა, იქ, სადაც ტეკ-ები ადგილობრივ მოსახლეობას ხვდებიან, კრიტიკოსები ამტკიცებენ, ადგილობრივი დასაქმებულები არიან არსებითად არათანაბარ ურთიერთობაში. ტეკ-ებს ბრალად ედებათ თავიანთი საბაზრო ძალაუფლების გამოყენება ადგილობრივი ხელფასისა და სამუშაო პირობების ჩასახშობად.

ტეკ-ის საქმიანობის კრიტიკოსები ემხრობიან ეკონომიკურ სანქციებს რეპრესიული მთავრობების მქონე ქვეყნების წინააღმდეგ, რაც მიჩნეულია, რომ არის პოლიტიკური ცვლილებისა და ადამიანის უფლებების გაუმჯობესების განსაკუთრებით ეფექტური საშუალება. მასპინძელი ქვეყნიდან უცხოური კაპიტალის (და ტექნოლოგიების) უარყოფამ ან გატანამ

უნდა მოხსნას რეპრესიული მთავრობის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საყრდენი (Meyer, 1998), რადგან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას სარგებელი მოაქვს განვითარებადი ეკონომიკებისათვის, რადგანაც უპი, უპირველეს ყოვლისა, დანერგავს ახალ ტექნოლოგიებს, გაზრდის მასპინძელი ქვეყნის კაპიტალის მარაგს, გაზრდის კონკურენციას ეკონომიკის ძირითად სექტორებში და სარგებელს მოუტანს ადგილობრივ მუშაკებს მეტი და უკეთ ანაზღაურებადი სამუშაოების ადგილების შექმნით. მოკლედ, უპი ზრდის მშპ-ს ზრდის ტემპს, ამცირებს სიღარიბეს და, შესაბამისად, სარგებელს მოუტანს ადგილობრივ მოსახლეობას - აქვს თუ არა მასპინძელ ქვეყანას დემოკრატიულად არჩეული მთავრობა და პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, ამ ძირეულად განსხვავებული პოზიციებისა და ყურადღების გათვალისწინებით.

მეცნიერები სთავაზობენ მრავალ განსხვავებულ არგუმენტს იმის შესახებ, თუ რატომ ახდენენ ან ხელს უშლიან დემოკრატიული ინსტიტუტები უპი ნაკადების ზრდას მასპინძელ ქვეყნებში. მაგრამ ვინაიდან ლიტერატურის დიდი ნაწილი ფოკუსირებულია იმაზე, იღებენ თუ არა დემოკრატიული ქვეყნები მეტ-ნაკლებად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებს, ვიდრე არადემოკრატიული ქვეყნები, ის იძლევა მცირე პირდაპირ მტკიცებულებას მიზეზობრივი მექანიზმების შესახებ, რომლებიც ხსნიან განსხვავებებს რეჟიმის ტიპებს შორის. რა მექანიზმები ხსნის რეჟიმის ტიპის გავლენას უპი-ზე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად სტატიაში გამოყენებულია პანელის მონაცემთა ანალიზი. განხილულია დემოკრატიის გავლენის შეფასებები უპი-ზე არსებული კვლევებიდან, როგორც დამოკიდებულ ცვლადზე დაკვირვებისა. დამოუკიდებელი ცვლადები წარმოადგენს შუამავალ ფაქტორებს, რომლებიც თეორიულად აკავშირებენ დემოკრატიასა და უპი-ს, როგორც ეს პოსტულირებულია ლიტერატურაში.

ამ ფონზე, ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს სამ საკითხზე: (1) გავლენას ახდენს თუ არა დემოკრატია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებზე (და პირიქით); (2) შეიცვალა თუ არა ეს კავშირი დროთა განმავლობაში; და (3) თუ ასეა, რა შეუწყო ხელი ამ ცვლილებას. შემდეგ განყოფილებაში მოცემულია ლიტერატურის მიმოხილვა, მონაცემები, ანუ საკონტროლო ცვლადები და რეგრესიებში გამოყენებული დემოკრატიის დონის ინდიკატორები. შემდეგ ნაწილში წარმოდგენილია დემოკრატიისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ურთიერთკავშირის პანელის მონაცემთა ანალიზის შედეგები, საბოლოოდ, ნაშრომი მთავრდება ძირითადი შედეგების შეჯამებით.

**ლიტერატურის მიმოხილვა.** პოლიტიკური რეჟიმის ტიპის გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების ნაკადებზე დებატების საგანია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კვლევა აღნიშნავს დემოკრატიის

დადებით გავლენას უპი-ზე, არსებობს კვლევები, რომლებიც უარყოფით გავლენას ადასტურებს.

ის ფაქტი, რომ ადგილობრივ ფირმებს სურთ გააფართოვონ თავიანთი ეკონომიკური საქმიანობა საზღვრებს გარეთ, არ არის ტრივიალური საკითხი, რადგან არსებობს რამდენიმე პოტენციური რისკი (მაგ., ენისა და კულტურული განსხვავებები, ძალიან მაღალი ტრანსპორტირების ხარჯები, განსხვავებული სამართლებრივი და მარეგულირებელი სტრუქტურები, არასრულყოფილი ინფორმაცია ბაზრებისა და ადგილობრივი პირობებისა და ექსპროპრიაციის რისკების შესახებ). როგორც მოგების მაქსიმიზაციის ორგანიზაცია, ფირმა სავარაუდოდ ჩაერთვება უპი-ში, სანამ სარგებელი აღემატება ხარჯებს (რისკებს). მეცნიერი დანინგის (Dunning, 1977) ეკლექტიკური პარადიგმის მიხედვით, ინვესტიციებთან დაკავშირებული სარგებელი ასოცირდება საკუთრებასთან, მდებარეობასთან და ინტერნალიზებასთან (Ownership, Location, and Internalization OLI). OLI-ს სტრუქტურის საფუძველზე, ეკონომისტებმა შეიმუშავეს თეორიული მოდელები, რომლებიც მრავალეროვნულ კორპორაციებს ათავსებენ საერთო წონასწორობის მდგომარეობაში, რათა ახსნან თავიანთი გადაწყვეტილება საზღვარგარეთ ინვესტირების შესახებ. ამან წარმოშვა მარკუსენის (Markusen, 1984) ჰორიზონტალური მოდელი, ჰელფმენის (Helpman, 1984) ვერტიკალური მოდელი და შემდეგ მარკუსენი (Markusen, 1997) ამ ორის ჰიბრიდი, რომელიც ცნობილია როგორც ცოდნის კაპიტალის მოდელი. გასაკვირი არ არის, რომ ამ თეორიული მოდელების უმეტესობა და მათი ემპირიული ტესტები ფოკუსირებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეკონომიკურ დეტერმინანტებზე.

თუმცა, არსებობს კვლევები, რომლებიც იკვლევს სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. მაგალითად, მეცნიერები ქლაგუ, ქიფერი, ქნექი და ოლსონი (Clague, Keefer, Knack & Olson 1994) ამტკიცებენ, რომ ავტოკრატიული რეჟიმები უფრო მეტად ახერხებენ დაზოგვას და ინვესტირებას, რადგან მათ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ სპეციალურ ინტერესთა ჯგუფებს, ხოლო დემოკრატიული რეჟიმები უფრო მეტად ხარჯავენ ფულს სოციალური ზეწოლის გამო. თუმცა, მეცნიერი ნორზი (North,1990) ხედავს ავტორიტარულ სისტემებს, როგორც საზიანო ეკონომიკურ წარმადობას, საზოგადოების მტაცებლისადმი მიდრეკილების გამო, ხოლო დემოკრატიულ ინსტიტუტებს, როგორც მომგებიანს, რადგან მათ შეუძლიათ დაიცვან საზოგადოებრივი ინტერესები მტაცებელი სახელმწიფოებისგან. დიდი ხანია ითვლებოდა, რომ მრავალეროვნულ კორპორაციებს ურჩევნიათ ინვესტიციები განახორციელონ ავტორიტარულ ქვეყნებში, სადაც მათ შეუძლიათ მიიღონ უკეთესი პირობები, რომლებიც არ ექვემდებარება სამოქალაქო

საზოგადოების ზეწოლას ან პროფკავშირების მოთხოვნებს ხელფასების გაზრდის შესახებ. ამ თვალსაზრისით, ტრანსეროვნული კორპორაციის ბიზნეს აქტივობა ნაკლებად შეზღუდულია არადემოკრატიულ გარემოში, ვიდრე დემოკრატიულ გარემოში და, შესაბამისად, ტრანსეროვნული კორპორაციებს ნაკლებად სავარაუდოა, რომ შეექმნათ გაუთვალისწინებელი მოთხოვნები უკეთესი სამუშაო პირობებისთვის. თუმცა, აშშ-დან განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების მონაცემების გამოყენებით, მეცნიერი ონელი (Oneal, 1994) იუწყება, რომ არ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი რეჟიმის ტიპსა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციებზე შემოსავალი უფრო მაღალია ავტორიტარულ რეჟიმებში, ვიდრე დემოკრატიულ რეჟიმებში.

აღსანიშნავია, რომ ორ ემპირიულ კვლევაში, ჯენსენი (Jensen, 2003), ლი და რეზნიკი (Li and Resnick, 2003) აფიქსირებენ ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნებს უპი-ის ნაკადებზე დემოკრატიის გავლენის შესახებ. ჯენსენი (Jensen, 2003: 504–595) ამტკიცებს, რომ დემოკრატიული სისტემები უფრო სანდო და ნაკლებად სარისკოა ვეტოს მოთამაშეების და აუდიტორიის ხარჯებით შექმნილი ინსტიტუციური სტაბილურობის გამო, რაც იზიდავს დიდი რაოდენობით უცხოურ ინვესტიციებს. ჯენსენი იყენებს როგორც ჯვარედინი, ასევე პანელის მონაცემებს (100-ზე მეტი ქვეყნისთვის 1970 წლიდან 1997 წლამდე) დემოკრატიული მმართველობის გავლენის შესასწავლად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე და აცხადებს, რომ „დემოკრატიული ინსტიტუტები დიდ პოზიტიურ გავლენას ახდენენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე“ (Jensen, 2003: 612). ამის საპირისპიროდ, ლი და რეზნიკი (Li and Resnick, 2003: 182-185) ამტკიცებენ, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უშლიან ტრანსეროვნული კორპორაციების ოლიგოპოლისტურ ან მონოპოლისტურ ქცევას შიდა ბაზრებზე, არასასურველია უცხოური ინვესტიციებისთვის. 1982 წლიდან 1995 წლამდე 53 განვითარებადი ქვეყნის პანელური მონაცემების გამოყენებით, ლი და რეზნიკი (Li and Resnick, 2003:194) აცხადებენ, რომ „დემოკრატიის დონე ამცირებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას“. ჯენსენის, ლისა და რეზნიკის ორ კვლევა ბადებს უფრო მეტ კითხვას, ვიდრე პასუხებს რეჟიმის ტიპსა და უცხოურ ინვესტიციებს შორის ურთიერთობის შესახებ. რამდენადაც ცნობილია, აღნიშნულ მკვლევარების მხრიდან არ ყოფილა მცდელობა, შეესწავლათ ეს თავსატეხი კერძოდ, დემოკრატიის დიფერენციალური გავლენა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე.

ლიტერატურის მიხედვით, დემოკრატიული ქვეყნები იზიდავენ უფრო მეტ უპი-ს, ვიდრე ავტოკრატიული რამდენიმე მიზეზის გამო:

- უფრო დემოკრატიული ქვეყნები უზრუნველყოფენ უკეთეს და უსაფრთხო საკუთრების უფლებებს, რაც ამცირებს რისკებს და ტრანზაქციის ხარჯებს უცხოელი ინვესტორებისთვის. მკვლევართა ნაწილი ამტკიცებს, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები მეტს უხდიან პოლიტიკურ აუდიტორიას, თუ ისინი უარს იტყვიან უცხოელ ინვესტორებთან კონტრაქტებზე. ხოლო მეორე ნაწილი ამტკიცებს, რომ დემოკრატიებს აქვთ მეტი კონტროლი და ბალანსის დაცვა - ან ვეტოს მოთამაშეები - უცხოური ინვესტიციების მითვისების თავიდან ასაცილებლად (Jensen 2003, 594; Li and Resnick 2003, 186-87; Resnick 2001, 384).
- ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში ვეტოს მეტ მოთამაშეს შეუძლია უზრუნველყოს უფრო დიდი პოლიტიკის სტაბილურობა, რაც იზიდავს უცხოელ ინვესტორებს (Ahlquist 2006, 689; Jensen 2003, 594).
- ინდივიდუალური უფლებების დაცვით და სახელმწიფო მტაცებლური ქცევის შეზღუდვით, დემოკრატიებს აქვთ უკეთესი ზრდის პერსპექტივები და ნაკლები ექსპროპრიაციის რისკი, რაც ხელს უწყობს როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას (Doces 2010, 336).
- დემოკრატიებს აქვთ უფრო ღია მედია, რაც საშუალებას აძლევს უპი-ის ბენეფიციარებს დასაჯონ ლიდერები, რომლებიც არღვევენ შეთანხმებებს უცხოელ ინვესტორებთან (Choi and Samy 2009, 87–88).
- რეგულარული არჩევნები, პრესის თავისუფლება და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობა ამცირებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაურკვევლობას. ეს მახასიათებლები ხდის დემოკრატიული ქვეყნების ეკონომიკას უფრო პროგნოზირებადს გრძელვადიან პერსპექტივაში და საშუალებას აძლევს მათ უკეთ გაუმკლავდნენ ეგზოგენურ შოკებს (Azemar and Desbordes 2009, 671).
- დემოკრატიული პოლიტიკა აძლიერებს მუშებს. იმის გამო, რომ მუშები, როგორც საშუალო ამომრჩეველი, უფრო მეტ სარგებელს იღებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან, ვიდრე ადგილობრივი ბიზნესების საწინააღმდეგო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, დემოკრატიული ქვეყნები უფრო ღიაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ (Jakobsen and Soysa, 2006, 388-89).

მეცნიერები ასევე გვთავაზობენ უამრავ მიზეზს, თუ რატომ შეიძლება დემოკრატიულმა ქვეყნებმა მოიზიდონ ნაკლები პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ვიდრე ავტოკრატიებმა:

- დემოკრატიებს აქვთ უფრო მკაცრი ანტიმონოპოლიური წესები, ვიდრე ავტოკრატიებს, რომლებიც ზღუდავენ ოლიგოპოლისტური ან მონოპოლისტური მრავალეროვნული კორპორაციების საქმიანობას (Li and Resnick, 2003, 179–80)

) დემოკრატიები უფრო მეტად იცავენ შიდა ბიზნესს უცხოური კონკურენციისგან (Li and Resnick 2003, 179–80).

) წარმომადგენლობითი დემოკრატიები, როგორც ჩანს, უფრო შეზღუდულია უცხოური ინვესტიციებით გამოწვეული დაზარალებული სოციალური ინტერესებით, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კრიტიკით, როდესაც საქმე ეხება უცხოელი ინვესტორებისათვის დიდ ფინანსური და ფისკალური სტიმულების შეთავაზებას (Li და Resnick 2003, 184–85; Zheng 2011, 295).

) ავტოკრატიები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური სარგებლით, უფრო მეტად იცავენ მრავალეროვნულ კორპორაციებს საჯარო ზეწოლისგან ხელფასების გაზრდისა და შრომითი უფლებების გასაძლიერებლად (O'Donnell, 1988, 85–88; Resnick, 2001, 593).

) მოპოვების მრეწველობის მრავალეროვნულ კომპანიებს მრეწველობაში ურჩევნიათ თავი აარიდონ დემოკრატიულ რეჟიმებს, რადგან დემოკრატიული ქვეყნებში უფრო ხშირად ცვლიან მთავრობას და შეიძლება ჰქონდეთ ნაკლებად სტაბილური ბიზნეს გარემო; ამის ნაცვლად, ეს ფირმები უპირატესობას ანიჭებენ ავტოკრატიებს, სადაც მათთვის უფრო ადვილია მთავრობებთან კავშირების დამყარება და ბუნებრივ რესურსებზე წვდომის მოპოვება (Asiedu and Lien, 2011). შესაბამისად, რესურსებით მდიდარი დემოკრატიული რეჟიმები იზიდავს ნაკლებ უპი-ს, ვიდრე რესურსებით მდიდარი ავტოკრატია.

) უცხოელი ინვესტორები შეშფოთებულნი არიან ეკონომიკური თავისუფლებით, რომელიც დაკავშირებულია საკუთრების უფლებებთან, კაპიტალის მობილურობასთან და ვაჭრობის ღიაობასთან, მაგრამ დემოკრატიული განვითარებადი ქვეყნები ხშირად ვერ ახორციელებენ რეფორმებს, რომლებიც აუცილებელია ასეთი თავისუფლების მისაღწევად (Matur and Singh, 2013).

ცხრილი 1 აჯამებს თეორიულ მექანიზმებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ეფუძნება დემოკრატიის პოზიტიურ და უარყოფით გავლენას უპი-ზე. როგორც ნაჩვენებია, დემოკრატიის შესაძლო ეფექტები არაპირდაპირია: ისინი მოქმედებენ ისეთი შუამავალი ცვლადების მეშვეობით, როგორიცაა მარეგულირებელი პოლიტიკა ან საინვესტიციო გარემო. შესაძლებელია ეს მექანიზმები შემოწმდეს წინა კვლევების შუალედური ცვლადების შესახებ მონაცემების ანალიზით.

ცხრილი 1. თეორიული მექანიზმები და შუამავალი ცვლადები კვლევებში

| მექანიზმის | | ეფექტი | შესაძლო შუამავალი ცვლადები |
|---|---|---|---|
| **1.** | საკუთრების უფლებების დაცვის გაძლიერება | + | საკუთრების უფლებები |
| **2.** | პოლიტიკის სტაბილურობის გაძლიერება ვეტო მოთამაშეების მეშვეობით | + | პოლიტიკური შეზღუდვები |
| **3.** | უკეთესი ზრდის პერსპექტივების უზრუნველყოფა | + | ზრდა |
| **4.** | მედიის მეტი ღიაობის უზრუნველყოფა | + | პრესის თავისუფლება |
| **5.** | პოლიტიკური და ეკონომიკური გაურკვევლობის შემცირება | + | შიდა პოლიტიკური რისკი<br><br>რეჟიმის ხანგრძლივობა<br><br>გაცვლითი კურსის არასტაბილურობა |
| **6.** | შრომაზე ორიენტირებული დემოკრატიული პოლიტიკა | + | შრომითი უფლებები<br><br>შრომის ძალა |
| **7.** | უფრო მკაცრი ანტიმონოპოლიური რეგულაცია | - | ანტიმონოპოლიური რეგულაცია |
| **8.** | მასპინძელი ფირმების მეტი დაცვა | – | სამრეწველო პოლიტიკა |
| **9.** | ნაკლები საგადასახადო შეღავათები უცხოელი ინვესტორებისთვის | - | საგადასახადო პოლიტიკა |
| **10.** | ავტოკრატია იცავს ტრანსეროვნულ კორპორაციებს შიდა პოპულარული ზეწოლისგან | - | შრომის ღირებულება<br><br>შრომითი უფლებები<br><br>შრომის ძალა |
| **11.** | რესურსებით მდიდარი ავტოკრატია უფრო მეტად ემხრობა ტრანს ეროვნულ კორპორაციებს, ვიდრე რესურსებით მდიდარ დემოკრატიები | – | რესურსისა და რეჟიმის ტიპის ურთიერთქმედება |
| **12.** | განვითარებადი ქვეყნების დემოკრატიები გვთავაზობენ ნაკლებ ეკონომიკურ თავისუფლებას | - | ღია ვაჭრობა<br><br>კაპიტალის კონტროლის ლიბერალიზაცია |

**წყარო:** ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

**მონაცემები.** ნაშრომის ანალიზი მოიცავს საქართველოში 2010 წლიდან 2022 წლამდე მაჩვენებლებს. პერიოდის არჩევანი ეფუძნება თანმიმდევრული მონაცემების ხელმისაწვდომობას. უფრო მეტიც, ანალიზის მთავარი აქცენტი, კავშირი დემოკრატიასა და ტეკ-ების საქმიანობას შორის, არის საქართველოს მთავარი საზრუნავი.

დემოკრატიის ინდექსი 2006 წლიდან ასახავს დემოკრატიის მდგომარეობას მსოფლიოში აფასებს 165 სახელმწიფოსა და 2 ტერიტორიას, მოიცავს მსოფლიოს თითქმის მთელ მოსახლეობას და მსოფლიოს სახელმწიფოების აბსოლუტურ უმრავლესობას (ჯუჯა სახელმწიფოების გარდა). შეფასებისას გამოყენებულია 5 კატეგორია: საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი, მთავრობის ფუნქციონირება, პოლიტიკაში მონაწილეობა, პოლიტიკური კულტურა და სამოქალაქო თავისუფლებები. საუკეთესო მაჩვენებელი 10 ქულით აღინიშნება. საქართველომ ყველაზე დაბალი ქულები მთავრობის ფუნქციონირების და პოლიტიკური კულტურის კატეგორიებში მიიღო:

- საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი 7 ქულა;
- მთავრობის ფუნქციონირება 3.57;
- პოლიტიკაში მონაწილეობა 6.11;
- პოლიტიკური კულტურა 3.75;
- სამოქალაქო თავისუფლებები 5.59.

„დემოკრატიის ინდექსი 2022-ით" საქართველოს საერთო ქულა 5.20-ია. ქვეყანა რეიტინგში 90-ეა და წინა წელთან შედარებით, პოზიცია 1-ით აქვს გაუმჯობესებული.

კატეგორიის ინდიკატორების ქულების მიხედვით, თითოეული ქვეყანა კლასიფიცირდება, როგორც რეჟიმის ოთხი ტიპიდან ერთ-ერთი: „სრული დემოკრატია“, „ნაკლოვანი დემოკრატია“, „ჰიბრიდული რეჟიმი“ ან „ავტორიტარული რეჟიმი“. Economist Intelligence Unit-ის დემოკრატიის საზომის 2022 წლის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ერთგვარ დემოკრატიაში ცხოვრობს (45,3%). მხოლოდ 8% ცხოვრობს "სრულ დემოკრატიაში", მსოფლიოს მოსახლეობის მესამედზე მეტი ცხოვრობს ავტორიტარულ მმართველობის პირობებში (36,9%), მათი დიდი წილი ჩინეთსა და რუსეთშია. 2022 წელს აღმოსავლეთ ევროპის 16 ქვეყანამ გააუმჯობესა თავისი ქულა დემოკრატიის ინდექსში. ყველაზე დიდი გაუმჯობესება ჩერნოგორიასა და ალბანეთშია. რეგიონში ჯერ კიდევ არ არსებობს „სრული დემოკრატიები“: 28 ქვეყნიდან 16 „ნაკლოვანი დემოკრატიაა“ (რომელიც მოიცავს ევროკავშირის აღმოსავლეთ წევრ ქვეყნებს და დასავლეთ ბალკანეთის უმეტეს ნაწილს), ოთხი „ჰიბრიდული რეჟიმებია“ (სომხეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, საქართველო და უკრაინა) და რვა „ავტორიტარული რეჟიმია“ (აზერბაიჯანი, ბელორუსია, რუსეთი და

ცენტრალური აზიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა წევრი ერები).

საქართველო ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყნებს შორის რჩება 2022 „დემოკრატიის ინდექსის“ მიხედვით.

**გრაფიკი 1. საქართველოში დემოკრატიის ინდექსი 2010-2022 წწ.**




**წყარო:** DEMOCRACY INDEX 2022 https://pages.eiu.com

როგორც დამოკიდებული ცვლადი შემდეგ რეგრესიებში, გამოყენებული იქნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები.

საქართველოში 2022 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ამსახველი ანგარიშის თანახმად უპი-მა 2 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 61%-ით მეტია. ინვესტიციების ეს მოცულობა 2017 წლის შემდეგ მაქსიმალურია.

ქვეყნების მიხედვით, ყველაზე მეტი ინვესტიცია დიდი ბრიტანეთიდან შემოვიდა, რამაც 428 მილიონი დოლარ შეადგინა. მეორე ადგილს ესპანეთი, მესამეს კი აშშ იკავებს. ქვეყნების მიხედვით, უპი ასე ნაწილდება:

1. გაერთიანებული სამეფო - 428 მილიონი დოლარი;
2. ესპანეთი - 367 მილიონი დოლარი;
3. აშშ - 164 მილიონი დოლარი;
4. ნიდერლანდები - 146 მილიონი დოლარი;
5. ირლანდია - 121 მილიონი დოლარი;
6. ჩინეთი - 109 მილიონი დოლარი;
7. თურქეთი - 106 მილიონი დოლარი;
8. ჩეხეთი - 86 მილიონი დოლარი;
9. რუსეთი - 71 მილიონი დოლარი;
10. იაპონია- 68 მილიონი დოლარი.

თავად ინვესტიციების შემადგენლობაში წამყვანი ადგილი არსებული ბიზნესების რეინვესტიციებს უჭირავს, რაც 1.28 მილიარდ დოლარს

შეადგენს, ხოლო უშუალოდ სააქციო კაპიტალში ჩადებული ინვესტიციების ზომა - 686 მილიონი დოლარია.

გრაფიკი 2. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მშპ 2010-2022 წწ.




წყარო: https://www.geostat.ge

რეგრესიებში, გამოყენებული იქნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ერთ სულ მოსახლეზე, როგორც დამოუკიდებელი ცვლადი. ერთ სულ მოსახლეზე მაჩვენებლების გამოყენება საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ქვეყნის ფარდობითი ზომა. ფაქტორების გასაკონტროლებლად გამოყენებულია 4 ცვლადი: (1) მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ბაზრის ზომის გასაკონტროლებლად; (2) რეალური ზრდის ტემპი ერთ სულ მოსახლეზე ბაზრის ზრდისა და პოტენციალისათვის; (3) იმპორტისა და ექსპორტის თანაფარდობა აშშ-სთან ვაჭრობისადმი ღიაობის კონტროლისთვის; და (4) დემოკრატიის ინდექსი.

პირველი სამი ცვლადის ჩართვა შთაგონებულია ჩაკრაბარტის (Chakrabarti, 2001) კვლევის შედეგებით უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელ ფაქტორებზე. მისი დასკვნების მიხედვით, მხოლოდ ამ სამ ცვლადს აქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა უპი-ზე ყველა (ან სულ მცირე უმეტესი ნაწილი) კვლევაში და მოსალოდნელია, რომ დადებითად იყოს დაკავშირებული უცხოური ინვესტიციების შემოდინებასთან. დემოკრატიის ინდექსი დაემატა, თუ რა მექანიზმები ახდენს გავლენას რეჟიმის ტიპებს შორის განსხვავებულობაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისას. სხვა ინდიკატორები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებზე, არის მაგალითად, კორუფციის დონე და პროგნოზირებადობა.

**პანელის მონაცემთა ანალიზი**. ზოგადად, პანელური მონაცემების ანალიზი შეიძლება განხორციელდეს ქვეყანაში ფიქსირებული ეფექტის ან

ქვეყნის შემთხვევითი მოდელის გამოყენებით. მოდელის სპეციფიკაცია შემდეგია:

FDIct = ßc + ß0 მეშct + ß1 ზრდაct + ß2 ღიაობაct + ß3 იეთct + ß4 დემოკრატის ინდექსიct + დრო + ect, (1)

სადაც ßc არის ქვეყნის სპეციფიკური ფიქსირებული ეფექტი, დრო წარმოადგენს დროს, რომელიც მოიცავს დროთა განმავლობაში ფაქტორებს, რომლებიც, სავარაუდოდ, გავლენას მოახდენენ ნიმუშის ქვეყანაზე, ხოლო დემოკრატიის ინდექსი ct წარმოადგენს დემოკრატიის ინდიკატორს (ქვეყნისთვის c და პერიოდი t), რომელიც ცალკე დაემატება საორიენტაციო რეგრესიას. ect არის შეცდომის ტერმინი.

შედეგები ასახულია ცხრილის 1 სვეტში. დემოკრატიის ინდექსის გარდა, ყველა საკონტროლო ცვლადს აქვს მოსალოდნელი ნიშანი და არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი 1% დონეზე. მიუხედავად ამისა, მოდელის საერთო კორელაცია საკმაოდ დაბალია, რაც მიუთითებს შედარებით დაბალი R2-ით. გარდა ამისა, დურბინ-უოტსონის სტატისტიკა გულისხმობს, რომ არსებობს ავტოკორელაციის პრობლემა. საკონტროლო რეგრესიაში POL და CIV დამატება არ ამცირებს ამ პრობლემებს. მიუხედავად იმისა, რომ POL-ის სავარაუდო კოეფიციენტი უარყოფითია, ის არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი; კოეფიციენტი CIV-სთვის, მეორე მხრივ, პოზიტიურიც კი არის (და მნიშვნელოვანი 10 პროცენტიან დონეზე).

ოთხი საკითხი, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს მოდელის საკმაოდ ემპირიულ ანალიზს: (1) დემოკრატიის მაჩვენებლების დაბალი ცვალებადობა, (2) დროის ჩამორჩენის საკითხი, (3) მიზეზობრიობის პრობლემა და (4) მოდელის სპეციფიკაცია. პირველი, არის POL და CIV შედარებით დაბალი ცვალებადობა. დემოკრატიასა და უპი-ს შორის კავშირის გამოსაკვლევად დროის სერიების ანალიზის ნებისმიერი მცდელობა, სავარაუდოდ, დაზარალდება დემოკრატიის ინდიკატორებში საკმარისი ცვალებადობის არარსებობით. მიუხედავად ამისა, დამოკიდებული ცვლადი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები განსხვავდება წლიდან წლამდე, რაც ასახავს ინდივიდუალურ ზეგავლენებს ქვეყანაში.

მეორე საკითხი არის დროითი შეფერხებების საკითხი ტეკ-ების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, თუ სად განახორციელონ ინვესტიცია. გონივრულია ვივარაუდოთ, რომ ტეკ-ები მხოლოდ ნაწილობრივ რეაგირებენ ეკონომიკური ცვლადების ცვლილებებზე, ისევე როგორც დემოკრატიის დონის ცვლილებებზე მოკლევადიან პერიოდში. საინვესტიციო გადაწყვეტილებებს შესაძლოა დრო დასჭირდეს ფიზიკური და პროცედურული შეზღუდვების გამო (Jun and Singh, 1996). ამრიგად, რეგრესიის შემდგომ კომპლექტში, GROWTH, BMP, POL და CIV

ჩამორჩენილია ორი პერიოდით, რათა მოხდეს უპი ნაკადების სრული კორექტირება. მშპ და ღიაობაც არ ჩამორჩებიან, რადგან არ არის ისეთი დიდი ცვალებადობა წლიდან წლამდე, რომელზეც ტეკ-ებმა შეიძლება უპასუხონ (მოკლე ვადაში).

ცხრილი 2. პანელის მონაცემთა ანალიზი 2010-2022 წწ

| Independent Variables | Dependent Variable: FDI (1) | (2) | (3) | (4) | (5) | (6) |
|---|---|---|---|---|---|---|
| GNI | 0.02*** (6.19) | 0.02*** (6.19) | 0.02*** (6.34) | 0.02*** (5.76) | 0.02*** (5.78) | 0.02*** (5.90) |
| GROWTH | 0.65*** (3.30) | 0.65*** (3.27) | 0.67*** (3.37) | | | |
| GROWTH (-2) | | | | 0.65*** (4.09) | 0.64*** (4.08) | 0.65*** (4.16) |
| OPENNESS | 0.56*** (7.33) | 0.57*** (7.41) | 0.56*** (7.31) | 0.58*** (6.93) | 0.58*** (6.99) | 0.57*** (6.93) |
| BMP | 0.0003** (2.09) | 0.0003** (2.25) | 0.0002* (1.74) | | | |
| BMP ( 2) | | | | 0.0005*** (-6.86) | 0.0005*** (-6.63) | 0.0005*** (-6.48) |
| TIME | 0.64*** (4.21) | 0.60*** (4.03) | 0.67*** (4.54) | 0.86*** (4.99) | 0.83*** (4.95) | -0.88*** (5.26) |
| POL | | 0.98 (-1.23) | | | | |
| POL (-2) | | | | | -0.75 (-0.76) | |
| CIV | | | 1.84* (1.74) | | | |
| CIV (-2) | | | | | | 1.78 (1.46) |
| F-Value | 16.73 | 16.53 | 16.56 | 16.10 | 15.89 | 15.91 |
| Durbin-Watson | 0.67 | 0.67 | 0.67 | 0.68 | 0.68 | 0.68 |
| Adjusted $R^2$ | 0.37 | 0.37 | 0.37 | 0.38 | 0.38 | 0.38 |
| No. of Obs. | 1931 | 1931 | 1931 | 1793 | 1793 | 1793 |

როგორც მე-4 და მე-6 სვეტებიდან ჩანს, შედეგები დიდად არ იცვლება. მოდელის საერთო შესატყვისი ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია და განმარტებითი ცვლადების ნიშანი და მნიშვნელობა ძალიან მსგავსია.

მესამე სვეტი, არის მიზეზობრიობის პრობლემა დემოკრატიასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებს შორის. ვარაუდი, რომ დემოკრატიის ორივე ინდიკატორი ეგზოგენურია შეიძლება არ გამართლდეს, თუ ტეკ-ის საქმიანობა განვითარებად ქვეყნებში გავლენას ახდენს დემოკრატიის დონეზე. სპარი (Spar , 1999) ამტკიცებდა, რომ უპი-ს შეუძლია გააუმჯობესოს პირობები განვითარებად ქვეყნებში, ან მათი საქმიანობის პირდაპირი ეფექტის შედეგად (გაუმჯობესებული მუშაკთა და ადამიანის უფლებები), ან როგორც არაპირდაპირი შედეგია გაძლიერებული ეკონომიკური ზრდის ტემპი, რომელიც ხელს შეუწყობს უკეთესი პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების ზრდას. შედეგები მიუთითებს, რომ დემოკრატიისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შორის არ არის დომინანტური და მნიშვნელოვანი კავშირი არცერთი ცვლადისგან.

**დასკვნა.** ზემოაღნიშნული შედეგები, რა თქმა უნდა, არ არის ხარვეზების გარეშე. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ყველაზე

მნიშვნელოვანი ფაქტორი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონისა და ცვალებადობის ასახსნელად ანალიზში იყო ჩართული, როგორიცაა მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ეკონომიკური ზრდის ტემპები, ღიაობა ვაჭრობისთვის და დემოკრატიის ინდექსი სხვა არ იყო. დაბოლოს, საინვესტიციო ქცევაში დაფიქსირებული ცვლილების მიზეზების ემპირიული შემოწმება ვერ მოხერხდა.
როგორც ჩანს, ტეკ-ებს უფრო მეტად აინტერესებთ, შეუძლიათ თუ არა განვითარებად დემოკრატიებს შეინარჩუნონ თანმიმდევრული პოლიტიკური გარემო მათთვის, ვიდრე შეიძლება დაისაჯონ თუ არა დემოკრატიული მთავრობები საარჩევნო გზით. ეს შედეგები გვთავაზობს საინტერესო პოლიტიკის შედეგებს განვითარებადი დემოკრატიული ქვეყნებისთვის. თუ ახალ დემოკრატიულ ქვეყნებს სურთ მიაღწიონ სასურველ ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას უფრო მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების გზით, მათი საუკეთესო შედეგი შეიძლება იყოს დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომლებიც უზრუნველყოფენ ვეტოს მოთამაშეების მიერ განხორციელებულ შემოწმებებსა და ბალანსებს, რაც ხელს უშლის ეროვნულ ლიდერებს საინვესტიციო პოლიტიკის თვითნებური ცვლილებების განხორციელებაში.
იმ ნაკლოვანებების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება დაიძლიოს ამ კვლევის გაფართოებით, შედეგები იძლევა რამდენიმე წინადადებას შემდგომი კვლევისთვის. ჯერ ერთი, ეს ანალიზი განხორციელდა მხოლოდ ეროვნულ დონეზე, რამაც შეიძლება შენიღბოს მრავალეროვნული კორპორაციების დინამიური როლი, რომლებიც წარმოადგენენ მასპინძელ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ძირითად ძრავებს. იმის გათვალისწინებით, რომ მრავალეროვნული კორპორაცია ხშირად მოქმედებს მთავრობის კონტროლის მიღმა, ანალიზი ასევე უნდა იყოს ფოკუსირებული ფირმის დონეზე. აუცილებელია მულტიეროვნული კომპანიების მომგებიანი ბიზნეს პერსპექტივების გარჩევა თითოეული ეროვნული სახელმწიფოს რეჟიმის მახასიათებლებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ფირმის დონის ანალიზმა შეიძლება დაადგინოს, შესაძლებელია თუ არა ეროვნულ დონეზე შედეგების გამეორება და შეიძლება უკეთესი მიმართულებები მისცეს ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკის დინამიკის ახსნასა და გაგებაში. მეორე, ასევე სავარაუდოა, რომ დემოკრატია არ არის მხოლოდ ეგზოგენური, რომ ზოგიერთი ეკონომიკური ფაქტორი, როგორიცაა ეკონომიკური განვითარება, ითვლება დემოკრატიის გადარჩენის შესანიშნავ პროგნოზირებად და რომ უცხოური ინვესტიციები შეიძლება მიეწეროს ეკონომიკურ განვითარებას და დემოკრატიის ხარისხს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


- Ahlquist, J. S. (2006). Economic Policy, Institutions, and Capital Flows: Portfolio and DirectInvestment Flows in Developing Countries. . International Studies Quarterly 50(3), 681–704.
- BARRY, COLIN M., K. CHAD CLARY, AND MICHAEL E. FLYNN. . (2013). Avoiding the Spotlight: Human Rights Shaming and Foreign Direct Investment. International Studies Quarterly 57 (3), 542–544.
- Chakrabarti, A. (2001). The Determinants of Foreign Direct Investment: Sensitivity Analyses of Cross-Country Regressions . Kyklos, Vol. 54, No. 1, , 89-113.
- CHOI, SEUNG-WHAN. (2009). The Effect of Outliers on Regression Analysis: Regime Type and Foreign Direct Investment. Quarterly Journal of Political Science 4 (2), 153–165.
- Choi, Seung-Whan, and Patrick James. . (2005). Civil-Military Dynamics, Democracy, and International Conflict: A New Quest for International Peace. . New York: Palgrave.
- Choi, Seung-Whan, and Patrick James. . (2007). Media Openness, Democracy and Militarized Interstate Disputes. . British Journal of Political Science 37(1), 23–46.
- Christopher, C. Keefer, P. Knack, S. and Olson, M. (1994). Institutions and Economic Performance: A New Look at Democracies and Growth. . IRIS Working Paper, University of Maryland.
- Dunning, J. H. (1977). Trade, Location of Economic Activity and MNE: A Search for an Eclectic Approach. The International Allocation of Economic Activity, edited by B. Ohlin, P.O. Hesselborn and P.M. Wijkman. London: Macmillan.
- HELD, DAVID, AND PIETRO MAFFETTONE. (2017). Moral Cosmopolitanism and Democratic Values. Global Policy 8 (S6), 54–64.
- Helpman, E. (1984). A Simple Theory of International Trade with Multinational Corporations. . Journal of Political Economy 94(3), 451–471.
- Jensen, N. M. (2003). Democratic Governance and Multinational Corporations: Political Regimes and Inflows of Foreign Direct Investment. International Organization 57(3), 587–616.
- Jensen, N. M. (2006). Nation-States and the Multinational Corporation: A Political Economy of Foreign Direct Investment. . Princeton and Oxford: Princeton University Press.
- Jensen, Nathan, and Fiona McGillivray. . (2005). Federal Institutions and Multinational Investors: Federalism, Government Credibility, and Foreign Direct Investment. . International Interactions 31(4), 303–325.
- Li, Q. (2005). Does Democracy Promote or Reduce Transnational Terrorist Incidents? . Journal of Conflict Resolution 49(2), 278–297.
- Li, Quan, and Adam Resnick. (2003). Reversal of Fortunes: Democratic Institutions and Foreign Direct Investment Inflows to Developing Countries. . International Organization 57(1), 175–211.
- Markusen, J. R. (1984). Multinationals, Multi-plant Economies, and the Gains from Trade. Journal of International Economics 16(3/4), 205–226.
- Markusen, J. R. (1997 წლის October). Trade versus Investment Liberalization. . NBER Working Paper No. 6231, Cambridge, MA: National Bureau of Economic Research.

 North, D. C. (1990). Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge, UK: Cambridge University Press.
 Oneal, J. R. (1994). The Affinity of Foreign Investors for Authoritarian Regimes. . Political Research Quarterly 47(3), 565–588.
 William & Meyer. (1998). Human Rights and International Political Economy in Third World Nations: Multinational Corporations, Foreign Aid, and Repression,. Westport: Praeger.
 (2022). World Investment Report 2022, UNCTAD, . New York and Geneva: United Nations.
 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023). მოპოვებული https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp-დან


# რეალობის ეკრანული ინტერპრეტაცია - დოკუმენტური ჩანახატი (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი 2021 წელი)
# Onscreen Interpretation of Reality - Documentary Sketch (Georgian Public Broadcaster 2021)


**ლია ზამბახიძე**, დოქტორანტი, ასისტენტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**Lia Zambakhidze**, Doctoral student, Assistant
Caucasus's International University



**აბსტრაქტი.** რა არის სატელევიზიო დოკუმენტალისტიკა, რეალობის შეულამაზებელი, პირდაპირი კოპირება თუ ავტორის ხედვით გადმოცემული სინამდვილე?
ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, ახალ ინფორმაციულ საუკუნეში, აუდიოვიზუალური მახასიათებლების დახვეწამ შეცვალა არა მარტო აუდიტორიის გემოვნება, არამედ თავად ავტორების მიდგომა, სტილი და აღქმა. შესაბამისად, შეიცვალა თავად ტელედოკუმენტალისტიკის ფორმაც. მან არაერთი გამოსახვის საშუალება შეითვისა სხვა და სხვა ჟანრებიდან, გამრავალფეროვნდა და დროთა განმავლობაში დაშორდა კლასიკური გაგების დოკუმენტურ კინოს. განსაკუთრებით საქმე ეხება ჟანრის ჩამოყალიბების სათავეში გადაღებულ მასალებს, რომლებსაც მართლა შეიძლება ეწოდოს რეალობის ანარეკლი.
ტელედოკუმენტალისტიკის ერთ-ერთ ახალ მიმართულებად შეიძლება მივიჩნიოთ - „დოკუმენტური ჩანახატი“. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტის ანალიზი მეტ-ნაკლებად წარმოაჩენს გამოსახვის თანამედროვე ფორმებისა და საშუალებების სპეციფიკას. მედიამონიტორინგი გვიჩვენებს, როგორ აქცევს კონკრეტული აუდიოვიზუალური დეტალები ჩვეულებრივ ჟურნალისტურ მასალას გარკვეული გავლენების მქონე მედიაპროდუქტად.
თუ ორი საუკუნის უკან საინტერესო იყო ფოტოგრაფიული სიზუსტით ნაჩვენები მატარებლის შემოსვლის კადრები, ახლა მსგავსი მშრალი, უემოციო ვიზუალური მასალა ვეღარ გახდება ინტერესის საგანი. დღეს მაყურებელს სჭირდება გაცილებით მეტი.



**საკვანძო სიტყვები**: სატელევიზიო დოკუმენტალისტიკა, საზოგადოებრივი მაუწყებელი, დოკუმენტური ჩანახატი.

**Abstract.** What is television documentary, an unvarnished, direct copy of reality or the reality expressed by the author's vision?
In parallel with the technological progress, in the new Information Age, the refinement of audiovisual features has altered not only the audience's taste, but also the approach, style and perception of the authors themselves. Accordingly, the form of tele-documentary itself has also changed. It adopted a number of means of depiction from various genres, diversified and distanced from documentary film in the classical sense over time. This especially refers to the materials that were filmed at the beginning of the genre formation, which can truly be called a reflection of reality.
"Documentary sketch" can be considered as one of the new directions of tele-documentary. The analysis of the project of the Public Broadcaster of Georgia shows more or less the specificity of modern forms and means of representation. Media monitoring reveals how specific audiovisual details transform ordinary journalistic material into an influential media product.
If two centuries ago it was interesting to show the footage of the train arriving with photographic accuracy, nowadays such dry, emotionless visual material can no longer be a subject of interest. Today, viewers need much more.
**Key words:** Television Documentary, Public Broadcaster, Documentary Sketch.

**შესავალი.** დღეს, ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, როცა მაყურებელს 15 წამში შეუძლია ინფორმაციის მიღება, თითქოს არ არსებობს განსაზღვრული დრო და სივრცე ვრცელი მედიაპროდუქტისათვის. თუმცა, მოცემული პროგრესი, შეიძლება ითქვას, შესაბამისად აისახა დოკუმენტალისტიკაზეც. გამოხატვისათვის მან მონახა ახალი ფორმები, ხერხები. ასეთი ჰიბრიდული მედიაპროდუქტი მაყურებელს რამდენიმე წუთში უყვება ნამდვილ ამბავს, ნამდვილი პერსონაჟებით.

ნარატივის მთავარ ფრაგმენტებზე აქცენტირებით, ტელედოკუმენტალისტიკა აუდიტორიის ინფორმირების მნიშვნელოვან წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ. განსაკუთრებით თანამედროვე ციფრულ სივრცეში, როცა ასე გართულდა კონკრეტულ საკითხებზე ფოკუსირება და ისეთი სივრცის პოვნა, რომელიც დაფიქრების საშუალებას მოგვცემს. კონკრეტული ჩარჩოების შემუშავებით, შესაბამისი კონტენტის მსგავს ფრეიმებში მოქცევით კი თანამედროვე მედიასაშუალებები გააზრებული კონცენტრირების შესაძლებლობას იძლევა.

ამერიკელი მკვლევრის, რობერტ ენთმენის მიხედვით „ფრეიმინგი ნიშნავს რეალობის ცალკეული ასპექტის წინ წამოწევას, რაც თავის მხრივ, ცალკეული პრობლემის წინ წამოწევას, დეფინიციას, მიზეზ–შედეგობრივ ინტერპრეტაციას, შეფასებას და რეკომენდაციას გულისხმობს". (Entman, 1993, გვ. 51)

ერთი შეხედვით იმ ყველაფერს, რასაც თავის თავში სატელევიზიო დოკუმენტალისტიკა მოიაზრებს. უპირველესად სწორედ ასეთი ფრეიმების განსაზღვრით იწყება მთავარი შეტყობინების შერჩევა, მისი გავრცელების ფორმებისა და გამოსახვის საშუალებების ინტერპრეტირება, სამიზნე აუდიტორიაზე მორგება და შესაბამისი არხებით გავრცელება. სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი არხია საზოგადოებრივი მაუწყებელი - "ერთ-ერთი მთავარი

სადისკუსიო სივრცე, საინფორმაციო წყარო და საგანმანათლებლო რესურსი”. (მაუწყებელი, 2021)

თავის მხრივ, აღნიშნული მედიასაშუალების ერთ-ერთი შინაარსობრივი პრიორიტეტი „საგანმანათლებლო, სამეცნიერო, პოპულარული და სხვა დოკუმენტური ფილმების წარმოების, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების შენარჩუნება და განვითარებაა“. (მაუწყებელი, 2021, გვ. 8)

**ანარეკლიდან ინტერპრეტაციამდე.** დოკუმენტური ვიზუალური თხრობის ფორმა კინოს დაბადებასთან ერთად ჩნდება. 1895 წელი, ძმები ლუმიერები პარიზში კინოჩვენებას აწყობენ. პირველი დოკუმენტური კადრები ასახავდა მუშებს, რომლებიც ქარხანას ტოვებდნენ. ძმებმა მოგვიანებით აღბეჭდეს ფირზე მებაღე, ბავშვი, რომელიც საუზმობს და რა თქმა უნდა, ყველაზე პოპულარული მატარებლის შემოსვლა ლა სიოტის სადგურში. ასე ჩაეყარა საფუძველი დოკუმენტურ ჟანრს.

ქართული დოკუმენტალისტიკის პირველი ნაბიჯია „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. 1912 წელს ვასილ ამაშუკელმა გადაიღო მწერლის ვიზიტი რეგიონში, დახვედრის ცერემონია, სახალხო დღესასწაული. ქართული კინოარქივი არაერთ მსგავს მასალას ინახავს, ძირითადად, სალონური შეკრებებიდან, დაკრძალვებიდან, იუბილეებიდან და ა.შ. ასე ჩამოყალიბდა დოკუმენტალისტიკა, როგორც რეალობის ანარეკლი. ეს იყო შეულამაზებელი, სრული სიზუსტით გადმოცემული მოვლენა ან ფაქტი. თუმცა, დროთა განმავლობაში, ტექნიკური პროგრესის პარალელურად, შეიცვალა ხედვა, გამოსახვის საშუალებები, გზები და ფორმები. ცვლილება განიცადა თავად დოკუმენტალისტიკის არსმა და მნიშვნელობამ. ჩვენთვის კარგად ნაცნობი ტერმინიც ხომ ჟანრის დაბადებიდან დიდი ხნის შემდეგ გაჩნდა. მისი ავტორი ჯონ გრიერსონია. შოტლანდიელმა რეჟისორმა სახელწოდება 1926 წელს ფილმ „მოანას“ განხილვისას გამოიყენა და აღნიშნა, რომ ეს იყო დოკუმენტური ღირებულების კინო - „აქტუალობის კრეატიული ასახვა“. აქედან იწყება სწორედ დოკუმენტალისტიკის, როგორც რეალობის არა უბრალო ანარეკლის არამედ, ინტერპრეტირების განსაზღვრა.

„ყველა დოკუმენტურ ფილმს აქვს თავისი გამორჩეული ხმა, ისევე როგორც ადამიანს საუბრის ჟღერადობა. ყველა კინემატოგრაფიულ ხმას, თავის მხრივ, აქვს საკუთარი სტილი, „მარცვალი“ და ისინი მოქმედებენ, როგორც უნიკალური ნიშანი ან თითის ანაბეჭდი. სწორედ ეს ადასტურებს ავტორის ინდივიდუალურობას.“ (Nicholas, 2001, გვ. 99)

თანამედროვე სატელევიზიო დოკუმენტალისტიკაში გამოყოფენ ექვს ფორმას: პოეტური (poetic mode), ექსპოზიციური (Expositoy mode), დამკვირვებლური (Observational mode), ამრეკლავი (Reflexive mode), საშემსრულებლო (Performative mode) და ე.წ ჩართული (Participatory mode).

რახან საუბარი ეხება უმეტესად რეალობის ინტერპრეტაციას, ყურადღებას გავამახვილებთ ამერიკული დოკუმენტალისტიკის თეორეტიკოსის, ბილ ნიკოლასის განმარტებებზე ამრეკლავი ტიპის დოკუმენტური ფილმების შესახებ. „ეს სტილი უზრუნველყოფს რეალობის უპრობლემო წვდომას. ის იღებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ემოციურ რეალიზმის ფორმას მონტაჟის ტექნიკის, პერსონაჟების ან ზოგადად ფილმის ნარატივით“. (Nicholas, 2001, გვ. 136)

მიუხედავად იმისა, რომ მაყურებლისათვის შეუმჩნეველი რჩება რეჟისორის დამოკიდებულება საკითხისადმი, რაკურსი, კადრი, მონტაჟის რეჟისურა, შერჩეული პერსონაჟები და ზოგადად, ნარატიული ნაწილი მთლიანობაში მაინც სუბიექტურად ასახავენ ფაქტს. მაყურებელი ავტორის თვალით ხედავს რეალობას.

**დოკუმენტური ჩანახატი - „ტელედოკი“.** „ჩვენი დროის უტყუარი დოკუმენტი“ - ასეა განმარტებული საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი, რომელიც 2021 წელს გავიდა ეთერში. „ტელედოკი“ დაახლოებით 26 წუთიანი ჩანახატია და კონკრეტული ადამიანის ისტორიას მოგვითხრობს. რესპონდენტების ყოველდღიურობის, საქმიანობის, მოსაზრებების, ფიქრების წარმოჩენით კი ასახავს ეპოქის ატმოსფეროს და გვაგრძნობინებს მიმდინარე ისტორიულ კონტექსტს (მაუწყებელი, 2021, გვ. 33). როგორ, რა საშუალებებით ახერხებს ავტორი რეალობის ანარეკლში ასახოს ემოციაც და განწყობაც, წამოაჩინოს სუბიექტური განცდები, კრეატიული მიდგომები ისე, რომ მასალამ შეინარჩუნოს დოკუმენტურობა?

სატელევიზიო პროექტის ე.წ. ამრეკლავი (Reflexive mode) ფორმა გამორიცხავს ჟურნალისტურ ტექსტს. თხრობა ეფუძნება მთავარი გმირის (გმირების) ნარატივს. თითოეული გადაცემის ინდივიდუალურ სტილს სწორედ ავტორისეული გადაწყვეტილებები განსაზღვრავს, რომლებიც მუსიკაში, ხმებში, ხმაურებში, მონტაჟში ვლინდება. ყოველგვარი გრაფიკული ჩანართების, თანამედროვე აუდიოვიზუალური ხერხების გარეშე, რეალისტურად გადმოცემული ისტორია დასწრების ეფექტს ქმნის და მაყურებელს ამბის თანამონაწილედ აქცევს. აღნიშნული კი ემპათიის, ემოციური ბმის, შესაბამისი განწყობის მოპოვების ეფექტური საშუალებაა.

2021 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში სულ 12 დოკუმენტური ჩანახატი გავიდა. თითოეული მათგანი, გარდა იმისა რომ, ჩვენს გვერდით მცხოვრებ, ერთი შეხედვით ჩვეულებრივ ადამიანებს გვაცნობს, იმ პერიოდის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასაც ირეკლავს. აღნიშნულის მისაღწევად უტყუარი მეთოდი შეულამაზებელი, რეალური სიტუაციების ჩვენებაა. ყოველგვარი დადგმებისა და რეკონსტრუქციების გარეშე. მაგალითად, ერთ-ერთ ფილმში - „რას ხედავ ალეკო?“ პერსონაჟს ავტორი აცრის გასაკეთებლად მიჰყვება. კლინიკის

პერსონალთან კომუნიკაცია, მისი ქცევა და რეპლიკები პანდემიის პერიოდის სურათს მეტ-ნაკლები სიზუსტით ხატავს.

გარდა ამისა, გულწრფელობის განცდას ბადებს რესპონდენტების საუბრისას მათი შეცდომები, ყოველგვარი მონტაჟისა და გადაფარვის გარეშე, რეალური დიალოგის იმიტაციას ქმნიან. მაყურებელში დასწრების შეგრძნებას ბადებს მოძრავი კადრები. შტატივის გარეშე, ხელით გადაღებული გადაფარვები პროცესის მონაწილედ გაქცევს. თითქოს შენ დაჰყვები კანადაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტს ქუჩებში და თავად ისმენ მის საუბარს (ფილმი „ორი ძმა"). დასწრების ეფექტს ე.წ. „ხმაურებიც" ქმნიან. ქუჩის, ბუნების, სუნთქვის, მუშაობის, ზოგჯერ კი ჩაის სმის ხმა გაახლოებს სიტუაციასთან. სწორ (ან კონკრეტულ წამს ავტორისთვის სასურველ) ემოციას გიქმნის ზუსტად შერჩეული მუსიკა და მელოდიასთან თანხვედრაში მოყვანილი მონტაჟის ტექნიკა, კადრის ცვლის დინამიკა. ეს ყველაფერი ერთად და ცალ-ცალკე აუდიტორიას ეხმარება შეინარჩუნოს განწყობა და ინტერესი.

მაყურებელი ხედავს ნამდვილ ადამიანებს, რომლებიც გვერდიგვერდ ცხოვრობენ, მათი საქმიანობით კი გარკვეულ მუხტს აძლევენ სხვა მოქალაქეებს, იარსებონ შეძლებისამებრ სრულყოფილად. აუდიტორია თვალს ადევნებს მის მსგავსად ჩაცმულ გმირებს, რომლებიც ისეთივე სოციალურ პრობლემებსა და პირობებში ცხოვრობენ. უწევთ მსგავსი ყოველდღიური სირთულეების გადალახვა, უშვებენ შეცდომებს, საუბრობენ მარტივად, ზოგჯერ (გრამატიკული) შეცდომებით თუმცა, მაინც განაგრძობენ იმის კეთებას, რაც შეუძლიათ და როგორც შეუძლიათ.

ასეთი მარტივი ყოფიერების ეკრანისეული ანარეკლი რთული ცხოვრებისეული გამოცდილების ინტერპრეტაციაა. ერთგვარი იმიტაცია, 20 წუთის განმავლობაში გახდე ფილმის მთავარი გმირის გულშემატკივარი, რომელსაც ყველაფერს უზიარებს და რომლისგანაც დაფიქრებულ, გააზრებულ ქმედებას და სხვის შეცდომაზე ნასწავლ, უშეცდომო ნაბიჯებს ელოდება.

**დასკვნა.** სატელევიზიო დოკუმენტალისტიკაზე, როგორც რეალობის ეკრანულ ინტერპრეტირებაზე საუბრისას, მნიშვნელოვანი სწორედ ავტორისეული გადაწყვეტილებით შერჩეული ტექნიკური მახასიათებლებია: ხედი, რაკურსი, მუსიკა, ხმაური, განათება, რესპონდენტისათვის დასმული კითხვა, მონტაჟის სპეციფიკა და ა.შ. ზოგიერთ შემთხვევაში ეს არის ერთგვარი დაკვირვება გარშემო მიმდინარე პროცესებზე. აუდიტორიისათვის, მათ გვერდით, მათივე რეალობაში მიმდინარე მოვლენებისა თუ დღევანდელობაზე გავლენის მქონე წარსული ფაქტების ჩვენება, ნამდვილი ისტორიების მოყოლა, გმირების ემოციების

გაზიარება. ამ ყველაფერს ეკრანი რამდენიმეწუთიან ინტერპრეტაციად აქცევს და ქვეცნობიერში კონკრეტულ შეტყობინებებად ლექავს.

მედიასივრცეში ტრანსფორმირებულმა კინოდოკუმენტალისტიკის ჟანრმა შეუძლებელია შეინარჩუნოს აბსოლუტური „ფაქტობრიობა". მოცმულ მოსაზრებას ადასტურებს თომას ვებერიც, როცა აღნიშნავს, რომ გარკვეული „ფაქტობრივი ჟანრები" არ არიან თვითმყოფადები, ამიტომ ისინი სხვა უფრო მხატვრულ მიმართულებებში მიგრირდებიან, ერწყმიან ან თავად იღებენ ბენეფიტებს მათგან. ამ ფრომით კი ინარჩუნებენ აუდიტორიას, მათ ყურადღებას და ინტერესს.

თანამედროვე დისკურსი სწორედ საზღვრების გაქრობას შეეხება ისეთ ფრომებში, როგორიცაა ჰიბრიდული დოკუმენტალისტიკა, დოკუ-დრამა, ნახევრად დოკუმენტური ფილმი ან დოკუმენტური ჩანახატი. აღნიშნულ პროცესს ხელს სატელევიზიო ფორმატიც უწყობს.

„მედიალანდშაფტის ცვლილება. პროცესის თანმხლები ესთეტიკური ფორმები და ფორმატები ვერ იძლევა (დოკუმენტალისტიკის) განმარტებას ესენციალისტური გაგებით". (Weber, 2013, გვ. 112)

შესაბამისად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ცოცხალი პროცესი ვერ იქნება ფიქსირებული. დინამიკაში მუდმივად ცვალებადი გამოსახვის საშუალებები და მიდგომები დროთა განმავლობაში ცვლის სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის მხოლოდ ფაქტობრივ კონცეფციას და მას რეალობის ავტორისეული ინტერპრეტირების შედეგად აქცევს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ჟვანია გ., 1970, ქართული დოკუმენტური კინო, თბილისი.
2. Entman, R. M. (1993). Framing: Toward Clarification of a Fractured Paradigm. *Journal of Communication*, 51-58.
3. Nicholas, B. (2001). Introduction to documentary. *Indiana University Press*, 99-139.
4. Juel, H. (2006). Defining documentary film. POV A Danish Journal of Film Studies, 22, 5-15.
5. Weber, T. (2013). Documentary film in media transformation. *Inter Disciolines. JOurnal of history and sociology*, 103-126.
6. Футерман, Е. Б. (2010). Современная телевизионная документалистика: особенности журналистскогоконтента. Знак: проблемное поле медиаобразования, (1 (5)), 33-37.
7. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ანგარიში. (2021).„1tv.ge." https://1tv.ge/document/ssip- sazogadoebrivi-mauwyeblis-2021-wlis-angarishi/ (03.03.2023)

# საქმიანი ურთიერთობები ბიზნესში და ეთიკური ნორმები
# Business Relations in Business and Ethical Norms

**მანანა ბანძელაძე,** ფილოსოფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**დარეჯან ჩხიროძე,** ტექნიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ქუთაისის უნივერსიტეტი

**Manana Bandzeladze,** Doctor of Philosophy, Associate Professor,
Akaki Tsereteli State University,
**Darejan Chkhirodze,** Doctor of Technology, Associate Professor
Kutaisi University

**რეზიუმე.** მსოფლიოს ფინანსური განვითარება მართავს ბიზნესის სფეროში პროფესიონალიზმთან ერთად მნიშვნელოვანია ადამიანური ურთიერთობების მართვის ხელოვნება.

საქმიანი ურთიერთობები არ არის ცალსახა სფერო. თითოეული ნიუანსის გათვალისწინება წარმატების საფუძველია. ეს სფერო აერთიანებს სამ ძირითად კომპონენტს: მე, შენ, ის, ურთიერთობებში მთავარია საკუთარი თავის შემეცნება. თითოეულ ცნებაში იგულისხმება ცალკეული საქციელის, შეხედულებების, მიზნების საშუალებების ეთიანობა, რომლებიც თანდათან ყალიბდება კულტურისა და ადამიანის განვითარებასთან ერთად ადამიანი დაკვირვების გზით ცდილობს შეიმეცნოს საკუთარი თავი და მიმართება სხვასთან. კულტურისა და საზოგადოების განვითარებასთან ერთად ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 21–ე საუკუნეში. მეცნიერულ–ტექნიკურმა პროცესმა გადაფარა ძველი, ტრადიციული ღირებულებანი და საჭირო გახდა მათი ჩანაცვლება ახალი ფასეულობებით. სწორედ ამ ეპოქაშია საჭირო მორალური ნორმების წინა პლანზე წამოწევა, განსაკუთრებით ბიზნესში და საქმიან ურთიერთობებში. ეს პროცესი ხელს შეუშლის იმ მცდარი წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც ვინაიდან ბიზნესის განვითარების საბოლოო მიზანი მაქსიმალური მოგებაა, დასაშვებია არამოლარულ ქცევებით.

წარმატების მიღწევის გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანია კომუნიკაციური უნარები და მათი თანდათან დახვეწა. ამ საკითხებს განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ ანთროპოლოგები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები. ყველა ერთხმად თანხმდება, რომ ადამიანების ურთიერთობებში მნიშვნელოვანია ოქროს შუალედი წესის დაცვა და რომ პატიოსანი ბიზნესი გაცილებით მომგებიანია.

**საკვანძო სიტყვები:** საქმიანი ურთიერთობები, ბიზნესი, ღირებულებები, წარმატება

**Resume.** Business relations in business and ethical norms govern the world's financial development, the art of managing human relations is important along with professionalism in business.

Business relationships are not a one-size-fits-all field. Consideration of each nuance is the basis of success. This field combines three basic components: I, you, it, self-knowledge is the most important thing in relationships. Each concept refers to a set of individual behaviors, views, means of goals, which are gradually formed along with the development of culture and man, a person tries to know himself through observation and relation to another. Along with the development of culture and society, this process is especially important in the 21st century. The scientific-technical process overshadowed the old, traditional values and it became necessary to replace them with new values.

It is in this era that it is necessary to bring moral norms to the fore, especially in business and business relations. This process will prevent the misconception that since the ultimate goal of business development is to maximize profits, non-monetary behaviors are permissible.

Communication skills and their gradual improvement are the most important on the way to success. Anthropologists, philosophers, sociologists, psychologists pay special attention to these issues. Everyone unanimously agrees that it is important to follow the golden rule in human relations and that honest business is more profitable.

**Keywords:** Business Relations, Business, Values, Success.

განვითარების დღევანდელ ეტაპზე მსოფლიოს ფინანსური სამყაროს განვითარებას მართავს ბიზნესი, რომლის სრულყოფა ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. არსებობს უამრავი ინსტიტუტი თუ მეცნიერული ლაბორატორიები, რომლებიც სრულყოფენ ბიზნესის განვითარების კანონზომიერებებს. ამ კუთხით ერთ–ერთი მნიშვნელოვანი რგოლი პროფესიონალიზმთან ერთად არის ადამიანური ურთიერთობები, მართვის ხელოვნება. ეს საკითხები თავისებურად განიხილება ისეთ მეცნიერებებში, როგორიცაა: ეთიკა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია და ა.შ.

ბიზნესის სფეროს ერთ–ერთი საუკეთესო წარმომადგენელი როკფელერი წერს, რომ ადამიანური ურთიერთობების უნარი ყველა სიმდიდრეზე მაღლა დგას.

საქმიანი ურთიერთობები არ არის ცალსახა სფერო, იგი აერთიანებს ძალიან ბევრ ფორმას, რომელთაგან თითოეული თავისებურებებით ხასიათდება, თუმცა აქვთ საერთო ნიშნებიც. ცალკეული ნიუანსის გათვალისწინება წარმატების საფუძველია. მიუხედავად მრავალფეროვანი ფორმების საქმიანი ურთიერთობების, ცნება იყოფა ორ ძირითად ნაწილად. ოფიციალური და არაოფიციალური ოფიციალური ურთიერთობების თვისება არის საქმიანი ენა, სიმკაცრე, სამართლებრივ ჩარჩოში ჩასმული ურთიერთობა, რომელიც ზოგჯერ ფორმალიზმითაც გამოირჩევა. თანამედროვე ბიზნესი უპირატესობას ანიჭებს ურთიერთობის, არაოფიციალური სტილი შანსს იძლევა იმისათვის, რომ მოსაუბრეებმა სრულად მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია, იგი ინტერესების გამოწვევის არაჩვეულებრივი საშუალებაა.

საქმიანი ურთიერთობები აერთიანებს სამ ძირითად კომპონენტს – მე, შენ, ის. ურთიერთობაში მთავარია საკუთარი თავის შემეცნება, საკუთარი თავის გააზრება. როგორც ძველი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე აღნიშნავდა „შეიცანი თავი შენი“. სწორედ ეს პროცესია ყოველგვარი სიბრძნისა და წარმატების გარანტი. რა იგულისხმება საქმიან ურთიერთობაში? ეს არის ცალკეული საქციელის, შეხედულებების, მიზნების, საშუალებების ერთიანობა, რომელიც თანდათანობით ყალიბდება კულტურის განვითარებასთან ერთად. საქმიანი ურთიერთობების სრულყოფა რომ მნიშვნელოვანია, ეს ადამიანებმა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში გაიაზრა. სწორედ ამიტომ აკვირდებოდნენ ისინი საკუთარ თავს და ირგვლივ მყოფთ. დაკვირვების გზით ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ პიროვნულ

საიდუმლოებებს და გამოეყენებინათ იგი წარმატებისაკენ მიმავალ ურთულეს გზაზე. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, XXI საუკუნეში, როდესაც ხდება ტრადიციულ ფასეულობათა გადაფასების პროცესი. დღეს თანამედროვე ეპოქაში, ეთიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია და სხვა მეცნიერებები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ დავკარგეთ ყველაზე ღირებული რამ სამყაროში. ესაა ადამიანი. ამ ურთულეს პერიოდში და სხვადასხვა პერიპეტიათა გადაკვეთის გზაზე სწორედ რომ მნიშვნელოვანია ურთიერთობის, ეთიკური ნორმების პიროვნული ზრდისთვის ზრუნვის მომენტების წინ წამოწევა, ადამიანებზე ზემოქმედების უნარის გამომუშავება.

ყველაზე მნიშვნელოვანი კაპიტალი წარმატების მიღწევის გზაზე კომუნიკაბელური უნარებია, რაც ხელს უწყობს მეორე მხარეზე სასიამოვნო შთაბეჭდილების მოხდენას და ნდობის ფაქტორის სრულყოფას სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებაში. ყოველივე ეს საბოლოოდ ფინანსური წინსვლის უპირობო საფუძველია.

ეს საკითხი მნიშვნელოვანია თანამედროვე ანთროპოლოგიასა, ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში. XX საუკუნის 30-იან წლებში, ამერიკელმა სოციოლოგმა ელტონ მეიომ ჩამოაყალიბა თავისებური დოქტრინა „ადამიანური ურთიერთობები“, სადაც პროცესში პრიორიტეტი ენიჭება ფსიქოლოგიურ ფაქტორს.

ფილოსოფოსები, სოციოლოგები თუ ფსიქოლოგები ერთხმად აღიარებენ, რომ თუ თანამედროვე მსოფლიოს განვითარების საფუძველი ბიზნესია, თვითონ ბიზნესის საფუძველი სწორედ რომ ადამიანური ურთიერთობებია. ურთიერთობებში ხაზგასმულია მორალური მხარის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ყველა მხარე ვალდებულია დაიცვას ერთმანეთთან დამოკიდებულებაში ოქროს შუალედის წესი. რატომღაც ზოგიერთი ფიქრობს, რომ ვინაიდან ბიზნესის საბოლოო მიზანი მოგებაზეა ორიენტირებული, არამორალურობაც დაშვებულია. თუმცა, ცხოვრება საპირისპიროს ამტკიცებს. პატიოსანი ბიზნესი გაცილებით მომგებიანია.

ბიზნესზე გავლენას ახდენს საბაზრო ეკონომიკის ულმობელი კანონები. ერთის მხრივ, წარმოიშობა დეპრესია, უიმედობა, უნდობლობა, ტყუილის აუცილებლობა, მეორეს მხრივ, კი, ისევ და ისევ, საბაზრო ეკონომიკა ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების ინდივიდუალიზმს, ინიციატივების გავლენას.

საბაზრო ეკონომიკის, კანონების სწორად რეგულირებას ხელს უწყობს პროფესიული, ეთიკური ნორმების დაცვა. თანამედროვე დასავლური აზროვნების ერთ–ერთი მკვლევარი არტურ რიხი თვლის, რომ ის რაც

სამართლიანია ეკონომიკური თვალსაზრისით, შეიძლება უსამართლოდ ჩაითვალოს ადამიანურ ურთიერთობებში.

სწორი ადამიანთა ურთიერთობების მორალური საფუძველი ყოველთვის იყო მკვლევართა ინტერესის სფერო. მორალური პრინციპებით ინტერესდებოდა ძველი აღმოსავლეთი, ანტიკური საბერძნეთი, ფრანგი განმანათლებლები.

ეკონომიკური ურთიერთობების ერთ–ერთი მთავარი რეგულატორია ეთიკური ნორმები, ზნეობრივი ტენდენციები, სადაც გამოიხატება ადამიანთა საზოგადოების და თვითონ ადამიანის დამოკიდებულება სიკეთესა და ბოროტებასთან, სამართლიანობასა და უსამართლობასთან და სხვა ზნეობრივ კატეგორიებთან.

ხდება ასეც, ადამიანი ცდილობს ზნეობრივად მოქცევას, მაგრამ რეალობა სხვა შედეგს გვაძლევს. ანუ, განსხვავებულია მისი ზნეობრივი შეგნება და ზნეობრივი მოქმედება. ამას განაპირობებს ის, რომ ადამიანს აქვს გარკვეული მატერიალური მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილება ზოგჯერ აუცილებლობით მოითხოვს ზნეობრივი ნორმების დარღვევას. ეს იმით აიხსნება, რომ ზნეობრივი ნორმები მიეკუთვნება „უნდას“, ადამიანს კი გააჩნია „მინდას“ სფერო. სწორედ აქ ხდება შინაგანი კონფლიქტი ღირებულებებსა და პრაქტიკულ რეალობას შორის. თუმცა, აქაც ერთგვარი მორალური შუალედის დაცვაა საჭირო, რაც გამოიწვევს პიროვნების სოციალიზაციას და თვითრეალიზაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქმიან ურთიერთობათა ეთიკა განისაზღვრება ზოგადი ზნეობრივი ნორმებით. აქ რეალური სინამდვილის, ცხოვრების ამოსავალი ცნებებია: სამართლიანობა, ღირებულება, თავისუფლება, პასუხისმგებლობა და ყველა ის ზნეობრივი კატეგორია, რომელიც ზოგად ეთიკაში მოიაზრება. აღმოსავლური აზროვნებიდან მოდის ცნობილი კატეგორიული იმპერატივი, რომლის შინაარსი ადამიანური მორალური ქცევის კრიტერიუმია: „არ გაუკეთო სხვა ადამიანს ის, რასაც არ ისურვებდი შენთვის“. საინტერესოა ასეთი ეთიკური ფრაზაც: „როცა ხელმძღვანელს უყვარს სამართლიანობა, არავინ გაბედავს უსამართლობას“.

დღეს განსაკუთრებით ბევრს საუბრობენ საქმიან ურთიერთობაში და ბიზნესის წარმოების პროცესში ეთიკური ნორმების აუცილებლობაზე. მიუხედავად ამისა, აღმოსავლური აზროვნება, ანტიკური ეპოქა და 21–ე საუკუნის ცნობიერება იმასაც კარგად ამჩნევდა და ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ დღეს ადამიანი ერთგვარი წინააღმდეგობის წინაშეა. იგი იძულებულია იხელმძღვანელოს ზნეობრივი განვითარების იმ პრინციპებით, რასაც მას კარნახობს საბაზრო ეკონომიკა და მის საბოლოო მიზანი – მაქსიმალური მოგება, მეორე მხრივ კი ადამიანი კარგად აცნობიერებს იმას, რომ მას სოციალური პასუხისმგებლობა ეკისრება და

ვალდებულია გაითვალისწინოს ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი ნორმები. ბაზარი კარნახობს ადამიანს: „მოიტყუე და მოიგე“, ამავე დროს მას რელიგიური თუ მორალური ცნობიერება ავალდებულებს ისეთი ცნებების დაცვას, როგორიცაა, არ მოიპარო, არ იცრუო და ა.შ. აი, სწორედ აქ ვლინდება მორალური ცნობიერების წინააღმდეგობრივი ხასიათი. თუმცა, ადამიანი სწორედ ამიტომაა უმაღლესად განვითარებული არსება და ფლობს უმაღლესად განვითარებულ გონს, თვითონვე მოძებნოს გამოსავალს, გააკეთოს არჩევანი სწორად, ჩამოყალიბებულ ღირებულებებსა და მატერიალურ ფასეულობებს შორის.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ამინოვი ი.ი., ერიაშვილი ნ.დ., საქმიანი ურთიერთობების ფსიქოლოგია, თბ., 2009
2. არისტოტელე, დიდი ეთიკა, თბ., 1994
3. ბანძელაძე მ., ბიზნეს ეთიკა, ქუთ., 2009
4. კუკავა თ., ეთიკა, თბ., 2001
5. პოლ ვალერი, სულის კრიზისი, თბ., 1922
6. Ли Якокиа. Карьиера менеджера. М., 1991


# გლობალიზაცია და იდენტობის გამოწვევები თანამედროვე მსოფლიოში
# Globalization and Identity Challenges in the Modern World


**სალომე გიორგაძე**
მოწვეული სპეციალისტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Salome Giorgadze**
Invited specialist - Akaki Tsereteli State University
Doctoral candidate - Technical University of Georgia



**რეზიუმე.** გლობალიზაცია თავისი მასშტაბითა და სპეციფიკით უპრეცედენტო პროცესია კაცობრიობის ისტორიაში. გლობალური მსოფლიო მართლაც ერთ დიდ სახელმწიფოდ იქცევა, სადაც საზღვრები უგულებელყოფილია. უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო აქტუალური ხდება საკითხის მიმართ მსჯელობა. როგორც ყველა მოვლენას, ასევე მასაც გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარე. გლობალიზაციის შიშიც სწორედ ამ ფაქტიდან მოდის - ის ასუსტებს სახელმწიფოების თვითმყოფადობას და იდენტობას. ის არის არა მხოლოდ ახალი ტექნოლოგიები, მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვარი, არამედ მწვავე პრობლემები, რაც ახლებურად აყენებს დღის წესრიგში კაცობრიობის მომავალი ბედის საკითხს, ეროვნული ცნობიერების და საერთოდ ერების თვითმყოფადობის პრობლემას. გლობალიზაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა მოსაზრებები, შეხედულებები და დამოკიდებულებები წინააღმდეგობრივ ჭრილში მიმდინარეობს. საზოგადოების ერთი ნაწილისათვის პოზიტიურად

აღიქმება, (ეკონომიკური წინსვლა/ტექნოლოგიების განვითარება/მატერიალური კეთილდღეობა), მან მეორე მხრივ წარმოქმნა სამართლიანი დებატები და გააჩინა კითხვები, თუ რა ელის მის პირობებში ეროვნულ სახელმწიფოს, ხომ არ დაირღვევა საზოგადოების ერთიანობა და რა ბედი ეწევა ტრადიციულ, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ იდენტობას გლობალურ სამყაროში. კაცობრიობის მიზანი, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოზე დაფუძნებული იდენტობის ლეგიტიმაცია უნდა იყოს, რადგანაც ,,ლეგიტიმირებადი იდენტობა დღეს აწყდება წინააღმდეგობის იდენტობებს, რომლებიც მთელ მსოფლიოში ჩნდება. საზოგადოების ყველა წევრს შეუძლია იდენტიფიცირება - არა მხოლოდ წარსულში, არამედ მომავალში. ეს არის ერთადერთი რამ, რასაც შეუძლია მსოფლიოს გადაარჩინოს ძალაუფლების აპარატებსა და ფუნდამენტალისტურ კომუნებში ცხოვრებისგან.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალიზაცია, იდენტობა, თანამედროვე მსოფლიო, მცირე ერები

**Absract.** Globalization in its scale and specificity is an unprecedented process in the history of mankind. The global world is indeed becoming one big state where borders are ignored. In the last period, discussion about the issue is becoming more and more relevant. Like all events, it also has positive and negative sides. The fear of globalization comes from this very fact - it weakens the individuality and identity of the states. It is not only new technologies, achievements of science and technology, but also acute problems, which puts the question of the future fate of humanity, the problem of national consciousness and the identity of nations in general on the agenda in a new way. Various opinions, views and attitudes related to globalization are in conflict. It is perceived as positive for one part of the society (economic progress / technological development / material well-being), on the other hand, it has created a fair debate and raised questions about what awaits the nation-state under its conditions, will the unity of the society be broken and what will happen to the traditional, centuries-old Formed identity in the global world. Ultimately, the goal of humanity should be to legitimize a state-based identity, because the "legitimating identity" today faces resistance identities that are emerging all over the world. All members of society can identify - not only in the past, but also in the future. It is the only thing that can save the world from living in power-right apparatuses and fundamentalist communes.

**Key Word:** Globalization, Identity, Modern World, Small Nations.

XXI საუკუნის გლობალიზაცია თავისი მასშტაბითა და სპეციფიკით უპრეცედენტო და ერთ-ერთი ძლევამოსილი პროცესია კაცობრიობის ისტორიაში. გლობალური მსოფლიო მართლაც ერთ დიდ სახელმწიფოდ იქცევა, სადაც საზღვრები უგულებელყოფილია. უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო აქტუალური ხდება საკითხის მიმართ მსჯელობა. როგორც ყველა მოვლენას, ასევე მასაც გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარე. გლობალიზაციის შიშიც სწორედ ამ ფაქტიდან მოდის - ის ასუსტებს სახელმწიფოების თვითმყოფადობას და იდენტობას. ის არის არა მხოლოდ ახალი ტექნოლოგიები, მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვარი, არამედ მწვავე პრობლემები, რაც ახლებურად აყენებს დღის წესრიგში კაცობრიობის მომავალი ბედის საკითხს, ეროვნული ცნობიერების და საერთოდ ერების თვითმყოფადობის პრობლემას.

გლობალიზაციამ დააქვეითა ეროვნული სახელმწიფოს როლი, როგორც კოლექტიური იდენტიფიკაციის ძირითადი კონტეინერი და გახსნა სივრცე ახალი ტრანსნაციონალური, უნივერსალური, კოსმოპოლიტური

მიჯაჭვულობის შესაქმნელად. ,,იდენტობა ერთ-ერთი ყველაზე ხშირად შესწავლილი კონსტრუქტია სოციალურ მეცნიერებებში“.[32] გლობალიზაცია მრავალ გამოწვევას უქმნის ეროვნულ იდენტობას. ეს არის ორი პარალელური პროცესი. ,,XXI საუკუნემ, დადგომის პირველი დღეებიდანვე, ახალი ძალით, ფართო მასშტაბით წარმოაჩინა გლობალიზაციის პროცესის არა უბრალოდ მიმდინარეობა, არამედ ძლიერთა არნახული ძალისხმევა მისი საყოველთაოდ გატარებისთვის“. [33]

გლობალურ სამყაროში ეროვნული საზღვრები იშლება, მსოფლიო მიდის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ენობრივი ერთიანობისაკენ. ბუნებრივია, ასეთი რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენი არაერთმნიშვნელოვნად აღიქმება საზოგადოების მიერ და იწვევს სამართლიან დებატებს. [34] აქედან გამომდინარე, რთულია შეინარჩუნო იდენტობა და პარალელურად ინტეგრაცია შეძლო ისეთ ქვეყნებთან, რომელთა ღირებულებები და მიდგომები შენსას უპირისპირდება. ეროვნული იდენტობა სწორედ სოციალური იდენტობის ერთ-ერთი ფორმაა. მისი საკვანძო ობიექტი არის ერი. ეს არის ,,კოლექტიური“ იდენტობა, რომელიც უკავშირდება ეროვნულ ცნობიერებას და იდენტიფიცირდება ერთან. [35]

გლობალიზაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა მოსაზრებები, შეხედულებები და დამოკიდებულებები წინააღმდეგობრივ ჭრილში მიმდინარეობს. საზოგადოების ერთი ნაწილისათვის პოზიტიურად აღიქმება, (ეკონომიკური წინსვლა / ტექნოლოგიების განვითარება / მატერიალური კეთილდღეობა), მან მეორე მხრივ წარმოქმნა სამართლიანი დებატები და გააჩინა კითხვები, თუ რა ელის მის პირობებში ეროვნულ სახელმწიფოს? ხომ არ დაირღვევა საზოგადოების ერთიანობა და რა ბედი ეწევა ტრადიციულ, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ იდენტობას გლობალურ სამყაროში? დღეს, როცა გარკვეულწილად ხდება იდენტობის დამახინჯება, მისი ჩამოყალიბების პროცესი სოციალიზაციის საკმაოდ რთულ მექანიზმებს მოიცავს. იდენტობის კონცეფციის ისტორიული ევოლუციის ფარგლებში, არსებობს ორი საერთო, მაგრამ საპირისპირო შეხედულება, თუ რას ნიშნავს იდენტობა და რისგან შედგება.

---

[32] Rogers Brubaker and Frederick Cooper Source: Theory and Society, Vol. 29, No. 1 (Feb., 2000), pp. 1-47

[33] რ. მეტრეველი, ,გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები, გვ 476

[34] ლ. ოსიძე, - გლობალიზაცია და ეროვნული იდეოლოგია საქართველოში, სტატია, თბ., 2012 (უკანასკნ. ნანახია 01.06.2022)

[35] ,,ქართული ეროვნული იდენტობა, კონფლიქტი და ინტეგრაცია“, დ. ბოგიშვილი, ი. ოსეფაშვილი, ე. გავაშელიშვილი, ნ. გუგუშვილი, თბ., 2016, გვ 395).

სახელმწიფოები მრავალი წელია თავიანთი მოქალაქეების იდენტიფიცირების საკითხს განიხილავს და საბოლოოდ შეაჯერეს აზრი, რომ იდენტიფიკაციის უნივერსალური მეთოდი არ არსებობს, რადგანაც თითოეულ ერს, ქვეყანას, დიდსა თუ პატარას გააჩნია თავიანთი ინდივიდუალური თავისებურებანი. გლობალიზაციისა და იდენტობის გამოწვევებში ადამიანებს ხშირ შემთხვევაში ავიწყდებათ თავიანთი წარმომავლობა, ტრადიციები, ადათ-წესები, რომელთა არსებობა მნიშვნელოვანია თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. პროგრესისა და ინტეგრაციის მიუხედავად, ტრადიციები არ უნდა უგულვებელვყოთ, რადგან მათი დავიწყება ნიშნავს, რომ ვივიწყებთ ჩვენს იდენტობას.

დღევანდელი მსოფლიო შორსაა სამუდამო მშვიდობის ეპოქიდან, განსაკუთრებით გახშირებული ტერორისტული შემოტევების და დღემდე მსოფლიოში მიმდინარე მწვავე პროცესების ფონზე, მაგრამ ლიბერალური თეორიის პრინციპი იგივე რჩება: ,,მოდერნიზაცია განაპირობებს პროგრესს ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროში და აფართოებს ასპარეზს თანამშრომლობისათვის. პასუხგასაცემი მხოლოდ ის რჩება, რა ხარისხის მოდერნიზაცია და პროგრესია საჭირო იმისათვის, რომ მსოფლიო მშვიდობიანი გახდეს“. [36]

ერებს შორის (ტექნოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ა.შ.) დამოკიდებულების ზრდის მიუხედავად, გლობალიზაციამ დღემდე ვერ შეძლო საერთო იდენტობის ფორმირება. უკანასკნელ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა საკითხზე მსჯელობა კვლავ გააქტიურა. უახლოეს წარსულში იდენტობის დაცვამ წარმოშვა დაპირისპირება განსხვავებულ ჯგუფებს შორის, რომლებსაც გარკვეული თანაცხოვრების გამოცდილება გააჩნიათ, თუმცა მეტნაკლებად აქვთ ის მახასიათებლები, რაც მათ ერთმანეთისგან განასხვავებთ ან აერთიანებთ. (სერბებისა და ხორვატების შემთხვევაში, რომლებიც იზიარებენ საერთო ენასა და კულტურას, ხოლო რელიგია და ისტორიული გამოცდილება განსხვავებული აქვთ, პოლიტიკური ძალები დროის გარკვეულ მონაკვეთში აკეთებდნენ აქცენტს მსგავსებებზე, მათი ერთიან ერად ჩამოყალიბების მიზნით, ხოლო სხვა დროს მათი განსხვავებების ხაზგასმით ანტაგონისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობდნენ ხელს.) ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იდენტობის საზღვრებისა და პრიორიტეტების რეკონსტრუქციაში, ისევე როგორც კონფლიქტური იდენტობის ფორმირებაში, განსაკუთრებული ადგილი ისტორიულ ნარატივებს უჭირავს. თუ გავიხსენებთ მრავალწლიანი დაპირისპირების წარმატებით მოგვარების ისეთ შემთხვევებს, როგორიცაა საფრანგეთ-გერმანიის, ებრაელების და გერმანელების, ჩრდილოეთ

---

[36] ე. აკობია, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, თბ., 2016, გვ 34

ირლანდიელების კონფრონტაციას, უფრო მეტად მყარდება მოსაზრება იმის შესახებ, რომ იდენტობის გამოწვევებს გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. კონფლიქტური იდენტობა, კოლექტიური ნარატივების დაძლევის გარეშე იქნება დაუსრულებელი პროცესი. დაპირისპირებულ მხარეებს შორის ნდობის აღდგენა და მათი შერიგება უზრუნველყოფს მხარეთა ურთიერთობების გრძელვადიან დარეგულირებას, პირველ რიგში საჭიროებს იდენტობის ისეთ რეკონსტრუქციას, რომ მათ შეძლონ ერთმანეთის მოთხოვნების ლეგიტიმურობა თავიანთი იდენტობის ნაწილი გახადონ. [37]

გლობალიზაციასა და იდენტობებს შორის მუდმივი კამათი, უადგილო შეტაკება არაერთხელ მთავრდება არასასურველ კონფლიქტებსა და დაპირისპირებებში. ამ დროს არ არსებობს კონფლიქტის მოგვარების წარმატებული ფაქტორი, რომელიც განათლებაზე უკეთ განავითარებს იდენტობის კონცეფციას. **განათლება არ არის მხოლოდ საგანმანათლებლო აქტი; ეს არის პირველი რიგის პოლიტიკური ქმედება.** ნებისმიერ საზოგადოებაში საგანმანათლებლო პოლიტიკა ასახავს მის პოლიტიკურ სისტემას. ის სერიოზული სოციალური ძალაა, რომელსაც იყენებს საზოგადოება ან სახელმწიფო, რათა მიაღწიოს მიკუთვნებულობისა და ლოიალობის გაზრდის მიზნებს და გააძლიეროს საზოგადოების წევრების იდენტობის კონცეფცია.[38] ,,დემოკრატიის, განათლებისა და სკოლის, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტის, ურთიერთკავშირის შესახებ სამეცნიერო დისკუსია საუკუნეზე მეტი ხნისაა. როგორც თეორიის, ისე პრაქტიკული გამოცდილების დონეზე, დემოკრატიის სკოლა უპირატესობით სარგებლობს. აღნიშნულს დღეს უფრო თვალსაჩინოს ხდის დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების იდეის ფართოდ გავრცელება მსოფლიოში, რადგანაც ჯანსაღი დემოკრატია ვითარდება მხოლოდ სამოქალაქო, თვითმმართველ საზოგადოებებში და ეს ტენდენცია გლობალურია“.[39] ნებისმიერ დროს, გლობალიზაციასა და იდენტობების გამოწვევებზე განათლებას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების წევრებს შორის იდენტობის ხელშეწყობაზე, რომლის ზოგიერთი ფუნქცია მოიცავს 1) ცოდნის გავრცელება, იდენტობის ხელშეწყობა და სოციალური ინტელექტუალური ტენდენციების განვითარება. 2) სწორი დემოკრატიის დამყარება, რაც მეტია ადამიანური სწავლა, მით მეტია

---

[37] თ. ურუშაძე, სტატია, „ჩვენ“ და „სხვები“ - იდენტობის როლი კონფლიქტებში, 2013 http://socium.ge/index.php/component/content/article/12-socium/57-coming-soon (უკანასკნ. ნანახია 19.11.2022)

[38] Attia, Mohamed Abdel Raouf, Education and the Crisis of Cultural Identity (2009), Taiba Foundation for Publishing and Distribution, Cairo, Egypt, p. 51

[39] ს. ფანჩულიძე, ,,დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური შეხედულებები“, ქუთაისი 2021

თავისუფლება, რადგან განათლება ათავისუფლებს ადამიანს მონობისა და უმეცრების ჯაჭვებისგან. გერმანელი თეორეტიკოსი, ნიკლას ლუმანი, ავითარებდა თავის აღწერას თანამედროვე საზოგადოების შესახებ [40] და აინტერესებდა, როგორ ქმნიდნენ ერთიანობას თანამედროვე საზოგადოების დიფერენცირებული ინსტიტუტები - ეკონომიკა, პოლიტიკა, მეცნიერება, სამართალი, განათლება, ხელოვნება, რელიგია. ლუმანი არ იყო კმაყოფილი მხოლოდ იმით, რომ აღიარებდა თანამედროვე საზოგადოებებში შრომის დახვეწილი დანაწილების არსებობას, რომელიც სავარაუდოდ ერთმანეთთან არის დაკავშირებული ეროვნული სოლიდარობით, საერთო ღირებულებებით, ეკონომიკური აუცილებლობით ან პოლიტიკური ჰეგემონიით.[41]

თანამედროვე მსოფლიო დიდი გამოცდის წინაშე აყენებს ადამიანებს, საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპი ვრცელდება კულტურაზეც: „იქ სადაც ჩნდება ვაკუუმი, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა, ჩნდება საქონელიც", ამდენად, ჩვენი მოვალეობაა თვითგანვითარებაზე ზრუნვა და არა იზოლაციონიზმისკენ მოწოდება.[42] გლობალური წარმოება სწორედ ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგია, სადაც უამრავი საწარმოს მართვა და კონტროლი აღარ ხორციელდება მონოტორულად ერთი ცენტრიდან და გადანაწილებულია მთელ მსოფლიოში. ოდითგანვე, მრავალი სახელმწიფო იყო ლიბერალიზაციისა და გლობალიზაციის მთავარი აგენტი, რომლებმაც გარკვეულწილად დაივიწყეს წარმომადგენლობისა და პოლიტიკური ლეგიტიმაციის ისტორიული საფუძველი.

იდენტობის გამოწვევებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით დიდსა და პატარა სახელმწიფოების დამოკიდებულებებს მიგრაციულ საკითხებზე. იმიგრაციის მატებასთან ერთად, მრავალი ქვეყანა აწყდება ეროვნული იდენტობის ფორმირებისა და ემიგრანტების დაბინავების გამოწვევებს. ზოგიერთი ქვეყანა უფრო ინკლუზიურია იმ ემიგრანტების წახალისების თვალსაზრისით, რომ განავითარონ თავიანთი მასპინძელი ქვეყნის კუთვნილების გრძნობა. მაგალითად, კანადას აქვს მუდმივი იმიგრაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მსოფლიოში, სადაც მთავრობა მოუწოდებს ემიგრანტებს ჩამოაყალიბონ კანადისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა და ხელი შეუწყო ეროვნული იდენტობის უფრო ინკლუზიურ კონცეფციას, რომელიც მოიცავს როგორც კანადაში დაბადებულ ადამიანებს, ასევე

---

[40] Luhmann, Niklas. 1982. The Differentiation of Society. New York: Columbia University Press.1995. Social Systems. Stanford, CA: Stanford University Press

[41] Beyer and Lori Beaman, Religion, Globalization and Culture, BOSTON 2007

[42] გ. აბდალაძე, ,მოდერნიზაციის პროცესი საქართველოში (სემიულ ჰანთინგთონის თეორიის ფონზე) რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, შრომები ქუთაისი 2009, გვ. 6

ემიგრანტებს.[43] ზოგიერთი ქვეყანა ნაკლებად ინკლუზიურია. მაგალითად, რუსეთმა განიცადა იმიგრაციული ნაკადის ორი ძირითადი ტალღა, ერთი 1990-იან წლებში და მეორე 1998 წლის შემდეგ. ემიგრანტებს რუსი ხალხი უარყოფითად აღიქვამდა და მათ განიხილავდა, როგორც ,,არასასურველ და მომალადე სტუმრებს". პატარა ქვეყნებიდან აღსანიშნავია - ისლანდია, რომელიც ზევრისთვის სამაგალითოა. თუ ისლანდიელი საზღვარგარეთ სასწავლებლად ან სამკურნალოდ მიემგზავრება, აუცილებლად ბრუნდება სამშობლოში. ქვეყნის მცხოვრებლების მხოლოდ 12%-ია საზღვარგარეთ დაბადებული, ნახევარი მათგანი - პოლონელია.[44] ისლანდიის კეთილ-დღეობის მაჩვენებლები საუკეთესო ცხოვრების ინდექსის რეიტინგში უამრავ სხვა ქვეყანაზე მაღალია. საქართველო, როგორც მცირე ერი-სახელმწიფო, იდენტური გამოწვევების კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებას განაპირობებდა სხვადასხვა გარემო ფაქტორი - ერთის მხრივ, ლოკალურად განვითარებული მოვლენები, მეორეს მხრივ, უცხო კულტურიდან შემოსული გავლენები, რომლებიც გარდაისახებოდა და ავთენტურად ყალიბდებოდა ქართულ რეალობაში. ამ გავლენების, ღია ურთიერთობების, გარე სამყაროსთან მუდმივი კავშირის სურვილი განპირობებული იყო ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობით, რაც ისტორიულად ქვეყანაში აღმოსავლური და დასავლური გავლენების შერწყმით აისახა სხვადასხვა დარგში. იზოლაციის ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც საბჭოთა რეჟიმის დამკვიდრებით გადაიტანა საქართველომ, ბევრი წინააღმდეგობის, დაბრკოლებისა და სავალალო შედეგის გათვალისწინებით, უპირველესად, ამ პროცესის შემაფერხებელ ფაქტორად განიხილება. ინფორმაციული ვაკუუმი იყო ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, რომლის გადაჭრის ქაოსური და არასტაბილური გზების ძიება მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფებისთვის აუცილებელ, გარდაუვალ რეალობად იქცა „რკინის ფარდის" რღვევის, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე. განსაკუთრებით დადებითად აისახა ეს ქართული ხელოვნების განვითარებასა და დამკვიდრების ფაზაში. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოღვაწე საზოგადოება, ინტეგრაციას აუცილებელ პროცესად მოიაზრებს, მით უმეტეს დღევანდელი გლობალიზაციის ეპოქაში.

---

[43] დე ზავალა, აგნიესკა; ჩიჩოკა, ალექსანდრა (2012). პრობლემები სოციალური ფსიქოლოგია: ჯგუფთაშორისი კონტექსტი . პალგრევი მაკმილანი. გვ. 102–104

[44] დ. ზაქარაია, ისლანდია - პატარა ქვეყანა, საიდანაც მიგრაცია არ ხდება, სტატია, 2016 https://www.bpn.ge/article/24801-kartuli-cvenebit-pineti-da-amerika-dainteresda (უკანასკნ. ნანახია 18.12.2022)

კულტურულად იმდენად მრავალფეროვან საზოგადოებაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, პოლიტიკური ვალდებულებებისათვის რაიმე ცალსახა საფუძვლის შექმნა საეჭვოა. პოლიტიკური ვალდებულების, ლეგიტი-მურობისა და ხელისუფლების კარგად გააზრებული თეორია უბრალო და ფორმალური უნდა იყოს. აქ უნდა რჩებოდეს საკმარისი სივრცე, რათა იგი შეივსოს კონკრეტული კულტურული ტრადიციებიდან გამომდინარე განსხვავებული ზნეობრივი მოთხოვნებით.[45] გლობალიზაცია არის უნივერსალური მოვლენა, რომელიც ქმნის ასიმილირების საფრთხეებს და უნდა იზიარებდეს დასავლური კულტურის მიმღებლობას და პარალელურად საკუთარი იდენტობის შენარჩუნებას, ფასეულობების სიღრმისეულ გადააზრებასა და სიფრთხილეს.

კაცობრიობის მიზანი, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოზე დაფუძნებული იდენტობის ლეგიტიმაცია უნდა იყოს, რადგანაც ,,ლეგიტიმირებადი იდენტობა დღეს აწყდება წინააღმდეგობის იდენტობებს, რომლებიც მთელ მსოფლიოში ჩნდება. საზოგადოების ყველა წევრს შეუძლია იდენტიფიცირება - არა მხოლოდ წარსულში, არამედ მომავალში. ეს არის ერთადერთი რამ, რასაც შეუძლია მსოფლიოს გადაარჩინოს ძალაუფლების აპარატებსა და ფუნდამენტალისტურ კომუნებში ცხოვრებისგან“.[46] გლობალიზაციის პირობებში იდენტობის განცდას უდიდესი წვლილი შეაქვს როგორც საზოგადოებრივ, ასევე სახელმწიფოთა ურთიერთობების დაახ-ლოებასა და გაძლიერებაში.

ამრიგად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ XXI საუკუნის გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემა შეუძლებელია მოვლენათა სწორი გააზრების გარეშე. ერთი რამ კი დანამდვილებით შეგვიძლია განვაცხადოთ: თანამედროვე მსოფლიო გამოწვევებმა ნათლად დაგვანახა, რომ გლობალიზაციის, როგორც მოვლენის, იზოლირება შეუძლებელია.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Rogers Brubaker and Frederick Cooper Source: Theory and Society, Vol. 29, No. 1 (Feb., 2000), pp. 1-47


---

[45] მ. მაცაბერიძე, ,პოლიტიკური თეორია, თბ., 2014 https://elearning.tsu.ge/pluginfile.php/291502/mod_resource/content/1/Oxsford-Teoria-2014.pdf (უკანასკნ. ნანახია 17.11.2022)

[46] Manuel Castells, Globalisation and Identity https://www.iemed.org/wp-content/uploads/2010/08/Globalisation-and-Identity.pdf (უკანასკნ. ნანახია 20.11.2022)

2. რ. მეტრეველი, ,გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები, გვ 476
3. ლ. ოსიძე, - გლობალიზაცია და ეროვნული იდეოლოგია საქართველოში, სტატია, თბ., 2012 (უკანასკნ. ნანახია 01.06.2022)
4. ,,ქართული ეროვნული იდენტობა, კონფლიქტი და ინტეგრაცია“, დ. ბოგიშვილი, ი. ოსეფაშვილი, ე. გავაშელიშვილი, ნ. გუგუშვილი, თბ., 2016, გვ 395).
5. ე. აკობია, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, თბ., 2016, გვ 34
6. თ. ურუშაძე, სტატია, „ჩვენ“ და „სხვები“ - იდენტობის როლი კონფლიქტებში, 2013 http://socium.ge/index.php/component/content/article/12-socium/57-coming-soon (უკანასკნ. ნანახია 19.11.2022)
7. Attia, Mohamed Abdel Raouf, Education and the Crisis of Cultural Identity (2009), Taiba Foundation for Publishing and Distribution, Cairo, Egypt, p. 51
8. ს. ფანჩულიძე, ,,დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური შეხედულებები“, ქუთაისი 2021
9. Luhmann, Niklas. 1982. The Differentiation of Society. New York: Columbia University Press.1995. Social Systems. Stanford, CA: Stanford University Press
10. Beyer and Lori Beaman, Religion, Globalization and Culture, BOSTON 2007
11. გ. აბდალაძე, ,მოდერნიზაციის პროცესი საქართველოში (სემიულ ჰანთინგთონის თეორიის ფონზე) რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, შრომები ქუთაისი 2009, გვ. 6
12. დე ზავალა, აგნიესკა; ჩიჩოკა, ალექსანდრა (2012). პრობლემები სოციალური ფსიქოლოგია: ჯგუფთაშორისი კონტექსტი . პალგრევი მაკმილანი. გვ. 102–104
13. დ. ზაქარაია, ისლანდია - პატარა ქვეყანა, საიდანაც მიგრაცია არ ხდება, სტატია, 2016
14. https://www.bpn.ge/article/24801-kartuli-cvenebit-pineti-da-amerika-dainteresda (უკანასკნ. ნანახია 18.12.2022)
15. მ. მაცაბერიძე, ,პოლიტიკური თეორია, თბ., 2014 https://elearning.tsu.ge/pluginfile.php/291502/mod_resource/content/1/Oxsford-Teoria-2014.pdf (უკანასკნ. ნანახია 17.11.2022)
16. Manuel Castells, Globalisation and Identity https://www.iemed.org/wp-content/uploads/2010/08/Globalisation-and-Identity.pdf (უკანასკნ. ნანახია 20.11.2022)

# მსოფლიო ბანკის საქმიანობის შეფასება საქართველოში
# Assessment of the World Bank's activities in Georgia

**ლაშა გაბისონია** - დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Lasha Gabisonia** – PhD student,
Georgian Technical University

**რეზიუმე.** მსოფლიო ბანკის საქმიანობის პოლიტიკისა და შედეგების კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. იმისათვის, რომ ამაღლდეს და რეალურ შედეგებზე ორიენტირებული გახდეს მსოფლიო ბანკის მიერ გაწეული სხვადასხვა ტიპის დახმარებები და კრედიტები, საჭიროა სამთავრობო თუ არასამთავრობო დონეზე, ბიზნესის თუ სამოქალაქო საზოგადოების ასპექტით შეჯერდეს ერთი მხრივ, მსოფლიო ბანკის და მეორე მხრივ, კონკრეტული ქვეყნის პრიორიტეტები.
მსოფლიო ბანკის შედეგების შეფასება ხდება სტატისტიკურ მონაცმებზე დაყრდნობით და თვითონ მსოფლიო ბანკის ყოველწლიური ანგარიშებიდან. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის მზამობა მსოფლიო ბანკის კონკრეტულ პროექტებზე, რამდენად ეფექტურად იქნება გამოყენებული მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი კრედიტები ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** მსოფლიო ბანკი, მსოფლიო ბანკის ჯგუფი, ეკონომიკური ზრდია,  მთლიანი შიდა პროდუქტი, CPF  ქვეყნის პარტნიორობის ჩარჩო, PLR შესრულებისა და სწავლის მიმოხილვა.

**Resume.** A study of the policies and results of the activities of the World Bank, It is especially important for Georgia. In order to increase and focus on real results the various types of aid and credits provided by the World Bank, it is necessary to reconcile the priorities of the World Bank on the one hand and the priorities of a specific country on the other hand, at the governmental or non-governmental level, from the perspective of business or civil society.
The results of the World Bank are evaluated based on statistical data and from the annual reports of the World Bank itself. The most important factor is the readiness of the country for specific projects of the World Bank, how effectively the long-term credits of the World Bank will be used for the economic growth of the country.

**Keywords:** World Bank , World Bank Group, Economic Growth, Financial assistance. Gross Domestic Product, CPF- Country Partnership Framework, PLR Performance and Learning Review.

**შესავალი:** COVID-19-ის პანდემიამ მძიმედ დაარტყა საქართველოს 2020 წელს, ბოლო პერიოდში განხორციელებულმა პოლიტიკამ, ასევე ეკომომიკური და სოციალური მხარდაჭერის პროგრამებით, რომელიც განხორციელდა მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების

მხარდაჭერით, მოსალოდნელზე უფრო სწრაფად გააუმჯობესა ქვეყნის მდგომარეობა.

საქართველოსთვის, მსოფლიო ბანკი თავისი საქმიანობიდან და მისიიდან გამომდინარე, მიზანმიმართულია დაეხმაროს საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, სოციალური მომსახურების გაუმჯობესებაში და გარემოს დაცვაში. ამ მიზნით იგი ახორციელებს ქვეყნის ფინანსურ დახმარებას, ანალიზსა და კონსულტაციებს, ხოლო მის პრიორიტეტულ სფეროებს განეკუთვნება: ინფრასტრუქტურა, განათლება და ეკონომიკური რეფორმა.

**ძირითადი ტექსტი:** 2020 წლის ეკონომიკურმა შოკმა ასევე მოახდინა ზეწოლა საგარეო ანგარიშებზე. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი თითქმის გაორმაგდა და მიაღწია მშპ-ს 12,4 პროცენტს 2020 წელს. ის კვლავ მაღალი იყო 2021 წლის პირველ კვარტალში, რაც გამოწვეული იყო მომსახურების სუსტი ექსპორტით, რადგან საზღვრების დახურვა ზიანს აყენებს ტურიზმს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2021 წლის მესამე კვარტალში შემცირდა, რადგან ტურიზმის შემოსავლების აღდგენამ ანაზღაურა საქონლის სავაჭრო დეფიციტის ზრდა. დეფიციტი მხოლოდ ნაწილობრივ დაფინანსდა წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით და პორტფელის ინვესტიციებით (დაფინანსების საჭიროების 23 პროცენტი), ხოლო საქართველოს მთავრობის უფრო მაღალმა სესხებმა დაფარა დანარჩენი და მხარი დაუჭირა რეზერვების დაგროვებას. 2021 წლის დეკემბრის ბოლოს 4,3 მილიარდი აშშ დოლარი იყო, რეზერვები მოიცავდა 4,5 თვის საქონლისა და მომსახურების იმპორტს[47].

მსოფლიო ბანკი გაეროს (UN) საეთაშორისო ფინანსური და სპეციალიზებული ინსიტუტია, რომლის მიზანია მსოფლიოში ცხოვრების დონის ამაღლება და სიღარიბის დაძლევა, რასაც ის ახორციელებს კრედიტების გაცემით განვითარებად სახელმწიფოებზე.[48]

IBRD-ის დაკრედიტების პორტფელი, რომელიც შეფასებულია მთლიანი ვალდებულებების მიხედვით, გაიზარდა. 2022 წლის 11 აპრილის

---

[47] მსოფლიო ბანკის ანგარიში N: 166148-GE
https://documents1.worldbank.org/curated/en/964541652556740638/pdf/Georgia-Performance-and-Learning-Review-of-the-Country-Partnership-Framework-for-the-Period-FY19-FY22.pdf

[48] მსოფლიო ბანკი - გლობალური ფინანსური შუამავალი სსფ-ის ჩრდილში. ვეფხია სამსონიძე. #8(212), 2017.http://aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=10&mas=3183&fbclid=IwAR2NGmSVVOENC_d0bMHdyyDjo hrnO4sfrXvnm3A_9zRIgnHvLXi572Ub8

მდგომარეობით,პორტფელი მოიცავს 14 საკრედიტო ოპერაციას, საერთო ჯამში 1.42 მილიარდი აშშ დოლარი,CPF-მ დაამტკიცა 709 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. პორტფელი მნიშვნელოვნად დივერსიფიცირებულია, რაც ასახავს CPF-ის სტრატეგიულ გადასვლას ინფრასტრუქტურისთვის მძიმე პროგრამიდან უფრო დაბალანსებულ პროგრამაზე, რომელიც შეესაბამება CPF-ის მიზნებს. ამჟამად, ადამიანური განვითარება შეადგენს პორტფელის 43 პროცენტს, განსხვავებით ნულიდან CPF დამტკიცებისას.

**სურათი 1: IBRD-ის საკრედიტო პორტფელის შემადგენლობა CPF და PLR-ის დროს, მსოფლიო ბანკის გლობალური პრაქტიკის ჯგუფის მიერ**




Note: FCI = Finance, Competitiveness, and Innovation; MTI = Macroeconomics, Trade, and Investment; HNP = Health, Nutrition and Population.
წყარო: მსოფლიო ბანკი

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის COVID-19-ზე რეაგირების მცდელობებისთვის იყო სწრაფი. განხორციელდა სამი ახალი COVID-19 საპასუხო დაკრედიტების ოპერაცია და არსებული პორტფელი მორგებული იქნა COVID-19-ით გამოწვეული მოწყვლადობის უკეთ გამოსასწორებლად. მთლიანობაში, მსოფლიო ბანკმა მოახდინა 266.3 მილიონი აშშ დოლარის მობილიზება IBRD-ის დაფინანსებისთვის და 150 მილიონი აშშ დოლარის თანადაფინანსებისთვის, 180 მილიონი ევროს პარალელურად განვითარების პარტნიორებისგან საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემების გასაძლიერებლად; მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSMEs) მხარდაჭერად, სამუშაო

ადგილების შენარჩუნებისთვის; საბიუჯეტო მხარდაჭერა კაპიტალის გასამლიერებლად, ვაქცინების შეძენასა და დანერგვისათვის.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი საქართველოში, რომლის შედეგად მივიღეთ შემდეგი მიღწევები: აშენდა 7 ახალი სკოლა, რომლებშიც 4,150 მოსწავლე სწავლობს და 300-ზე მეტი მასწავლებელი მუშაობს; სამედიცინო დარგის, დაახლოებით, 1800-მა მუშაკმა სპეციალური მომზადება გაიარა და ოჯახის ექიმი გახდა; ამბროლაურში 25-საწოლიანი საავადმყოფო აშენდა; გორში პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრი გაიხსნა, რომელიც, დაახლოებით, 69,000 ბენეფიციარს ემსახურება; მიზნობრივი სოციალური დახმარების სქემამ 408,367 ბენეფიციარი მოიცვა; გაფართოვდა გადასახადების ელექტრონულად დეკლარირების სისტემა და ა.შ. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის მხრიდან მიღებული კრედიტები უზრუნველყოფდეს ქვეყნის კეთილდღეობას და ეკომომიკურ სტაბილურობას.

**დასკვნა** თანამედროვე სამყაროში განვითარებადი ქვეყანის არსებობა წარმოუდგენელია საერთაშორისო ინსტიტუტების ხელშეწყობის გარეშე, თუმცა მნიშვნელოვანია დაფინანსების მიღებისას სწორად შეირჩეს კონკრეტული ქვეყნისათვის და ქვეყნის ეკონომიკისათვის მტკივნეული ადგილები, რომ შეთავახზებული კრედიტები მხოლოდ ვალად არ დააწვეს ქვეყანას და მან მოუტანოს ეფექტურობა ქვეყნის ეკონომიკას.

საქართველო ისწრაფვის გახდეს ვაჭრობისა და ლოჯისტიკის, ენერგეტიკის, ინოვაციებისა და ტურიზმის რეგიონალური ჰაბი. მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის ჯგუფის მხრიდან მიღებული დაფინანსებები და რეკომენდაციები თანხვედრაში იყოს ჩვენი ქვეყნის პრობლემებთან და სოციალური თუ ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას შეუწყოს ხელი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. აბაშიშვილი. გ, „საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გამოწვევები განვითარებადი ქვეყნების მთავრობებთან და ბიზნესთან მიმართებაში“ თბილისი-2013წ;
2. ბერუაშვილი.შ, „საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფაში“, თბილისი-2019წ;

3. გაბისონია. ლ, „მსოფლიო ბანკის და მისი ჯგუფის საქმიანობის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე“, ჟურნალი ეკონომიკა და ფინანსები, გვ. 230-237 ბაქო 2020.
4. ვეშაპიძე. შ, „ეკონომიკის საფუძვლები“, 266 გვ, თბილისი-2015წ;
5. მოსიაშვილი. ვ, ბერუაშვილი. შ, ,,მსოფლიო ბანკის ჯგუფის ფინანსური დახმარებების გავლენა დაბალგანვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე'', ჟურნალი: ,,ბიზნეს-ინჟინერინგი'', გვ.,92-97# 1. თბ., 2015;
6. ნოზაძე. მ, „საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტურობა საქართველოში“ გორი-2020წ;
7. https://www.worldbank.org/en/country/georgia/publication/georgia-country-partnership-framework-2019-2022 უკანასკნელად გადამოწმდა - 25.02.2023.
8. https://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/country/g/georgia/GEO.pdf უკანასკნელად გადამოწმდა - 01.03.2023.
9. https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/32436/9781464814402.pdf უკანასკნელად გადამოწმდა -04.03.2023.
10. https://openscience.ge/bitstream/1/369/1/samagistro%20shotadze.pdf უკანასკნელად გადამოწმდა - 13.03.2023.
11. https://1tv.ge/news/msoflio-bankis-prognozit-2022-2023-wlebshi-saqartvelos-ekonomika-5-55-procentit-gaizrdeba/ უკანასკნელად გადამოწმდა - 23.02.2023.
12. https://idfi.ge/ge/world_governance_indicators%E2%80%93georgia_in_the_world_bank_ranking_2020 უკანასკნელად გადამოწმდა -18.03.2023.
13. https://www.worldbank.org/en/country/georgia უკანასკნელად გადამოწმდა - 25.02.2023.

## 2022 წლის ეკონომიკური ანალიზი
## Economic Analysis of the 2022 Year

**ბექარ კილასონია** - დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Bekar kilasonia** – PhD student,
Georgian Technical University

მოგეხსენებათ, რომ ქვეყნის სიძლიერე დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად ძლიერ ეკონომიკას ფლობს. ძლიერი ეკონომიკა ძლიერი ქვეყნის საწინდარია. ეკონომიკური სიძლიერით კი შესაძლებელია დასახული ამოცანების რეალიზება. ეკონომიკაში ეკონომიკური მაჩვენებლები მეტწილად გვაწვდიან ინფორმაცია ამა თუ იმ დარგების თუ ქვედარგების

საქმიანობის სურათზე. მაჩვენებლების მიხედვით ვახდენთ არსებული სურათის ანალიზს. საქართველოს 2022 წლის არსებული მონაცემებით ცალსახად შესაძლებელია ითქვას, რომ ეკონიმიკური ზრდა სახეზეა. პანდემიური შოკების, შემდგომ, რომელიც არა მარტო ჩენი ქვეყნის არამედ მსოფლიოს გამოწვევა იყო, დაგვანახა თუ სადამდე შეიძლება მიიყვანოს ქვეყანა ეკონომიკურმა კრიზისმა. ეს ის კრიზისია როდესაც უამრავი დარგი თუ ქვედარგი, ვერ ახორციელებენ სრულ ფორმულირებას, რესურსების ჯეროვან გამოყენებას და ეკონომიკური დოვლათის შექმნას.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოში **მთლიანი შიდა პროდუქტი** 2022 წელს 71.8 მილიარდი ლარით განისაზღვრა, წინა წლის ანალოგიურ მონაცემებს თუ დავუკვირდებით მშპ გაზრდილია 16,4% გაიზარდა. 2021 მშპ შეადგენდა 60 მილიარდი. 2022 წლის IV კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მიმდინარე ფასებში 20 563.0 მლნ. ლარს გაუტოლდა, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 9.7 პროცენტი შეადგინა. მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის პროცენტული ცვლილება 2022 წლის IV კვარტალში 10.0 პროცენტით განისაზღვრა. 2022 წლის მეოთხე კვარტალში, ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: მშენებლობა (33.2 პროცენტი), ინფორმაცია და კომუნიკაცია (60.9 პროცენტი), საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (13.1 პროცენტი), ტრანსპორტი და დასაწყობება (27.9 პროცენტი), ხელოვნება, გართობა და დასვენება (16.8 პროცენტი) და დამამუშავებელი მრეწველობა (5.0 პროცენტი). კლება აღინიშნა შემდეგ დარგებში: უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (-8.7 პროცენტი), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (-8.8 პროცენტი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (-2.8 პროცენტი) და პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (-5.2 პროცენტი). მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა ვაჭრობა (16.7 პროცენტი). პანდემიური პერიოდის გავლის შემდეგ მართალია ჩენი ქვეყნის მშპ ნელ ნელა განაგძობს ზრდას თუმცა ეს არ არის საკმარისი იმგამოწვევების საპასუხოდ რაც არსებობს ჩვენს ქვეყანაში. წინასწარი შეფასებით, 2023 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 5.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო

იანვარითებერვლის საშუალო მაჩვენებელი 7.1 პროცენტია.[49] რაც შეეხება მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე, მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), განისაზღვრა 6671 აშშ დოლარის ოდენობით, რაც წინა წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით გაზრდილია თითქმის 25%-ით. ეს ზრდა გამოწვეული იყო არა მატო ეკონომიკური ზრდით არამედ დემოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარეც. ამ პერიოდში სიკვდილიანობის მაჩვენებელი ბევრად უფრო მეტიი იყო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

2022 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში -0.3 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 9.8 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2022 წლის დეკემბერში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 6.8 პროცენტით განისაზღვრა. ტრანსპორტის ჯგუფში ფასები შემცირდა 2.7 პროცენტით, რაც -0.31 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსზე. სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 0.4 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.13 პროცენტული პუნქტით აისახა. საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 0.8 პროცენტიანი მატება, რაც 0.09 პროცენტული პუნქტით აისახა თვის ინფლაციაზე. ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 1.2 პროცენტიანი მატება, რაც 0.08 პროცენტული პუნქტით აისახა თვის ინფლაციაზე. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 16.3 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 5.41 პროცენტული პუნქტით აისახა. საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 15.8 პროცენტიანი მატება, რაც 1.58 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინფლაციაზე. ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 5.5 პროცენტით, რაც 0.64 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ინფლაციასთან ერთად აუცილებელია ბოლო პერიოდში ეროვნული ვალუტის გამყარების ტენდენციაზეც

[49] https://www.geostat.ge/ka საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვისაუბროთ. 2022 წლის მონაცემებიდან ცალსახად დავინახავთ იმას, რომ ეროვნული ვალუტა მაისიდან მოყოლებული ნელ-ნელა მყარდებოდა. ეს გამყარება გამოწვეული იყო მსოფლიოში მომხდარი სხვადასხვა მოვლენებით. უპირველესი კი მეზობელ სახელმწიფოში არსებული სიტუაციით. ამ პერიოდში უცხოური ვალუტის შემოდინებებმა მიაღწია პიკურ ნიშნებს ბოლო წლებთან შედარებით. 2022 წლის იანვარში ფულადი გზავნილების სახით ევროკავშირიდან 168 მილიონი დოლარი გზავნილი განხორციელდა ჯამში 12,7% -ით მეტი წინა ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. რუსეთის ფედერაციიდან კი 22,38 მილიონი, კლება -3,43 ით. რაც შეეხება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემებს რაც არ უნდა საკვირველი იყო შემდეგი ნიშნულით განხორციელდა 2023 წლის იანვრის მონაცემებით ევროკავშირი 444,96 ზრდა 163,5 %, ხოლო 2022-2023 რუსეთის ფედერაცია 267,2 მილიონი დოლარი 1099% ზრდა. [50] სწორედ ეს გახლდათ ერთ-ერთი საწინდარი ეროვნული ვალუტის გამყარებისა. რაც შეეხება უმუშევრობას და დასაქმებულთა ხელფასებს. 2021 წლის მონაცემებით 316.2 ათასი ადამიანი იყო უმუშევარი. რაც შეხება 22 წლის ანალოგიურ მონაცემებს 267.9 ათასი ადამიანი, დაახლოებით 48,3 ათასი ადამიანით შემცირდა უმუშევართა რიცხვი 18%. ეს მონაცემი ცალსახად არ გვაძლევ იმის თქმის შესამლებლობას, ასეთი მზარდი დასაქმება მეტყველებს ან წარმოების ზრდაზე ან ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე. ამ დროისათვის ემიგრანტთა რაოდენობას თუ გადავხედავთ შეინიშნება ზრდა შესაბამისაც შესაძლებელია სამუშაო ადგილების შევსება მოხდა უმუშევართა რიცხვიდან . თუმცა პანდემიური პერიოდის მერე ეკონომიკის წინსვლა უმუშევრობის დონეზეც საგრძნობი გავლენა მოახდინა. რაც შეეხება დასაქმებულთა ხელფასებს 2022 წლის საშუალო თვიური ხელფასი მე-4 კვარტაში განისაზღვრა 1411 ლარით. ზრდა 22,4%-ით, ხოლო მამაკაცები 2123 ლარით, ზრდა 23 %-ით. ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციულ ტექნოლოგიებში , ხოლო ყველაზე დაბალი რაც არ უნდა სამწუხაროდ ჟღერდეს განათლება, წყალმომარაგება, სოფლის მეურნეობა, თევზჭერა.

[50] https://nbg.gov.ge/ საქართელოს ეროვნული ბანკი

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2022 წელს 2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2021 წლის დაზუსტებულ მონაცემებს 61.1 პროცენტით აღემატება.[51] ზრდა განპირობებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორი კომპონენტის - სააქციო კაპიტალისა და რეინვესტიციის მაჩვენებლის გაზრდით. რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილებას კომპონენტების მიხედვით, სააქციო კაპიტალის მოცულობამ 686.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის დაზუსტებულ მაჩვენებელს 3.3-ჯერ აღემატება. რეინვესტიციის მოცულობა გაზრდილია 1.7-ჯერ და შეადგენს 1 289 მლნ. დოლარს. რაც შეეხება საქონლის საგარეო ვაჭრობა 2022 წელს ბრუნვა დაახლოებით 19 მლნ-ს გაუტოლდა, აქედან დაახლოებით 5.5 მლნ ექსპორტი, ხოლო 13.5 მლნ იმპორტი. სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით მაინც იმპორტზე ვართ დამოკიდებული და ეს რიცხვებშიც აშკარაა. 2022 წელს ტოპ 3 ექსპორტიორი ქვეყნები შემდეგნაირად გადანაწილდა: ჩინეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი. იმპორტიორი თურქეთი, რუსეთი, ჩინეთი. რაც შეეხება 2023 წლის იანვრის მონაცემებით სახეცვლილია შემდეგი ფორმით: ტოპ ექსპორტიორი ქვეყნები, რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი. იმპორტიორი რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი. რაც შეეხება ქვეყნის საგარეო ვალს 39 მილიარდამდე განისაზღვრა. [52]ნუ ყველაზე მეტი ხვედრითი წილი 2020-21 წლებში დაფიქსირდა სადაც საგარეო ვალის პროცენტულმა რაოდენობამ მშპ დასაშვებ რაოდენობას გაუტოლდა დ გადააჭარბა. შეჯამებისათვის არსებული მონაცემები ცალსახად ცხადყოფს, რომ ეკონომიკური მაჩვენებლები რიგ სექტორებში განიცდიან მატებას, თუმცა მთლიანი სურათის შესაქმნელად ეს არა საკმარისი. აუცილებელია ყველა სექტორში გვქონდეს დადებითი ტენდენცია ზრდის მაჩვენებელში. შედეგად ქვეყნის ეკონომიკას ექნება შესაძლებლობა პასუხი გასცეს რიგ გამოწვევებსა და პრობლემებს. ძლიერი ეკონომიკა ძლიერი ქვეყნის საწინდარია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. https://www.geostat.ge/ka საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. https://www.economy.ge/ ეკონომიკის სამინისტრო
3. https://nbg.gov.ge/ საქართველოს ეროვნული ბანკი
4. https://mof.ge/saxelmwifo_valis_statistika ფინანსთა სამინისტრო


[51] https://mof.ge/saxelmwifo_valis_statistika ფინანსთა სამინისტრო

[52] https://www.economy.ge/ ეკონომიკის სამინისტრო

# საქართველოს ეროვნული ბანკის ციფრული ვალუტის პერსპექტივები
# Digital Currency Prospects of the National Bank of Georgia

**ნანა ხარაიშვილი,** ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
**მონიკა არაბოვა,** ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი

**Nana Kharaishvili,** Institute of Economic Research and Development
**Monika Arabova,** Institute of Economic Research and Development

**ანოტაცია.** ნაშრომში მითითებულია, საქართველოს ფულად ერთეულს „ლარს“ საკმაოდ რთული და საინტერესო ისტორია გააჩნია და რომ ციფრული ლარის გამოშვებაზე მსჯელობა უშუალოდ ლარის ქაღალდური ერთეულიდან, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებადი და სახელმწიფოს აქტივებით უზრუნველყოფილ „ახალ ფულად ერთეულზე - ციფრულ კრიპტოლარზე“ გადასვლის სახით მიმდინარეობს. ქვეყანაში ეროვნული ფულადი ერთეულის მიმოქცევაში გაშვება მკაცრად უნდა იქნას გაკონტროლებული ეროვნული ბანკის მიერ და ზომიერად გაუკონტროლობამ, მისი ჭარბად მიმოქცევა და გაუფასურება გამოიწვია. „ახალი ეროვნული ციფრული კრიპტოლარის“ გამოშვება თავისდროულად მიგვაჩნია, თუმცა ქვეყანაში აუცილებლად უნდა იქნას განმტკიცებული მონეტარული და ფისკალური პოლიტის მარეგულირებელი სახელისუფლებო სტრუქტურა. ჩამოყალიბებულია რიგი აქტუალური საკითხები, რომლებიც ქვეყანაში კონვერტირებადი ეროვნული ფულადი ერთეულის განმტკიცების საწინდარი გახდება.

**საკვანძო სიტყვები:** ფულადი აქტივები, სავალუტო კურსი, ელექტრონული ფული, ფულის გადამგზავნი, ბიტკოინი.

**Annotation:** The paper indicates that the Georgian monetary unit "Lari" has a rather complex and interesting history and that the discussion on the issue of the digital Lari is taking place directly from the paper unit of the Lari, to the "new monetary unit - digital cryptolar" issued by the National Bank of Georgia and secured by the state's assets. The circulation of the national monetary unit in the country should be strictly controlled by the National Bank, and moderate lack of control led to its excessive circulation and devaluation. We consider the release of the "New National Digital Cryptocurrency" to be timely, however, the governmental structure regulating monetary and fiscal policy must be strengthened in the country. A number of current issues have been formulated, which will become the basis for the strengthening of the national convertible monetary unit in the country.

**Key Words:** Monetary Assets (Cash), Rate Of Exchange, Electr0nic Cash, Money Transmitters, Bitcoin.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თავის ვებ გვერდზე 2021 წლის 29 აპრილს (ელექტრონული მისამართი: innovationoffice@nbg.gov.ge) სიახლის სახით გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **„ეროვნული ბანკის ციფრული ლარის პროექტზე თანამშრომლობისათვის იწვევს ფინტექ კომპანიას“**. მასში აღნიშულია: საქართველოს ეროვნული ბანკის მანდატი ფინანსებისა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაა. **ციფრული ტექნოლოგიების** განვითარებამ ცენტრალური ბანკის ფულის განვითარების და ლარის ციფრული ვერსიის შექმნის აუცილებლობა გამოკვეთა, რათა ის უკეთ

მოერგოს ციფრულ ეკონომიკას და გაზარდოს ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობა.

საქართველოს ეროვნული ბანკი, ახალი ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობისათვის, საგადახდო სისტემის ეფექტიანობისა და ფინანსური ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით, **ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის (CBDC) გამოშვებას განიხილავს, იგი ცენტრაულური ბანკის ვალდებულებაა და მას გადახდის საშუალების სტატუსი ექნება.**

ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტას (CBDC) გააჩნია პოტენციალი მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს ინოვაციურ ბიზნსს მოდელებს, რასაც ასევე დიდი გავლენა ექნება საზოგადოების კეთილდღეობაზე. მისი გამოშვებით შესაძლებელი იქნება გაიზარდოს ფინანსური შუამავლობის ეფექტიანობა, დაჩქარდეს ახალი ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვა, ხელი შეუწყოს ფინანსურ ჩართულობას. ასევე შესაძლებელია გაიზარდოს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა და ხელი შეუწყოს ლარიზაციის პროცესს.

ეროვნული ბანკის ციფრული ვალუტა შესაძლოა მნიშვნელოვანი ინდტრუმენტი გახდეს ფინანსური ეკოსისტემისათვის და საკმაოდ დიდი გავლენა იქონიოს კერძო ინოვაციების და ახალი ფინანსური ტექნოლოგიების შქმნაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ჩართულობა ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების, ინტერფეისის დიზაინის, მომხმარებელთა მართვის, ახალი ციფრული ინოვაციური ტექნოლოგიების, ინფრასტრუქტურის შექმნის, რეგულაციებთან თავისუფლების და მონაცემთა მართვაში.

საკმაოდ საყურადღებოდ გვესახება საქართველოს ეროვნული ვალუტის - ლარის განმტკიცების ნებისმიერი პრობლემატიკის მიმოხილვა, ამდენად აღნიშნულთან დაკავსირებით ევროკავშირის ბლოკჩეინისა და ხელოვნური ინტელექტის მრჩეველის და მკვლევარის ლევან ბოკაშვილის თვალსაზრისი საკმაოდ აქტუალურს წარმოადგენს. აღნიშნულია, რომ ბოლო ორი-ორწლინახევრის განმავლობაში ბევრი ქვეყნის ეროვნული ბაკკები და ასევე საერთაშორისო ბანკები უკვე აქტიურად მუშაობენ ციფრული ვალუტების საკითხზე (მალტა, ლუქსემბურგი, ლიხტენშტაინი, სამხრეთ კორეა, ჩინეთი და სხვა). საქართველო ერთ-ერთი ის ბოლო ქვეყანაა, რიმელსაც ჯერ-ჯერობით არ აქვს გადაწყვეტილი ეროვნული ბანკის მიერ კრიპტოვალარის გამოშვება და იგი სებ-ის ერთ-ერთი მოტივაციაცაა ციფრული ვალუტის გამოშვების თაობაზე.

**ციფრული ვალუტის გამოშვების კიდევ ერთი მოტივსორი ის არის, რომ თუ მას სწორად გამოუშვებენ, ეკონომიკის ბევრი სექტორისათვის ეს ფასების სტაბილურობას მოუტანს. სამომხმარებლო ფასები კატასტროფულად იზრდება, ეროვნული ვალუტის - ლარის დევალვაცია გრძელდება, ქვეყანა**

**მნიშვნელოვან-წილად დამოკიდებულია იმპორტზე, ხოლო რეალური ეკონომიკური საფუძველი ამ პროცესების შესაჩერებლად არ არსებობს. ამიტომ სტაბილური ციფრული ვალუტა ჩვენთვის შესაძლოა იყოს ამ რთული ვითარებიდან ყველაზე ეფექტური გამოსავალი.**

ბოლო ერთი წელიწადია, რაც კრიპტოვალუტამ (ბიტკოინი, ეთერუმი და სხვა) შძლო სახელმწიფოების ხელში კონცენტრირებული ფინანსური რესურსების დეცენტრალიზაცია.მაგალითად, თუ **დღეს სახელმწიფოს ფინანსური ძალაუფლება კონცენტრირებულია მის ეროვნულ ბანკში და ის ადგენს თამაშის წესებს, კრიპტოვალუტის სწრაფმა განვითარებამ ის მოიტანა, რომ სახელმწიფო კარგავს გავლენას ამ სფეროზე. შსაბამისად, ეს პროცესი რაღაცნაირად რომ შეაჩეროს და ფინანსური მართვის საფუძვლები დაიბრუნოს, ბევრი ქვეყნის ცენტრალურმა ბანკებმა დაიწყეს** (ქვეყნის აქტივებით უზრუნველყოფილი) **ციფრული ვალუტის გამოშევება.** სხვათა შორის, **პატარა ქვეყნებმა ეს უფრო ადრეც, ხუთი-ექვსი წლის წინ დაიწყეს, რადგან ნაციონალურ კრიპტოვალუტებში დიდი საინვესტიციო პოტენციალი დაინახეს.** ქვეყნებს, რომლებსაც კონკრეტული უპირატესობები და დამატებითი ეკონომიკური სიძლიერე არ ჰქონდათ, საკუთარი ციფრული ვალუტის შექმნამ საინვესტიციო მიმზიდველობა შესძინა. ამის მაგალითია მალტა, რომელმაცნაციონალური ციფრული ვალუტის კანონმდებლობის მიღებიდანექვს თვეში 1,8 მილიარდი დოპარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მიიღო.

განვიხილოთ მარტივი მაგალითი და ავიღოთ ელექტრონული გადახდების სისტემა. ნებისმიერი გადახდა, რომელსაც დღეს მომხმარებლები ახორციელებენ, მიბმულია საკომისიო მომსახურებასთან. ყველაფერი, რასაც ვიხდით, იქნება კომუნალური გადასახადები, ჯარიმები, სხვადასხვა სერვისის საფასური და სხვა, დაკავშირებულია საკომისიოსთან, რომელიც სხვადასხვა შემთხვევაში 0,50-დან 1,50 ლარამდე მერყეობს. ეს ნიშნავს, რომ დაახლოებით 600 – 700 მილიონი ლარი ყოველწლიურად მოსახლეობის ჯიბიდან ამოდის და მიდის მომსახურე ბანკებში. ციფრული ვალუტა საშუალებას იძლევა პირდაპირ გადაიხადო შუამავლის, ანუ ბანკის გარეშე. მაგალითად, თითოეული მოსახლეობისათვის შესაძლრბლობის არსებობისას პირდაპირ ელექტროენერგიის მომწოდებელ კომპანიას გადაუხადოს გადასახადი ციფრული ლარი ბანკის გარეშე, ნიშნავს, რომ აღნიშნული გამოათავისუფლებს 6-- - 700 მილიონს და მოსახლეობაში დარჩება, რაც სამომხმარებლო ბაზრისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი გახდება.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ უნაღდო ანგარიშსწორება და ციფრული კრიპტოვალუტა სხვადასხვა რამეა. უნაღდო ანგარიშსწორებას ჩვენ ახლაც ვიყენებთ, როცა, მაგალითად, ონლაინგადახდებით

ვსარგებლობთ. ის, **რაც განაცხადა ეროვნულმა ბანკმა, არის კრპტოლარი, რომელიც დამყარებულია ბლოკჩეინ-ტექნოლოგიაზე, სმარტკონტრაქტებზე და შესაბამის პარამეტრებზე, რომლებსაც ეროვნული ბანკი განსაზღვრავს და აკონტროლებს.**

ტექნოლოგიურად ამ ვალუტის შექმნა პრობლემა არ არის და არც რთული პროცესია, მთავარია მისი ლიკვიდურობა როგორი იქნება და მოსახლეობისათვის რამდენად კომფორტული იქნება. თუ ციფრული ლარი არ იქნება გადახდის საშუალება ყველგან, მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული ელექტრონულ გადახდებში მაინც. **საინტერესოა ასევე, რით იქნება უზრუნველყოფილი საქართველოს ციფრული ვალუტა? შესაძლოა მისი უზრუნველყოფა მოხდეს სახელმწიფო აქტივებით** (თუმცა დღეს ლარი, და ნებისმიერი სხვა ქვეყნების ვალუტები ხომ ქვეყნის აქტივებითაა უზრუნველყოფილები), **მაგალითად, სახელმწიფოს ხელში არსებული მიწებით.** ეს საშუალებას მისცემს საქართველოს ეკონომიკას, მისი ახალი ციფრული ვალუტა აღარ იყოს მიბმული დოლარზე ან ევროზე, საქართველოს სახელმწიფო აქტივით იყოს უზრუნველყოფილი, ან სხვა აქტივით, სახელმწიფო მოიფიქრებს. სწორედ ასე უნდა გაკეთდეს, თუ არ გვინდა ჩვენი ციფრული ვალუტა სადმე, რომელიმე კომპიუტერულ ფაილში დაილექოს და ვერაფერში გამოვიყენოთ.

**საინტერესოა, როგორ მოხდება კრიპტოლარის ღირებულების განსზღვრა? ერთი კრიპტოლარი ერთი რეალური ლარის ტოლფასი იქნება? და თუ არც დოლარსა და არც ევროზე იქნება მიბმული, როგორ განისაზღვრება მისი გაცვლითი კურსი, როგორ დაადგენენ კონკრეტულ დროში კონკრეტულ ფასს?**

ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტები ე.წ. სტაბილური კოინებია. ხოლო, მაგალითად, ისეთი კრიპტოვალუტები, როგორიც არის ბიტკოინი, ეთერიუმი და სხვა, არ არის სტაბილური ვალუტები, რადგან არ არიან რაიმე აქტივით გამყარებული და მათი ლიკვიდობა მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდებით განისაზღვრება. ციფრული ვალუტები კი, რომელსაც ეროვნული ბანკები უშვებენ, სტაბილურია, რაც ნიშნავს, რომ მიბმულია კონკრეტულ უზრუნველყოფის ერთეულზე. ასეთი კრიპტოვალუტის უპირატესობა რეალურ ფინანსურ ინსტრუმენტებთან ის არის, რომ არ არის დამოკიდებული კონკრეტულ ეკონომიკურ ეფექტზე.

**თუ ლარი უფასურდება, კრიპტოვალუტა არ უფასურდება. კრიპტოვალუტა შესაძლოა ძალიან ფლუქტუაციურია, ცვალებადია,მაგრამ საერთო ჯამში ის ვერ უფასურდება იმაზე ნაკლებად, ვიდრე მისი პირველადი ფასია, მაშინ როცა ლარი, მაგალითად, შესაძლოა კუპონს დაემსგავსოს და მის პირველად ნომინაციას ჩამოსცილდეს.**

ამიტომ ეს უპირატესობა არსებობს (თუმცა რის ხარჯზე ჯერ-ჯერობით მაინც გაიგებარია, რამდენადავ ლარიც და კროპტოლარის დღეს ქვეყნის აქტივებით იქნება უზრუნველყოფილი) და ახლა მთავარია გავიგოთ თუ რით იქნება კრიპტოლარი უზრუნველყოფილი. მხოლოდ ელექტრონული გადახდის საშუალებაც რომ იყოს, ესეც კარგია, რადგან, სულ მცირე, იმ თაანხებს დავზოგავთ, რისი გადახდაც საკომისიოს შემთხვევაში გვიწევს და რომელიც დღეს ბანკის საფულეში მიდის (თუმცა, ჩვენი მოსაზრებით, მხოლოდ ამისათვის ახალი ციფრული ლარის გამოშვება არ უნდა იყოს აუცილებელი, რამდენადაც კომუნალური საკომისიოების გაუქმება ეროვნული ბანკის დადგენილებითაც არის შესაძლებელი).

**კრიპტოლარის შემოღება და გადახდის მექანიზმად მისი გამოყენება რეალურ ლარს დაეხმარება თუ შესაძლოა კიდევ უფრპ მეტად შეუწყოს ხელი მის გაუფასურებას?**

აღნიშნულთან დაკავშირებით მითითებულია, რომ მომდევნო წლებში ლარი, ფაქტობრივად, ფარატინა ქაღალდი იქნება, რასაც სწორედ ეს ციფრული ლარი და კრიპტოვალუტები უზრუნველყოფ (თუმცა მოსაზრება ბოლომდე არ არის არგუმენტირებული, რამდენადაც ლარი და კრიპტოლარიც ქვეყნის აქტივებით იქნება უზრუნველყოფილი და ამდელად ლარი რატომ გახდება ფარატინა ქაღალდი გაუგებარია).

კრიპტოვალუტას წლის ბოლომდე ყველა წვეყანა შემოიღებს. „ვიზა" და „მასტერქარდი" გადავიდნენ უკვე კრიპტოვალუტაზე. რევოლუცია მიმდინარეობს ფაქტობრივად მსოფლიო ეკონომიკაში და იმისათვის, რომ ჩვენი კრიპტოლარიც არ დარჩეს ისეთ არამოთხოვნად ვალუტად საერთაშორისო ბაზრებზე, როგორც დღეს ლარია, ამას მუშაობა სჭირდება. თუ იგი ბევრ სექტორში იქნება გამოყენებული, განსაკუთრებით სტაბილურ სექტორებში, როგორიცაა, მაგალითად, მონოპოლიური სექტორები, ენერგეტიკა, სახელმწიფო სერვისები და ა.შ., მას ლიკვიდობა აუცილებლად ექნება და ორ-სამ წელიწადში ხალხი კრიპტოლარს უფრო გამოიყენებს, ვიდრე ჩვეულებტივ ლარს.

რამდენიმე წელიწადში ქაღალდის ფული უსარგებლო გახდება. უპირველესად კი სუსტი ვალუტები, როგორიც, მაგალითად, ჩვენი ეროვნული ლარია. მნიშვნელოვანია რა რაოდენობის კრიპტოლარის გამოშვებას განსაზღვრავს ეროვნული ბანკი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამას დამატებითი საკანონმდებლო რეგულაციების შემოღება დასჭირდება.

ეროვნული ბანკის კრიპტოვალუტა იმითაც არის განსხვავებული სხვა კრიპტოებისაგან, რომ ეროვნული ბანკის ხელშია თუ რამდენს გამოუშვებს. მაგალითად, ჩინეთმა, 2 მილიარდი ერთეული კრიპტოვალუტა გამოუშვა და თავიდან 100-100 ათასი ცალი დაურიგა შანხაის მოსახლეობას, რათა

ლიკვიდობა გაჩენილიყო. ჩვენმა ეროვნულმა ბანკმა მსგავსი რან უნდა გააკეთოს. მან უნდა შექმნას ბაზა, რათა ამ ვალუტამ მოძრაობა დაიწყოს, მოსახლეობას გაუჩინოს შესაძლებლობა და ინტერესი, რომ კრიპტოლარით აწარმოონ გადახდები. ამ პროცესში ეროვნული ბანკი ყველა შემთხვევაში მარეგულირებლად დარჩება. მთელი გლობალური საგადახდო სისტემები კრიპტოვალუტაზე გადადის, შესაბამისად, გამონაკლისი ვერც საქართველო იქნება.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია შემდეგი სახის დასკვნის გაკეთება:

1. აღნიშნულია, რომ ციფრული ლარის გამოშვებაზე მსჯელობა უშუალოდ ლარის ქაღალდური ერთეულიდან, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებადი და სახელმწიფოს აქტივებით უზრუნველყოფილ „ახალ ფულად ერთეულზე - ციფრულ კრიპტოლარზე“ გადასვლად არის მიჩნეული.
2. მითითებულია, რომ „ახალი ეროვნული ციფრული კრიპტოლარის“ გამოშვებაზე ფიქრი თავისდროულად მიგვაჩნია, თუმცა ქვეყანაში აუცილებლად უნდა იქნას განმტკიცებული მონეტარული და ფისკალური პოლიტის მარეგულირებელი სახელისუფლებო სტრუქტურა, რომელიც განახორციელებს საქართველოს მთავრობაში (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებთან ერთად), მეოთხე - „ფულადი ხელისუფლების“ უფლებამოსილებებს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქვეყანაში ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის განხორციელებაზე და სრულყოფაზე;
3. შეთავაზებულია, რომ უნდა იქნას სრულყოფილი „ქვეყანაში საჭირო ფულადი მასის გაანგარიშების“ ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ირვინგ ფიშერის ფორმულა [M = (Q x P) / V] , რომელიც ერთიარუსიანი საბანკო სისტემის მოქმედების პერიოდისათვის იყო დადგენილი და დღეს ორიარისიანი საბანკო სისტემის არსებობის პირობებში, კომერციული ბანკების (ასევე სხვა არასაბანკო-საფინანსო დაწესებულების) მიერ თითოეული კრედიტის გაცემისას, მათ მიერაც ახალი უნაღდო ფულადი მასის გამოშვებაც ხორციელდება და მიმოქცევაში საკმაოდ ჭარბი ფულადი მასა მიმოიქცევა;
4. ჩამოყალიბებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ აუცილებლობას წარმოადგენს საბანკო და ნებისმიერ სხვა ბიზნესზე ერთდროულად მოქმედი რისკების ურთიერთზემოქმედების ფენომების გამოვლენა და მსგავსად წლიური ინფლაციის ტემპის გაანგარიშების (თუ თვიური ინფლაცია არის 9%, მაშინ წლიური ინფლაცია 9 x 12 = 108-ის ტოლი კი არა, არამედ 182%-ია) და თვიური გადასახდელი საკრედიტო პროცენტის კვარტალურზე გადაანგარიშების (თუ გადასახდელი თვიური საკრედიტო

პროცენტი 2% ტოლია, კვარტალური იქნება არა 2 x 3 = 6%, არამედ 8,2%-ია) ფორმულების მსგავსად, რისკების ურთიერთზემოქმედების ფაქტორის გამათვალისწინებელი რეალური რისკის სიდიდის გაანგარიშების ფორმულის ჩამოყალიბა, რაც დღეს მოქმედი ნორმატივების, სულ მცირე, 35%-ით გამკაცრებას და ბანკის უსაფრთხოების განმტკიცებას უზრუნველყოფს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. https://www.nbg.gov.ge/bankjournal/index.php?m=115&blog_id=79
2. https://dergipark.org.tr/en/pub/kdeniz/issue/48671/573640
3. http://eprints.tsu.ge/1457/
4. https://www.researchgate.net/profile/Shapan-Majumder/publication/354249108_2021_CEO_Proceedings_Book_Ready_to_Publish/links/612e579438818c2eaf72d485/2021-CEO-Proceedings-Book-Ready-to-Publish.pdf#page=179
5. https://www.ceeol.com/search/article-detail?id=813287
6. https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95
7. https://ijsser.org/2022files/ijsser_07__203.pdf
8. https://www.loc.gov/law/help/cryptocurrency/canada.php


# თანამედროვე მიდგომები დისტანციური საბანკო მომსახურების პირობებში
# Modern Approaches to Remote Banking Services


**თორნიკე სელუმაშვილი,** ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
**ტარიელ (ტატო) ჯოხაძე,** ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი

**Tornike Selumashvili,** Institute of Economic Research and Development
**Tariel (Tato) Jokhadze,** Institute of Economic Research and Development



**ანოტაცია.** ნაშრომში მითითებულია, რომ საბანკო მომსახურეობების უმნისვნელოვანეს თავისებურებას მათი „მწარმოებლური" ხასიათი წარმოადგენს და ისეთ უმარტივეს ფორმაში, როგორიცაა მოსახლეობიდან და საწარმოდან მათი ფულადი სახსრების ანაბრებში მიღება, „უდიდესი სამეწარმეო აზრია ჩაქსოვებული". აღნიშნულია, რომ ბანკი დეპოზიტური მომსახურეობის განხორციელებით, „არამომუშავე" და გამოუყენებელ ფულად რესურსებს გარდაქმნის „მუშა" აქტივებში. ტოლი ხარისხით აღნიშნული ასევე ეხება საწარმოებისათვის და ორგანიზაციებისათვის თავიანთი საწარმოო და ფინანსური საქმიანობის განვითარებაზე მიწოდებულ „კრედიტებსაც". ასე თუ ისე თავიანთი კლიენტების სამეურნეო საქმიანობის მომსახურებით საბანკო ოპერაციები წარმოების განვითარებას და დაჩქარებას უწყობენ ხელს. შეთავაზებულია, რომ ავტორისეული მოსაზრების მიხედვით, ახალი საბანკო პროდუქტი - არის ახალი საბანკო მომსახურეობის ან მათი კომპლექსის არატრადიციული ხერხით ან ინოვაციური ტექნოლოგიის გამოყენებით მიწოდებადი რეგლამენტის შემადგენელი ორგანიზაციული,

ტექნიკური, ტექნოლოგიური, ფინანსური, ინფორმაციული და იურიდიული პროცედურების დოკუმენტალურად გაფორმებული და მოწესრიგებული ერთობლიობა.

**საკვანძო სიტყვები:** ფინანსური აქტივები, ინოვაციური ინვესტირება, საბანკო კრედიტი, ვალის მომსახურება, ინვესტიციის უკუგებადობა.

**Annotation.** The paper indicates that the most distinctive feature of banking services is their "productive" character, and in the simplest form, such as receiving cash from the population and enterprises in deposits, "the greatest entrepreneurial sense is woven". It is noted that by providing deposit services, the bank transforms "non-working" and unused monetary resources into "working" assets. To the same degree, the mentioned also refers to the "credits" provided to enterprises and organizations for the development of their production and financial activities. In one way or another, by serving the economic activities of their clients, banking operations contribute to the development and acceleration of production. It is proposed that, according to the author's opinion, a new banking product is a documented and ordered set of organizational, technical, technological, financial, informational and legal procedures constituting the regulations for providing new banking services or their complex in an unconventional way or using innovative technology.

**Key Words:** Financial Assets, Innovation Investment, Bank Advance, Bebt Servise, Pauback Of Investmemt.

ბანკების მიერ მიწოდებადი მომსახურეობების კლასიფიცირებისას, მიუხედავად განხილვადი სფეროს და მათი გამოყენების გარემოებების მნიშვნელოვნად დავიწროებისა, მკვლევარი ეჯახება სიძნელეებს, რომლებიც მომსახურეობების კლასიფიცირების დროსაც საერთოდ როგორც საქონელის არამატერიალურ ერთ-ერთ ნაირსახეობზებას ემსგავსება. კლასიფიკაციის საფუძველში შეიძლება ჩადებული იქნას თვისებები, რომლებიც ბანკისა და კლიენტის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხობრივი ნიშან-თვისებების მახასიათებლებია, ამასთან მომსახურეობების კლასიფიკაციას არ შეუძლია გამოცვალონ ოპერაციების კლასიფიკაციები, როგორებიცაა:

1. საბაკო პროდუქტების კლასიფიკაცია, შექმნილი ბალანსში საბანკო აღრიცხვის მუხლებთან და საბანკო ოპერაციების ასახვის ხერხებთან შესაბამისობაში.
2. საბანკო პროდუქტების კლასიფიკაცია „პროდუქტის მსგავსების ხარისხი მოხმარების თვალსაზრისიდან“ საფუძველის მიხედვით.
3. შერეული კვალიფიკაცია, წარმოქმნილი ერთდროულად რამდენიმე საფუძვლიანობის მიხედვით: მომსახურეობების ასორტიმენტი, ფინანსური ინსტრუმენტის ტიპი, საბანკო ოპერაციის სახეობა და სხვა.

მოცემული კლასიფიკაციის აგების არასაკმარისი სიმკაცრე და, როგორც შედეგი, მისი არასაკმარისი სისტემატიურობა შესაძლებლობას არ იძლევა სრული ზომიერებით გაშლილიიქნას პროდუქტის შინაარსი როგორც ბანკის საქმიანობით განსაზღვრული თავისებურებების (მახასიათებლების) ნაკრები. კლასიფიკაცია არ ფლობს გარკვეულობას, თუ პროდუქტის სწორედ რომელი თვისებები და მახასიათებლები იმალებიან მათი სახელწოდების

გავრცობილ ფორმულირებაში. მიწოდებადი მომსახურეობების ტიპის ავტორისეული კლასიფიცირების კრიტერიუმები იხილეთ ცხრილი 1-ში.

საბანკო მომსახურეობები უპირველეს ყოვლისა შეიძლება დაყოფილი იქნას - სპეციფიკურ და არასპეციფიკურ მომსახურეობებად. სპეციფიკურ მომსახურეობებს წარმოადგენენ ყოველივე ის, რაც ბანკის საქმიანობის სპეციფიკიდან როგორც განსაკუთრებული საწაროსაგან გამომდინარეობს. სპეციფიკურ მომსახურეობებს მიეკუთვნებიან მათ მიერ შესრულებადი ოპერციების სამი სახეობა: 1. დეპოზიტური ოპერაციები; 2. საკრედიტო ოპერციები; 3. ანგარიშსწორების ოპერაციები.

ცხრილი 1.

**პროდუქტების ავტორისეული კლასიფიკაცია მიწოდებადი მომსახურეობების ტიპის მიხედვით**

| კლასიფიკაციის კრიტერიუმები: | მიწოდებადი მომსახურეობების ტიპი: |
|---|---|
| საბანკო საქმიანობის სპეციფიკის მდგომარეობიდან დამოკიდებულებაში: | ⟩ სპეციფიკური მომსახურეობები<br>⟩ არასპეციფიკური მომსახურეობები |
| მომსახურეობების მიღების საუბიექტებისაგან დამოკიდებულებაში: | ⟩ იურიდიული პირები<br>⟩ ფიზიკური პირები |
| ბანკის რესურსების ფორმირებისა და განთავსების ხერხისაგან დამოკიდებულებაში: | ⟩ აქტიური ოპერაციები<br>⟩ პასიური ოპერაციები |
| მიწოდებაზე გადასახდელისაგან დამოკიდებულებაში: | ⟩ ფასიანი მომსახურეობები<br>⟩ უფასო მომსახურეობები |
| მატერიალური პროდუქტის მოძრაობასთან კავშირისაგან დამოკიდებულებაში: | ⟩ მატერიალური პროდუქტის მოძრაობასთან დაკავშირებული მომსახურეობები<br>⟩ სუფთა მომსახურეობები |

დეპოზიტური ოპერაციები დაკავშირებულებია კლიენტების ფულადი სახსრების ანაბრებში (დეპოზიტებში) განთავსებასთან. საკრედიტო ოპერაციაწარმოადგენს ბანკის ძირითად ოპერაციას. ბანკის აქტივებისსაერთო ჯამში ძირითად ხვედრით წოგას შეადგენენ საკრედიტო ოპერაციები. ყველაზე ხშირად კლიენტებისდაკრედიტების ხარჯზე ბანკი შემოსავლის მეთ ნაწილსაც ღებულობს. საბანკო ოპერაციების თანამედროვე სტრუქტურაში საკრედტო ოპერაცია, მაინც, არ წარმოადგენს ძირითადს. ეკონომიკური კრიზისის, ინფლაციის და, აქედან გამომდინარე, უფრო მაღალი რისკის ძალისხმევით კომერციული ბანკები უპირატესობას ანიჭებენ დასაქმდნენ არა იმდენად დაკრედიტებით (განსაკუთრებით გრძელვადიან დაკრედიტებაზე უარის თქმით), რამდენადაც სხვა უფრო შემოსავლებიანი და ნაკლებად რისკიანი ოპერაციებით (მაგალითად, სავალუტო ოპერაციებით).

ანგარისსწორების ოპერაციები, რომლებიც ახორციელებენ ბანკები, შეიძლება განხორციელებული იქნას როგორც უნაღდო, აევე ნაღდი ფორმითაც. კლიენტების დავალების იხედვით ბანკებს შეუძლიათ გახსნან ანგარიშსწორების ანგარიშები, საიდანაც იწარმოება გადახდები, დაკავშირებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენასთან ან გაყიდვასთან, შრომის ანაზღაურების გადახდასთან, გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა არა ნაკლებად მნიშვნელოვანი გადახდების გადარიცხვა. ანგარიშსწორებებისას ბანკი გამოდის შუამავლად გამყიდველებსა და მყიდველებს, საწარმოებს შორის, საგადასახადო ორგანოებს, მოსახლეობას, ბიუჯეტს შორის.

საბანკო ოპერაციების განხილული სამი ტიპი იწოდებიან ტრადიციულ საბანკო ოპერაციებად. ისინი ტრდიციულობის ელფერს იძენენ უპირველეს ყოვლისა იმ მოსაზრებით, რომ ისტორიულად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში გადადიან როგორც შთამომავლობა ბანკების ერთი თაობიდან მეორესაკენ. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ოპერაციები წარმოადგენენ ყველაზე ზვირებს: მათ ასრულებდნენ „ძველი“ საბანკორო სახლები, ასრულებენ თანამედროვე დიდი და მცირე ბანკებიც.

ტრადიციული საბანკო ოპერაციების თანრიგს შეიძლება მიეკუთვნოს სალროს ოპერაციებიც. თანამედროვე კანონმდებლობაში ისინი არ არიან ჩართულები საბაზო ოპეაციების შემადგენლობაში, მაგრამ თავისი დანიშნულების მიხედვიტ ისინი საბანკო საქმიანობის არსს გამოხატავენ.

ტრადიციულ და არატრადიციულ ოპერაციებს შორის შუალედური მდგომარეობა უკავიათ დამატებით ოპერაციებს. მათ შემადგენლობაში შედიან - სავალუტო ოპერაციები, ოპერაციები ფასიან ქაღალდებთან, ოპერაციები ოქროსთან, ძვირფას ლითონებთან სა სხმულებთან.

არატრადიციული საბანკო მომსახურეობების შემადგენლობაში შედიან ყველა სხვა მომსახურეობები. ისინი სალმარისად ბევრია, მატ შორის : საშუამავლო მომსახურეობები, საწარმოს განვითარებაძე მიმართული მომსახურეოები (ჩანერგვა ბირჟაში, აქციების განთავსება, იურიდიული დახმარება, ინფორმაციული მომსახურეობები და ა.შ.), გარანტიებისა და თავდებობების მიწოდება, ნდობითი ოპერაციები (კლიენტის დავალების მიხედვით საკუთრების მართვაში კონსულტაციებისა და დახმარების ჩართვით), საწარმოებზე ბუღალტრული დახმარება, სასამართლო ორგანოებში კლიენტურული ინტერესების წარმოდგენა, მომსახურეობები სეიფების მიწოდებასთან მიმართებაში, ტურისტული მომსახურეობები და სხვა.

ბანკებისათვის აკრძალულია საწარმოო და სავაჭრო, ასევე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელება. განხილულ კლასიფიკაციასთან შესაბამისობაში და მიმღებთა სუბიექტებისაგან დამოკიდებულებაში

მომსახურეობები მიეწოდებათ როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებსაც. პრაქტიკულად მომსახურეობების ნაკრები იმ და სხვა პირებისათვის შეიძლება იმ და სხვა ბანკებში იყოს ერთნაირები, არაერთნაირები შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ მათი მოცულობა. კომერციული ბანკების მომსახურეობების ნაერთ ჩამონათვალში მოსახლეობისათვის მიწოდებად მომსახურეობებს ჯერ-ჯერობით უმნიშვნელო ხვედრითი წონა უკავიათ, მათ უნდა განახორციელონ ოპერაციების სახეობების რაოდენობის გადიდება ფიზიკური პირებისათვის (მათ შორის გადახდების განხორციელებასთან, სამეწარმეოდა სამომხმარებლო საჭიროებების დაკრედიტების, ანაბრების მიღების მიმართებაში).

საბანკო მომსახურეობების მიწოდებაზე გადასახადებისაგან დამოკიდებულებაში დაიყოფა - ფასიანებად და უფასოებად. აღნიშნული თუმცა არ ნიშნავს, რომ რომელიღაცა მომსახურეობების გარკვეული ტიპი მთლიანად წარმოადგენს ფასიანს ან უფასოს. ბანკის საქმეა განსაზღვროს, რომელ ნაირსახეობაზე, მაგალითად, ანგარიშსორებების ოპერაციაებზე საჭიროა კლიენტებისაგან საფასური იქნას დადგენილი, ხოლო რომეზე - გადასახადი არ იქნას დადგენილი. გარკვეული მოსაზრებების მიხედვით ცალკეული ოპერაციები ანგარიშსწორებეის, საკრედიტოების და დეპზიტურების შემადგენლობაში შეიძლება განხორციელებული იქნას უფასოდ.

მომსახურეობებზე ფასიანობასთნ და, აქედან გამომდინარე, ბანკი შემოსავლებისადმი მიმართებაში შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა, უფრო დეტალური ნიშან-თვისებები. არც ისე იშვიათად გამოყოფენ საბანკო მომსახურეობებს, რომლებიც საბანკო შემომოსავლის მომტანებია და არმომტანებია, მომსახურეობები ძვირადღირებულებია და იაფებია. ასე, მაგალითად, აქტიური ოპერციების უმეტესობა ბანკს შესაზლებლობას აძლევს მიიღოს შემოსავალი, იმ დროს როგორც მისი პასიური ოპერაციები ითვალისწინებენპროცენტების გადახდას ანაბრების გარკვეული სახეობების მიხედვით. ზოგიერთი საბანკო მომსახურეობები მოითხოვენ შრომის დიდ დანახარჯებს, ამიტომ მათი ფასი უფრო ძვირია. მაგალითად, აკრდიტივის დამუშავება ბანკში ღირს უფრო ძვირი, ვიდრე ფულის ჩვეულებრივი გადარიცხვა კლიენტის საგადასახადო დავალების მიხედვით.

მატერიალური პროდუქტის მოძრაობასთან კავშირისაგან დამოკიდებულებაში საბანკო მომსახურეობები დაიყოფიან ორ სახეობად: 1. მომსახურეობები დაკავშირებულები მის მოძრაობასთან; 2. სუფთა მომსახურეობები.

რამდენადაც ბანკები თავიანთი ფულადი ოპერაციებით ემსახურებიან ძირითადი სახით მატერიალური პროდუქტის მოძრაობას, მათი ძირითადი

ნაწილი უდავოდ მიეკუთვნება მომსახურეობების პირველ სახეობას. საქონელის მოძრაობის ხელშეწყობით, ბანკის მოცემული მომსახურეობები (ისეთები, როგორცაა, მაგალითად, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის საწარმოებზე მომსახურეობები) ქმნიან ახალ დამატებით ღირებულებას (ბანკის სალაროში შემოაქვთ გარკვეული მნიშვნელოვანი მოცულობის ნაღდი ფულადი მასა). სუფთა მომსახურეობები მიეწოდებათ ორგანიზაციებს, რომლეიც უშუალოდ მატერიალური წარმოებით არიან დაკავებულები, ასევე ცალკეულ მოქალაქეებს მათი პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

სიახლის კრიტერიუმის მიხედვით საბანკო პროდუქტებში გამოიყოფა ტრადიციულები (შედგება კომერციული ბანკის სტანდარტული საწყისი მრავალი საბაზო და დამატებითი მომსახურეობებისაგან) და ინოვაციურები (შემუშავდება არასტანდარტული, ინდივიდუალური ან ახალი საბანკო მომსახურეობებისადა ტექნოლოგიების საფიძველზე).

ამრიგად, ზემოთაღნიშნულების გათვალისწინებით შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესამლებელი:

1. მითითებულია, რომ საბანკო მომსახურეობების უმნისვნელოვანეს თავისებურებას მათი მწარმოებლური ხასიათი წარმოადგენს. უკვე ისეთ უმარტივეს ფორმაში, როგორიცაა მოსახლეობიდან და საწარმოდან მათი ფულადი სახსრების ანაბრებში მიღება, უდიდესი სამეწარმეო აზრია ჩაქსოვილი.
2. აღნიშნულია, რომ ბანკი პასიური, ანუ დეპოზიტური მომსახურეობის განხორციელებით, „არამომუშავე" და გამოუყენებელ ფულად რესურსებს გარდაქმნის „მუშა" აქტივებში. ტოლი ხარისხით აღნიშნული ასევე ეხება საწარმოებისათვის და ორგანიზაციებისათვის, თავიანთი საწარმოო და ფინანსური საქმიანობის განვითარებაზე მიწოდებულ „კრედიტებსაც". ასე თუ ისე თავიანთი კლიენტების სამეურნეო საქმიანობის მომსახურებით საბანკო ოპერაციები წარმოების განვითარებას და დაჩქარებას უწყობენ ხელს.
3. შეთავაზებულია, რომ ავტორისეული მოსაზრების მიხედვით, ახალი საბანკო პროდუქტი - არის ახალი საბანკო მომსახურეობის ან მათი კომპლექსის არატრადიციული ხერხით ან ინოვაციური ტექნოლოგიის გამოყენებით მიწოდებადი რეგლამენტის შემადგენელი ორგანიზაციული, ტექნიკური, ტექნოლოგიური, ფინანსური, ინფორმაციული და იურიდიული პროცედურების დოკუმენტალურად გაფორმებული და მოწესრიგებული ერთობლიობა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბასილაია კ., ლიპარტია ზ. - ფინანსური კონტროლი, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012.
2. ბურდიაშვილი რ. - ფინანსური აღრიცხვა ბანკებში, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა შპს „პოლიგრაფისტი“, 2013.
3. ცაავა გ., ხანთაძე გ. - „საბანკო საქმე“ (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. – 600 გვ.
2. ცაავა გ., ხანთაძე გ. - საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2015. – 800 გვ.
3. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. - რისკოლოგია: ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი, სახელმძღვანელო (შევსებული და გადამუშავებული მესამე გამოცემა). - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2020.
4. https://www.ceeol.com/search/article-detail?id=813287
5. https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95
6. https://ijsser.org/2022files/ijsser_07__203.pdf


## ონ ლაინ სესია

# გაურკვევლობის თავიდან აცილების ინდექსის გავლენა ორგანიზაციულ ქცევაზე (გეერტ ჰოფსტედეს ეროვნული კულტურების თეორიის კონტექსტში)

# The impact of the Uncertainty Avoidance Index on Organizational Behavior (in the Context of Geert Hofstede's Theory of National Cultures)


**დავით ჩახვაშვილი** - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
**Davit Chakhvashvili** - PhD of Economics. Professor
Georgian National University SEU



**აბსტრაქტი:** გაურკვევლობა არის განცდა და მდგომარეობა, რომელიც ადამიანის არსებობის შეუცვლელი კომპონენტია, რადგან შეუძლებელია აბსოლუტურად ზუსტი პროგნოზის გაკეთება იმ მოვლენების შესახებ, რაც მოხდება მომავალში, არ აქვს მნიშვნელობა ეს იქნება შორეულ თუ ახლო მომავალში. მიუხედავად ამისა, კაცობრიობა მთელი ძალით ცდილობს, ყველანაირი ტექნოლოგიების, კანონების და რელიგიის გამოყენებითაც კი შეამციროს გაურკვევლობის ხარისხი. მეთოდები, რომლითაც ხდება გაურკვევლობასთან გამკლავების მცდელობები, შეიძლება განსხვავდებოდეს კულტურათა შორის, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის აღიარებული ან შეზღუდული გაურკვევლობა თითოეულ კონკრეტულ კულტურაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კულტურები შეიძლება განსხვავდებოდეს გაურკვევლობის თავიდან აცილების დონით, სწორედ ამ საკითხს ეძღვნება მოცემული სტატია.

კულტურებში, სადაც გაურკვევლობის თავიდან აცილების დონე მაღალია, უცნობის მოვლენის წინაშე მყოფი ადამიანი ექვემდებარება სტრესს და შიშს. გაურკვევლობის თავიდან აცილების მაღალი დონის გამო ადამიანს არა მხოლოდ უჩნდება გაზრდილი სტრესული გარემო, არამედ დიდი რაოდენობით ენერგიაც გამოიყოფს. სწორედ ამ მიზეზით, ასეთი კულტურები ხასიათდება გაზრდილი აგრესიულობით, ხოლო ამ აგრესიის გასასვლელად, გაურკვევლობის მაღალი დონის მქონე კულტურებში, იქმნება სპეციალური არხები.

ადამიანები კულტურებიდან, რომლებსაც აქვთ გაურკვევლობის თავიდან აცილების დაბალი დონე, ბევრად უფრო ხშირად რისკავენ უცნობ სიტუაციებში. საინტერესოა, რომ გაურკვეველ სიტუაციებში მათ ყველაზე ნაკლებად ემართებათ სტრესი. გარდა ამისა, ადამიანები, რომელთა ქცევა და აზროვნება შეიძლება განსხვავდებოდეს, ბევრად უკეთ აღიქვამენ სხვებს და უფრო ლოიალურები და პოზიტიურები არიან მათ მიმართ გაურკვევლობის თავიდან აცილების დაბალი დონის მქონე საზოგადოებებში, ვიდრე მაღალი დონის მქონე საზოგადოებებში.

**საკვანძო სიტყვები:** ჰობსტედეს თეორია, გაურკვევლობის ტავიდან აცილების ინდექსი, ფორმალური წესები, მოდელის კრიტიკა, სისტემური მიდგომა.

**Abstract.** Uncertainty is a feeling and a state that is an indispensable component of human existence, because it is impossible to give absolutely accurate forecasts of events that will happen in the future, no matter if it is in the distant or in the near future. Nevertheless, humanity is striving with all its might, using all sorts of technologies, laws and even religion, to reduce the degree of uncertainty. The methods by which attempts are made to deal with uncertainty may vary across cultures, depending on the extent to which uncertainty is acknowledged or restricted in each particular culture. In other words, cultures can differ in levels of uncertainty avoidance, which we'll talk about.

In cultures where the level of uncertainty avoidance is high, a person faced with the unknown is exposed to stress and fear. Due to the high level of uncertainty avoidance, not only an increased stressful environment arises for a person, but large amounts of energy are also released from him. It is for this reason that such cultures are characterized by increased aggressiveness. And to give this aggression an outlet, special channels are created in cultures with a high level of uncertainty.

People from cultures with low levels of uncertainty avoidance are much more likely to take risks in unfamiliar situations. But more interestingly, in unknown situations, they are the least affected by stress. In addition, people whose behavior and way of thinking can be different are much better perceived by others and more loyal and positive towards them in societies with a low level of uncertainty avoidance than in societies with a high level of it.

**Key words:** Hobstede's theory, uncertainty avoidance index, formal rules, model criticism, systematic approach.

**შესავალი.** გაურკვევლობის თავიდან აცილება (ჰ. ჰოფსტედეს მიხედვით) წარმოადგენს ინდექსს, იგი განსაზღვრავს დონეს, რომლითაც სხვადასხვა კულტურაში ადამიანები განიცდიან და ღელავენ სიტუაციებისგან, რომლებსაც ისინი აღიქვამენ, როგორც არასტრუქტურირებულს, გაუგებარს ან არაპროგნოზირებადს, ასევე იმ სიტუაციებიდან, რომელთა თავიდან აცილებასაც ცდილობენ მკაცრი ქცევის კოდების დაცვით (ასე ვთქვათ

აბსოლუტური ჭეშმარიტების რწმენა და ა.შ.). გაურკვევლობის თავიდან აცილება კულტურის ექვსი ძირითადი განზომილებიდან ერთ-ერთია. ტერმინი, მნიშვნელოვანი კულტურული ფენომენის აღმოჩენის შედეგად 1970-იან წლებში სოციოლოგმა ჰეერტ ჰოფსტედმა შემოიღო, 70-ზე მეტ ქვეყანაში ჩატარებული კულტურული კვლევის საფუძველზე.

რას ზომავს გაურკვევლობის თავიდან აცილების ინდექსი? ეს ინდექსი განსაზღვრავს და ზომავს იმ დონეს, რომლითაც საზოგადოება თავს საფრთხის ქვეშ თვლის გაურკვეველი ან ორაზროვანი სიტუაციის გამო. რაც უფრო მაღალია ეს ინდექსი, მით უფრო ძლიერია ამ სიტუაციების თავიდან აცილების მცდელობები პროფესიულ კარიერაში მაქსიმალური სტაბილურობის, ფორმალური წესების შექმნის, განსხვავებული აზრისა და დევიანტური ქცევის შეუწყნარებლობისა და აბსოლუტური ჭეშმარიტების არსებობის რწმენის გამო. ამავდროულად, ასეთ საზოგადოებებში მაღალია აგრესია და შფოთვა, რაც ქმნის თავდაუზოგავი შრომის ძლიერ შინაგან სურვილს.

**ძირითადი ტექსტი:** გაურკვევლობის თავიდან აცილების მაღალი დონე (ინგლ. high-uncertainty avoidance). გაურკვევლობის თავიდან აცილების მაღალი დონის კულტურები უზრუნველყოფენ საზოგადოების წევრებს სტაბილურობას დადგენილი ოფიციალური პროტოკოლებით, დევიანტური ქცევის შეუწყნარებლობით, ხაზს უსვამენ კონსენსუსს და ცვლილებებისადმი წინააღმდეგობას, ცდილობენ აირიდონ გაურკვევლობა და ორაზროვნება. ასეთი კულტურები, როგორც წესი, ხასიათდება შფოთვისა და სტრესის შედარებით მაღალი დონით. ადამიანები, რომლებსაც აქვთ გაურკვევლობის თავიდან აცილების მაღალი დონე, თვლიან, რომ სიცოცხლე მუდმივი საფრთხის პოტენციალს შეიცავს. ამ საფრთხის თავიდან აცილების ან მინიმუმამდე შემცირების მიზნით კულტივირდება დაგეგმვა, წერილობითი წესები, რიტუალები, ცერემონიები და ა.შ.

ორგანიზაციები ასევე გამოსცემენ დეტალურ კანონებს ან არაფორმალურ წესებს, რომლებიც ადგენენ დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებებსა და მოვალეობებს. გარდა ამისა, არსებობს მრავალი შიდა წესი და დებულება, რომელიც განსაზღვრავს სამუშაო დღეს. ამრიგად, იქმნება მკაფიო სტრუქტურა/იერარქია, რომელშიც ადამიანები ცდილობენ მაქსიმალურად აირიდონ შეფერხებები. ასეთ კულტურებში ადამიანები მუდმივად ჩქარობენ და არ არიან მიდრეკილნი მიიღონ სწრაფი ცვლილებები, ეწინააღმდეგებიან

შესაძლო სიახლეებს. გაურკვევლობის თავიდან აცილების მაღალი დონის ქვეყნებია: საბერძნეთი, პორტუგალია, გვატემალა, ურუგვაი, ბელგია, იაპონია, საფრანგეთი, ჩილე, ესპანეთი და ა.შ.

დაბალი გაურკვევლობის თავიდან აცილება (ინგლ. low-uncertainty avoidance) ისეთი ქვეყნები, როგორიცაა შვედეთი, სინგაპური, იამაიკა, დანია, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, ინდოეთი, აშშ, ნორვეგია და ა.შ. მიეკუთვნებიან გაურკვევლობის თავიდან აცილების დაბალი დონის კულტურებს. ამ ქვეყნების მაცხოვრებლები ცხოვრებაში წარმოშობილ გაურკვევლობას უფრო ადვილად და ნაკლებად ემოციურად აღიქვამენ, ისინი ტოლერანტულნი არიან რისკებისა და გაოცების მიმართ, მწვავედ არ რეაგირებენ სხვადასხვა გაუთვალისწინებელ პირობებში. გაურკვევლობის თავიდან აცილების დაბალი დონის მქონე ქვეყნებში, როგორც წესი, ფორმალიზებული წესები დგინდება უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში მკაფიო დაპირისპირების გამო, რომელიც წარმოიქმნება მათ შემოღებასთან დაკავშირებით. ასეთ საზოგადოებებში ადამიანებს სჯერათ, რომ მათ შეუძლიათ პრობლემების გადაჭრა მრავალი ფორმალური წესების გარეშე. გაურკვევლობის თავიდან აცილების დაბალი დონის მქონე კულტურებში, ადამიანები უფრო მეტად მიდრეკილნი არიან რისკზე, ნაკლებად არიან მიდრეკილნი სტრესისკენ გაურკვეველ სიტუაციებში. ასეთ საზოგადოებებში განსხვავებული ქცევისა და აზროვნების მქონე ადამიანები უფრო დადებითად აღიქმებიან, ვიდრე გაურკვევლობის თავიდან აცილების მაღალი დონის მქონე საზოგადოებებში. ისინი უფრო ღიანი არიან ცვლილებებისთვის და იყენებენ ნაკლებ კანონებსა და რეგულაციებს, ხოლო მათი წეს-ჩვეულებები ნაკლებად მკაცრი და იმპერატიულია.

გაურკვევლობის თავიდან აცილების ინდექსის გავლენა ორგანიზაციულ ქცევაზე. გაურკვევლობის თავიდან აცილების ინდექსი ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზაციულ ქცევაზე თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილებისას. სხვა მნიშვნელოვანი განსხვავებები მართვის მოდელში მაღალი და UA (uncertainty avoidance) ინდექსის მქონე ქვეყნებში აისახება ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ჰოფსტედეს მოდელში საბერძნეთი პირველ ადგილზეა UAI ქულით 100, ხოლო სინგაპურს აქვს ყველაზე დაბალი ქულა 8. ამიტომ, საბერძნეთში შეხვედრის დროს, თქვენ შეგიძლიათ წამოიწყოთ დისკუსია და გააცნობიეროთ, რომ გუნდის წევრებს აქვთ კულტურული ტენდენცია,

მიიღონ ყველაზე უსაფრთხო და კონსერვატიული გადაწყვეტილებები, მიუხედავად ნებისმიერი ემოციური აფეთქებისა. თქვენი მიზანია წაახალისოთ ისინი, გახდნენ უფრო ღიანი სხვადასხვა იდეებისა და მიდგომების მიმართ, მაგრამ შეიძლება სასარგებლო იყოს ვარიანტების ან გადაწყვეტილებების შედარებით შეზღუდული, სტრუქტურირებული ნაკრების მიწოდება.

| UAI | მახასიათებლები | სტრატეგიები |
|---|---|---|
| მაღალი დონე | კონსერვატიული, ხისტი და სტრუქტურირებული. გარდაუვალი წარუმატებლობის შემთხვევაში შესაძლებელია უფრო მოქნილი მიდგომა.<br><br>საზოგადოებაში მიღებული მრავალი კონვენცია.<br><br>ადამიანები ექსპრესიულები არიან და უფლება აქვთ გამოავლინონ ბრაზი ან ემოცია, თუ სიტუაცია კარნახობს.<br><br>მაღალი ენერგია საზოგადოებაში, თუ ადამიანები გრძნობენ, რომ აკონტროლებენ თავიანთ ცხოვრებას, ნაცვლად იმისა, რომ გარე გარემოებებით გადატვირთულნი იყვნენ. | მკაფიოდ და ლაკონურად ჩამოაყალიბეთ მიზნები და ამოცანები და განსაზღვრეთ მკაფიო პარამეტრები. მაგრამ სადაც ეს შესაძლებელია, წაახალისეთ შემოქმედებითი აზროვნება და დიალოგი.<br><br>განიხილეთ არსებული გამოუთქმელი „წესები“ ან კულტურული ასპექტები, რომლებიც უნდა ისწავლოთ.<br><br>გახსოვდეთ, რომ ემოციები, ბრაზი და ენერგიული ჟესტები შეიძლება იყოს მხოლოდ დისკუსიის გარე ნაწილი. |
| დაბალი დონე | ღიაა ცვლილებებისთვის ან ინოვაციებისთვის და ზოგადად ინკლუზიური.<br><br>ღია სწავლის ან გადაწყვეტილების მიღებისადმი გაზრდილი მიდრეკილება.<br><br>დაქვეითებული გადაუდებლობის გრძნობა. | შეინახეთ ხალხი სამუშაოზე ორიენტირებული, მაგრამ ნუ ზედმეტად რთული სტრუქტურები.<br><br>წოდებებს, როგორც წესი, არ ითვალისწინებენ, ამიტომ მოერიდეთ თქვენი ცოდნით ან გამოცდილებით „ტრაბახს“. პატივისცემა ეძლევა მათ, ვინც ნებისმიერ ვითარებაში უმკლავდება სიტუაციას. |

**წყარო:** With Minkov, M. Long- versus short-term orientation: new perspectives. Asia Pacific Business Review. 16 (4) 2010, pp.493-504

გაურკვევლობის თავიდან აცილების ღირებულებები ქვეყნებისთვის რაც უფრო დაბალია ეს მნიშვნელობა, მით უფრო მეტად შეიძლება კლასიფიცირდეს ქვეყანა, რომელსაც არ მოსწონს გაურკვევლობა; უფრო მეტი რიცხვი ასოცირდება ქვეყანასთან, რომელიც თავს უფრო კომფორტულად გრძნობს (G. Hofstede, Culture's Consequences: Comparing Values, Behaviors, Institutions and Organizations Across Nations, 2nd ed. (Thousand Oaks, CA: Sage Publications, 2001).

**ჰოფსტედის მოდელის კრიტიკა:** უდავოა, რომ ჰოფსტედის მოდელი მიღებულია, როგორც ეროვნული კულტურული ფასეულობების ყველაზე ყოვლისმომცველი საფუძველი, მაგრამ მას ფართო კრიტიკაც ახლავს. გ. ჰოფსტედი აღიარებს, რომ მან კულტურული ასპექტები განისაზღვრა, როგორც თეორიული კონსტრუქციები, რომლებიც პრაქტიკულ პრაქტიკაში გამოსაყენებლად განკუთვნილი ინსტრუმენტებია. ერთი ქვეყნის კულტურის შესახებ განზოგადება სასარგებლოა, მაგრამ ისინი უნდა განიხილებოდეს, როგორც სახელმძღვანელო უკეთესი გაგებისთვის. ეს არის ჯგუფის დონის საზომი, რომელიც აღწერს მთლიან პოპულაციასთან დაკავშირებულ საშუალო მაჩვენებლებს. ჰოფსტედის კულტურული ასპექტები მომხმარებლებს საშუალებას აძლევს განასხვავონ ქვეყნები, მაგრამ ეს არ ეხება საზოგადოების წევრებს შორის განსხვავებებს. ისინი სულაც არ განსაზღვრავენ ინდივიდების ვინაობას. ეროვნული შეფასებები არასოდეს არ უნდა იქნას განმარტებული, როგორც განმსაზღვრელი ინდივიდებისთვის.

ეროვნული კულტურის შესახებ ყველა კვლევაში, ვარაუდობენ, რომ ეროვნული ტერიტორია და კულტურის სახეები ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ კულტურული ჰომოგენურობა არ შეიძლება ჩაითვალოს თავისთავად იმ ქვეყნებში, რომლებიც მოიცავს მრავალ კულტურულ ჯგუფს ან რომლებსაც აქვთ სოციალურად დომინანტური და ასევე დაქვემდებარებული კულტურული ჯგუფები. ჰოფსტედის რესპონდენტები მუშაობდნენ მრავალეროვნულ კომპანიაში, კონკრეტულად კომპიუტერული ინდუსტრიაში. და ეს ფაქტი შეიძლება იყოს შეცდომაში შემყვანი ორი მიზეზის გამო. ნებისმიერ ქვეყანაში, IBM-ის თანამშრომლების ღირებულებები დამახასიათებელია მხოლოდ მცირე ჯგუფისთვის (განათლებული, ჩვეულებრივ საშუალო კლასის, ქალაქის მაცხოვრებლები); სხვა სოციალური ჯგუფები (არაკვალიფიციური მუშები, ფიზიკური მუშაკები და ა.შ.) ამა თუ იმ ხარისხით არ არის მოცული კვლევაში.

წარმომადგენლობითობის ეს პრობლემა წარმოიქმნება მიუხედავად იმისა, თუ რომელი კომპანია მიეწოდება რესპონდენტებს.

გამოყენებული ლიტერატურა:


- The Certification in Intercultural Management - https://hi.hofstede-insights.com/certification-in-intercultural-management
- Cultures and Organizations - The best-seller: Geert Hofstede, Gert Jan Hofstede and Michael Minkov, Cultures and Organizations: Software of the Mind. Revised and expanded 3rd Edition. 550 pages. New York: McGraw-Hill USA, 2010, paperback only. ISBN 978-0-07-166418-9.
- Culture's Consequences - Geert Hofstede's first book on culture, Culture's consequences, appeared in 1980. It marked the beginning of dimensional, comparative cross-cultural study. Many others have since replicated or criticized his work. He re-worked Culture's Consequences in 2001, including a great number of new work.
- Exploring Culture - Exploring Culture: Exercises, stories, and synthetic cultures (2002) by Gert Jan Hofstede, Paul Pedersen and Geert Hofstede, is a training companion, to be used by trainers who like to create experiential activities for groups using the dimensions of culture.
- Cross-cultural Analysis - In this book aimed at researchers, Michael Minkov summarizes and discusses a vast number of contemporary cross-cultural studies, and puts them in perspective.
- Synthetic Culture script for Indulgence - The sixth dimension was added to the model after Exploring Culture appeared. To complement the book, Gert Jan created a Synthetic Culture script for the Indulgence dimension that can be downloaded: sixth dimension synthetic culture profiles.
- Masculinity and Femininity - The dimension of Masculinity and Femininity is concerned with the emotional roles in society of the sexes. This topic is naturally surrounded by taboo and controversy. In 1995, together with a number of other authors, Geert did a thematic book about it. Geert Hofstede and associates: Masculinity and Femininity: The Taboo Dimension of National Cultures . 238 pages. Thousand Oaks CA: Sage Publications, 1998, hardcover ISBN 0-7619-1028-X; paperback ISBN 0-7619-1029-8.
- Why is culture so important? - https://www.bl.uk/people/geert-hofstede

- Uncommon sense about organizations - This volume assembles some of the lesser known work by Geert, starting in the nineteen fifties. Geert Hofstede: Uncommon Sense about Organizations: Cases, Studies and Field Observations. 299 pages. Thousand Oaks CA: Sage Publications, 1994, hardcover ISBN 0-8039-5366-6; paperback ISBN 0-8039-5367-4.
- With Minkov, M. Long- versus short-term orientation: new perspectives. Asia Pacific Business Review. 16 (4) 2010, pp.493-504


## მწვანე ინოვაციის განვითარების მნიშვნელობა და უმაღლესი განათლების როლი ამ სფეროში

## Importance of Developing Green Innovation and the Role of the Higher Education in this Field


**ქეთევან შენგელია** ასოცირებული პროფესორი,

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

**Ketevan Shengelia,** Associate Professor

of the Georgian National University



**რეზიუმე.** თანამედროვე მსოფლიო იმკის იმ მძიმე შედეგებს, რაც მას ადამიანის უგუნურმა ქმედებებმა მოუტანა. დაზიანდა და დაბინძურდა არა მხოლოდ ეკოლოგია, არამედ ადამიანის სულიერებაც. რაც გავეცით, ის მივიღეთ. ასეთ პირობებში აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მწვანე ინოვაციის განვითარება. ნაშრომში დასაბუთებულია უმაღლესი განათლების როლი მწვანე ინოვაციის განვითარებაში. გაანალიზებულია დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის ბიზნეს სკოლების წვლილი ამ პრობლემის მოგვარებაში.

უნივერსიტეტებში ბიზნესის ფაკულტეტებმა ხელი უნდა შეუწყონ სწავლებას მწვანე ინოვაციის მიმართულებით. აქედან გამომდინარე, საუკეთესო შედეგს მოგვცემს ბიზნეს ფაკულტეტების გარე ჩართულობა. საწარმოო პრაქტიკის ნაცვლად სტუდენტებმა შეიძლება გამოიჩინონ აქტიურობა გარე ჩართულობის მიმართულებით. განსაკუთრებით უნდა წავახალისოთ მათი ჩართულობა საზღვრისპირა ან მთიან რეგიონებში. ამ აქტივობებში სტუდენტებს უნდა ქონდეს კრედიტების მიღების შესაძლებლობა, როგორც არის ეს დანერგილი მაგალითად, ბრიტანეთის და საფრანგეთის ბიზნეს სკოლებში.

ჰიპერკონკურენტული გარემო, რომელშიც დღეს ბიზნესი მუშაობს, რადიკალურად განსხვავდება წინა ათწლეულებისგან. ეს ცვლილება მოითხოვს ხელახლა შეფასებას, თუ რა ცოდნას იძლევა ბიზნეს განათლება. ეს პრობლემა არსებობს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც. იმისათვის, რომ ბიზნეს სკოლები დარჩეს აქტუალური, მათ უნდა განჭვრიტონ ბიზნეს გარემოში არსებული ევოლუცია და მოამზადონ სტუდენტები სწრაფად განვითარებად ბიზნეს სამყაროში წარმატებულად შესვლისთვის, დღევანდელი და ხვალინდელი ცვლილებებისათვის. ასეთი მიმართულება სწორედ მწვანე ინოვაციის განვითარებაა, რომელიც შექმნის მწვანე ეკონომიკას, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას. საქართველოს დიდი აგრარული პოტენციალი გააჩნია. საბოლოოდ სტრატეგიის მიზანი იქნება საზოგადოებრივი სიკეთეების გაძლიერება, აგროსამრეწველო პროდუქციის ზრდა, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სიღარიბის დაძლევა.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, მწვანე ინოვაცია, ბიზნეს განათლება, გარე ჩართულობა.

**Annotation.** The modern world is suffering from the severe consequences brought to it by the reckless actions of humanity. Not only the ecology is damaged and polluted, but also human spirituality. We got what we deserved, In such conditions, the development of Green Innovation is vitally necessary. The paper substantiates the role of higher education in the development of Green Innovation. The contribution of British and French business schools to solving this problem is analyzed.

Business faculties in universities should promote teaching in the direction of Green Innovation. Therefore, external involvement of business schools will give us the best result. Instead of industrial practice, students can be active in external engagement. We should especially encourage their involvement in border or mountainous regions. In these activities, students should have the opportunity to receive credits, as it is implemented, for instance, in British and French business schools.

The hyper-competitive environment in which businesses operate today is radically different from decades past. These changes require a re-evaluation of what knowledge business education provides. The problem exists not only in Georgia, but also in developed countries. In order for business schools to remain relevant, they must anticipate the evolution of the business environment and prepare students to successfully enter the rapidly evolving business world, nowadays' and tomorrow's changes. Such a direction is the development of Green Innovation, which will create a green economy, production of ecologically clean products. Georgia has great

agricultural potential. Finally, the goal of the strategy will be to strengthen public goods, increase agro-industrial production, ensure food security and overcome poverty.

**Keywords:** Green Economy, Green Innovation, Business Education, External Engagement.

მსოფლიოში საზოგადოებრივი სისტემის ფასეულობები და ნორმები რადიკალურად შეიცვალა, ძირითადი სტრუქტურების მიმართ სერიოზული საფრთხე ღვივდება და კარდინალური გადაწყვეტილებების მიღება აუცილებელი ხდება. გაურკვევლობა და მოულოდნელობა ის უარყოფითი შოკებია, რომელიც თავს დაატყდა მთელს კაცობრიობას. მსოფლიო შეეჯახა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, რამაც კაპიტალის დეფიციტი გამოიწვია. თუმცა როგორც ეკონომიკური კრიზისების ზოგადი თეორიიდან არის ცნობილი, ეკონომიკური კონიუქტურის დინამიკას რიტმულობა ახასიათებს, დაქვეითებას მოყვება აღმასვლა და სწორედ ასეთი აღმასვლის მოლოდინში ვართ დღეისთვის. ნელ-ნელა მსოფლიო გამოდის კრიზისიდან, თუმცა დარჩა მრავალი პრობლემა, რომელიც მოითხოვს დასკვნების გაკეთებას. გაურკვეველია როგორი ეკონომიკური პოლიტიკა განხორციელდება მსოფლიოში. პრიორიტეტები ჩამოყალიბების ეტაპზეა. როგორც დეილ კარნეგი ამბობდა, ცხოვრება ბუმერანგია-რასაც გასცემთ, იმას მიიღებთ.

ასეთ პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება მწვანე ინოვაციების განვითარება, რასაც ხელი უნდა შეუწყოს სწორედ უმაღლესმა განათლებამ, კონკრეტულად კი ბიზნეს განათლებამ. 2020 წლისთვის ბიზნესის სკოლების მრავალფეროვნება და რაოდენობა მსოფლიოში გაიზარდა დაახლოებით 13000-მდე, რამაც გამოიმუშავა 400 მილიარდი ფუნტი წელიწადში.

ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე ბრიტანელი და ფრანგი პროფესორების მარტინ კიტჩენერის (კარდიფის ბიზნეს სკოლა), ტომ ლევიტის (დასავლეთ ლონდონის ბიზნეს სკოლა), ლიზა ტომასის (მარსელის ბიზნეს სკოლა, საფრანგეთი) კვლევები, ასევე განხილულია კრისტოფერ ბარტლეტის, მ.ფროსტენსონის, ე.ბოიერის, ჯ.დ.ბრევერის, ტ. ბრიგმანის, მ. ბურავოის, ბ.ჰარლეის, ჯ.გრანტის, ა.კაპლანის და სხვა ამერიკელ და ბრიტანელ მეცნიერთა შეხედულებები, საინტერესო იყო ჩინელი

მეცნიერების ჩენ ჩენგის, სიმინგ ლის, სუნ იატსენის, შალი ლიუს (ჟენჯოუს უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა, ჟენჯოუ, ჩინეთი) კვლევის შედეგები.

საქართველო მსოფლიოს ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა (მწვანე) ეკონომიკებს შორის 47-ე პოზიციაზეა და მოქცეულია ისეთი ქვეყნებს შორის, როგორიც ურუგვაი და ავსტრალიაა, - ამ მონაცემებს RBC იელის და კოლუმბიის უნივერსიტეტის კვლევებზე დაყრდნობით აქვეყნებს. რეიტინგში მოხვდა 132 ქვეყანა. ლიდერობს შვეიცარია, ლიეტუვა, ნორვეგია.[53] ეკოლოგიურად სუფთა ეკონომიკის ინდექსი (Environmental Performance Index) შედგენილია 22 პარამეტრის გამოკვლევის შედგად, მათ შორის - წყლის და ჰაერის ხარისხი, გარემოს გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, სატყეო ფონდი, სხვადასხვა მავნე ნივთიერებების ბუნებაში ემისია და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესი ერთ-ერთი პირველია ინტერდისციპლინურ პროფესიებს შორის. განსაკუთრებით ევროპის ბიზნეს სკოლები ტრადიციულად ორიენტირებულია მომავლის ლიდერებზე, მენეჯერებზე, მეწარმეებზე. ეს ბიზნეს სკოლები მუდმივად ავრცელებენ გამონათქვამს, რომ **მხოლოდ ის ბიზნესი გადარჩება, რომლებიც ნერგავენ ინოვაციებს.**

კითხვა, რომელიც უნდა დაისვას არის ის, თუ რა როლები უნდა იკისრონ ბიზნეს სკოლებმა. რა მნიშვნელობა აქვს განათლებას, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების მომზადებაზე, რომ გახდნენ მენეჯერები და ინოვატორები? სულ უფრო ფართოვდება ხელოვნური ინტელექტის როლი მენეჯმენტის განათლებაში. წარმოება, ტრანსპორტი, საცალო ვაჭრობა, ფინანსები, ჯანდაცვა, დაზღვევა, განათლება და ამ მხრივ პრაქტიკულად ყველა ინდუსტრია გარდაქმნის ძირითად პროცესებს და მათ შესაბამისად ამუშავებს ბიზნეს მოდელებს, რათა გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტის დამახასიათებელი უპირატესობები.[54]

ხაზგასმით აღვნიშნოთ, ბიზნეს სკოლებს უფრო მეტად სჭირდებათ განვითარება და ინტელექტუალური უნარების მომწიფება, გამჭრიახობა და

---

[53] http://conferenceconomics.tsu.ge/მწვანე ეკონომიკა, როგორც ყველაზე მაღალი კაპიტალიზაციის მოტანის საშუალება საქართველოში.

[54] Singh, S., Misra, R., & Srivastava, S. An empirical investigation of student's motivation towards learning quantitative courses. International Journal of Management in Education, 15(2), (2017), p.47–59.

სხვა ადამიანური უნარები, როგორიცაა კრეატიულობა, გონივრული განსჯა და ეფექტური კომუნიკაცია, სულ უფრო ღირებული და მოთხოვნადი ხდება. ეს არ არის ახალი უნარები. პირიქით, მათ აქვთ და უნდა იყვნენ ნებისმიერი ძლიერი ბიზნეს განათლების ნაწილი. ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ უნარი შეაგროვონ სათანადო ინფორმაცია, გააანალიზონ ბიზნესის პრობლემა ლოგიკური მსჯელობის გამოყენებით და შემდეგ გამოიყენონ შესაბამისი პრობლემის გადაჭრა რეალურ ბიზნეს სამყაროში. მრავალი ფაქტორი იწვევს სიტუაციის გამწვავებას. მათ შორისაა, სტუდენტებს შორის **მათემატიკური კომპეტენციის დაბალი დონე, წიგნიერების შეუფასებლობა,** შეუსაბამობა სწავლებას, კვლევასა და პრაქტიკულ შესაბამისობას შორის (არ შეესაბამება ინდუსტრიის განვითარებას) ეს განსაკუთრებით აქტუალურია მეცნიერების, სტატისტიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში[55].

ბიზნეს პრობლემების გადასაჭრელად ინტეგრირებული მიდგომის გარდა, ბიზნეს სკოლებმა მეტი ყურადღება უნდა გაამახვილონ კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებაზე. ბიზნეს სკოლის ბევრ სტუდენტს აქვს შეზღუდული გაგების უნარი გამოიტანონ ლოგიკური დასკვნები რთული იდეებიიდან, ამოიცნონ რთული პრობლემები ან წარმოადგინონ დამაჯერებელი არგუმენტები[56]

იმისათვის, რომ ბიზნეს სკოლები დარჩეს აქტუალური, მათ უნდა განჭვრიტონ ევოლუცია ბიზნეს გარემოში და მოამზადონ სტუდენტები სწრაფად განვითარებად ბიზნეს სამყაროში წარმატებულად შესვლისთვის და დღევანდელი და ხვალინდელი ცვლილებებისათვის. თანამედროვე ბიზნესები სულ უფრო ხშირად ეძებენ კურსდამთავრებულებს, რომლებსაც შეუძლიათ პრობლემის გაანალიზება დისციპლინური ცოდნის საფუძველზე. ბევრმა ორგანიზაციამ, მაგალითად, IBM-მა, Toyota-მ, General Electric-მა და Microsoft-მა, შეიცვალა მათი მენეჯმენტის განვითარების ფოკუსირება. ისინი სულ უფრო მეტად ხაზს უსვამენ დისციპლინების და ფუნქციური განყოფილებების განსხვავებულ ინტეგრაციას.

---

[55] Sircar, S. Business intelligence in the business curriculum. Communications of the Association for Information Systems, 24(1), 2009, p.17

[56] Bunch, K. J. State of undergraduate business education: A perfect storm or climate change? The Academy of Management Learning and Education, 19(1), 2020, p.81–98.

წარმატებული მწვანე ინოვაცია ძვირია და მოითხოვს დამხმარე გარემოს, რომელიც ავითარებს ინოვაციებს დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების ძიებით. ჩინელმა მეცნიერებმა: ჩენ ჩენგმა, სიმინგ ლიმ, შალი ლიუმ და სუგე ჟანგმა შეარჩიეს 468 საოჯახო ბიზნესი, მათ შორის 147 საოჯახო ფირმა, რომლებიც მეტამორფოზირებული იყვნენ ძირითადად სახელმწიფო საწარმოებიდან და 321 საოჯახო ბიზნესი, რომლებიც დაარსდა საოჯახო მეწარმეების მიერ ან მათ ნათესავებთან პარტნიორობით[57]. მათი კვლევის შედეგებით რესტრუქტურიზებულ საოჯახო ბიზნესს აქვს უკეთესი შესაძლებლობები მწვანე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შესრულების მიმართულებით ოფიციალური საწყისი ინსტიტუტების წყალობით. აღნიშნული მეცნიერები ადასტურებენ, რომ სამეწარმეო საოჯახო ფირმებს აქვთ უარესი შესაძლებლობები მართონ დაბინძურებისა და დარღვევების პრობლემები, ვიდრე რესტრუქტურიზებულს.

გამოვიყენეთ ასევე გაერთიანებული სამეფოს (დიდი ბრიტანეთი) ბიზნეს სკოლების და საფრანგეთის ბიზნეს სკოლების შესწავლის შედეგები, რომლებიც მოგვცეს ბრიტანელმა და ფრანგმა კოლეგებმა მარტინ კიტჩენერმა (კარდიფის ბიზნეს სკოლა), ტომ ლევიტმა (დასავლეთ ლონდონის ბიზნეს სკოლა), ლიზა ტომასმა (მარსელის ბიზნეს სკოლა, საფრანგეთი). ისინი განმარტავენ, რომ მომავლის ბიზნეს სკოლებს შეუძლიათ უკეთ გაზარდონ საზოგადოებრივი სიკეთე გაფართოებული ჩართულობით. აქ ჩვენ ვიყენებთ გარე ჩართულობას, როგორც საერთო ტერმინს, რათა ჩავრთოთ აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობენ ინტერდისციპლინურობას, ცოდნის გენერირებასა და გამოყენებას, რაც ხელს უწყობს რეალური პრობლემების გადაჭრისას აკადემიური წვლილის შეტანას. ჩვენი კონცეპტუალური წვლილი ეფუძნება ბოლო დროის წინადადებას, რომ ბიზნეს სკოლების ინსტრუმენტული სტრატეგიები უნდა შეიცვალოს მათი მიზნის მიღწევით, **რათა გაზარდონ საზოგადოებრივი სიკეთე.**[58]

აღნიშნული ბრიტანელი მეცნიერები ასაბუთებენ, რომ ორი ცვლილებაა საჭირო. პირველ რიგში, ბიზნეს სკოლის ლიდერებმა უნდა შეცვალონ შედეგზე ორიენტირებული სტრატეგიული ფოკუსი და აღიარონ, რომ

---

[57] Chen Cheng, Siming Li, Shali Liu, Suge Zhang, Origin matters: The institution imprint effect and green innovation in family businesses, Elsevier, Finance Research Letters, 2022, p.50

[58] Thomas, L., & Ambrosini, V. The future role of the business school: A value co-creation perspective. Academy of Management Learning & Education, 20/2, 2021, p.249–269

ბიზნეს სკოლა არ არის ღირებულების ერთადერთი მიმწოდებელი და განავითარონ თანამშრომლობითი დაინტერესებული მხარეების ქსელები, რომლებიც ჩართული არიან ორმხრივი სარგებლის პროცესში. მეორე, საჭიროა ცვლილებები ბიზნეს სკოლების ინსტიტუციურ სტრუქტურაში, რათა შემცირდეს მთავრობის მიერ წარმართული ღონისძიებებისადმი მიდგომა, როგორც სესიები და აკრედიტაცია, ასევე ჟურნალების რეიტინგების გამოყენება.

განვიხილეთ **ბრაიტონის ბიზნეს სკოლის** იურიდიული კლინიკა, რომელიც დაარსდა მიზანმიმართული ჩართულობით მეწარმის, **ბრონტი ანსელის** მიერ. ის ახლა აერთიანებს მეცნიერებს, პროფესიონალებს, კურსდამთავრებულებს და მომავალ სამართალმცოდნეებს. **ნორთუმბრიის ბიზნეს სკოლის** ბიზნეს კლინიკა, რომელიც ორგანულად განვითარდა მისი დირექტორის, ნაიჯელ კოუტსის ინიციატივით. **ჰადერსფილდის ბიზნეს სკოლა, რომელიც** ჩართულია **ეთიოპიის სოფლის** მაღალმთიან თემებში (აღმოსავლეთ აფრიკაში, სომალის ნახევარკუნძულზე), და ეს იყო ბოლო 20 წლის განმავლობაში მისი წარმატების საზომი. სკოლის სტუდენტებმა ისარგებლეს გავლენიანი კვლევითი პროექტებით როგორც ეთიოპიაში, ასევე სხვა განვითარებად ქვეყნებში. **ლივერპულის მენეჯმენტის სკოლა LMS,** რომელიც გაჭირვებულ თემებში ქმნის მიზანმიმართულ დასაქმებას და უზრუნველყოფს სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისებს ეკონომიკის სექტორებში. **მანჩესტერის უნივერსიტეტი**, რომელმაც სოციალური პასუხისმგებლობა (SR) დაასახელა, როგორც ძირითადი სტრატეგიული მიზანი ხუთი პრიორიტეტით. უნივერსიტეტის SR-ის განხორციელების ვალდებულებას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის დირექტორი SR-ისთვის პროფესორი ჰონგვეი ჰე, რომელიც თავმჯდომარეობს სკოლის SR კომიტეტს.

ნაშრომში მოცემულმა კვლევამ გამოავლინა ახალი კონცეპტუალური და ემპირიული გარე ჩართულობის მიდგომები. მიზანმიმართული ცვლილების მთავარი სტიმულია ბიზნეს სკოლებმა უკეთესად იმუშაონ შეავსონ თავიანთი არსებითი ღირებულება, **რათა პოზიტიური წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში.** გარდა ამისა, სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევები საერთო გავლენას ახდენს ბიზნეს სკოლებზე, ისინი არ უნდა იყვნენ უბრალოდ სტატუს კვოს შენარჩუნებაზე, არამედ ორიენტირებული იყონ ახალ გარდაქმნაზე, რათა შენარჩუნდეს ღირებულების შექმნა. ჩვენი

კვლევა ეფუძნება უფრო დიდ ყურადღებას მომავალი ღირებულების შექმნაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Thomas, L., & Ambrosini, V. The future role of the business school: A value co-creation perspective. Academy of Management Learning & Education, 20/2, 2021, p.249–269
2. Singh, S., Misra, R., & Srivastava, S. An empirical investigation of student's motivation towards learning quantitative courses. International Journal of Management in Education, 15(2), 2017, p.47–59.
3. Sircar, S. Business intelligence in the business curriculum. Communications of the Association for Information Systems, 24(1), 2009, p.17
4. Bunch, K. J. State of undergraduate business education: A perfect storm or climate change? The Academy of Management Learning and Education, 19(1), 2020, p.81–98.
5. Chen Cheng, Siming Li, Shali Liu, Suge Zhang, Origin matters: The institution imprint effect and green innovation in family businesses, Elsevier, Finance Research Letters, 2022, p.50
6. http://conferenceconomics.tsu.ge


# ГЛОБАЛИЗАЦИЯ И ИХ ВЗАИМОДЕЙСТВИЕ НА СОВРЕМЕННЫЙ МИР


**Наргис Шохмуродовна Хужаназарова**
Исследователь Ташкентского Государственного Экономического Университета
**Nargis Khujanazarova**
Researcher at Tashkent State Economic University



ABSTRACT
The article considers the modern world is facing serious challenges. Most of them are related to global issues such as weapons of mass destruction, extreme weather conditions, water shortage crisis, natural disasters and global climate change. For many years, scientists have been investigating the process of creating an economy more resistant to external factors.



**Key Words:** Green economy, investments, economic growth, sustainable development goals of UN, global internet connections, climate change and etc.


## INTRODUCTION

Целью работы является характеристика институтов и инструментов финансирования, способствующих переходу к зеленому экономическому росту. Объектом исследования в данной работе выступает экологическая сфера

и современная экономика которая считается как зеленая экономика, где предметом особенности использования финансовых инструментов в условиях зеленой экономики и работы финансовых институтов включающие решение экологических проблем. Будь то претворение обещаний в отношении изменения климата в жизнь, восстановление доверия к финансовой системе или подключение мира к Интернету, Всемирный экономический форум выделил 10 ключевых глобальных проблем, для решения которых требуется сотрудничество государственного и частного секторов. К 2050 году мир должен накормить 9 миллиардов человек. Тем не менее, спрос на продовольствие будет на 60% больше, чем сегодня[1].

Организация Объединенных Наций определила искоренение голода, достижение продовольственной безопасности и улучшение питания, а также содействие устойчивому сельскому хозяйству в качестве второй из своих 17 целей в области устойчивого развития (ЦУР) на 2030 год [2].

Для достижения этих целей нам необходимо будет решить множество проблем, от гендерного равенства и старения населения до развития навыков и глобального потепления. Сельскохозяйственные секторы должны будут стать более производительными за счет внедрения эффективных бизнес-моделей и налаживания государственно-частного партнерства. И они должны стать устойчивыми за счет сокращения выбросов парниковых газов, водопотребления и отходов. Стремительный экономический рост в последние десятилетия привел к существенному увеличению благосостояния большого числа людей по всему миру. Но, несмотря на огромный прирост мирового экономического производства, есть свидетельства того, что наши нынешние социальные, политические и экономические системы усугубляют неравенство, а не сокращают его. Дабе представлен аналитический обзор ФАО (продовольственная и сельскохозяйственная организация Объединенных Наций на рис.1).




Рис.1.

Растущий объем исследований также свидетельствует о том, что растущее неравенство доходов является причиной экономических и социальных бед, начиная от низкого потребления и заканчивая социальными и политическими беспорядками, и наносит ущерб нашему будущему экономическому благополучию. Чтобы стимулировать экономический рост и противостоять замедлению на развивающихся рынках, нам необходимо активизировать усилия по всему миру, направленные на ускорение экономической активности и обеспечение того, чтобы ее преимущества достигали всех членов общества. Масштабы проблемы трудоустройства огромны. По оценкам Международной организации труда [3]. с начала глобального экономического кризиса в 2008 году было потеряно более 61 миллиона рабочих мест, в результате чего более 200 миллионов человек во всем мире остались безработными. К 2020 году должны были созданы почти 500 миллионов новых рабочих мест, но к сожалению из за COVID-19, этот вопрос не был закрыт полностью. В то же время многие отрасли промышленности сталкиваются с трудностями при найме квалифицированного персонала. Одно исследование, проведенное в 2015 году, показало, что во всем мире 38% всех работодателей сообщают о трудностях с заполнением вакансий, что на два процентных пункта больше, чем в 2014 году. Проще говоря, нам нужны рабочие места для сотен миллионов безработных по всему миру, и нам нужны квалифицированные работники, которых предприятия с трудом находят.

Последние 50 лет средняя температура суши на Земле повысилась почти на 1°C в результате деятельности человека, глобальные выбросы парниковых газов

выросли почти на 80% с 1970 года, а концентрации основных парниковых газов в атмосфере достигли самого высокого уровня за 800 000 лет.

Мы уже видим и ощущаем последствия изменения климата: такие погодные явления, как засухи и штормы, становятся более частыми и интенсивными, а также меняется характер выпадения осадков. По оценкам страховщиков, с 1980-х годов количество экономических потерь, связанных с погодой, увеличилось втрое. Межправительственная группа экспертов по изменению климата проинформировала политиков о том, что существует высокий риск катастрофического изменения климата, если потепление не будет ограничено 2°C [4]. Историческое соглашение, достигнутое в Париже в декабре 2015 года, определяет глобальное обязательство поддерживать потепление на уровне 2°C и стремиться ограничить повышение глобальной температуры до 1,5°C [5]. Согласно соглашению, каждая страна будет осуществлять свой собственный план действий в области изменения климата, который был пересмотрен в 2018 году. Более богатые страны также обязались предоставить значительные денежные потоки и техническую поддержку, чтобы помочь бедным странам справиться с сокращением выбросов парниковых газов и адаптироваться к изменению климата.

**რეზიუმე.** ციფრული საწარმოების ინოვაციური სტრატეგიის ფორმირება რეგიონებში არ შეიძლება განხორციელდეს ერთიანი მიდგომით ყველა რეგიონისთვის, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა, რომელიც წარმოიქმნება მცირე და საშუალო საწარმოებისა და მსხვილი საწარმოების მიერ. მსოფლიოში მსხვილი საწარმოების წილი (5%) მცირე და საშუალო საწარმოების (95%). უმეტეს ქვეყნებში მსხვილი საწარმოების რაოდენობა 0,01%-ზე ნაკლებია. კორელაციის კოეფიციენტებმა (რომელიც გამოთვლილ იქნა კენდალისა და სპირმენის მეთოდით) აჩვენა ასოციაცია რეგიონის ციფრული საწარმოების ინოვაციურ აქტიურობასა და საწარმოთა ზომას შორის. სტრატეგიების კლასიფიკაციის კრიტერიუმებია: ეროვნულ ბაზარზე ციფრული საწარმოებისთვის ინოვაციების განხორციელების პრიორიტეტი; ციფრული საწარმოებისთვის ტექნოლოგიების ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნის გადახრა; ციფრული საწარმოების ინოვაციური საქმიანობის კლასი რეგიონში. რეგიონის კარგად შერჩეული სტრატეგია ხელს უწყობს პატენტების დანერგვის ზრდას ციფრულ საწარმოებში, ბალანსის დარღვევის გარეშე მცირე და საშუალო საწარმოებსა და მსხვილ საწარმოებს შორის, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. 2022 წლიდან რეგიონების შიდა ბაზრების განვითარებაზე გადასვლა (მსოფლიოში საგარეო ვაჭრობის მოცულობის შემცირების გამო) მოითხოვს მათი ინოვაციური ციფრული საწარმოების სტრატეგიების გადახედვას.

**საკვანძო სიტყვები:** პატენტი, ინოვაციური აქტიურობა, სტრატეგია, მდგრადი განვითარება, ციფრული საწარმოები.

**Resume.** There is no universal innovative strategy that could fit every digital enterprise in the region. When forming an innovative strategy for digital enterprises, regions should take into account market demand generated by small, medium-sized (SMEs), and large enterprises. The share of large enterprises (5%) is much smaller in the world in relation to the number of SMEs (95%). In most countries, the number of large enterprises is less than 0.01%. The criteria for classifying strategies included: the priority of innovations of digital enterprises in the national market; deviation in demand and supply in the market of technologies for the digital enterprises; class of innovative activity of the digital enterprises in the region. Starting in 2022, regions are recommended to revise their innovation strategies. This is necessary

due to the transition of regions to the development of domestic markets due to the reduction in foreign trade
**Key Words:** patent, innovation activity, strategy, sustainable development, digital enterprise.

**შესავალი.** ციფრული საწარმოების პატენტების შემქმნელი ქვეყნების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება მსოფლიოში. ევროკავშირის კომისიის მონაცემებით, 2022 წლისთვის ასეთი პატენტი 43 ქვეყანას გააჩნია. რეგიონებში პატენტების რაოდენობის ზრდის უზრუნველყოფა დამოკიდებულია მოთხოვნის პოტენციურ მოცულობაზე [1]. "ინდუსტრია 4.0" კონცეფციის დანერგვა ხშირად ხდება მსხვილ საწარმოებში, მაგრამ ზოგიერთ რეგიონში, მსხვილი საწარმოების არარსებობის გამო, საჭიროა ხდება მისი დანერგვა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში [2]. მცირე და საშუალო ბიზნესში „ინდუსტრია 4.0“ კონცეფციის დანერგვა ხელს უწყობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. 2022 წლიდან, უმეტეს რეგიონებში მოხდა გადასვლა შიდა ბაზრების განვითარებაზე (გარე ვაჭრობის მოცულობის შემცირების გამო), ამიტომ რეგიონებმა უნდა გადახედონ ციფრული საწარმოების ინოვაციური საქმიანობის სტრატეგიებს. ეს ყველაფერი ხაზს უსვამს თემის აქტუალურობას.

სამუშაოს მიზანია ციფრული სამრეწველო საწარმოების ინოვაციური საქმიანობის შესწავლა რეგიონებში, მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების მოთხოვნიდან გამომდინარე. კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ რეგიონში ციფრული საწარმოებისთვის ინოვაციური სტრატეგიის ფორმირება არ შეიძლება განხორციელდეს ერთიანი მიდგომით ყველა რეგიონისთვის, აუცილებელია ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინება.
კვლევის მიზნები:
1. მონაცემების შეგროვება: ციფრული საწარმოების ინოვაციური საქმიანობის კლასებისა და არსებული საწარმოების რაოდენობის შესახებ რეგიონებში ზომის მიხედვით;
2. კორელაციის კოეფიციენტების გამოთვლა „ინდუსტრია 4.0“ ინოვაციური საქმიანობის კლასებსა და საწარმოთა რაოდენობას შორის (ზომის მიხედვით);
3. მიწოდებისა და მოთხოვნის თანასწორობიდან გადახრების დადგენა და მათზე დაყრდნობით ეროვნულ ბაზარზე ციფრული საწარმოებისთვის ინოვაციების დანერგვის პრიორიტეტების შეთავაზება;

4. რეგიონებში ციფრული საწარმოების ინოვაციური სტრატეგიების კლასიფიკაცია მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების მხრიდან მოთხოვნის არსებობის ან დეფიციტის შემთხვევაში.

**ძირითადი ნაწილი.** სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ არ არსებობს ზოგადი კონცეფცია, თუ რომელი პატენტი განსაზღვრავს „ინდუსტრია 4.0"-ის კონცეფციას. ამიტომ, ჩვენ ვთავაზობთ ცხრა ტიპის პატენტის გამოყენებას, რომლებიც გამოიყენება ევროკომისიის ანალიზებში [3]. ჩვენი აზრით, სრულად ჩამოყალიბებული ციფრული საწარმო არის საწარმო, რომელიც ახორციელებს საკუთარ და/ან შეძენილ ტექნოლოგიებს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე, მათ შორის კომუნიკაციებს გარე და შიდა გარემოსთან.

სტატიაში შესწავლილი ქვეყნების უმეტესობაში არ არსებობს საწარმოები სრულად 100%-ით აგებული „ინდუსტრია 4.0"-ის კონცეფციით. ამ საწარმოთაგან ზოგიერთს მხოლოდ „ინდუსტრია 4.0" კონცეფციის განხორციელება აქვს გეგმები [7].

პირველ ეტაპზე, ავტორთა ადრეული ნაშრომის საფუძველზე გამოვლინდა რეგიონებში ციფრული საწარმოების ინოვაციური საქმიანობის 9 კლასი. ისინი განისაზღვრება ინოვაციის დონის მიხედვით 43 რეგიონის კლასტერიზაციით [3]. რაც უფრო მცირეა კლასი, მით უფრო დაბალია ინოვაციის დონე და პირიქით. შემდეგ, განისაზღვრა რეგიონებში რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობა (ზომის მიხედვით), ევროკავშირის კომისიის და OECD 2022 წლის მონაცემებით - ეს იყო 43 ქვეყანა [26, 27]. ქვეყნები, რომლებსაც არ ჰქონდათ ციფრული ინოვაციები, არ მოხვდნენ სიაში (იხ. ცხრილი 1).

ცხრილ 2-ში (II ეტაპი) ნაჩვენებია ფარდობა მცირე და საშუალო ბიზნესის, მსხვილი საწარმოების რაოდენობასა და რეგიონების ინოვაციური აქტივობის კლასებს შორის.

III ეტაპზე (იხ. ცხრილი 3) გამოთვლილ იქნა მცირე და საშუალო ბიზნესის და მსხვილი საწარმოების რაოდენობის წილი მთლიან მსოფლიო მოცულობაში, ციფრულ ინოვაციებზე მოთხოვნის დასადგენად. ასევე, ინოვაციური აქტივობის კლასის მონაცემების (I ეტაპი) საფუძველზე, განისაზღვრა ციფრული ინოვაციების შეთავაზება.

ცხრილი 1.

საწარმოთა რაოდენობა ზომისა და ინოვაციური საქმიანობის კლასის მიხედვით რეგიონებში, რომლებიც 2022 წელს ფლობდნენ პატენტს ციფრული საწარმოებისთვის [3, 4, 5]

| ქვეყანა | რეგიონებში ციფრული საწარმოების ინოვაციური საქმიანობის კლასი | მცირე და საშუალო საწარმოების წილი საწარმოთა საერთო რაოდენობაში, %-ში | მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა | მსხვილი საწარმოების რაოდენობა | საწარმოთა საერთო რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 5 | 99 | 4 177 299 | 42 195 | 4 219 494 |
| კანადა | 6 | 99.8 | 2 452 905 | 4 916 | 2 457 821 |
| ჩინეთი | 8 | 84.4 | 38 000 000 | 7 023 697 | 45 023 697 |
| ინდოეთი | 5 | 95 | 37 500 000 | 1 973 684 | 39 473 684 |
| ისრაელი | 5 | 99.5 | 412 154 | 2 071 | 414 225 |
| იაპონია | 7 | 99.7 | 3 578 174 | 10 767 | 2 588 943 |
| ნორვეგია | 4 | 99.8 | 453 065 | 908 | 453 973 |
| რუსეთი | 5 | 96 | 6 184 204 | 275 675 | 6 441 879 |
| სინგაპური | 5 | 99 | 272 300 | 2 751 | 275 051 |
| სამხრეთ აფრიკა | 3 | 98.8 | 2 600 000 | 31 579 | 2 631 579 |
| სამხრეთ კორეა | 7 | 99.9 | 6 638 694 | 6 645 | 6 645 339 |
| შვეიცარია | 5 | 99.2 | 140 520 | 1 133 | 141 653 |
| ტაივანი | 5 | 97 | 1 380 000 | 42 680 | 1 422 680 |
| თურქეთი | 5 | 98. 8 | 3 221 233 | 6 455 | 3 227 688 |
| დიდი ბრიტანეთი | 7 | 99.9 | 5 452 535 | 5458 | 5 457 993 |
| აშშ | 9 | 99.9 | 32 000 000 | 32 032 | 32 032 032 |
| ავსტრალია | 6 | 99.6 | 325 765 | 1 308 | 327 073 |
| ბელგია | 5 | 99.9 | 682 643 | 683 | 683 326 |
| ბულგარეთი | 1 | 99.8 | 332 225 | 666 | 332 891 |
| ხორვატია | 1 | 99.8 | 178 333 | 357 | 178 690 |
| კვიპროსი | 1 | 99.8 | 57 469 | 115 | 57 584 |
| ჩეხეთი | 5 | 99.8 | 1 040 622 | 2 085 | 1 042 707 |
| დანია | 5 | 99.7 | 229 490 | 691 | 230 181 |
| ესტონეთი | 2 | 99.8 | 76 759 | 154 | 76 913 |
| ფინეთი | 6 | 99.7 | 229 173 | 690 | 229 863 |
| საფრანგეთი | 7 | 99.8 | 2 939 143 | 5 890 | 2 945 033 |
| გერმანია | 8 | 99.6 | 2 520 981 | 10 124 | 2 531 105 |
| საბერძნეთი | 2 | 99.9 | 694 346 | 695 | 695 041 |
| უნგრეთი | 2 | 99.9 | 673 524 | 674 | 674 198 |
| ირლანდია | 5 | 99.7 | 263 249 | 792 | 264 041 |
| იტალია | 6 | 99.9 | 3 544 509 | 3 548 | 3 548 057 |
| ლატვია | 1 | 99.8 | 104 668 | 210 | 104 878 |
| ლიტვა | 1 | 99.8 | 230 144 | 461 | 230 605 |
| ლუქსემბურგი | 5 | 99.9 | 36 751 | 185 | 36 936 |
| მალტა | 1 | 99.8 | 32 946 | 66 | 33 012 |
| ნიდერლანდები | 5 | 99.9 | 1 269 039 | 1 270 | 1 270 309 |
| პოლონეთი | 5 | 99.8 | 2 040 017 | 4 088 | 2 044 105 |
| პორტუგალია | 4 | 99.9 | 923 099 | 924 | 924 023 |
| რუმინეთი | 1 | 99.7 | 530 050 | 1 595 | 531 645 |
| სლოვაკეთი | 1 | 99.9 | 497 173 | 498 | 497 671 |
| სლოვენია | 1 | 99.8 | 150 454 | 302 | 150 756 |
| ესპანეთი | 5 | 99.9 | 2 564 893 | 2 567 | 2 567 460 |
| შვედეთი | 6 | 99.8 | 641 361 | 1 285 | 624 646 |

მიწოდებისა და მოთხოვნის ბალანსიდან გადახრა არის განსხვავება მიწოდებისა და მოთხოვნის რანგს შორის. მოთხოვნის ინდიკატორები დაჯგუფებულია 9 ფენად (ისევე როგორც მიწოდების), რაც დამოკიდებულია ინოვაციური საქმიანობის 9 კლასზე. მოთხოვნის თითოეულ ფენას ენიჭება რანგი 1-დან 9-მდე. ქვეყნის მაქსიმალური საბაზრო წილი მსოფლიოში მცირე და საშუალო ბიზნესებს შორის (23%) არის მე-9 რანგი. მსოფლიოს მსხვილ საწარმოებს შორის ქვეყნის მაქსიმალური ბაზრის წილი (74%) მე-9 რანგი. ბაზრის მინიმალური წილი 0% - 1 რანგი. თუ მიწოდების რანგი მეტია მოთხოვნის რანგზე, მაშინ არის მოთხოვნის დეფიციტი, წინააღმდეგ შემთხვევაში არის მიწოდების დეფიციტი.

მიწოდების ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია ციფრული საწარმოებისთვის ეროვნულ ბაზარზე ინოვაციების დანერგვის პრიორიტეტები. თუ მიწოდების რანგი მოთხოვნაზე მაღალია, პრიორიტეტი გარე ბაზრის ხარჯზეა. თუ მიწოდების რანგი დაბალია, ვიდრე მცირე და საშუალო ბიზნესის მოთხოვნა, პრიორიტეტი ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესს. თუ მიწოდების რანგი მსხვილი საწარმოების მოთხოვნაზე დაბალია, უპირატესობა ენიჭება მსხვილ საწარმოებს. თუ მიწოდებისა და მოთხოვნის რიგები მინიმალურია, ქვეყანას არ შეუქმნია პირობები ინოვაციების დანერგვისთვის.

ცხრილი 2

**კორელაცია ციფრული საწარმოების ინოვაციური აქტიურობის კლასებსა და საწარმოთა რაოდენობას (ზომის მიხედვით) შორის რეგიონებში**

| ფაქტორი | კორელაციის კოეფიციენტი (ფარდობითი ერთეული) | |
|---|---|---|
| | პირსონის მიხედვით | კენდალის მიხედვით |
| მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა | 0.44 | 0.50 |
| მსხვილ საწარმოთა რაოდენობა | 0.19 | 0.55 |
| საწარმოთა საერთო რაოდენობა | 0.41 | 0.50 |

ცხრილი 3.

ციფრული კომპანიისთვის ინოვაციების ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება რეგიონებში 2022 წლის მდგომარეობით

| ქვეყანა | მიწოდება (ინოვაციური აქტორების კლასი), რანგი | მოთხოვნა | | | | გადახრა მიწოდებისა და მოთხოვნის ბალანსიდან | ეროვნულ ბაზარზე ციფრული საწარმოებისთვის ინოვაციების დანერგვის პრიორიტეტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქვეყნის საბაზრო წილი MSE-ს შორის, % | ქვეყნის საბაზრო წილის რანგი MSE-ს შორის | ქვეყნის საბაზრო წილი მსხვილ საწარმოთა შორის, % | ქვეყნის საბაზრო წილის რანგი მსხვილ საწარმოთა შორის | | |
| ბრაზილია | 5 | 2.50 | 1 | 0.44 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| კანადა | 6 | 1.47 | 1 | 0.05 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| ჩინეთი | 8 | 22.72 | 9 | 74.4 | 9 | მიწოდ. დეფიციტი | MSE საწარმოები |
| ინდოეთი | 5 | 22.42 | 9 | 20.81 | 3 | მიწოდ. დეფიციტი | MSE საწარმოები |
| ისრაელი | 5 | 0.25 | 1 | 0.02 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| იაპონია | 7 | 2.14 | 1 | 0.11 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| ნორვეგია | 4 | 0.27 | 1 | 0.01 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| რუსეთი | 5 | 3.70 | 2 | 2.72 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| სინგაპური | 5 | 0.16 | 1 | 0.03 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| სამხრეთ აფრიკა | 3 | 1.55 | 1 | 0.33 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| სამხრეთ კორეა | 7 | 3.97 | 2 | 0.07 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| შვეიცარია | 5 | 0.08 | 1 | 0.01 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| ტაივანი | 5 | 0.83 | 1 | 0.01 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| თურქეთი | 5 | 1.93 | 1 | 0.07 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| დიდი ბრიტანეთი | 7 | 3.26 | 2 | 0.06 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| აშშ | 9 | 19.13 | 8 | 0.34 | 1 | მოთხ. დეფიციტი | MSE საწარმოები |
| ავსტრალია | 6 | 0.19 | 1 | 0.01 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| ბელგია | 5 | 0.41 | 1 | 0.01 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| ბულგარეთი | 1 | 0.20 | 1 | 0.01 | 1 | არ არის გადახრა | არა ყველა პირობა |
| ხორვატია | 1 | 0.11 | 1 | 0.00 | 1 | არ არის გადახრა | არა ყველა პირობა |
| კვიპროსი | 1 | 0.03 | 1 | 0.00 | 1 | არ არის გადახრა | არა ყველა პირობა |
| ჩეხეთი | 5 | 0.62 | 1 | 0.11 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| დანია | 5 | 0.14 | 1 | 0.01 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| ესტონეთი | 2 | 0.05 | 1 | 0.01 | 1 | მოთხ. დეფიციტი | არა ყველა პირობა |
| ფინეთი | 6 | 0.14 | 1 | 0.01 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| საფრანგეთი | 7 | 1.76 | 1 | 0.06 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| გერმანია | 8 | 1.51 | 1 | 0.11 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| საბერძნეთი | 2 | 0.42 | 1 | 0.01 | 1 | მოთხ. დეფიციტი | არა ყველა პირობა |
| უნგრეთი | 2 | 0.40 | 1 | 0.01 | 1 | მოთხ. დეფიციტი | არა ყველა პირობა |
| ირლანდია | 5 | 0.16 | 1 | 0.01 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| იტალია | 6 | 2.16 | 1 | 0.04 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| ლატვია | 1 | 0.05 | 1 | 0.00 | 1 | არ არის გადახრა | არა ყველა პირობა |
| ლიტვა | 1 | 0.14 | 1 | 0.00 | 1 | არ არის გადახრა | არა ყველა პირობა |
| ლუქსემბურგი | 5 | 0.02 | 1 | 0.00 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| მალტა | 1 | 0.02 | 1 | 0.00 | 1 | არ არის გადახრა | არა ყველა პირობა |
| ნიდერლანდები | 5 | 0.76 | 1 | 0.01 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| პოლონეთი | 5 | 1.22 | 1 | 0.04 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| პორტუგალია | 4 | 0.55 | 1 | 0.01 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| რუმინეთი | 1 | 0.32 | 1 | 0.02 | 1 | არ არის გადახრა | არა ყველა პირობა |
| სლოვაკეთი | 1 | 0.30 | 1 | 0.01 | 1 | არ არის გადახრა | არა ყველა პირობა |
| სლოვენია | 1 | 0.09 | 1 | 0.00 | 1 | არ არის გადახრა | არა ყველა პირობა |
| ესპანეთი | 5 | 1.53 | 1 | 0.03 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |
| შვედეთი | 6 | 0.38 | 1 | 0.01 | 1 | მოთხ. დეფიციტი | საგარეო ბაზარი |

IV ეტაპზე შედგენილია რეგიონებში ციფრული საწარმოების ინოვაციური სტრატეგიების კლასიფიკაცია მოთხოვნის არსებობის ან დეფიციტის MSE და მსხვილი საწარმოები) ნიშნით (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

**ციფრული საწარმოების ინოვაციური სტრატეგიების კლასიფიკაცია რეგიონებში 2022 წელს**

| სტრატეგიის კრიტერიუმები | სტრატეგიის ვარიანტები | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| ინოვაციის ფინანსების პრიორიტეტი ციფრული საწარმოებისთვის ეროვნულ ბაზარზე | MSE | MSE და მსხვილი საწარმოები | MSE | საგარეო ბაზარი | არ არის შექმნილი ყველა პირობა |
| გადახრა მიწოდებასა და მოთხოვნაში | მოთხოვნის დეფიციტი | მიწოდების დეფიციტი | მიწოდების დეფიციტი | მოთხოვნის დეფიციტი | არ არის გადახრა |
| ინოვაციური აქტივობა | მე-9 კლასი | 8მე-8 კლასი | მე-5 კლასი | მე - 3,4,5,6,7,8 კლასები | 1.2 კლასები |

სტრატეგიის ვარიანტები განისაზღვრა III ეტაპის მონაცემების მიხედვით (იხ. ცხრილი 3). სამეცნიერო ნაშრომების უმეტესობაში აღნიშნულია, რომ ციფრული საწარმოებისთვის ინოვაციების დანერგვა უფრო ხშირად ხდება მსხვილ საწარმოებში [6].

**დასკვნა.** მსოფლიოში მსხვილი საწარმოების რაოდენობის (5%) წილი მცირე და საშუალო საწარმოების (95%) წილთან შედარებით გაცილებით მცირეა (იხ. ცხრილი 1). უმეტეს ქვეყნებში (43 ქვეყნიდან 38-ში) მსხვილი საწარმოების რაოდენობა 0,01%-ზე ნაკლებია. ამ ქვეყნებში არ არსებობს შიდა მოთხოვნა ინოვაციებზე ციფრული საწარმოებისთვის. მხოლოდ ქვეყნებს, რომლებიც ლიდერები არიან მსხვილი საწარმოების რაოდენობის მიხედვით, ჰქონდათ შიდა მოთხოვნა (იხ. ცხრილი 3). მათ შორის არიან: ჩინეთი (მსოფლიოში მსხვილ საწარმოებს შორის მოთხოვნის ბაზრის წილი 74%); და ინდოეთი (21%). დანარჩენ 40 ქვეყანას აქვს მთლიანი მოთხოვნის ბაზრის წილი მსოფლიოს მსხვილ საწარმოებს შორის მხოლოდ 2%. ამიტომ, ქვეყნებმა, რომლებსაც არ აქვთ მოთხოვნის დიდი წილი მსხვილ საწარმოებს შორის, მაგრამ დომინირებენ მცირე და საშუალო ბიზნესის მხრივ, უნდა განახორციელონ ინოვაციები მცირე და საშუალო ბიზნესში. წამყვანი ქვეყნები მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობის მიხედვით (არის შიდა მოთხოვნა ინოვაციებზე ციფრული საწარმოებისთვის (იხ. ცხრილი 3) არიან: ჩინეთი (მსოფლიოში მცირე და საშუალო ბიზნესებს შორის მოთხოვნის ბაზრის წილი არის 23%); ინდოეთი (22%); აშშ. (19%); სამხრეთ კორეა და რუსეთი(4-4%). დანარჩენ 38 ქვეყანას ერთობლივად აქვს

მსოფლიოში მცირე და საშუალო საწარმოების მოთხოვნის საერთო საბაზრო ჯამური წილი - 28%. ჩვენი შედეგები მსგავსია ლ. გუმბის დასკვნისა: ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ სხვა სტრატეგია, თუ მათ არ აქვთ მსხვილი საწარმოების საკმარისი რაოდენობა [6].

კორელაციის კოეფიციენტებმა აჩვენა თანაფარდობის საშუალო დონე ინოვაციურ აქტივობასა და საწარმოების ზომას შორის. მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით (იხ. ცხრილი 3) შემოთავაზებულია რეგიონებში ციფრული საწარმოების 5 ინოვაციური სტრატეგიის კლასიფიკაცია. ციფრული საწარმოების ინოვაციური აქტივობის მაღალი დონის მქონე რეგიონები იყენებენ ინოვაციების დანერგვის სტრატეგიას მცირე და საშუალო ბიზნესში და მსხვილი საწარმოებში შიდა ბაზარზე. რეგიონების უმეტესობაში 74%-ში (43 ქვეყნიდან 32-ში) აქვს მოთხოვნის დეფიციტი შიდა ბაზარზე (გარდა ჩინეთისა, ინდოეთისა) და ისინი მიმართავენ დანერგვის სტრატეგიას გარე ბაზრის ხარჯზე, საწარმოს გარკვეული ზომის პრიორიტეტის გარეშე. დადასტურდა ჰიპოთეზა: რომ რეგიონში ციფრული საწარმოების ინოვაციური სტრატეგიის ფორმირება არ შეიძლება განხორციელდეს ერთიანი მიდგომით ყველა რეგიონისთვის, აუცილებელია ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინება. რეგიონების უმეტესობის სტრატეგიები არ არის ორიენტირებული შიდა ბაზარის მოთხოვნაზე (იხ. ცხრილი 3). ეს დასტურდება კორელაციური შედეგებითაც (იხ. ცხრილი 2).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. 2022 წლის მდგომარეობით, 43 ქვეყანაში არსებობს ციფრული საწარმოების ინოვაციური აქტივობის 9 კლასი საწარმოთა ზომის კრიტერიუმის მიხედვით;

2. კორელაციის კოეფიციენტებმა აჩვენა თანაფარდობის საშუალო დონე ციფრული საწარმოების ინოვაციური საქმიანობის კლასსა და საწარმოთა რაოდენობას შორის (ზომის მიხედვით);

3. რეგიონებში ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნის წონასწორობის მიღწევის მისწრაფება იწვევს მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევას;

4. ქვეყნების მინიმალურ რაოდენობას აქვს წარმატებული ციფრული საწარმოების ინოვაციების სტრატეგია 2022 წლისთვის. ციფრული საწარმოების ინოვაციური სტრატეგიების ავტორისეული კლასიფიკაცია ითვალისწინებს მცირე და საშუალო საწარმოების, ასევე მსხვილი

საწარმოების მიწოდებასა და მოთხოვნას და საშუალებას გაძლევთ ვნახოთ მათი დისპროპორცია რეგიონში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Arjoni D., Madani F., Ikeda G., Carvalho G., Cobianchi L., Ferreira L., Villani E. Manufacture Equipment Retrofit to Allow Usage in the Industry 4.0. In Proceedings 2nd International Conference on Cybernetics, Robotics and Control (CRC), 2017, pp. 155–161.
2. Nedelcu M., Dima A., Dinulescu R. Digital Factory – A Prerequisite for Revitalizing the Production Sector. In Proceedings of the 12th International management conference: Management Perspectives in the Digital Era, 2018, pp. 520–529. https://www.researchgate.net/publication/330510116_Digital_Factory_-_A_Prerequisite_for_Revitalizing_the_Production_Sector (accessed: 02.03. 2023).
3. Data dashboard of EC. URL: https://ati.ec.europa.eu/data-dashboard/ (accessed: 02.03 2023).
4. Data dashboard of EC. URL: https://single-market-economy.ec.europa.eu/smes/sme-definition_ en (accessed: 02.03.2023).
5. Data dashboard of OECD. URL: https://www.oecd-ilibrary.org/industry-and-services/financing-smes-and-entrepreneurs-2022_e9073a0f-en (accessed: 02.03. 2023).
6. Gumbi L., Twinomurinzi H. SMME Readiness for SmartManufacturing (4IR) Adoption: A Systematic Review. Lecture Notes in Computer Science (including subseries Lecture Notes in Artificial Intelligence and Lecture Notes in Bioinformatics), 2020, pp. 41–54, 12066. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC7134223/ (accessed: 02.03. 2023).
7. Girish K., Arjun B., Anurag K., Anuj P., Umang S. Analyzing Industry 4.0 Implementation Barriers in Indian SMEs. Journal of Industrial Integration and Management, 2022, vol. 7 (1), pp. 153–169. https://www.worldscientific.com/doi/10.1142/S2424862221500020 (accessed: 02.03. 2023).

# სასტუმრო მომსახურების ხარისხის სტანდარტები და სერტიფიცირების საერთაშორისო ორგანოები
# Hotel Service Quality Standards and International Certification Bodies

**ლარისა დოლიკაშვილი,** ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
**Larisa Dolikashvili**
Associate Professor,
Georgian National University

**რეზიუმე.** სასტუმრო მომსახურების შეძენისას, როცა არამატერიალურობა ართულებს მომხმარებლის გადაწყვეტილების მიღებას, ხარისხის სტანდარტების უცხოური გამოცდილების შესწავლა, როგორც ბაზრის სიგნალი, ნამდვილად აქტუალურია.

სასტუმროს მომსახურების სტანდარტი - სამუშაო ნორმების, წესებისა და მახასიათებლების დადგენის მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს: პროდუქციის, სამუშაოების უსაფრთხოების, გარემოს, სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების დაცვას; როგორია ტექნიკური და ინფორმაციული თავსებადობა, პროდუქციის, სამუშაოს, მაღალი ხარისხის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების დონის მიხედვით; ყველა სახის რესურსის დაზოგვა; ეკონომიკური ობიექტების უსაფრთხოება, ბუნებრივი, ტექნოგენური და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენცია; პერსონალის მაღალი უნარიანობა და მუდმივი სამობილიზაციო მზადყოფნა.

ცხადია არ გვეცოდინება შესრულდა თუ დაირღვა სტანდარტი თუ არ ვიცით რას მოიცავს ის კონკრეტულად განთავსების საშუალებებისათვის.

ნაშრომში შესწავლილია უცხოური გამოცდილება - სასტუმრო მომსახურების სტანდარტებსა და ხარისხის სერთიფიცირების საერთაშორისო ორგანოებზე, ადგილობრივი სასტუმრო მომსახურების ბაზრის ამ ნიშნით მდგომარეობა, სტანდარტის სახეების, მნიშვნელობის და გამოყენების შესახებ, როგორც ტურიზმის გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის პირობა.

**საკვანძო სიტყვები:** სასტუმრო მომსახურება, მომსახურების სტანდარტი, მომხმარებელთა ნდობა, სერთიფიცირების ორგანო, მომსახურების ბაზარი.

**Resume.** When purchasing hotel services, when immateriality makes it difficult for the customer to make a decision, the study of foreign experience of quality standards as a market signal is really relevant.

Standard - is a mechanism for determining work norms, rules and characteristics, which ensures: protection of products, work safety, environment, life, health and property; What is the technical and information compatibility, according to the level of products, work, high-quality engineering and technology; unity of measurements; saving all kinds of resources; Security of economic objects, prevention of natural, man-made and other emergency situations; High capacity of personnel and constant mobilization readiness.

Obviously, we won't know if the quality standard has been met or violated unless we know what it specifically covers for placement facilities. Of course, this does not apply to branded hotels, which have entered the Georgian hotel service market with pre-written, proven service standards.

In the paper, I studied foreign experience - hotel service standards and international quality certification bodies. We conducted qualitative and quantitative research on the types, importance and use of the

standard as a condition for long-term competitiveness and sustainability of tourism in the Georgian hotel market.

**Keywords:** Hotel Service, Service Standard, Customer Trust, Certification Body, Service Market.

**ძირითადი ნაწილი.** სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიაში ხარისხი იყოფა რამდენიმე ტიპად:

- ტექნიკური: შენობის, სასტუმროს ნომრების, აღჭურვილობის მდგომარეობა, რომელიც მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა შეაფასოს სასტუმრო კომპანიის არჩევამდე;
- ფუნქციონალური: სასტუმროს მომსახურების მიწოდების პროცესის ხარისხი, როდესაც არის უშუალო კონტაქტი სასტუმროს პერსონალთან;
- სოციალური: კულტურის ხარისხი, თანამშრომლის ქცევა და პოზიცია სტუმრებთან მიმართებაში (კეთილგანწყობა, პასუხისმგებლობა, თავაზიანობა).

ხარისხის სტანდარტების დანერგვა აიძულებს მენეჯმენტს გაანალიზოს სასტუმროს მომსახურების მომხმარებელთა მოთხოვნები, შეაფასოს მომსახურების ხარისხით კმაყოფილება. სასტუმროს მომსახურების ხარისხი ფასდება ინდიკატორების საფუძველზე რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

- სასტუმროს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მისი მომხმარებლების მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- მომსახურების ხარისხის შესაბამისობა სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიაში მოწინავე უცხოურ გამოცდილებასთან;
- მეცნიერებისა და ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევების გამოყენება სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესისა და სასტუმრო მომსახურების სექტორის განვითარების ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით;
- სასტუმროს მომსახურების თვისობრივი დახასიათება მისი სასიცოცხლო ციკლის ეტაპებზე, რაც განსაზღვრავს მომხმარებელთა გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარს მისი მიზნის შესაბამისად.

სტანდარტები, რომლებიც სავალდებულოა - მოიცავს ნორმების, მოთხოვნების, წესების შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურების უსაფრთხოებას ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, გარემოსა და საკუთრებისთვის, მომსახურების ხარისხს სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის განვითარების დონის შესაბამისად, რესურსების დაზოგვას, ეკონომიკური ობიექტების უსაფრთხოებას, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა კატასტროფების (ბუნებრივი და ტექნოგენური) და საგანგებო სიტუაციების წარმოშობის პრევენციასთან და ა.შ. სტანდარტიზაციის ვიწრო (სპეციფიკური) მიზნები

ეხება საქმიანობის გარკვეულ სფეროს, მთლიანად მომსახურების სექტორს, კონკრეტულ საწარმოს, კონკრეტულ მომსახურებას და ა.შ.

უცხოეთის გამოცდილებით სტანდარტები შემუშავებულია მაგალითად, განთავსების საშუალების პატარა სასტუმროში მორიგეობს ერთი ადმინისტრატორი თითო ცვლაზე, რომელიც პასუხისმგებელია რამდენიმე სახის აქტივობაზე: სტუმრის რეგისტრირების უზრუნველყოფა, გამგზავრებისას გადახდა, პასპორტების გაცემა, ბილეთების შეკვეთა, ოთახების დაჯავშნა. და ა.შ. დიდ სასტუმროში ამ მომსახურებას სხვადასხვა განყოფილების მენეჯერები ანხორციელებენ. შესაბამისად, თუ დიდ სასტუმროში სტანდარტი და ტექნოლოგია იწერება თითოეული განყოფილების თანამშრომლებისთვის, პატარა სასტუმროში ისინი შემუშავებულია მიმღების სამსახურის ერთი პერსონალის მიერ შესასრულებული, ყველა დავალების გათვალისწინებით. სასტუმრო მომსახურების სტანდარტები მოიცავს:

- მომსახურების ხარისხის კონტროლის სტანდარტი: დაჯავშნა (შეკვეთის დამუშავება, ეფექტიანი დაჯავშნა და ა.შ.), სუმრების აღრიცხვა, რეგისტრაცია, გასვლა, სტუმრებთან ანგარიშსწორება, დამლაგებლის მომსახურება (ოთახების მომზადება, დასუფთავება, მარაგის დონეები და ა.შ.);
- სასტუმროს პერსონალის სტანდარტი - დაკომპლექტება (დონე, სამუშაო განრიგი, დაქირავების პროცედურა, კვალიფიკაციის მოთხოვნები, მოტივაციისა და წახალისების სისტემა, პერსონალის შეფასების მეთოდები, ტრენინგი, კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ.);
- პერსონალის მუშაობის ხარისხის შეფასების სტანდარტები და სხვ.
- არქიტექტურული და დიზაინის სტანდარტები;
- ტექნოლოგიური სტანდარტები;
- გრაფიკული სტანდარტები;
- ბრენდის სტანდარტები;
- სტანდარტული საოპერაციო პროცედურები და ა.შ.

ორგანიზაციები მიმართავენ სტანდარტებს გაიდლაინების, განმარტებებისა და პროცედურების შესახებ, რომლებიც ეხმარება მათ მიაღწიონ მიზნებს, როგორიცაა:

მათი მომხმარებლების ხარისხის მოთხოვნების დაკმაყოფილება, მათი პროდუქტებისა და სერვისების უსაფრთხოდ უზრუნველყოფა, რეგულაციების დაცვა, გარემოსდაცვითი მიზნების შესრულება, პროდუქტების დაცვა კლიმატური ან სხვა არახელსაყრელი პირობებისგან,შიდა პროცესების განსაზღვრისა და კონტროლის უზრუნველყოფა. ხარისხის სტანდარტების გამოყენება ნებაყოფლობითია. ზოგიერთმა ორგანიზაციამ ან სამთავრობო უწყებამ შეიძლება მოითხოვოს

მომწოდებლებსა და პარტნიორებს კონკრეტული სტანდარტის გამოყენება, როგორც ბიზნესის კეთების პირობა.

ხარისხის სერტიფიცირების პროცესში ჩართულნი არიან მხარეები, როგორიცაა სერტიფიცირების სააგენტოები. სერტიფიცირების ორგანოები პასუხისმგებელნი არიან როგორც სერტიფიცირების პროცესის ზედამხედველობაზე, ასევე სერთიფიკატების გაცემაზე. სერტიფიცირებული ორგანიზაციების შერჩევა გადამწყვეტი ნაბიჯია ხარისხის მიღებისა და სერტიფიცირების პროცესში. არა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვადასხვა სერტიფიცირების ორგანო აწესებს სხვადასხვა განაკვეთებს აუდიტის ჩასატარებლად, არამედ იმიტომ, რომ მათი მომსახურება, განსაკუთრებით გარე აუდიტორების საქმიანობა, განსხვავებული ხარისხისაა .ნაკლებად აღიარებული სერტიფიცირების ორგანოს არჩევამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ხარისხის სტანდარტების დანერგვის ლეგიტიმურობას.ორგანიზაციები, რომლებიც სერტიფიცირებულნი არიან ცნობილი ორგანოების მიერ, აღიქმება, რომ აქვთ ხარისხის სტანდარტების უმაღლესი დონე, რითაც იზრდება მომხმარებელთა ნდობა.

არსებობს სხვადასხვა ტიპის ხარისხის მართვის სტანდარტები. ISO 9001 ხარისხის მართვის სტანდარტი არის სტანდარტების ყველაზე ცნობილი ნაკრები, რომლის საშუალებითაც კომპანიებს შეუძლიათ შეაფასონ თავიანთი ხარისხის მართვის სისტემა. ISO 9001 სერთიფიკატის ფლობა ეხმარება კომპანიას აღიარებული იყოს კონკურენტებზე უპირატესად. ISO 9001 ადგენს ხარისხის მართვის სისტემის კრიტერიუმებს და არის ერთადერთი სტანდარტი რომლის სერტიფიცირებაც შესაძლებელია ,მისი გამოყენება შეუძლია ნებისმიერ ორგანიზაციას, დიდს თუ პატარას, განურჩევლად მისი საქმიანობის სფეროსა. დღეისათვის 170-ზე მეტ ქვეყანაში არის მილიონზე მეტი კომპანია და ორგანიზაცია ISO 9001-ით სერტიფიცირებული. დღეისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი მსოფლიოს 164 ქვეყანაა, მათ შორის, საქართველოც - თუმცა არცერთ ქართული ინვესტიციებით აშენებულ სასტუმროს არ აქვს აღნიშნული სერთიფიკატი. მიუხედვადად, იმისა რომ დღეისთვის, 22 000-ზე მეტი სტანდარტია გამოქვეყნებული, შერჩევის პროცესი სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია გვთავაზობს, უნივერსალურ მენეჯმენტ სისტემებს.

სასტუმრო მომსახურების სფეროსათვის BS ISO 22483 სტანდარტი, რომელიც მომზადდა ბრიტანეთის სტანდარტების ინსტიტუტის (BSI) მიერ და შემდეგ განხილული და გამოქვეყნებული იქნა სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციაში (ISO). ადგენს ხარისხის მოთხოვნებს და რეკომენდაციებს სასტუმროების, ჰოსტელების, კურორტების საქმიანობისა და მომხმარებელთა კმაყოფილებისათვის. მიუხედავად სასტუმროს კლასისა

თუ კატეგორიის, პერსონალის, მომსახურების, გასართობი აქტივობების, უსაფრთხოების, ტექნიკური მომსახურების, დასუფთავების და სხვა მიმართულებით. ამ სტანდარტის მიზანია უზრუნველყოს საერთო და ხელმისაწვდომი მითითება იმ განთავსების ობიექტებისთვის მსოფლიოში, სადაც არ უნდა იყოს ისინი, რათა მომხმარებელს მიაწოდოს ხარისხიანი მომსახურება. ISO 22483: 2020 - ტურიზმი და მასთან დაკავშირებული სერვისები - სასტუმროები - მომსახურების მოთხოვნების სტანდარტი მოიცავს რეგულაციებს, რომლებიც აღმოფხვრის სტუმრების უკმაყოფილებას და ქმნის ერთსა და იმავე ენას მომსახურების სფეროში.[59]

ხარისხის მენეჯმენტის სტანდარტები თანაბრად მნიშვნელოვანია წარმოებისა და ტურისტული მომსახურების ბიზნესებისთვის და რომ ყველა სასტუმრომ შეიძლება ისარგებლოს ამ სტანდარტებით სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო ნაკლებად არის შესწავლილი მომსახურების საწარმოები, ვიდრე სამრეწველო საწარმოები. მიუხედავად იმისა, რომ სასტუმროებში ხარისხის მართვის სტანდარტების მნიშვნელობა აღიარებულია ამ სფეროს კვლევა ძალიან მწირია. ძალიან მნიშვნელოვანია მესამე მხარის სერთიფიკატების როლი და მათ ურთიერთობა ხარისხიანი სერტიფიცირებული სასტუმროების იმიჯთან. სასტუმროები, რომლებიც ცდილობენ გააუმჯობესონ თავიანთი შედეგები, არ შეიძლება უბრალოდ დაეყრდნონ ხარისხს, არამედ უნდა შეიმუშაონ სტიმული მომხმარებელთა მოსაზიდად. ამ კონტექსტში, სასტუმროს იმიჯმა შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს იმის გამო, რომ ის ხელს უწყობს მომხმარებელთა ქცევას, ძირითადად დარჩენის ხანგრძლივობას და მომსახურების მაღალ ფასს.

საქართველოს სასტუმრო ბაზრის მომხმარებლებისათვის, და ტურიზმში დასაქმებულთათვის გამოვიყენეთ თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა - როგორ წარმოუდგენიათ პრობლემის მოგვარება? სასტუმროს შერჩევისას რას ანიჭებენ უპირატესობას მომხმარებლები ხარისხს თუ ფასს? -გამოკითხვა ჩატარდა სტანდართული კითხვარით და google forms -ის პლატფორმის მიხედვით (7-12. 03.2023.), ელექტრონულად. საქართველოს სასტუმროები მომსახურებას უნდა სთავაზობდეს მომხმარებლებს შესაბამისი სტანდარტით? ვინ უნდა გასცეს შესაბამისი ხარისხის დამდასტურებელი სერთიფიკატი და ვინ უნდა გააკონტროლოს იგი ?(იხ.დანართი 1)

გამოკითხულთა 19 % სასტუმროშია დასაქმებული, 14 %-ტურიზმის სფეროში; 37 % სასტუმროს მომხმარებელია ბოლო ერთი წლის

---

[59] https://cdn.standards.iteh.ai/samples/73315/8ca7e90719b945e79cbc6adb268176b3/ISO-22483-2020.pdfTourism and related services — Hotels — Service requirements. INTERNATIONAL STANDARD ISO 22483.

განმავლობაში. 30% კი უმაღლესი სასწავლებლის ტურიზმის მიმართულების სტუდენტებია.

გამოკითხვის გაცნობით მივიღეთ შემდეგი მონაცემები: სასტუმროს შერჩევისას რა იწვევს თქვენს ნდობას? - ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობას უჭერს მხარს გამოკითხულთა 45 %. ახლობლების რჩევას -39%. კითხვაზე - სასტუმროში ცხოვრებისას დაბალი ხარისხის მომსახურება მოუყიდიათ მაღალ ფასად? -გამოკითხულთა 34 % დადებით პასუხს სცემს ამ კითხვას. არის თუ არა საჭირო გაკონტროლდეს სასტუმრო მომსახურების ბაზრის მიერ შეთავაზებული მომსახურების „სტანდარტის" ხარისხი?- გამოკითხულთა 87% ფიქრობს რომ აუცილებელია. 13 %-მდე ფიქრობს რომ ეს არ არის აუცილებელი. კითხვაზე - ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატების მინიჭება უნდა იყოს აუცილებელი ყველა განთავსების საშუალებისათვის? - დიახ- გამოკითხულთა 66% მიანიჭა უპირატესობა, 23%-მა მაღალი კატეგორიის სასტუმროებისათვის ჩათვალა აუცლებლად, 12%-მა ნებაყოფილობითობას დაუჭირა მხარი. კითხვაზე ვინ უნდა გასცეს და გააკონტროლოს ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატები საქართველოს სასტუმროებისათვის? გამოკითხულთა 45% მხარს უჭერს მაღალი იმიჯის საერთაშორისო ორგანოებს. 31 % სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებს, 25 % არაკომერციულ ორგანიზაცია ასოციაციებს.როგორც გამოკითხვიდან ჩანს უმრავლესობა აფიქსირებს სტანდარტების აუცილებლობას, როგორც ხარისხის განმსაზღვრელ ერთ-ერთ პირობას,რომელიც მნიშვნელოვანია სასტუმრო მომსახურების შეძენის დროს გადაწყვეტილების მისაღებად.

არაერთმა ტურისტულმა ქვეყანამ შეიმუშავა ტურისტული ხარისხის ნიშანი, „Q სისტემა" და ხარისხის სტანდარტი, რომელიც ადაპტირებულია სასტუმროს ინდუსტრიაზე, რომელთა საერთაშორისო ექვივალენტი არის ISO 22483:2020 და რომელიც შეესაბამება ISO 9000 და ISO 14,000 სტანდარტებს. მაგალითად: Green Key[60], Green Star Hotel Standard, Hostelling International-ის[61] ხარისხისა და მდგრადობის სტანდარტი და სხვ.აღნიშნული სტანდარტების დანერგვა არ გულისხმობს იმას რომ, ერთი კომპანია ცდილობდეს გააკეთოს მაქსიმუმი მოცემულ ბაზარზე. ეს არის მთელი ინდუსტრია, რომელიც დგას გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევების წინაშე იდეების შესწავლით, გადაწყვეტილებების, სტრატეგიების და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვავითაროთ მომავალი სასტუმროები და როგორ ვმართოთ ოპერაციები მდგრადი გზით.

---

[60] https://www.greenkey.global/why-green-key. Benefits of our certificate.

[61] https://wmprof.com/dk/green-care-professional-and-green-key-continue-their-partnership/ Working together for sustainable tourism: Green Care Professional and Green Key continue their partnership.

**დასკვნა.** მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ შეინარჩუნონ თავიანთი კონკურენტული უპირატესობა მხოლოდ მაღალი ხარისხის სერვისების მიწოდებით, რათა დააკმაყოფილონ ან გადააჭარბონ მათ საჭიროებებს. შესაბამისად, ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ ხარისხის მართვის ახალი სისტემები, რომლებიც დაფუძნებულია უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპებზე და მოიპოვონ მსოფლიოში ცნობილი ხარისხის დამადასურებელი საერთაშორისო სერტიფიკატები.
სასტუმროები, რომლებიც ცდილობენ გააუმჯობესონ თავიანთი შედეგები, არ შეიძლება უბრალოდ დაეყრდნონ მხოლოდ ხარისხს, უნდა შეიმუშაონ სტიმული მომხმარებელთა მოსაზიდად. ამ კონტექსტში, სასტუმროს იმიჯმა შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს.
სასტუმროს მაღალი ხარისხი, მისი კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორია; ამიტომ სერვისების სერტიფიცირება, მათი ხარისხის ობიექტური შეფასება, ფართოდ არის განვითარებული განვითარებულ ქვეყნებში. ISO-ს მიერ სტანდარტის ISO 9004-2 „სახელმძღვანელო სერვისების მიღება, რომელიც წარმოადგენს სერვისების ეროვნულ სტანდარტიზაციას სერტიფიკაციის ტექნოლოგიის საფუძველს შეიძლება ჩაითვალოს შეფასების მსოფლიო გამოცდილების საბოლოო ღირებულებად.
ქართული ინვესტიციებით აშენებული სასტუმროებისათვის ამ გამოცდილების გაზიარება აუცილებელია, შეიძლება ეს არ იყოს სავალდებულო ან მარეგულირებელი მოთხოვნა, მაგრამ ორგანიზაციამ უნდა განიხილოს როგორც მორალური ვალდებულება და პასუხისმგებლობა ტურიზმთან დაკავშირებული სერვისების გაუმჯობესების მიმართ, რათა შეინარჩუნოს პროდუქციის, მომსახურების ხარისხი და რაც მთავარია მომხმარებელი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Sustainable Travel Report 2022[უ.გ. 12.03,23]; https://globalnews.booking.com/download/1161485/booking.comsustainabletravelreport2022final.pdf-
2. Sustainable Hospitality: Eco-Friendly Industry Trends and Tips for Hotels https://businessblog-trivago-com.translate.goog/sustainable-hospitality-trends-eco-friendly-hotel-tips [უ.გ12.03.2023];
3. Become a Certified Hotel.ttps://www.gstcouncil.org/for-hotels-accommodations/[უ.გ09 .03.2023];
4. (ISO 9001 and related standardsQuality management) https://www.iso.org/iso-9001-quality-management.html[უ.გ. 12.03,23];
5. Tourism and related services — Hotels — Service requirements. INTERNATIONAL STANDARD ISO 22483..

https://cdn.standards.iteh.ai/samples/73315/8ca7e90719b945e79cbc6adb268176b3/ISO-22483-2020.pdf [უ.გ. 12.03,23];
6. ISO 22483: 2020 Tourism and Related Services Management System. https://www.sertifikasyon.com/en/hizmet/iso-22483-2020-turizm-ve-ilgili-hizmetler-yonetim-sistemi/ [უ.გ. 10.03,23];
7. „საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5420598?publication. [უ.გ. 19.03,23];

# ტურისტული რესურსები, როგორც ტურიზმის დარგის საინოვაციო საქმიანობის მიმართულება

# Tourist Resources as Innovative in the Field Of Tourism Direction of Activity

**ნაირა ღვედაშვილი,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
**Naira Gvedashvili,** Candidate of Economic Sciences,
Invited Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**რეზიუმე.** საქართველოს რეგიონების თვითმართველობის ორგანოებმა აქტიურად უნდა იმუშაონ მთელი რიგი პროექტების დაფინანსებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას ქვეყნის და რეგიონის ფარგლებში. რეგიონის იმიჯი და პრიორიტეტების დადგენა მთელ რიგ ფაქტორზეა დამოკიდებული. კერძოდ: საინვესტიციო კლიმატი, საინოვაციო და სოციალური პოლიტიკა, სამეცნიერო ტექნიკური პოტენციალი და რესურსული ბაზა, რეგიონის ისტორია და ა. შ.

ტურისტული ორგანიზაციები ახორციელებენ საინოვაციო საქმიანობას: ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვას ტრადიციული მომსახურების გაწევაში, ახალი თვისებების მქონე სერვისის დანერგვას, ადრე გამოუყენებელი ტურისტული რესურსების ამოქმედებას, ცვლილებებს ტრადიციულ მომსახურების გაწევასა და მოხმარების ორგანიზაციაში.

საქართველოში და კერძოდ რეგიონში ტურიზმის განვითარება, პირველ რიგში ითვალისწინებს ადგილობრივ ტურისტული ორგანიზაციების ორიენტაციას რეგიონის რეალური და პოტენციურ მომსახურებაზე. ტურისტულმა ფირმებმა უნდა შეეცადონ მომხმარებლებს შეთავაზონ სწორედ ისეთი სერვისი და ისეთ ფასად და იმ ხარისხით, რომლის შეთავაზებასაც ვერ შეძლებენ კონკურენტი ფირმები.

რეგიონის განვითარებისათვის ტურიზმს დიდი პოტენციალი აქვს საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც. არსებობს რეგიონები, რომელთა შემოსავალი ძირითადად ტურიზმიდან მიიღება. ასეთ რეგიონებად და რეგიონის ნაწილებად საქართველოში მიიჩნევა კახეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი, სამცხე-ჯავახეთი და ა. შ.

**საკვანძო სიტყვები:** რესურსების მიზანმიმართული გამოყენება, საინოვაციო პოლიტიკა, საინვესტიციო კლიმატი, ახალი ტურისტული რეგიონი, ტურისტულ სარგებლობაში ახალი ტერიტორიების ჩაბმა.

**Resume.** There should be regions of self-governing bodies of Georgia to work with the financing of a number of projects that contribute development of tourism within the country and region. Emage of the region and prioritization depends on a number of factors. In particular:Investment climate, innovative and social policy, scientific, technical potential and resource base, history of the region, etc. Sh.

Tourism organizations carry out innovative activities: introduction of new techniques and technologies in the provision of traditional services, introduction of services with new features, activation of previously unused tourist resources, changes in the organization of traditional service provision and consumption.

The development of tourism in Georgia and in particular in the region, first of all takes into account the orientation of local tourism organizations to the real and potential services of the region. Travel companies should try to offer their customers a service at a price and quality that competing companies cannot offer.

Tourism has great potential for the development of the region in Georgia and other countries. There are regions whose income is mainly derived from tourism. Kakheti, Svaneti, Racha-Lechkhumi, Tusheti, Pshav-Khevsureti, Mtiuleti, Samtskhe-Javakheti, etc. are considered such regions and parts of the region in Georgia.

**Keywords:** Purposeful use of resources, Innovation Policy, Investment Climate, New Tourist Region, Involvement Of New Territories In Tourism

**ძირითადი ნაწილი.** ტურისტული რესურსი ტურიზმის, როგორც ეროვნული ეკონომიკის დარგის განვითარების საფუძველია. ტურისტული რესურსების მიზანმიმართული გამოყენება და გონივრული მოხმარება დარგის მესვეურების მთავარი მიზანია. სადაც ტურისტული რესურსები დაუცველია, იქ დარგის განვითარება შეუძლებელია.

ტურისტულ რესურსებად კი განიხილება ტურიზმის სექტორისათვის ეკონომიკური ღირებულების მქონე მატერიალური ობიექტები და ის გეოგრაფიული ელემენტები, რომლებიც განკუთვნილია როგორც ქვეყანაში, ასევე რეგიონში დანიშნულების ადგილზე შემოსული ვიზიტორებისათვის სიამოვნებისა და კეთილდღეობის მისანიჭებლად.

საქართველოში და კერძოდ რეგიონში ტურიზმის განვითარება, პირველ რიგში ითვალისწინებს ადგილობრივ ტურისტული ორგანიზაციების ორიენტაციას რეგიონის რეალური და პოტენციურ მომსახურებაზე. ტურისტულმა ფირმებმა უნდა შეეცადონ მომხმარებლებს შეთავაზონ სწორედ ისეთი სერვისი და ისეთ ფასად და იმ ხარისხით, რომლის შეთავაზებასაც ვერ შეძლებენ კონკურენტი ფირმები.

თავის მხრივ, რეგიონის საერთაშორისო ცნობადობა ხელს უწყობს მის განვითარებას. კერძოდ, მისკენ მიემართებიან ინვესტორები და დიდძალ ინვესტიციებს დებენ მისი ეკონომიკის განვითარებაში. საქართველოს რეგიონების თვითმართველობის ორგანოებმა ეს უნდა გაითვალისწინოს და აქტიურად იმუშაონ მთელი რიგი პროექტების დაფინანსებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონის ტურიზმის განვითარებას და რესურსების მიზანმიმართულ, ყაირათიან გამოყენებას, იმიჯის შექმნას და სხვადასხვა პრიორიტეტების განსაზღვრას. რეგიონის იმიჯი და პრიორიტეტების დადგენა მთელ რიგ ფაქტორზეა დამოკიდებული. კერძოდ: საინვესტიციო კლიმატი, საინოვაციო პოლიტიკა, სოციალური პოლიტიკა, სამეცნიერო ტექნიკური პოტენციალი და რესურსული ბაზა, რეგიონის ისტორია და კულტურა, გეოგრაფიული მდებარეობა, ტექნოლოგიური და ინფორმაციული პოტენციალი, რეგიონის სტუმართმასპინძლობის აღქმა, ნაციონალური მენტალიტეტი და თავისებურებები, ტურპროდუქტის მომხმარებლების უზრუნველყოფა კომუნიკაციური კომფორტით და ა. შ.

რეგიონის ტურიზმის განვითარებაში სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ტურისტული ასოციაციები და ტურისტული ფირმების ერთობლივი საქმიანობა, დიდ როლს ასრულებს შიდა და გარე ბაზარზე ტურისტული პროდუქტის შემთავაზებელი ტერიტორიის იმიჯის ფორმირებაზე.

რეგიონის განვითარებისათვის ტურიზმს დიდი პოტენციალი აქვს საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც. არსებობს რეგიონები, რომელთა შემოსავალი ძირითადად ტურიზმიდან მიიღება. ასეთ რეგიონებად და რეგიონის ნაწილებად საქართველოში მიიჩნევა კახეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი, სამცხე-ჯავახეთი და ა. შ.

სწორედ ამ მიზეზით ამ ადგილებშიც და სხვაგანაც, დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის განვითარების სწორი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებას, ინოვაციების დანერგვას და გამოყენებას, კარგად შემუშავებული მართვის სისტემის დანერგვას და მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას, მიმართულს ტურისტების მოსაზიდად რეგიონში.

სტატისტიკა რომ მოვიშველიოთ, დავინახავთ, რომ ყოველ წელს იზრდება ვიზიტორების რაოდენობა საქართველოში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მხედველობაში თუ არ მივიღებთ პანდემიის პერიოდს, რომელმაც

მსოფლიო მაშტაბით შეაფერხა ყველა დარგის, მათ შორის ტურიზმის დარგის განვითარება და შეაფერხა ვიზიტორების მიმოსვლა. სტატისტიკის თანახმად, 2022 წელს, საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების 5,4 მილიონი შემოსვლა, რაც 2,9 ჯერ მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. შემოსვლების უდიდესი ნაწილი, 45,6 %-ი განხორციელდა 31-50 წლის მოგზაურების მიერ.

2022 წელს ყველაზე მეტი ვიზიტი(53, 6%) განიხილება დასვენების, გართობის და რეკრეაციის მიზნით.

ვიზიტების უმეტესობა განხორციელდა თბილისსა და აჭარაში(შესაბამისად, 2,6 მილიონი და 2,1 მილიონი ვიზიტი). ასევე, ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით, ასეთი სახე აქვს: კახეთი 3,7%-ი, იმერეთი-4,8%-ი, მცხეთა-მთიანეთი-12,1% და ა. შ., სხვა რეგიონებში 4, 8 %-ი.

ყოველივე აღნიშნული მეტყველებს ტურისტული პოტენციალის ამაღლებას, ხელშეწყობას და ინვესტორების დაინტერესებას რეგიონში ტურიზმის განვითარების კუთხით. რაც თავის მხრივ დასაქმებას, შემოსავლების ზრდას და ა. შ. დადებითი პროცესების განხორციელებას უზრუნველყოფს.

ახალი ტურისტული რესურსების გამოყენებას კი თავის მხრივ, ხელ უწყობს ტრადიციული მომსახურებით უზრუნველყოფილი ტურისტული მარშრუტების გეოგრაფიის გაფართოვება. ხშირად ტურისტებს უჩვენებენ სხვადასხვა ობიექტებს, რომლებიც თავდაპირველად შექმნილი იყო სხვა მიზნებისთვის, მაგრამ შემდეგ ღირსშესანიშნაობად იქცნენ მოცემული რეგიონისთვის, რომელსაც ასევე, არანაკლები შემოსავალი მოაქვს.

ახალი ტურისტული რეგიონის ათვისებას ხელს უწყობს სატრანსპორტო სისტემის და ასევე ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებაც, რასაც ემატება ტენდენცია საზღვრების ,,გამჭვირვალეობისკენ'', რომლის შედეგად დაშორების ფაქტორი ძალას კარგავს და ხდება მსოფლიო სივრცის ,,შეკრება.''

ბოლო დროს ინტერესი გაიზარდა ტურიზმის ყველა სახის, განსაკუთრებით კი რელიგიური ტურიზმის მიმართ. კერძოდ: ძეგლების, ტაძრების, მეჩეთების, საკულტო მუზეუმებისა და სასულიერო ცენტრების კუთხით, რაც ხელს უწყობს კიდევ უფრო რელიგიური ტურიზმის განვითარებას. წარმოიქმნება ფირმები, რომლებიც დაკავებულნი არიან რელიგიური ტურების ორგანიზაციით(როგორიცა უბრალოდ

დასათვალიერებლად, ისე სალოცავად წამსვლელთათვის). სამსახურები, მომლოცველთათვის შექმნილია ასევე მონასტრებში, ტაძრებსა და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსის ფორმირების სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების ანალიზი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მათი განვითარების მთელი რიგი სტადიები. კერძოდ, პირველ სტადიაზე ხდება რესურსების შერჩევითი ათვისება და ლოკალური ტურისტული ობიექტების შექმნა. მეორე სტადიაზე, როდესაც ტურისტული მიზნით, ტერიტორია, უკვე გარკვეული დროის მანძილზე გამოიყენება, ყალიბდება რეკრეაციული დაწესებულებების ჯგუფი. მესამე სტადიაზე იქმნება ან ტურისტულ მომსახურებაში ჩაებმება მეურნეობის მართვის სხვადასხვა თანამდევი სფეროების, მაგალითად, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა უკვე არსებული საწარმოები. მეოთხე სტადია ხასიათდება ტურისტული საქმიანობის სახეების გაფართოებით, ახალი რეკრეაციული და თანამდევი საწარმოების წარმოქმნით, ახალმა რეკრეაციულმა კომპლექსმა კი შეიძლება შეიცვალოს თავისი თავდაპირველი პროფილი. განვითარების მეხუთე სტადიაზე იმყოფება კომპლექსები ჩამოყალიბებული სპეციალიზაციითა და რეკრეაციული საწარმოებისა და ინფრასტრუქტურის ერთგვარი შეუღლებით.

ტურიზმი ხშირად გამოდის რეგიონალური განვითარების ,,კატალიზატორის'' როლში. ტურისტულ სარგებლობაში ახალი ტერიტორიების ჩაბმა ხელს უწყობს სუსტად დასახლებული და ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონების განვითარებას. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ევროკავშირის ქვეყნების დეპრესიული ძველი სამრეწველო რაიონების გამოცდილება. მათი ეკონომიკის სარეორგანიზაციო ღონისძიებათა კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მომსახურების მთელმა რიგმა დარგებმა, კერძოდ ტურიზმმა. ამასთან, მოხდა სამრეწველო ეპოქის მემკვიდრეობის შერჩევითი შენარჩულება და აღდგენაც, რათა მას მიენიჭოს ტურისტული მიმზიდველობა და შეიქმნას ინდუსტრიული ერის დასაწყისის რომანტიკული ატმოსფერო. როგორც წესი, მემკვიდრეობის ზონებთან დაკავშირებულია მომსახურების მცირე სხვადასხვა ობიექტების(ოტელები, კემპინგები, მოტელები, კლუბები, ლუდის პატარა დუქნები და ა. შ.) შექმნა,

თვით სამრეწველო ობიექტები მათი გარემომცველი ინდუსტრიული ლანდშაფტებითაც არც თუ იშვიათად იქცევიან ხოლმე მუზეუმად ღია ცის ქვეშ. ჩამორჩენილ რეგიონებში ტურიზმის განვითარების გზით ეკონომიკური პრობლემის გადაჭრის მრავალი დადებითი მაგალითები არსებობს დიდ ბრიტანეთში, ირლანდიაში, გერმანიაში, ფინეთში.

ახალი ტერიტორიების ტურისტული ათვისების პროცესი მიმდინარეობს არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ფართოვდება ტურისტული ცენტრების ჩამონათვალი. ტურიზმის ბაზარზე გავიდნენ აზიის, ჩრდილოეთ აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნები. ხდება ტრადიციულ და ახალ ტურისტულ მიმართულებებს შორის ტურისტების ნაკადის გადანაწილება. ამ პროცესში ტურისტული ორგანიზაციები ახორციელებენ საინოვაციო საქმიანობას: ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვას ტრადიციული მომსახურების გაწევაში, ახალი თვისებების მქონე სერვისის დანერგვას, ადრე გამოუყენებელი ტურისტული რესურსების ამოქმედებას, ცვლილებებს ტრადიციულ მომსახურების გაწევასა და მოხმარების ორგანიზაციაში, ტურისტულ მომსახურებათა და საქონელთა გასაღების ახალი ბაზრების გამოვლენასა და გამოყენებაში.

**გამოყენებული ლიტერატურა;**


1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა საქართველოში, თბ., 2022წ.
2. ნ. ღვედაშვილი, ,,ტურიზმის მენეჯმენტი.'' ელ. ვერსია, 2022წ.
3. ღვედაშვილი ნ. ,,მენეჯმენტი სოციალურ–კულტურული სერვისისა და ტურიზმის სფეროში''. თბ. 2009წ.
4. პერიოდული გამოცემები და ვებ-გვერდები
5. Саак А. Э, Пшеничных Ю. А. «Менеджмент в социально-культурном сервисе и туризме». Киев-Харков-Минск. 2007;
6. Л.М. Гайдукевич, О.С. Мозговая, «Региональное планирование развития туризма», М. 2011;
7. Спицын, В. В. «Формирование и реализации стратегий маркетинга туризма в регионе (региональная экономика: теория и практика). 2008. №11;
8. Ушаков Д. С. Прикладной туроперейтинг, Ростов на Дону, «Март», 2004.

# ელექტრონული ვაჭრობის თავისებურებები პანდემიის პირობებში
# Peculiarities of Electronic Trade in Pandemic Conditions

**ნინო დამენია,** ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროფესორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

**Nino Damenia,** Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
professor, St. Andrew The First-Called Georgian University of the Patriarchate Of GEORGIA

**რეზიუმე.** მსოფლიო ეკონომიკაში პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლის პროცესმა გამოიწვია საინფორმაციო ტექნოლოგიების და, კერძოდ, ინტერნეტის სწრაფი განვითარება, რაც გახდა ეკონომიკის ახალი სექტორის - ელექტრონული ვაჭრობის გაჩენის პირობა. ამ ინდუსტრიას ყველაზე კარგად ახასიათებს მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობა, ისევე როგორც გლობალურობა. ტრანზაქციების გლობალურობა და სიმარტივე ეხმარება კომპანიებს, ინდივიდებსა და ქვეყნებს იმუშაონ ერთმანეთთან ინტერნეტის საშუალებით და დადონ კონტრაქტები, უზრუნველყონ მომსახურება და განახორციელონ ტრანზაქციები სახლიდან გაუსვლელად, ონლაინ გადახდის საშუალებით სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით.

მას შემდეგ, რაც COVID-19 ინფექციის გავრცელება გლობალურ პრობლემად იქცა, შეზღუდვები შეეხო მრავალი სახის ბიზნესს. თუმცა, ამავდროულად, პანდემიამ დააჩქარა ელექტრონული კომერციის სექტორის ზრდა როგორც მთელს მსოფლიოში, ისე საქართველოში. შეზღუდვამ აიძულა ბევრი ადამიანი შეეძინა საქონელი ინტერნეტით პირველად ან უფრო მეტი სიხშირით. პანდემიამ აიძულა კომპანიები გადასულიყვნენ ონლაინ ვაჭრობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ელექტრონული ვაჭრობა, პანდემია

**Resume.** The process of transition to a post-industrial society in the world economy led to the rapid development of information technologies and, in particular, the Internet, which became a condition for the emergence of a new sector of the economy - electronic trade. This industry is best characterized by high economic efficiency as well as globality. Globality and ease of transactions help companies, individuals and countries to work with each other through the Internet and conclude contracts, provide services and carry out transactions without leaving home, through online payment using various electronic platforms.

Since the spread of the COVID-19 infection has become a global problem, restrictions have affected many types of businesses. However, at the same time, the pandemic has accelerated the growth of the e-commerce sector both worldwide and in Georgia. The restriction has forced many people to buy goods online for the first time or more frequently. The pandemic has forced companies to switch to online trading.

**Key Words:** Electronic commerce, pandemic

თანამედროვე პირობებში, ელექტრონული ვაჭრობა ბიზნესის განვითარების და აქედან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკის ფორმირების, ზრდისა და განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული ვაჭრობა საქართველოს ეკონომიკაში შედარებით ახალგაზრდა მიმართულებაა, იგი სწრაფი ტემპით ვითარდება.

თანამედროვე პირობებში, ვაჭრობა განვითარების ახალ საფეხურზე ადის და მასზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს. ელექტრონული ვაჭრობის მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი, პროდუქტის გაყიდვისას, დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირებაა.

ინტერნეტის საშუალებით ელექტრონული ვაჭრობის განვითარებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საქონლისა და მომსახურების მწარმოებელი ფირმების ვაჭრობის ორგანიზაციაში. მეწარმეები თავიანთ სტრატეგიას და ძალისხმევას მიმართავენ მომხმარებელთა ნდობის მიღებასა და შენარჩუნებაზე. ელექტრონული ვაჭრობა არა მხოლოდ შუალედური რგოლია მომწოდებლიდან მომხმარებლამდე პროდუქციის მიტანის პროცესში, არამედ გამყიდველსა და მყიდველს შორის ურთიერთობის განსაკუთრებული სისტემაა. კარგად გააზრებული კავშირი ინტერნეტთან და ონლაინ შოპინგის შესაძლებლობების გამოყენება, საშუალებას იძლევა შეიქმნას ერთგული მომხმარებლების ბაზა, მათი სურვილების გათვალისწინებით [1].

ელექტრონული კომერცია არ არის მხოლოდ ონლაინ მაღაზიები და ონლაინ აუქციონები, რომლებიც ორიენტირებულია საბოლოო მომხმარებლებზე, ის ასევე არის სავაჭრო სისტემა, მსხვილი ინდუსტრიული ორგანიზაციებისა და გაერთიანებების სპეციალიზებული სავაჭრო პლატფორმები, ელექტრონული სავაჭრო ბირჟები [2].

ინტერნეტის მასიური გამოყენების წყალობით, ერთდროულად ხდება ამოცანათა კომპლექსის გადაწყვეტა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს, კერძოდ, აჩქარებს საერთაშორისო ვაჭრობის სხვადასხვა პროცესს. შედეგად, მომსახურების საერთო დონე მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია წარმოების ღირებულების შემცირებით და სხვადასხვა ხარჯების შემცირებით ყველა მხარისთვის მოგების გაზრდის სასარგებლოდ. ტერმინი E-Commerce, რაც ნიშნავს „ელექტრონულ კომერციას“, სულ უფრო ხშირად გამოიყენება. ვაჭრობის გარდა, ის მოიცავს მონაცემთა გადაცემას და გაცვლას,

საბანკო გადარიცხვებს, ფოსტას, მონაცემთა ბაზის გაცვლას და ა.შ. ამ დროისთვის ელექტრონული კომერციის ბაზარი სულ უფრო და უფრო იზრდება [3].

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, საქონლითა და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 10% ელექტრონულ ვაჭრობაზე მოდის [4]. 2017 წელს ელექტრონული კომერციის ბაზარმა და მისმა მოცულობამ გადააჭარბა 1 ტრილიონ დოლარს, რაც პირველად მოხდა. 2018 წელს ეს მაჩვენებელი 30%-ით გაიზარდა და 1,3 ტრილიონ აშშ დოლარი შეადგინა. ელექტრონული კომერციის ყველაზე სწრაფად მზარდი ბაზარი ჩინეთში, ინდოეთსა და ინდონეზიაშია.

ქვეყნის პერსპექტივები ელექტრონულ ვაჭრობასთან მჭიდრო კავშირშია იმასთან, თუ რამდენი ადამიანი იყენებს ინტერნეტს და რამდენად მოსახერხებელია ონლაინ შოპინგის გამოცდილება. ახლა მსოფლიო განვითარების მომდევნო ეტაპზეა, რომელიც გამოირჩევა მონაცემთა გავრცელების სისწრაფით, შესაბამისად, ცვლილებები ხდება ცხოვრების სრულიად მრავალფეროვან სფეროებში, განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკურში [5].

სულ უფრო და უფრო მეტად, ეკონომიკა და ვაჭრობა, ინტერნეტ ბანკები და მაღაზიები, ონლაინ ბიბლიოთეკები და ბირჟები გარდაიქმნებიან ციფრულად და ვირტუალურად. ინტერნეტის განვითარება აჩვენებს, თუ როგორ იცვლება სამყარო და ხდება მისი ახალი სიმბოლო, რომელიც ასევე გავლენას ახდენს სხვადასხვა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ გადაწყვეტილებებზე.

ეჭვგარეშეა, რომ ონლაინ გაყიდვის შესაძლებლობამ მრავალი ბიზნესი მომგებიანი და სიცოცხლისუნარიანი გახადა. ისევე როგორც ყველა სხვა ბიზნეს მოდელს, ელექტრონულ ვაჭრობას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. აუცილებელია დადებითი და უარყოფითი მხარეების სწორად გათვალისწინება, რათა შესაძლებელი იქნას ინფორმირებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება.

დღესაც კი, ეგრეთ წოდებული „ინტერნეტ რევოლუციის“ შემდეგ, ელექტრონული ვაჭრობა რჩება შედარებით ახალ, განვითარებად და მუდმივად განვითარებად ბიზნესის მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროდ [6].

კორონავირუსის გლობალური გავრცელების გამო, ხალხი იძულებული გახდა დარჩენილიყვნენ სახლებში, რამაც მნიშვნელოვანი სტიმული მისცა ელექტრონულ ვაჭრობას. მან მოახდინა რევოლუცია მრავალი კომპანიის მუშაობაში.

2020 წლის დასაწყისიდან COVID-19 პანდემიამ უდიდესი როლი ითამაშა გლობალურ ეკონომიკურ განვითარებაში. გადაადგილების შეზღუდვამ და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სხვა ღონისძიებებმა შეამცირა ეკონომიკური აქტივობა ეკონომიკის უმეტეს სექტორებში და ქვეყნებში, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა წარმოებაზე, დისტრიბუციასა და მოხმარებაზე. შედეგად, გლობალური ეკონომიკა სავარაუდოდ შემცირდა 4 პროცენტზე მეტით 2020 წელს, გლობალური ვაჭრობა კიდევ უფრო დაზარალდა. ამავდროულად, პანდემიამ დააჩქარა ციფრული ტრანსფორმაცია. ციფრული გადაწყვეტილებები იქცა ინსტრუმენტად, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს და ბიზნესს გააგრძელონ თავიანთი ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის ნაწილი დისტანციურად. ამან გამოიწვია დისტანციური მუშაობის, ვიდეოკონფერენციის, ციფრული გართობის და სხვა აპლიკაციების ხშირი გამოყენება. ამან ასევე გამოიწვია ელექტრონული ვაჭრობის ზრდა.

ინოვაციები ტექნოლოგიასა და სავაჭრო მექანიზმებში უქმნის შესაძლებლობებს ყველა ზომის კომპანიებს მონაწილეობა მიიღონ შიდა და საერთაშორისო ვაჭრობაში მიწოდების ჯაჭვების ადაპტირებით, სავაჭრო ხარჯების შემცირებით და ბაზრის დაფარვის გაფართოებით.

COVID-19-ის პანდემიამ საგრძნობლად შეცვალა ვაჭრობის სტრუქტურა და ხელი შეუწყო საქონლისა და მომსახურების ონლაინ შესყიდვების ზრდას შიდა ბაზრებზე, სადაც გადაადგილების შეზღუდვამ, ისევე როგორც მომხმარებელთა არეულობამ შეაფერხა ფიზიკური ტრანზაქციები [7].

COVID-19-ის პანდემიამ დააჩქარა ელექტრონული კომერციის სექტორის ზრდა საქართველოში, რადგან მობილობის შეზღუდვამ აიძულა ბევრი ადამიანი შეეძინა საქონელი ინტერნეტით პირველად ან უფრო ხშირად. პანდემიამ აიძულა კომპანიები გადასულიყვნენ ონლაინ ვაჭრობაზე. მიუხედავად ზრდისა, ელექტრონული კომერციის წილი საცალო გაყიდვების მხოლოდ 1.1% შეადგინა (2020), რაც მნიშვნელოვნად დაბალი იყო განვითარებულ ბაზრებზე (ევროპაში იყო საშუალოდ 12%) [8].

2019 წლის ივლისიდან 2020 წლის ივლისამდე საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის 21,3%-მა, ანუ 630,7 ათასმა ადამიანმა, საქონელი ან მომსახურება ონლაინ შეიძინა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ონლაინ ვაჭრების წილი უფრო მაღალი იყო ქალაქებში (27.4% იმავე პერიოდში), ვიდრე სოფლის მცხოვრებლებს შორის (9.1%). მიუხედავად ზრდისა, საქართველოში ონლაინ ვაჭრების წილი კვლავ დაბალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში თუმცა, ზემოთ მოყვანილი ციფრები ზრდის პოტენციალზე მიუთითებს.

COVID-19 პანდემიამ აიძულა ადგილობრივი ბიზნესი გაეფართოებინათ ციფრული შეთავაზებები. ამავდროულად, შეზღუდულობის გამო საერთაშორისო მოგზაურობა გართულდა. შედეგად, 2018-2020 წლებში ადგილობრივი ელექტრონული კომერციის წილი 11%-დან 23%-მდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ სურსათის მიტანის სერვისი საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით არ მიეკუთვნება ელექტრონულ კომერციას, თუმცა, საქართველოში სუპერმარკეტების ონლაინ საიტების არარსებობის გამო, ეს სერვისი მოიცავდა საკვების, პირადი მოვლის საშუალებების და ფარმაცევტული პროდუქტების მიწოდების ფუნქციას. შედეგად, საქართველოში საკვების მიტანის სერვისი სუპერმარკეტებსა და აფთიაქებში ონლაინ ვაჭრობის ალტერნატივად იქცა. საკვების მიწოდების სექტორი მნიშვნელოვნად გაიზარდა COVID-19-ის შედეგად. სურსათის მიწოდების ბაზრის მოცულობამ 2020 წელს 167.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3-ჯერ აღემატება 2019 წლის მონაცემებს [9].

აღსანიშნავია, ისიც, რომ დაჩქარებული ელექტრონული კომერციის ტენდენცია, რომელიც დაფიქსირდა პანდემიის დროს, გაგრძელდა პოსტპანდემიურ პერიოდშიც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ეკონომიკაში მოქმედი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის საფუძველზე წარმოიქმნა და ვითარდება კომერციული ტრანზაქციების ახალი ფორმა - ელექტრონული ვაჭრობა, რომელსაც აქვს გარკვეული მსგავსება საბითუმო და საცალო ვაჭრობის ტიპებთან და ადრე გაჩენილ ელექტრონულ ტრანზაქციებთან, მაგრამ ასევე აქვს მნიშვნელოვანი განსხვავებები. იგი ხორციელდება გლობალურ ინტერნეტში და ექვემდებარება მონაწილეთა

ქცევის დაუწერელ წესებს, იყენებს მის საინფორმაციო რესურსებს და მომხმარებლის ურთიერთქმედების უნივერსალურ საშუალებებს.

გლობალურმა ინტერნეტმა ელექტრონული ვაჭრობა ხელმისაწვდომი გახადა ყველა ზომის ბიზნესისთვის. ელექტრონული ვაჭრობის განვითარებას და მისი მოცულობის ზრდას თან ახლავს არაერთი დადებითი ეფექტი გლობალური ეკონომიკისთვის. ეს არის ელექტრონული ვაჭრობის გაფართოების შედეგები და უპირველესად, ხარჯების შემცირება, ვაჭრობის პროცედურების გამარტივება, ინვესტიციების შემოდინების შესაძლებლობების გაფართოება, გეოგრაფიის გაფართოება და ბიზნესში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა, გაზრდილი კონკურენცია და სხვ. თუმცა, მისი დადებითი ეფექტის გვერდით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ელექტრონული ვაჭრობის გამოწვევებიც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ელექტრონული ვაჭრობის ნორმალურ ფუნქციონირებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის კომპიუტერული დანაშაულები, რომლებიც დაკავშირებულია ბანკების და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების კომპიუტერულ სისტემებსა და ქსელებში შეღწევასთან. ყოველივე ეს იწვევს ბიზნეს სუბიექტების საქმიანობას რეალურ ზარალს, რაც სახელმწიფოსთვის გამოიხატება ბიუჯეტში გადასახადების დეფიციტსა და ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. თოდუა ნ., აბულაძე რ., ინტერნეტ-მარკეტინგი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011; ელ. რესურსი: http://www.marketing.spb.ru/lib-mm/sales/multichannel_trading.htm, (გადამოწმებულია 25.11.2022)
2. Славников Д. Электронная торговля в Беларуси и странах СНГ. журнал: ,,Директор˜, 2002. №12. გვ. 11-14
3. Сибирская Е.В., Старцева О.А. Электронная коммерция: Учебноепособие. Москва. Изд - во: «Форум», 2013
4. Денисова А.Л., Н.В. Молоткова, М.А. Блюм – Электронная коммерция: основы организации и ведения бизнеса. Тамбов: Изд - воФГБОУ ВПО "ТГТУ". 2012 -გვ. 9 - 13.
5. Advantages and Disadvantages of E-Commerce | What are E-Commerce Advantages and Disadvantages
6. January 6, 2022, ელ.რესურსი: https://www.aplustopper.com/advantages-and-disadvantages-of-e-commerce/, (გადამოწმებილია 25.11.2022)

7. COVID-19 И ЭЛЕКТРОННАЯ ТОРГОВЛЯ, 2021, ელ.რესურსი: https://etradeforall.org/wp-content/uploads/2021/06/Covid-19-and-E-Commerce-2021-Executive_Summary_Russian_06_28.pdf
8. ელექგტონული კომერცია საქართველოში, ივლისი 20, 2021, ელ.რესურსი: https://api.galtandtaggart.com/sites/default/files/2021-07/report/e-commerce-in-georgia_july-2021_geo.pdf
9. ელექგტონული კომერცია საქართველოში, ივლისი 20, 2021, ელ.რესურსი: https://api.galtandtaggart.com/sites/default/files/2021-07/report/e-commerce-in-georgia_july-2021_geo.pdf

## საქართველო მდგრადი განვითარების გამოწვევების პირისპირ
## Georgia Facing the Challenges of Sustainable Development

**მაია ბენია,** სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
**ირმა დიხამინჯია,** სოხუმის სახელმწიფო უნივერისტეტის პროფესორი
**Maia Benia**, Associate Professor, Georgian Technical University
**Irma Dikhaminjia,** Professor, Sokhumi state University

**რეზიუმე**
მდგრადი განვითარება ნიშნავს ეკონომიკური ზრდის ისეთ სახეს, რომელიც განაპირობებს საზოგადოების კეთილდღეობას გრძელვადიანად. დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. გაეროს მიერ შემუშავებულია გლობალური ინდექსი, რითიც თითოეულ მდგრადი განვითარების მიზანს აფასებს შესრულების ოთხი და დინამიკის ასევე ოთხი ინდიკატორით. ეს ინდიკატორები გვიჩვენებს განხორციელების ტემპი რამდენად საკმარისია მიზნების მისაღწევად 2030 წლისათვის. ქვეყანაში მნიშვნელოვანი გამოწვევებია დარჩენილი მდგრადი განვითარების 4 მიზნის მიმართულებით - გენდერული თანასწორობა, ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება, ეკოლოგიური გამოწვევები. 12 მიზნის მისაღწევად ქვეყანას კიდევ მნიშვნელოვანი ღონისძიებები აქვს გასატარებელი, ხოლო ერთი მიზნის, კერძოდ, ხარისხიანი განათლების მიმართულებით, საერთაშორისო ინდექსის ინდიკატორების თანახმად, საქართველოს დასახული მიზანი თითქმის მიღწეულია.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი განვითარება, გლობალური ინდექსი, ეკონომიკური უთანასწორობა, კლიმატის ცვლილება, მწვანე ეკონომიკა, გენდერული თანასწორობა, შიმშილის აღმოფხვრა.

**Abstract.** Sustainable development means the kind of economic growth that leads to the well-being of society in the long term. The needs of the present must be met without jeopardizing future generations. A global index has been developed by the United Nations, which assesses each sustainable development

goal with four indicators of performance and four indicators of dynamics. These indicators show whether the pace of implementation is sufficient to achieve the goals by 2030. There are significant challenges remaining in the country in the direction of the 4 goals of sustainable development - gender equality, reduction of economic inequality, environmental challenges. In order to achieve 12 goals, the country still has important measures to take, and according to the indicators of the international index, Georgia has almost achieved the goal of one goal, namely quality education.

**Key words:** Sustainable Development, Global Index, Economic Inequality, Climate Change, Green Economy, Gender Equality, Hunger Eradication.

სკანდინავიის ეკონომიკურ სისტემას ხშირად სკანდინავიურ სამოთხედ მოიხსენიებენ. რამ განაპირობა ამ ქვეყნების ამგვარი წინსვლა? რაშია მთავარი საიდუმლო? ეკონომიკის წრფივი მოდელიდან ცირკულარულზე გადასვლამ, უნარჩენო წარმოების დანერგვამ, ბუნებრივი რესურსების გეგმაზომიერმა მოხმარებამ, მაღალმა მოქალქეობრივმა თვითშეგნებამ, მთავრობისადმი ნდობის მაღალმა ხარისხმა? ალბათ ყველა ზემოჩამოთვლილმა ერთად. ღირსეული პირობების შექმნამ ხელი შეუწყო ეგალიტარული საზოგადოების ფორმირებას.

მდგრადი ეკონომიკური განვითარება არის სისტემა, რომელიც გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ ჯანსაღი ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი. მდგრადი განვითარება ნიშნავს ეკონომიკური ზრდის ისეთ სახეს, რომელიც განაპირობებს საზოგადოების კეთილდღეობას გრძელვადიანად. დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს, მაქსიმალურად გავუფრთხილდეთ ეკოლოგიას, შევინარჩუნოთ და გავაუმჯობესოთ გარემოს სიჯანსაღის ხარისხი.

საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას (DCFTA), რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ჩართულობის ზრდას ევროკავშირის სტრატეგიებში, პროგრამებსა და ორგანიზაციებში; ასოცირების შეთანხმების 301-ე პარაგრაფის თანახმად, მხარეები თავიანთ ურთიერთობებს ააგებენ და გააძლიერებენ, მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით. მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის პროცესის წარმართვისთვის მდგრადი განვითარება ფუნდამენტური სტრატეგიად მოგვევლინა თითქმის ყველა დარგში.

მდგრადი განვითარების აქტუალურობა 21-ე საუკუნეში და მისი მიღწევები უკავშირდება საკმაოდ გრძელვადიან პროცესს. ამ პროცესში ეტაპობრივად იცვლებოდა დამოკიდებულება და ცნობიერება საზოგადოების, სახელმწიფოს თუ ბიზნეს სექტორის მხრიდან.

დეფინიცია „მდგრადი განვითარება“ პირველად 1713 წ. გერმანული სატყეო ცნობარში აღმოჩნდა, Nachhaltigkeit (ინგლ. sustained yield ანუ შენარჩუნებული მოსავალი) მხოლოდ 100 წლის შემდეგ დამკვიდრდა ინგლისურ სატყეო ცნობარში და მოიაზრებდა ტყის ერთიანი ეკოსისტემის შენარჩუნებას ფლორა-ფაუნით.

1972 წ. სტოკჰოლმში ჩატარებული გაეროს პირველი კონფერენცია გარემოსა და მდგრად განვითრებაზე იყო პირველი სერიოზული განაცხადი ამ კუთხით. კონფერენციაზე შეიკრიბნენ მსოფლიო ლიდერები, რათა განეხილათ ადამიანთა გავლენა გარემოზე და მის მიერ გამოწვეული შედეგები ეკონომიკურ განვითარებაში. კონფერენციის ერთ-ერთი მიზანი იყო იმ ძირითადი პრინციპების პოვნა, რომლებიც უბიძგებდა მსოფლიო მოსახლეობას საკუთარი გარემოს დაცვისკენ. სტოკჰოლმის კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (United Nations Environment Programme, UNEP) შექმნა. გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიის მიერ (WCED) 1987 წ. გამოიცა ბრუნდტლენდის ანგარიში, რომელიც ცნობილია, როგორც “ჩვენი საერთო მომავალი” (Our Common Future). ეს სახელი დაერქვა კომისიის მაშინდელი თავმჯდომარის, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის, **გრო ჰარლემ ბრუნდტლენდის** საპატივსაცემოდ. ანგარიშში ოფიციალურად პირველად განიმარტა მდგრადი განვითარება და ფაქტობრივად, საფუძველი ჩაეყარა მდგრადი განვითარების დღეს არსებულ აღქმას. ბრუნდტლენდის ანგარიშის მიხედვით, მდგრადი ეწოდება ისეთ განვითარებას, რომლის დროსაც ამჟამინდელი საჭიროებების დაკმაყოფილება ხდება მომავალი თაობების მიერ, საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილების უნარის რისკის ქვეშ დაყენების გარეშე. აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარების დღეს არსებული აღქმა, რომელიც გულისხმობს საზოგადოების ორგანიზებას იმგვარად, რომ შეძლოს გრძელვადიან პერიოდში არსებობა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვით, ასევე, სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის მიღწევა/შენარჩუნებით, ეფუძნება სწორედ ბრუნდტლენდის ანგარიშის განმარტებას.

ცნობიერების ამაღლებამ კლიიმატის ცვლილებაზე, პლანეტაზე და ადამიანის სიცოცხლეზე, განაპირობა მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (IPCCC) შექმნა. როგორც გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში 43/53 არის აღნიშნული, კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის მიზანია ყოვლისმომცველი ანგარიშებისა და რეკომენდაციების მომზადება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ არსებულ მეცნიერულ ცოდნაზე, კლიმატის ცვლილების სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებზე, აგრეთვე, სტრატეგიებსა და იმ პოტენციურ ელემენტებზე, რომელთა გათვალისწინებაც შესაძლებელია კლიმატის ცვლილების სამომავლო კონვენციებში. 1998 წლიდან დღემდე კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის მიერ მომზადებულია შეფასების 5 ციკლი და 5 ანგარიში, რომლებიც წარმოადგენს მსოფლიოში ყოვლისმომცველ სამეცნიერო დოკუმენტებს კლიმატის ცვლილების მიმართულებით. გაეროს 2000 წ. გლობალური შეთანხმება (UN Global Compact) არის მსოფლიოში ყველაზე **დიდი კორპორაციული მდგრადობის ინიციატივა**, რომელიც ხელს უწყობს ხალხისთვის, საზოგადოებისა და **ბაზრისთვის მდგრადი და ინკლუზიური გლობალური ეკონომიკის** შექმნას.

2012 წ. 20-22 ივნისს ბრაზილიაში რიო-დე-ჟანეიროში გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენციაზე – Rio+20. შეიმუშავეს პოლიტიკური შედეგების დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მკაფიო და პრაქტიკულ ნაბიჯებს მდგრადი განვითარების მისაღწევად. სწორედ ამ კონფერენციაზე დაიწყო მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შემუშავების პროცესი. აღნიშნული უნდა ყოფილიყო ათასწლეულის განვითარების მიზნების ბუნებრივი და ზევრად ეფექტური გაგრძელება. ამავე კონფერენციაზე მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები **მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის** მიმართულებით.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წ. სექტემბერში მიიღო რეზოლუცია **„ჩვენი სამყაროს გარდაქმნა - 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“**, რომელიც იმავე წლის ოქტომბერში შევიდა ძალაში. გაიწერა **მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169** ამოცანა, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია და სამ ძირითად განზომილებაში ერთიანდება - ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური. საქართველომ, სხვა ქვეყნების მსგავსად, მოახდინა მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაცია,

რის ფარგლებშიც ეროვნულ დონეზე 17 მიზნისა და მათი ამოცანების იმპლემენტაციის მონიტორინგისთვის შემუშავდა **202 ეროვნული ინდიკატორი.**

ნაციონალიზაციის პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის შერჩეულ იქნა არსებულ **პოლიტიკის დოკუმენტებთან მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების დაკავშირების ჰორიზონტალური ინტეგრაციის მოდელი.** განსხვავებით ვერტიკალური მეთოდისგან, რომლის დროსაც იქმნება ერთიანი, ახალი ყოვლისმომცველი მდგრადი განვითარების სტრატეგია, **ჰორიზონტალური ინტეგრირების მოდელი გულისხმობს გლობალური მიზნებისა და მათ ამოცანათა დაკავშირებას და ასახვას არსებულ თემატურ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში.** ასევე ჩამოყალიბდა უმაღლესი რანგის პოლიტიკური ფორუმი მდგრადი განვითარებისთვის (High-level Political Forum on Sustainable Development (HLPF).

ევროკავშირი მსოფლიო ლიდერია, როგორც კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე პლანეტის დაცვის საქმეში. 2019 წ. დეკემბერში წარდგენილი ახალი "მწვანე შეთანხმების" ინიციატივის ფარგლებში, ევროკავშირი აპირებს, გადადგას შემდეგი ნაბიჯი და **2050 წლისთვის გახდეს პირველი კლიმატ-ნეიტრალური კონტინენტი, სადაც:**

**ა) 2050 წლისთვის აღარ მოხდება სათბურის აირების გაფრქვევა;**

**ბ) ეკონომიკური ზრდა არ იქნება დამოკიდებული რესურსების მოხმარებაზე;**

**გ) არცერთი ქვეყნა და არცერთი ადამიანი არ დარჩება ამ ინიციატივის მიღმა.**

რა ხდება ამ მხრივ საქართველოში, როგორ ვასრულებთ მდგრადი განვითარების მოთხოვნებს, რა დავნერგეთ, რა ვერ განხორციელდა და რა გამოგვივიდა კარგად? მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების პროგრესის რეიტინგში 165 ქვეყნიდან საქართველო 56-ე ადგილს იკავებს, ჩამოუვარდება ბელარუსს, უკრაინას, ყირგიზეთს, რუსეთს, მოლდოვასა და აზერბაიჯანს. ქვეყანაში მნიშვნელოვანი გამოწვევებია მდგრადი განვითარების 4 მიზნის მიმართულებით - "გენდერული თანასწორობა" (SDG-5), "ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება" (SDG-10) და ეკოლოგიური გამოწვევების (SDG 14-15) თვალსაზრისით. შიმშილის

აღმოფხვრის და ეკოლოგიური მიზნების, ასევე მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით სტაგნაცია აღინიშნება.

გლობალური ინდექსი თითოეულ მდგრადი განვითარების მიზანს აფასებს შესრულების 4 და დინამიკის 4 ინდიკატორით, რომლებიც მიუთითებენ იმაზე თუ რამდენად არის საკმარისი წინსვლის მიმდინარე ტემპი მიზნების მისაღწევად 2030 წლისათვის. ქვეყანაში მნიშვნელოვანი გამოწვევებია დარჩენილი მდგრადი განვითარების 4 მიზნის მიმართულებით - გენდერული თანასწორობა (SDG-5), ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება (SDG-10) და ეკოლოგიური გამოწვევები (SDG 14-15). საერთო ჯამში, 12 მიზნის მისაღწევად ქვეყანას მნიშვნელოვანი ღონისძიებები აქვს გასატარებელი, ხოლო ერთი მიზნის, კერძოდ, ხარისხიანი განათლების მიმართულებით, საერთაშორისო ინდექსის ინდიკატორების თანახმად, საქართველოს დასახული მიზანი მიღწეულია.

რაც შეეხება პროგრესის დინამიკას, შიმშილის აღმოფხვრის და ეკოლოგიური მიზნების, ასევე მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით სტაგნაცია აღინიშნება. მცირედი გაუმჯობესებააა 8 მიზნის შემთხვევაში, თუმცა ტემპი საკმარისი არ არის 2030 წლისთვის მიზნების სრულყოფილად შესასრულებლად. გეგმის მიხედვით მიმდინარეობს მდგრადი განვითარების ორი მიზნის შესრულება: ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია (SDG-7) და ხარისხიანი განათლება (SDG-4), რომლის საერთაშორისო სამიზნე ნიშნულები უკვე მიღწეულია და ამჟამად შედეგები შენარჩუნებულია. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, ამ უკანასკნელის შეფასების მიზნით ანგარიში იყენებს 3 ბაზისურ ინდიკატორს რომლებიც საქართველოში მაღალ ნიშნულზე იყო მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვამდეც, ესენია: საშუალო განათლების მაჩვენებელი (ბავშვთა პროცენტული რაოდენობა ვინც იღებს საშუალო განათლებას), დაწყებითი განათლების დასრულების მაჩვენებელი, და წიგნიერების დონე.

2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი და მდგრადი განვითარების მიზნები ხაზს უსვამს ქვეყნების მიერ სანდო მონაცემებისა და სტატისტიკის წარმოების მნიშვნელობას. ამასთან, SDG-17 პირდაპირ მოუწოდებს ქვეყნებს, გააძლიერონ თავიანთი სტატისტიკური შესაძლებლობები. სანდო, დროული და ყოვლისმომცველი მონაცემების ხელმისაწვდომობა აუცილებელია პოლიტიკოსებისთვის ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და პროგრესის შესაფასებლად.

გლობალურ გამოწვევებთან გასამკლავებლად საჭიროებენ ძლიერ მულტილატერალურ სისტემას. **არც ერთ ქვეყანას არ შესწევს უნარი დამოუკიდებლად გაუმკლავდეს ამ გლობალურ გამოწვევებს, სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი მულტილატერალური სისტემის ეფექტურად მუშაობის ხელშეწყობა. მზადყოფნის გაძლიერება, კოორდინირებული მოქმედება და კრიტიკული რისკების მიმართ სიმტკიცე არის ის ძირითადი ფაქტორები, რაც ხელს შეუწყობს გაეროს ინიცირებულ მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვას.**

პანდემიის შედეგად გამოიკვეთა ციფრულ ინფრასტრუქტურაზე წვდომის და უნივერსალური ჯანდაცვის გეგმის მნიშვნელობა. მდგრადი განვითარების მიზნები მოიცავს სოციალური სერვისების გაძლიერებას და ძირითადი სამედიცინო მომსახურების უნივერსალურ დაფარვას. ციფრულმა ტექნოლოგიებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს სოციალური მომსახურების, გადახდების, სკოლისა და ჯანდაცვის შენარჩუნებაში დაწესებული შეზღუდვებისას.

ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემების დაგვიანებული განახლება და სხვა არსებული ხარვეზები ხაზს უსვამს სტატისტიკური შესაძლებლობების განვითრებისთვის დამატებითი ინვესტიციების და ახალი მიდგომების საჭიროებას SDG-ის შესრულების მონიტორინგის მიზნით. მდგრადი განვითარების მიზნების პროგრესის მონიტორინგისთვის საჭიროა ზუსტი და დროული მონაცემები.მნიშვნელოვანი ხარვეზები გვხვდება მრავალი SDG-ის ფარგლებში სტატისტიკის შეგროვების თვალსაზრისით, განსაკუთრებით, SDG-4 (ხარისხიანი განათლება), SDG-5 (გენდერული თანასწორობა), SDG-12 (მდგრადი მოხმარება და წარმოება), SDG-13 (კლიმატის მდგრადობის მიღწევა) და SDG-14 (წყალქვეშა რესურსები). მსოფლიოში სტატისტიკის წარმოების კუთხით, 2015 წლიდან მიღწეული პროგრესის მიუხედავად, დაბალშემოსავლიან ქვეყანებში სტატისტიკური შესაძლებლობების გასაძლიერებლად აუცილებელია დამატებითი ინვესტიციები.

საქართველო მდგრადი განვითარების ინდიკატორების გათვალისწინებით ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გაჰყვეს დასავლურ კურსს, გააძლიეროს დემოკრატიული ინსტიტუციების ფუნქციები, დაიცვას ადამიანის უფლებები და სხვა ფუნდამენტური უფლებები, რათა ღირსეულად დაიმკვიდროს ადგილი ევროპულ ოჯახში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Sachs, J., Kroll, C., Lafortune, G., Fuller, G., Woelm, F. (2021). The Decade of Action for the Sustainable Development Goals: Sustainable Development Report 2021. Cambridge: Cambridge University Press.
2. https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98
3. გაეროს მდგრადი განვითრების მიზნების ნაციონალიზაციის დოკუმენტი
4. https://www.adb.org/ka/news/georgias-economy-recover-covid-19-impact-2021-45-growth-adb
5. https://idfi.ge/ge/sdg-report-2021-georgia-results


# პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აჭარაში
# Foreign Direct Investments in Adjara Region


**გიორგი რიჟვაძე,**
დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Giorgi Rizhvadze,**
PhD student, Batumi Shota Rustaveli State University



**რეზიუმე.** პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე აღიარებული და დადასტურებულია როგორც, თეორიული, ასევე პრაქტიკული მიდგომებითაც. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო მიმდინარე ტენდენციები, ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და მისი პოპულარიზაცია, ხშირად სახელმწიფოების გამოწვევად რჩება.

უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე მოქმედი ფაქტორები განსხავებულია და დამოკიდებულია საერთო-ეკონომიკურ და კორპორაციულ ფაქტორებზე, რომელიც გამომდინარეობს, არამარტო ქვეყნის შიდა ეკონომიკური პოლიტიკიდან, არამედ მსოფლიო ტენდენციებიდანაც, ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და მისი პოპულარიზაცია, ხშირად სახელმწიფოების გამოწვევად რჩება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი მოქმედება აისახება ქვეყნის ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორზე, ამიტომ მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და მისი პოპულარიზაცია საქართველოს მსგავსი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის გამოწვევად რჩება.

ისევე როგორც მთელი ქვეყნისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანი გავლენას ახდენს რეგიონების სოციალურ - ეკონომიკური კეთილდღეობის გაჯანსაღების პროცესში, რაც აისახება შემოსავლების ზრდაში.

**საკვანძო სიტყვები:** პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ინვესტიციები აჭარაში, აჭარის საინვესტიციო კლიმატი.

**Resume.** The impact of direct foreign investment on the economy of the receiving country is recognized and confirmed both by theoretical and practical approaches.
The inflow of direct foreign investments is significantly influenced by current world trends, therefore, the creation of an attractive investment environment by the state and its promotion often remains a challenge for states.
The factors affecting the inflow of foreign investments are explained and depend on general economic and corporate factors, which derive not only from the domestic economic policy of the country, but also from world trends, therefore, the creation of an attractive investment environment by the state and its promotion often remains a challenge for governments.
The positive effect of foreign direct investments affects almost all sectors of the country's economy, therefore creating an attractive investment environment and its promotion remains a challenge for countries with an economy similar to Georgia's.
As well as for the entire country, direct foreign investments have a significant impact on the process of improving the social and economic well-being of the regions, which is reflected in the growth of income.
**Keywords:** Foreign direct investments, investments in Adjara, investment climate of Adjara.

საქართველოს სტატისტიკის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2022 წელს 2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2021 წლის დაზუსტებულ მონაცემებს 61.1 პროცენტით აღემატება. ზრდა განპირობებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორი კომპონენტის - სააქციო კაპიტალისა და რეინვესტიციის მაჩვენებლის გაზრდით.

ქვემოთ მოცემულ 1 ცხრილში წარმოდგენილია დაზუსტებული მაჩვენებლები.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2022 წელს 56.5 პროცენტი შეადგინა. ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორში განხორციელდა და 526.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 26.3 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება უძრავი ქონების სექტორი 406.9 მლნ. აშშ დოლარით (20.3 პროცენტი), ხოლო მესამეზე - წყალმომარაგების და ნარჩენების მართვის სექტორი 197.0 მლნ. აშშ დოლარით (9.9 პროცენტი)

ცხრილი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2013-2022 წწ. (მლნ აშშ დოლარი)

| [illegible] | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **[illegible]** | **1 039.2** | **1 837.0** | **1 728.8** | **1 654.0** | **1 990.5** | **1 351.5** | **1 352.2** | **589.8** | **1 241.8** | **2 000.0** |
| I კვ | 291.8 | 331.9 | 343.1 | 392.9 | 415.0 | 337.3 | 318.4 | 173.8 | 131.3 | 575.5 |
| II კვ | 224.1 | 217.6 | 495.7 | 457.6 | 398.1 | 473.3 | 249.5 | 246.4 | 377.5 | 361.3 |
| III კვ | 271.6 | 749.5 | 531.1 | 507.0 | 637.0 | 373.0 | 406.2 | 296.9 | 373.9 | 739.3 |
| IV კვ | 251.6 | 538.0 | 361.0 | 300.6 | 540.5 | 213.0 | 378.0 | -127.2 | 411.1 | 324.0 |

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება რეგიონებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკას თბილისის შემდეგ აჭარაში განხორციელებული ინვესტიციების მაჩვენებელი 2021 წელთან შედარებით საგრძნობლად არის გაზრდილი და დაზუსტებული მონაცემების შესაბამისად შეადგინა 116 542.8 მილიონი აშშ დოლარი, აღნიშნული მაჩვენებელი არ არის რათქმაუნდა ოპტიმალური რაოდენობა, მაგრამ პანდემიის მძიმე მარწუხებისგან დახსნის შემდეგ მნიშვნელოვანი პროგრესია.

საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით აჭარა ინვესტორებისათის განსაკუთრებით მიმზიდველია თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, აჭარას აქვს პოტენციალი, როგორც ზღვისპირა რეგიონის მსხვილი კაპიტალური პროექტის განხორციელების და განვითარების ასევე მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებში ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნის თვალსაზრისით.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამომავლოდ აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ გაიზრდება, რაც იქნება შედეგი სწორი საინვესტიციო პოლიტიკის გატარების.

ცხრილი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით (აჭარა)

| [illegible] | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **1,039,** | **1,836,** | **1,728,7** | **1,653,9** | **1,990,52** | **1,351,52** | **1,352,18** | **589,79** | **1,241,82** | **1,999,99** |
| **[illegible]** | **174.7** | **980.0** | **58.1** | **93.4** | **6.4** | **9.7** | **1.7** | **8.1** | **1.7** | **0.1** |
| [illegible] | | | | | | | | | | |
| [illegible] | 750.2 | 1 343. | 1,302.9 | 1,415.9 | 1 534.47 | 1,072.32 | 947.519. | 340.19 | 1,343.43 | 1,713.82 |
| [illegible] | 69.5 | 107.0 | 13.2 | 96.3 | 1.2 | 2.4 | 5 | 9.7 | 7.0 | 5.4 |
| [illegible] | 83.15 | 169.0 | 207.149 | 108.520 | 212.909. | | 193.271. | 70.432 | | 115.542. |
| [illegible] | 7.5 | 75.9 | .1 | .0 | 2 | 85.015.2 | 3 | .0 | 84.956.2 | 8 |

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 3 - ში წარმოდგენილია მონაცემები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კომპონენტების შესახებ სადაც ნათლად შეგვიძლია დავინახოთ, რომ განხორციელებული ინცესტიციების ზრდის ტენდენცია განპირობებულია სააქციო კაპიტალისა და რეინვესტიციის მაჩვენებლის გაზრდით.

საქართველოს ეკონომიკის რეფორმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის ეკონომიკის უმეტეს პოზიციებში ტექნოლოგიურ ჩამორჩენას, საქართველოსათვის აუცილებელია უცხოური კაპიტალი, რომელიც ქვეყნისათვის ახალი კაპიტალის, მოწინავე ტექნოლოგიებისა და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას შეუწყობს ხელს, აგრეთვე წაახალისებს შიდა ინვესტიციებსაც აჭარაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბება, აღნიშნული აქტივობა ხელს შეუწყობს თითოეული მუნიციპალიტეტის უპირატესობის წარმოჩენას რეგიონალურ და საერაშორისო დონეზე, რაც ხელს უწყობს ცნობადობის ზრდას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობაზე დადებითად აისახება.

**ცხრილი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით**

| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 1,039,171.2 | 1,836,980.0 | 1,728,758.1 | 1,653,993.4 | 1,990,526.4 | 1,351,529.7 | 1,352,181.7 | 589,798.1 | 1,241,821.7 | 1,999,990.1 |
| მათ შორის | | | | | | | | | | |
| სააქციო კაპიტალი | 535,770.8 | 1,150,567.2 | 1,253,870.2 | 1,809,192.5 | 1,114,981.7 | 866,953.2 | 709,999.4 | 37,154.7 | 210,253.1 | 586,253.6 |
| რეინვესტიცია | 276,753.2 | 322,893.0 | 137,685.6 | 310,991.1 | 616,459.2 | 434,091.6 | 636,660.5 | 500,511.7 | 769,944.0 | 1,289,437.8 |
| სასესხო ვალდებულებები | 226,610.1 | 363,419.3 | 287,702.4 | -466,190.2 | 290,085.6 | 50,484.8 | -5,521.7 | 52,333.6 | 261,624.3 | 24,286.8 |

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამასთან აღსანიშნავია, რომპირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით აჭარის რეგიონში ბათუმი კვლავ ლიდერობს დანარჩენ მუნიციპალიტეტებთან შედარებით, სადაც ძირითადად სამშენებლო სექტორში ხდება ინვესტიციების კონცენტრირება, რაც შეეხება აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებს მსხვილი საინვესტიციო პროექტები განხორციელდა ორი მუნიციპალიტეტის (ხულოსა და შუახევის)

ტერიტორიაზე, რომელიც დადებითი ეფექტის მატარებელია მუნიციპალიტეტების ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის თვალსაზრისით. თუმცა აჭარაში ჯერ კიდევ არ არის ინვესტიციების ბუმი და მნიშვნელოვანი სამუშაოა განსახორციელებელი საინვესტიციო პოტენციალის ასამაღლებლად.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
4. რიჟვაძე გ. სამაგისტრო ნაშრომი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, როგორც ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა
5. რიჟვაძე გ. ბერიძე ლ. ინვესტიციების როლი ეროვნულ პროდუქტთან მიმართებაში.


## პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის ფსიქოლოგიური ასპექტი

## Psychological Aspects of the Prosecutor's Waiver to File a State Charge


**ხვიჩა ბეგიაშვილი,**

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის ინსტრუქტორი

**Khvicha Begiashvili,**

PhD candidate, Law School of Davit Agmashenebeli University of Georgia

, instructor of the State Security Service Training Center



**რეზიუმე.** ნაშრომი ეხება პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის სოციალურ ასპექტს, კერძოდ სახელმწიფო ბრალმდებლის ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან. ნაშრომში იდენტიფიცირებულია ის ფსიქოლოგიური პრობლემატიკა რაც შესაძლებელია თან სდევდეს ბრალდებაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას და წარმოდგენილია მისი გადაჭრის გზები.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში წარმოდგენილი თემატიკა, რომელიც ეხება პროკურორის ფსიქოლოგიური დამოკიდებულების პრობლემატიკას მის მიერ მისაღებ/მიღებულ გადაწყვეტილებასთან, დააინტერესებს, როგორც სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე

პრაქტიკოს მუშაკებს, აგრეთვე სისხლის სამართლის სფეროს მეცნიერებს და უმაღლესი იურიდიული სასწავლებლის სტუდენტებს.

**საკვანძო სიტყვები**: პროკურორი, სახელმწიფო ბრალმდებელი, ბრალდება, უარის თქმა, ფსიქოლოგიური ასპექტი.

**Resume.**The article deals with the social aspect of the prosecutor's refusal to initiate a state charge, namely the psychological attitude of the state accuser to his decision. The work identifies psychological problems that may accompany the decision to refuse accusation, and presents ways to solve it.
It should be noted that the topic presented in the paper, concerning the problem of the prosecutor's psychological attitude to the decision he makes/ made, will be of interest to both practitioners working on criminal law cases, as well as scholars in the field of criminal law and law students.

**Key words:** Prosecutor, State Accuser, Charge, Refusal, Psychological Aspect.

სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების თუ სასამართლო განხილვისას თავს იჩენს პრობლემები, რაც გამომდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობის და შესაბამისად ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებიდან, ბრალდების და დაცვის მხარის აქტივობა მიმართულია საკუთარი პოზიციების სასამართლოსათვის უკეთ წარმოჩენაში და შედეგად მათთვის სასურველი შემაჯამებელი გადაწყვეტილების დადგომაში[1]. აღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძვლიანია მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის პროცესის მოქმედ რეგულაციათა აქტივობას, ზრდის ის სპეციფიკური სირთულეები, რაც დამახასიათებელია ბრალდების მხარის მისწრაფებაზე, რომ საქმეზე დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო დაცვის მხარის საპირისპირო ამოცანაზე, რომ ბრალდებული გამართლებული იქნეს[2].

როგორც კვლევაში აღვნიშნეთ, ბრალდებაზე უარის თქმის დროს, გარდა საკანონმდებლო და ფაქტობრივი გარემოებებისა, სახეზე უნდა იყოს დამატებითი ფაქტორიც, რაც უკავშირდება პროკურორის შინაგანი რწმენის ტრანსფორმაციას და დაკავშირებული არის სახელმწიფო ბრალმდებლის აღქმის სწორ უნართან. შექმნილი რეალობის ობიექტურად აღქმის პროცესი გარკვეულწილად უკავშირდება პიროვნულ გამოცდილებას[3]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანი ხშირად გარე ფაქტორების აღქმას, ცდილობს თავისი სუბიექტური მისწრაფებებიდან გამომდინარე და გაუთვითცნობიერებლად კარგავს გარკვეულ ობიექტურობის ხარისხს, კერძოდ ხდება მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია, რაც იწვევს შერჩევით დამოკიდებულებას ფაქტების მიმართ. აღნიშნული წარმოადგენს

მნიშვნელოვან პრობლემას, რაც თავის მხრივ ზიანს აყენებს საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების ობიექტურად შეფასების და ანალიზის საკითხს.

ბრალდებაზე უარის თქმის ფსიქოლოგიური ასპექტი, წარმოადგენს აღნიშნული საპროცესო ინსტიტუტის სწორად გამოყენების მნიშვნელოვან ფაქტორს, რაც პირდაპირ არის დამოკიდებული პროკურორის აღქმაზე და შინაგანი რწმენის ფორმირებაზე, ჩადენილია თუ არა დანაშაულებრივი ქმედება ბრალდებულის მიმართ[4].

ბრალდებაზე უარის თქმა, თავის მხრივ ნიშნავს ისეთ სტადიას, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არის, მიმდინარეობს და უფრო მეტიც, საქმეს და ბრალდებას გავლილი აქვს მინიმუმ ალბათობის მაღალი ხარისხის და შესაძლებელია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დასაბუთებულობის ტესტიც. ამ დროს პროკურორს გაცხადებული აქვს თავისი დამოკიდებულება საქმის და ბრალდებულის მიმართ, იგი აქტიურად უჭერს მხარს ბრალდებას და ჩამოყალიბებული აქვს შინაგანი რწმენა, რომ პირს ჩადენილი აქვს ბრალად შერაცხული ქმედება.

პროკურორის საქმიანობაში ფსიქოლოგიური სირთულეების არსებობა აქტუალური საკითხია. მოსამართლისგან განსხვავებით, რომელიც პირველად ეცნობა საქმეს და მისი შინაგანი რწმენის ფორმირება დამოკიდებული არის სასამართლოზე გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზით, სახელმწიფო ბრალმდებელს წინასწარ აქვს შესწავლილი და გააზრებული საქმის დეტალები და ჩამოყალიბებული აქვს თავისი შინაგანი რწმენა, დანაშაულის ჩამდენ პირთა ბრალეულობასთან დაკავშირებით. პროკურორი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, თუ სასამართლო განხილვის პროცესში მას მოუწევს დიამეტრულად შეცვალოს თავისი მოსაზრება კონკრეტულ საქმეზე და კონკრეტულ ბრალდებასთან მიმართებით. ეს მოითხოვს რადიკალურ შიდა რესტრუქტურიზაციას, რაც მარტივად მისაღწევი პროცესი არ არის.

ამ მხრივ ყოვლად მიუღებელია ისეთი პროკურორის მონაწილეობა სახელმწიფო ბრალმდებლად, რომელსაც აქვს დაბალი პროფესიული მომზადების დონე, ასევე განიცდის გარკვეული ფსიქოლოგიური თვისებების ნაკლებობას. ასეთი მოცემულობის შემთხვევაში ბრალმდებელი ვერ შეძლებს სასამართლოში წარდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებების კრიტიკულად გაანალიზებას, რაც თავის მხრივ

მოსამართლეს გაურთულებს საქმეზე ობიექტური შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანას. პროკურატურის ასეთ მუშაკებს აქვთ უმარტივესი აზროვნებისა და მოქმედების სტერეოტიპი, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს სათანადო განათლების არ ქონით, ზოგადი უნარ-ჩვევების ნაკლებობით, დაბალი ინტელექტის კოეფიციენტით და სხვა. სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, პირველ რიგში დააზიანებს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის პროცესს, გარდა აღნიშნულისა პროკურორის, როგორც საჯარო ფიგურის ინდეფერენტულობა არ დარჩება შეუმჩნეველი საზოგადოების მიერ, რაც პრესტიჟს შეულახავს პროკურატურის სისტემას და ზოგადად სახელმწიფოს.

სახელმწიფო ბრალმდებელი ობიექტურად უნდა აფასებდეს საქმეში არსებულ და სასამართლო განხილვის დროს განხილულ ფაქტობრივ გარემოებებს და ერთნაირი ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს, როგორც გამამართლებელ ისე გამამტყუნებელ მტკიცებულებებს, რაც აგრეთვე მოითხოვს პროკურორის მყარ ფსიქოლოგიურ უნარ ჩვევებს, რაც თავის მხრივ დაძლევს მასში მხოლოდ ბრალმდებლის სტერეოტიპს და საჭიროების შემთხვევაში, არ გაუჭირდება მას, მოისხას უფლებადამცველის მანტია და უარი თქვას ბრალდებაზე.

როგორც წესი, სასამართლოში პროკურორი სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერს იმ ნაწილში, რასაც იგი, საკუთარი შინაგანი რწმენით, უტყუარად დადასტურებულად მიიჩნევს, აღნიშნული მტკიცებულებების სიმყარის საზომი, სწორედ, რომ სასამართლოზე, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით მათი დეტალური გამოკვლევა არის, რა დროსაც პროკურორი განამტკიცებს შინაგან რწმენას, ბრალდებულის მიერ, კონკრეტული ინკრიმინირებული ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით. ამასთან, თუ მტკიცებულებათა ერთობლიობის ანალიზი, სახელმწიფო ბრალმდებელს უქმნის შინაგან რწმენას, რომ ბრალდებულის ქმედებაში აღარ იკვეთება დანაშაულის ნიშნები, მაშინ პროკურორი აღმოჩნდება იმ რეალობის წინაშე, რომ გამოიყენოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილება და უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ.

სახელმწიფო ბრალმდებლის უმთავრესი ამოცანა არის სასამართლო განხილვის მსვლელობისას, ისევე როგორც გამოძიების პროცესში, გულდასმით შეამოწმოს საქმეზე შეგროვებული, ასევე სასამართლო

სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები და მათი ანალიზის საფუძველზე შეიქმნას მყარი შინაგანი რწმენა, ხოლო თუ მტკიცებულებების გულდასმით შესწავლის შემდეგ პროკურორს პოზიციის შეცვლა მოუწია, ეს არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ მისი პროფესიონალიზმი, ან იმ პროკურორის პროფესიონალიზმი დგება კითხვის ნიშნის ქვეშ, რომელმაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა და საქმე არსებითად განსახილველად წარმართა სასამართლოში. სახელმწიფო ბრალმდებელი ამ დროს არც სინდისის ქეჯნას უნდა გრძნობდეს და არც იმის შიშს, რომ ბრალდებაზე უარის თქმა, გამოიწვევს საკუთრივ მის ან სხვა პროკურორის თუ გამომძიებლის პასუხისმგებლობას, რა თქმა უნდა, აქ ვგულისხმობთ ისეთ შემთხვევას, როდესაც გამომძიებელს და პროკურორს, განზრახ არ დაურღვევია კანონი, არ ჰქონია ადგილი სუბიექტურ თუ სხვა არამართლზომიერ მიდგომებს და არ იკვეთება ბრალდების მხარის გულგრილობა. ბრალდებაზე უარის თქმის უფლებამოსილება, თავისი არსით და მნიშვნელობით, პროკურორისთვის უნდა უთანაბრდებოდეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას და განხორციელებას და ამ ინსტიტუტის ამოქმედება არ უნდა იწვევდეს სახელმწიფო ბრალმდებელში იმედგაცრუებას და შინაგანი პროტესტს. უფრო მეტიც, სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, პროკურორის როგორც დევნის განმახორციელებელი პირის მიერ, პოზიციის ობიექტურად შეცვლა, არის მისასალმებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის ამოქმედების და ეფექტიანობისთვის. აღნიშნულისთვის კი, პირველ რიგში, აუცილებელია პროკურორმა გაითავისოს საკუთარი უფლებების არსენალის სიდიადე და მისი ობიექტური და სწორი, ამავე დროს დროული გამოყენების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია, მართლმსაჯულების პროცესში, პროკურორი არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის ჯიუტად განმახორციელებელ პროცესის სუბიექტს, არამედ ობიექტურ საჯარო მოხელეს, რომელიც ვალდებულია საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში შეიტანოს საკუთარი წვლილი.

ბრალდებაზე უარის თქმა, პროკურორის მიერ გაგებული უნდა იყოს საკუთარი უფლება-მოვალეობების გენერალური ხაზის დარღვევად? რა თქმა უნდა არა და მიგვაჩნია, რომ ბრალდებაზე უარის თქმა, პროკურორის იმ უფლებამოსილების ტოლფასია, რომლითაც მას შეუძლია პირის მიმართ

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. პროკურორი, ფსიქოლოგიურად უნდა იყოს მზად, რომ ნებისმიერ დროს შესაძლოა მოუწიოს ბრალდებაზე უარის თქმა და რომ არ არსებობს ისეთი საქმე და მტკიცებულებები, რომელიც წინდაწინ იძლევა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის გარანტიას. პროკურორის მიერ სერიოზულად უნდა იქნეს აღქმული ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტი და ის ფორმალური საპროცესო რეგლამენტაციიდან, გადატანილი უნდა იქნეს ისეთი ფუნდამენტური უფლებამოსილებების ჩამონათვალში, როგორიც არის, მაგალითად: პირის დაკავება, ბრალდების წარდგენა, დაზარალებულად ცნობა და სხვა.

ბრალდებაზე უარის თქმის ფსიქოლოგიური ასპექტები, შესაძლებელია განვიხილოთ აგრეთვე, გადაწყვეტილების მიღებამდე და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ჭრილში. ვინაიდან, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დღის წესრიგში დგება მისი სასამართლოში წარდგენის და გასაჯაროების წარდგენის ეტაპი, რა დროსაც მნიშვნელოვანია პროკურორმა გამოიჩინოს ისეთი თვისებები, რაც დამახასიათებელი უნდა იიყოს გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის, კერძოდ მხარეებს ანახოს თავისი პრინციპულობა, შეუპოვრობა, სიმტკიცე, წარმოქმნილი სირთულეების დაძლევის უნარი, ტოლერანტობა, გაუთვალისწინებელი სიტუაციებისათვის აუცილებელი აზროვნების კრიტიკულობა, კონფლიქტური სიტუაციების მართვის უნარი, მხარეთათვის მისაღები გადაწყვეტილების პოვნის ძალა და უნარი[5].

გამომდინარე იქიდან, რომ ფსიქოლოგია არის მეცნიერება ფსიქიკის შესახებ, რომელიც სწავლობს თუ რა ფაქტორები აღძრავს მის ქცევას და რა ფაქტორები უწყობს ხელს გადაწყვეტილების მიღებას[6], ბრალდებაზე უარის თქმის ფსიქოლოგიური ასპექტები, მისი სოციალური ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლოა დავყოთ რამდენიმე ჯგუფად, კერძოდ: 1. პროკურორის, როგორც ინდივიდის ქცევის ფსიქიკური პროცესები (მაგალითად: ზოგადი განათლება, IQ, აღზრდა, ღირებულებები, მისწრაფება, პატიოსნება, აღქმის უნარი და სხვა); 2. პროკურორის, როგორც იურისტის ქცევის ფსიქიკური პროცესები (მაგალითად: სოციალური, ძიებითი, რეკოსნტრუქციული, კომუნიკატორული და სხვა[7]) ; 3. პროკურორის, როგორც უფლებამოსილი პირის ქცევის ფსიქიკური პროცესები (მაგალითად: პროფესიონალიზმი, ობიექტურობა, კანონიერება, სამართლიანობა, საქმიანობის ხარისხი, დამოუკიდებლობა და სხვა).

ბრალდებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა თითოეული ჯგუფისთვის დამახასიათებელი ფაქტორების ჰარმონიულ თანაარსებობა, ვინაიდან აღნიშნული პროცესუალური ქმედების მიღების ან რეალიზების დროს გამოვლენილ და განვითარებულ ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს, ცალკე აღებული ვერ განსაზღვრავს მხოლოდ პროკურორის ან იურისტის პროფესიული დამოკიდებულება საკითხის მიმართ. უპირველეს ყოვლისა, პროკურორი არის ინდივიდი და მისი ნებისმიერი გადაწყვეტილება, მიიღება არა ავტომატურად კანონის ნორმებზე და საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, არამედ მას ესაჭიროება ისეთი ადამიანური შეგრძნებების რეალიზება, რომელიც დაკავშირებულია საკითხის სწორად აღქმასთან. სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, პირველ რიგში, ინდივიდის გამართული ფსიქიკა, ხოლო შემდგომ იურისტის უნარ-ჩვევები, აყალიბებს პროკურორის, როგორც უფლებამოსილი მოხელის შინაგან რწმენას, რა დროსაც, სახელმწიფო ბრალმდებლის დამოკიდებულება ბრალდებულის, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ დიამეტრულად იცვლება და მას ობიექტურად აღიქვამს, როგორც უდანაშაულო პირს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. William van Caenegem, Adversarial Systems and Adversarial Mindsets: Do We Need Either?, Bond Law Review, Volume 15, Issue 2, 2003, P. 111-112.
2. Paul Roberts, Science in the Criminal Process, Oxford Journal of Legal Studies, Volume 14, Issue 4, 1994, P. 470–471.
3. ერნ თრენკელი, მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია, თბ. 2009 წ. გვ.9.
4. Владимир Зеленецкий, Отказ Прокурора от обвинения, Харков, 1979, с. 40.
5. სოლომონ თეზელიშვილი, ფსიქოლოგიის ენციკლოპედია, მეორე შევსებული გამოცემა, თბ. 2014 წ, გვ. 338.
6. ლია სვანაძე, იურიდიული ფსიქოლოგია, თბ. 2008 წ, გვ. 1.
7. იხ. იქვე, გვ. 24.



კვლევა (გრანტის #PHDF-22-541) განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით

# The Psychological Aspect of the Prosecutor's Refusal to Pursue State Charges

**Khvicha Begiashvili,**
PhD candidate, Law School of Davit Agmashenebeli University of Georgia
, instructor of the State Security Service Training Center

During the ongoing investigation or trial of a criminal case, problems arise that arise due to the rivalry of the parties and, accordingly, the inconsistency of positions, the activity of the prosecution and the defense parties is aimed at better presenting their positions to the court and, as a result, reaching their desired summary judgment.[62] Based on the foregoing, it is reasonable to believe that the activity of the current regulations of criminal proceedings is enhanced by the specific difficulties that are inherent in the desire of the prosecution party to achieve a guilty verdict in the case, and the opposite task of the defense party to acquit the accused[63].

As we mentioned in the research, when a charge is dismissed, in addition to the legal and factual circumstances, there should be an additional factor, which is related to the transformation of the prosecutor's inner belief and is related to the correct perception of the state accuser. The process of objective perception of the created reality is to some extent connected with personal experience.[64] It should be noted here that people often try to perceive external factors based on their subjective aspirations and unconsciously lose a certain degree of objectivity, in particular, the received information is interpreted, which leads to a selective attitude towards the facts. This is an important problem, which, in turn, harms the issue of objective assessment and analysis of the evidence obtained in the case.

The psychological aspect of the refusal of accusation is an important factor in the correct use of this procedural institution, which directly depends on the perception by the prosecutor and the formation of internal beliefs, whether a criminal act has been committed against the accused[65].

Waiver of charges, on the other hand, means a stage where a criminal prosecution has been initiated, is ongoing, and moreover, the case and charges have passed at

---

[62] William van Caenegem, Adversarial Systems and Adversarial Mindsets: Do We Need Either?, Bond Law Review, Volume 15, Issue 2, 2003, P. 111-112.

[63] Paul Roberts, Science in the Criminal Process, Oxford Journal of Legal Studies, Volume 14, Issue 4, 1994, P. 470–471.

[64] Ern Trenkeli, Psychology of Eyewitness Testimony, Tbilisi, 2009, P. 9.

[65] Vladimir Zelenetsky, Prosecutor's Denial of Charges, Kharkiv, 1979, P. 40.

least a high degree of probability and can be tested for the reasonableness beyond a reasonable doubt standard. At this time, the prosecutor has declared his attitude towards the case and the accused, he actively supports the accusation and has formed an inner belief that the person has committed the accused action.

The existence of psychological difficulties in the work of the prosecutor is an actual issue. Unlike the judge, who first gets acquainted with the case and the formation of his inner belief depends on the analysis of the evidence examined by the court, the state prosecutor has previously studied and understood the details of the case and has formed his inner belief regarding the guilt of the perpetrators. The prosecutor will face significant psychological problems if, during the trial he has to radically change his opinion on a specific case and in relation to a particular charge. This requires a radical internal restructuring, which is not an easy process.

In this regard, it is completely unacceptable for a prosecutor to participate as a state accuser who has a low level of professional training and also suffers from a lack of certain psychological qualities. In such circumstances, the accuser will not be able to critically analyze the evidence presented and examined in court, which in turn will make it difficult for the judge to make an objective summary decision on the case. Such prosecutors have the simplest stereotype of thinking and acting, which can be caused by a lack of proper education, a lack of general skills, a low IQ, etc. Indifference to the performance of the duties assigned to the state prosecutor will damage, first of all, the process of establishing the objective truth in the case, besides the aforementioned, the indifference of the prosecutor as a public figure will not go unnoticed by the public, which will damage the prestige of the prosecution system and the state in general.

The state accuser must objectively evaluate the factual circumstances of the case and those discussed during the trial and must pay equal attention to both exculpatory and accusatory evidence, which also requires strong psychological skills of the prosecutor, which in turn will overcome only the stereotype of the accuser and, if necessary, will not make it difficult for him to wear the mantle of a human rights defender and refuse the charge.

As a rule, the prosecutor in the court supports the state charge in the part that he, in his own inner belief, considers to be unmistakably proven. The measure of the strength of the evidence is that in court, in compliance with the principle of competitiveness of the parties, their detailed examination is carried out, during

which the prosecutor confirms his inner belief regarding the commission by the accused of a specific incriminated act. However, if, when analyzing the body of the evidence, the state accuser creates an inner belief that there are no longer signs of guilt in the actions of the accused, then the prosecutor will be faced with the reality of using his discretionary powers and rejecting the accusation in whole or in part.

The main task of the state accuser is during the trial, as well as during the investigation, to carefully examine the evidence collected in the case and examined at the court session, and based on their analysis to form a solid internal conviction, and if after carefully examining the evidence, the prosecutor had to change his position, this should not be interpreted as calling into question his professionalism, or the professionalism of the prosecutor who initiated the criminal prosecution and sent the case to court for consideration on the merits. At this time, the state accuser should neither feel guilty nor be afraid that refusing the charge will entail bringing him or another prosecutor or investigator to justice. Of course, we are referring here to a case where the investigator and prosecutor did not deliberately violate the law, there was no subjective or other dishonest approach, and there is no evidence of indifference on the part of the prosecution. The power to refuse the charge, in its essence and meaning, for the prosecutor should be equal to the initiation and implementation of criminal prosecution, and the implementation of this institution should not cause disappointment and internal protest in the state prosecutor. Moreover, if there are proper grounds, an objective change of position by the prosecutor as the person carrying out the prosecution, is welcome and vital for the implementation and effectiveness of the institution of waiver of charges. For this, first of all, it is necessary for the prosecutor to understand the greatness of his arsenal of rights and the vital function of its objective and correct, at the same time, timely use. In the process of justice, the prosecutor should not represent only the subject of the process of criminal prosecution, but also an objective public official who is obliged to contribute to the establishment of the objective truth in the case.

Refusal of charges should be understood by the prosecutor as a violation of the general line of his rights and duties? Of course not, and we believe that the waiver of charges is equivalent to the powers of the prosecutor, with which he can initiate criminal proceedings against a person. The prosecutor must be psychologically prepared that at any time he may have to refuse the charge and that there is no case or evidence that that could guarantee a guilty verdict in advance. The institution of

refusal of accusation should be taken seriously by the prosecutor, and it should be transferred from the formal procedural regulations to the list of basic powers, such as, for example: arresting a person, presenting charges, recognizing a victim, etc.

The psychological aspects of waiver of charge can be discussed in the pre-judgment and post-judgment sections. Since after the decision is made, the stage of its submission to the court and announcement is on the agenda, at this time it is important for the prosecutor to show such qualities that should be characteristic of the person making the decision, in particular, to show the parties his integrity, perseverance, strength, ability to overcome the difficulties that arise, tolerance, criticality of thinking necessary for unforeseen situations, the ability to manage conflict situations, the power and ability to find a solution acceptable to the parties[66].

Based on the fact that psychology is the science of the psyche, which studies what factors motivate its behavior and what factors contribute to decision-making[67], the psychological aspects of refusal of accusation, depending on its social nature, can be divided into several groups, namely: 1. Prosecutorial, as the mental processes of an individual's behavior (for example: general education, IQ, upbringing, values, aspiration, honesty, perceptiveness, etc.); 2. Mental processes of the prosecutor's behavior as a lawyer (for example: social, searching, reconstructive, communicative and others[68]); 3. Mental processes of the behavior of the prosecutor as an authorized person (for example: professionalism, objectivity, legality, fairness, quality of work, independence, etc.).

In order to make a decision to reject the accusation, a harmonious coexistence of factors specific to each group is required, since the psychological regularities revealed and developed during the adoption or realization of the specified procedural action, taken separately, cannot be determined only by the professional attitude of the prosecutor or lawyer towards the issue. First of all, the prosecutor is an individual and any decision he makes is not automatically based on the norms of the law and the factual circumstances of the case, but he needs to realize such human feelings related to the correct perception of the issue. Based on the analysis of the evidence examined in the court, first of all, the healthy psyche of the individual, and

---

[66] Solomon Tezelishvili, Encyclopedia of Psychology, Issue 2, Tbilisi, 2014, P. 338.
[67] Lia Svanadze, Legal Psychology, Tbilisi, 2008, P. 1.
[68] Ibid., P. 24.

then the skills of the lawyer, form the inner conviction of the prosecutor as an authorized officer, while the state accuser's attitude towards the accused as a person who committed a crime changes diametrically and perceives him objectively as to an innocent person.

**This research (grant#PHDF-22-541) has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).**

## ლარის მცურავი გაცვლითი კურსი და ინფლაციის თარგეთირება
## Floating GEL Exchange Rate and Inflation Targeting

**ანა ალფაიძე**

მაგისტრი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

**Ana Alpaidze**

Master's student, Faculty of Economics and Business, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Resume.** There is a floating exchange rate regime in Georgia. In the presence of a similar mode, the exchange rate is characterized by fluctuations in the short term, but at the same time, due to flexibility it also plays with the function of suction of shocks and is therefore stable in the long term. The exchange rate is determined by the foreign exchange market, which consists of commercial banks and corporations or individuals whose interest is included in the purchase and sale of foreign currency.

When calculating the official exchange rate of GEL against the USD, the following shall not be taken into account: Transactions concluded at a substantially different rate from the market rate. A course is considered as an essentially different course, which differs from the weighted average rate of the remainder of the transaction concluded during the calculation period by 2.5 and more per cent; Reverse transactions concluded under similar conditions and volume during the calculation period between the two counterparts; Transactions that shall be considered a transaction concluded by the National Bank on non-market terms.

In the short term, inflation may jump from the targeted rate, but monetary policy will provide a closer look at inflation in the medium term.

Inflation targets 3%. According to the Assessment of the National Bank of Georgia, the 3% level of inflation in price stability for Georgia's growing economy is considered. On the one hand, 3% is low enough and does not adversely affect the decisions of economic agents. On the other hand, it is not so low that economic growth is stumbling.

Thus, the main goal of the National Bank of Georgia is to ensure a 3% inflation rate in the medium term. However, this does not imply keeping inflation rigid at 3% in the short term. In the short term, the

deviation from the targeted indicator of inflation may be caused by exogenous (independent of monetary policy), one-off factors.

Keywords: Exchange Rate Regime and Determination, Inflation Targeting, Inflation Target Rate.

**გაცვლითი კურსის რეჟიმი.** საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი. მსგავსი რეჟიმის არსებობის პირობებში გაცვლითი კურსი ხასიათდება მერყეობით მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ იმავდროულად, მოქნილობის გამო იგი თამაშობს შოკების შემწოვ ფუნქციასაც და შესაბამისად სტაბილურია გრძელვადიან პერიოდში. გაცვლითი კურსი განისაზღვრება სავალუტო ბაზრის მიერ, რომელიც შედგება კომერციული ბანკებისგან და იმ კორპორაციებისა თუ ინდივიდებისგან, რომელთა ინტერესში უცხოური ვალუტის ყიდვა–გაყიდვა შედის.

ბუღალტრული და სხვა ოფიციალური მიზნებისათვის ხშირად გამოიყენება ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გაიანგარიშება ბლუმბერგის ელექტრონულ სავაჭრო სისტემის Bmatch პლატფორმაზე დადებული გარიგებების მიხედვით და ყოველდღიურად ქვეყნდება ეროვნული ბანკის ვებგვერდზე. ხვა ქვეყნის ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი განისაზღვრება საერთაშორისო ბაზრებზე ან ემიტენტი ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზარზე (დღის სამი საათისათვის) არსებული კურსების კროს-კურსული გადაანგარიშების საფუძველზე. გადაანგარიშებისთვის საჭირო გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს "როიტერის", "ბლუმბერგის" საინფორმაციო სისტემები და შესაბამისი ქვეყნების ცენტრალური ბანკები. ინფორმაციის მიღება, დამუშავება და გავრცელება ამ სისტემებიდან ხდება ავტომატურ რეჟიმში.

**ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესი.** აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური კურსის გაანგარიშება ხდება ყოველ სამუშაო საბანკო დღეს, წინა სამუშაო საბანკო დღის 16:30 საათიდან გაანგარიშების დღის 16:30 საათამდე პერიოდში (შემდგომში – გასაანგარიშებელი პერიოდი) ბლუმბერგის ელექტრონულ სავაჭრო სისტემის Bmatch პლატფორმაზე (შემდგომში – სავაჭრო სისტემა) რეგისტრირებული გარიგებებების გათვალისწინებით. აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი არის გასაანგარიშებელი პერიოდის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე და სავაჭრო სისტემაში დადებულ სპოტ გარიგებათა გათვალისწინებით გამოთვლილი საშუალო შეწონილი

კურსი. აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება:

ა) საბაზრო კურსისგან არსებითად განსხვავებული კურსით დადებული გარიგებები. არსებითად განსხვავებულ კურსად მოიაზრება კურსი, რომელიც გასაანგარიშებელ პერიოდში დადებული დანარჩენი გარიგების საშუალო შეწონილი კურსისაგან 2.5 და მეტი პროცენტით განსხვავდება;

ბ) ორ კონტრაგენტს შორის გასაანგარიშებელ პერიოდში მსგავსი პირობებით და მოცულობით დადებული საპირისპირო გარიგებები;

გ) გარიგებები, რომლებიც ეროვნული ბანკის მიერ ჩაითვლება არასაბაზრო პირობებით დადებულ გარიგებად.

**ინფლაციის თარგეთირება.** მოკლევადიან პერიოდში, ინფლაცია მიზნობრივი მაჩვენებლიდან შესაძლოა გადაიხაროს, თუმცა მონეტარული პოლიტიკა, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის თარგეთთან დაახლოებას უზრუნველყოფს. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3% პროცენტს შეადგენს. ინფლაციის თარგეთირების შემოღების საწყის ეტაპზე მიზნობრივი ინფლაცია 6 პროცენტს შეადგენდა. 2015 წლიდან მიზნობრივი ინფლაცია 5 პროცენტამდე, ხოლო 2017 წელს 4 პროცენტამდე შემცირდა. 2018 წლიდან კი ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3 პროცენტით არის განსაზღვრული და ამ ეტაპზე მიზნობრივი მაჩვენებლის შეცვლა დაგეგმილი არ არის. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, საქართველოს ტიპის მზარდი ეკონომიკისათვის ფასების სტაბილურობაში ინფლაციის 3%-იანი დონე მოიაზრება. ერთი მხრივ, 3% საკმარისად დაბალია და ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებებზე უარყოფითად არ მოქმედებს. მეორე მხრივ, არ არის იმდენად დაბალი, რომ ეკონომიკური ზრდა დააბრკოლოს. ამდენად, საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი მიზანი, საშუალოვადიან პერიოდში, ინფლაციის 3%-იანი მაჩვენებლის უზრუნველყოფამ. თუმცა ეს არ გულისხმობს მოკლევადიან პერიოდში ინფლაციის ხისტად 3%-ზე შენარჩუნებას. მოკლევადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრა შესაძლოა ეგზოგენურმა (მონეტარული პოლიტიკისაგან დამოუკიდებელმა), ერთჯერადმა ფაქტორებმა განაპირობოს. როგორც წესი, ცენტრალური ბანკები ასეთი ტიპის შოკებზე არ რეაგირებენ, რადგანაც ამგვარი შოკების ფასებზე გავლენა დროებითია და შოკის ამოწურვის შემდეგ ინფლაციის მაჩვენებელი თავისთავად

დაუბრუნდება მიზნობრივ დონეს. ასეთ პირობებში, მოკლევადიან ცვლილებებზე მონეტარული პოლიტიკის რეაგირება, როგორც წესი, კონტრპროდუქტიულია და მაღალ ეკონომიკურ მერყეობას იწვევს. ასეთი ტიპის შოკებზე საქართველოს ეროვნული ბანკი მხოლოდ მაშინ რეაგირებს, როდესაც შოკი იმდენად ძლიერია, რომ, მიუხედავად დროებითი ხასიათისა, საშუალო და გრძელვადიან ინფლაციურ მოლოდინებზე აისახება და ე.წ „მეორე რიგის ეფექტებს" წარმოქმნის. აუცილებელია, რომ ეროვნული ბანკის ძირითადი მანდატი - ფასების სტაბილურობა - დამოუკიდებელი იყოს მთავრობის სხვა მიზნებისაგან, როგორებიცაა, მაგალითად, მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდა და უმუშევრობის შემცირება. სხვა შემთხვევაში, შეიძლება გაჩნდეს მოლოდინი, რომ ეროვნულ ბანკი ეცდება მაღალი მოულოდნელი ინფლაციის ხარჯზე მიიღოს მოკლევადიანი ნახტომი ეკონომიკურ ზრდაში. თავის მხრივ, რადგან ინფლაციით სტიმულირებული ეკონომიკური ზრდა დროებითია და, როგორც წესი, ამას ეკონომიკის ვარდნა და უფრო მაღალი ინფლაცია მოყვება, ასეთი მოლოდინი თავისთავად ამცირებს როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლევადიან ზრდას და უარყოფითად აისახება დასაქმებაზე. ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა გრძელვადიანი სტაბილური ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა.

**დასკვნა.** ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა. საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველწლიურად აქვეყნებს და პარლამენტს წარუდგენს წლიურ ანგარიშს, სადაც შეჯამებულია ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებები როგორც მონეტარული პოლიტიკის ასევე საზედამხედველო და ყველა სხვა ძირითადი ფუნქციის მიმართულებით. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი წელიწადში ოთხჯერ მონეტარული პოლიტიკის ძირითადი საკომუნიკაციო დოკუმენტს - მონეტარული პოლიტიკის ანგარიშს - აქვეყნებს. ანგარიშში ეროვნული ბანკის პროგნოზები და მიღებული გადაწყვეტილებების მიზეზების ახსნაა წარმოდგენილი. მონეტარული პოლიტიკის ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ეროვნული ბანკის ვებ გვერდზე პრესრელიზის სახით დაუყოვნებლივ ქვეყნდება. ამასთან ერთად, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ეროვნული ბანკი პერიოდულად სხვადასხვა სახის ანალიტიკურ ანგარიშებს აქვეყნებს, როგორებიცაა თვის მიმოხილვა, მიმდინარე

მაკროეკონომიკური ინდიკატორები, ფინანსური სექტორის ინდიკატორები და სხვ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. https://iset-pi.ge/ka/blog/78-inplatsiis-targetirebis-rejimi-stsori-archevani?fbclid=IwAR17lCU7Ck2JlYCjL4RDI2Q_UbtRU8jch2BnL5Awyw2c1tc8waE4-2yRhlQ ;
2. www.geostat.ge - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
3. www.nbg.gov.ge - საქართველოს ეროვნული ბანკი;
4. www.oecd.org - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.


# საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსების სისტემა DRG - ახალი გამოწვევა სამედიცინო სექტორისათვის

# Universal Health Financing System DRG - a New Challenge for the Medical Sector


**ანი ბიბილური,** ასისტენტ-პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Ani Bibiluri,** Assistant Professor, Georgian Technical University



**აბსტრაქტი.** სამყარო სავსეა საფრთხეებითა და ხიფათებით, რომელსაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით. რისკი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს, იქნება ეს საბანკო თუ სამედიცინო სექტორი, ის ყველგანაა და თითოეული ჩვენთაგანის ყოველდღიურობაში აქტიურად იჩენს თავს. რისკი ჩვენში გაურკვევლობის შეგრძნებას ბადებს, იწვევს ნეგატიურ განცდებს და მომავლის შიშს გვიჩენს. თუმცა ვფიქრობ ზოგჯერ უარყოფითიც დადებითად შეგვიძლია განვიხილოთ, რადგან ყოველივე დამოკიდებულია ჩვენი ხედვისა და აზროვნების უნარზე. ზოგიერთი სექტორისათვის რისკი ზოგჯერ გამართლებულიცაა, რადგან მსოფლიოში არსებული ინოვაციები ან თუნდაც ტექნოლოგიები ხომ სწორედ ვიღაცის თამამი და სარისკო გადაწყვეტილების შედეგია. ბიზნესში რისკი ყოველთვის დანაკარგთან და გაურკვევლობასთან არის გაიგივებული, არც სამედიცინო სექტორი უყურებს მას პოზიტიურად, ფრაზა „სარისკოა" გონებაში ყოველთვის წარმოშობს ცუდ ემოციას, რადგან ასოცირდება რაიმე ტიპის მატერიალურ ან არამატერიალურ დანაკარგთან. როგორ უნდა მოვიქცეთ რომ არ განვიცადოთ დანაკარგი? არსებობს სიტუაციები, რასაც ვერ ვუშველით, მაგრამ არის ასევე ისეთი ვითარებები, როდესაც შეგვიძლია საფრთხეები ავირიდოთ ან სარისკო შედეგის დადგომის შედეგად ზარალი ნაკლებად მტკივნეული აღმოჩნდეს. მარტივად რომ ვთქვათ ამას ჩვენ დაზღვევას ვუწოდებთ, რომელიც წარმოადგენს სწორედ რისკის არიდების მეთოდს ან მიღებული რეზულტატის შემსუბუქების საშუალებას. დაზღვევა არ გვაძლევს სრულ

დაცულობას, მაგრამ გვეხმარება სირთულეების მარტივად დაძლევაში ანუ გვიქმნის დაცულობის განცდას.
სადაზღვევო სექტორისათვის ყველაზე დიდი რისკის მქონე ადამიანის ჯანმრთელობაა, რადგან იგი არის ის ფუნდამენტი, რაზეც ეწყობა პიროვნული კეთილდღეობა და ცხოვრების რიტმი. ჩემი თემა სწორედ მოიცავს მოცემულ საკითხს ჯანმრთელობას, ხოლო ქართულ რეალობაში საყოველთაო დაზღვევის ახალ სისტემას (DRG), რომელიც დიაგნოზთან შეჭიდულ ჯგუფებს გულისხმობს.

**საკვანძო სიტყვები:** ჯანდაცვა, დაზღვევა, რისკი, ჯანმრთელობის დაზღვევა.

**Abstract.** The world is full of dangers and dangers that we encounter at every step. Risk is an inseparable part of our life and includes all spheres of activity, be it banking or medical sector, it is everywhere and actively manifests itself in the daily life of each of us. Risk creates a sense of uncertainty in us, causes negative feelings and makes us fear the future. However, I think sometimes we can consider the negative as a positive, because everything depends on our ability to see and think. For some sectors, the risk is sometimes justified, because the innovations or even technologies in the world are the result of someone's bold and risky decision. In business, risk is always equated with loss and uncertainty, nor does the medical sector view it positively, the phrase "risky" always evokes a bad emotion in the mind because it is associated with some type of material or immaterial loss. How should we act so as not to experience loss? There are situations that we cannot help, but there are also situations where we can avoid dangers or make the loss of a risky outcome less painful. Simply put, we call this insurance, which is a method of risk avoidance or a means of mitigating the obtained result. Insurance does not give us complete protection, but it helps us to easily overcome difficulties, that is, it creates a feeling of security.
The biggest risk for the insurance sector is the health of a person, because it is the foundation on which personal well-being and the rhythm of life are organized. My topic covers the given issue of health, and in the Georgian reality the new system of universal insurance (DRG), which involves diagnosis-related groups.

**Keywords:** Healthcare, Insurance, Risk, Health Insurance.

**ძირითადი ნაწილი.** კაცობრიობამ განვითარების ხანგრძლივი და რთული გზა გაიარა. ისტორია მარტივად არ დაწერილა, რადგან უამრავი ომი, პანდემია, ბუნებრივი კატასტროფები გამოიარა, შესაბამისად თითოეული ადამიანის ცხოვრება სავსე იყო და არის რისკებით, რისი არიდების ან შემცირებისათვის გაჩნდა დაზღვევა ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში, რასაც მრავალი ისტორიული წყარო ადასტურებს. თუმცა პირველი დაზღვევა სულაც არ იყო ჯანმრთელობის ან სიცოცხლის, არამედ ეხებოდა უშუალოდ ქონებრივ ინტერესების დაცვას და საზღვაო სფეროს უკავშირდებოდა. დაზღვევა გვხვდება ძველ ბაბილონშიც მეფე ჰამურაბის დროს, რაც იმის მანიშნებელია რომ საზოგადოებაში არსებობდა მისდამი ინტერესი და საჭიროება. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ანტიკური ეპოქის შემდეგ

შუა საუკუნეებამდე ტერმინი „დაზღვევა“ ისტორიულ წყაროებში არსად მოიპოვება. მხოლოდ შუა საუკუნეებიდან იწყება დაზღვევის ახალი ისტორია, რომელიც იტალიიდან იღებს სათავეს, სადაც იწყება პრემიის საფუძველზე დაზღვევის პრაქტიკა. კერძოდ ქალაქ გენუაში 1347 წელს დაიდო პირველი სადაზღვევო ხელშეკრულება ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებული, რომელიც იყო თანამედროვესთან სრულად მიახლოებული, ხოლო 1430 წელს კი სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც ეხებოდა მონებსა და ორსულ ქალებს. აღსანიშნავია 1689 წელი, როდესაც დაიწყო „ლოიდსის ისტორია“ და დღემდე წარმატებით გრძელდება, რადგან მოცემული კომპანია გამოირჩევა თავისი მრავალფეროვანი სადაზღვევო პროდუქტებითა და მომსახურების ფორმებით.

რას არის დაზღვევა? დაზღვევა არის ერთგვარი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული თანხის სანაცვლოდ სადაზღვევო კომპანია - მზღვეველი იღებს პასუხისმგებლობას რომ მიღებული ზიანი აუნაზღაუროს დაზღვეულს, რომელიც ამავდროულად შეიძლება იყოს დამზღვევიც. თანამედროვე მსოფლიო ძირითადად ორიენტირებულია სამი ტიპის დაზღვევის გარშემო, როგორიცაა:

- პირადი (პერსონალური) დაზღვევა, რომელიც ეხება უშუალოდ კონრეტულ პირს და მისდამი დაკავშირებულ რისკებს;
- ქონების დაზღვევა, რომელიც დაკავშირებულია რაიმე ნივთის, საგნის, უძრავი და მოძრავი ქონების რისკების არიდებასთან;
- პასუხისმგებლობის დაზღვევა, რაც დაკავშირებულია მესამე პირის ინტერესების დაცვასთან, როდესაც მას შეიძლება ქმედებით ან უმოქმედობით მიადგეს გარკვეული ტიპის ზარალი.

2013 წელს საქართველოში ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანი იყო საქართველოს ყველა მოქალაქისათვის ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა. 2017 წლის 1 მაისიდან საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში ამოქმედდა დიფერენცირებული პაკეტები და დღეისათვის მოსახლეობის დაფინანსება ხორციელდება მათი სტატუსისა და შემოსავლების მიხედვით, რაც გულისხმობს მაგალითად სტუდენტების, პედაგოგების, საპენსიო ასაკის და სხვა პირების უფრო მეტი შეღავათებით სარგებლობას. 2022 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოში ჯანდაცვის სამინისტრომ სატესტო რეჟიმში

საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის ახალი დაფინანსების მოდელი ამოქმედდა, რომლის მიხედვითაც სამედიცინო დაწესებულებებს აუნაზღაურდებათ პაციენტთა მომსახურების ხარჯები თანაბრად. მოცემული სისტემა 2023 წლის 1 იანვრიდან ოფიციალურად შევიდა ძალაში და კლინიკები, რომლებიც ჩართულნი არიან სახელმწიფო პროგრამაში ვალდებულებას იღებენ პაციენტებს დამატებითი მომსახურების თანხები ჰონორარსა და VIP პალატებზე აღარ მოსთხოვონ. DRG (Diagnosis-Related Groups) სისტემაზე მუშაობენ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები, რომლის მიხედვითაც გამოითვლება ფასი, რითაც სამინისტრო მოქალაქეებს ხარისხიან და სწორი მკურნალობის ხარჯებს დაუფინანსებს. ძველი მოდელის პირობებში ფინანსდებოდნენ კლინიკები განსხვავებული, წინასწარ განსაზღვრული თანხებით კონკრეტულ პროცედურასა და ოპერაციაზე. DRG-ის მიხედვით კი ყველა სამედიცინო დაწესებულებაში დაწესებულია თანაბარი განფასება და კონკრეტული სერვისის ზედა ზღვარი, რომლის იქითაც სახელმწიფო აღარ ანაზღაურებს. მოცემული მოდელის დროს ფინანსური საკითხების დათვლისას გამოიყენება პაციენტის დიაგნოზი, ასაკი და ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა, თუმცა არსებობს სხვა შეფასების კრიტერიუმებიც. DRG ყველა კლინიკას თანაბარ პირობებში აყენებს, რაც გულისხმობს რომ იარსებებს ყველგან ერთი ტარიფი, ხოლო პაციენტი, როგორც აღვნიშნეთ, აღარ გასწევს ზედმეტს ხარჯს, გარდა თანადაფინანსების წილისა, რომელიც უკვე განსაზღვრულია საყოველთაო ჯანდაცვის პაკეტებით. ამ ეტაპზე მოცემული ცვლილება ეხება მხოლოდ სტაციონარულ მომსახურებას, რაც გულისხმობს პაციენტის 24 საათზე მეტი ხნით კლინიკაში დაყოვნებას და ჯანდაცვის სამინისტრო ვებგვერდზე მოცემულია ის მიმართულებები, სადაც დაფინანსების ძველი მოდელი შენარჩუნებულია (მაგალითად, მშობიარობა, საკეისრო კვეთა და ა.შ).

DRG სისტემა ზოგადად სათავეს 1980 წლიდან იღებს, რომლის შემოღებამაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეამცირა სახელმწიფოს ხარჯები კლინიკებზე. როგორ ითვლიან დიაგნოზთან შეჭიდულ ჯგუფებს? არსებობს რამდენიმე ფაქტორი:

- პირველადი დიაგნოზი;
- მეორადი დიაგნოზი;
- თანმხლები დაავადებები;
- აუცილებელი სამედიცინო პროცედურები;

- ასაკი;
- სქესი.

აღნიშნული მოდელი იდეალურად მუშაობს აშშ-ში, სადაც ამ ყველა კრიტერიუმს მატება ხელფასის ინდექსი, რაც შტატებისა და ქალაქების მიხედვით განსხვავებულია. მარტივად რომ ვთქვათ DRG სისტემა აიძულებს სამედიცინო დაწესებულებებს მცირეხარჯიანები იყვნენ, რადგან თუკი კლინიკა დახარჯავს დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის ზღვარზე ნაკლებს მიიღებს მოგებას, ხოლო თუ ასცდება განსაზღვრულ ლიმიტს, მაშინ კარგავს თანხას და ზარალშია. ისმის კითხვა ხომ არ იმოქმედებს აღნიშნული საკითხი მომსახურების ხარისხსა და სამედიცინო სერვისებზე? ერთის მხრივ, დაფინანსების ეს მოდელი სტიმულია კლინიკებისთვის იმუშაონ ბევრი და მიიღონ შესაბამისად მეტი პაციენტი, თუმცა აქ მოდის მეორე საკითხიც, რომ არ გაწერონ პაციენტები სწრაფად მათ სრულ გამოჯანმრთელებამდე, რათა ხარჯების მინიმიზაცია მოხდეს ხელოვნურად და თავისუფალი ადგილი სხვამ შეავსოს. ასეთ დროს ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს თავდაცვის მექანიზმი, რომ თუკი პაციენტს გაწერენ პროტოკოლითა და გაიდლაინებით განსაზღვრულ ვადაზე ადრე და მოხდება მისი განმეორებითი ჰოსპიტალიზაცია იგივე დიაგნოზით 30 დღის განმავლობაში, სამედიცინო დაწესებულება შესაძლებელია შემოწმდეს, დაფინანსება კონკრეტულ პაციენტზე ვეღარ მიიღოს ან სულაც დაჯარიმდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში არასრულად ჩატარებული მკურნალობა, რომლის შედეგადაც გართულდა შემთხვევა და განაპირობა რეჰოსპიტალიზაციის შემთხვევა უმეტესად მანამდეც არ ფინანსდება. თუმცა სხვა ვარიანტია, ხომ არ გამოიწვევს მოცემული სისტემის ფარგლებში პაციენტების თანმხლები დიაგნოზების განზრახ გაზრდას, თუმცა ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებში მითითებულია, რომ ძირითად დიაგნოზად სავალდებულოა გაიწეროს ის მდგომარეობა, რომლის ჩარევაც არის უფრო მეტად რესურსტევადი.

საქართველოში დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების დაფინანსების სქემა 2023 წლის 1 იანვრიდან აქტიურად მუშაობს, შესაბამისად რა შედეგებს მოიტანს მოცემული სისტემა ამაზე წლის ბოლოს შეჯამებაზე შეგვიძლია ვისაუბროთ. ვფიქრობ აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია და სერიოზულ დაკვირვებას საჭიროებს ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან, რადგან ეხება ჩვენთვის ყველაზე ღირებულ ფასეულობას - ჯანმრთელობას.

**დასკვნა.** ჯანდაცვის სექტორი ძალიან სწრაფად და სწორი მიმართულებით ვითარდება, რადგან ქვეყანას აქვს პრიორიტეტები განსაზღვრული, შესაბამისად მოცემული სფერო უნდა იყოს ყველაზე მეტი ყურადღების ქვეშ, რადგან ჯანმრთელობა უმნიშვნელოვანესია. ზოგადად სამედიცინო სექტორის მაღალი ხარისხი და დონე ასახავს თუ რამდენად კარგად არის სახელმწიფო განვითარებული, სიცოცხლის ხანგრძლივობაც პირდაპირპროპორციულად აისახება მოცემულ ფაქტორზე. მსოფლის განვითარებულ სახელმწიფოებში ჯანდაცვის საკითხები მოწინავეა ადგილზეა, რადგან ყველას გააზრებული აქვს ჯანმრთელობის ფასი. ქართულ რეალობაში საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა დაახლოებით 10 წელია არსებობს, რამაც აჩვენა რომ არსებული სადაზღვევო პაკეტები მუშაობს კარგად და მოქალაქეები არიან დაცულნი ამ კუთხით ისე როგორც არასდროს. ვფიქრობ დაფინანსების ახალი მოდელის სრული ადაპტირება მალე მოხდება და დადებითად აისახება ჯანდაცვის სფეროს განვითარებასა და სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობაზე. DRG სისტემა ნამდვილი გამოწვევაა ჯანდაცვის სექტორისთვის, რომელსაც ღირსეულად მიიღებს და გაუმკლავდება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ცერცვაძე არჩილ, ხანთაძე გიორგი, ვეკუა დავით, "სადაზღვევო საქმე", თბილისი, გამომცემლობა "დანი", 2016.
2. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, 1997.
3. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, 1997.
4. www.moh.gov.ge - უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 15.03.2023.

# ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმიანობის პროცესუალური თავისებურებების ფილოსოფია
# The Philosophy of Procedural Features of the Activity of the European Court Of Human Rights

**ბექა ძოწენიძე** - ფილოსოფიის დოქტორანტი, სამართლის მაგისტრი, ლექტორი.
ახალი საქართველოს უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**სალომე კუბლაშვილი** - სამართლის მაგისტრი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Beka Dzotsenidze** - PhD candidate in Philosophy, Master of Laws, lecturer.
The University of New Georgia, Akaki Tsereteli State University
**Salome Kublashvili** - Master of Law Akaki Tsereteli State University

**რეზიუმე:** ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში ,,სასამართლო'', ,,ევროპული სასამართლო'', ,,სტრასბურგის სასამართლო'') ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იურისპრუდენციაში. მართლმსაჯულების განხორციელებაში მისი მნიშვნელობა აღიარებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით, რომელიც არეგულირებს სასამართლოს საქმიანობის ძირითად პროცესუალურ საკითხებს.

სწორედ სასამართლოს განსაკუთრებული როლიდან გამომდინარე, პრაქტიკაში, როდესაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები ხდება ევროპული სასამართლოს განხილვის საგანი, მთელი რიგი სამართლებრივი პრობლემები წინა პლანზე გამოდის, ვინაიდან კონვენცია, რომელიც სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტია, არ გვთავაზობს იმ პირობების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას.

ვინაიდან, სასამართლო დაარსებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის საფუძველზე და მის ძირითად მიზანს სწორედ სახელმწიფოების მიერ კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი წარმოადგენს, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას კონვენციის მხოლოდ ,,მშრალ'' ტექსტს არ იყენებს, მის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს კონვენციის ინტერპრეტაცია „თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით", აღნიშნულის გათვალისწინებით კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება პრეცედენტული გადაწყვეტილებების შესწავლასა და ანალიზს.

**საკვანძო სიტყვები:** გადაწყვეტილება, სასამართლო, კონვენცია

**Summary:** The European Court of Human Rights (hereinafter the "Court", "European Court", "Strasbourg Court") occupies one of the most important places in jurisprudence. Its importance in the administration of justice is recognized by the Convention on the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, which regulates the main procedural issues of the court's activity. Due to the special role of the court, in practice, when the final decisions of the courts of the contracting parties to the Convention on the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms become the subject of review by the European Court, a number of legal problems come to the fore, since the Convention, which is the main legal act regulating the activities of the court, does not offer the conditions An exhaustive list, which

determines the possibility of applying to the court. Since the Court was founded on the basis of the Convention on the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and its main purpose is to control the fulfillment of the obligations imposed by the Convention by the States, the Court does not use only the "dry" text of the Convention when making a decision, one of its peculiarities is the "modern" interpretation of the Convention Taking into account the reality", taking into account the aforementioned, the research methodology is based on the study and analysis of precedent decisions.

**Key Words**: Decision, Court, Convention.

**ძირითადი ტექსტი.** ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული მექანიზმის ფუნქციონირების პრაქტიკის შესწავლის შედეგად თანდათან განმტკიცდა აზრი მექანიზმის რეფორმების აუცილებლობის შესახებ, ამიტომაც, 1994 წლის 11 მაისს მიღებული იქნა კონვენციის მე-11 ოქმი ,,საკონტროლო მექანიზმების რესტრუქტურიზაციის შესახებ'', რომელიც 1998 წელს შევიდა ძალაში. ძველმა სასამართლომ ფუნქციონირება შეწყვიტა, ხოლო შემდგომ საერთოდ გაუქმდა კომისია.

ადამიანის უფლებათა ახალი ევროპული სასამართლო თავის საქმიანობას შეუდგა 1998 წლის 01 ნოემბერს, ანუ მე-11 ოქმის ძალაში შესვლის დღიდან, ამასთან, ოქმის თანახმად, კომისიამ გააგრძელა ფუნქციონირება 1 წლით - 1998 წლის 01 ნოემბრამდე, უკვე შემოსული საჩივრების დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად, ხოლო კომისიამ 1999 წელს საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა.

ოქმის თანახმად, ადამიანის უფლებათა ახალი ევროპული სასამართლო, რა ფორმითაც ის დღესდღეობით ცნობილია, უფლებათა დაცვის ახალი საკონტროლო მექანიზმით აღიჭურვა. ნებისმიერი სხვა ოფიციალური საერთაშორისო ორგანოს მსგავსად, ევროპული სასამართლო ფუნქციონირებს განსაზღვრული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში კი სასამართლოს დამფუძნებელ დოკუმენტად გვევლინება ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია'', რომელშიც ვკითხულობთ, რომ ,,კონვენციისა და მისი ოქმების ხელმომწერ მხარეთა მიერ აღიარებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, დაარსებული იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო''.

ხსენებული ოქმის საფუძველზე შექმნილი ახალი სასამართლოს, როგორც უფლებათა დაცვის ახალი საკონტროლო მექანიზმის სტრუქტურა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: სასამართლო შედგება ევრო საბჭოს წევრი სახელმწიფოების რიცხვის შესაბამისი მოსამართლეთა რაოდენობისაგან.

მოსამართლეებად აირჩევიან მაღალი ზნეობის მქონე პირები რომელთაც გააჩნიათ როგორც კვალიფიკაცია საკუთარი ქვეყნის მაღალ სასამართლო დაწესებულებებში დასანიშნად, ისე აღიარებული არიან კომპეტენტურ იურისტ-ექსპერტებად.

მოსამართლეები იკავებენ თანამდებობას სასამართლოში პირადი პასუხისმგებლობის საფუძველზე. მუშაობის ვადის განმავლობაში მოსამართლეები არ შეიძლება ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას, რაც შეუთავსებელია მათ დამოუკიდებლობასთან, მიუკერძოებლობასთან და მათ სრულ სამუშაო დროსთან.

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სისტემა - ადამიანის უფლებათა კონვენცია ემყარება სუბსიდიარობის პრინციპს, რომლის თანახმადაც კონვენციის გამოყენების უზრუნველყოფა პირველ რიგში, ეკისრება სახელმწიფოებს - კონვენციის მხარეებს, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უნდა ჩაერიოს საქმეში თუ სახელმწიფოები არ შეასრულებენ კონვენციით დადგენილ ვალდებულებებს.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო დაარსებულია კონვენციის საფუძველზე და მის ძირითად მიზანს სწორედ სახელმწიფოების მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი წარმოადგენს, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას კონვენციის მხოლოდ ,,მშრალ'' ტექსტს არ იყენებს, მის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს კონვენციის ინტერპრეტაცია „თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით“.

აღნიშნული მიდგომა განპირობებულია კონვენციის სამართლებრივი ბუნებით, ის წარმოადგენს აქტს, რომელიც ძირეულად არ შეცვლილა მისი ძალაში შესვლის მომენტის შემდგომ, შესაბამისად, საქმის სწორად განხილვისა და გადაწყვეტის მიზნებისათვის სასამართლოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალ სტანდარტებს და არა იმას, რაც არსებობდა კონვენციის ძალაში შესვლის მომენტისათვის, თუმცა ამ კუთხით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო არა მხოლოდ კონვენციის, არამედ მის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებებით თუ განმარტებებითაც არ არის შებოჭილი და შემოსაზღვრული, ის ,,მართალია'' ხელმძღვანელობს და იყენებს კონვენციის ნორმასთან მიმართებით მიღებულ გადაწყვეტილებებსა და განმარტებებს, თუმცა ვინაიდან სასამართლოს მიზანს წარმოადგენს გადაწვეტილებების არსებულ რეალობასთან მორგება, არ არის

გამორიცხული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით მიღებული იქნას ადრე მიღებული გადაწყვეტილებისგან განსხვავებული გადაწყვეტილება. აღნიშნული იმით აიხსნება, რომ კონვენციის კონკრეტული მუხლების განმარტებები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს არსებულ რეალობას და საზოგადოებაში არსებულ ცვლილებებსა და გამოწვევებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონვენცია, როგორც სასამართლოს საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტი დამოუკიდებლად ვერ იარსებებდა, რომ არა ევროპული სასამართლო. კონვენცია, მხოლოდ არსებული მუხლებითა და დამატებითი ოქმებით შემოიფარგლება, ხოლო მისი თანამედროვე რეალობასთან მიმართებით განმარტების საკითხში უმთავრეს როლს სწორედ სასამართლოს საქმიანობა ასრულებს.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს დაარსების შემდეგ, მნიშვნელოვანი ძალისხმევა განხორციელდა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო კონვენციისა და ევროპული პრეცედენტული სამართლის გავრცელება სასამართლო, სამთავრობო და საპარლამენტო დონეზე. ამის მიუხედავად, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების რაოდენობის ზრდა და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ევოლუციამ საჭირო გახადა შემდგომი ზომების მიღება ევროპულ დონეზე, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ძალისხმევა შესაბამისობაში ყოფილიყო ახალ საჭიროებებთან.

შესაბამისად, რომში ჩატარდა ადამიანის უფლებათა ევროპული მინისტერიალი 2000 წლის 3-4 ნოემბერს კონვენციის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სადაც ევრო საბჭოს მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს: ”უზრუნველყონ კონვენციის ტექსტის თარგმნა და ფართო გავრცელება ეროვნულ ხელისუფლებას, განსაკუთრებით სასამართლოებს, და რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში განვითარებულია მოვლენები ქვეყნის ენებზე (ენებზე) საკმარისად ხელმისაწვდომი”.

სასამართლოს გადაწყვეტილებები ემსახურება არა მხოლოდ იმ საქმეების გადაწყვეტას, რომლებიც მის წინაშეა წარდგენილი, არამედ, ზოგადად, გადაწყვეტილების მისაღებად განმარტავს და იცავს კონვენციით დადგენილ წესებს, რითაც ხელს შეუწყობს კონვენციას ხელშემკვრელ მხარეთა მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას.

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმიანობის მიზნები და ამოცანები.** ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, სხვაგვარად სტრასბურგის სასამართლოს უპირველეს მიზანს წარმოადგენს, იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება სახელმწიფოს ქმედებები კონვენციით დადგენილ სტანდარტებსა და უფლებებს, ასევე სასამართლოს მიზანია ამ სტანდარტების დარღვევის დადგენა.

აღნიშნული ფუნქციების მიუხედავად, კონვენციით დადგენილია, რომ მომჩივანის მიერ აუცილებელია გამოყენებული იქნას ,,შიდა სამართლებრივი'' დაცვის ყველა საშუალება და სწორედ ამის შემდგომ მოხდეს სასამართლოსთვის მიმართვა სადავო შემთხვევის/შემთხვევების კონვენციასთან შესაბამისობის განხილვის მიზნით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ არ მოხდეს სასამართლოს როლისა და დანიშნულებების გაიგივება ეროვნულ სასამართლოებთან. სტრასბურგის სასამართლო წარმოადგენს არა ეროვნული სასამართლოების მსგავს მექანიზმს, არამედ კონვენციით რეგულირებული უფლებების შესრულების საზედამხედველო ორგანოს, რომლის მიზანს უპირველესად წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

ხსენებულ საკითხთან მიმართებით ევროპული სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საქმეზე Garcia Ruiz v. Spain აღნიშნა, რომ ხანგრძლივი და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სასამართლო მიზნად არ ისახავს ეროვნულ სასამართლოთა შესაძლო ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომების განხილვას, ვიდრე მათ მიერ არ დაირღვევა კონვენციით დაცული უფლებები და თავისუფლებები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სასამართლოს უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ეფექტური აღსრულება კონვენციის წევრს სახელმწიფოებში. სასამართლოს საქმიანობის უპირველეს მიზანს წარმოადგენს, სადავო მუხლებთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებებისა და განმარტებების ზუსტი გაგება და საქმის განხილვის მიმდინარეობისას გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ, რომლებიც განიხილავენ კონვენციით დაცული უფლების დარღვევის საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია ევროპული სასამართლოს საქმიანობის მთავარი წყაროა, ხოლო ეროვნული სასამართლოებისათვის სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციული საქმეების განხილვის პროცესში,

კონვენცია და ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი განმარტებები დამატებითი წყაროს ფუნქციას ასრულებს.

კონვენციის წევრ ეროვნულ სასამართლოებს დაკისრებული აქვთ ვალდებულება, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ ეწინააღმდეგებოდეს ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრეცედენტებს, კონვენციის კონკრეტული მუხლების განმარტებასთან მიმართებით სადავო საკითხზე, თუმცა ამ პოზიტიური ვალდებულებების მიუხედავად ხშირად არის შემთხვევები, როცა ეროვნული სასამართლოების მიერ ხდება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების განსხავებული ინტერპრეტაცია კონკრეტული საქმის განხილვისას, ხშირს შემთხვევაში სრულად ხდება მისი უგულებელყოფა. სწორედ იმ ფაქტის გამო, რომ კონვენციის ცალკეული მუხლების შინაარსი განმარტებულია სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით და ეს უკანასკნელი ადგენს და განსაზღვრავს კონვენციით რეგულირებული უფლებების შინაარსს, მოქმედებასა და ფარგლებს, ეროვნულ სასამართლოებს ეკისრებათ ვალდებულება კონვენცია და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები გამოიყენონ ერთობლივად და არა დამოუკიდებლად.

არაერთხელ განიმარტა, იურიდიულ ლიტერატურაში, რომ გადამწყვეტ როლს ასრულებს კონვენცია, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია კონვენციით დადგენილი უფლებების სასამართლოსეული განმარტებები. ეროვნული სასამართლოები უნდა აცნობიერებდნენ იმასაც, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებით დადგენილი პრაქტიკებით, ამავე სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის გააზრების გარეშე სირთულეს წარმოადგენს კონვენვიით გარანტირებული უფლებების რეალური შინაარსის დადგენა და კონვენციის მუხლების პრაქტიკაში სწორად გამოყენება.

ეროვნული სასამართლოების უპირველესი როლია ევროპული სასამართლოს პრეცედენტების გააზრება და პრაქტიკაში გამოყენება, ვინაიდან კონვენციის ტექსტი საკმაოდ მშრალი და არასაკმარისია, რომ სახელმწიფოებმა შეძლონ მისი სწორად გამოყენება, ევროპული სასამართლოს მიერ კონკრეტულ მუხლთან მიმართებაში დამკვიდრებული პრაქტიკისგან დამოუკიდებლად.

როგორც უკვე აღინიშნა, ევროპული სასამართლოს როლია ერთიანი პრაქტიკის დანერგვა, თუმცა ამის მიუხედავად ის მაინც არ არის

შემოსაზღვრული მის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებით, რაც იმას ნიშნავს, რომ შეცვლილი რეალობის გათვალისწინებით მის მიერ მიღებული იქნას სხვა გადაწყვეტილება, ანუ კონვენციის ნორმის არსებული განმარტებისგან განსხვავებული გადაწყვეტილება, შესაბამისად, ეროვნულ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, რომ გაითვალისწინონ გადაწყვეტილების მიღების პერიოდი და საქმის განხილვის დროს გამოიყენონ ის გადაწყვეტილება, რომელიც არის ახალი და შეესაბამება არსებულ რეალობას.

აქედან გამომდინარე, რაც უფრო ძველია გადაწყვეტილება მით უფრო დიდი იმის შანსი, რომ ის არასარწმუნო იყო და მისი ეროვნული სასამართლოს მიერ პრაქტიკაში გამოყენებით, შეიძლება მივიდეთ იმ შედეგამდე, რომ მათ მიერ დაირღვეს ადამიანის უფლებები, შესაბამისად, კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რომ გამოიყენონ ევროპული სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილებები, აღნიშნული კი, როგორც ევროპის საბჭოს არაერთ რეკომენდაციაში არის მითითებული, სასამართლოს პრაქტიკის მუდმივი შესწავლით, ნორმების ახლებურად განმარტებასთან მიმართებაში მიიღწევა.

გარდა ამისა, პრაქტიკაში იყოს შემთხვევა, როცა ევროპულ სასამართლოს არ ჰქონდეს მიღებული გადაწყვეტილება სადავო საკითხთან მიმართებაში, მსგავსი გარემოება არ აძლევს სახელმწიფოებს იმის შესაძლებლობას, რომ გვერდი აუარონ კონვენცია, მათ აქვთ იმის ვალდებულება, რომ გადაწყვეტილებები, რომლებსაც მიიღებენ შესაბამისობაში იყოს კონვენციის ტექსტთან.

სასამართლოს საქმიანობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქმის გარემოებების სრულყოფილად შესწავლა, რისთვისაც ის მხოლოდ წარდგენილ საჩივარს არ ეყრდნობა, მას შეუძლია გამოითხოვოს მტკიცებულებები, სასამართლოს მიერ მოთხოვნილი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება სავალდებულოა მოპასუხისათვის, აღნიშნული მოთხოვნა გულისხმობს მოთხოვნილი მასალის მთლიანად წარდგენას სასამართლოში. გარდა ამისა, ნებისმიერი მოთხოვნილი მასალა დაუყოვნებლივ უნდა იქნას წარმოებული და ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. თუ მოპასუხე მხარეს გააჩნია მტკიცებულებების წარუდგენლობის საპატიო მიზეზ, მან ეს გარემოებები უნდა განუმარტოს სასამართლოს.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ყველა საერთაშორისო სასამართლო ან კვაზი სასამართლოო ორგანო, რომელთაც სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტანილი ინდივიდუალური საჩივრების განხილვის კომპეტენცია აქვს, იყენებენ წესს, რომლის მიხედვითაც პირს ამოწურული უნდა ჰქონდეს ყველა შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებები, მანამ სანამ სანამ პეტიციას საერთაშორისო ზედამხედველობის ორგანოში შეიტანს. სწორედ კონვენციისა და სასამართლოს მსგავსი მიდგომა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიზნებსა და ამოცანებს.

და ბოლოს, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები და განმარტებები ემსახურება არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე წარდგენილი საქმეების გადაწყვეტას კონვენციით დადგენილი წესების შესაბამისად, არამედ კონვენციის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოების მიერ მათ მიერ აღებული ვალდებულებების დაცვას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Cossey v. The United Kingdom, 16/1989/176/232, Council of Europe: European Court of Human Rights, 29 August 1990, ხელმისაწვდომია: https://www.refworld.org/cases,ECHR,3ae6b6fd17.html
2. Recommendation Rec (2002)13 of the Committee of Ministers to member states on the publication and dissemination in the member states of the text of the European Convention on Human Rights and of the case-law of the European Court of Human Rights; https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=090000168063ca51
3. სავანელი ბ., ადამიანის უფლებები, თბილისი, 2013, გვ. 108
4. ჭანტურია ლ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და სამოსამართლო დიალოგი, ხელმისაწვდომია: https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/Law-Jour2019-%202.pdf;
5. Leach Ph., Taking a Case to the European Court of Human Rights, 4th ed., Oxford, 2017, გვ. 190
6. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-19 მუხლი, რომი, 1950 წლის 04 ნოემბერი;
7. Case Garcia Ruiz v. Spain, https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-68183%22]},

# კოვიდპანდემიის გავლენა ტურიზმზე
# The impact of the Covid Pandemic on Tourism Industry

**თამარ ზუბიტაშვილი**
გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი

**Tamar Zubitashvili**
Doctor of geographic sciences

**რეზიუმე.** მსოფლიოში ტურიზმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდუსტრიაა, რომელიც მუდმივად ქმნის სამუშაო ადგილებს და ასაქმებს ადგილობრივ მოსახლეობას.
ტურიზმი ყოველწლიურად განახლებადი სფეროა, იქმნება ახალი აგროტურისტული და ეკოტურისტული ობიექტები. ქვეყანაში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით ხდება კულტურული და ისტორიული ობიექსტების აღდგენა-განახლება, ახალი ეკოტურისტული სივრცეების მოწყობა რაც კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის შემოსული ტურისტისთვის რეგიონს. ტურიზმის წარმატებით განვითარებას თან ახლავს შემაფერხებელი გარემოებებიც. კერძოდ, შიდა და გარე კონფლიქტები ქვეყნებს შორის, შიდა პოლიტიკური აშლილობა, ტერორისტული აქტები, ეპიემია, პანდემია და ა.შ. პანდემიამ დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოსა და ცალკეულ ქვეყნებზე, როგორც ჰუმანიტარული, ისე ეკონომიკური და სოციალური თავლსაზრისით. რთულ კრიზისულ მდგომარეობში აღმოჩნდნენ აგროტურიზმის სფეროს წარმომადგენელბიც. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს დიდი პოტენციალი გააჩნია აგროტურისტული თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ვისაუბრებ კახეთზე. ეს არის რეგიონი სადაც თავმოყრილია და უხვადაა წარმოდგენილი აგროტურისტული რესურსები. კახეთის სოფლებში მრავლად შეხვდებით საოჯახო მარნებს, საოჯახო სასტუმროებს, რომლებიც ვიზიტორებს სთავაზობენ მრავალფეროვან აგროტურისტულ აქტივობებს, რომელბიც კარგდაა შერწყმული ადგილობრივ ეკოგარემოს. ადგილობრივები აქტიურად ცდილობენ ფეხი აუწყონ ტურიზმის თანამედროვე გამოწვევებს და აცნობენ მათ ოჯახის ტრადიციული ნივთების, სამეურნეო საქმიანობის და სამზარეულოს გაცნობას ტურისტებისთვის.
პანდემიის პერიოდში ბევრი ადამიანი დაუბრუნდა სოფელს, საკუთარი ხარჯებით განაახლეს წინაპრების სახლ-კარი და შექმნეს ტურისტულად მეტად საინტერესო სივრცეები.
პანდემიამ არა თუ შეაშინა მოსახლეობა, არამედ კიდევ უფრო მეტი სტიმული მისცა მათ მოიძიონ და შექმნან ახალი პროდუქტები, მივიწყებულ სოფლებში გაჩნდა ახალი ტურისტული სივრცეები. შექმნეს ახალი ატრაქციები, რომელიც კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის ტურისტისთვის. სოფლად მიბრუნებულმა მოსახლეობამ გააცოცხლა გარემო, განაახლეს ვაზი და ცდილობენ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ღვინის ტურიზმის განვითარებაში. ადგილობრივ ტრადიციულ სამზარეულოს თანამედროვე შტრიხები შესძინეს და საზოგადოებას წარუდგინეს კარგად მივიწყებული გათანამედროვებული კერძები, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გასტრონომიული ტურიზმის განვითარებას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთა გატარებასაც ანხორციელებს სახელმწიფო, გარემოს დაცვის, მდგრადობის და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისთვის და ტურიზმის სექტორის განვითარებისთვის. რათა მოხდეს ამ სფეროში პანდემიამდე არსებული შედეგების აღდგენა და კიდევ უფრო განვითარება. ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის თებერვალში საქართველომ უმასპინძლა თხილამურსა და სნოუბორდინგში თავისუფალი

სტილით სრიალში მსოფლიო ჩემპიონატს, რომლის დროსაც ჩვენს ქვეყანას ათასობით ადგილობრივი თუ უცხოელი ვიზიტორი ეწვია. ასევე რაც ყველაზე მნიშვნლოვანია ITB Berlin 2023-ზე საქართველო მასპინძელი ქვეყნის სტატუსით იყო წარმოდგენილი. გამოფენაზე საქართველოს მთავარი კონცეფცია ,,უსაზღვრო სტუმართმოსპინძლობა" იყო.
ბერლინის ტურისტული გამოფენის ფარგლებში საქართველომ ასევე უმასპინძლა სპეციალურ ღონისძიებას ,,სათავგადასავლო ტურიზმის აღმოჩენა საქართველოში". ეს კი საკმაოდ გაბედული ნაბიჯია ერთი ხელისგულისხელა ქვეყნისათვის, სადაც უხვადაა თავმოყრილი მრავალფეროვანი ტურისტული რესურსები.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმის ინდუსტრია, საერთაშორისო ტურიზმი, კოვიდპანდემია, ეკო და აგრო ტურისტული სივრცეები, საოჯახო მარნები, ეროვნული ტრადიციები, ტურიზმის საერთაშორისო ფესტივალი.

**Rezume** Tourism is one of the most important industries in the world, which constantly creates jobs and employs the local population.
Tourism is an area that is renewed every year, new agro-tourism and eco-tourism facilities are created. With the income from tourism in the country, cultural and historical objects are restored and renovated, new ecotourism spaces are created, which makes the region even more impressive for the incoming tourist.
The successful development of tourism is accompanied by hindering circumstances. In particular, internal and external conflicts between countries, internal political disturbances, terrorist acts, epidemics, pandemics, etc. The pandemic has had a great negative impact on the whole world and individual countries, both from a humanitarian, economic and social point of view. The representatives of the field of agrotourism also found themselves in a difficult crisis situation. Almost all regions of Georgia have great potential in terms of agro-tourism. In this case, I will talk about Kakheti. This is a region where agro-tourism resources are gathered and abundantly presented. In the villages of Kakheti, you will find many family wineries, family hotels, which offer visitors a variety of agro-tourism activities, which are well combined with the local eco-environment. Locals are actively trying to cope with the modern challenges of tourism and introduce their traditional family items, farming activities and cuisine to tourists.
During the pandemic, many people returned to the village, renovated the houses of their ancestors at their own expense and created spaces that are very interesting for tourism.
The pandemic did not scare the population, but gave them even more incentive to find and create new products, new tourist spaces appeared in forgotten villages. New attractions have been created, which makes it even more impressive for the tourist. The population that returned to the countryside revitalized the environment, renewed the vines and is expected to make a significant contribution to the development of wine tourism. Modern touches were added to the local traditional cuisine and well-forgotten modern dishes were presented to the public, which will significantly contribute to the development of gastronomic tourism. It is necessary to mention the important measures implemented by the state for environmental protection, sustainability and preservation of natural resources and for the development of the tourism sector. in order to restore and further develop the pre-pandemic results in this area. A clear example of this is the fact that in February of this year, Georgia hosted the World Championship in freestyle skiing and snowboarding, during which thousands of local and foreign visitors

visited our country. Also, what is most important, Georgia was represented as a host country at ITB Berlin 2023. The main concept of Georgia at the exhibition was "boundless hospitality".
Within the framework of the Berlin Tourism Exhibition, Georgia also hosted a special event "Discovering Adventure Tourism in Georgia". This is quite a bold step for a country the size of one palm, where diverse tourist resources are abundantly gathered.

**Keywords**: Tourism Industry, International Tourism, Covid Pandemic, Eco And Agro-Tourism Spaces, Family Wineries, National Traditions, International Tourism Festival,

**შინაარსი.** მსოფლიოში ტურიზმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდუსტრიაა, რომელიც მუდმივად ქმნის სამუშაო ადგილებს და ასაქმებს ადგილობრივ მოსახლეობას.

ტურიზმი ყოველწლიურად განახლებადი სფეროა, იქმნება ახალი აგროტურისტული და ეკოტურისტული ობიექტები. ქვეყანაში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით ხდება კულტურული და ისტორიული ობიექსტების აღდგენა-განახლება, ახალი ეკოტურისტული სივრცეების მოწყობა რაც კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის შემოსული ტურისტისთვის რეგიონს.

ტურიზმის წარმატებით განვითარებას თან ახლავს შემაფერხებელი გარემოებებიც. კერძოდ, შიდა და გარე კონფლიქტები ქვეყნებს შორის, შიდა პოლიტიკური აშლილობა, ტერორისტული აქტები, ეპიემია, პანდემია და ა.შ.

2019 წლის ბოლოს მსოფლიო კორონავორუსის პანდემიის წინაშე შიშველი ხელებით აღმოჩნდა. ყველაზე დიდი დარტყმა სწორედ ტურიზმის ინდუსტრიამ მიიღო. ჩავარდა ტურისტული სეზონები, ჩაიკეთ ქვეყნების საზღვრები, შეწყდა სარკინიგზო თუ ავია მიმოსვლა თითქმის ყველა მიმართულებით. ამ მოვლენებმა მნიშვნელოვნად დააზარალა მსოფლიო შემოსავლები და აქედან გამომდინარე ამ მსოფლიო პანდემიას ვერც საქართველო გადაურჩა, რასაც მოჰყვა ქვეყანაში საერთაშორისო ტურიზმის პარალიზება და მკვეთრად შემცირდა შიდა ტურიზმი.

პანდემიამ დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოსა და ცალკეულ ქვეყნებზე, როგორც ჰუმანიტარული, ისე ეკონომიკური და სოციალური თავლსაზრისით. გამოიწვია ადამიანთა მშნიშვნელოვანი მსხვერპლი, დაეცა ადამიანთა კეთილდღეობის და კომფორტის დონე, ეკონომიკამ განიცადა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი დანაკარგები. {http://conferenceconomics.tsu.ge}

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებზე დაყრდნობით საერთაშორისო მოგზაურობის რაოდენობა 2020 წელს 2019

წელთან შედარებით 81,3%-ით შემცირდა, მათ შორის საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტებისრაოდენობა კი 80,4%-ით შემცირდა. უშუალოდ ტურისტული ვიზიტების რიცხვმა 2020 წელს 1 მლნ შეადგინა, როდესაც 2019 წელს ეს მაჩვენებელი 5 მლნ ტურისტულ ვიზიტს აღწევდა. რაც შეეხება 2021 წელს, მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, გაიზარდა საერთაშორისო მოგზაურობის რაოდენობა 7,7%-ით { https://www.factcheck.ge/ }.

რთულ კრიზისულ მდგომარეობში აღმოჩნდნენ აგროტურიზმის სფეროს წარმომადგენელბიც. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს დიდი პოტენციალი გააჩნია აგროტურისტული თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ვისაუბრებ კახეთზე. ეს არის რეგიონი სადაც თავმოყრილია და უხვადაა წარმოდგენილი აგროტურისტული რესურსები. კახეთის სოფლებში მრავლად შეხვდებით საოჯახო მარნებს, საოჯახო სასტუმროებს, რომლებიც ვიზიტორებს სთავაზობენ მრავალფეროვან აგროტურისტულ აქტივობებს, რომელბიც კარგდაა შერწყმული ადგილობრივ ეკოგარემოს. ადგილობრივები აქტიურად ცდილობენ ფეხი აუწყონ ტურიზმის თანამედროვე გამოწვევებს და აცნობენ მათ ოჯახის ტრადიციული ნივთების, სამეურნეო საქმიანობის და სამზარეულოს გაცნობას ტურისტებისთვის.

პანდემიის პერიოდში ბევრი ადამიანი დაუბრუნდა სოფელს, საკუთარი ხარჯებით განაახლეს წინაპრების სახლ-კარი და შექმნეს ტურისტულად მეტად საინტერესო სივრცეები.

პანდემიამ არა თუ შეაშინა მოსახლეობა, არამედ კიდევ უფრო მეტი სტიმული მისცა მათ მოიძიონ და შექმნან ახალი პროდუქტები, მივიწყებულ სოფლებში გაჩნდა ახალი ტურისტული სივრცეები. შექმნეს ახალი ატრაქციები, რომელიც კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის ტურისტისთვის. სოფლად მიბრუნებულმა მოსახლეობამ გააცოცხლა გარემო, განაახლეს ვაზი და ცხილობენ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ღვინის ტურიზმის განვითარებაში. ადგილობრივ ტრადიციულ სამზარეულოს თანამედროვე შტრიხები შესძინეს და საზოგადოებას წარუდგინეს კარგად მივიწყებული გათანამედროვებული კერძები, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გასტრონომიული ტურიზმის განვითარებას.

2019-2020 წლებისგან განსხვავებით ყოველწლიურად იზრდება ტურისტული ნაკადები. კერძოდ, 2020 წელს შემოსული ვიზიტორების უმრავლესობა ფიქსირდებოდა იანვარ-მარტის პერიოდში, ჯერ კიდევ მაშინ

როდესაც ძალაში არ იყო პანდემიასთან დაკავშირებული მკაცრი შეზღუდვები. ამასთანავე რადიკალურად შემცირდა მოგზაურობის სექტორი. უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს, შეზღუდვების შემსუბუქებასთან ერთად ზრდის დინამიკით ხასიათდებოდა მოგზაურობის სექტორი. რაც შეხება ზაფხულის თვეებს ამ პერიოდში ტურისტული სეზონი აქტიურ ფაზაში გადავიდა. 2021 წლის ზაფხულში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ 725 ათასი ადამიანი შეადგინა, ხოლო საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ კი 645 ათასს მიაღწია. აღნიშნული კი 2020 წლის ზაფხულთან შედარებიტ დაახლოებით 400%-იან ზრდას წარმოადგენს. ხოლო მეორე მხრივ კი სემცირება 2019 წლის ზაფხულთან შედარებით არსებითია და დაახლოებით 76%-წარმოადგენს. {https://www.factcheck.ge/ka/story/39936}.

საქართველოს მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა თითქმის ახლიდან გავიცანით ჩვენი ქვეყნის კარგად მივიწყებული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. თითქმის ყველა რეგიონმა წარმატებით შეზლო გამკლავებოდა პანდემიას და ხმამაღალი სიტყვა ეთქვა მსოფლიოს წინაშე, რომ ჩვენს ქვეყანაში ტურიზმი კი არ გაჩერდა და ჩაიკეტა, პირიქით ახალი აღმოცენებით და ისახლეებით დახუნძული ეგებება უცხოელ ვიზიტორებს.

სწორედ ამის ნათლი მაგალითია, რომ ITB Berlin 2023-ზე საქართველო მასპინძელი ქვეყნის სტატუსით იყო წარმოდგენილი. გამოფენაზე საქართველოს მთავარი კონცეფცია ,,უსაზღვრო სტუმარმოსპინძლობა“ იყო. გამოფენის მთავარი 955კვ.მ. ფართობის სტენდი დათმობილი ჰქონდა საქართველოს. ფესტივალზე წარმოდგენილნი იყვნენ ასევე ქართული ტურიზმის სექტორში მოღვაწე მცირე და საშუალო მწარმოებლები. წარმოდგენილი იყო კახეთის და იმერეთის ავთენტური ტურიზმის წევრთა პროდუქცია. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ნატურალისტი მეღვინეების იშვიათი ჯიშებისგან დამზადებული ღვინოები. {https://gnta.ge/ge/itb-georgia-host-country}.

ბერლინის ტურისტული გამოფენის ფარგლებში საქართველომ ასევე უმასპინძლა სპეციალურ ღონისძიებას ,,სათავგადასავლო ტურიზმის აღმოჩენა საქართველოში“. ეს კი საკმაოდ გაბედული ნაბიჯია ერთი ხელისგულისხელა ქვეყნისათვის, სადაც უხვადაა თავმოყრილი მრავალფეროვანი ტურისტული რესურსები.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთა გატარებასაც ანხორციელებს სახელმწიფო, გარემოს დაცვის, მდგრადობის და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისთვის და ტურიზმის სექტორის განვითარებისთვის.  რათა მოხდეს ამ სფეროში პანდემიამდე არსებული შედეგების აღდგენა და კიდევ უფრო განვითარება.

ამ მიმართულებით ქვეყანაში დაგეგმილია ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება და ზოგიერთი არსებულის კიდევ უფრო გაფართოვება და კეთილმოწყობა, ასევე ახალი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, ბიზნესის მხარდაჭერა რაც ხელს შეუწყობს უფრო მაღალმხარჯველი ტურისტების მოზიდვას. {,,სამთავრობო პროგრამა 2021-2024წწ ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ 2020 თბილისი} {www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf}.

ტურიზმის ინდუსტრიის მხარდასაჭერად და შიდა ტურისტული ნაკადების გაზრდისათვის განხორციელდება მიზნობრივი მარკეტინგული აქტივობები, დაინერგება მოგზაურობის უსაფრთხოების და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტები, შემუშავდება ახალი ტურისტული პროდუქტები. გაფართოვდება პროგრამა ,,ღვინის გზა“ ახალი ხარისხის სტანდარტით - ეს პროექტი კი მოიცავს ქვეყნის მასშტაბით არსებული საოჯახო და ღვინის მარნებს და საწარმოებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ღვინის ტურიზმში. ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარებას და შეიქმნება ,,4 სეზონი“ ტურისტული პროდუქტები. ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის თებერვალში საქართველომ უმასპინძლა თხილამურსა და სნოუბორდინგში თავისუფალი სტილით სრიალში მსოფლიო ჩემპიონატს, რომლის დროსაც ჩვენს ქვეყანას ათასობით ადგილობრივი თუ უცხოელი ვიზიტორი ეწვია. {,,სამთავრობო პროგრამა 2021-2024წწ ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ 2020 თბილისი} {www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf}.

საქართველო თანდათანობით აქტიურად ერთვება ტურიზმის ინდუსტრიის ფერხულში. სახელმწიფო მნიშვნელოვან  თანადგომას უცხადებს ამ სფეროთი დაინტერესებულ ადამიანებს. ტურისტული რესურსების სიუხვე, შთამბეჭდავი ეკო გარემო, ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა მრავალფეროვნება, აგროტურისტული არტეფაქტები და

რეკრიაციულ რესურსთა არსებობა ქვეყანას აძლევს შესაძლებლობას ტურიზმის განვითარების.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. http://conferenceconomics.tsu.ge
2. თ. დალაქიშვილი - პანდემია - ტურიზმის სექტორის თანამედროვე გამოწვევა.
3. https://geoeconomics.ge/?p=13910
4. https://factcheck.ge/ka/story/39936-tourism-dynamic-in-the-first-eight-months-of-2021
5. https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf
6. https://gnta.ge/ge/itb-georgia-host-country/


# ქალთა საარჩევნო უფლებები და სავალდებულო გენდერული კვოტირება საქართველოში
# Women, Elections and Obligatory Quotas in Georgia


**თებეა გოგისვანიძე**
სამართლის დოქტორანტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**Tebea Gogisvanidze**
PhD candidate in Law at Caucasus International University



**აბსტრაქტი.** სტატია ეხება, საქართველოში ქალთა საარჩევნო უფლებების ისტორიულ მიმოხილვას და ამჟამად მეტად აქტუალურ, სავალდებულო გენდერული კვოტირებას. განხილულია სავალდებულო გენდერული კვოტირების არსი, საქართველოს ისტორიული გამოცდილება და პერსპექტივები.

კონკრეტულად ქალთა უფლებები დაკავშირებულია ყველა ასაკის, ქალთა და გოგონათა უფლებებთან და მათ განუხრელ დაცვასთან.[69]

ჰარმონიული, სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია გენდერული თანასწორობა.


[69] მესხი მარინა.ქალის უფლებათა დაცვა ადამინის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინსტრუმენტებით. სახელმძღვანელო წიგნი პირველი. გვ. 9

პირველ რიგში სტატიაში ვსაუბრობ საარჩევნო უფლების ფუნდამენტურ ხასიათზე, იმაზე თუ რატომ არის იგი ასეთი მნიშვნელოვანი და რა ბრძოლა დასჭირდა ქალს მის მოსაპოვებლად. როგორი იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამოცდილება ამ მხრივ და რა ეტაპზეა ახლა.
საინტერესოა პასიური საარჩევნო უფლების მიღების შემდეგ, როგორ გახდა საჭირო ასევე აქტიური საარჩევნო უფლების წახალისება და გარკვეული ტიპის ღონისძიებების განხორციელება, რათა მეტად მიეღოთ ქალებს მონაწილეობა წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაში,მათაც შესძლებოდათ გადაწყვეტილებების მიღება და აქტიური მენეჯერული პოზოციების დაკავება. აქტიური საარჩევნო უფლების გამოყენების სტიმულაცია, გენდერული კვოტების შემოღებაა. ისტორიულად ეს გააკეთა ბევრმა სახელმწიფომ და სტატისტიკა მოწმობს, რომ ბევრი წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი მუშაობს.  “კვოტა" ლათინური სიტყვაა და ის რაიმე დასაშვებ რაოდენობას, მიღებულ ნორმას ნიშნავს. [70]ეს არის ნორმა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში,  რელიგიური ეთნიკური თუ სხვა სახის  უმცირესობებისათვის დაწესებულ შეღავათს გულისხმობს, რათა პარლამენტში მათი წარმომადგენლებიც მოხვდნენ და უმცირესობათა ინტერესებზე ყურადღების გამახვილება შეძლონ.
ზუსტად იგივე პრინციპზეა დაფუძნებული ქალთა კვოტები. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სავალდებულო კვოტების მეშვეობით არის გარანტირებული პარლამენტში, მთავრობასა თუ პარტიულ სიაში ქალთა გარკვეული რაოდენობის მოხვედრა.
დეტალურად მიმოვიხილავ იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა 2020 წელს საარჩევნო კანონმდებლობაში და ასევე შევეხები მის მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს.

**საკვანძო სიტყვები:** *ქალთა უფლებები, გენდერი, სავალდებულო კვოტირება, არჩევნები.*

**Abstract.** In this Article, I’m discussing historical review of women's electoral rights in Georgia and the currently very important topic - Gender obligatory quotas. The essence of mandatory gender quotas, Georgia's historical experience and perspectives are discussed.
One of the essential features of a harmonious society based on the principles of social justice is gender equality.
First of all, in this article, I’m talking about fundamental nature of the right to vote, why it is so important. What was the historical experience of Georgia.
It is interesting that after receiving the passive right to vote, it became necessary to encourage active election right and to implement certain types of measures so that women could participate more in politics. Historically, many states have done this, and statistics show that, despite critical opinions, it works.
"Quota" is a Latin word and it means an acceptable amount, an accepted norm. This is a norm that refers to the privilege established for religious, ethnic or other minorities in different countries, so that their representatives can get into the parliament and focus on the interests of minorities.
Women's quotas are based on exactly the same principle. In many countries of the world, through mandatory quotas, a certain number of women are guaranteed to enter the parliament, government or political party list.

**Key words:** Women's Rights, Gender, Obligatory Quota, Elections, Human Rights.

---

[70] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=18943

**შესავალი.** საარჩევნო უფლება, დემოკრატიული პროცესების განხორციელების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. შეგეძლოს არჩევა და იყო არჩეული- ერთერთი მთავარი ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპია. საქართველოს კონსტიტუცია რამდენიმე მუხლში ასახავს იმ კონსტიტუციურ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს საარჩევნო უფლებას. [71]

საარჩევნო უფლება, სახელმწიფოს ყველა მოქალაქის უფლებაა. თანასწორი არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს, რომ ყოველ მოქალაქეს ჰქონდეს შესაძლებლობა თავისი (აქტიური თუ პასიური) საარჩევნო უფლება შეძლებისდაგვარად თანაბრად და თანასწორად გამოიყენოს.[72]

საარჩევნო უფლების მნიშვნელობის მიუხედავად, ქალებს ისტორიულად ბრძოლა უწევდათ მოეპოვებინათ არამხოლოდ აქტიური , არამედ პასიური საარჩევნო უფლებაც.

ქალებმა საარჩევნო უფლებები მსოფლიოს მასშტაბით ეტაპობრივად და დიდი ფემინისტური მოძრაობების შედეგად მიიღეს.

ყველაფერი სუფრაჟისტების[73] - ქალთა ბურჟუაზიული მოძრაობის აქტიური მოქმედებებით დაიწყო. 1830 წელს, მათ გაცილებით მეტი ჰქონდათ მოსაპოვებელი ვიდრე ხმის უფლება. უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ქონების ფლობის, განათლების მიღების და სხვა ძირითადი უფლებების მოსაპოვებლად იბრძოდნენ.

პირველი ქვეყანა, სადაც ქალებმა საარჩევნო უფლება მოიპოვეს, იყო ზელანდია. ეს მოხდა 1893 წელს. ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფომ, ქალს საარჩევნო უფლებები 1960 წლამდე მიანიჭა. გამონაკლისი იყო მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა.

ჰარმონიული, სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია გენდერული თანასწორობა. ეს ნიშნავს, ქალისა და მამაკაცის თანაბარ პირობებსა და შესაძლებლობებს თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის. ორივე სქესს, უნდა შეეძლოს თანაბარი მონაწილეობის

---

[71] კონსტანტინე კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი, მეხუთე გამოცემა. გვ. 324

[72] იქვე. გვ. 327

[73] https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/suffragette

მიღება ყველა პროცესებში, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვა.

ქალებს, თანაბრად უნდა მიეცეთ ყველა საზოგადოებრივი სიკეთეებით სარგებლობის შესაძლებლობა და ყველა ის რესურსი, რითაც მამაკაცები გარანტირებულად სარგებლობენ.

ტერმინი გენდერული თანასწორობა, ხშირად არასწორად არის ინტერპრეტირებული. იგი არ ნიშნავს ქალისა და მამაკაცის იგივეობას. პირიქით - დემოკრატიული, პლურალისტური საზოგადოება აღიარებს, რომ ზოგადად ადამიანებს გააჩნიათ სხვადასხვა ღირებულებები და მიზნები, არიან ინდივიდები სხვადასხვა საჭიროებებითა და ცხოვრების წესით. მიუხედავად ამისა, მათი ინტერესები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა დონეზე და ისინი უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით. ქალსაც და მამაკაცსაც უნდა გააჩნდეს ერთნაირი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები.[74]

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები თანაბრად ვრცელდება ყველა ადამიანზე, სქესის, რასის, კულტურული თავისებურებების, რელიგიური პრინციპების და განვითარების დონის მიუხედავად. შესაბამისად, ქალები თანაბრად უნდა სარგებლობდნენ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა აღიარებული პრინციპებით. ამასთანავე, თანაბარ უფლებებთან ერთად, უნდა ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები ისარგებლონ ამ უფლებების განხორციელების ყველა არსებული მექანიზმით და საშუალებით. [75]

**ქალთა საარჩევნო უფლებების საქართველოში.** ..ქალების ადგილი არის ყველგან, სადაც გადაწყვეტილების მიღება ხდება.’’რუთ ბეიდერ გინზბურგი[76]

,,კვოტა, ეს ავადმყოფობის წამალია. თუმცა, მას გვერდითი მოვლენებიც აქვს: მაგალითად, მის დაწესებას შეიძლება ავტომატურად არ მოჰყვეს პოლიტიკური კულტურის განვითარება“. კრისტინ პინტა. [77]

---

[74] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3266

[75] მესხი მარინა.ქალის უფლებათა დაცვა ადამინის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინსტრუმენტებით. სახელმძღვანელო წიგნი პირველი. გვ. 9

[76] ამერიკელი იურისტი და აშშ-ის უზენაესი სასამართლოს წევრი, 1993-2020 წ.

[77] ინტერ-საპარლამენტო კავშირის წევრი.

საარჩევნო უფლებების ქალებისთვის მინიჭების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ცვლილებები მე -19 საუკუნიდან დაიწყო. ამ პერიოდიდან ,მთელი მსოფლიოს მასტაბით იწყება ქალთა დემონსტრაციები, პროტესტი მათთვის ძირითადი უფლებების მინიჭების საქმეში, მათ შორის, საარჩევნო უფლებების მოსაპოვებლად. ქალებისთვის საარჩევნო უფლებები, პირველად ახალ ზელანდიაში დაკანონდა. მოგვიანებით ამ პროცესს ნორვეგია, ავსრტრალია, ფინეთი, დანია და რუსეთი შეუერთდა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოში ქალებმა პირველად დაიწყეს საჯარო გამოსვლები და მათ პრობლემეზე საუბარი. ერთ-ერთი პირველი, რომელმაც გაბედა და ხმამაღლა დაუპირისპირდა სხვადასხვა, იმ დროს არსებულ პატრიარქალურ ნორმებს, იყო ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე. მისი წერილი, ,,ორიოდე სიტყვა, ყმაწვილი კაცების საყურადღებოდ“[78],ქართული ფემინიზმის ერთგვარი მანიფესტია.

წერილში, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე ხაზგასმისთ საუბრობს, რომ ქალები თანაბარ უფლებრივ მდგომარეობაში იმყოფებიან კაცებთან. ამავე პერიოდში, ქ. ქუთაისში დაიწყო ყოველკვირეული გაზეთის გამოცემა: ,,ხმა ქართველი ქალისა“. აღნიშნულ გაზეთს გამოსცემდა კატო მიქელაძე. იგი ხელძღვანელობდა, ასევე ქუთაისში დაარსებულ ქალთა კლუბს. გაზეთი არამხოლოდ ქალთა უფლებებზე წერდა სტატიებს, არამედ ჩართული იყო, საზოგადოების ყველა სოციალურ-ეკონომიკურ თემატიკაში.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა, მნიშვნელოვანი ასპარეზი აღმოჩნდა, ქალებისათვის საქართველოში. სანამ 1918 წლის 26 მაისს, თბილისში ხელი მოეწერებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, შორეულ დიდ ბრიტანეთში ფილოსოფოსმა და პოლიტიკურმა მოღვაწე ჯონ სტიუარტ მილმა, ქალთა ჩაგვრა არასწორად მიიჩნია. მან ქალის უფლებების შეზღუდვას და სოციალურ ცხოვრებაში, მათ არჩართვას, კაცობრიობის ინტელექტუალური შეკავება უწოდა. მან ქალებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭება მოითხოვა. მსოფლიოს ამ ტენდენციებს, არც საქართველოში ჩამორჩნენ და პირველი აქტივობებიც დაიწყო.

საქართველოში 1918 წელს დაკანონდა ქალთა საარჩევნო უფლებები. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბევრ ევროპულ ქვეყანაზე

[78] https://gdi.ge/uploads/other/0/513.pdf

ადრე ჩატარდა საყოველთაო არჩევნები, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ქალები.

1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის სხვადასხვა პარტიის საარჩევნო სიებში კანდიდატებად სულ ოცამდე ქალი დარეგისტრირდა, დამფუძნებელი კრების წევრის სტატუსი კი მხოლოდ ხუთმა ქალმა მოიპოვა.

ელეონორა მახვილაძისა, მინადორა ტოროშელიძე, ქრისტინე შარაშიძე, ელისაბედ ბოლქვაძე და ანა სოლოღაშვილი ესენი ის პირველი ქართველი ქალები არიან, რომლებიც 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებში იღებდნენ მონაწილებას და გახდნენ კიდეც პირველი ქალი პარლამენტარები.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხუთივე წევრი აქტიურად იყო ჩაბმული დამფუძნებელი კრების საქმიანობაში და მონაწილეობას იღებდა, ყველა საკითხის გადაწყვეტაში. ზოგადად ამ არჩევნების დროს, ყველაზე მეტი ქალი წარმოდგენილი იყო სოციალისტ-ფედერალისტებისგან, ხოლო ყველაზე ნაკლები რადიკალ-დემოკრატიული პარტიისაგან. მათგან მხოლოდ ერთი ქალი კანდიდატი იყო წარმოდგენილი.

დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩატარდა ყველა დემოკრატიული წესის დაცვით: საყოველთაო, პარიტეტული პრინციპით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. კრების დებულების მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ყველას, განურჩევლად სქესისა.

აღსანიშნავია, რომ ქრისტინე შარაშიძემ კრების პრეზიდიუმის წევრისა და მდივნის თანამდებობა დაიკავა. ანა სოლოღაშვილი კი აირჩიეს პირველ სხდომაზე სარედაქციო კომისიის წევრად. ქრისტინე შარაშენიძე ასევე იყო რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივის ავტორიც.

ამ თემასთან დაკავშირებით, აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელს სამი ქალი აწერს – ელისაბედ ბოლქვაძე, ანა სოლოღაშვილი და ელეონორა მახვილაძე.

თითოეული მათგანის ბიოგრაფია, ნათელი დასტურია იმისა, რომ საქართველოში ქალები აქტიურ სოციალურ ცხოვრებას ეწეოდნენ და ის უფლებები, რომლებიც ევროპის უმრავლეს ქვეყანაში ქალებმა საკმაოდ გვიან მიიღეს, საქართველოში თითქმის ორმოცი წლით ადრე ჰქონდათ მინიჭებული.

დასავლური კურსისა და ისტორიული ტრადიციების მიუხედავად, ჩვენი საზოგადოება რაღაც პერიოდში სხვადასხვა მახინჯი სოციალური წესების, არასწორად აღქმული რელიგიური დოგმების ზეგავლენას მეტად

განიცდიდა, სადაც ქალი მამაკაცის საკუთრება უფრო ვიდრე მისი თანასწორი.  საზოგადოებამ ამას ტრადიცია უწოდა, რაც ძალიან ხშირია პატრიარქალური კულტურის ქვეყნებში. რელიგიური ნორმებითა და რეალურად არ არსებული ტრადიციებით მანიპულირება ქმნის სხვადასხვა სოციალურ ილუზიას, რომლითაც სოციუმი იკვებება.

თითქმის მთელი მეოცე საუკუნე, საქართველო იყო საბჭოთა კავშირის ნაწილი. ამ დროს გავრცელდა სოციალისტური ფემინიზმის მიდგომები და სრულიად სხვა იდეოლოგიური ღირებულებები, ვიდრე მანამდე არსებობდა საქართველოში. ეს არ გრძელდებოდა მცირე პერიოდი. ზუსტად საბჭოთა კავშირმა მოახდინა ბევრი ისეთი მიდგომის ტრადიციად გასაღება, რომელსაც ჩვენს ისტორიულ გამოცდილებასთან, საერთო არაფერი აქვს. საკანონმდებლო დონეზე, ძალიან კარგად იყო დეკლარირებული  ქალის უფლებები, თუმცა ყოფით დონეზე, ყველაფერი სხვაგვარად ხდებოდა.

ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა იდეოლოგებმა განიზრახეს შეექმნათ ახალი ტიპის საზოგადოება, ახალი წესებითა და იდეოლოგიით. აქვე დღის წესრიგში დადგა ქალების როლის გარდაქმნა.

დეკლარირებული კვლავ იყო ქალთა უფლებების დაცვაზე მიმართული პოლიტიკა, რიტორიკულ დონეზე, ქალთა ემანსიპაცია კვლავაც აქტუალურ საგანს წარმოადგენდა. მართლაც, საბჭოთა კავშირის მიზანი ამ პერიოდში, ყველა დიასახლისის დასაქმება და მუშახელად ქცევა ნამდვილად იყო.

მასობრივი დასაქმების პოლიტიკაში, ქალი და კაცი არ განირჩეოდა. ამის პარალელურად , შობადობის გაზრდის მიზნით, დედობის პროპაგანდირება და წახალისება მიდიოდა. შესაბამისად, ქალს ორმაგ სოციალურ წნეხში უწევდა ცხოვრება. იგი ერთის მხრივ, კარგი დედა და ოჯახის ბურჯი, ხოლო მეორეს მხრივ მშრომელთა კასტის წარმომადგენელი, მუშახელი უნდა ყოფილიყო.

ამის მიუხედავად, სტატისტიკა და უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებში ქალთა ჩართულობა მოწმობდა, რომ ქალები ნაკლებად იყვნენ არჩეულები და წარმოდგენილები სხვადასხვა უწყებებში.

არც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდი აღმოჩნდა მარტივი. საარჩევნო უფლებები, ქალისათვის კვლავ გარანტირებული დარჩა, თუმცა არ არსებობდა პოზიტიური გენდერული კანონმდებლობა,რაიმე ფორმით ქალთა სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებში ჩაბმის წახალისება და ზოგადად, ახლად მოპოვებული დამოუკიდებლობის პირობებში,სოციუმი

და განსაკუთრებით ქალი, სულ სხვა გამოწვევის წინაშე აღმოიჩნდა, ვიდრე ეს მათი აქტიური საარჩევნო უფლებების გამოყენებაა.

ამჟამად საქართველოში, გენდერული კუთხით, კანონმდებლობა არადისკრიმინაციულია. თითქოს იგი უზრუნველყოფს ყოველმხრივ ქალთა ჩართულობას, მაგრამ იქნება ეს პარლამენტი, საკრებულო თუ სხვა. პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, ანალიზი და სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ქალები პოლიტიკაში ნაკლებად მონაწილეებენ. ასევე სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციებზე მათი რაოდენობა კრიტიკულია.

საჭირო გახდა საკანონმდებლო დონეზე წახალისება და ჩარევა, რათა მომხდარიყო პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის გაზრდა. ეს პროცესი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ასევე ჩვენი ქვეყნის ევროპული პერსპერქტივების მისაღებად.

საქართველოს კონსტიტუციაა, საარჩევნო კანონმდებლობა თუ საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, უზრუნველყოფენ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW),[79] მე-2 მუხლი სახელმწიფოებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრისთვის დაუყოვნებელი ზომებისა და პოლიტიკის მიღებისკენ მოუწოდებს.

სავალდებულო კვოტები შეიძლება გამოყენებულ იქნას გენდერული დისბალანსის გამოსასწორებლად სხვადასხვა სფეროში და სხვადასხვა დონეზე, მათ შორის პოლიტიკურ პარტიებში, გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე საზოგადოებრივ, პოლიტიკურ ცხოვრებაში და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევარ თუ პოლიტიკური პარტია, ეწინააღმდეგება სავალდებულო გენდერული კვოტირების იდეას და მიიჩნევს მას ლიბერალური დემოკრატიის პრინციპების უხეშ დარღვევად.

[79] https://www.undp.org/uzbekistan/publications/un-convention-elimination-all-forms-discrimination-against-women-civil-and-economic-courts?utm_source=EN&utm_medium=GSR&utm_content=US_UNDP_PaidSearch_Brand_English&utm_campaign=CENTRAL&c_src=CENTRAL&c_src2=GSR&gclid=CjwKCAiAp7GcBhA0EiwA9U0mtqVTcnnztrXMXOu3XPxZ9YruARqXkqSpCtE5dC61s6iBJA_YhpKfIhoCnY4QAvD_BwE

**სავალდებულო გენდერული კვოტები: გენდერული წახალისების სახე თუ პოზიტიური დისკრიმინაცია?**

საკანონმდებლო გენდერული კვოტების შემოღების გარეშე ქალთა ჩართულობა ცხოვრებაში და საკანონმდებლო ორგანოში მათი წარმომადგენლობის შესაძლებელია, მაგრამ იგი სამკაოდ დიდ პროპაგანდას და ხანგრძლივ პერიოდს საჭიროებს. განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც დიდი პატრიარქალური გავლენები და სხვადასხვა წნეხი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის საარჩევნო ტრადიციები, ქალებთან მიმართებაში ისტორიულად ძალიან პროგრესული იყო, სხვადასხვა კულტურული წნეხი და გავლენა დიდია და ეს დამატებით საკანონმდებლო მხარდაჭერას საჭიროებს. მსოფლიო ქვეყნების წარმატებული გამოცდილება კი ნამდვილად არის გარანტიაა იმის, რომ გენდერულ კვოტირებას აზრი გააჩნია და იგი მუშაობს.

კვოტების იდეა არის ქალების ბიძგი, რათა ისინი აქტიურად ჩაებან პოლიტიკურ პროცესებში და არ დარჩნენ მხოლოდ დამკვირვებლის პოზიციაში.

კვოტების ძალიან ეფექტური ნიმუშია, შიდა პატრიული კვოტები, რომელიც არა მხოლოდ არჩევნების დროს მუშაობს, არამედ შიდა მენეჯმენტის არჩევის , ხელმძღვანელი თანამდებობზების განაწილების დროსაც. ზოგადად, ეს მოდელი არამხოლოდ პარტიებში, ნებისმიერ საჯარო თუ კერძო სამსახურში თუ იქნება გათვალისწინებული, ხელს შეუწყობს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის, როგორც ძალიან დიდი პრობლემის აღმოფხვრას.

საქართველოში , როგორც ზემოთ აღვნიშნე, პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობა საკანონმდებლო დონეზე, ყოველთვის იყო მხარდაჭერილი და წახალისებული.

ამის მიუხედავად, საერთო საზოგადოებრივი პოზიცია და მოსაზრებები მათ მონაწილეობაზე პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხშირად გამხდარა სადაო ცალკეულ პირთა წრეში. ხშირად არ მიუჩნევიათ პოლიტიკური ცხოვრება და მნიშნელოვანი მენეჯერული პოზიები ქალის საქმედ. შესაბამისად, ამან განაპირობა ის რომ ნაკლები იყო მათი ჩართულობა უშულოდ პოლიტიკურ პროცესებში. პარტიები უპირატესობას მამაკაცებს ანიჭებდნენ და პროცენტულად წლების განმავლობაში ძალიან ცოტა ქალი იყო არჩეული.

ქალები სულ უფრო და უფრო  აქტიურები და გავლენიანი ხდებიან პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრ ქვეყანაში, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად ნაკლებადაა წარმოდგენილი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და ლიდერობის დონეზე, მათი ჩართულობა.  ცოტა ქალია წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოში და მათი პოზიციონირება უფრო ხდება დაბალ მენეჯერულ პოზიციებზე, სადაც არ ხდება გადაწყვეტილებების მიღება.

საქართველოში, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეროვნული ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბების უწყვეტი პროცესი, რომელიც დღემდე გრძელდება,  ძირითადად 2000 წლის შემდგომ პერიოდში დაიწყო.  ქალთა ადგილობრივი ორგანიზაციის ჯგუფმა წარადგინა ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კომისიის შექმნას.

აღნიშნულ თემებში აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას საერთაშორისო ორგანიზაციები. მაგალითად, 2004 წელს გაეროს განვითარების პროგრამამ ჩამოაყალიბა პროექტი გენდერი და პოლიტიკა, რომელიც იმ პერიოდისათვის მეტად პროგრესული და ახალი სიტყვა იყო საქართველოში. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავდა პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 2006 წელი, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის კონცეფცია და ესეც წინგადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდა ქალთა უფლებების სფეროში.

სავალდებულო გენდერული კვოტირებისაკენ მიმავალ გზაზე კი, 2011 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლიც ადგენდა ფინანსური წახალისების სისტემას. ის პარტია, რომელიც პროპორციული საარჩევნო სიის ყოველ ათეულში ორ ქალ კანდიდატს წამოაყენებდა, დამატებით მიიღებდა საბაზისო დაფინანსების 10 %-ს .[80]

ეს იყო პირველი ბიძგი საკანონმდებლო დონეზე, მომხდარიყო წახალისება გენდერული ბალანსის დაცვისა.

დასაწყისში ვისაუბრე , საზოგადოებრივი აზრის კვლევაზე, რომელიც ამბობდა რომ არც თუ ისე სახარბიელო სიტუაცია იყო გამოკითხულთა შორის, ქალთა უფლებების თვალსაზრისით, რასაც ვერ ვიტყვით 2014 წელს,

[80] https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324

NDI-ის მიერ ჩაატარებულ კვლევაზე. ჩატარებული კვლევის ფარგლებში, დაისვა შეკითხვა პარლამენტში არსებული გენდერული გადანაწილების შესახებ საზოგადოებრივი კმაყოფილების შესახებ. აღმოჩნდა, რომ იმ დროისთვის პარლამენტში იყო ზუსტად 17 ქალი დეპუტატი. გამოკითხვამ კი ცხადყო, რომ მოსახლეობას მეტი ქალის ხილვა სურდა საკანონმდებლო ორგანოში. ასევე მაღალი იყო მათი დაინტერესებს პოლიტიკური პროცესებით.

საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში, 2017 წლის 12 ივნისს იქნა წარდგენილი. იგი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის ინიცირებული იყო და მოითხოვდა სავალდებულო გენდერული კვოტების დამტკიცებას. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა მეტად სრულყოფილია გენდერული თანასწორობის კუთხით. საქართველოს ორგანული კანონის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, მე-11 მუხლი, ამბობს:

,,დაუშვებელია პარტიის წევრობის შეზღუდვა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.'' [81]

იმავე კანონის 39-ე პრიმა მუხლის, პირველი პუნქტი ამბობს:

პარტია, რომელიც 2028 წლამდე ჩატარებული პარლამენტის არჩევნების საფუძველზე, ამ კანონის 30-ე მუხლით დადგენილი წესით იღებს საბიუჯეტო დაფინანსებას, მიიღებს დანამატს იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მისაღები დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ მის მიერ პარლამენტის ბოლო არჩევნებზე წარდგენილ პარტიულ სიაში ყოველ სამეულში ერთი კანდიდატი განსხვავებული სქესის წარმომადგენელია. ამ პუნქტით გათვალისწინებული დანამატი გამოყენებული უნდა იქნეს პარტიის სტრუქტურული ერთეულის – ქალთა ორგანიზაციის საქმიანობისთვის. [82]

საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 2 ივლისს საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებები მიიღო, რომლითაც დამტკიცდა 25%-იანი გენდერული კვოტირების მექანიზმი, რომლის მიხედვით, პროპორციულ

---

[81] https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324

[82] იქვე.

პარტიულ სიებში პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი იქნებიან, სულ ცოტა, ყოველი მეოთხე ადამიანი განსხვავებული სქესის იყოს. საქართველოს საარჩევნო კოდექსის, 143-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:[83]

,,პარტიულ სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს მხოლოდ ამ პარტიის წევრი ან ის პირი, რომელიც არ არის არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრი.

პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავენ პარტიები. პარტიული სიის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ არჩევნების შედეგების მიხედვით პარტიის მიერ მიღებული მანდატები ნაწილდება თანამიმდევრობით, სიის დასაწყისიდან რიგის მიხედვით, და რომ გენდერული ბალანსის დაცვა უკავშირდება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დამატებით დაფინანსებას. ( ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან ) .“

საქართველოს მომავალ პარლამენტში 120 დეპუტატი პროპორციული სისტემით აირჩევა. ცვლილება ქალთა წარმომადგენლობას საკანონმდებლო ორგანოში მინიმუმ 30 დეპუტატამდე გაზრდის (რაც საერთო რაოდენობის 20%-ია). იგივე წესი იქნება გამოყენებული საპარლამენტო არჩევნებზე 2024 წლის ოქტომბრის ჩათვლით და ასევე, რიგგარეშე არჩევნების შემდეგ, 2028 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე. 2028 წლის ოქტომბრის არჩევნებიდან 2032 წლის არჩევნებამდე კი, ცვლილებების მიხედვით, პარტიულ სიებში ყოველი მესამე ადამიანი განსხვავებული სქესის უნდა იყოს.[84]

203-ე მუხლი კი, რომელიც ეხება 2032 წლის ჩათვლით ჩასატარებელი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და 2028 წლამდე ჩასატარებელი მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის პარტიული სიების წარდგენის ზოგიერთი დროებითი წესს, ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

,,საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებამდე ჩასატარებელი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია ან საარჩევნო ბლოკი, იმგვარად, რომ ცესკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი

---

[83] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020

[84] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020

პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. შესაბამისმა საარჩევნო სუბიექტმა პარტიული სია ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუ საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ არის დაცული ამ პუნქტით დადგენილი სქესთა შორის ბალანსი, საარჩევნო სუბიექტს უბრუნდება სია და ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეძლევა 3 დღის ვადა. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.[85]

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისა და ამ არჩევნების მომდევნო, 2028 წლამდე ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია, იმგვარად, რომ ცესკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. შესაბამისმა პოლიტიკურმა პარტიამ პარტიული სია ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ არის დაცული ამ პუნქტით დადგენილი სქესთა შორის ბალანსი, პარტიას უბრუნდება სია და ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეძლევა 3 დღის ვადა. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.[86]

საქართველოს პარლამენტის 2028 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისა და ამ არჩევნების მომდევნო, 2032 წლამდე ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია, იმგვარად, რომ ცესკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. შესაბამისმა პოლიტიკურმა პარტიამ პარტიული სია ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ არის დაცული ამ პუნქტით დადგენილი სქესთა შორის ბალანსი, პარტიას უბრუნდება სია და ხარვეზის

[85] იქვე.
[86] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020

აღმოსაფხვრელად ეძლევა 3 დღის ვადა. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.[87]

საარჩევნო სუბიექტი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული არჩევნებისათვის ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგინოს პარტიული სია, რომლის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. აღნიშნული მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დამატებით დაფინანსებას მიიღებს.[88]

თუ საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პოლიტიკური პარტიის პარტიული სიით, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე პარტიულ სიაში მომდევნო იმავე სქესის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს პარტიულ სიაში მისი მომდევნო იმავე სქესის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი. თუ პარტიულ სიაში ასარჩევი იმავე სქესის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი აღარ არის, ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი.[89]

თუ საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრი არჩეული იყო საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით და პარტიულ სიაში აღნიშნული იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წევრია, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე პარტიულ სიაში მომდევნო იმავე სქესის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს პარტიულ სიაში იმავე პარტიის მომდევნო იმავე სქესის

---

[87] იქვე.

[88] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020

[89] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი. თუ პარტიულ სიაში აღნიშნული არ იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წევრია, მისი ადგილმონაცვლე განისაზღვრება ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით.[90]

2028 წლამდე ჩასატარებელი მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია, იმგვარად, რომ წარდგენილ სიაში ყოველი ორი კანდიდატიდან ერთი უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი.[91]

2028 წლამდე ჩასატარებელი მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის შესაბამისმა პოლიტიკურმა პარტიამ პარტიული სია შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ არის დაცული მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის ამ მუხლით დადგენილი სქესთა შორის ბალანსი, პარტიას უბრუნდება სია და ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეძლევა 3 დღის ვადა. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.[92]

თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, შესაბამის საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში მომდევნო იმავე სქესის საკრებულოს წევრობის კანდიდატი, თუ მან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის შეტყობინების მიღებიდან 10 დღეში თანხმობა განაცხადა საკრებულოს წევრობაზე. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში იმავე სქესის საკრებულოს წევრობის კანდიდატი აღარ არის, ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში საკრებულოს გამოკლებული წევრის მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატი. ”[93]

---

[90] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020
[91] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020
[92] იქვე.
[93] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020

საარჩევნო კოდექსში ცვილელებების პაკეტი, რომლის მიხედვითაც კვოტირება სავალდებულო გახდა, არ აუქმებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების საქართველოს ორგანული კანონის, 39-ე პრიმა მუხლის, პირველი პუნქტში ნახსენებ სარეკომენდაციო კვოტებს და მისი შესრულების შემთხვევაში გათვალისწინებულ ფინანსურ დანამატს.

2020 წლის 2 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მიიღო. დამტკიცდა 25%-იანი გენდერული კვოტირების მექანიზმი, რომლის მიხედვით, **პროპორციულ** პარტიულ სიებში პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი იქნებიან, **სულ ცოტა, ყოველი მეოთხე ადამიანი განსხვავებული სქესის იყოს.** აღნიშნული წესი გამოყენებული იქნება, 2024 წლის არჩევნებზეც, ხოლო 2028 წლის ოქტომბრის არჩევნებზე, ამ ცვლილების პაკეტის მიხედვით, პარტიულ სიებში ყოველი მესამე ადამიანი განსხვავებული სქესის უნდა იყოს.[94]

არჩევნები საქართველოში ტარდება შერეული პრინციპით. ეს არის: **მაჟორიტარული და პროპორციული.** სხვა ქვეყნების მაგალითის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გენდერული ბალანსისათვის უფრო ხელსაყრელია პროპორციული სისტემა, ვიდრე მაჟორიტარული. [95]

გენდერული კვოტირების მხარდაჭერით ქართულმა სახელმწიფომ ძალიან მნიშვნელოვანი, შედეგზე ორიენტირებული და სწორი ნაბიჯი გადადგა ჩვენი ქვეყნის პროგრესული განვითარებისაკენ.

საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალია. საქართველოს კონსტიტუცია თანაბარ უფლებებს ანიჭებს ქალებს და კაცებს მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და ასევე დააყენონ საკუთარი კანდიდატურა. ამის მიუხედავად საქართველოში ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის მაჩვენებელი უკიდურესად დაბალია.

მას შემდეგ რაც საქართველომ სავალდებულო საარჩევნო გენდერული კვოტირება შემოიღო, არჩევნებში უფრო მეტი ქალი იყრის კენჭს. იმისათვის რომ სრულად მოხდეს კვოტირების ეფექტის ამოქმედება, საჭიროა რამოდენიმე არჩევნების ჩატარება, ასევე, პოლიტიკური პარტიების შესაბამისი მისწრაფება და საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფა. პარტიებმა,

---

[94] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020

[95] იქვე.

თავად უნდა იზრუნონ იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი ქალი ჩართონ მათ დღის წესრიგში და პოლიტიკურ პროცესებში.

უკვე 2020 წელსვე, სავალდებულო საარჩევნო გენდერული კვოტირების შემოღების შემდეგ, საქართველოს პარლამენტში, ქალთა წარმომადგენლობა გაიზარდა. 14 პროცენტიდან, 20 პროცენტამდე მოიმატა საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში მაჩვენებელმა ,ხოლო ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში, უფრო უკეთესი შედეგი დადგა და 13 პროცენტიდან მაჩვენებელი 24 პროცენტამდე გაიზარდა. ეს შედეგი კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რა ეფექტურად მუშაობს სავალდებულო გენდერული კვოტირების სისტემა. ხოლო, მომავალში იგი ბევრად სრულყოფილ შედეგს მოიტანს.

2021 წლის ადგილობრივ არჩევნებში, ქალებმა პროპორციულ სიებში მანდატების 31,4 პროცენტი მიიღეს ( სულ 441 მანდატი). ეს შედეგი ძალიან კარგია, თუკი შევადარებთ, რომ 2017 წლის არჩევნებში, პროპორციულ სიებში ქალთა მანდატების რაოდენობა 19,8 პროცენტი იყო.[96]

თუმცა, ერთი მეოთხედი ადგილობრივ თვითმმართველობაში, ხოლო ერთი მეხუთედი პარლამენტში, არ არის საკმარისი რაოდენობა, რომ ქალებმა რეალური გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღებაზე და პოლიტიკურ პროცესზე. თუმცა ყველაფერი წინ არის და 2028 წლის არჩევნებზე, იგი ბევრად უკეთეს შედეგს მოგვცემს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი, ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია და პოლიტიკური პარტია, ეწინააღმდეგება ამ იდეას, მნიშვნელოვანია იმ მუხტის შენარჩუნება, რაც ქალთა სავალდებულო კვოტირებას ახლავს თან. სავალდებულო კვოტების მთავარი არგუმენტებია:

• პოლიტიკური პარტიები უნდა ასახავდეს საზოგადოების ძირითად სოციალურ ჯგუფებს. ვინაიდან ქალები შეადგენენ მოსახლეობის ნახევარს, მათ უნდა ჰქონდეთ თანამდებობების ნახევარი საჯარო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში.

• ქალთა კვოტები არ არის დისკრიმინაციული. პირიქით, ისინი ანეიტრალებენ იმ არსებულ ბარიერებს, რომლებიც აფერხებენ ქალების მონაწილეობას პოლიტიკური ადგილების სამართლიან გადანაწილებაში.

---

[96] https://www.undp.org/ka/georgia/press-releases/electoral-gender-quotas

• ქალების კვოტები არ ახდენენ დისკრიმინაციას ცალკეული მამაკაცების მიმართ. პირიქით, კვოტის წესები ზღუდავს პოლიტიკური პარტიების ტენდენციას ძირითადად მამაკაცების წარდგენის და აიძულებს მათ მოძებნონ აქტიური და კომპეტენტური ქალი კანდიდატები. ამომრჩეველსაც მეტი თავისუფლება და კანდიდატების მრავალფეროვნება გააჩნია.

• ქალები ისეთივე კვალიფიციურები არიან, როგორც მამაკაცები, მაგრამ მათ კვალიფიკაციას არ ეძლევა გამოვლენის საშუალება, რადგან მამრობითი სქესი დომინირებულია ყველგან და ყოველთვის.

• ქალთა გამოცდილება საჭიროა პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა ისარგებლოს ამით .ქალთა რესურსებით.

• ქალებს ყველაზე კარგად ქალები წარმოადგენენ, რადგან უკეთ შეუძლიათ მათი პრობლემების წარმოჩენა. უკეთ ესმით მათი საჭიროებები და ა.შ.

• კვოტები არჩეული ქალების რაოდენობის გაზრდის სწრაფი მეთოდია. კვოტების შემოღება აჩქარებს პროცესს და იწვევს დიდ პროგრესს არჩეულ ქალთა რაოდენობაში.

• კვოტები უკვე გამოიყენება მრავალ ქვეყანაში და ქალების პოლიტიკური წახალისების აუცილებლობა აღიარებულია რამდენიმე საერთაშორისოდ აღიარებულ კონვენციაში, მათ შორის CEDAW-ში.

• ქალების ჩართვამ შეიძლება ხელი შეუწყოს დემოკრატიზაციის პროცესს და გაზარდოს ლეგიტიმაცია უკვე ჩამოყალიბებულ სისტემაში.[97]

**დასკვნა.** "შორს არ არის ის დრო, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისი კუთვნილის ადგილის დასაჭერად". ილია ჭავჭავაძე

ახლა საქართველოში ქალის უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობის საკითხები, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა განსხვავებით წარსულისგან , სხვა გამოწვევების წინაშე დგას.

საერთო მხოლოდ ერთი რამ არის: იგი კვლავ საჭიროებს წახალისებას. ბრძოლა არ დასრულებულა და ცნობიერების ამაღლების მხრივ - უამრავი სამუშაოა.

---

[97] ლ. ხომერიკი „გენდერი და პოლიტიკა“ ინტენსიური სემინარი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის. გვ. 34. 2006 წელი.

საქართველოში ქალის უფლებების განვითარება, ზევრად გააძლიერებს ქვეყანას. მათი წარმატებული ყოფა, ემანსიპაცია და რეალიზაცია, ჩაგვრის აღმოფხვრა , კარგი განათლების მიღება, ოჯახში ძალადობის შეწყვეტა და განვითარების თანაბარი პირობები, პირდაპირ კავშირშია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ თუ სოციალურ წინსვლასთან.

როგორც ისტორიული გამოცდილება და ევროპული ქვეყნები მაგალითები ამბობს, რაც მეტია წნეხი საარჩევნო კანონმდებლობაზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ამ კუთხით, რაც მეტია პროპაგანდა და საინფორმაციო კამპანია აქტიურია, მით მეტად ხელსაყრელია შედეგი.

რეფორმის განხორციელების თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობის არის 2020 წლის 2 ივლისს განხორციელებული ცვლილება საქართველოს საარჩევნო კოდექსში.

გენდერული კვოტირება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქალი კანდიდატებისათვის რომლებიც ზოგადი დაკვირვებით გამორჩეულნი არიან იდეოლოგიური მდგრადობით და პარტიული ერთგულებით. ასევე ყველასთვის ცნობილი ფაქტია, მათი უნარი აწარმოონ მოლაპარაკებები და მიაღწიონ შედეგს, უაღრესად კულტურული და დიპლომატიური გზით. ქალების წარმომადგენლობის ზრდა საკანონმდებლო ორგანოში და არამხოლოდ, გარდა ქალთა და ბავშვთა უფლებების უკეთ დაცვისა, ხელს უწყობს ქვეყანაში განათლების, ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის მიმართულებით უკეთესი კანონმდებლობის შემუშავებას ვინაიდან ზუსტად ქალმა უკეთ იცის და იცნობს ამ სფეროს საჭიროებებს.

მსოფლიო გამოცდილება, ასევე, ნათლად წარმოაჩენს ქალების პოლიტიკაში მაღალი წარმომადგენლობის დადებით მხარეს მშვიდობის უზრუნველყოფისა და კონფლიქტების დარეგულირების სფეროში. ეს უკანასკნელი, ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტური ვითარების გათვალისწინებით ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებოა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. 1.საქართველოს კონსტიტუცია. (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36) (ბოლო წვდომა:14 თებ. 2023)
2. საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1557168) (ბოლო წვდომა : 14 თებ. 2023)
3. საქართველოს კანონი ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" (https://www.matsne.gov.ge/document/view/28324?publication=39 ) (ბოლო წვდომა: 14 თებ. 2023)

4. საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020 (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1557168 ) (ბოლო წვდომა : 14 თებ. 2023)
5. კონსტანტინე კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი, მეხუთე გამოცემა.
6. მარინა მესხი, ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინსტრუმენტებით.
7. ლ. ხომერიკი ,,გენდერი და პოლიტიკა“ ინტენსიური სემინარი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის.
8. Drude Dahlerup, Gender Quotas in Politics, Oxford Bibliographies. 2020
9. CEDAW, General recommendation No. 28 on the core obligations of States parties under article 2 of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, 2010, პარა. 16, ასევე იხილეთ, CEDAW General Recommendation No. 23: Political and public life.
10. ინტერნეტ რესურსები:
11. 10. https://www.undp.org/ka/georgia/publications/ ( ბოლოს წვდომა:17.02.2023)
12. www.gdi.ge ( ბოლოს წვდომა:17.02.2023)
13. https://dictionary.cambridge.org/ ( ბოლოს წვდომა:17.02.2023)
14. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=18943 (ბოლოს წვდომა: 20.02.2023

# ტრადიციული მენეჯმენტიდან ხელოვნური ინტელექტის მქონე მენეჯმენტამდე: ChatGPT მისი როლი თანამედროვე ბიზნეს პროცესებში

# From Traditional Management to Artificial Intelligence Management: Chatgpt and its Role in Modern Business Processes

**თეიმურაზ გოდერძიშვილი** - დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Teimuraz Goderdzishvili** – PhD student, Georgian Technical University

**რეზიუმე.** თანამედროვე მენეჯმენტის ევოლუცია, ტრადიციული მენეჯმენტიდან ხელოვნური ინტელექტის მენეჯმენტამდე. რამდენად შეუძლია ჩატბოტს ChatGPT-ის ბიზნეს პროცესებში მონაწილეობა და მენეჯერების მხარდაჭერა, რა არის ჩატბოტის გამოყენების უპირატესობები და გამოწვევები?

მენეჯმენტის ტრადიციული მიდგომა ემყარება ადამიანებისა და რესურსების მართვას კონკრეტული ბიზნეს მიზნების მისაღწევად. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ვითარდება მენეჯმენტიც. ბიზნესში მნიშვნელოვანი გახდა გადაწყვეტილებების მიღების სიჩქარე და სიზუსტე, მენეჯერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დამოკიდებულია ინფორმაციის დამუშავებაზე და ეფექტურ ანალიზზე. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები, როგორიცაა ChatGPT, შეუძლია დაეხმაროს მენეჯერებს მონაცემების

საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებაში და რუტინული ამოცანების ავტომატიზაციაში, რაც საბოლოოდ გამოიწვევს ეფექტურობისა და პროდუქტიულობის გაზრდას.

**საკვანძო სიტყვები:** ChatGPT, ხელოვნური ინტელექტი (AI), ჩატბოტი, ტრადიციული მენეჯმენტი, (NPL) ბუნებრივი ენის დამუშავება.

**Summary**: The evolution of modern management from traditional management to artificial intelligence management. To what extent can a chatbot participate in ChatGPT's business processes and support managers, and what are the advantages and challenges of using a chatbot?

The traditional management approach is based on managing people and resources to achieve specific business goals. Along with the development of technology, management is also developing. In business, speed, and accuracy of decision-making have become important; the decisions made by managers depend on the processing of information and effective analysis. Artificial intelligence technologies like ChatGPT can help managers make data-driven decisions and automate routine tasks, ultimately leading to increased efficiency and productivity.

**Keywords:** ChatGPT, Artificial Intelligence (AI), Chatbot, Traditional Management, (NPL) Natural Language Processing.

**ძირითადი ტექსტი.** ხელოვნური ინტელექტი (AI) შეიქმნა, როგორც ტექნოლოგიური პლატფორმა ბიზნეს პროცესების გასაუმჯობესებლად. ბოლო წლებში ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულმა ჩატბოტებმა მოიპოვეს ფართო პოპულარობა ამოცანების ავტომატიზაციაში, მომხმარებელთა კონსულტაციასა და მენეჯერების მხარდაჭერაში. ChatGPT არის ბუნებრივი ენის დამუშავების (NLP) მოდელი, რომელიც შექმნილია Open AI-ის ხელოვნური ინტელექტის კვლევის ლაბორატორიის მიერ. ChatGPT-ის განვითარებას ხელმძღვანელობდა მკვლევართა და ინჟინრების გუნდი, მათ შორის სემ ალტმანი, გრეგ ბროკმანი და ილია სუცკევერი. ჩატბოტები შექმნილია ადამიანური საუბრის სიმულაციისთვის, კითხვებზე პასუხის გასაცემად, ინდივიდუალური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად ან მომხმარებლებისთვის კონკრეტული პროცესის გასამარტივებლად. ChatGPT-ის შეუძლია შემდეგი ამოცანების შესრულება:

**მომხმარებელთა მხარდაჭერა:** მომხმარებლებს უპასუხოს კითხვებზე, დაეხმაროს მათ საჩივრების მიღებაში და პრობლემის მოგვარებაში, გააკეთოს მომხმარებელთა კმაყოფილების ანალიზი.

**ელექტრონული კომერცია:** დაეხმაროს მომხმარებლებს იპოვონ მათვის სასურველი პროდუქტები, მოახდინოს შეკვეთების მონიტორინგი, შესთავაზოს მომხმარებლებს მათზე მორგებული პროდუქტები.

**დაგეგმვა:** ჩატბოტს შეუძლია ჩანიშნოს შეხვედრები, მართოს კალენდარი და გააკეთოს შეხსენებები.

**დახმარება:** ინფორმაციის მიწოდება ამინდზე, ახალ ამბებზე, რეკომენდაციები გაწევა რესტორნების, ფილმებისა და სხვა აქტივობების შესახებ.

**ინფორმაციის მოძიება:** მონაცემთა ბაზებში ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა თემებზე.

ჩატბოტების მთავარი მიზანია, მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებლებს მათი ამოცანების შესრულებისთვის და შესთავაზოს ყველაზე ეფექტური გზა მიზნის მისაღწევად, რითაც დაიზოგება ბიზნესის დრო, ფინანსური რესურსები და გააუმჯობესებს მომხმარებელთა კმაყოფილებას. ChatGPT-ი ვირტუალური ასისტენტი გვთავაზობს მენეჯერული პროცესების გამარტივებას, ინფორმაციის სწრაფად მოძიებას, რომლის საფუძველზეც მოხდება გადაწყვეტილებების მიღება. მენეჯერებს შეუძლიათ თავიანთი სამუშაო პროცესების ოპტიმიზაცია, რისთვისაც დარჩებათ მეტი დრო გუნდის სამართავად.

**დასკვნა:** ChatGPT-იმ მსოფლიო მასშტაბით შეცვლა დამოკიდებულება ჩატბოტების მიმართ. აღნიშნულმა ჩატბოტმა შემოიტანა გარკვეული სიახლე ტექნოლოგიურ სამყაროში, მას შეუძლია ლაკონურად მომხმარებელა მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია, რომელიც იქნება დამუშავებული, ექნება შესაძლებლობა გამართოს დიალოგი, დააკონკრეტოს მომხმარებლისთვის საინტერესო საკითხი. მენეჯერები, რომლებიც ყოველდღიურად ღებულობენ სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილებებს, შესაძლებლობა ექნებათ, რომ გაიმარტივონ ინფორმაციის დამუშავება, მაგრამ ის ვერ იქნება მთავარი არგუმენტი გადაწყვეტილების მისაღებად, ვინაიდან ჩატბოტები ინფორმაციას იძიებენ ინტერნეტ რესურსებით, სადაც განთავსებულია ბევრი არაზუსტი, დაუმუშავებელი ინფორმაცია და მისი გამოყენება გადამოწმების გარეშე შეიძლება უარყოფით შედეგამდე მიიყვანოს კომპანიის მენეჯერი. თუმცა ChatGPT იდეალურია, როგორც მენეჯერის ასისტენტი, რომელიც რუტინული ამოცანების მოხსნაში დაეხმარება. ამ ეტაპზე, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მენეჯმენტში, შეიძლება იყოს მხოლოდ

ჰიბრიდული, ვინაიდან მენეჯერი პასუხისმგებელია მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. https://openai.com/ (2023)
2. Birhane, A., Raji, I.D., 2022. ChatGPT, Galactica, and the progress trap https://www.wired.com/story/large-language-models-critique/ (12.20.22)
3. Manish Verma Scientist D, DMSRDE, Defence Research and Development Organisation, Kanpur, Uttar Pradesh, India, Novel Study on AI-Based Chatbot (ChatGPT) Impacts on the Traditional Library Management:https://www.researchgate.net/profile/Manish-Verma47/publication/368608640_Novel_Study_on_AIBased_Chatbot_ChatGPT_Impacts_on_the_Traditional_Library_Management/links/63f0b1f419130a1a4a8d8121/Novel-Study-on-AI-Based-Chatbot-ChatGPT-Impacts-on-the-Traditional-Library-Management.pdf
4. WP 2023-01 Floris Mertens The use of artificial intelligence in corporate decision-making at board level: A preliminary legal analysis https://financiallawinstitute.ugent.be/wp-content/uploads/2023/03/2023-01.pdf
5. Alexandra Rese, Lena Ganster, Daniel Baier, Chatbots in retailers' customer communication: How to measure their acceptance? https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0969698920308286 (09.2020)


## საქართველოს გავლით სტრატეგიული დანიშნულების ტვირთების გადაზიდვა და ციფრული ლოჯისტიკა

## Transportation of Strategic Cargo Through Georgia and Digital Logistics


**თენგიზ გაბინაშვილი,** დოქტორანტი
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
**Tengiz Gabinashvili,** PhD student
Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences



**რეზიუმე.** მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციიდან გამომდინარე სატრანსპორტო სექტორების გამართული და ეფექტური მუშაობა პირდაპირ განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და უზრუნველყოფს ეროვნული მეურნეობის ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობს სატრანზიტო მარშრუტების ჩვენს ქვეყანაზე გატარებას. ეს კი მნიშვნელოვანი უპირატესი ფაქტორია ქართული სატრანსპორტო ფირმებისთვის მეზობელი სახელმწიფოების კონკურენტულ ფირმებთან შედარებით, რაც

შესაძლებლობას იძლევა საქართველოს გავლით გაიზარდოს გადასაზიდი ტვირთების რაოდენობა. ამისთვის საჭიროა საქართველომ ქვეყნებს შესთავაზოს ტვირთების გადაზიდვის შემდეგი პირობები: გადაზიდვის შედარებით დაბალი ფასები, გადაზიდვების მინიმალური დრო, გადაზიდვების საიმედოობა და გამარტივებული სატრანსპორტო მომსახურება. შესაბამისად, საჭიროა ისეთი პროექტების შექმნა და განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს მიმართულებით დამატებითი ტვირთნაკადების მოზიდვას და ქვეყნის სატრანსპორტო სისტემების მუშაობის ეფექტიანობას.
ტვირთების გადაზიდვის პირობების წარმატებით და ეფექტურად განსახორციელებლად საჭიროა შეიქმნას ეგრედწოდებული „სატვირთო სივრცეები“ (სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა დასახელებითაა ცნობილი: „ინტერპორტი“; „სატრანსპორტო ცენტრები“; „სატვირთო ცენტრები“; „ლოჯისტიკური საქმიანობის ზონები“ და სხვა).
„სატვირთო სივრცეები“ არის ლოჯისტიკური ცენტრი, სადაც ხდება სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტიდან ტვირთების ჩამოცლა, გადაცლა, შეგროვება და მომზადება გადასაზიდად. ანუ, ეს არის ადგილი, სადაც ერთ სივრცეშია განთავსებული სატრანსპორტო-ეკონომიკური კომპანიები, ლოჯისტიკური ოპერატორები და საწარმოო-სავაჭრო კომპანიები. ამასთან, აღნიშნული სივრცე საშუალო ზომის კომპანიებს აძლევს შესაბამის პარტნიორებთან თანამშრომლობის შესაძლებლობას ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი და მნიშვნელოვანია დიჯიტალიზაცია (მატერიალური ელემენტის ციფრულ ფორმატში გადატანა ტექნოლოგიების გამოყენებით), კომპანიების ციფრული ტრანსფორმაცია, რომლის განვითარებითაც დაინტერესებულია ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანა. საქართველოს, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, უდიდესი უპირატესობა აქვს იქცეს რეგიონის ლოჯისტიკურ ჰაბად.

**საკვანძო სიტყვები:** ტრანსპორტი, ეკონომიკა, ტრანზიტი, გადაზიდვა, „სატვირთო სივრცეები“, ლოჯისტიკა, დიჯიტალიზაცია.

**Resume.** In connection with the globalization taking place in the world, the uninterrupted and efficient operation of the transport industries directly determines the development of the country's economy and ensures the improvement of the economic indicators of the national economy.
The geographical position of Georgia facilitates transit routes through our country. This is an important advantageous factor for Georgian transport companies in comparison with competing companies in neighboring countries, which makes it possible to increase the amount of goods transported through Georgia. To do this, Georgia needs to offer countries the following conditions for the transportation of goods: relatively low prices for delivery, minimum delivery time, reliable delivery and simplified transport services. Accordingly, it is necessary to create and implement such projects that will help attract additional cargo flows in the direction of Georgia and improve the efficiency of the country's transport systems.
For the successful and efficient fulfillment of the conditions of cargo transportation, it is necessary to create the so-called "cargo spaces" (in different countries they are known under different names: "interport", "transport centers", "cargo centers", "zones of logistics activities", etc.).
Cargo Spaces is a logistics center where unloading, loading, assembly and preparation for shipment of goods from various modes of transport is carried out. That is, this is a place where transport and economic companies, logistics operators and production and trading companies are located in the same space. In

addition, the mentioned space gives medium-sized companies the opportunity to cooperate with relevant partners to meet market requirements.
Based on the foregoing, digitalization (the transformation of a material element into a digital format with the help of technology), the digital transformation of companies, in the development of which almost all EU countries are interested, is necessary and important. Due to its geopolitical position, Georgia has the greatest advantage in becoming the logistics center of the region.

**Key words:** Transport, Economy, Transit, Shipping, "Cargo Spaces", Logistics, Digitalization

## ციფრული ტრანსფორმაცია - გამოწვევა თუ შესაძლებლობა
## Digital Transformation - a Challenge or an Opportunity

**ია აფციაური** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
**მარიამ შიუკაშვილი**- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
**Ia Aptsiauri,** Assistant Professor, Georgian Technical University
**Mariam Shiukashvili,** Assistant Professor, Georgian Technical University

**რეზიუმე.** დღესდღეისობით ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. 10-15 წლის წინ ინფორმაციის გაზიარება ელექტრონული სახით ახალი ხილი იყო. დღეს, ციფრული ტრანფორმაციის განვითარების ფონზე კი ყოველივე ეს ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ციფრული ტრანსფორმაცია არის პროცესი თუ როგორ ცვლიან ურთიერთობის ფორმებს და მომსახურეობას ორგანიზაციები თავის მომხმარებლებთან შიდა პროცესების გაუმჯობესების მიზნით ტექნოლოგიების საშუალებით. ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებული პროცესისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ნაბიჯები: მომხმარებლის ჩართულობა ამ პროცესში, ბიზნეს KPI-ის განსაზღვრა და ინფორმაციის სწორად მართვა. გაციფრულების პროცესი უნდა იყოს ჯვარედინი ფუნქციონალური და არა მხოლოდ ქსელური ან მარკეტინგული. სწორედ დღეს, მსოფლიოში წამყვანი კომპანიები, როგორიცაა: Google, Facebook, Netflix და Amazon, ირჩევენ ასეთ პროცესებს. ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელოვან მიღწევებს მიეკუთვნება ასევე ღრუბლოვანი და მობილური ტექნოლოგიები, როგორიცაა: RPA, IOT, AI, რომლებმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს ბიზნეს გარემოში და მოიპოვეს უპირატესობა სხვადასხვა კომპანიებში კონკურენტობის თვალსაზრისით.

მიუხედავად ამხელა შესაძლებლობებისა, ციფრული სამყაროს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება კიბერუსაფრთხოება, რაც თავის მხრივ ხელს უშლის ბიზნესის უწყვეტობას. ამ კუთხით შესამუშავებელია ისეთი მოდელი, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს რისკებს.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული ტრანსფორმაცია, ბიზნესი, ჯვარედინი ფუნქციონალური მართვა, RPA, IOT, AI ტექნოლოგიები, რისკები, კიბერუსაფრთხოება.

**Resume.** Nowadays, the use of digital technologies has become a part of everyday life. 10-15 years ago, information sharing in electronic form was a fresh fruit. Today, against the background of the development of digital transformation, all this has become an integral part of life. Digital transformation is the process of how organizations change the way they interact with their customers to improve internal

processes through technology. The following steps are important for a successful digital transformation process: user involvement in this process, determination of business KPI (Key Performance Indicator) and proper management of information. The digitization process should be cross-functional, not just networking or marketing. Today, the world's leading companies, such as Google, Facebook, Netflix and Amazon, choose such processes. Cloud and mobile technologies such as: RPA, IOT, AI are also important achievements of digital transformation, which have made significant changes in the business environment and gained competitive advantage in various companies.

Despite these great opportunities, one of the main challenges of the digital world is still cyber security, which in turn hinders business continuity. In this regard, it’s important to develop a model that will minimize the risks.

**Keywords:** Digital Transformation, Business, Cross-Functional Management, RPA, IOT, AI Technologies, Risks, Cyber Security.

**შესავალი.** 21-ე საუკუნეში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. დღეს აუცილებელია ფეხი ავუწყოთ თანამედროვე ტქნოლოგიების მიღწევებს, გავეცნოთ ახალ მიდგომებს და განვახორციელოთ მათი რეალიზაცია ბიზნესსა თუ ორგანიზაციებში, რათა უფრო ეფექტურად წარვმართოთ ჩვენი საქმიანობა. თანამედროვე სამყაროში წარმოებული ტრანზაქციები, რომლებიც ხორციელდება ინტერნეტით, გაცილებით დიდია, პირისპირ წარმოებულ ტრანზაქციებთან შედარებით. ეს განსაკუთრებით იგრძნობა COVID-19-ს პანდემიის შემდეგ.

უმარტივესი მაგალითის საფუძველზე, როგორიცაა თუნდაც ელექტრონული ფოსტა, რომელიც 10-15 წლის წინ ჯერ კიდევ ახალი ხილი იყო, დღეს კაცობრიობის განუყოფელი ნაწილი გახდა. იმ პერიოდში ინფორმაციის (წერილის, დოკუმენტის) გაზიარება მხოლოდ დისკის საშუალებით, მისი ფიზიკურად გადაცემით ხორციელდებოდა, თუმცა თანამედროვე სამყაროს ციფრულმა მიღწევებმა და მისმა თანდათანობით ტრანსფორმაციამ დღესდღეისობით მარტივი და ადვილად ხელმისაწვდომი გახადა აღნიშნული მომსახურეობით სარგებლობა. დღეს უკვე დოკუმენტაციის, ინფორმაციის გადაცემის არა მხოლოდ ელექტრონული ფოსტის პლატფორმა, არამედ მრავალი, უფრო დახვეწილი და სწრაფი ალტერნატიული ონლაინ საშუალება არსებობს, რომელიც გაცილებით ნაკლებ დროს, ენერგიას და დანახარჯს მოითხოვს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე რთული წარმოსადგენი არაა, თუ რაოდენ გამარტივებული აქვთ დღეს საქმიანობა კომპანიებს, ორგანიზაციებს, რომლებიც არაერთ მომსახურეობას თუ საქმიანობას ეწევიან

ყოველდღიურად: მენეჯმენტი (კომპანიისა და თანამშრომლების ინფორმაციის შენახვა და მართვა), პარტნიორებთან კომუნიკაცია, პროექტის მართვა(დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა) და კიდევ უამრავი სხვა საქმიანობა, რომელიც თანამედროვე კომპანიისა თუ ორგანიზაციის წინაშე დგას. სწორედ ამ და სხვა მიმართულებების ეფექტურად მართვასა და დაგეგმვაში გვეხმარება ის ციფრული და ტექნოლიგიური საშუალებები, რასაც თანამედროვე სამყარო გვთავაზობს.

მიუხედავად ასეთი სიკეთეებისა, ყოველ ცვლილებას თან ახლავს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენაც და სწორედ ამ გავლენების განსხვავებული კუთხით წარმოდგენას ემსახურება მიმდინარე სტატია.

**ციფრული ტრანსფორმაცია, როგორც შესაძლებლობა.** ციფრული ტრანსფორმაცია არის პროცესი თუ როგორ ცვლიან ურთიერთბის ფორმებს და მომსახურეობას ორგანიზაციები თავის მომხმარებლებთან შიდა პროცესების გაუმჯობესების მიზნით ტექნოლოგიების საშუალებით.

ციფრული ტრანსფორმაცია სხვადასხვა ფორმებით ყალიბდება ბიზნესში. ბევრმა კომპანიამ თუ ფირმამ უარი თქვა ტრადიციულ ბიზნესს მოდელებზე და ახალ-ახალ გზებს ეძებენ ინოვაციების დანერგვისთვის და მათი მეშვეობით ეკონომიკური ზრდის მიღებისთის. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, გლობალური დანახარჯების დაახლოვებით $1,18 ტრილიონი დაიხარჯა მსოფლიო მასშტაბით, 2019 წელს, სწორედ რომ ციფრულ ტრანსფორმციაზე, წინასწარი პროგნოზით კი უფრო დიდ დანახარჯებს ვარაუდობენ მომავალშიც.

თუმცა იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაუწყიათ ციფრული ტრანფორმაციის პროცესი დიდ ამოცანად რჩება გააცნობიერონ, თუ რა სიკეთეებს მოუტანთ ცვლილებებთან ადაპტაცია. მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ ციფრული ტრანსფორმაცია თანაბრად წარმოადგენს როგორც შესაძლებლობებს, ასევე გამოწვევებს.

ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებული პროცესისთვის, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მომხმარებელი. ორგანიზაცია კარგად უნდა იცნობდეს მის მომხმარებლებს, თუ ვინ არიან ისინი? რა სჭირდებათ მათ? თუ როგორ შეუძლია კომპანიას შესთავაზოს ყოველივე ის, რაც მათ სჭირდებათ. ადრე კომპანიები თავიანთ პროდუქციას რეკლამის განმავთავსებლის მეშვეობით ყიდიდნენ. დღეს, ციფრულ ეკონომიკაში, მათ თავისუფლად შეუძლიათ

მიყიდონ მომხმარებელს თავიანთ პროდუქცია პირდაპირ, ყოველგვარი შუამავლის გარეშე.

მას შემდეგ რაც გაირკვევა თუ რა შეუძლია შესთავაზოს მომხმარებელს, შემდეგი ნაბიჯი ამ პროცესის, ყველაფრის ციფრებზე დაყვანაა (ფინანსები). ბუნებრივია პროცესი ყოვლისმომცველია ამიტომ საჭიროა ბიზნეს KPI-ის(Key Performance Indicator) განსაზღვრა და პროცესის მათზე მიმაგრება. ციფრული ტრანსფორმაციის პროცესზე ნუმერაციის არსებობა ხელს უწყობს გარკვეული აქცენტების შენარჩუნებას მთელი პროცესის განმავლობაში.

და ბოლოს პროცესის ოპტიმიზაციისთვის მნიშვნელოვანია მონაცემების სწორად მართვა. ინფორმაცია და მონაცემები ციფრული ტრანსფორმაციის ქვაკუთხედია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოპერაციების ოპტიმიზაციის პროცესში.



**ნახაზი 1**. ციფრული ტრანსფორმაციის ოპტიმიზაციის პროცესი

გაციფრულების პროცესი(ანალოგიდან ციფრულ ფორმატზე მიყვანა) არის ჯვარედინი ფუნქციონალური და არა მხოლოდ ქსელური ან მარკეტინგული, რომელიც გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. თუმცა აქ ერთი მთავარი კითხვა ჩნდება, თუ როგორ უნდა მოეწყოს ბიზნესი ჯვარედინი ფუნქციონალური პროექტების შესრულების სწორად უზრუნველსაყოფად?

**ჯვარედინი ფუნქციონალური გუნდის ეფექტური მუშაობის სტრატეგიები.** დღეს, მსოფლიოში წამყვანი კომპანიები, როგორიცაა: Google, Facebook, Netflix და Amazon, ირჩევენ გუნდურ თანამშრომლობას.

მრავალფეროვანი გამოცდილებისა და უნარების მქონე ადამიანების გაერთიანებას შეუძლია კრეატიულად და უკეთესად გადაჭრას პროექტის წინაშე მდგარი პრობლემები, დააჩქაროს კოორდინაცია, შეამციროს კომუნიკაციის ხარჯები და საკითხები, სწორედ ამას ნიშნავს ჯვარედინი ფუნქციონალური თანამშრომლობა.



**ნახაზი 2.** ჯვარედინი ფუნქციონალური გუნდის ძირითადი სტრატეგიები

ჯვარედინი გუნდების შექმნა და მართვა შეიძლება რთული ამოცანა იყოს ყველაზე გამოცდილი პროექტის მენეჯერებისთვისაც კი, რადგან სწორედ ამ სტრატეგიების შესრულების პროცესში ვლინდება ციფრული ტრანსფორმაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები. თუმცა ორგანიზაციებს, რომელთაც შეუძლიათ უნიკალური შესაძლებლობების გაერთიანება, შესწევთ უნარი თავიანთ ორგანიზაციაში ახალი პერსპექტივები და შეხედულებები შეიტანონ.

**ღრუბლოვანი და მობილური ტექნოლოგიები.** ღრუბლოვანი და მობილური ტექნოლოგიები RPA (Robotic Process Automation), IOT (Internet of Things), AI (Artificial Intelligence) - ეს ის ტექნოლოგიებია, რომლებმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს ბიზნეს გარემოში და მოიპოვეს უპირატესობა სხვადასხვა კომპანიებში კონკურენტობის თვალსაზრისით.

RPA ტექნოლოგიები - ხარჯების შემცირებისა და მუშაობის პროდუქტიულობის გაზრდას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ RPA რობოტებს შეუძლიათ კომპანიის ხარჯების შემცირება, ამასთან RPA-ზე გაწეული ხარჯები ბევრად ნაკლებია, ვიდრე სრულ განაკვეთზე მომუშავე

თანამშრომელთა გასაწევი ანაზღაურება. RPA - შეუძლია ჩაანაცვლოს ადამიანი და უფრო მოკლე დროში შეასრულოს დაკისრებული საქმე, ვიდრე ამას ადამიანი შესძლებდა, მას ასევე შეუძლია შეამციროს და ნულამდე დაიყვანოს ოპერაციული შეცდომების რისკი.

IOT – „ნივთების ინტერნეტი" წარმოადგენს ფიზიკურ ობიექტებს სენსორებით, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სხვა მოწყობილობებთან ინტერნეტით ან სხვა საკომუნიკაცო ქსელით და უზრუნველყოფენ მონაცმეთა გაცვლას. IOT - 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიაა, რომელიც- „ჭკვიან" სისტემას გულისხმობს, ამ ტექნოლოგიის მთავარი ამოცანა ეფექტიანობის გაზრდა და დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანაა.

AI - „ხელოვნური ინტელექტი"- წარმოადგენს ინტელექტუალურ კომპიუტერულ მანქანას/პროგრამას, რომელსაც აქვს უნარი გაიგოს ადამიანის ინტელექტი. იგი კითხულობს ადამიანის ტვინის ტალღებს და შიფრავს მას. მთელი ინფორმაცია ელექტროდებით დაფარული ელექტროენცეფალოგრაფიით (ტვინში მიმდინარე პროცესების გამზომი ხელსაწყო) EEG (electroencephalogram)-თი მუშავდება. AI და EEG ტექნოლოგიების კომბინაციით შესაძლებელია იმ ვიზუალის ზუსტი გამოსახულების შექმნა, რასაც ადამიანი რეალურ დროში უყურებს.

**კიბერუსაფრთხოება, მთავარი გამოწვევა ციფრულ ტრანსფორმაციის პროცესში.** ციფრული ბიზნესისა და ზოგადად ციფრული სამყაროს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება კიბერუსაფრთხოება და ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფა. იმისათვის რომ ბიზნესმა უწყვეტ რეჟიმში შეძლოს მუშაობა, აუცილებელია დაცული იყოს კიბერუსაფრთხოების ნორმები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ხოლო კიბერგარემოსა და თანამშრომლების გადამზადება და ცნობიერების ამაღლება ამ მხრივ მუდმივ რეჟიმში უნდა მიმდინარეობდეს.

სამწუხაროდ ტექნოლოგიების ზრდა ქმნის კიბერუსაფრთხოების გარკვეულ რისკებს. უსაფრთხოება აუცილებლობაა, მაგრამ ცოტას თუ შესწევს უნარი მას გაუმკლავდეს, რაც დღეს მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს და დაუცველს ხდის ბიზნესს, ზუსტად ამიტომ უსაფრთხოება პირველ რიგში უნდა მოვიაზროთ ტრანსფორმაციისა და გაციფრულების პროცესში.

დღეს ბევრი კომპანია თავს არიდებს უსაფრთხოების საკითხებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს გადამწყვეტი საკითხია კომპანიისთვის. ისმის კითხვა, თუ რატომაა უსაფრთხოება ტრანსფორმაციის მტერი?

- ✓ბიზნესის გარდაქნის პროცესში თანამშრომლები იღებენ წვდომას გარე სამყაროსთან, რაც ნიშნავს რომ ისინი ასევე ხსნიან კარებს აუთსაიდერებისთვის. მაგალითად ელ.წერილი ჩვეულებრივ შეიძლება შეიცავდეს მავნე პროგრამას, რომელსაც შეუძლია თქვენი სისტემის დაზიანება. ჰაკერებსა და კიბერკრიმინალებს შეუძლიათ მოიპარონ მნიშვნელოვანი ფაილები, როგორც ეს მოხდა Sony-ის ელ.ფოსტის გაჟონვის შემთხვევაში. კომპანია Equifax ასევე გახდა ანალოგიური თავდასხმის მსხვერპლი, რომლის დროსაც მილიონობით ადამიანის ინფორმაცია იქნა გაჟონილი ელექტრონული მიყურადების გზით.
- ✓კიბერკრიმინალების კიდევ ერთი პროგრამა არის ეგრეთწოდებული „გამოსასყიდი“ პროგრამა. ეს არის მავნე პროგრამების ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელიც ყინავს სისტემას, მანამ სანამ ჰაკერებთან არ განხორციელდება გადარიცხვის ოპერაცია.
- ✓მავნე პროგრამა ექსტრემალურ შემთხვევებში აკონტროლებს ბიზნეს ოპერაციებს, არღვევს ელექტრო კომუნალურ კომპანიებს, აღწევს პოლიციის განყოფილებებში და აკონტროლებს კომპიუტერთან მომუშავე სხვა ტექნიკას.



**ნახაზი 3.** დაცული გარემოს უზრუნველყოფის ნაბიჯები.

თითოეული პარტნიორი კომპანიის მიერ სისტემის დანერგვის შემდეგ ინფორმაციის შეჯერების შესაძლებლობა შეიძლება კიდევ უფრო

გართულდეს, ამიტომ ეს მოითხოვს სისტემათა შორისი კომუნიკაციის ფრთხილად ტესტირებას, მონაცემთა ნაკადების დაყოვნების სისტემისა და ინფრასტრუქტურის მძლავრი სერტიფიცირების პარალელურად. ყველა ახალი ტექნოლოგია, რომელიც მოჰყვება ციფრული ტრანსფორმაციის პროცესს, კარგად უნდა იყოს შესწავლილი და მართული მათ გავრცელებამდე.

**დასკვნა.** დღესდღეისობით, ციფრული ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის თანამედროვე ცხოვრებაში. ტექნოლოგიების დახვეწა და ყოველდღიური საქმიანობის პროცესების ავტომატიზაცია სახელმწიფოს, ბიზნესისა თუ სხვა საოჯახო მეურნეობების საქმიანობის განვითარებისა და წინსვლის საშუალებას იძლევა, როგორიცაა კომუნიკაციის მარტივად დამყარება, ბიზნესის გატანა გლობალური მასშტაბით, ინფორმაციის სწრაფი გაცვლა და ა.შ, თუმცა გასათვალისწინებელია რომ მოხდეს ადაპტაცია ახალ ციფრულ სისტემებთან.

საქართველოში, როგორც განვითარებად ქვეყანაში, ციფრული ტრანსფორმაციის პროცესთან ადაპტაციის კუთხით შესაძლოა გადავაწყდეთ პრობლემას კვალიფიციური კადრების სიმცირის გამო, რადგანაც არ ხდება კადრების სწავლება/ გადამზადება/ დატრენინგება ამ კუთხით, რაც მეტად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე ყველა სექტორში.

ასევე აღსანიშნავია უსაფრთხოების საკითხები, შესამუშავებელია ისეთი მოდელი, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს რისკებს ამ კუთხით. თუმცაღა, ელვის სისწრაფით ხდება ახალ-ახალი სისტემების შემუშავება, პროგრამების შექმნა და დახვეწა და უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ამ რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

და მაინც, რადგანაც შეცდომების დაშვების ალბათობა ციფრულ სფეროში მაინც არსებობს, ამიტომ უპრიანი იქნება, თუ ადამიანებს ექნებათ ალტერნატივა მათთვის ოპტიმალური ფორმა აირჩიონ ყოველდღიურ საქმიანობაში, ეს იქნება გადახდის სისტემები, დასაქმების სფერო, თუ სხვა. რადგანაც ალტერნატივა დაშვებული შეცდომების აღმოფხვრისა და საქმიანობის ეფექტურად წარმართვის საშუალებას იძლევა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. https://cyberdetectpro.com.
2. https://www.lucidchart.com/blog/managing-cross-functional-teams.

3. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%97%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98
4. https://www.techtarget.com/searchenterpriseai/definition/AI-Artificial-Intelligence
5. https://bdodigital.ge/tsiphruli-transphormatsiis-etapebi-da-tsiphruli-simtsiphis-machveneblebi-biznesshi/
6. გ. ყანჩაველი, „ციფრული ტრანსფორმაცია", თბილისი 2021წ. ელ.წიგნი- https://issuu.com/kanchagio/docs/digital-transformation_design
7. https://bdodigital.ge/services/kiber-da-inpormatsiuli-usaprtkhoeba/

# სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზის როლი ვალის ეფექტიანად მართვის პროცესში
# The Role of Public Debt Sustainability Analysis in Effective Debt Management

**იური კოჩარიანი**
დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Iuri Kochariani**
PhD student, Georgian Technical University

**რეზიუმე.** სახელმწიფო ვალის მართვა მნიშვნელოვანი ელემენტია ეკონომიკის სტაბილური განვითარებისთვის, მისი მართვა და დაგეგმარება წარმოადგენს საჯარო ფინანსების მართვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რგოლს. სახელმწიფო მუდმივად ახორციელებდეს სახელმწიფო ვალის მდგრადობის შეფასებას, რაც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს უზრუნველყოს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად გადანაწილებას.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო ვალი, საჯარო ფინანსები, ვალის მართვა, ვალის მდგრადობა.

**Resume.** Public debt management is an important element in the stable development of the economy, its management and planning is one of the most important parts of public finance management. It is important for the state to constantly assess the sustainability of public debt, which allows the state to ensure the effective allocation of budgetary funds.

**Key words:** Public Debt, Public Finance, Debt Management, Debt Sustainability.

სახელმწიფო ვალი ქვეყნის ეკონომიკის დაფინანსების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რომლის დაგეგმა და კონტროლი მნიშვნელოვანი ელემენტია ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის. სახელმწიფო ვალი ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე

გავლენას, როგორც მიმდინარე და მოკლევადიან, ასევე, გრძელვადიან პერსპექტივებში.

სახელმწიფო ვალის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ვრცლად არის შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში. Reinhart, C. M., & Rogoff, K. S. (2010) მთავარი ნაშრომის შემდეგ დისკუსიები გადავიდა არაწრფივი ურთიერთოებების შესაძლებლობების შესწავლაზე. აღნიშნულ ნაშრომში ავტორებმა შემოგვთავაზეს ვალის მშპ-სთან მიმართ 90%-იანი ზღვარი, რომლის ზემოთაც ვალი უკვე ახდენს საზიანო გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე.

აღნიშნულმა ნაშრომმა საფუძველი ჩაუყარა მრავალ სამეცნიერო კვლევას, რომლებიც იკვლევდნენ ვალის იმ ზღვრულ მაჩვენებელს, რომლის შემდეგაც ვალი უარყოფით გავლენას ახდენდა ეკონომიკურ ზრდაზე.

ბოლო ათწლეულის განმალობაში მრავალი მკვლევარის მცდელობამ გადაჭრან დაპირისპირება მთავრობის ვალსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთობის შესახებ, რეალურად წარმოშვა იდეა ორ ცვლადს შორის არაწრფივი ურთიერთობის შესახებ. აღნიშნული იდეა იყო შებრუნებული U ფორმის ურთიერთობა ვალსა და ზრდას შორის. დადებითი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ვალის გარკვეულ დონემდე (ზღვრამდე) და ნეგატიური ზემოქმედება ზღვარს მიღმა.

სახელმწიფო ვალსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთობა სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლად არის შესწავლილი, ხშირ შემთხვევაში მკვლევარები გვთავაზობენ განსხვავებულ მოდელებს, თუმცა ჯერ-ჯერობით სამეცნიერო საზოგადოება არ არის შეთანხმებული ვალის იმ ზღვრულ მაჩვენებელზე, რომლის შემდეგაც ვალი უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

როგორც ნებისმიერ ემპირიულ ანალიზს, სხვადასხვა მკვლევარების კვლევებს გარკვეული სიფრთხილით უნდა მოვეპყროთ, რადგან ისინი მიღებულ იქნა ქვეყნების კონკრეტული ნაკრების გამოყენებით კონკრეტულ დროში და მოცემულ ეკონომეტრიკულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.

სახელმწიფო ვალსა და ზრდას შორის კავშირში განსხვავება ქვეყნებს შორის შესაძლებელია მრავალი მიზეზის გამო, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ქვეყნების მახასიათებლებში განსხვავებულობით, როგორიცაა: წარმოების ტექნოლოგია, მაკრო და ინსტიტუციური სტრუქტურა, ვალის სტრუქტურაში არსებული განსხვავება - გრძელვადიანი და მოკლევადიანი,

შიდა ან გარე, უცხოურ ან ადგილობრივ ვალუტაში და როგორ ნაწილდება ნასესხები სახსრები კაპიტალურ ხარჯებსა და შემოსავლების ხარჯებს შორის. სწორედ უნივერსალური პარამეტრების არ არსებობის გამო მნიშვნელოვანია ყველა ქვეყანა ახორციელებდეს საკუთარი ვალის დაგეგმარებას და კონტროლს ინდივიდუალური და ისტორიული მონაცემების დამუშავების შედეგად.

ამრიგად, მნიშვნელოვანია სახელმწიფო მუდმივად ახორციელებდეს საკუთარი ვალის მდგრადობის ანალიზს, რაც საშუალებას მისცემს საკუთარი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვროს ვალის დონე, ასევე მართოს ეფექტიანად სახელმწიფო ფინანსები. მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის ჩატარების მთავარი მიზანია, შეფასდეს მთავრობის შესაძლებლობა მოემსახუროს ვალდებულებებს საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. ვალის მდგრადობის ანალიზი მნიშვნელოვანია საბიუჯეტო გამჭვირვალობის და ეფექტური საჯარო ფინანსების მართვის თვალსაზრისით. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მაგალითად მთავრობის მდგრადობის ანალიზისთვის იყენებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მეთოდოლოგიას, რომელიც მოდიფიცირებულია ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი მოიცავს სხვადასხვა შესაძლო რისკ ფაქტორების შეფასებას და მათ გავლენას მთავრობის ვალის პორტფელზე, ეხმარება მთავრობას წინმსწრებით მოახდინოს შესაძლებელი ნეგატიური ფაქტორებიდან გამოწვეული შედეგების იდენტიფიცირება და შეიმუშაოს შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზში გამოყენებულია საბაზისო და ალტერნატიული (ნეგატიური) სცენარები და ამ სცენარებისთვის დაშვებები სხვადასხვა მაკროეკონომიკურ და ფისკალურ ცვლადებზე - რეალური მშპ-ს ზრდა, ინფლაცია, გაცვლითი კურსი, საპროცენტო განაკვეთები, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და სხვა.

თითოეული ქვეყნის საჭიროება სუვერენული ვალის მართვის შესაძლებლობების ასამაღლებლად განსხვავებულია. მათი საჭიროებები განისაზღვრება კაპიტალის ბაზრის შეზღუდვებით, გაცვლითი კურსის რეჟიმით, მაკროეკონომიკური და მარეგულირებელი პოლიტიკის ხარისხით, რეფორმების შემუშავებისა და განხორციელების ინსტიტუციური

შესაძლებლობებით, ქვეყნის კრედიტუნარიანობით და მისი სახელმწიფო ვალის მართვის მიზნებით და ა.შ.

ვალის მართვა უნდა იყოს დაკავშირებული მკაფიო მაკროეკონომიკურ ჩარჩოსთან, რომელშიც მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ სახელმწიფო ვალის დონისა და ზრდის მდგრადობა. სახელმწიფო ვალის მართვის პრობლემები ხშირად წარმოიქმნება პოლიტიკის შემქმნელების მხრიდან ვალის მართვის გონივრული სტრატეგიის სარგებელისა და სუსტი მაკროეკონომიკური პარამეტრების გამო. პირველ შემთხვევაში, ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა გაამახვილოს ვალის მართვის ჯანსაღი სტრატეგიების, ჩარჩოებისა და პოლიტიკის უპირატესობებზე, რომლებიც შეესაბამება ჯანსაღ მაკროპოლიტიკის ჩარჩოს. მეორე, არასტაბილური ფისკალური, მონეტარული ან სავალუტო პოლიტიკა ქმნის გაურკვევლობას ფინანსურ ბაზრებზე ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული ინვესტიციების სამომავლო ანაზღაურების შესახებ, რითაც ინვესტორებს უბიძგებს მოითხოვონ უფრო მაღალი რისკის პრემიები.

სახელმწიფო ვალის მართვის მთავარი მიზანია უზრუნველყოს მთავრობის ფინანსური საჭიროებები და გადახდის ვალდებულებები საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც შეიძლება დაბალ ფასად, რისკის გონივრული ხარისხით. რისკის გონივრული მართვა სახიფათო ვალის სტრუქტურებისგან აცილების მიზნით გადამწყვეტია, თუ გავითვალისწინებთ სუვერენულ ვალზე დეფოლტის მძიმე მაკროეკონომიკურ ზემოქმედებას და პროდუქციის შემდგომი დანაკარგების სიდიდეს. ეს ხარჯები მოიცავს ბიზნესისა და ბანკების გადახდისუნარიანობას, ასევე მთავრობისადმი გრძელვადიანი ნდობის დაქვეითებას და მის შესაძლებლობებს, მოახდინოს შიდა და საგარეო დანაზოგების მობილიზება. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია სუვერენული ვალის მართვასთან ესენია საბაზრო, ლიკვიდობის, საკრედიტო და საოპერაციო რისკები.

მთავრობებმა უნდა შეეცადონ მინიმუმამდე დაიყვანონ ვალის მომსახურების მოსალოდნელი ღირებულება და ლიკვიდური აქტივების შენახვის ხარჯები, რისკის მისაღები დონის გათვალისწინებით საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. ხარჯების მინიმიზაცია რისკების იგნორირების ხარჯზე არ უნდა იყოს მიზანი. ტრანზაქციები, რომლებიც, აძვირებს ვალის მომსახურებას, ხშირად იწვევს მთავრობისთვის

მნიშვნელოვან რისკებს და შეიძლება შეზღუდოს მისი შესაძლებლობა, გადაიხადოს კრედიტები.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (2022). მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი 2022-2023 წლებისთვის.
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (2021). მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია 2022-2025 წლებისთვის.
3. International monetary fund & World bank (2001). Guidelines for Public Debt Management.
2. M. Gomez-Puig , S. Sosvilla-Rivero & Inmaculada Martínez-Zarzoso. (2022). Journal of International Financial Markets, Institutions & Money. On the heterogeneous link between public debt and economic growth.
3. Reinhart, C. M., & Rogoff, K. S. (2010). Growth in a Time of Debt.


# სამედიცინო დაწესებულებების ფინანსების მართვის აქტუალური საკითხები

# Actual Issues of Financial Management of Medical Institutions


**ლია ოტიაშვილი**
მოწვეული ლექტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Lia Otiashvili**
Invited lecturer
Georgian Technical University



**რეზიუმე.** ნაშრომის მიზანია სხვადასხვა ორგანიზაციული და სამართლებრივი ფორმის ჯანდაცვის დაწესებულებების ფინანსური სისტემის ანალიზი.

ვინაიდან მომსახურებას ახორციელებენ სხვადასხვა ორგანიზაციული და სამართლებრივი ფორმის დაწესებულებები: საბიუჯეტო და კერძო, ჯანდაცვის დაწესებულებების დაფინანსებისა და ფინანსური მართვის სპეციფიკაზე გავლენას ახდენს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდიების ოდენობა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ფინანსდება პირველადი გადაუდებელი დახმარება, რომელზეც საკმაო რაოდენობის თანხები არის გამოყოფილი ბიუჯეტიდან. შესაბამისად მნიშვნელოვანია თუ რა მიმართულებით და რამდენად ეფექტიანად ხორციელდება ფინანსების მართვა ჯანდაცვის სექტორში.



**საკვანძო სიტყვები:** ფინანსური მენეჯმენტი, ჯანდაცვის დაწესებულებები; დაფინანსების წყაროები.

**Resume.** The aim of the paper is to analyze the financial system of healthcare institutions of different organizational and legal forms.
Since the services are provided by institutions of different organizational and legal forms: The specifics of financing and financial management of budgetary and private healthcare institutions are influenced by the amount of subsidies allocated by the state.
Primary emergency aid is financed at the expense of the state budget, for which a considerable amount of money is allocated from the budget. Accordingly, it is important in what direction and how efficiently the financial management is carried out in the healthcare sector.

**Key words:** financial management, healthcare institutions; Funding sources.

სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდასა და სიკვდილიანობის შემცირებაზე გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის დონე და ჯანდაცვის სისტემის მდგომარეობა, რომლითაც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი მოქალაქე არ არის კმაყოფილი. იმისათვის, რომ სამედიცინო დახმარება ხელმისაწვდომი გახდეს ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად საცხოვრებელი ადგილისა, საჭიროა სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობის გაზრდა, ასევე საწოლფონდების გაზრდა ეპიდემიის დროს და შესაბამისად მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების შეთავაზება.

ჯანდაცვის დაფინანსების წყაროები განსხვავებულია. დაფინანსების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. (ცხრილი N1)

**ცხრილი N1. ჯანდაცვისათვის საბიუჯეტო სისტემის ბიუჯეტის ხარჯები[98]**

| | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|
| დაფინანსების ოდენობა (მილიონი ლარი) | 1,141.6 | 1,233.9 | 1,804.9 | 2,526.5 |

სამედიცინო დაწესებულებას, რომელსაც დადებული აქვს ხელშეკრულება სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის პროგრამით მომსახურების გაწევაზე, უფლება არა აქვს უარი თქვას დაზღვეულის დახმარებაზე ტერიტორიული სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის პროგრამის შესაბამისად. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებისას დიდი მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო პრინციპებს, ანუ სადაზღვევო სამედიცინო ორგანიზაციების პასუხისმგებლობას სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის სფეროში.

[98] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ფასების მუდმივი ზრდის პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია ერთ სულ მოსახლეზე დაფინანსების საშუალო სტანდარტების წლიური ზრდა.

ფასიანი სამედიცინო მომსახურების გაწევა ხდება მოქალაქის მოთხოვნით, ხოლო სამედიცინო მომსახურების გაწევისას დამატებით გათვალისწინებულია ფასიანი არასამედიცინო მომსახურება (მაგალითად, საყოფაცხოვრებო მომსახურება, სატრანსპორტო მომსახურება). ფასიანი სამედიცინო მომსახურების გაწევის წესი და პირობები დადგენილია სამედიცინო დაწესებულების წესდებით.

ჯანდაცვაზე საბიუჯეტო ასიგნებების ზრდასთან და ფასიანი სამედიცინო სერვისების ზრდასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა ფინანსური მართვის ეფექტიანი მეთოდების დანერგვის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ რესურსების პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის გაზრდას.

ჯანდაცვის ორგანიზაციებში ფინანსურ მენეჯმენტში ჩართული ძირითადი საქმიანობა მოიცავს შეფასებას და დაგეგმვას, გრძელვადიან საინვესტიციო გადაწყვეტილებებს და ფინანსური რისკების მართვას. საფინანსო სამსახურმა უნდა მოიძიოს სახსრები ხარჯებისთვის. ეს შეიძლება მოიცავდეს გრანტებს, სესხებს ან შიდა სახსრების გამოყენებას.

მზარდი ფინანსური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ სამედიცინო დაწესებულებები პანდემიის და პანდემიის შემდგომ პერიოდში. აღნიშნული გარემოება განპირობებულია სტანციონარზე მოთხოვნათა მატებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა პლანზე იქნა წამოწეული ჯანდაცვის სექტორთან მიმართებაში ხარჯები, ასევე ჯანდაცვის ხარჯები პრიორიტეტული ხდება ეროვნულ შემოსავლებთან მიმართებაშიც, თუ ეროვნული შემოსავლების ზრდადობა შეინიშნება, იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანდაცვის ხარჯებიც.

მნიშვნელოვანია სამედიცინო დაწესებულებებმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ასევე სხვა წყაროებიდან მოზიდული ფინანსური რესურსები მართონ ეფექტურად, იმისათვის, რომ მოქალაქეებს გაუწიონ მაღალკვალიფიციური მომსახურეობა. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია სახელმწიფოს მონაწილეობას, რომელიც გამოიხატება ჯანდაცვის სექტორის რეგულირებაში, სახელმწიფო საავადმყოფოების მიერ მომსახურების მიწოდებაში და დაფინანსებაში. 2003 წლიდან დღემდე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსები მზარდია, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო

მომსახურეობის ფინანსური მაჩვენებელიც გაზრდილია, რომელიც ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდა ჩვენი საზოგადოებისათვის, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გაიზარდა უკმაყოფილო სამედიცინო პერსონალის რაოდენობაც.

გრაფიკი N1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები [99]




საქართველოს მთავრობის დადგენილების (N230. 02.05..2022 წ.) მიხედვით, საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში შემუშავებულია და გაწერილია 2022-2030 წლების სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად საჭირო ბიუჯეტი, რომელიც შეადგენს 42,8 მილიონ ლარს, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯს მიეკუთვნება 9.3 მილიონი ლარი, ხოლო გარე ფინანსური წყაროებს და საქართველოში არსებულ სხვა წყაროებზე გაწერილია 12.0 ლარი და სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად საჭიროა მოზიდულ იქნას სხვა წყაროებიდან 21.5 ლარი.

მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სექტორის მიმართ გაზრდილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები, უნდა აღინიშნოს, რომ მთავარ გამოწვევად რჩება მაინც ჯანდაცვის სექტორისთვის ფინანსური მართვის საკითხები. სამედიცინო სექტორმა მნიშვნელოვანია სწორად და მიზანმიმართულად გამოიყენონ ფინანსური რესურსები, მედ-პერსონალის მიმართ გაწერილ უნდა იქნეს შესაბამისი შრომის ანაზღაურების ხარჯები, რომ შესაბამისად მედ-პერსონალი იყოს პროდუქტიული, რომელიც შემდგომში განაპირობებს მაღალკვალიფიციურ მომსახურების გაწევას პაციენტებისადმი.

[99] წყარო: ფინანსთა სამინისტრო

გამოყენებული ლიტერატურა:
1. საქართველოს მთავრობის დადგენილება N230. 02.05..2022
2. www.mof.gov.ge

# სტუდენტების პოსტპანდემიურ ვითარებასთან ადაპტირების გამოწვევები
# Adjustment Challenges for Students in the Post-Pandemic Environment

**მადონა კეკელია**, ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
**ელისო კერესელიძე**, ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
**ინა შანავა**, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**მარიამ გვილავა,** სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

**Madonna Kekelia,** PhD, Psychology, Professor, National University of Georgia SEU
**Eliso Kereselidze,** PhD, Psychology, Professor, National University of Georgia SEU
**Ina Shanava,** PhD Social Sciences, Associate Professor, Gori State University
**Mariam Gvilava,** PhD, Social Sciences, Assistant Professor, Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University

**რეზიუმე.** ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ძირითად ელემენტს ხარისხიანი განათლება წარმოადგენს, რაც, თანამედროვე საზოგადოების მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა კოვიდპანდემიის პირობებში. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ COVID-19-ის შემდეგ კაცობრიობა უკვე ახალ, შეცვლილ რეალობაში ცხოვრობს. ადამიანების პიროვნულმა, სოციალურმა და პროფესიულმა ცხოვრებამ ტრანსფორმაცია განიცადა, რამაც ძირეულად შეცვალა ცხოვრების ზოგადი წესიც. კოვიდპანდემიით გამოწვეულ ქაოსში, განათლების სექტორმა, განსაკუთრებით კი-უმაღლესმა სასწავლებლებმა, ყველაზე მასშტაბური დარტყმა განიცადეს, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა სტუდენტების სოციალურ ურთიერთობებზე, აკადემიურ და შრომით აქტივობებზე. იმის გათვალისწინებით, რომ პოსტპანდემიურ ვითარებაში მნიშვნელოვანი შეზღუდვების წინაშე აღმოჩნდნენ სტუდენტები, აუცილებელი ხდება შესწავლილ იქნას საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტების ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემები, რადგანაც ის წარმოადგენს ნაყოფიერ ნიადაგს პიროვნული და პროფესიული თვითგანვითარებისთვის, პროფესიული თვითგამორკვევისთვის.
ნებისმიერი ადაპტაცია შეიძლება მოიაზრებდეს დამოკიდებულებისა და ქცევის ცვლილებას, ურთიერთობების ტრანსფორმაციას გარემოსთან, რაც თავის მხრივ, გარემოში არსებული გამოწვევებისადმი მორგებას გულისხმობს. უცხო გარემოში ადაპტაციის პროცესი ადამიანში

შესაძლოა იწვევდეს სტაბილურობის განცდის დაკარგვას, რაც ახალ, ბუნებრივ გარემოში, ან სოციალურ გარემოსთან ურთიერთქმედების პროცესში სისტემური მთლიანობის რღვევას განსაზღვრავს. აღსანიშნავია, რომ ადაპტაციის პროცესის შემსუბუქების მექანიზმი არის გარემოს ცვლილება, რის შედეგადაც ჩვეული ქცევის ნორმები ნაკლებად ეფექტური ხდება და რაც თავის მხრივ, წარმოშობს არსებული სირთულეების დაძლევის აუცილებლობას. წარმატებული ადაპტაცია სტუდენტებს ეხმარება თვითრეალიზაციაში, დავალებების ნაყოფიერად შესრულების მოტივაციის გაზრდაში, სოციალურად მნიშვნელოვანი საქმიანობების განხორციელებაში, კვლევით აქტივობებში.
წარმატებული ადაპტაცია სტუდენტებს ხელს უწყობს მოერგონ ახალ მოთხოვნებს სასწავლო სივრცეში, დაამყარონ პოზიტიური, ჯანსაღი ურთიერთობები პროფესორ-მასწავლებლებთან, თანაკურსელებთან. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომის მიზნად განისაზღვრა დადგენილიყო სტუდენტების წინაშე არსებული ადაპტაციის გამოწვევები პოსტპანდემიურ ვითარებაში. მიზნის შესაბამისად, კვლევაში გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი (გამოკითხვა) და თვისებრივი მეთოდები (ფოკუს ჯგუფი; სიღრმისეული ინტერვიუ). მიღებული მონაცემების ანალიზისა და დამუშავების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პოსტპანდემიურ ვითარებასთან ადაპტირების ძირითად გამოწვევას სტუდენტებისთვის წარმოადგენს სოციალური ურთიერთობების დამყარებასთან დაკავშირებული სირთულეები, აუდიტორიასთან სიტყვით გამოსვლის, თვითრეალიზების, თვითგამოხატვის, სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობისა და დემოტივირებულობის პრობლემები. განსხვავებები დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით იქნა გაანალიზებული.

**საკვანძო სიტყვები:** ადაპტაცია; კოვიდპანდემია; უმაღლესი სასწავლებელი.

**Abstract.** Quality education is one of the main elements of a country's sustainable development, which has become an important challenge for modern society in the context of the Covid-19 pandemic. It is safe to say that after COVID-19, humanity is already living in a new, changed reality. People's personal, social and professional lives have undergone transformation, which has fundamentally changed their general way of life. In the chaos caused by the Covid-19 pandemic, the education sector, especially higher education institutions, have taken the biggest hit, which has had a major impact on students' social relationships, academic and work activities. Considering that the students were faced with significant restrictions in the post-pandemic situation, it is necessary to study the problems related to the adjustment of students to the university space, because this space is a fertile soil for personal and professional self-development, professional self-inquiry.
Any adaptation may imply a change in attitude and behavior, a transformation of relations with the environment, which in turn means adapting to the challenges in the environment. The process of adjusting to a foreign environment may lead to the loss of sense of stability in a person, which determines the breakdown of systemic integrity in a new, natural environment or in the process of interaction with social environment.It should be noted that the mechanism of facilitating the adaptation process is the change of the environment, as a result of which the usual norms of behavior become less effective and which, in turn, creates the necessity to overcome the existing difficulties.
Successful adjustment helps students in self-realization, in increasing the motivation to productively perform tasks, in carrying out socially important activities as well as research activities. Successful adjustment also helps students to adapt to new requirements in the learning space, to establish positive, healthy relationships with professors and fellow students. Based on the above mentioned, the aim of the paper was to determine the adjustment challenges for the students, posed by post-pandemic environment. In accordance with the objective, quantitative (survey) and qualitative research methods (focus group;

in-depth interview) were used in the study. Based on the analysis and processing of the obtained data, the study revealed that the main adjustment challenges for students in the post-pandemic situation are the difficulties related to establishing social relationships, the problems of speaking in front of the audience, problems of self-realization, self-expression, active involvement in the learning process and demotivation. Differences were analyzed by demographic characteristics.

**Keywords**: Adjustment; Covid Pandemic; Higher Education Institution.

## მარკეტინგული მაჩვენებლების ანალიზი და შეფასება ქართული ღვინის ბაზარზე
## Analysis and Evaluation of Marketing Indicators in the Georgian Wine Market

**ლექსო ლემონჯავა**, ასოცირებული პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტი
**მერაბ ვანიშვილი**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აფილირებული პროფესორი

**Lekso Lemonjava,** Associate Professor, European University
**Merab Vanishvili,** Professor, Georgian Technical University

**აბსტრაქტი.** სამეცნიერო სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებსა და ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, გააანალიზებული და შეფასებულია მარკეტინგული მაჩვენებლები ქართული ღვინის ბაზარზე.
ხაზგასმულია, რომ კრიზისის სტადიიდან და სისტემის სტაბილურობის დონიდან გამომდინარე, მარკეტინგის ამოცანები, მიზნები და პრინციპები დამატებით სპეციფიკას იძენს. მარკეტინგული სტრატეგიის საერთო ოპერაციული ადაპტაციის გარდა, საჭირო ხდება გამოყენებული მარკეტინგული ინსტრუმენტების, ასევე მარკეტინგული კომპლექსის მთლიანობაში გადახედვა.
დასაბუთებულია, რომ თუ სტაბილურ სისტემებში მარკეტინგის ამოცანა არის წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნის, მომხმარებლებისთვის ბრენდის ღირებულებისა და ფასეულობის მართვა, არასტაბილურ და კრიზისულ ვითარებაში მარკეტინგი უკვე უნდა მართავდეს ახალ ობიექტს - ორგანიზაციის აქტივებს.

**საკვანძო სიტყვები.** კონკურენტუნარიანობა, მარკეტინგული სტრატეგია, ბრენდის ცნობადობა, მარკეტინგული რენტაბელობა, ბაზრის წილი, რეინჟერინგი, ორდინარული მენეჯმენტი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთიდან ვიზიტორების შემოსვლა, ფულადი გზავნილები, რუსული კომპანიების რეგისტრაცია. ამის მიზეზი კი არის რუსეთი მოქალაქეების საქართველოში გადმოსვლა საცხოვრებლად და ბიზნესის საკეთებლად. რუსეთზე დამოკიდებულება საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების სერიოზული და რეალური გამოწვევაა. რუსეთ-უკრაინის ომს თან ახლავს არამარტო ფასების ზრდა სანედელულო საქონლზე, ექსპორტის შემცირება, დანაკარგები ტურიზმის სფეროში, გაზრდილი ხარჯები, არამედ ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების ამაღლების გზების ძიების მუდმივი რეჟიმი.

**საკვანძო სიტყვები:** ექსპორტი, იმპორტი, ეკონომიკური ბერკეტები, ფასების ზრდა, რისკების ზრდა.

**Resume.** The war between Russia and Ukraine took on a general character and presented the countries with a number of challenges. They were involved in this war in different ways, the negative consequences of the war are reflected in the reduction in the growth rates of the world economy. In hindering innovative developments and solving global problems.
Compared to 2021, Georgia's economic dependence on Russia has increased, which creates certain threats. In 2022, imports from Russia increased, exports slightly. Fuel imports have increased significantly. Wheat imports Wheat flour imports fell due to increased tariffs. Ukraine was forced to stop exporting wheat and oil, and Russia increased taxes on the latter.
The arrival of visitors from Russia, remittances, registration of Russian companies increased significantly. This is due to Russian citizens moving to Georgia to live and do business. Dependence on Russia is a serious and real challenge to Georgia's economic and political security. The Russia-Ukraine war is accompanied not only by an increase in food prices, a drop in exports, losses in the tourism sector, increased costs, but also a constant search for ways to increase economic and political security.

**Key words:** Export, Import, Economic Levers, Price Increase, Risk Increase.

რუსეთ-უკრაინის ომმა საერთო ხასიათი მიიღო და მსოფლიოს ქვეყნები მთელი რიგი გამოწვევების წინაშე დააყენა. სახელმწიფოები სხვადასხვა სახით ჩართულნი აღმოჩნდნენ ამ ომში - ჰუმანიტარული დახმარებით თუ ლტოლვილების მიღებით, იარაღის მიწოდებით თუ სანქციების დაწესებით.

ტრადიციულად ომის ნეგატიური გავლენა წინსვლის შემაფერხებელია და აქაც აშკარად ვლინდება მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირება, რასაც მოსალოდნელია მოჰყვეს კრიზისი, საომარი მოქმედებებისა და მიწოდების ჯაჭვების წყვეტის თანამდევი წარმოების შეკვეცის გამო; შეზღუდული რესურსების მიმართვა ომის საჭირო ხარჯების დასაფარავად და არა წარმოების გაფართოებისათვის; მსოფლიო ეკონომიკის განვითარების დამუხრუჭება (ინოვაციების დანერგვისა და სამეცნიერო პროექტების განხორციელების სახსრების შემცირება, გლობალური პრობლემების - სასურსათო, ენერგეტიკული, ეკოლოგიური, სიღარიბის დაძლევის გადაჭრის შეფერხება), ეკონომიკის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსების შემცირება (მსხვერპლისა და კეთილდღეობის პირობების შემცირების გამო); არაეკონომიკური ფაქტორების ამოქმედება (კულტურა, ხელოვნება, პოლიტიკური ურთიერთობები, ფსიქიკური მდგომარეობა) რაც ასევე ნეგატიური გავლენის მატარებელია. „კომფლიქტი თუ კიდევ უფრო გამწვავდა, ეკონომიკური ზიანი, უფრო მეტად დამანგრეველი იქნება გლობალურ ეკონომიკასა და ფინანსურ ბაზრებზე, ვნახავთ გადადინებებს სხვა ქვეყნებზეც. ფასების შოკური ზრდა მსოფლიოს მასშტაბით, განსაკუთრებით ღარიბ მოსახლეობაზე აისახება, რომელთა დანახარჯების უდიდესი ნაწილი სწორედ საკვებსა და საწვავზე მოდის- პროგნოზირებდნენ IMF-ში.

ომის შემთხვევაში მცირდება ერთიანი შიგა პროდუქტის მოცულობა (ასევე ერთ სულ მოსახლეზე); მცირდება ექსპორტი, ასევე ადგილობრივი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; იზრდება ადგილობრივი ბანკების გაკოტრების რისკი, რადგან თითქმის ყველა მეანაბრე ერთდროულად ცდილობს სადეპოზიტო ანგარიშებიდან ნაღდი ფულის გამოტანას; საბანკო სისტემის კოლაფსთან ერთად იწყება მთლიანი ეკონომიკის სტრუქტურის რღვევა; იზრდება სასურსათო კალათის ინფლაცია; ადგილობრივი ვალუტის დევალვაცია; საჯარო სახსრები პროდუქტიულ ეკონომიკურ პროექტებში არ იხარჯება და შესყიდვები დიდწილად გადართულია ომისათვის საჭირო რესურსების შეძენაზე (იარაღი, მედიკამენტები, საწვავი და ა.შ.); მოსახლეობა

გადადის თავის შენახვის მოდუსში; ნადგურდება ინფრასტრუქტურა და შენობები; იზრდება ჩრდილოვანი ეკონომიკა; სუსტდება სახელმწიფო და ამასთან ორგანიზებული ჯგუფების მიერ ეკონომიკის ზოგიერთი სფეროს მიტაცების რისკი (6).

ომის დამთავრების პროგნოზირება მოსალოდნელზე რთული გახდა და ეკონომიკური ზარალის ზუსტად შეფასებაც შეუძლებელი იქნება.

ომის ნეგატიური შედეგები საქართველოს ეკონომიკაზეც აისახება როგორც სხვა ეროვნულ ეკონომიკებზე მით უმეტეს, რომ ჩვენთვის რუსეთი და უკრაინა მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან.

გასულ წლებთან შედარებით იზრდება საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება რაც ცნობილ საფრთხეებს ქმნის დაკავშირებულს იმგვარ გარემოებებთან როცა რუსეთს არაერთხელ გამოუყენებია ქვეყნების წინააღმდეგ ეკონომიკური ბერკეტები და საქართველოში ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტისთან ერთად ექსპორტი აკრძალა.

2022 წლის იანვარ-ივნისში რუსეთიდან იმპორტი 51%-ით გაიზარდა. ომის დაწყების შედეგ ყველაზე მეტად საწვავის იმპორტი გაიზარდა (280%-ით). ელექტროენერგიის იმპორტი 4-ჯერ, ხოლო ქვანახშირის და კოქსის 3-ჯერ გაიზარდა. საქართველო ელექტროენერგიაზე მოთხოვნის უდიდეს ნაწილს თავად იკმაყოფილებს ჰიდრო და თბოელექტროსადგურებით, ხოლო ყოველთვიურად როცა ამის საჭიროება არის ელექტროენერგიის იმპორტი ხდება მეზობელი სახელმწიფოებიდან, მათ შორის რუსეთიდანაც.

2021 წელს რუსეთიდან 87 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 319 ათ. ტონა ხორბალი შემოვიდა, რაც საქართველოში იმპორტირებული ხორბლის 94% იყო. 2022 წლიდან ხორბლის იმპორტი ხორბლის ფქვილის იმპორტმა ჩაანაცვლა, ხორბლის ექსპორტზე გაზრდილი გადასახადების გამო; იმპორტიორებმა ნაკლები ხარჯტევადობის გამო ხორბლის ფქვილის შემოტანა არჩიეს. 2022 წლის იანვარ-ივნისში რუსეთიდან ხორბლის ფქვილის იმპორტი 14-ჯერ გაიზარდა, ხოლო ხორბლის იმპორტი განახევრდა (2). რუსეთის მარგარინის იმპორტი 7-ჯერ (16 მლნ აშშ დოლარი) გაიზარდა. შემცირდა რუსეთიდან მზესუმზირის ზეთის შემოტანა. რუსეთი და უკრაინა ზეთის ძირითადი მომწოდებლები იყვნენ. უკრაინიდან შეწყვეტილია მოწოდება, ხოლო რუსეთმა გაზარდა ექსპორტის გადასახადი.

„საქსტატის“ მონაცემებით 2022 წელს საქართველოს ექსპორტი წინა წელთან შდარებით რუსეთში 6,8%-ით გაიზარდა, თუმცა რუსეთიდან იმპორტირებული საქონლის ღირებულება იმდენად დიდია, რომ ამ ქვეყანასთან სავაჭრო ბალანსი მაინც უარყოფითია(4). ექსპორტში პირველ ადგილზე ფეროშენადნობი იყო 86 მლნ აშშ დოლარით, შემდეგ ღვინო 58 მლონ აშშ დოლარით, უალკოჰოლო სასმელები 31 მლნ აშშ დოლარით და სპირტიანი სასმელები 14 მლნ აშშ დოლარით.

2021 წელს საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის 55% რუსეთში გავიდა. 2022 წელს იანვარ-ივნისში რუსეთში ექსპორტირებული 58 მლნ აშშ დოლარის ღვინო საქართველოს ჯამური ღვინის ექსპორტის 58% იყო. ამ მაჩვენებლის შემცირება უმეტესწილად მარტიდან უკრაინის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის შეწყვეტამ განაპირობა. მინერალური და უალკოჰოლო სასმელების ექსპორტი 46%-ით შემცირდა. ორჯერ გაიზარდა მსუბუქი მანქანების ექსპორტი.

2022 წელს მნიშვნელოვნად დაჩქარდა რუსეთიდან ვიზიტორების შემოსვლის ზრდის ტემპი. ეს ზრდა პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნას და რუსეთ-უკრაინის ომს უკავშირდება. გასული წლის იანვარ-ივნისში რუსეთიდან 247 ათასი ვიზიტორი შემოვიდა და მათგან მიღებულმა შემოსავალმა ვიზიტორების ჯამური შემოსავლის 19% შეადგინა.

რუსეთ-უკრაინის ომს უკავშირდება სიტუაციის ცვლილება ფულად გზავნილებში. რუსეთიდან გადმორიცხული თანხის წილი საქართველოს მთლიან გზავნილებში 42%-მდე გაიზარდა. ასეთი ზრდის მთავარი მიზეზი საქართველოში საცხოვრებლად გადმოსული რუსეთის მოქალაქეებია, რომელთაც ან საკუთარი დანაზოგი მოაქვს ან ფულს უგზავნიან.

2022 წელს შემცირდა რუსეთიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში რუსული კომპანიების რეგისტრაციამ. რუსეთის მოქალაქეების ნაწილი გადმოვიდა ჩვენს ქვეყანაში საცხოვრებლად და ბიზნესის საკეთებლად. გასულ წელს სულ 10,419 რუსული კომპანია დარეგისტრირდა. რეგისტრირებული კომპანიების 93% ინდივიდუალური საწარმოა.

ექსპერტების აზრით (3) რუსეთის მოქალაქეების მიერ კომპანიების დაფუძნების, საქონლის იმპორტის, ფულადი გზავნილების ზრდა წარმოშობს მნიშვნელოვან რისკებს, რომ საქართველო რუსეთზე

დაწესებული სანქციების გვერდის ასავლელად იქნას გამოყენებული. ყველა შემთხვევაში რუსულ ბაზარზე დამოკიდებულება საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების რეალური და საკმაოდ სერიოზული გამოწვევაა.

უკრაინას საქართველოს ექსპორტში მე-5 ადგილი ეჭირა და 2021 წელს ეს მაჩვენებელი 41%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტით მე-7 ადგილზე იყო. საექსპორტო პროდუქციაში პირველ ადგილზე ავტომობილების რეექსპორტი იყო (88 მლნ აშშ დოლარი), შემდეგ სპირტი (43 მლნ აშშ დოლარი), სასუქები (38 მლნ აშშ დოლარი), მინერალური და მტკნარი წყლები (26 მლნ აშშ დოლარი) და ღვინო (26 მლნ აშშ დოალრი). უკრაინიდან შემოტანილ პროდუქციაში პირველ ადგილზე იყო სიგარეტი (78 მლნ აშშ დოლარი), შემდეგ ლითონები (23 მლნ აშშ დოლარი) და სამკურნალო საშუალებები (21 მლნ აშშ დოალრი), კაკაოს შემცველი პროდუქტები, საკონდიტრო ნაწარმი (19 მლნ აშშ დოლარი), გაყინული ხორცპროდუქტები (30 მლნ აშშ დლარი) (1).

უკრიანამ ხორბლის ექსპორტი სრულად შეაჩარა. ეჭვქვეშ დადგა და დიდ დაბრკოლებებს წააწყდა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ერთი მხრივ, იაფი ფასის გამო, ხოლო მეორე მხრივ გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით რუსეთიდან და უკრაინიდან შემოტანილი ფიზიკური კაპიტალი დახმარებით ხდებოდა, რამაც განაპირობა სხვა მომწოდებლების მოძიება და არსებულ პარტნიორებთან თანამშრომლობის ახალ პირობებზე შეთანხმება.

რუსეთ-უკრაინის ომმა მკვეთრი ასახვა ჰპოვეს ფასების ზრდაში საკვებ პროდუქტებსა და ენერგეტიკაზე, ბენზინზე და დიზელის საწვავზე. განსაკუთრებით მწვავეა ხორბლის ფასის ზრდა. ომმა და გართულებულმა ეკონომიკურმა ურთიერთობებმა საქართველოს მთავრობა საკვები პროდუქტების იმპორტის ალტერნატიული წყაროების მოძიების აუცილებლობის წინაშე დააყენა. გარკვეულწილად მათ შეძლეს ბიზნესმენებთან ერთად რიგი მექანიზმების ამოქმედბა, მაგრამ ძნელად პრონოზირებადი გარემო მუდმივ მზადყოფნას საჭიროებს თვითუზრუნველყოფის ღონისძიებების ამაღლებისკენ, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობასა და ენერგეტიკაში. უკრაინიდან შემომაბვალი ფულადი ნაკადები ფაქტობრივად ნულის ტოლია. აქ იგულისხმება საბანკო

ტრანზაქციები და არა ის თუ რამდენი უკრაინელი ჩამოვიდა და თან გარკვეული ფინანსური რესურსებიც შემოიტანა.

რუსეთ-უკრიანის ომის გავლენა არ შემოიფარგლება მხოლოდ სანედლეულო საქონელზე ფასების ზრდის, ექსპორტის შემცირებითი, დანაკარგებით ტურიზმის სფეროში, ინფლაციაზე სერიოზული ზეწოლით, გაზრდილი დანახარჯებით ჰუმანიტარული დახმარების და ლტოლვილების მისაღებად, არამედ ქვეყნებს აყენებს ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების ამაღალების გზების მუდმივი ძიების რეჟიმში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. აბესაძე რ., რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა მსოფლიოს და საქართველოს ეკონომიკაზე, თსუ პაატა გუგუშვილის საელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბ., 27.05. 2022
2. „საერთაშორისო გამჭვირვალობა  საქართველო“ საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე: რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა. 3 აგვისტო 2022
3. ნამჩავაძე ბ;რა გავლენას მოახდენს რუსეთ-უკრაინის ომი საქართველოს ეკონომიკაზე, 2022 https://forbs.ge/ra-gavlenas-moaxdens-ruseth-ukrainis-omi-saqartvelos ekonomikaze/
4. „საქსტატი“, საგარეო ვაჭრობის პორტალი https://ex-trade. geostat.ge/ka
5. გელანტია თ., ომის გავლენა საქართველოს  ეკონომიკაზე 2022. Business media Georgia. https://ge/ka/article/omis-gavlena-saqartvelos-ekonomikaze-irakli-kovzanadze-7-faqtors-фsaxelebs/104720
6. ლაითაძე ი., ომის ეკონომიკა, Forbes, 2022

# მცირე ბიზნესის საწარმოების ძირითადი ფინანსური პრობლემები და მათი ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი

# Main Financial Problems of Small Business Enterprises and Peculiarities of their Financial Management

**მარიამ დეკანოსიძე**
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

**Mariam Dekanosidze**
Georgian National University SEU

**აბსტრაქტი.** წინამდებარე მოხსენებაში განვიხილეთ ზოგადად ბიზნესის, კერძოდ კი მცირე ბიზნესის სასიცოცხლო ციკლის ოთხი ძირითადი ეტაპი შეიძლება გამოიყოს: მეცნიერულ კვლევა, ტექნოლოგიის შემუშავება და საქონლის კომერციული სქემის ჩამოყალიბება - აღნიშნული (რა თქმა უნდა _ ეკონომიკური და არა იურიდიული თვალსაზრისით) საწარმოს პერიოდს შეესაბამება; საქონლის წარმოების დაწყება და მის გატანა - აღნიშნული საწარმოს "სიყმაწვილის" პერიოდს მიეკითვნება, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს; საქონლის კომერციული წარმატების პერიოდი - აღნიშნული საწარმოს "სიმწიფის" პერიოდს მიეკუთვნება; საქონელს ბაზრის დეგრადაცია - აღნიშნული საწარმოს სასიცოცხლო "დაისის" მოახლოების პერიოდია.
აღნიშნულის კვლევისას შევისწავლეთ - როგორ უნდა მოხერხდეს, რომ თავისი "გასაღებითი გზის" დასასრულს მიახლოებულ საქონელთან ერთად, თვით საწარმოც არ კვდებოდეს? როგორია მცირე ბიზნესის საწარმოს თითოეული სასიცოცხლო ციკლის ეტაპების თავისებურებები _ განსაკუთრებულობები, რომლებიც ფინანსურ პოლიტიკაში უნდა იქნას გათვალისწინებული?. კვლევის არსებული მეთოდებიდან გამოვიყენეთ, აბსტრაგირების მეთოდი, ხოლო მეორადი ინფორმაციის საფუძველზე სინთეზისა და ანალიზის მეთოდები. ბოლოს გავაკეთეთ არგუმენტირებული დასკვნები.

**საკვანძო სიტყვები:** მცირე ბიზნესი, კომერცია, საბანკო კრედიტი, ლიკვიდობა, ფინანსური რისკი.

**Abstract**. In this report, we discussed four main stages of the life cycle of business in general, and small business in particular: scientific research, development of technology and establishment of a commercial scheme of goods - the mentioned (of course _ from an economic and not a legal point of view) corresponds to the period of the enterprise; The start of production of goods and their export - belongs to the period of "youth" of the mentioned enterprise, which takes the first steps; The period of commercial success of the goods - belongs to the "maturity" period of the said enterprise; Degradation of the goods market - this is the period of approaching the vital "daisy" of the mentioned enterprise.
While researching the above, we studied - how should it be possible to ensure that the enterprise itself does not die along with the goods approaching the end of its "key road"? What are the characteristics of each life cycle stage of a small business enterprise - the particularities that should be taken into account in the financial policy? From the existing methods of research, we used the method of abstraction, and the methods of synthesis and analysis based on secondary information. Finally, we made reasoned conclusions.

**Keywords**: small business, commerce, bank credit, liquidity, financial risk.

მცირე ბიზნესის სასიცოცხლო ციკლის ოთხი ძირითადი ეტაპი შეიძლება გამოიყოს: I - მოიცავს მეცნიერულ კვლევას, ტექნოლოგიის შემუშავებას და საქონლის კომერციული სქემის ჩამოყალიბებას _ აღნიშნული (რა თქმა უნდა _ ეკონომიკური და არა იურიდიული თვალსაზრისით) საწარმოს პერიოდს შეესაბამება; II - მოიცავს საქონლის წარმოების დაწყებას და მის გატანას _ აღნიშნული საწარმოს "სიყმაწვილის" პერიოდს მიეკითვნება, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს; III - მოიცავს საქონლის კომერციული წარმატების პერიოდს _ აღნიშნული საწარმოს "სიმწიფის" პერიოდს მიეკუთვნება; IV - მოიცავს საქონელს ბაზრის დეგრადაციას - აღნიშნული საწარმოს სასიცოცხლო "დაისის" მოახლოების პერიოდია.

მოცემული სქემა წარმოშობს ორ სერიოზულ კითხვას:

- როგორ უნდა მოხერხდეს, რომ თავისი "გასაღებითი გზის" დასასრულს მიახლოებულ საქონელთან ერთად, თვით საწარმოც არ კვდებოდეს?
- როგორია მცირე ბიზნესის საწარმოს თითოეული სასიცოცხლო ციკლის ეტაპების თავისებურებები _ განსაკუთრებულობები, რომლებიც ფინანსურ პოლიტიკაში უნდა იქნას გათვალისწინებული?

პირველ ეტაპზე (კვლევა, ტექნოლოგიისა და კომერიცული ჩანაფიქრის შექმნა) ამონაგები პრაქტიკულად ნულის ტოლია, ხოლო საწარმოს ფულადი ნაკადები _ უარყოფითია, იმიტომ, რომ დანახარჯები კვლევაზე, შრომის ანაზღაურებაზე და სხვები შემოსავლებით არ იფარება. ძალიან მაღალია განუსაზღვრელობა, ხოლო, აქედან გამომდინარე, რისკიც.

მეორე ეტაპი (წარმოების დაწყება და ბაზარზე გასვლა) - თუ საკუთარი და მოზიდული სახსრები არასაკმარისია, რომ საბაზისო ხარჯების ნაწილი დაიფაროს (მოწყობილობის შეძენა, საწყისი საქმიანობის მოგვარება და ა.შ.), მრავალმა საწარმომ შეიძლება ვერ დაძლიოს. მაგრამ თუ მაინც შეძლო წარმოების დაწყება და რეალიზაცია, მაშინ გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ აღნიშნულ სტადიაზე მკვეთრად იზრდება დანახარჯები, მაგრამ ჯერ კიდევ არა შემოსავლები. ფულადი ნაკადები ჯერ-ჯერობით "სიღრმისეულად უარყოფითია". "სიკვდილიანობა" ამ პერიოდში წინა სტადიაგადალახული მცირე საწარმოების რიცხოვნობის 30-50%_ს შეადგენს.

მესამე ეტაპზე საწარმო კომერციული წარმატების მიღწევას ცდილობს. საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა უმჯობესდება, თუმცა ბრუნვის ნაზარდის ტემპები რამდენადმე შემცირებულია მეორე ეტაპის მაჩვენებელთან მიმართებაში (ამონაგების ზრდის თითოეული პროცენტი მეტს `იწონის~ აბსოლუტურ გამოსახულებაში). ფულადი ნაკადები უკვე დადებითია, რამდენადაც ამნაგები იზრდება და მოსალოდნელია, რომ იგი ადრინდელი დაგროვებული და გარდაუვალი ახალი მიმდიანრე ხარჯების გადასაფარავად საკამრისი გახდეს. წარმოებისა და გასაღების მასშტაბების გადიდების ეფექტიდან გამომდინარე, ასევე შესაძლებელია პროდუქის ერთეულზე დანახარჯების ეკონომიის მიღწევა. ახლა უკვე საწარმოს შეიძლება სამეწარმეო, აგრეთვე კომერციული პრობლემები წარმოეშვას: საჭიროა საავჭრო ქსელის შექმნა ან გაძლიერება, რეკლამის გაკეთება და ა.შ. არც ისე იშვიათად შეიძლება ბაზრის რეაქციის შედეგების მიხედვით საქონლის ტექნიკური გაუმჯობესების (სრულყოფის) საჭიროებაც წარმოიშვას.

სამწუხაროდ, მეოთხე ეტაპი სასურველია თავიდან იქნას აცილებული. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ სტრატეგიულად იგებს ის, ვინც წინა პერიოდის ფინანსური შედეგების ნაწილობრივ შემცირების ხარჯზე წინასწარ ახორციელებს ახალი საქონლის დამუშავებაზე და დანერგვაზე ხარჯების ანაზღაურებას, წინააღმდეგ შემთხვევაში უფულობის პერიოდის, სიყმაწვილისა და მომწიფებაში შესვლის ეტაპების თავიდან დაწყება გახდება საჭირო.

გაფართოებაზე ორიენტირებული მცირე ფირმის ძირითადი ამოცანაა _ იგი უფრო ეფექტიანი ხერხებით განახორციელოს. ასეთი სახის კომპანიები სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას აწყდებიან სხვადასხვა სფეროებში: მარკეტინგში, ახალი საქონლის წარმოებაში და მრავალ სხვაში, რომელთა რიცხვში დაფინანსების პრობლემა _ ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესია. ყველაზე ხშირად პრობლემა _ მოკლევადიანი დაფინანსების საბანკო სესხებისა და კრედიტორული დავალიანების, მარაგებისა და ძირითადი საშუალებების გამოყენებაში მდგომარეობს, რაზედაც საწარმოს ფინანსურმა მენეჯერებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ.

მცირე ბიზნესის ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებები: მსხვილ და მცირე ბიზნესს შორის არსებითი განსხვავებები არსებობს. ყველაზე

მნიშვნელოვანი განსხვავება მდგომარეობს: რესურსებისადმი მიღწევადობაში, მიზნების დასმაში, რისკების თავისთავზე აღებაში და ლიკვიდობის დონეში, რომლებიც უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული:

< საფინანსო და ფულად ბაზრებზე შეღწევადობა მცირე საწარმოებისათვის მეტად რთულია: აქციების ემისიაზე უმეტეს შემთხვევაში საუბარიც კი ზედმეტია, ხოლო კრედიტის მიღება შეუძლებელი ხდება არა მარტო მისი სიძვირის, არამედ საწარმოს რისკიანი ფინანსური მდგომარეობისა და საკრედიტო ისტორიის არ არსებობის გამო. ასეთ პირობებში მცირე ბიზნესი რჩება მხოლოდ ხელმძღვანელის ტალანტზე, მის სიმარჯვეზე და გამჭრიახობაზე საქმიანობისათვის საკმარისი ფულადი სახსრების მოცულობის „შოვნაზე“ დამოკიდებულებაში;

< მცირე ბიზნესში რისკების სხვა სახის ნაკრებია, სხვა დონე და სხვა იერარქიაა, ვიდრე მსხვილ კომპანიებში.

< მცირე ბიზნესის საწარმოებს, როგორც წესი, მსხვილ საწარმოებთან შედარებით, დადაბლებული ლიკვიდობის დონე გააჩნიათ.

მრავალი გამოცდილი და წარმატებული მეწარმე საბრუნავი კაპიტალის რაციონალურ მართვას _ ფინანსური მენეჯმენტის ტაქტიკას სწორედ მცირე საწარმოში ფინანსური მუშაობის მთავარ შემადგენლად თვლიან. მაგრამ ყველაზე გამოცდილებმა და წარმატებულებმა იციან: სტრატეგიის გარშე ტაქტიკა არ არსებობს. სწორედ ამიტომ სტრატეგია (საინვესტიციო პოლიტიკა) და ტაქტიკა (მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე პასივების კომპლექსური მართვა) მათი განუყოფელ ერთიანობაში უნდა განიხილებოდეს.

საინტერესოა მსჯელობა ანალიზის პრობლემების შესახებ, რომლებიც მცირე საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებისას წარმოიქმნება. მცირე საწარმოს საქმიანობის ფინანსური ანალიზის მთავარ ინსტრუმენტს _ კოეფიციენტური მეთოდი წარმოადგენს. საჭიროა გაანალიზებული იქნას საწარმოს გადახდისუნარიანობა, ლიკვიდობა, საქმიანი და საბაზრო აქტიურობა. კოეფიციენტურ (რაოდენობრივ) ანალიზს აუცილებლად თან რისკების ბუნების რაოდენობრივი კვლევაც უნდა ახლდეს. ამ შემთხვევაში საჭიროა პასუხი გაეცეს სულ მცირე ბიზნესისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სამ კითხვაზე:

1) საკმარისად არის თუ არა დივერსიფიცირებული კლიენტურა?;

2) საკმარისად არის თუ არა დივერსიფიცირებული წარმოებული საქონელის (მომსახურეობის) გამმა?

3) ბიზნესი გაგრძელდება თუ არა „საწარმოს სულისა და ტვინის“ _ მისი ახლანდელი მფლობელის (ხელმძღვანელის) უეცრად დაკარგვის შემთხვევაში, ან მასთან ერთად დაიღუპება, კრედიტორების, მომწოდებლების, დანარჩენი თანამფლობელების ზარალში ან გაშვებულ სარგებელში შემოყვანით?

ამრიგად, სინამდვილეში საუბარი მიდის მცირე ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის შეფასების შესახებ _ შეფასებისა, რომლის შედეგებში დაინტერესებულია არა მარტო მცირე საწარმოს მფლობელები, არამედ მისი კრედიტორებიც.

კოეფიციენტების გაანგარიშების გარდა, დასავლეთელი ბანკირები ჩვეულებრივ, მცირე ბიზნესის საწარმოს საქმიანობის ანალიზს ახორციელებენ ხუთი ძირითადი პარამეტრების მიხედვით (აშშ-ში შეფასების ასეთ სისტემას “ხუთი C (სი)-ის სისტემას” უწოდებენ): 1. საწარმოს საკვანძო ფიგურის პიროვნულობას (Character) იმსახურებს თუ არა მფლობელი (დირექტორი) ნდობას? 2. გონივრული მართვის შესაძლებლობა (Capacity to manage); 3. ფულადი ნაკადები (Cash flows); 4. აქტივები, რომელთაც შეუძლიათ კრედიტის უზრუნველყოფას ემსახუროს (Collateral); 5. ბიზნესის პირობები (Conditions).

კრედიტის აღებაზე განაცხადის გაკეთებამდე საწარმოს ხელმძღვანელს ნათლად უნდა ჰქონდეს განსაზღვრული სესხის მიზნობრივი გამოყენება (როგორ გაიხარჯება ფული?), არამედ მზად იყოს ბანკირის “მუდმივ კითხვებზე” პასუხის გასაცემად:

- რატომ გახდა დამატებითი ფული საჭირო? საწარმო რატომ არ ახდენს საკუთარი საქმიანობისათვის საკამრისი ფულის გენერირებას?
- რის ხარჯზე იქნება ანაზღაურებული სესხი და პროცენტები გადახდილი? თუ კი იმედი ამონაგების ზრდაზე კეთდება, მაშინ გაყიდვების მოცულობის პროგნოზი რამდენად რეალისტურია?
- როგორია საწარმოს ყველაზე დიდი პრობლემა? უცხოეთში ითვლება, რომ ბიზნესი პრობლემების გარეშე არ არსებობს და, თუ ხელმძღვანელს არ სურს საწარმოს “აქილევსის ქუსლზე” მიუთითოს, მაშინ იგი ბანკისადმი მიმართებაში დახურულობის დემონსტრირებას ახდენს და ნდობას ვერ დაიმსახურებს.

კითხვები კიდევ მრავალი შეიძლება იყოს, და თითოეული არც ისე იოლია. მაგრამ კლიენტს, თავის მხრივ, თანამედროვე პირობებში არჩევანის გაკეთების უფლება ხომ გააჩნია? იგი ირჩევს საიმედო ბანკს, რომელიც საკმარის კაპიტალს და მაღალ რეპუტაციას ფლობს. ბანკს, სადაც საწარმოს საქმიანობა ყურადღებას და მოწონებას იმსახურებს, სადაც აღნიშნული საწარმოს წარმატებაში დაინტერესების დემონსტრირებას ახდენენ, სადაც მცირე ბიზნესთან მიმართებაში მუშაობის საკმარისი გამოცდილება გააჩნიათ და სადაც არა მარტო მიაწვდიან (გასცემენ) კრედიტს, არამედ დამატებით საბანკო მომსახურეობასაც სთავაზობენ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბურდიაშვილი რ. - ფინანსური აღრიცხვა ბანკებში, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა შპს „პოლიგრაფისტი", 2013.
2. ცაავა გ., ხანთაძე გ. - საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი", 2015. – 800 გვ.
3. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. - რისკოლოგია: ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი, სახელმძღვანელო (შევსებული და გადამუშავებული მესამე გამოცემა). - თბილისი, გამომცემლობა „დანი", 2020.
4. https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95
5. https://ijsser.org/2022files/ijsser_07__203.pdf
6. https://www.ceeol.com/search/article-detail?id=813287
7. http://eprints.tsu.ge/1457/


## ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების როლი ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის სრულყოფაში
## The Role of International Financial Reporting Standards in Perfecting the Accounting System


**თეონა გიგინეიშვილი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
**ანზორ კურატაშვილი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**Teona Gigineishvili**, PHD student of GTU
**Anzor Kuratashvili** Associate Professor of GTU



**აბსტრაქტი.** ეროვნული ბაზრების ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს სტანდარტების უნიფიცირებას. ერთ-ერთი ასეთი სტანდარტი, რომელიც არეგულირებს ფინანსური ანგარიშგების სფეროს, არის IFRS ან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტები. ფასს-ის მთავარი მიზანია მისი მომხმარებლების მიერ ეფექტური ეკონომიკური და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის აქტუალობას განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში ერთიანი საერთაშორისო ენის გამოყენების აუცილებლობა. მაღალი საინვესტიციო რისკების პირობებში, IFRS აღიარება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და გამჭირვალე საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად, ასევე ფინანსური ანგარიშგების და სხვა სფეროების განვითარებისათვის. ნაშრომის მიზანია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების როლისა და მნიშვნელობის შესწავლა და შემდეგი საკითხების განხილვა:

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანიშნულების იდენტიფიცირება;
- ბუღალტრული აღრიცხვის მოდელების მახასიათებლების ანალიზი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში;
- IFRS-ის განვითარების ტენდენციების განხილვა თანამედროვე ეკონომიკაში;
- IFRS-ის და GAAP შედარება;
- შესაბამისი დაკსვნების გამოტანა.

**საკვანძო სიტყვები:** ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ბუღალტრული აღრიცხვა, სტანდარტების ჰარმონიზაცია.

**Abstract.** In the conditions of integration of national markets into a single economic space, the unification of standards of various spheres of activity of the company is of special importance. One of those standards that regulate the area of financial reporting are IFRS or International Standards of Financial Reporting. The main purpose of IFRS is to make effective economic and management decisions by users. The relevance of the implementation of international standards of financial reporting is determined by the need to use a single international language of financial reporting in most countries of the world. In the conditions of high investment risks, the recognition of IFRS is one of the most important steps for attracting foreign investments and creating a tough investment environment, as well as for the development of financial reporting and other areas. The purpose of the article is to study the role and meaning of international financial reporting standards and discuss the following issues:

- Definition of the goal of international standards of financial reporting;
- Analysis of features of accounting models in different countries of the world;
- Discussion of the development of IFRS in modern economy;
- Comparison of IFRS and US GAAP;
- Making a description of the conclusion.

**Keywords:** Financial Reporting, International Standards of Financial Reporting, Accounting, Harmonization of Standards.

**ძირითადი ნაწილი.** მსოფლიოში არ არსებობს ორი ქვეყანა იდენტური სააღრიცხვო სისტემით. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის ფორმირებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

1. დაფინანსების წყაროები;
2. სამართლებრივი სისტემა;
3. ფინანსური ანგარიშგებისა და დაბეგვრის სისტემის კავშირი;
4. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე;
5. ანგარიშგების რეგულირების მეთოდები;

6. ეკონომიკის ცენტრალიზაციის ხარისხი;
7. ინდუსტრიალიზაციის ხარისხი და სხვ.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, გამოყოფენ აღრიცხვის რამდენიმე მოდელს:

- ბრიტანულ-ამერიკული მოდელი - ამ მოდელის იდეა მდგომარეობს ბუღალტრული აღრიცხვის ინვესტორებისა და კრედიტორების ინფორმაციის მოთხოვნებზე ორიენტაციაზე. ის გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, აშშ-სადა ჰოლანდიაში. ამ მოდელის ძირითადი მახასიათებლების ფინანსური ანგარიშგების სისრულე და დეტალიზაცია, რომელიც ორიენტირებულია მცირე ინვესტორთა ფართო სპექტრზე, ასევე დამახასიათებელია ზოგადი განათლების მაღალი დონე, ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის მოქნილობა, ინფლაციის დაბალი დონე.
- კონტინენტალური მოდელი. ეს მოდელი გამოიყენება ევროპის ქვეყნების უმეტესობაში (ავსტრია, ბელგია, დანია, ესპანეთი, იტალია, გერმანია, შვეიცარია და სხვ.) და იაპონიაში. კონტინენტალური მოდელი მიმართულია უპირველეს ყოვლისა მთავრობის ინტერესების დაკმაყოფილებაზე. ამ მოდელის თავისებურებებია - მკაცრი კანონმდებლობა, ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკის კონსერვატიზმი, აღრიცხვის სახელმწიფო საჭიროებებზე ორიენტირება, საწარმოთა მჭიდრო კავშირი ბანკებთან.
- სამხრეთ-ამერიკული მოდელი. ამ მოდელის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია საბუღალტრო მონაცემების მუდმივი კორექტირება ინფლაციის მაჩვენებლებზე. აღრიცხვა ორიენტირებულია სახელმწიფო დაგეგმარების ორგანოების საჭიროებებზე. სამხრეთ-ამერიკული მოდელის ქვეყნებია არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, პარაგვაი, ურუგვაი, ჩილე, ეკვადორი.
- ისლამური მოდელი - ამ მოდელში თეოლოგიური იდეების გავლენის ქვეშ ყოფნის გამო აკრძალულია ფინანსური დივიდენდების მიღება საკუთარი დივიდენდების მიღების მიზნით, აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებისას უპირატესობა ენიჭება საბაზრო ფასს. ეს მოდელი ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა.
- საერთაშორისო მოდელი გამომდინარეობს საერთაშორისო შეთანხმებებიდან გამომდინარე და პირველ რიგში ორიენტირებულია მულტინაციონალური კორპორაციებისა და საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე უცხოელი მონაწილეების ინტერესებსა და მოთხოვნებზე.

დღეისათვის არსებობს გლობალური აღრიცხვის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია IFRS-ზე. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო, რომელიც დაფუძნებულია ლონდონში 1973 წელს,

წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს, რომლის მიზანია ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების გაერთიანება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ IFRS არის საბუღალტრო აღრიცხვის რეგულირების მუდმივად განახლებადი საერთაშორისო სისტემა. მთელს მსოფლიოში 40 ათასზე მეტი ტრანსნაციონალური კორპორაცია და 200 ათასზე მეტი შვილობილი კომპანია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ნებაყოფლობით ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ის სრული დაცვით. 2001 წლიდან ხდება ამერიკული და საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების დაახლოება, თუმცა არსებობს რიგი ფუნდამენტური განსხვავებებისა.

აშშ-ს სააღრიცხვო წესები (US GAAP) IFRS-ის ყველაზე დიდი კონკურენტია. ამას განაპირობებს ამერიკის ეკონომიკის განვითარების დონე. შეერთებული შტატები ყველაზე დიდი და განვითარებული ბაზარია მსოფლიოში. ამერიკული კომპანიების კაპიტალიზაცია მსოფლიო კაპიტალიზაციის ნახევარია, როდესაც ყველა ევროპული კომპანია ჯამში დაახლოებით მეოთხედს შეადგენს. ამერიკული ანგარიშგების სტანდარტები ეს არის წესებისა და პრაქტიკული ინსტრუქციების ერთობლიობა, ხოლო ფასს აგებულია პრინციპებზე, რომელთა გამოყენებაც საკმაოდ მოქნილად შეიძლება სხვადასხვა სადავო სიტუაციებში. 2002 წლიდან აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაოები ამერიკული და საერთაშორისო სტანდარტების დაახლოების მიზნით. 2002 წელს დადებული ე.წ. ნორვალკის ხელშეკრულების მიხედვით, გაერთიანდა ძალისხმევა IFRS და US GAAP -ის შორის განსხვავებების აღმოფხვრის მიზნით. 2008 წელს აშშ-ს ფასიანი ქაღალდების კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2014 წლიდან დაწყებული ფასს სავალდებულო გამხდარიყო საჯარო წლიური ანგარიშგებების მომზადებისას. შესაბამისად, აშშ-ში დაიწყო სტანდარტების ჰარმონიზაციის და გლობალური სტანდარტების სისტემის ჩამოყალიბების შეუქცევადი პროცესი.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბუღალტრო აღრიცხვის უნიფიცირების პრობლემას. ამჟამად ამ პრობლემის გადაწყვეტის ორი მიდგომა არსებობს: ჰარმონიზაცია და სტანდარტიზაცია. თავდაპირველად ისინი განსხვავდებოდნენ როგორც იდეოლოგიით, ასევე პრინციპებით. ბუღალტრული აღრიცხვის სხვადასხვა სისტემების ჰარმონიზაციის იდეა ხორციელდება ევროკავშირის ფარგლებში.

მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ თითოეულ ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების საკუთარი მოდელი და შესაბამისი მარეგულირებელი სტანდარტების სისტემა. მთავარია, რომ ეს სტანდარტები არ ეწინააღმდეგებოდეს თანამეგობრობის წევრ ქვეყნებში არსებულ მსგავს სტანდარტებს, ანუ უნდა იყოს ჰარმონიაში ერთმანეთთან. ამ მიმართულებით მუშაობა 1961 წლიდან დაიწყო და ამ მიზნით შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის პრობლემების კვლევითი ჯგუფი. ამ ჯგუფის საქმიანობა განიხილებოდა როგორც კომპანიების შესახებ ეროვნული სტანდარტების ჰარმონიზაციის პროგრამის განუყოფელი ნაწილი. ამ სამუშაოების შედეგად მიღებული ნორმატიული დოკუმენტები ევროკავშირის თითოეულმა წევრმა შეიტანა ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნულ კანონმდებლობაში.

ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურების სტანდარტიზაციის იდეა ხორციელდება საბუღალტრო აღრიცხვის გაერთიანების ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი, რომელიც შეიმუშავებს და აქვეყნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. ამ მიდგომის არსი მდგომარეობს უნიფიცირებული სტანდარტების ნაკრების შემუშავებაში, რომელიც გამოიყენება ნებისმიერ სიტუაციაში, ნებისმიერ ქვეყანაში, რაც გამორიცხავს ეროვნული სტანდარტების შექმნის აუცილებლობას. რაც შეეხება სტანდარტების დანერგვას, ეს მიღწეულ უნდა იქნას არა საკანონმდებლო გზით, არამედ ქვეყნების პროფესიული ორგანიზაციების ნებაყოფლობითი შეთანხმებით.

საერთაშორისო სტანდარტების პოპულარობა განპირობებულია ორი მოვლენით. პირველი მოვლენა არის IASB-სა და ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციას (IOSCO) შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ასახავდა ფინანსური წრეებისა და აშშ-ს კონგრესის სურვილს, მოეზიდათ მეტი უცხოური კომპანია თავიანთი აქციების ამერიკულ ბირჟებზე განსათავსებლად. მეორე მოვლენა, რომელმაც დააჩქარა IFRS-ზე გადასვლა, დაკავშირებულია გერმანიის გაერთიანებასთან. ამ ფაქტმა დიდწილად განსაზღვრა ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მოზიდვის მზარდი საჭიროება. საფონდო ბირჟებზე წარმოდგენილი ლისტინგური კომპანიები, რომლებიც ადგენდნენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, ვალდებულები იყვნენ მიეღოთ ფინანსური

ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.

**დასკვნა.** IFRS-მა უდიდესი წვლილი შეიტანა ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესებასა და ჰარმონიზაციაში გლობალური მასშტაბით. საბუღალტრო აღრიცხვის უნიფიკაციის პრობლემის გადაჭრის გზები:

1. ჰარმონიზაცია;
2. სტანდარტიზაცია;

არსებული მიდგომები თავდაპირველად განსხვავდებოდა მათი იდეოლოგიითა და პრინციპებით, თუმცა ბოლო დროს ორივე ტერმინი სინონიმად გამოიყენება. საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების ჰარმონიზაციის იდეა ხორციელდება ევროკავშირის ფარგლებში. ჰარმონიზაციის არსი გულისხმობს, რომ თითოეულ ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს აღრიცხვის საკუთარი მოდელი და რეგულირების სისტემა, მაგრამ ეს სტანდარტები არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მსგავს სტანდარტებთან. სტანდარტიზაციის იდეა ხორციელდება ბუღალტრული აღრიცხვის უნიფიკაციის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი. კომიტეტი შეიმუშავებს და აქვეყნებს ერთიანი სტანდარტების ნაკრებს, რომელიც გამოიყენება ნებისმიერ სიტუაციაში და ქვეყანაში, რაც გამორიცხავს ეროვნული სტანდარტის შექმნის აუცილებლობას. ერთიანი სტანდარტების მირება ხდება ნებაყოფლობითი შეთანხმებით და არა საკანონმდებლო გზით.

ფასს-ის გამოყენების გზები:

1. ფასს-ის გამოყენება ეროვნულ სტანდარტად;
2. ფასს-ის გამოყენება ეროვნულ სტანდარტად, იმ პირობით, რომ საკითხებს, რომლებსაც არ ეხება ფასს, არეგულირებს ეროვნული სტანდარტები;
3. ფასს გამოიყენება როგორც ეროვნული სტანდარტი, მაგრამ ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია მათი მოდიფიკაცია ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით.
4. ფასს-ზე დაფუძნებული ეროვნული სტანდარტები, რომლებიც იძლევა დამატებით განმარტებებს.

IFRS-ის უპირატესობები ეროვნულ სტანდარტებთან შედარებით:

- მკაფიო ეკონომიკური ლოგიკა;
- აღრიცხვა-ანგარიშგების საერთაშორისო პრაქტიკის განზოგადება;
- ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთათვის ინფორმაციის აღქმადობის გამარტივება.

IFRS-ის ნაკლოვანებები:

- სტანდარტების განზოგადებული ბუნება გულისხმობს აღრიცხვის მეთოდების მრავალფეროვნებას;
- კონკრეტულ სიტუაციებში სტანდარტების გამოყენების დეატლური ინტერპრეტაციებისა და მაგალითების ნაკლებობა;
- ეროვნული განსხვავებები განვითარების დონესა და ქვეყნების ტრადიციებში, აფერხებს ფასს-ის დანერგვას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ლიპარტია ზ., „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში“. თბ. 2017 წ.
2. ჭუმბურიძე ლ., „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სრულყოფის მიმართულებები საქართველოში“. თბ. 2013 წ.
3. https://www.investopedia.com/ask/answers/011315/what-difference-between-gaap-and-ifrs.asp; {27.06.2022}
4. https://www.businessinsider.com/personal-finance/ifrs >; {14.07.2022}


## მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის მოდელები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში
## State Support Models for Small Businesses in Western European Countries


**ვალერ მაჭარაშვილი,** ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Valer Matcharashvili,** Doctoral student of the Faculty of Business Technologies,
Georgian Technical University



**აბსტრაქტი.** მსოფლიო პრაქტიკით დადასტურდა, რომ მცირე სიდიდის საწარმოები ტრადიციულად განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მდგრადობას და წარმოადგენენ უმუშევრობის დაძლევისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ძირითად წყაროს. ამსათან პერმანენტულად იზრდება და მნიშვნელოვანი ხდება მცირე ბიზნესის როლი ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბებაში. არაერთი ავტორი მცირე ბიზნესს განიხილავს, როგორც მომავალი სოციალური ორიენტაციის ეკონომიკის უმთავრეს ელემენტს. მის ასეთ როლს განსაზღვრავს ქვეყნის მეურნეობისათვის ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებანი, არსებული ტრადიციები, პრაქტიკა, წვრილი და საშუალო მეწარმეთა ფორმირების ობიექტური წანამძღვრები, სამუშაო ადგილების შექმნის (დასაქმების), სამომხმარებლო ბაზრის ეროვნულ ნიადაგზე ფორმირების საჭიროება და სხვა.

ჩვენს ნაშრომში მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის მოდელები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომელთაც ამ მხრივ საკმაოდ მდიდარი და წარმატებული გამოცდილება აქვთ. შევეცადეთ გაგვეანალიზებინ, შეგვერჩია მათგან ისეთი, რომელიც მიმდინარე ეტაპზე ყველაზე

მატად შესატყვისი იქნებოდა ცვენი ქვეყნის რეალობისთვის და მოგვცემდა დადებიტ ეფექტს დროის მოკლე პერიოდსი. არსებული უცხოურენოვანი ლიტერატურის, სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენებიტ გავკეთეთ არგუმენტირებული დასკვენბი და წინადადებები.

**საკვანძო სიტყვები:** მცირე ბიზნესი, საგადასახადო შეღავათი, საოჯახო მეურნეობა, ბიზნეს გარემო.

**Abstract.** World practice has proven that small-scale enterprises traditionally determine the stability of the country's economic system and are the main source of overcoming unemployment and creating new jobs. Thus, the role of small business in forming the middle class in the country is permanently growing and becoming important. Many authors consider small business as the most important element of the economy of the future socio-economic orientation. Its role is determined by the natural and productive features of the country's economy, existing traditions, practices, objective guidelines for the formation of small and medium-sized entrepreneurs, the creation of jobs (employment), the formation of the consumer market on the national soil. need and more.

In our work, models of state support for small businesses in Western European countries, which have a rather rich and successful experience in this regard. We tried to analyze them, we chose the one from them, which would be the most suitable for the development of the country at the current stage and would give us a positive effect in a short period of time. Using the existing foreign language literature, statistical information, we made argumentative conclusions and suggestions.

**Key words:** Small Business, Tax Relief, Family Farm, Business Environment.

მცირე ბიზნესის კონტინენტალური (ევროპული) მოდელისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან ნიშნებს წარმოადგენს ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ტრადიციები, ასევე შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი მოდერნიზებული საამქროო ტრადიციები. სწორედ ამიტომ, ამ ჯგუფის ქვეყნებში შენარჩუნებულია ხელოსნის სტატუსი. „მცირე და საშუალო საწარმოების ევროპული მიმოხილვის“ თანახმად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არასასოფლო-სამეურნეო დარგთა კერძო სექტორის 16,4 მლნ საწარმოდან 99.9%-ს წარმოადგენენ მცირე და საშუალო საწარმოები. მათ წილად მოდის სამრეწველო გაყიდვათა მთლიანი მოცულობის დაახლოებით 50%, მომსახურების სფეროში - 67%, დაახლოებით 90% - ვაჭრობასა და მშენებლობაში. მცირე და საშუალო ბიზნესი უზრუნველყოფს ამ ქვეყნებში სამუშაო ადგილების 70%-ს. ამ რეგიონის ქვეყნებისათვის ტიპიურს წარმოადგენს მიკრო საწარმო 9 კაცამდე დასაქმებულით, მათი რაოდენობა დღეისათვის 14,5 მლნ-ს აღემატება. მცირე საწარმოების რიცხვი შეადგენს 1 მლნ-ზე მეტს, საშუალო საწარმოებისა - 70 ათასს, მსხვილი საწარმოებისა კი - 12 ათასს.

ევროკავშირში ერთ საშუალო-სტატისტიკურ საწარმოზე მოდის 6 დაქირავებული მუშაკი, ხოლო საშუალოდ ერთ მცირე და საშუალო საწარმოზე - 4-5 კაცი. ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკაში არასასოფლო-სამეურნეო სექტორის სამუშაო ადგილების მთლიანი რაოდენობის 12-25% მოდის სახელოსნო საწარმოებზე. ევროპაში მოქმედი მცირე საწარმოები ორიენტირებულნი არიან კონკრეტული მომხმარებლისათვის ტრადიციული საქონლის გამოშვებაზე და წლების მანძილზე თანდათან ხვეწავენ ნაწარმის ხარისხსა და დიზაინს, საკუთარი დიზაინის სკოლების ფორმირებით. ევროპული კონტინენტალური მცირე ფირმების ხარისხის უმაღლესი სტანდარტები, ფაქტობრივად, არის საოჯახო ტრადიციების გაგრძელება, რამდენადაც აქ მცირე ფირმათა უმრავლესობა საოჯახო საწარმოა.

ასე, მაგალითად, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში ისინი ძალიან ხშირად, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ემსახურებიან მსხვილ კომპანიებს სუბმოიჯარული ურთიერთობის პრინციპით. ამასთან, გერმანიაში მცირე საოჯახო ბიზნესი ხშირად ამა თუ იმ საქონლისა და მომსახურების ერთპიროვნულ მწარმოებლად გვევლინება. შედეგად, მცირე საოჯახო ფირმას შეუძლია მოიპოვოს საკუთარი ავტორიტეტი მსოფლიო ბაზარზე. დაბოლოს, გერმანული საოჯახო ფირმები მკაცრად იცავენ ტრადიციებს და გადასცემენ მას თაობიდან თაობებს. ამრიგად, საოჯახო ფირმების წიაღში ეყრება საფუძველი იმ ტრადიციებს, რომელზეც სამომავლოდ ბევრად იქნება დამოკიდებული ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. დიდ ბრიტანეთში მსგავსი ტენდენციები ასე ძლიერი არ არის. აქ, როგორც წესი, საოჯახო ბიზნესი გვევლინება როგორც „სპონსორი“ და ეხმარება ოჯახის უმცროს წევრებს განათლებისა და კვალიფიკაციის მიღებაში.

საოჯახო საწარმოს მართვასა და სტრატეგიის შემუშავებას გააჩნია თავისი სირთულეები. საოჯახო ბიზნესი წარმატებით ვითარდება იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ინტერესი ემთხვევა საქმისას. კვლევები გვიჩვენებს, რომ გერმანიაში საოჯახო საწარმოს უფროსი უპირატესობას ანიჭებს ბიზნესის ინტერესებს. დიდ ბრიტანეთში საოჯახო ინტერესები ერთგვარად გადაჯაჭვულია სამეწარმეოსთან და ხშირად ფირმა განიცდის კრახს. მცირე ფირმათა გაკოტრების სხვადასხვა მიზეზზე მიუთითებს წარმატებული ინგლისური საოჯახო ფირმის მფლობელი *რ. ჰარვეი-ჯონსი,* რომელიც ხაზს უსვავს მცირე საოჯახო ფირმების არსებობის მნიშვნელობას ინგლისური საზოგადოების განვითარების საქმეში. ჰარვეი-ჯონსი თვლის, რომ ამ

ფირმებმა უნდა შექმნან „უნიკალური“ წარმოება და საკუთარი ბიზნესის წიაღში აღზარდონ ახალი თაობა.

მცირე ბიზნესის კონტინენტალური მოდელის კიდევ ერთ თავისებურებას განეკუთვნება დაქირავებული პერსონალის მუშაობის პირობები, რომელიც თითქმის არ ჩამოუვარდება მსხვილი კორპორაციის პირობებს. მაგალითად, თუ იაპონიაში 100 კაცამდე სიდიდის ფირმაში მომუშავე თანამშრომელი იღებს მსხვილ კორპორაციაში მომუშავე თანამშრომლის შრომის ანაზღაურების 77%-ს, აშშ-ში ეს მაჩვენებელი 57%-ის, გერმანიაში კი - 90%-ის ტოლია. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზია სახელმწიფოსა და პროფკავშირების მხრიდან მცირე ბიზნესში მიმდინარე პროცესების კონტროლის მექანიზმი (რომელსაც გააჩნია დიდი ტრადიცია). მეორე მხრივ კი, აღნიშნულ სპეციფიკას წარმოადგენს მოთხოვნა მაღალი კვალიფიკაციის კადრებზე, რომლებსაც შესწევთ რთული სამუშაოს შემოქმედებითად შესრულების უნარი და „გული შესტკივათ“ წარმოებული პროდუქციის ხარისხზე.

რა თქმა უნდა, ეს დამახასიათებელია არა მარტო ევროპისათვის. მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში მოსახლეობის საბაზო მოთხოვნილებები ძირითადად გაჯერებულია. ყველგან მაღლდება განათლების დონე, ფართოვდება წარმოების შესაძლებლობები. აქედან გამომდინარეობს მოთხოვნის დიფერენციაციის ზრდა, მისი დესტანდარტიზაცია, მომხმარებელთა ყურადღების გადართვა მასობრივი წარმოების პროდუქტებიდან იდივიდუალიზებულ ნაკეთობებზე, რომლის მიწოდებასაც ახორციელებენ მცირე საწარმოები. კორპორაციები, რომელთაც ესმით ზემოაღნიშნული და ცდილობენ შესაბამისობაში მოვიდნენ ბაზრის ახალ მოთხოვნებთან, იძულებულნი არიან განახორციელონ რეორგანიზაცია და უპირატესობა მიანიჭონ წარმოების მატრიცულ ორგანიზაციას.

და მაინც, საერთო ტენდენციების მიუხედავად, მოთხოვნის სტრუქტურა ევროპასა და აშშ-ში ერთმანეთისაგან მაინც არსებითად განსხვავებულია. თუ აშშ-ში აქცენტი უმრავლეს შემთხვევაში კეთდება ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და რეალიზაციაზე, მაშინ ევროპაში ყველაზე მდიდარი ადამიანების ათეულში შედიან LOreal-ის, LVMH-ის, Redoute-ის, Luxottica-ის, Hermes-ის მფლობელები, რომლებიც წარმოადგენენ ეკონომიკის სექტორს, რომელშიც იქმნება უნიკალური საქონელი და მომსახურება. მართალია, მათი წარმოება საჭიროებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას

მთლიანობაში, მაგრამ ევროპულ მოთხოვნილებათა ინდივიდუალიზებული სტრუქტურა მცირე ბიზნესს უტოვებს მრავალ შესაძლებლობას, რომლის ფარგლებშიც ხელოსნები და მცირე მეწარმეები შედარებით თავდაჯერებულად გრძნობენ თავს.

საკუთარი კლიენტების საუკეთესოდ ცოდნის შედეგად, მცირე საწარმოები ღებულობენ დამატებით კონკურენტულ უპირატესობას, რაც საშუალებას აძლევს მათ უფრო ეფექტიანად გაუწიონ კონკურენტული წინააღმდეგობა აზიურ და ამერიკულ საქონელს, ვიდრე მსხვილმა კომპანიებმა.

ხარისხზე ორიენტაციას, რომელიც ხელსაყრელად გამოარჩევს ევროპულ მცირე ბიზნესს, გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეებიც. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ხარისხი, ტრადიციული გაგებით, ითვალისწინებს ორიენტაციას გარკვეულ სტანდარტზე, იდეალზე, რაღაცა შეუცვლელზე. მაგრამ, თანამედროვე გაგებით, „ხარისხი განისაზღვრება მყიდველთა მოთხოვნილებებით და მხოლოდ მათ მიერ“. სწორედ ამიტომ მყიდველის რწმენა იმის შესახებ, რომ ბურგუნდიული ღვინო ყველაზე ხარისხიანია, კონკურენტულ უპირატესობას უქმნის ფრანგული ღვინის მწარმოებლებს, რომელიც ტექნიკური მახასიათებლებით შეიძლება ჩამოუვარდებოდეს კალიფორნიულს.

ევროპული პროდუქტების ხარისხისადმი მომხმარებლის ნდობის გამოყენებით ევროპის მცირე ბიზნესი ინარჩუნებს საკუთარ ნიშას ცალკეული სახის პროდუქტების წარმოებაში. მაგრამ ხარისხის ტექნოლოგიურ გაგებაზე აქცენტის გაკეთება, რომელიც დამახასიათებელია ევროპელი მწარმოებლებისათვის, ე.წ. „ტროას ცხენის“ როლს თამაშობს მომ-ხმარებლებთან ურთიერთობაში. იგი არა მარტო ხელს უშლის ინოვაციების განხორციელებას და წარმოების გაფართოებას, არამედ ასევე გზას უკეტავს ახალ ფირმებს, რომელთაც არ აქვთ მკაცრი სტანდარტების შესატყვისი პროდუქციის წარმოების დაწყების სათანადო გამოცდილება. ამიტომ, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი ერთიან ევროპაში ინტეგრირების თავისი მისწრაფების რეალიზაციაში წააწყდა მცირე ბიზნესის განვითარების შენელებულ ტემპებს და დიდი სირთულეების გადალახვის შედეგად მოვიდა შესაბამისობაში N5750 ახალ ბრიტანულ

სტანდარტთან, რომელსაც თან ახლავს პროდუქციის ხარისხის კონტროლისა და მართვის სპეციალური სქემა.

თანამედროვე მომხმარებლისათვის მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო საქონლისა თუ მომსახურების ტექნოლოგიური სრულყოფილება; მისთვის არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროდუქტის სიახლე, მისი არაჩვეულებრიობა, ახალი მახასიათებლები. ცნობილი ფილოსოფოსის ბ. გროისის სიტყვებით „....ახლის წარმოება, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს თანამედროვე კულტურის ეკონომიკურ მოთხოვნილებას, რომელიც აჯილდოვებს მხოლოდ ტაბუს დარღვევას, პროტესტს, კრიტიკას და ესთეთიკურ ინოვაციას".

ის, რაც დამახასიათებელია კულტურისათვის მთლიანობაში, კიდევ უფრო მეტად დამახასიათებელია ბიზნესისთვის. და აქ მცირე ბიზნესს უჩნდება კიდევ ერთი უპირატესობა: მომავალში იგი ვერ შეძლებს მსხვილ ფირმებთან ფასებში კონკურენციის გაწევას, მაგრამ მას შესწევს ისეთი პროდუქციის და მომსახურების წარმოების უნარი, რომელიც არსებითად განსხვავდება კონკურენტების პროდუქციისა და მომსახურებისგან. რამდენადაც მცირე ბიზნესში უფრო იოლი და მარტივია წარმოების გადაწყობა, ვიდრე მსხვილ ბიზნესში, ინოვაციების დანერგვა მცირე ბიზნესში უფრო ხელსაყრელია. ამასთან, ჩვენი აზრით, მეწარმე ვალდებულია გაყვეს სწრაფ ცვლილებებს ტექნიკასა და ტექნოლოგიაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გარკვეული დროის შემდეგ ჩნდება რისკი იმისა, რომ დარჩეს ბიზნესის გარეშე. მეორე მხრივ, ინოვაციათა მუდმივი დანერგვა ფართო გაგებით (არა მარტო ტექნიკური, არამედ ორგანიზაციული, ეკონომიკური, სოციალური თვალსაზრისით) შედარებით უფრო განვითარებულია ბიზნესის სხვა მოდელში - ე.წ. ანგლოსაქსონურში (უწინარეს ყოვლისა, ამერიკულში).

თვლიან, რომ აშშ-ში სწორედ მცირე ბიზნესის მიმართ პოლიტიკასთან არის დაკავშირებული მკვეთრი მაკროეკონომიკური ზრდა გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში. ფაქტობრივად, ევროპისა და აშშ-ის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები აღნიშნულ პერიოდში იყო დაახლოებით მსგავსი, კერძოდ, გასული საუკუნის ბოლო 25 წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის საშუალო-წლიურმა ტემპმა ევროპაში შეადგინა 3,3%, ხოლო აშშ-ში - 3,1%. უმუშევრობის დონემ ევროკავშირის ქვეყნებში შეადგინა 3%, აშშ-ში კი - 5%.

უკვე 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის შუა პერიოდიდან ევროკავშირისა და აშშ-ის ეკონომიკები პრაქტიკულად იმყოფებოდა დიამეტრალურად განსხვავებულ მდგომარეობაში. კერძოდ, აშშ-ში

უმუშევრობის დონე 5%-ს ქვემოთ დაეცა, ხოლო მშპ-ის ზრდის ტემპმა 4%-ს გადააჭარბა. ევროპაში კი უმუშევრობამ 10%-ს გადააჭარბა, ხოლო ეკონომიკის საშუალო-წლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 1,5%. ამასთან, სტატისტიკა მოწმობს, რომ აშშ-ში ფირმების რაოდენობა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ფაქტობრივად გაორმაგდა (2 მლნ-დან გაიზარდა 4,5 მლნ-მდე). ეს ტენდენცია უფრო გამოიკვეთა 90-იან წლებში, კერძოდ, 1990 წლიდან 1997 წლის ჩათვლით კორპორაციათა და პარტნიორობათა რაოდენობა აშშ-ში გაიზარდა 5,3 მლნ-დან 6,9 მლნ-მდე, ხოლო ინდმეწარმეთა რიცხვი გადიდდა 14,4 მლნ-დან 16,8 მლნ-მდე, ანუ საშუალოდ წლიურად 3,1%-ით. იმავე პერიოდში ახალ კომპანიათა რიცხვი უმრავლეს ევროპულ ქვეყანაში შემცირდა ან უცვლელი დარჩა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპული ქვეყნების მცირე მეწარმეობამ თავის განვითარებაში რამდენიმე ეტაპი განვლო, რომელთაგან თითოეულზე მისი შინაარსი ასახავდა შესაბამისი ეპოქის მახასიათებელ ნიშან-თვისებებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, შევეცდებით თითოეული ეტაპი გამოვყოთ და დავახასიათოთ ცალ-ცალკე (ცხრილი 1).

ცხრილი 1. მცირე ბიზნესის განვითარების ეტაპები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

| [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| [illegible] | | |
| I | მე-19 [illegible] - 1930-[illegible] | [illegible] |
| II | 1940-1960-[illegible] წწ. | [illegible] |
| [illegible] | | |
| III | 1970-იანი წწ. | [illegible] |
| IV | 1980-1990-იანი წწ. | [illegible] |
| V | 2000-2010-იანი წწ. | [illegible] |

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია გავაკეთოთ შემდეგი **დასკვნები.** ჯერ-ერთი, მცირე ბიზნესის მიმართ განხორციელებული პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა საერთო პოლიტიკასთან. მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის ფორმირება სათავეს იღებს 1970-1980-იან წლებში, საერთო სამრეწველო და ეკონომიკურ პოლიტიკაში შეტანილი ცვლილებებით;

მეორე, მიზნობრივ-პროგრამული მიდგომა წარმოადგენს დასავლეთ

ევროპის ქვეყნებში მცირე ბიზნესის მიმართ განხორციელებული პოლიტიკის სტრატეგიისა და პრიორიტეტების ფორმირების განუყოფელ ნაწილს;

დაბოლოს, მესამე, თანამედროვე ეტაპზე შემოთავაზებულია მცირე საწარმოთა საქმიანობის ხელშეწყობისა და სტიმულირების მექანიზმების ფართო სპექტრი როგორც ევროკავშირის, ისე ნაციონალურ და რეგიონულ დონეზე განხორციელებული პოლიტიკის ფარგლებით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებებიდან გამომდინარე. ამასთან, სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა ატარებს მთლიან, კოორდინირებულ და მიზანმიმართულ ხასიათს.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. www.businessombudsman.ge/cms/site_images/rogor% 20daviwyo %20biznesi.pdf.
2. http://www.fund.ge.
3. www.ptpress.ge/index.php?year=2014&magazine_id=377 &topic _ id=8949#.VKQ1p2PsnLU.
4. http:// geostat.ge/cms/site_ images/_files/georgian/mewarmeoba_2011_.pdf.
5. http://www.geostat.ge/?action= page&p _id=229&lang=geo.
6. http://www.geostat.ge/?action= page&p _id=211&lang=geo.
7. http:// www.nasp.gov.ge/geo/static/3051.
8. www.netgazeti.ge/GE/105/ business/30256/
9. A “Small Business Act” (SBA). For Europe, Brussels, 25. 6. 2018.
10. Bagnasco A. et Ch. F. Sabel, PME et developpement economique en Europe / Paris, 2018.
11. The Global Innovation Index 2021, INSEAD, 2022.

# სავალუტო სისტემის განვითარების რეტროსპექტივა და ანალიზი
# Retrospective and Analysis of the Monetary System Development

**ანა ოვანესიანი**
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ,
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

**Ana Ovanesian**
Georgian National University SEU, Faculty of Business and Technology

**რეზიუმე.** როგორც მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ფინანსური ტენდენციებით დადასტურდა სავალუტო სისტემა არის სავალუტო ურთიერთობების ორგანიზებისა და რეგულირების ფორმა. ფულადი ურთიერთობები წარმოგვიდგება საზოგადოებასთან ურთიერთობად, რომელიც დაკავშირებულია ვალუტის ფუნქციონირებასთან საგარეო ვაჭრობის განხორციელებისას, ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების გაწევასთან, სესხების გაცემასა და მიღებასთან, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებთან და ა.შ.
ჩვენს წინამდებარე მოხსენებაში განვიხილთ თანამედროვე სავალუტო-ფულადი სისტემის ფორმები, გადმოვეცით ავტორისეული კლასიფიკაცია. სავალუტო სისტემესბის რეტროსპექტივა შევისწავლეთ როგორც ზოგადად გლობალურ ჭრილში, ასევე კონკრეტულად ეროვნული სავალუტო-ფულადი სისტემის მაგალიტზე. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ აბსტრაგირების, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები, რათა გაგველო პარალელები მფოლიო მასშტაბით როგორ იცვლებოდა ფინანსური სავალუტო ურთიერთობები მთლიანაობაში და ასევე კონკრეტული ვალუტებთან მიმართებაში. ნაშრომის ბოლოს გავაკეთეთ არგუმენტირებული დასკვნები და რეკომენდაციები ეროვნული სავალუტო სისტემის ოპტიმიზაციის უზრუნველსაყოფად.

**საკვანძო სიტყვები:** ვალუტა, სავალუტო სისტემა, ვალუტის კურსი, სავალუტო რეჟიმი, სავალუტო ბაზარი.

As proven by the current global financial trends in the world, the currency system is a form of organization and regulation of currency relations. Monetary relations can be seen as public relations related to the functioning of currency in foreign trade, providing economic and technical assistance, granting and receiving loans, currency buying and selling operations, etc.
In our present report, we will discuss the forms of the modern currency-monetary system, we will present the author's classification. We studied the retrospective of the currency system both in a general global context and specifically on the example of the national monetary system. In the process of research, we used methods of abstraction, induction and deduction in order to find parallels on a portfolio scale, how financial and currency relations changed as a whole and also in relation to specific currencies. At the end of the paper, we closed the reasoned conclusions and recommendations to ensure the optimization of the national currency system.

**Key words:** currency, currency system, exchange rate, currency regime, currency market.

**ფულადი სისტემის არსი და ძირითადი ელემენტები.** სავალუტო სისტემა არის სავალუტო ურთიერთობების ორგანიზებისა და რეგულირების ფორმა. ფულადი ურთიერთობები არის საზოგადოებასთან ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია ვალუტის ფუნქციონირებასთან საგარეო ვაჭრობის განხორციელებისას, ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების გაწევა, სესხების გაცემა და მიღება, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები და ა.შ. სავალუტო ფულადი სისტემის ფორმებია გლობალური, რეგიონალური და ეროვნული. მათი შედარებითი მახასიათებლები წარმოდგენილია (ცხრილი 1).

ცხრილი 1 - ეროვნული, რეგიონული და მსოფლიო სავალუტო სისტემების მახასიათებლები

| შედარების კრიტერიუმები | სავალუტო სისტემები | | |
|---|---|---|---|
| | ნაციონალური | რეგიონალური | მსოფლიო |
| სუბიექტი | სავალუტო სისტემის ნაციონალური სუბიექტები | რეგიონულ კავშირში შემავალი ქვეყნების სუბიექტები | მსოფლიო სავალუტო ბაზრის სუბიექტები |
| ობიექტი | ნაციონალური ვალუტა | ერთიანი რეგიონალური ვალუტა (ევრო) | სარეზერვო ვალუტები, საერთაშორისო ვალუტის ერთეულები (SDR) |
| სავალუტო ურთიერთობები | ნაციონალური | ეროვნული | საერთაშორისო |
| ინსტიტუტები, რომლებიც ემსახურებიან სავალუტო ოპერაციებს | ეროვნული ბანკები და ბირჟები | რეგიონალური (ECB, ESCB, EIB) | IMF, WB, ცენტრალური ბანკები |
| მარეგულირებელი ორგანო | ცენტრალური ბანკი, ფინანსთა სამინისტრო | ნაციონალური ცენტრალური ბანკები ჩართულები არიან ევროპული ბანკების სისტემაში | IMF, საერთაშორისო სავალუტო სტრუქტურები |
| ვალუტის რეჟიმის ტიპი | ნაციონალური | ვალუტის რეჟიმის რეგიონალური ტიპი (ევრო) | სხვადასხვა |
| სავალუტო შეზღუდვები და კონტროლი | ნაციონალური | არ არის სავალუტო შეზღუდვები | სავალუტო შეზღუდვების სახელმწიფოთაშორისი რეგულირება |
| რეგლამენტაცია საერთაშორისო გადახდების | [illegible] გადახდების ფორმების რეგლამენტაცია | გადახდების ფორმების რეგიონული უნიფიკაცია | [illegible] გადახდების ფორმების საერთაშორისო უნიფიკაცია |
| საერთაშორისო ლიკვიდურობის რეგულირება | ნაციონალური რეგულირება სავალუტო ლიკვიდურობის | რეგიონული რეგულირება სავალუტო ლიკვიდურობის | სახელმწიფოთაშორისი რეგულირება სავალუტო ლიკვიდურობის |

მსოფლიო სავალუტო სისტემა (MVS) არის ისტორიულად ჩამოყალიბებული საერთაშორისო ორგანიზაციის ფორმა, რომელიც არეგულირებს ფულად ურთიერთობებს ქვეყნებს შორის. MVS არის მეთოდების, ინსტრუმენტებისა და სახელმწიფოთაშორისი ორგანოების

ერთობლიობა, რომელთა დახმარებითაც ხდება გადახდის და ანგარიშსწორების ბრუნვა მსოფლიო ეკონომიკის ფარგლებში.

გამოყოფენ შემდეგ ძირითად ელემენტებს MVS:

- მსოფლიო ფულადი საქონელი და საერთაშორისო ლიკვიდურობა
- სავალუტო კურსი
- სავალუტო ბაზრები
- საერთაშორისო სავალუტო-ფინანსური ორგანიზაციები
- საერთაშორისო ხელშეკრულებები
- საერთაშორისო გათვლების ფორმები
- ქვეყნის საგადასახადო ბალანსი

საერთაშორისო ლიკვიდობა არის ერთი ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის შესაძლებლობა, უზრუნველყოს თავისი მოკლევადიანი საგარეო ვალდებულებები მისაღები გადახდის საშუალებებით, ანუ მისგან ექსპორტირებული სიმდიდრის ექვივალენტით.

საერთაშორისო ლიკვიდობის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ქვეყნების ოფიციალური სავალუტო რეზერვები;

ოქროს ოფიციალური მარაგი;

სარეზერვო პოზიცია IMF-ში (წევრი ქვეყნის უფლება ავტომატურად მიიღოს უპირობო სესხი უცხოურ ვალუტაში სსფ-ში მისი კვოტის 25%-ის ფარგლებში);

**SDR და ECU ანგარიშები.** საერთაშორისო ლიკვიდობა ასრულებს სამ ფუნქციას:

- რეზერვების ფორმირების საშუალება;
- საერთაშორისო გადასახდელების საშუალებები;
- სავალუტო ინტერვენციის საშუალება.

მსოფლიო სავალუტო ლიკვიდურობის ძირითადი ნაწილი შედგება ოქროს და სავალუტო რეზერვების ოფიციალური მარაგებისგან, ანუ ცენტრალური ბანკისა და ქვეყნის ფინანსური ხელისუფლების ორგანოების ოქროსა და უცხოური ვალუტის რეზერვებისგან.

კურსი ყალიბდება სავალუტო ბაზრებზე. ისინი ლოკალიზებულია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, როგორც წესი, საერთაშორისო სავაჭრო ცენტრებში.

გაცვლითი კურსის რეჟიმი მსოფლიო მონეტარული სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია.

გაცვლითი კურსების ასახსნელად შექმნილი ძირითადი კონცეფცია არის მსყიდველობითი უნარის პარიტეტი, ანუ PPP, რომლის ფორმულირებისთვის, როგორც წესი, ერთი ფასის კანონი ე.წ. მასში ნათქვამია: „საქონლის ფასი ერთ ქვეყანაში უნდა იყოს ტოლი საქონლის ფასის სხვა ქვეყანაში და ვინაიდან ეს ფასები სხვადასხვა ვალუტაშია გამოხატული, ფასების თანაფარდობა განსაზღვრავს ერთი ვალუტის კურსს მეორეზე“.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტი არის თანაფარდობა ორ ან მეტ ვალუტას შორის, რომელიც დადგენილია მათი მსყიდველობითი უნარით საქონლისა და მომსახურების გარკვეულ კომპლექტთან მიმართებაში.

ზევრი სავალუტო კურსი შეიძლება კლასიფიცირდეს სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. სავალუტო ბაზარზე გამოყენებული ყველაზე მნიშვნელოვანი ცნებებია: რეალური გაცვლითი კურსი, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც ორი ქვეყნის საქონლის ფასების თანაფარდობა, აღებული შესაბამის ვალუტაში; ქვეყნის სავალუტო ბაზარზე მიმდინარე დროისთვის მოქმედი ვალუტების გაცვლითი კურსის ნომინალური კურსი. ასევე არსებობს მცურავი, ფიქსირებული და შერეული გაცვლითი კურსი.

მცურავი გაცვლითი კურსი არის მერყევი გაცვლითი კურსი, რომელიც დგინდება ცალკეული ვალუტების ან ვალუტების ნაკრების (ვალუტის კალათა) კურსის დინამიკის გათვალისწინებით.

ფიქსირებული გაცვლითი კურსი არის ოფიციალურად დადგენილი თანაფარდობა ეროვნულ ვალუტებს შორის, რომელიც ეფუძნება კანონიერად განსაზღვრულ სავალუტო პარიტეტს რყევების მკაცრი შეზღუდვით.

როგორც ნებისმიერი ფასი და სავალუტო კურსი მიწოდებისა და მოთხოვნის გავლენით გადახრის ღირებულების საფუძველს და ვალუტების მსყიდველუნარიანობას ქმნის. ასეთი მიწოდებისა და მოთხოვნის თანაფარდობა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, რომლებიც ასახავს გაცვლითი კურსის ურთიერთობას სხვა ეკონომიკურ კატეგორიებთან - ღირებულება, ფასი, ფული, პროცენტი, საგადასახდელო ბალანსი და ა.შ.

არსებობს საბაზრო (მოკლევადიანი) და სტრუქტურული (გრძელვადიანი) ფაქტორები.

სტრუქტურული ფაქტორები მოიცავს:

- ქვეყნის საქონლის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე და მისი ცვლილება;
- ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა;
- ფულადი ერთეულების მსყიდველობითუნარიანობა და ინფლაციის მაჩვენებლები;
- საპროცენტო განაკვეთების სხვაობა სხვადასხვა გაცვლით კურსში;
- ეკონომიკის ღიაობის ხარისხი.

საბაზრო ფაქტორები დაკავშირებულია ქვეყანაში ბიზნეს აქტივობის რყევებთან, პოლიტიკურ ვითარებასთან, ჭორებთან და პროგნოზებთან. ესენი მოიცავს:

- სავალუტო ბაზრების აქტივობა;
- სპეკულაციური სავალუტო ოპერაციები;
- კრიზისები, ომები, სტიქიური უბედურებები;
- პროგნოზები;
- ქვეყანაში ბიზნეს საქმიანობის ციკლური ხასიათი.

მსოფლიო ვალუტის (ფორექსის) ბაზარი მოიცავს ცალკეულ ბაზრებს, რომლებიც მდებარეობს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრებს და ფულად-საფინანსო ტრანზაქციებს. სავალუტო ბაზარზე ხორციელდება ოპერაციების ფართო სპექტრი, რომელიც დაკავშირებულია საგარეო სავაჭრო დასახლებებთან, კაპიტალის მიგრაციასთან, ტურიზმთან, ასევე სავალუტო რისკის დაზღვევასთან და ინტერვენციულ ღონისძიებებთან.

სავალუტო სისტემის შესწავლის შემდეგ, რომლებიც ჩამოყალიბდა საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსოფლიო სავალუტო სისტემების განვითარება და ერთმანეთისგან შეცვლა არ არის სპონტანური პროცესი, არამედ საკმაოდ ბუნებრივი და ლოგიკური. ახალი სისტემა ცვლის ძველს, რადგან უფრო სრულყოფილია და მისი დახმარებით უფრო ადვილია ფულადი და ფინანსური ტრანზაქციების, სასაქონლო-ფულადი ბრუნვის და ა.შ.

# საქართველოს საინვესტიციო გარემო და მოგების გადასახადის ესტონური მოდელი

# Georgian Investment Environment and the Estonian Model of Profit Tax

**ნინო ხიდირბეგიშვილი**, ასოცირებული პროფესორი.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
**ლაშა დემეტრაშვილი,** დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Nino Khidirbegishvili**, Associate Professor, Georgian Technical University
**Lasha Demetrashvili** , PhD Student, Georgian Technical University

**რეზიუმე.** ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ეკონომიკის სტაბილური ფუნქციონირება და განვითარება, მათ შორის, კერძო სექტორის განვითარებისა და მეტი ინვესტიციების მოზიდვის გზით, რაც მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უზრუნველყოს ჯანსაღი კონკურენტული გარემო ბაზარზე, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება გაცილებით მეტი ინვესტიციის მოზიდვა. ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის წინაპირობაა გამარტივებული პროცედურები, რაც უფრო ნაკლებ ბარიერებს უქმნი ინვესტორს, მით უფრო მიმზიდველი ხდება ჩვენი ქვეყანა ინვესტიციებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** საინვესტიციო გარემო, რეფორმა, ბიზნესი, საგადასახადო სისტემა, მოგების გადასახადი, ესტონური მოდელი.

**Resume.** One of the main goals of the state in the economy of any country is the stable operation and development of the economy, including through the development of the private sector and attracting more investments, which is a very important and important issue for the development of our country. It is important for the state to ensure a healthy competitive environment in the market, through which much more investment will be attracted. A prerequisite for healthy competition in the market is simplified procedures, the fewer barriers you create for the investor, the more attractive our country becomes for investments.

**Keywords**: Investment environment, reform, business, tax system, profit tax, Estonian model.

**შესავალი.** 21-ე საუკუნეში საქართველოში ინვესტიციების მოსაზიდად სახელმწიფომ არაერთი რეფორმა გაატარა, რომლის მეშვეობითაც ქართული ბაზარი საკმაოდ მიმზიდველი გახდა უცხოელ ინვესტორთათვის, აღნიშნულმა ერთის მხრივ ხელი შეუწყო მძაფრ კონკურენციას და მეორეს მხრივ ხელს უწყობს ქართველ ბიზნესმენებს უკეთ შეისწავლონ ბიზნეს პროცესები კონკურენტების ხარჯზე. ერთ-ერთი ბოლო რეფორმა, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ინვესტიციების მოზიდვაში იყო მოგების გადასახადის ესტონური მოდელის რეფორმა.

რეფორმის შედეგად მიკრო ბიზნესი ფაქტიურად განთავისუფლდა ფიქსირებული გადასახადის გადახდისგან, რადგან მოგებით დასაბეგრი ოპერაცია მხოლოდ იმ შეთხვევაში იხდის გადასახადს თუ ბიზნესის მესაკუთრეს დივიდენდის სახით აქვს გატანილი თანხები.

საინვესტიციო საქმიანობა გლობალური ბიზნესის მნიშვნელოვანი ფორმაა, რომლის დროსაც სხვადასხვა უცხოური კომპანიების მიერ კაპიტალის დაბანდება ხდება სხვადასხვა ქვეყნებში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ღია ეკონომიკის განუყოფელ ნაწილად და განვითარების კატალიზატორად გვევლინება. ბოლო წლებში განვითარებად ქვეყნებში იმატა ინვესტიციების ნაკადმა და საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვისაც აუცილებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაქსიმალური მობილიზება და ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენება.

**ძირითადი ტექსტი.** ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა, საინვესტიციო გარემო დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: ქვეყანაში არსებული სიღარიბის დონე, ინფრასტრუქტურა, სამუშაო ძალა, ეროვნული უსაფრთხოება, პოლიტიკური სტაბილურობა, საკანონმდებლო აქტები, მთავრობის რეგულაციები, საკუთრების უფლება, საგადასახადო წნეხი და მთავრობის გამჭირვალობა.

როდესაც ქვეყანაში მცირე კაპიტალია, საჭიროა უცხოური ინვესტიციების შემოდინება. ამის საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ შექმნა კანონი, საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, რომლის თანახმადაც უცხოელი ინვესტორები სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას იგივე უფლებებით სარგებლობენ, როგორც ქართველი ინვესტორები.

ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთანმოქმედებს საქართველოს საინვესტიციო ცენტრი, რომლის ფუნქციებია: ა) ინვესტორთა მომსახურება და მათ მიერ წამოწყებულ სამეწარმეო საქმიანობაში ხელის შეწყობა; ბ) საქართველოს, როგორც ინვესტირებისათვის ხელსაყრელი ქვეყნის წარმოჩენა, საინვესტიციო გარემოს, საკანონმდებლო ბაზის, საგადასახადო სისტემისა და ინვესტირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება; გ) საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ შესაძლო პარტნიორების გამოვლენა და ერთობლივ საინვესტიციო პროექტებში მონაწილეობისათვის მათთვის რეკომენდაციების მიცემა; დ)

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების მომზადება და მათი საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისათვის წარდგენა; ე) ინვესტიციების მოზიდვა, უცხო ქვეყნებისა და კომპანიების იდენტიფიკაცია და მათთან ინდივიდუალური კონტაქტების დამყარება. [100]

ინვესტიციების ხელშეწყობას უზრუნველყოფს ასევე საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო 1. ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა. 2. ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის სფეროში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი არის საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (შემდგომში – სააგენტო). 3. სააგენტოს უფლება აქვს, იყოს ინვესტორის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სხვა პირებთან ურთიერთობებში. ამ მიზნით ინვესტორსა და სააგენტოს შორის იდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს წარმომადგენლობის ფარგლებს. ინვესტორსა და სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულებით სააგენტო ეხმარება ინვესტორს საინვესტიციო საქმიანობისათვის საჭირო ყველა ლიცენზიის ან/და ნებართვის აღებაში ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში. სააგენტო აღნიშნულ უფლებამოსილებებს ახორციელებს ანაზღაურებად საწყისებზე, გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების განხორციელების შემთხვევისა. მომსახურების საფასური განისაზღვრება სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით.

სახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების განხორციელება. 4. სააგენტოს ამ მუხლით განსაზღვრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ ზღუდავს ინვესტორს, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობა განახორციელოს უშუალოდ ან სხვა წარმომადგენლის მეშვეობით. [2]

მსოფლიო ბანკის 2021 წლის ბიზნესის კეთების ანგარიშის (Doing Business 2021) მიხედვით ბიზნესის კეთების სიადვილე საქართველოში 77,45 ქულით შეფასდა და ქვეყანა 24-ე პოზიციას იკავებს189 ქვეყანას შორის. აღნიშნული

---

[100] საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1513 - საქართველოს პარლამენტის უწყებანი №25-26, 15.07.1998 წ., გვ.37 საქართველოს 2000 წლის 11 მაისის კანონი №295 - სსმ I, №17, 12.05.2000 წ., მუხ.4

შედეგი 7,63-ით აღემატება რეგიონის (ევროპა და ცენტრალური აზია) საშუალო მაჩვენებელს (69,82), რაც დადებითად ახასიათებს ქვეყანაში არსებულ ბიზნეს გარემოს.[101]




**გრაფიკი 1.** ბიზნესის კეთების სიადვილის რეიტინგი 2021

ბიზნესის დაწყება საქართველოში მარტივია, რადგან ფინანსური და პროცედურული ბარიერები კომპანიის დარეგისტრირებისათვის თითქმის არ არსებობს, რაც წარმატებული რეფორმის შედეგია.

საქართველოს 20-ზე მეტ ქვეყანასთან აქვს დადებული ინვესტიციების დაცვის ორმხრივი ხელშეკრულებები და მიმდინარეობს 30-ზე მეტ მსგავს ხელშეკრულებაზე მუშაობა. ინვესტიციების დაცვის ორმხრივი ხელშეკრულება იდება ორ ქვეყანას შორის, რომლის საშუალებითაც ქვეყნები ვალდებულებას იღებენ, არ დაარღვიონ ხელშემკვრელი სახელმწიფოს წარმომავლობის მქონე ინვესტორის უფლებები, არ განახორციელონ მათი ქონების ექსპროპრიაცია, არ ჩააყენონ ისინი სხვა ინვესტორებთან შედარებით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში. ამ ტიპის ხელშეკრულებები შეიცავენ დავის მოგვარების მექანიზმებს საერთაშორისო და საარბიტრაჟო ტრიბუნალებში მიმართვის გზით, რისი საშუალებითაც ინვესტორს უფლება აქვს დამოუკიდებლად და ქვეყნის შიდა სასამართლოების გვერდის ავლით

---

[101] საქართველოს 2006 წლის 25 ივლის ის კანონი № 3526 - სსმ I, № 32 , 31 . 07 .200 6 წ., მუხ. 247 საქართველოს 2011 წლის 22 მარტის კანონი №4469-ვებგვერდი, 01.04.2011წ. საქართველოს 2012 წლის 5 ივლისის კანონი №6627 - ვებგვერდი, 09.07.2012წ
3 http://www.doingbusiness.org/rankings

გაასაჩივროს სახელმწიფოს არამართლზომიერი ქმედება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.




**გრაფიკი 2.** ინვესტიციათა დაცვის სიძლიერე, GCI 2018-2020

2017 წლიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი საგადასახადო სისტემა - „მოგების გადასახადის ესტონური მოდელი." ესტონური მოდელი კომპანიებს აძლევს არჩევანის საშუალებას თუ როდის გადაიხადონ გადასახადი. მოცემული მოდელი საშუალებას აძლევს ბიზნესმენებს დივიდენდის არ გატანის შემთხვევაში არ გადაიხადონ მოგების გადასახადი და აღნიშნული თანხით სრულად რეინვესტირება განახორციელონ საკუთარ ბიზნესში. მოცემული კანონი არ ათავისუფლებს გადამხდელებს მოგების გადასახადისგან, არამედ საშუალებას აძლევს მათ გადაავადონ გადასახადის გადახდა. ყოველივე ეს თავის მხრივ გამოიწვევს უფრო დიდი ინვესტიციის წახალისებას.

მოცემულ კონტექსტში, ფართო გაგებით, აღნიშნული პროექტი ხელს უწყობს საქართველოს სოციალური და ეკონომიკური სტრატეგიის, საქართველო 2020-ის იმპლემენტაციას. სტრატეგიის მიხედვით, მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა ეხმარება სტაბილური და მიმზიდველი საგადასახადო გარემოს შექმნას ინვესტორებისთვის და კერძო კომპანიებისთვის. ეს ასტიმულირებს ეკონომიკური რეფორმის განხორციელებას მთავრობის 4 პუნქტიანი რეფორმის გეგმის მიხედვით, რომლის პრიორიტეტს წარმოადგენს საგადასახადო რეფორმა და გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება.[102]

[102] http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf

ცხრილი 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადები (ათას ლარებში) და მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის ფაქტი | 2020 წლის ფაქტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| საშემოსავლო გადასახადი | 2,052,388.5 | 1,970,136.4 | 2,525,970.7 | 2,877,395.1 | 3,200,254.7 | 3,079,840.2 |
| მოგების გადასახადი | 1,025,228.5 | 1,055,936.5 | 756,555.5 | 735,624.4 | 866,288.9 | 919,440.6 |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 3,505,464.8 | 3,286,393.4 | 4,122,612.3 | 4,426,300.8 | 4,243,606.7 | 3,218,159.1 |
| აქციზი | 870,731.6 | 1,069,658.1 | 1,450,921.9 | 1,165,726.6 | 1,505,675.8 | 1,619,392.3 |
| იმპორტის გადასახადი | 69,294.0 | 70,040.6 | 71,618.3 | 73,415.9 | 78,073.3 | 74,369.0 |
| მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი | 8 550,90 | 9 146,40 | 10 933.9 | 11 968.0 | 13 239.4 | 13 234.1 |

ზემოაღნიშნულის შედეგად, დაბეგვრის ობიექტები და შესაბამისად ახალი რეჟიმის იმპლემენტაციის პირველ წლებში (2017 და 2018) შემოსული მოგების გადასახადის მოცულობა არ იყო იმ რაოდენობის როგორც ეს იყო წინა წლებში. იმპლემენტაციის შემდეგ, მოგების გადასახადის შემოსულობების შემცირება მოსალოდნელია და რეალურად ასეც უნდა მოხდეს, თუ რეფორმის მიზნის - ბიზნესის კაპიტალის გაძლიერების მიღწევა იგეგმება.

აღნიშნული ცხრილიდან გამომდინარე ვხედავთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში 2015-2020 წლებში, მოგების გადასახდით შესული თანხები ყოველწლურად ცვალებადია. 2017 წელს წინა წელთან შედარებით 300 (სამასი) მილიონი ლარით არის შემცირებული, რაც გამოწვეულია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელით, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 2017 წელს ამოქმედდა.[103] თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მომდევნო წლებში მოცემული გადასახდით ბიუჯეტში შესული თანხები

[103] https://geoeconomics.ge/?p=14254&fbclid=IwAR3g6wQOProw68LI0_-aabebkteEbtRpiZfvE94gvROlrSGSBc60ommeJLU

იმატებს და 2020 წლის ბოლოს შეადგენს 919 (ცხრაას ცხრამეტ) მილიონ ლარს, რაც გვაჩვენებს, რომ ბიზნეს სექტორმა ადაპტაცია გაიარა მოცემული ცვლილების მიმართ და მოგების გადასახადის ესტონური მოდელის რეფორმა უკვე გამართლებულია საქართველოს ბაზარზე.

**დასკვნა.** ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემო პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მსოფლიო ბანკის დეფინიციით კარგი საინვესტიციო გარემო ბიზნესისთვის ქმნის დამატებით სტიმულებს და შესაძლებლობებს, გააკეთონ ინვესტირება/რეინვესტირება ბიზნესში, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები და გაფართოვდნენ.

ნებისმიერი რეფორმის მიზანია უკეთესი საგადასახადო გარემოს შექმნა, კერძო სექტორის სტიმულირება, ახალი ინვესტიციების მოზიდვა და რა თქმა უნდა ეკონომიკის ზრდა. საქართველოში ესტონური მოდელის დანერგვით გამარტივდა გადასახადების აღრიცხვის სისტემა და შედეგად მივიღეთ უფრო მოქნილი და სწრაფი საგადასახადო გარემო. აღნიშნული რეფორმა განსაკუთრებით მიმზიდველი გახდა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის და შესაბამისად ხელს უწყობს მათ განვითარებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი №1513 - საქართველოს პარლამენტის უწყებანი №25-26, 15.07.1998 წ., გვ.37 საქართველოს 2000 წლის 11 მაისის კანონი №295 - სსმ I, №17, 12.05.2000 წ., მუხ.4
2. საქართველოს 2006 წლის 25 ივლის ის კანონი № 3526 - სსმ I, № 32 , 31 . 07 .200 6 წ., მუხ. 247 საქართველოს 2011 წლის 22 მარტის კანონი №4469-ვებგვერდი, 01.04.2011წ. საქართველოს 2012 წლის 5 ივლისის კანონი №6627 - ვებგვერდი, 09.07.2012წ
3. http://www.doingbusiness.org/rankings
4. http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf
5. https://geoeconomics.ge/?p=14254&fbclid=IwAR3g6wQOProw68LI0_-aabebkteEbtRpiZfvE94gvROlrSGSBc60ommeJLU

# შიდა აუდიტი, როგორც ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესების მექანიზმი ადგილობრივ თვითმმართველობაში

# Internal Audit, as a Tool for Improving the Work of Organization In Local Self-government

**გიორგი ჟვანია,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი
**Giorgi Zhvania,** Georgian Technical University
Faculty of Business Technology, PhD Student

**აბსტრაქტი.** სტატიის მიზანია, ადგილობრივ თვითმმართველობაში შიდა აუდიტის როგორც რისკის მართვის მექნიზმის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. კვლევის საგანია ადგილობრივ თვითმმართველობაში შიდა აუდიტის საქმიანობაში არსებული თეორიული, პრაქტიკული და მეთოდური პრობლემების ერთობლიობა. კვლევის ობიექტად გვევლინება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა აუდიტის ერთეულები. კვლევის პროცესში გამოყენებულია კვლევის პროცესში გამოყენებულია შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის (IIA) მასალები, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული კანონები და ნორმატიული აქტები, შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (IPPF), უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) სახელმძღვანელოები და სტანდარტები საჯარო სექტორისათვის; საქართვე-ლოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის (CHU) მეთოდოლოგიები და ანგარიშები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პუბლიკაციები.

**საკვანძო სიტყვები:** შიდა აუდიტი, რისკები, ადგილობრივი თვითმმართველობა.

**Resume.** The aim of the previous article is to collect the information about an internal audit, as a risk management instrument in local self-government. The topic of the survey is the set of theoretical, practical and methodical problems in the activity of internal audit of local self-government. The local and international experts, as well as the units of internal auditors' of local self-government are introduced as the object of the survey.
The presented survey contains the information of the Institute of Internal Auditors (IIA), the laws and normative acts adopted by Georgian legislative and executive bodies, the International Professional Practice Framework (IPPF), as well as guidelines and standards for public sector adopted by International Organization of Supreme Audit (INTOSAI). Furthermore, the methodologies and reports prepared by Central Harmonization Unit (CHU) affiliated at the Ministry of Finance of Georgia and the publications of the State Audit Service and Scientific-Research Institutes.

**Key Words:** Internal Audit, Risks, Local Self-Government.

**ძირითადი ტექსტი.** შიდა აუდიტი ადგილობრივ თვითმმართველობაში როგორც ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესების მექანიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს დამოუკიდებელი და ობიექტური შეფასებების მიწოდებით იმის შესახებ თუ რამდენად ეფექტურია საჯარო რესურსების მართვა დასახული შედეგების მისაღწევად. შიდა აუდიტის ობიექტურ ღირებულებებზე დაფუძნებულ შეხედულებებსა და მტკიცებულებებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ადგილობრივი თვითმმართველობის უფროს მენეჯმენტს, რათა უკეთ მართონ და შეაფასონ მთლიანობის რისკები. მართლაც, რისკის მართვისა და შიდა აუდიტის ეფექტური პოლიტიკის განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია, რომ ყველა საჯარო მოხელემ გააცნობიეროს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა მთლიანობის რისკების იდენტიფიცირებასა და მართვაში ადეკვატური შიდა კონტროლის მეშვეობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ ფორმალიზებული რისკების რეესტრი.

**დიაგრამა: რისკების მართვის სტრუქტურა**




**წყარო:** ჰარმონიზაციის ცენტრის 2018 წლის კონსოლიდირებული წლიური ანგარიში[104]

ორგანიზაციის თითოეული ერთეულის რისკების რეესტრი კი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ორგანიზაციის მიზანს;
- სტრუქტურული ერთეულის მიზანს;
- პროცესს - საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესები;
- მიზანს - თითოეული პროცესის მიზანი;
- რისკის აღწერას - რისკები, რომელიც ხელს შეუშლის პროცესის მიზნის მიღწევას;

[104] https://pifc.gov.ge/ka/fl/annual_reports?page=1

- რისკის მიზეზებს და რისკის რეალიზებით გამოწვეულ შედეგს;
- რისკის მესაკუთრეს - პირ(ებ)ის მითითება (თანამდებობა, სტრუქტურული ერთეული და ა.შ.), რომელიც ფლობს აღნიშნულ რისკს;
- რისკის შეფასებას (მთლიანი რისკი) - მოხდენის ალბათობა (P); გავლენა (I); შედეგი (P*I);
- ორგანიზაციაში არსებულ კონტროლებს - კონტროლის ღონისძიება, რომელიც ამცირებს/აღმოფხვრავს არსებულ რისკს;
- კონტროლის მესაკუთრეს - პირ(ებ)ის მითითება (თანამდებობა, სტრუქტურული ერთეული და ა.შ.), რომელიც პასუხისმგებელია კონტროლის ღონისძიების განხორციელებაზე;
- ნარჩენ რისკს (არსებული სისუსტეებისა და კონტროლების გათვალისწინებით) - მოხდენის ალბათობა (P); გავლენა (I); შედეგი (P*I);
- რისკზე რეაგირებას - მიღება ან შემცირება ან გადაცემა ან უარი;
- დამატებით რეკომენდაციებს - დამატებითი ღონისძიებები.

მნიშვნელოვანია შიდა აუდიტის როლი რისკების მართვის პროცესში. იხილეთ ცხრილი 1.

საქართველოს საბიუჯეტო დაწესებულებებში მათ შორის ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში რისკის მართვის სისტემის დანერგვის მნიშვნელობისა და აუცილებლობის მიუხედავად, შიდა კონტროლის ეს კომპონენტი ჯერ კიდევ დიდ გამოწვევას წარმოადგენს. აღსანიშნავია რომ ჰარმონიზაციის ცენტრმა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, 2018 წელს დაგეგმა და განახორციელა სამინისტროების საშუალო რგოლის მენეჯერებისთვის თემაზე „რისკების ეფექტური მართვა საჯარო დაწესებულებებში“.

რაც შეხება ადგილობრივ თვითმმართველობას ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით ადგილობრივ თვითმმართვლობებში ასამაღლებელია მენეჯერთა ცნობიერება და უნდა მოხდეს მათი გადამზადება, რაც შესაძლებელს გახდის რისკის მართვის სისტემის დანერგვას.

ცხრილი 1.




**წყარო:** IIA position paper: the role of internal auditing in enterprise-wide risk management, 2009

**დასკვნა.** ამრიგად, კვლევაზე მუშაობისას, მოძიებულ იქნა საკმარისი ინფორმაცია ადგილობრივ თვითმმართველობაში შიდა აუდიტის არსებული სისტემის მდგომარეობის შესახებ თუ რა თავისებურებები ახასიათებს შიდა აუდიტს, განხილულ იქნა შიდა აუდიტის როგორც ორგანიზაციაში საქმიანობის გაუმჯობესების მექანიზმთან დაკავშირებული საკითხები, არსებობს მყარი საფუძველი, რომ აღნიშნული კვლევიდან გამოვიტანოთ შემაჯამებელი მოსაზრებები და განვსაზღვროთ ადგილობრივ თვითმმართველობაში შიდა აუდიტის გამოწვევები.

კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, რომ:

- ადგილობრივ თვითმმართველობებში ეფექტიანი მართვა მნიშვნელოვანია იმისთვის რომ თვითმმართველობამ მაღალ დონეზე განახორციელოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები და უზრუნველყოს მოსახლეობისათვის ხარისხიანი მომსახურების გაწევა. მართვის ეფექტიანობა იზომება რისკების იდენტიფიცირებით და შეფასებით. რისკების აღმოფხვრის და/ან მათი მინიმუმამდე დაყვანის ეფექტიან ინსტიტუტად აღიარებულია შიდა აუდიტი;
- შიდა აუდიტის, როგორც ფინანსური მართვისა და კონტროლის განუყოფელი ნაწილის და რისკების მართვის ეფექტიანი ინსტრუმენტების თანაბრად განვითარება;
- მუნიციპალიტეტის მაღალი დონის მენეჯმენტის ანგარიშვალდებულების გაზრდა.

ამდენად, შიდა აუდიტი აფასებს ორგანიზაციის რისკების მართვას. ჯანსაღი ორგანიზაციის წარმატება დამოკიდებულია ამ რისკების ეფექტურ მართვაზე. იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კარგად იმართება რისკი, შიდა აუდიტორი შეაფასებს რისკის მართვის პროცესის ხარისხს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგია 2017-2019 წლებისთვის;
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების შესახებ 2021 წლის კონსოლიდირებული წლიური ანგარიში;

3. „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“საქართველოს კანონი №2839-Iს 26.03.2010;
4. გრიგალაშვილი ლ. „საბუღალტრო აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში“, სახელმძღვანელო. სტუ, საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2017. - 263 გვ.
5. ნ. ფაილოძე, რ. ქუთათელაძე, ლ. ჭუმბურიძე, ზ. თოლორდავა „ფინანსური ანგარიშგების აუდიტი”, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი, 2022.- 325 გვ. https://doi.org/10.36073/978-9941-28-873-9.
6. სულაშვილი გ., სულაშვილი მ., ფაილოძე ნ., ალანია ჯ., კეკენაძე ვ., ხუციშვილი ო., სახოკია გ. წიგნი - საბუღალტრო საქმე, ტომი III, (აუდიტის კომპიუტერული საინფორმაციო სისტემები), სტუ-ს გამომცემლობა, 2017წ. -270 გვ.
7. გ. სულაშვილი, ა. აბრალავა, ი. მურვანიძე, ნ. ფაილოძე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა-კონტროლის სისტემის სრულყოფა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის ახალი პარადიგმა”, 2022.
8. ლიპარტია ზ. „ბიზნესის ანალიზი. შეფასება და განვითარების პროგნოზირება“ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2020 – 620 გვ.
9. ირმა-გელანტია ახვლდიანი „შიდა აუდიტის ორგანიზაციის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოს საჯარო მმართველობაში“, ავტორეფერატი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2021 წელი;
10. Chartered Institute of Internal Auditors. (2015). International Professional;
11. Chartered Institute of Internal Auditors. (2017). WHAT IS INTERNAL AUDIT? https://www.theiia.org/en/about-us/about-internal-audit/ (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 03.12.2022);
12. Council of Europe. (2002). Internal Audit at local and Regional Level;
13. Delloite. (2018). Internal Audit 3.0- The Future of Internal Audit is now;
14. Eko Suyono, E. H. (2012). Relationship Between Internal Control, Internal Audit and Organization Commitment with Good Governance. 2-4;
15. ELoGE. (2006). 12 Principles of Good Democratic Governance. *European Label of Governance Excellence*;
16. Ian Goodwin, R. L. (2017). Local government performance expectations of the future. Australia.

# ხელოვნური ინტელექტი და ფინანსური ინდუსტრია: საბანკო საქმიანობის ტრანსფორმაცია და მომავლის ინვესტიცია
# Artificial Intelligence and the Financial Industry: Transforming Banking and Investing for the Future

**თეიმურაზ გოდერძიშვილი** - დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**Teimuraz Goderdzishvili** – PhD student, Georgian Technical University

**რეზიუმე:** მსოფლიო ბაზარზე ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულმა ტექნოლოგიებმა შეაღწიეს სხვადასხვა ინდუსტრიაში, მათ შორის საბანკო და საინვესტიციო სფეროში. წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს გააცნოს მკითხველს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების თანამედროვე ტენდენციები საბანკო და საინვესტიციო სექტორში, გაანალიზოს ფინანსურ ინდუსტრიაში არსებული სიახლეები და მოსალოდნელი რისკები.
ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საბანკო ინდუსტრიამ განიცადა მასიური ტრანსფორმაცია გამოწვეული ციფრული ტექნოლოგიების განვითარებით. ტრადიციული მეთოდების გამოყენება აღარ არის საკმარისი თანამედროვე მომხმარებლების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. დღევანდელი მომხმარებლები ბანკისგან ელოდებიან სწრაფ და ეფექტურ მომსახურებას. კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად ბანკებმა თავიანთ სისტემაში დაიწყეს ახალ ტექნოლოგიების გამოყენება, მათ შორის ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ტექნოლოგიები. ციფრულმა ტრანსფორმაციამ მომხმარებლებს გაუადვილა საბანკო საინვესტიციო სერვისებზე წვდომა, მათ შესაძლებლობა აქვთ ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს შეასრულონ მათთვის საჭირო ტრანზაქციები. მომხმარებელს შეუძლია საბანკო ტრანზაქციები შესრულოს ონლაინ, მობილური აპლიკაციის ან სოციალური მედიის პლატფორმის გამოყენებით, ზემოთ აღნიშნულმა შესაძლებლობამ გამოიწვია მომხმარებელთა კმაყოფილების და ლოიალურობის ზრდა. ციფრულმა ტექნოლოგიებმა საშუალება მისცა ბანკებს და საინვესტიციო კომპანიებს ავტომატიზირებული გაეხადათ მრავალი პროცესი, რაც ამცირებს ხელით ჩარევის საჭიროებას. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ზრდის სამუშაოს ეფექტურობას, ამცირებს საოპერაციო ხარჯებს და სწრაფად აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნებს.
ტექნოლოგიების გამოყენებამ ბანკებს საშუალება მისცა მიიღონ უფრო დახვეწილი უსაფრთხოების ზომები, როგორიცაა ბიომეტრიული იდენტიფიკაცია, კლიენტების მონაცემების დაცვა და თაღლითობის თავიდან აცილება. მონაცემთა ანალიზით ბანკებს შესაძლებლობა აქვთ გააანალიზონ მომხმარებელთა ქცევა, მოთხოვნები და საჭიროებები, რაც ბანკებს საშუალებას აძლევს მომხმარებლებს შესთავაზონ პერსონალიზებული სერვისები და პროდუქტები.
ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას უდავოდ აქვს სარგებელი, თუმცა არსებობს პოტენციური ნაკლოვანებები და რისკები. კერძოდ, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მოითხოვს დიდი რაოდენობით მონაცემების დამუშავებას, მათ შორის მომხმარებელთა პერსონალურ ინფორმაციას. ბანკებმა და საინვესტიციო კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ ამ მონაცემები უსაფრთხოება და დაცულობა კიბერ საფრთხეებისგან. ტექნოლოგიებზე დამოკიდებულება ზრდის რისკებს, რომლის დროსაც შემუშავებული უნდა იყოს საგანგებო გეგმა, რომლის ფარგლებშიც გაწერილი იქნება წარუმატებლობის ან შეცდომების შემთხვევაში, შემდგომი

მოქმედების გეგმა. ხელოვნური ინტელექტის ავტომატიზაციამ და გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ადგილების დაკარგვა, განსაკუთრებით იმ პოზიციებზე სადაც ხდება რუტინული ამოცანების დამუშავება. მიკერძოების და დისკრიმინაციის საფრთხეები, ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები ისეთივე მიუკერძოებელია, როგორც მონაცემები, რომლებზეც ისინი სწავლობენ. თუ ეს მონაცემები მიკერძოებულია, მიღებულმა ალგორითმებმა შეიძლება გააგრძელონ ეს მიკერძოება, რაც გამოიწვევს მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფების დისკრიმინაციას. ბანკებისა და საინვესტიციო ფირმებისთვის მნიშვნელოვანია გულდასმით შეაფასონ ხელოვნური ინტელექტის დანერგვის სარგებელი და რისკები და გააჩნდეთ პოლიტიკა და პროცედურები ამ ტექნოლოგიის პასუხისმგებლობით გამოყენების უზრუნველსაყოფად. ამით მათ შეუძლიათ გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტის ძალა მომხმარებლებისთვის უკეთესი სერვისების უზრუნველსაყოფად, პოტენციური რისკების მინიმიზაციისას.

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნური ინტელექტი, თანამედროვე ტექნოლოგიები, საბანკო და საინვესტიციო ინდუსტრია, შემუშავებული ალგორითმები, ჩატბოტები.

**Abstract:** Artificial intelligence-based technologies have penetrated the global market in various industries, including banking and investment. This article aims to introduce the reader to the modern trends in the use of artificial intelligence in the banking and investment sectors and analyze the innovations and expected risks in the financial industry.

Over the past decade, the banking industry has undergone a massive transformation, driven by the development of digital technologies. The use of traditional methods is no longer sufficient to meet the needs of modern consumers. Today's customers expect fast and efficient service from the bank. To remain competitive, banks have started using new technologies in their systems, including technologies based on artificial intelligence. A digital transformation has made it easier for consumers to access banking and investment services, enabling them to perform the transactions they need from anywhere and at any time. Customers can complete their banking transactions online, through a mobile app, or on a social media platform, all of which have led to an increase in customer satisfaction and loyalty. Digital technologies have enabled banks and investment firms to automate the default process, reducing the need for manual intervention. The use of artificial intelligence increases work efficiency, reduces operating costs, and quickly meets customer requirements. The use of technology has enabled banks to adopt more sophisticated security measures such as biometric identification, customer data protection, and fraud prevention. By analyzing data, banks can analyze customer behavior, demands, and needs, which enables them to offer personalized services and products to their customers.

There are undoubtedly benefits to the use of artificial intelligence, but there are potential drawbacks and risks to consider. In particular, data privacy and security. The use of artificial intelligence requires the processing of large amounts of data, including the personal information of users. Banks and investment companies must ensure that this data is secure and protected from cyber threats. Dependence on technology increases risks, during which a contingency plan should be developed, within which a plan of further action will be written in case of failures or errors. Automation and the use of artificial intelligence can lead to job losses, especially in positions where routine tasks are handled. In threats of bias and discrimination, AI algorithms are only as unbiased as the data they learn from. If this data is biased, the resulting algorithms may perpetuate that bias, resulting in discrimination against certain groups of users. It is important for banks and investment firms to carefully assess the benefits and risks of implementing AI and have policies and procedures in place to ensure the responsible use of this

technology. By doing so, they can harness the power of artificial intelligence to provide better services to customers while minimizing potential risks.

**Keywords:** Artificial intelligence, Modern technologies, Banking and Investment industry, Developed algorithms, Chatbots.

**შესავალი:** ბოლო წლებში აქტიური მსჯელობის საკითხია ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების ზეგავლენა ეკონომიკაზე და კომპანიების განვითარებაზე. რა გავლენის მოხდება შეუძლია ტექნოლოგიურ სიაახლეებს ეკონომიკაზე და როგორია მისი გამოყენების არეალი. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება აყალიბებს ახალი ეკონომიკური საქმიანობის ფორმებს, როგორიცაა ავტომატური ვაჭრობა, პროგნოზირებადი ანალიტიკა, მომხმარებელთა მომსახურება და ა.შ. ტექნოლოგიური სიახლეები გამოიყენება სხვადასხვა ინდუსტრიაში, მათ შორის ბანკებში და საინვესტიციო კომპანიებში, პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად, ხარჯების შესამცირებლად და მომხმარებლის კმაყოფილების გასაუმჯობესებლად. ერთ-ერთი ტექნოლოგია, რომელიც დაფუძნებულია ხელოვნური ინტელექტზე არის ჩატბოტები, იგი გამოიყენება მომხმარებელთა მომსახურებისთვის, აგრეთვე მონაცემთა ანალიტიკისთვის და სხვა ამოცანების შესრულებისთვის. ხელოვნური ინტელექტის სისტემა მორგებული უნდა იყოს საბანკო საინვესტიციო სფეროში დასახულ ამოცანებს, ყველა ამოცანის გადასაწყვეტად უნდა შეიქმნას ინდივიდუალური ალგორითმი, მისი უნიკალურობა განსაზღვრავს ამოცანის შესრულების ეფექტურობას. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრია მიკერძოებული მონაცემების დამუშავება და სწავლება. თუ სისტემა სწავლოს მიკერძოებულ მონაცემებზე, პრაქტიკაში მისი გამოყენების დროს, ის დაეყრდნობა შესწავლილ ინფორმაციას და მიღებული შედეგი იქნება არასასურველი. ხელოვნური ინტელექტის სისტემას შეუძლია ისწავლოს ცნებები და უნარები, ასევე შექმნას გარემოს მოდელი მის მეხსიერებაში. სისტემას შეუძლია განახორციელოს ისეთი ოპერაციები, რომლებიც ადამიანის მიერ აზროვნებასთან ასოცირდება. ასეთი ოპერაციების მაგალითებია ქცევის დაგეგმვა, ნიმუშის ამოცნობა, გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილების მიღება და ა.შ. ხელოვნური ინტელექტის სისტემა ძირითადად შედგება შემდეგი სისტემებისგან:

- ✓ საინფორმაციო-საზომი სისტემა (სენსორული);
- ✓ საკონტროლო სისტემა;

- ✓ კომუნიკაციის სისტემა;
- ✓ აღმასრულებელი სისტემა.

ხელოვნური ინტელექტის სისტემის (AIS) ხელოვნური ინტელექტის სისტემის სტრუქტურული და ფუნქციური დიაგრამა, რომელიც ურთიერთქმედებს გარემოსთან, ნაჩვენებია:

სქემა. 1



ხელოვნური ინტელექტის სწავლების მეთოდიკა, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სისტემის ეფექტურად მუშაობისთვის. სწავლების დასრულების შემდეგ, მისი გამოყენება და დანერგვა შესაძლებელია პრაქტიკაში.

**ძირითადი ტექსტი:** ფინანსურ ინსტიტუტებს შეუძლიათ კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება ახალი ტექნოლოგიების დანერგვით და გამოყენებით. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ უკვე გარდაქმნა საბანკო და საინვესტიციო სექტორი, გააუმჯობესა მომხმარებელთა მომსახურების ხარისხი და გაამარტივა პროცესები. პერსონალიზებული გახადა საინვესტიციო რჩევები, რომელიც ინდივიდუალურად არის მორგებული მომხმარებელზე. მიუხედავად ამისა არსებობს გამოწვევები, როგორიცაა გადაწყვეტილებების მიღების დრო, დისკრიმინაცია, კიბერ შეტევის საფრთხეები, სამართლებრივი და ეთიკური საკითხები. ალგორითმებს შეუძლიათ გააანალიზონ დიდი მოცულობის ფინანსური და ეკონომიკური მონაცემები, რათა უზრუნველყონ უფრო ზუსტი და დროული რისკის შეფასება, აღნიშნული შეიძლება დაეხმაროს ფინანსურ ინსტიტუტებს

მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები და შეამცირონ რისკები. სიახლეები, რომელიც ინერგება ან უკვე დაინერგა წამყვან ფინანსურ ორგანიზაციებში, არის შემდეგი:

**პროგნოზირებადი ანალიტიკა** - ხელოვნურ ინტელექტს, შეუძლია ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით ფინანსური ტენდენციების გამოვლენა და შედეგების პროგნოზირება, რომელიც მენეჯმენტს საშუალებას აძლევს, წინასწარ განსაზღვრონ მოსალოდნელი გამოწვევები და მიიღონ შესაბამისის გადაწყვეტილებები.

**შეთავაზების პერსონალიზაცია** - ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, მომხმარებელთა მონაცემების და ქცევების ანალიზის საფუძველზე, მათ საჭიროებებზე მორგებული შეთავაზებების და მარკეტინგული შეტყობინებების განსაზღვრა.

**პროცესის ოპტიმიზაცია** - რუტინული ამოცანების ავტომატიზაცია და ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია, როგორიცაა ინვენტარის მართვა და მიწოდების ჯაჭვის ლოჯისტიკა. რაც დაეხმარება მენეჯერებს შეამცირონ დანახარჯები და გააუმჯობესონ ეფექტურობა.

**რისკების მართვა** - ხელოვნური ინტელექტი, შეიძლება გამოყენებული იყოს რისკების იდენტიფიცირებისთვის და მინიმიზაციისთვის, როგორიცაა თაღლითობა და უსაფრთხოების დარღვევა. აღნიშნული შეიძლება დაეხმაროს მენეჯერებს დაიცვან თავიანთი ორგანიზაციის აქტივები და რეპუტაცია.

**ადამიანური რესურსების მართვა** - ხელოვნური ინტელექტის ალგორითმი, შესაძლებელია შემუშავებული იყოს იმ მიზნით, რომ დაამუშაოს, ახალი და არსებული პერსონალის მონაცემები, განსაზღვროს მათი კვალიფიკაცია, დაადგინოს თანამდებობრივი კრიტერიუმები და უზრუნველყოს თანამშრომლებისთვის რეიტინგების მინიჭება. Hr მენეჯერს შესაძლებლობა ექნება მიიღოს გადაწყვეტილებები დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე.

**ჩატბოტით კონსულტაცია** - ჩატბოქსი, ასევე ცნობილია როგორც ჩატბოტი, არის ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია, რომელიც იყენებს ბუნებრივი ენის დამუშავების (NLP) ალგორითმებს, მომხმარებლებთან კომუნიკაციას ახდენს ტექსტურ რეჟიმში. ჩატბოტის მთავარი ამოცანაა მომხმარებელთა მომსახურების მხარდაჭერის ავტომატიზაცია, ინფორმაციის მიწოდება და მომხმარებლების დახმარება მათი მოთხოვნებისამებრ.

ნებისმიერი ტექნოლოგიის გამოყენება იწვევს ეთიკურ მოსაზრებებს, მენეჯერებმა უნდა უზრუნველყონ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება პასუხისმგებლობით და ეთიკური წესების დაცვით, ის არ უნდა იყოს მიკერძოებული ან დისკრიმინაციის შემცველელი. ხელოვნური ინტელექტის სისტემები უკვე გამოიყენება ისეთ მსხვილ ორგანიზაციებში, როგორებიც არიან:

- JPMorgan Chase: მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ბანკი და ის დიდ ინვესტიციას ახორციელებს ხელოვნურ ინტელექტში. ბანკი იყენებს ხელოვნურ ინტელექტს კლიენტების მონაცემების გასაანალიზებლად და პერსონალიზებული შეთავაზებების გასაკეთებლად. JPMorgan-ნი ხელოვნურ ინტელექტს ასევე იყენებს პროცესების ავტომატიზაციისთვის, როგორიცაა შესაბამისობის შემოწმება და თაღლითობის გამოვლენა, რაც ამცირებს მონაცემების დამუშავების დროს და აუმჯობესებს ხარისხს.
- Goldman Sachs: ხელოვნურ ინტელექტს იყენებს ბაზრის მონაცემების გასაანალიზებლად და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. ბანკი ასევე ხელოვნურ ინტელექტს იყენებს რუტინული ამოცანების ავტომატიზაციისთვის, როგორიცაა დოკუმენტის განხილვა, რამაც გამოიწვია ხარჯების მნიშვნელოვანი დაზოგვა.
- BlackRock: გლობალური ინვესტიციების მართვის კომპანია, რომელიც ხელოვნურ ინტელექტს იყენებს ბაზრის მონაცემების გასაანალიზებლად და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად. კომპანიამ ასევე შეიმუშავა ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე პლატფორმა სახელად Aladdin, რომელიც ეხმარება კლიენტებს მართონ თავიანთი ინვესტიციები და შეაფასონ რისკები.
- Robinhood: საბროკერო ფირმა, რომელმაც ჩაშალა ტრადიციული საბროკერო ინდუსტრია საკომისიოს გარეშე გარიგებების შეთავაზებით. კომპანია იყენებს ხელოვნურ ინტელექტს ბაზრის მონაცემების გასაანალიზებლად და მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდებისთვის.

ხელოვნურმა ინტელექტმა სწრაფად გარდაქმნა საბანკო და საინვესტიციო ინდუსტრია, რომელიც უზრუნველყო ფინანსური ინსტიტუტები ყველა საჭირო ტექნოლოგიებით, კონკურენტუნარიან მზარდ ციფრულ სამყაროში.

**დასკვნა:** საბანკო და საინვესტიციო სექტორში ხელოვნური ინტელექტის დანერგვა და გამოყენება, არის თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა. ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით კომპანიებს

შესაძლებლობა ექნებათ, გაამარტივონ ბიზნეს პროცესები, გაზარდონ მომსახურების ხარისხი, გააუმჯობესონ გადაწყვეტილებების მიღების დრო და შეამცირონ მოსალოდნელი რისკები. მომხმარებლები გახადონ უფრო მეტად ლოიალურები და კომპანიებმა შესთავაზონ მათზე მორგებული პროდუქტები. რათქმაუნდა გასათვალისწინებელია ყველა ის რისკი და უარყოფითი მხარეები, რაც ტექნოლოგიების განვითარებას შეიძლება მოყვეს, ეს არის პერსონალის ჩანაცვლება ხელოვნური ინტელექტით, თანამშრომლების განთავისუფლება, კიბერშეტევების საფრთხე და გადაწყვეტილებების მიღების დროს ადამიანური ფაქტორების არქონა. ზემოთ არსებული, დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებით, ყველა ხელმძღვანელმა პირმა უნდა მიიღოს მისთვის სასურველი გადაწყვეტილება, თუმცა ხელოვნური ინტელექტი აგრძელებს წინსვლას და განვითარებას ყველა ინდუსტრიაში და მომგებიანი პოზიციაში ის კომპანია იქნება, ვინც დროულად შეძლებს ტექნოლოგიური სიახლეების  გამოყენებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ნ. გალახვარიძე, თ. ზარგინავა, ე. ბარათაშვილი, ,,ინოვაციათა მენეჯმენტი“ თბ. 2015;
2. ლ. ქოქიაური, ნ. ქოქიაური, ,, ინოვაციები“, თბ. 2015;
3. Никишова, М.И. Роль совета директоров в цифровой трансформации бизнеса / М.И. Никишова // Экономика и управление. – 2018
4. John McCarthy – Father of Artificial Intelligence
5. A dictionary provides AI as “the capability of a machine to imitate intelligent human behavior.” Artificial Intelligence (2018)
6. Hayes-Roth, F., Waterman, D. and Lenat, D., Building Expert Systems, Addison-Wesley, Reading, MA, 1983.

# სტარტაპის ეფექტური მოდელების განვითარების მოწინავე პრაქტიკა მსოფლიოში
# The best practice for developing effective startup models in the world

**შოთა მურჯიკნელი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი
**Shota Murjikneli** - Doctoral student of the Faculty of Business Technologies at Georgian Technical University

**აბსტრაქტი.** სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებსა და მდიდარ ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, შესწავლილია ეკონომიკის თეორიისა და სამეურნეო პრაქტიკის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა სტარტაპის ეფექტური მოდელების განვითარების მოწინავე პრაქტიკა მსოფლიოში.

წარმოდგენილია მსოფლიოში ქვეყნების მიხედვით სტარტაპების რაოდე-ნობა, დარგების მიხედვით მსოფლიოში სტარტაპების განაწილება, სტარტაპების განაწილება მსოფლიოში კაპიტალიზაციის დონის მიხედვით, ამერიკის სტარტაპების მიერ მოზიდული ინვესტიციები 2012-2021 წლებში, ვენჩურული ინვესტიციები ერთ სულ მოსახლეზე 2020-2021 წლებში, თანამედროვე მსოფლიო აქსელერატორებში მონაწილე სტარტაპები გეოგრაფიის მიხედვით, მსოფლიოში ხუთი საუკეთესო სახელმწიფო აქსელერატორი ქვეყნების მიხედვით, მსოფლიოში ექვსი საუკეთესო დამოუკიდებელი აქსელერატორი ქვეყნების მიხედვით, მსოფლიოში ხუთი საუკეთესო საუნივერსიტეტო აქსელერატორი ქვეყნების მიხედვით, ევროპის ათი საუკეთესო აქსელერატორი ქვეყნების მიხედვით.

**საკვანძო სიტყვები:** სტარტაპი, აქსელერატორი, ციფრული ინოვაცია, კაპიტალიზაციის დონე, ტექნოლოგიური სტარტაპი, ვერჩურული ფონდი და ბიზნეს-ანგელოზი.

**Abstract.** The article, based on the latest literary sources and rich factual data, is considered such an important issue of economic theory and economic activity as the Best practice for developing effective startup models in the world.

The paper presents the number of startups in the world by country, the distribution of startups in the world by industry, the level of capitalization, fundraising by American startups in 2012-2021, venture investments per capital in 2020-2021, startups participating in the modern world accelerators by geography; The world's five best public accelerators by country, the world's six best independent accelerators by country, the world's five best university accelerators by country; Europe's top ten accelerators by country.

**Keywords:** startup, accelerator, digital innovation, capitalization level, technology startup, venture fund, and business angels.

**შესავალი:** თანამედროვე მსოფლიოში სტარტაპების ბუმია, რადგან სწორედ სტარტაპები ცვლიან თანამედროვე ბიზნესის ურთიერთობებს. ინტერნეტის და ციფრული ტექნოლოგიების შექმნა ბიზნესის კეთების სრულიად ახლებური მიდგომაა, რომელიც ორიენტაციას იღებს ინოვაციური გადაწყვეტილებების რეალიზაციაზე და მომხმარებლებისათვის ყოველდღიური ცხოვრების პირობების გამარტივებაზე (Vanishvili, 2022).

თანამედროვე მსოფლიოში სტარტაპები სხვადასხვა პროფესიის და განათლების მქონე ადამიანებს საშუალებას აძლევს ხელი მოჰკიდონ იმ

საქმეს, რომელიც მათ აინტერესებს. ზევრი ახალგაზრდისათვის მსოფლიოში იგი გახდა საინტერესო და წარმატების მომტანი.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვ-ნად გაიზარდა მოთხოვნილება „ციფრული“ ინოვაციების საჭიროებაზე, რომელიც პირდაპირ კავშირშია სტარტაპების საქმიანობასთან, რადგან სწორედ სტარტაპები არიან აქტიური, მოქნილი და გახსნილნი სიახლეების მიმართ (Ramaz & Merab, 2020).

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სტარტაპების ძირითად პრობლემად კვლავ რჩება მათი დამფუძნებლების გარკვეული ბიზნეს-უნარების დეფიციტი, რაც გარკვეულად ამცირებს მათი იდეების განვითარების დონეს. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია შეიქმნას პირობები, რომელიც დააჩქარებს ხარისხიანი, დახვეწილი და სიცოცხლისუნარიანი ბიზნეს-იდეების ფორმირების პროცესს (Vanishvili & Shanava, 2022).

**კვლევის შედეგები:** ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ თანამედროვე მსოფლიოში სტარტაპების რაოდენობის მიხედვით ლიდერობს აშშ, ხოლო მეორე ადგილზე წარმოდგენილია ჩინეთი. ამასთან, კაპიტალიზაციის მიხედვით ყველაზე დიდია ჩინური სტარტაპი Bytedance, ხოლო რუსული სტარ-ტაპებიდან 1 მლრდ აშშ დოლარზე მეტი კაპიტალიზაციით ლიდერობს Telegram-ი. მსოფლიოში სტარტაპების ყველაზე მეტი რაოდენობა საქმიანობს ფინანსურ ტექნოლოგიებში, ჯანდაცვაში, ხელოვნურ ინტელექტსა და თამაშებში.

მსოფლიოში ქვეყნების მიხედვით სტარტაპების რაოდენობაზე წარმოდგე-ნას გვაძლევს დიაგრამა 1.

**დიაგრამა 1**

**სტარტაპების რაოდენობა მსოფლიოში ქვეყნების მიხედვით 2021 წელს[105]**



დარგების მიხედვით მსოფლიოში სტარტაპების განაწილებაზე წარმოდგე-ნას გვაძლევს დიაგრამა 2.

[105] დიაგრამა აგებულია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში მე-9 ნომრით დასახელებული წყაროს მონაცემების მიხედვით.

დიაგრამა 2

**დარგების მიხედვით მსოფლიოში სტარტაპების განაწილება 2021 წელს**[106]



დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ პირველ ადგილზე წარმოდგენილია ფინანსური ტექნოლოგიები 7,19%, მეორე ადგილზეა ჯანდაცვა 6,8%, შემდეგ მოდის ხელოვნური ინტელექტი - 5,00%, თამაშები - 4,7% და სარეკლამო ტექნოლოგიები - 3,30%. რაც შეეხება კაპიტალიზაციის დონის მიხედვით, მსოფლიოში სტარტაპების პირველი ხუთეული ნაწილდება მე-3 დიაგრამაში ასახული სქემის მიხედვით.

დიაგრამა 3

**სტარტაპების განაწილება მსოფლიოში კაპიტალიზაციის დონის მიხედვით (მოცემულია მლრდ დოლარებში)**[107]




| ხელოვნური ინტელექტი | ფინანსური ტექნოლოგიები | კოსმოსი | ფინანსური ტექნოლოგიები | ლოგისტიკა |
|---|---|---|---|---|

---

106 დიაგრამა აგებულია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში მე-9 ნომრით დასახელებული წყაროს მონაცემების მიხედვით.

107 დიაგრამა აგებულია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში მე-9 ნომრით დასახელებული წყაროს მონაცემების მიხედვით.

კაპიტალიზაციის დონის მიხედვით  პირველ ადგილზეა ჩინური სტარტაპი, რომელიც საქმიანობს ხელოვნური ინტელექტის სფეროში. მეორე ადგილზეა აშშ-ში მოღვაწე სტარტაპი Stripe, რომელიც დასაქმებულია ფინანსურ ტექნოლოგიებ-ში, ხოლო მესამე ადგილზე ასევე წარმოდგენილია აშშ-ში მომუშავე სტარტაპი, რომელიც საქმიანობს კოსმოსის სფეროში. მეოთხე ადგილზე წარმოდგენილია შვედური სტარტაპი Klarna, რომელიც საქმიანობს ფინანსურ ტექნოლოგიებში და მეხუთე ადგილზე კვლავ წარმოდგენილია აშშ-ში მოღვაწე ლოგისტიკური სტარ-ტაპი - Instacart.

მსოფლიოში სტარტაპების ფორმირებისა და ეფექტური ფუნქციონირების საქმეში მეტად მნიშვნელოვანია ვენჩურული კაპიტალის როლიც. იგი აფინანსებს სტარტაპების ინოვაციურ ინფრასტრუქტურას და აერთიანებს კაპიტალის და ტექნოლოგიების მფლობელებს. ვენჩურული კაპიტალის დამსახურებაა, რომ დღეს მსოფლიოში ფუნქციონირებს ისეთი კომპანიები, როგორიცაა: Intel, Microsoft, Google, Яндекс, A4 Vision და სხვები.

2021 წელს მსოფლიოში, ვენჩურული ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 621,0 მლრდ აშშ დოლარი, რომელიც 111%-ით აღემატება 2020 წლის (294,0 მლრდ აშშ დოლარი) მაჩვენებელს. აღნიშნული თანხის თითქმის ნახევარი 329,0 მლრდ აშშ დოლარი, მოდის ამერიკის ბაზარზე, რაც 106%-ით აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს.

2021 წელს აშშ-ში განხორციელდა დაფინანსების 12281 რაუნდი, რომელ-თაგან  55% მოდიოდა სწორედ სტარტაპების განვითარებაზე. ვენჩურული კაპი-ტალის ინვესტირების მიხედვით კვლავ ლიდერის პოზიცია უკავია სილიკონის ველს - 105,0 მლრდ აშშ დოლარი და ნიუ-იორკს - 55,0 მლრდ აშშ დოლარი. ამერი-კელმა სტარტაპებმა თითქმის ერთი წლის განმავლობაში გააორმაგეს ინვესტი-ციები (იხ. დიაგრამა 4).

ინვესტორების მხრიდან დიდი მოთხოვნა იყო პროგრამული მომსახურების სტარტაპებზე. ეს ძირითადად გამოწვეული იყო Covid-19 კორონა ვირუსის პანდემიის შედეგებით (Merab et al., 2020).

ვენჩურული ინვესტიციები მეტად სასარგებლოა სტარტაპებისათვის და ეხმარება მათ წარმატებულ კომპანიებად ჩამოყალიბებაში. ეროვნულ ეკონომიკაზე ვენჩურული კაპიტალის ზეგავლენა შეიძლება შეფასდეს ისეთი კრიტერიუმით, როგორიცაა ვენჩურული ინვესტიციები ერთ სულ მოსახლეზე (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 4

ამერიკის სტარტაპების მიერ მოზიდული ინვესტიციები 2012-2021 წლებში (მოცემულია მილიარდ დოლარებში)[108]




დიაგრამა 5

ვენჩურული ინვესტიციები ერთ სულ მოსახლეზე 2020-2021 წლებში (მოცემულია აშშ დოლარებში)[109]



ამ კუთხით მსოფლიოში ლიდერის პოზიცია უკავია სინგაპურს, ისრაელს, ესტონეთსა და აშშ-ს. ხოლო შემდეგ მოდიან ევროპის ისეთი ქვეყნები, როგორე-ბიცაა: შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები დანია და ა.შ.

[108] დიაგრამა აგებულია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში მე-9 ნომრით დასახელებული წყაროს მონაცემების მიხედვით.

[109] დიაგრამა აგებულია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში მე-9 ნომრით დასახელებული წყაროს მონაცემების მიხედვით.

ასევე სტარტაპებში ინოვაციების სტიმულირებისა და წახალისების ერთ-ერთი გზაა მსოფლიოში აქსელერატორები (ამაჩქარებლები)[110], რომელთა ფორმი-რება ხდება სხვადასხვა ფორმით ბიზნეს მონაწილეების მიერ. აქსელერატორების საკითხის შესწავლით დაკავებულნი არიან ისეთი ამერიკელი მეცნიერები, როგორიცაა: ს. კოხენი, ბ. ჰალენი, კ. ბინგხამი და სხვები. აქსელერაცია წარმოად-გენს მოკლევადიან პროგრამას სტარტაპებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ყოვლისმომცველ მხარდაჭერას მათი იდეის ან მომსახურების პროტოტიპის განვითარებაში.

სტარტაპების მონაწილეობა აქსელერატორში, მათ ანიჭებს ბევრ უპირატე-სობებს, რომელთაც განეკუთვნებიან:

- სტარტაპის მონაწილეების კომპეტენციების სწრაფი განვითარება და კონკრეტული დარგის ექსპერტებთან კომუნიკაციების გზით საკუთარი ცოდნის გაღრმავება, გაფართოება;
- საკუთარი პროდუქციის ინტენსიური სრულყოფის შესაძლებლობა და მისი ტესტირების განხორციელება;
- ფოკუსირება საკუთარი პროდუქციის სრულყოფაზე და არა სტარტაპის საარსებო წყაროს ძებნაზე;
- კორპორაციული აქსელერატორების შემთხვევაში არსებობს დიდი ალბათობა კომპანიებთან ორმხრივი ურთიერთობის გაგრძელებისა, რომლის მიზნითაც ხორციელდება აქსელერაციის პროგრამა;
- სტარტაპებს ეძლევათ შესაძლებლობა გააფართოვონ საკუთარი კონტაქტების ქსელი, რომელიც შესაძლებელი ხდება აქსელერატორთა პროგრამების კურსდამთავრებულთა წყალობით;
- იზრდება შანსი აქსელერაციული პროგრამის დასრულების შემდეგ ინვესტორებისგან დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვისა.

თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში ნიშანთვისებათა კლასიფიკაციაზე დამოკიდებულების მიხედვით შესაძლებელია გამოვყოთ აქსელერაციის რამდენი-მე ტიპი. დამფუძნებლების მიხედვით განასხვავებენ აქსელერატორების შემდეგ ტიპებს:

- **საუნივერსიტეტო აქსელერატორები**. ამ ტიპის აქსელერატორები იქმნება საგან-მანათლებლო დაწესებულების ბაზაზე, რომლებიც ორგანიზებას უკეთებენ პროგრამას და, როგორც წესი, მას აფინანსებენ; ამის ნათელი მაგალითია ლუდვიგ მაქსიმელიანის

[110] სიტყვა აქსელერატორი (accelerate) ინგლისური წარმოშობისაა, რაც „აჩქარებას" ნიშნავს. სტარტაპებთან მიმართებაში აქსელერატორები ხელს უწყობენ ბიზნეს-იდეების, ან პრობლემის სრულყოფას, მათთვის განსაკუთრებული პირობების შექმნით.

მიუნხენის უნივერსიტეტის აქსელერატორი, რომე-ლიც ფუნქციონირებს უნივერსიტეტის სამეწარმეო ცენტრის ბაზაზე. ამ აქსე-ლერატორის გამოშვებულია სტარტაპი FlixBus, რომელიც შემდგომ ევროპაში ჩამოყალიბდა სერიოზულ სატრანსპორტო კომპანიად. უნივერსიტეტებთან ერთად ასეთი პროგრამების დამფუძნებლებად გვევლინებიან ბიზნეს-სკოლე-ბი. მაგალითად, ჰარვარდის ბიზნეს-სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს HBS Arthur Rock Center Accelerator, რომელიც ორგანიზებული იქნა ბიზნეს-სკოლის სტუდენტების მიერ (Mixailovich et al., 2021).

- **დამოუკიდებელი აქსელერატორი**. იგი არის ბაზრის დამოუკიდებელი მოთა-მაშეების მიერ ორგანიზებული ბიზნეს პროგრამები, რომელთა ბიზნეს-მოდე-ლები ითვალისწინებს: (1) წილის მიღებას პერსპექტიულ სტარტაპებში, რომ-ლებიც ფუნქციონირებას იწყებენ აქსელერატორის საშუალებით და შემდგომში ამ წილის გასხვისების შესაძლებლობით მათი ბიზნესის განვითარების მიზ-ნით. ამ შემთხვევაში პროგრამები, როგორც წესი, ხორციელდება კორპორაციუ-ლი პარტნიორის ჩართულობის გარეშე; (2) მოგების მიღებას, როგორც აქსელე-რატორის პროგრამის განხორციელების ანაზღაურების საფასური, კონკრეტუ-ლი კომპანიებისათვის, რომელიც ორიენტირებულია საკუთარი მიზნების მიღ-წევაზე. ასეთი აქსელერატორების მაგალითებია: X combinator, Techstars, 500 Startups აშშ-ში. აქსელერატორმა Y Combinator-მა სათავე დაუდო ისეთ კომ-პანიებს, როგორიცაა: Airbnb და Dropbox. დამოუკიდებელ აქსელერატორებთან მუშაობა კომპანიებს აძლევს მთელ რიგ უპირატესობებს, რომელთაგან აღსა-ნიშნავია, დამოუკიდებელი აქსელერატორების პროგრამის მაღალი კომპეტენ-ცია სტარტაპების შერჩევისა და განვითარების პროცესში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სტარტაპების წარმატებული განვითარების შანსებს.
- **სახელმწიფო აქსელერატორები**. აღნიშნული აქსელერატორები იმართება და ფინანსდება ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ, საკუ-თარი ინტერესების მისაღწევად. ასეთი პროგრამები ძირითადად ხორციელ-დება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის საფუძველზე. ამის საუკეთესო მაგალითია რუსეთის ფედერაციაში მოქმედი Generations-აქსელერატორი. იგი წარმოადგენს ფედერალურ აქსელერატორს, რომელიც პოზიციონირებს რო-გორც კორპორაციული ინოვაციების განვითარების პლატფორმა და გვევლი-ნება „რუსეთის ვენჩურული კომპანიის“ დამფუძნებლად (AOA Russian Venture Company), მცირე საწარმოების განვითარების ფონდის მხარდაჭერით. მოცე-მული

პლატფორმა მიზნად ისახავს ინოვაციების პოპულარიზაციას ქვეყნის კორპორაციულ სექტორში. იგი არის პირველი რუსული სახელმწიფო აქსელე-რატორი, რომელიც შეტანილი იქნა საერთაშორისო აქსელერატორების (Global Accelerator Network) ქსელში და 2018 წელს დასახელდა, ევროპაში საუკეთესო კორპორაციულ აქსელერატორად, კორპორციული სტარტაპების სამიტზე. სა-ხელმწიფო-კერძო პარტნიორობის კარგი მაგალითია აქსელერატორი Startup Kazfkhstan, რომელიც დაფუძნებული იქნა 2019 წელს (Nanuli et al., 2022);

- **კორპორაციული აქსელერატორები**. მათ განეკუთვნება აქსელერატორები, რომ-ლებიც იქმნება და ფინანსდება კონკრეტული კომპანიების მიერ, საკუთარი მიზნების მიღწევისათვის. კომპანიისათვის ასეთი აქსელერატორის დაფუძნება არის კომპანიის გარეთ არსებულ ინოვაციებზე წვდომის ერთ-ერთი წყარო. აქსელერატორი ამ შემთხვევაში იძლევა საშუალებას მსხვილი ბიზნესის მასშტაბების შეერთებისა მოქნილ და ინოვაციურ სტარტაპებთან (Nanuli et al., 2022). ყოველივე ეს უზრუნველყოფს კომპანიებში ინოვაციების სწრაფი ტემპით დანერგვას, მცირე რესურსების მოზიდვის პირობებში, ეს განსაკუთრებით აქტუალურია, იმ პირობებში, როდესაც მსხვილი ბიზნესი აჩერებს ინოვაციების დანერგვის პროცესს იმის გამო, რომ მათ ეშინიათ სიახლემ პრობლემები არ შეუქმნას მათ მოქმედ ბიზნესს. კორპორაციული აქსელერატორების საუკეთესო მაგალითია: Intel (Intel Accelerator); Google (Google Launchpad Accelerator), Facebook (Facebook Accelerator).

კორპორაციული აქსელერატორული პროგრამები ინოვაციის წყაროს მი-ხედვით პირობითად შესაძლებელია დავყოთ შიდა და გარე აქსელერატორებად:

- **შიდა აქსელერატორები** ორიენტირებულნი არიან კომპანიის თანამშრომლებზე, რომლებსაც გააჩნიათ ინოვაციური იდეები. ამ შემთხვევაში საუბარია დახუ-რულ ინოვაციებზე;
- **გარე აქსელერატორები** ორიენტირებულნი არიან კომპანიის გარეთ სტარტაპე-ბის მიერ შექმნილ ინოვაციებზე. როგორც წესი, ასეთი კორპორაციული აქსე-ლერატორები იქმნება დამოუკიდებელ მოთამაშეებთან პარტნიორობით. ამ შემთხვევაში ინოვაციებში ჩართული თანამშრომლები ხდებიან აქსელერატო-რების ნაწილი, რათა შეძლონ კავშირის დამყარება ინოვაციურ სტარტაპებთან. ასეთი მოდელის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ კომპანიის წარმო-მადგენლებს ეძლევათ წვდომის საშუალება სტარტაპ-ინოვაციებზე. ასეთი თა-ნამშრომლობის ნათელი მაგალითია Station F თანამშრომლობა კომპანია Aoliolas-თან, საფრანგეთი.

სტარტაპების სპეციალიზაციის დონიდან გამომდინარე აქსელერატორები შესაძლებელია დაიყოს შემდეგ ტიპებად:

- **ვიწრო სპეციალიზირებული აქსელერატორები.** ისინი მუშაობენ კონკრეტულ სფეროების სტარტაპებთან (ხელოვნური ინტელექტი, ციფრული ჯანდაცვა, და ა.შ.). ამის საუკეთესო მაგალითია აშშ-ში Mach37 აქსელერატორის პროგრამა კიბერუსაფრთხოების სფეროში.
- **აქსელერატორები გამოკვეთილი სპეციალიზაციის გარეშე**. ამ ტიპის აქსელერა-ტორები მუშაობენ შედარებით პერსპექტიულ სტარტაპებთან, მათი კუთვნილე-ბის სფეროს მიუხედავად. ამის კარგი მაგალითია აქსელერატორი Techstars აშშ-ში.

გეოგრაფიული გარემოს გათვალისწინებით აქსელერატორები შესაძლებე-ლია დაიყოს შემდეგ ტიპებად:

- **ლოკალური აქსელერატორები**. ასეთი აქსელერატორები წარმოდგენილნი არი-ან მხოლოდ ერთ ქვეყანაში. მაგალითად: აქსელერატორი Eleven, ბულგარეთი;
- **საერთაშორისო აქსელერატორები**. ასეთი აქსელერატორები წარმოდგენილნი არიან რამდენიმე ქვეყანაში. მაგალითად: აქსელერატორი Techstars, წარმოდ-გენილია ფილიალების სახით აშშ-ში, ავსტრალიაში, ნიდერლანდებში, ინდო-ეთში, სამხრეთ კორეაში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, საფრანგეთსა და გერმა-ნიაში.

თანამედროვე მსოფლიო აქსელერატორებში მონაწილე სტარტაპები გეოგ-რაფიის მიხედვით შეიძლება დავყოთ შემდეგ ორ ჯგუფად:

- აქსელერატორები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ლოკალურ სტარტა-პებზე. ასეთი აქსელერატორების მონაწილეებად ძირითადად გვევლინებიან ლოკალური სტრატაპები;
- აქსელერატორები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მსოფლიო სტარტა-პებზე. ასეთი აქსელერატორები მუშაობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სტარტაპებთან. ამის საუკეთესო მაგალითია Y Combinator აშშ-ში.

სტარტაპებსა და ბიზნეს აქსელერატორებს შორის კავშირურთიეთობა მოიცვას შემდეგ ძირითად ელემენტებს:

- შერჩევის პირობებს, რომელიც ხორციელდება პროექტის, ბაზრის, მიღწე-ული შედეგების შეფასებას და გუნდის ანალიზის საფუძველზე;
- ურთიერთობის პირობების განსაზღვრა და ხელშეკრულების გაფორმება;
- უშუალოდ აქსელერაციის პროგრამის განხორციელება;

- ➢ უშუალოდ დემონსტრირების (demo-dax) განხორციელება, როდესაც სტარ-ტაპებს ეძლევათ საშუალება საკუთარი საქმიანობის შედეგები გააცნონ ინვესტორებს;
- ➢ აქსელერატორის კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განვითარება კურსის დასრულების შემდეგ.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში არსებობს დამოუკიდებელ აქსელერა-ტორთა ქსელი, რომელიც ფუნქციონირებს Global Accelerator Networs (GAN) სახელწოდებით. იგი დაფუძნებული იქნა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძველი აქსელერატორის Techstars-ის მიერ. დღეისათვის აქსელერატორთა საზოგადოებაში გაერთიანებულია 105 მსოფლიოში საუკეთესო აქსელერატორი. მათ შორის აღსანიშნავია BP Ventures, Cargill, General Mills, VPS, 2016 წელს მათ დააფუძნეს საკუთარი ვენჩურული ფონდი GAN Ventures. ვენჩურული ფონდის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით საშუალოდ ერთ აქსელერატორში გაერთია-ნებულია 13,2 სტარტაპი, რაც სტარტაპების შერჩევის სერიოზული პროცესის მიმდინარეობაზე მიუთითებს.

მსოფლიოში სხვადასხვა სახის აქსელერატორებს შორის შესაძლებელია გამოვყოთ აქსელერატორ-ლიდერები ამა თუ იმ სფეროში. კერძოდ UBI global world ranking of business incubators and accelerators 2019/2020 მიხედვით შედგენილ რეიტინგში სახელმწიფო აქსელერატორებში ლიდერის პოზიცია უკავია ინდურ აქსელერატორს Kerala Startup Mission, ხოლო ხუთეული ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1

**მსოფლიოში ხუთი საუკეთესო სახელმწიფო აქსელერატორი ქვეყნების მიხედვით[111]**

| აქსელერატორის პროგრამა[112] | ქვეყანა |
|---|---|
| EIT Digital Accelerator | ევროკავშირი TC |
| Generations Corporate Accelerator by RBC JSC | რუსეთი |
| ISDI Accelerator | ესპანეთი |
| Kerala Startup Mission | ინდოეთი |
| NDRC | ირლანდია |

[111] ცხრილი შედგენილია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში მე-10 ნომრით დასახელებული წყაროს მონაცემების მიხედვით.

[112] აქსელერაციის პროგრამის მონაწილენი განლაგებულია ანბანის მიხედვით - რეიტინგის ლიდერი გამოყოფილია ყვითლად.

მსოფლიოში საუკეთესო დამოუკიდებელ აქსელერატორთა ექვსეული ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი 2). 2019/2020 წლებში ლიდერის პოზიციაზე წარმოდ-გენილი იყო აქსელერატორი GVA, რუსეთის ფედერაციიდან.

ცხრილი 2

**მსოფლიოში ექვსი საუკეთესო დამოუკიდებელი აქსელერატორი ქვეყნების მიხედვით[113]**

| აქსელერატორის პროგრამა[114] | ქვეყანა |
|---|---|
| 365X | ისრაელი |
| The Accelerator Centre | კანადა |
| Chinaccelerator | ჩინეთი |
| GVA Accelerator Program | რუსეთი |
| Seed Sport | აშშ |
| Shell Iniciativa Jovem | ბრაზილია |

მსოფლიოში საუკეთესო საუნივერსიტეტო აქსელერატორების ხუთეული მოცემულია მე-3 ცხრილში. მსოფლიო რეიტინგის მიხედვით ლიდერის პოზი-ციაზე, აქაც წარმოდგენილია რუსული HSE Business Incubator.

ცხრილი 3

**მსოფლიოში ხუთი საუკეთესო საუნივერსიტეტო აქსელერატორი ქვეყნების მიხედვით[115]**

| აქსელერატორის პროგრამა[116] | ქვეყანა |
|---|---|
| Aalto Startup Center's. Business Generator (Aalto University) | ფინეთი |
| HSE Business Incubator (National Research University Higher School of Economics) | რუსეთი |
| Imec (Ghent University, University of Antwerp, KV leuven, Vrije University Amsterdam, Hasselt University) | ბელგია |
| Startup Aggieland (Texas A&M University Blinn College District) | აშშ |

---

[113] ცხრილი შედგენილია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში მე-11 ნომრით დასახელებული წყაროს მონაცემების მიხედვით.

[114] აქსელერაციის პროგრამის მონაწილენი განლაგებულია ანბანის მიხედვით - რეიტინგის ლიდერი გამოყოფილია ყვითლად.

[115] ცხრილი შედგენილია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში მე-11 ნომრით დასახელებული წყაროს მონაცემების მიხედვით.

[116] აქსელერაციის პროგრამის მონაწილენი განლაგებულია ანბანის მიხედვით - რეიტინგის ლიდერი გამოყოფილია ყვითლად. ფრჩხილებში მითითებულია პარტნიორი უნივერსიტეტები.

| | |
|---|---|
| York Entrepreneurship Development Institute (York University, Plekhanov Russian University of Economics) | კანადა |

ევროპის ეკოსისტემაში წარმოდგენილ ათ საუკეთესო აქსელერატორზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 4.

**ცხრილი 4**

**ევროპის ათი საუკეთესო აქსელერატორი ქვეყნების მიხედვით**[117]

| № | აქსელერატორი | ქვეყანა |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| | Techstars London | დიდი ბრიტანეთი |
| | Seedcapm | დიდი ბრიტანეთი |
| | Station F | საფრანგეთი |
| | EIT Digital Accelerator | ევროკავშირი |
| | Techstars Berlin | გერმანია |
| | Founders Factory | დიდი ბრიტანეთი |
| | Axel Springer Plug and Play | გერმანია |
| | The Family | საფრანგეთი |
| | 50 Partners | საფრანგეთი |
| | hub:raum | გერმანია |

ცხრილის გაანალიზებით ცხადი ხდება, რომ აქსელერაციები ძირითადად წარმოდგენილნი არიან დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან და საფრანგეთიდან. ევროპაში აქსელერატორების ფორმირება და განვითარება განიცდის შემდეგ ძირითად ცვლილებებს, კერძოდ დაწყებული - 2016 წლიდან 30%-ით გაიზარდა სტარტაპების უცხოელი დამფუძნებლების რაოდენობა. ისეთი წამყვანი ჰაბები, როგორიც იყო ლონდონი და ბერლინი, თანდათან კარგავენ პოპულარობას და ევროპულ სტარტაპებში იზრდება ინტერნაციონალიზაციის დონე და იხსნება ახალი საერთაშორისო სტარტაპის ოფისები.

სტარტაპების ეფექტური ფორმირებისა და განვითარების თანამედროვე მსოფლიო ტენდენციების ფონზე, საინტერესოა მისი განვითარების თავისებურე-ბების განხილვა-გაანალიზება ცალკეული ქვეყნების ფონზე. დღეისათვის სტარტაპებს ეკოსისტემა ყველაზე მაღალი დონით

[117] ცხრილი შედგენილია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში მე-12 ნომრით დასახელებული წყაროს მონაცემების მიხედვით.

წარმოდგენილია ამერიკის შეერთებულ შტატებში. Global Startup Ecosystem 2020 წლის ანგარიშში სილიკონის ველი და ნიუ-იორკი კვლავ იკავებს პირველ ადგილს სტარტაპების განვითარების ხელშეწყობის თვალსაზირისით. მსოფლიოში 20 მოწინავე სტარტაპი ქალაქებიდან აშშ-ზე მოდის ექვსი: ბოსტონი, ლოს-ანჟელესი, ოსტინი, სიეტლი, ვაშინგტონი და ჩიკაგო. მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სტარტაპებიდან ყველაზე მეტი (743-დან 376) მოდის აშშ-ზე და ლიდერი სტარტაპების ხუთეულიდან სამი ამერიკული პროექტია: Stripe, SpaceX და Instacart.

აშშ-ში მოქმედებს განსაკუთრებული პირობები სტარტაპებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ შემოღებული იქნა პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ - International Entrepreneur Parole Program. აშშ-ში სამეწარმეო კულტურის განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უნივერსიტეტები. თითოეული მათგანი აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტური სტარტაპების განვითარებას და ადგილობრივ ფონდებთან ერთობლიობით იხსნება მათთვის ფართო შესაძლებლობები დიდ ბიზნესში. აშშ-ს რეგიონებში დიდი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი ვენჩურული კაპიტალი და ბიზნეს-ანგელოზები.

აშშ-ში შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე შტატი, რომლებიც ხელს უწყობენ სტარტაპების, მათ შორის ტექნოლოგიური სტარტაპების განვითარებას. ტეხასი უკანასკნელი წლების მანძილზე ინარჩუნებს 10 საუკეთესო შტატს შორის ლიდერის პოზიციებს ტექნოლოგიების განვითარების კუთხით. თანამედროვე სტარტაპ ტექნოლოგიური კომპანიები უპირატესობას ანიჭებენ ტეხასის შტატს ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პირობებით. ტექნოლოგიურმა გიგანტმა Oracle-მ საკუთარი შტაბ-ბინა გადაიტანა კალიფორნიიდან ბოსტონში. ტეხასთან ასოცირდება ილონ მასკის კომპანია Tesla,  რომელმაც შტაბ-ბინა გადაიტანა ქალაქ ოსტინში.

ნიუ-იორკის შტატის მმართველობამ შეიმუშავა პროგრამა Pridges, რომელიც მიმართულია ტექნოლოგიური სტარტაპების სტიმულირებაზე. ისინი ღებულობენ მხარდაჭერას 10 მლნ აშშ დოლარამდე. სამომავლოდ ექსპერტები იმედოვნებენ რომ ნიუ-იორკი გაუსწრებს სილიკონის ველს, და ჩამოყალიბდება ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი ტექნოლოგიური სტარტაპების განვითარების ცენტრად.

მასაჩუსეცის შტატი წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ მოთამაშეს ტექნოლო-გიურ ინდუსტრიაში. აშშ-ს ორი წამყვანი უნივერსიტეტი, რომელიც განლაგე-ბულია ამ შტატში წარმოადგენენ სტარტაპებისათვის კადრების მომზადებისა და გადამზადების წამყვან საგანმანათლებლო ფლაგმანებს.

კალიფორნია გვევლინება აშშ-ს მთავარ ტექნოლოგიური ცენტრის სილიკო-ნის ველის სამშობლოდ. ლოს-ანჟელესში განლაგებულია მსხვილი კონოსტუ-დიები, რომლებიც ხელს უწყობენ სახელოვნებო სტარტაპების განვითარებას. სილიკონის ველზე იმყოფება სტენფორდის უნივერსიტეტი, რომელთანაც ფუნ-ქციონირებს ციფრული ტექნოლოგიების კომპანიების ოფისები და აქტიურად იზიდავს თანამედროვე ტექნოლოგიურ სტარტაპებს.

მსოფლიოში პირველი ბიზნეს-ინკუბატორები ჩამოყალიბდა აშშ-ში, 1950-იან წლებში. დღეისათვის აშშ-ში ფუნქციონირებს 1500-ზე მეტი ბიზნეს-ინკუბა-ტორი და ექსელერატორი. ბაზრის ლიდერის პოზიციას კვლავ ინარჩუნებს სილიკონის ველზე განლაგებული აქსელერატორი - Y combinatory. მისი დახმარე-ბით ყოველწლიურად ბაზარზე გამოდის 300-400 სტარტაპი. მეორე ადგილზე წარმოდგენილია აქსელერატორი Techstars. კომპანია მართავს 50 აქსელერატორს მთელს მსოფლიოში. აღნიშნული აქსელერატორი სპეციალიზირებულია ციფრუ-ლი ტექნოლოგიების პროექტებზე. მესამე ადგილზე წარმოდგენილია აქსელე-რატორი 500 Startups. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს აქსელერატორი აქტიურად თანამშრომლობს ქართულ სტარტაპებთან.

აშშ-ში სტარტაპების განვითარების და ხელშეწყობის პროგრამების ფორმი-რებაში აქტიურად არის ჩართული სახელმწიფო და სტარტაპებს ეძლევათ შესაძ-ლებლობა ისარგებლონ სახელმწიფო მხარდაჭერით. სახელმწიფო მხარდაჭერა ძირითადად წარმოდგენილია ორი პროგრამის - 1. Small Business Innovation Research (SBIR) და 2. Small Business Technology Transfer (STTR). ამ პროგრამის ფარგლებში დამწყებ სტარტაპებს შეუძლიათ მიიღონ 1 მლნ აშშ დოლარამდე გრანტი. ამასთან ერთად აღნიშნულ პროგრამებს აქვს გარკვეული შეზღუდვები, კერძოდ: სტარტაპი უნდა ფუნქციონირებდეს აშშ-ს ტერიტორიაზე და იქ ახორ-ციელებდეს საქმიანობას, ასეთი სტრატაპის კაპიტალის ნახევარზე მეტი უნდა ეკუთვნოდეს აშშ-ს მოქალაქეს, ხოლო სტარტაპში დასაქმებული პერსონალის შტატი არ უნდა აღემატებოდეს 500 ადამიანს.

სტარტაპების ბიზნეს მოდელების და ეფექტური ფუნქციონირების საქმეში აშშ-ში აქტიურად არიან ჩართულნი ვერჩურული ფონდები და ბიზნეს-ანგელოზები. 2020-2021 წლებში ვენჩურულმა ინვესტიციებმა აშშ-ში მოხსნა ყველა რეკორდი. ამერიკის ვენჩურული კაპიტალის ბაზარზე წარმოდგენილია ისეთი ლიდერი ფონდები და კომპანიები, როგორებიცაა: Google Ventures, Andreessen horowitz, Insight Partners, Sequoia Capital და Bessemer Venture Partners.

აშშ-ს სტარტაპებს მთლიანი რაოდენობის 7,1% საქმიანობს ფინანსური ტექნოლოგიების სფეროში, 6,8% - ჯანდაცვის, ხოლო 5,0% კი ხელოვნური ინტელექტის განვითარების სფეროში (Vanishvili & Sreseli, 2022).

ამრიგად ეფექტური სტარტაპ მოდელებს ფორმირება - განვითარებისათვის აშშ-ის ბაზარზე მრავალი მხარდაჭერის პროგრამა მოქმედებს, რომელიც საშუალებას აძლევს ამერიკელ სტარტაპებს წარმოდგენილი იქნეს მსოფლიოში წამყვან ბიზნეს პოზიციებზე.

სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის რეგიონში სტარტაპების ეფექტური მოდელის ფორმირება-განვითრების კუთხით მეტად საინტერესოა სინგაპურის გამოცდილე-ბის გაცნობა-გაანალიზება. სინგაპური Doing Business რეიტინგში იკავებს მეორე ადგილს, ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორებიცაა:

- ✓ მშენებლობის ნებართვის მიღების სიმარტივე;
- ✓ მცირე ინვესტორების მხარდაჭერა;
- ✓ ხელშეკრულების პირობების შესრულება.

სინგაპურში მეწარმეს საკუთარი საქმის წამოწყებისათვის ესაჭიროება 1-2 დღე. ბიზნესისათვის მიმზიდველია ასევე საგადასახადო სისტემა. კომპანიის მოგების გადასახადი 300 000 სინგაპურულ დოლარამდე (დაახლოებით 222 300 აშშ დოლარი) წლიური ბრუნვის შემთხვევაში შეადგენს 9%-ს, ხოლო 300 000 სინგაპურულ დოლარზე მეტი წლიური ბრუნვის შემთხვევაში შეადგენს - 17%-ს.

სინგაპურში სტარტაპის ძირითადი ტრენდია ტურიზმი, სატრანსპორტო მომსახურება, ფარმაცია, ონლაინ-მაღაზიები, ტაქსის გამოძახების სერვისმა Grab Taxi შეაგროვა 680 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ავტომობილების არენდის პლატფორმამ i Cars Club – 70,5 მლნ აშშ დოლარი. სინგაპურში საკუთარი ფილიალი გააჩნიათ ისეთ ფარმაცევტულ გიგანტებს, როგორიცაა: Pfizer, Novartis და Glaxo Smithkline. სტარტაპების ერთ-ერთი მთავარი ტრენდია ონლაინ-მაღაზიები. მაგალითად ქსელურმა მაღაზია Lajavla-მ შეაგროვა რეკორდული 686 მლნ აშშ დოლარი, ხოლო პლატფორმამ Zalora სპეციალიზირებულმა მოდური ტანსაცმლების გაყიდვაზე.

სტარტაპების განვითარებისათვის სინგაპურში თავმოყრილია მრავალი აქსელერატორი და ინკუბატორი. მაგალითად აქსელერატორი AirMaker სტარტა-პებს ეხმარება „ინტერნეტ ნივთების“ (Internet of Things, loT) სფეროში, ხოლო Enterpreneur Firtst-ი ახორციელებს სტარტაპების დახმარებას, რომლებიც დასაქმებულნი არიან აეროკოსმოსურ და ბოროტოტექნიკის სფეროებში. სტარტაპ-გრანტების თანხა TECS სტარტაპებისათვის 750000 აშშ დოლარამდე მერყეობს.

სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების მიმართულების მკაფიო გეზი აქვს აღებული ისრაელს. ისრაელს მსოფლიოში მე-4 ადგილი უჭირავს ეფექტური სტარტაპ-ინფრასტრუქტურის მიხედვით, ხოლო წარმატებული სტარტაპების მიხედვით ისრაელი მე-7 ადგილზეა. რაც ნათლად მიუთითებს

იმაზე, რომ ისრაელს სტარტაპების სიცოცხლისუნარიანობა ძალიან მაღალია და იზიდავს ინკუბატორებს.

2020 წლის განმავლობაში Start-up Nation Central-ის მონაცემებით ისრაელის სტარტაპებმა მოიზიდეს 10,3 მლრდ. აშშ დოლარის, ხოლო 2021 წლის 6 თვის განმავლობაში კი 17,9 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიცია. ისრაელის სტარტაპების საქმიანობის ძირითად სფეროებს განეკუთვნება ფინანსური სფეროს ტექნოლო-გიები, ჯანდაცვა და ხელოვნური ინტელექტი. ხოლო ისრაელის სტარტაპების ფლაგმანს წარმოადგენს კიბერუსაფრთხოების ინდუსტრია. მილიარდიანი სტარ-ტაპების დამფუძნებლებად ძირითადად გვევლინებიან ტელ-ავივის უნივერსი-ტეტის კურსდამთავრებულები. მაგალითად ისრაელის სტარტაპი Lightmicks, რომელმაც შექმნა Facetune სელფის რედაქტორების აპლიკაცია ისრაელში ფუნ-ქციონირებს 70 ტექნოლოგიური ჰაბი, 50 ინოვაციური ლაბორატორია და 400 R&D ცენტრი.

ვენჩურული ფონდი ისრაელში 1985 წელს გაჩნდა. დღეისათვის ისრაელში ფუნქციონირებს ვენჩურული ფონდები 83 North დ Pitango. ვენჩურული კომპანია 83 North საკუთარი შტაბ-ბინები გააჩნია ლონდონსა და გერცლიაში. ფონდი ძი-რითადად ფოკუსირებულია ევროპული და ისრაელის სტარტაპების დაფინანსე-ბაზე.

მეორე ვენჩურული კომპანია Pitango Venture Capital აფინანსებს პროგრამებს ციფრული ტექნოლოგიების და ჯანდაცვის სფეროში. კომპანიის ოფისები განლაგებულია გერცლიაში, კალიფორნიასა და ნიუ-იორკში.

2017 წელს ისრაელში დაფუძნდა ეროვნული დაზვერვის სამსახურთან Mossad-თან სინვესტიციო ფონდი სახელწოდებით Libertad. იგი აფინანსებს სტარ-ტაპებს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია დრონებთან და რობოტოტექ-ნიკასთან. ფონდის სტარტაპებს აძლევს ინვესტიციებს 2 მლნ. შეკელამდე და მათგან ინვესტიციის სანაცვლოდ მოითხოვს კომპანიისაგან ლიცენზიას ინტელექ-ტუალური საკუთრების გამოყენების შესახებ.

ისრაელის სამხედრო კორპუსი მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებს ადგილობრივი სტარტაპების ეკოსისტემის განვითარებაში. ქვეყანაში სტარტაპის უმრავლესობას აფუძნებენ სწორედ ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები.

ისრაელის Start-up Nation Central-ის მონაცემებით ქვეყანაში დღეისათვის ფუნქციონირებს 76 აქსელერატორი და 35 ინკუბატორი. ისტორიულად ისრაელს მჭიდრო კავშირები აქვს აშშ-თან და ევროპასთან, რაც დიდ დახმარებას უწევს ლოკალურ სტარტაპებს საერთაშორისო არენაზე გასასვლელად.

ისრაელში ფუნქციონირებს ათამდე პატარა უნივერსიტეტი, მაგრამ თითო-ეულ მათგანში წარმოდგენილია მძლავრი ცენტრები, რომლებიც

ასრულებენ ახალი სტარტაპების ფორმირება-ფუნქციონირებას. ასევე ისრაელში მეწარმეობ-რივი სულისკვეთება აქტიურად იგრძნობა სკოლებშიც. სასკოლო პროგრამის „ახალგაზრდა ინოვატორები“ დახმარებით სკოლის მოსწავლეები იღებენ ცოდნას მათემატიკაში, ზუსტ მეცნიერებებსა და ინოვაციების შესახებ. ისრაელში ერთ სულ მოსახლეზე მოდის ყველაზე მეტი ინჟინერი და მეცნიერი მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ისრაელის სტარტაპების დაფი-ნანსება გაიზარდა 400%-ით. ადგილობრივი სტარტაპების განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევს, როგორც ადგილობრივი ისე უცხოური ვენჩურული ფონ-დები. ისრაელის სახელმწიფო და საგანმანათლებლო სექტორი ასევე აქტიურად უჭერს მხარს ქვეყანაში სტარტაპების ეფექტურ ფუნქციონრება-განვიგარებას.

სტარტაპების ბიზნეს მოდელების ფორმირებისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ევროპული მოდელები. ამ მხრივ მნიშვნე-ლოვანი ადგილი უკავია ფრანგულ სტარტაპებს. 2021 წელს საფრანგეთში ადგილობრივი კომპანიების რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა, მათ შორის 10 ათასზე მეტი განეკუთვნება სტარტაპებს. საფრანგეთს გლობალური ინოვაციური ინდექსის მიხედვით მსოფლიოში უკავია მე-11 ადგილი.

საინტერესოა საფრანგეთის სტარტაპ ეკოსისტემის სტრუქტურა. პირველ რიგში, საყურადღებოა, რომ ბიზნეს-ინკუბატორების ტიპის მიხედვით იგი შედგება: (1) სახელმწიფო ბიზნეს-ინკუბატორებისაგან - მომხმარებლებს სთავაზობენ უფასო პროგრამებს და მყარ მხარდაჭერას, ასეთ პირობებში მოხვედრა ერთობ რთულია; (2) კლასი ინკუბატორებისაგან - მათ გააჩნიათ მარტივი პროგრამები, მაგრამ მათი პროგრამები საკმაოდ ძვირია და სტარტაპების ნაწილს მათთვის სასტარტო (საწყისი) კაპიტალის ნაწილის გადაცემის პირობებსაც უყენებენ; (3) ჰიბრიდული ინკუბატორები, რომლებიც ყველაზე მოქნილობით გამოირჩევიან, მაგრამ პროგრამაში მოხვედრა საჭიროებს საკმაოდ დიდ დროს; (4) საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე არსებული ინკუბატორები - ამ ინკუბატორებს სასწავლო პროგრამაზე მიიღებიან ყოფილი ან მოქმედი სტუდენტები და თავიანთი თანამშრომლები.

საფრანგეთის French Tech ეკო-სისტემის შემადგენელი ნაწილია ეკონომიკის განვითარების სააგენტო და უნიკალური ტექნოლოგიური კლასტერები და კამპუ-სები. დღეისათვის საფრანგეთში ფუნქციონირებს 54 კლასტერი, 2000 ლაბორა-ტორია უმაღლეს სასწავლებლებში, 10 000 ინოვაციური კომპანია და ინოვაციურ პროგრამებში ინვესტირებული 7, 5 მლრდ ევრო. საფრანგეთში განლაგებულია ევროპის უმსხვილესი ტექნოპარკი Sophia Antipolis, რომელიც 50 წელზე მეტია, მხარს უჭერს

ინოვაციების ჩამოყალიბებასა და განვითარებას და მას ხშირად უწოდებენ ევროპის სილიკონის ველს. საფრანგეთის პრეზიდენტი და ეკონომიკის სამინისტრო დაგეგმილი ინოვაციური პროექტების მხარდაჭერით აკეთებს ყველაფერს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდისათვის

სტარტაპების ეფექტური ბიზნეს მოდელების კუთხით ევროპაში აღიარებუ-ლია შვედეთი, რომელიც მსოფლიოში ცნობილია თავისი ეფექტური ბიზნეს პროექტებით. შვედეთის სამეფოში წარმატებით ფუნქციონირებენ ისეთი ცნობილი სტარტაპები, როგორიცაა Skype, H&M, Electrolux, Ikea, Spotty და სხვები. სტარტაპებისთვის მსოფლიოში სილიკონის ველის შემდეგ სტოკჰოლმი ცნობილია როგორც ყველზე პოპულარული ქალაქი.

შვედეთის სამეფოში სტარტაპებისათვის ყველაზე მიმზიდველ და პერსპექტიულ სფეროებად მიჩნეულია: ციფრული ტექნოლოგიები; საბითუმო და საცალო ვაჭრობა; სატვირთო გადაზიდვები; არქიტექტურული და დიზაინის პროექტები; ტურიზმის სექტორი (Vanishvili & Lemonjava, 2017).

შვედეთის სამეფოში სახელმწიფო აქტიურად მუშაობს ადგილობრივ ინიციატორებთან და აფუძნებს ახალ ფონდებს ინვესტირებისათვის. შვედეთის უნივერსიტეტებში, სადაც ისწავლება ბიზნეს-პროგრამები, ფუნქციონირებს ბიზნეს-ინკუბატორები და სტუდენტებს აქვთ საშუალება, აქტიურად ჩაერთონ ინოვაციურ პროექტებში. მეწარმეობის სამინისტროში არსებული სააგენტო Vinnovoi აქტიურად მუშაობს კომპანიებთან და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუ-ტებთან. ყოველწლიურად სააგენტო Vinnovoi ახორციელებს 2,7 მლრდ შვედური კრონის ინვესტირებას ახალ პროექტებში.

შვედეთის სამეფოში დიდ წარმოებას აღწევენ ბიზნეს-ინკუბატორები. ბიზნეს-ინკუბატორი Almi ეკუთვნის სახელმწიფოს და ემსახურება მთელ ქვეყანას 16 რეგიონული ფილიალით და 40 ოფისით. Almi უზრუნველყოფს როგორც სამამულო, ისე უცხოურ სტარტაპებს საკონსულტაციო მომსახურებით და ვენჩერული კაპიტალით ბიზნესის ფორმირებისა და განვითარების ყველა ეტაპზე. შვედეთის ბიზნეს ინკუბატორებისა და სამეცნიერო პარკების ნაციონალური ასოციაცია (Swedish incubators &Science Parks) საქმიანობას ახორციელებს ბიზნესის 70 სფეროში და დახმარებას უწევს სტარტაპებს ინოვაციური პროექტების განვითარებაში.

2011 წლიდან შვედეთში წარმატებით საქმიანობს კრაუდფანლინგური პლატფორმა FundedByMe. პლატფორმა აქტიურად თანამშრომლობს ინოვაციური იდეები მატარებელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და აქტიურად ეხმარება მათ ახალი იდეების რეალიზებაში.

საქართველოსათვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისათვის, მეტად მნიშ-ვნელოვანია ესტონეთის გამოცდილება სტარტაპ მოდელების მართვის

საქმეში. ესტონეთისათვის მოსახლეობის მცირერიცხოვნება საუკეთესო საშუალებაა ახალი ტექნოლოგიებისა და იდეების რეალიზაციის საქმეში. ესტონეთს აქვს ერთ-ერთი ყველაზე გადახდისუნარიანი ბაზარი ევროპაში, ამასთან ერთად, ესტონეთში კომპანიის დარეგისტრირებისათვის საჭიროა 15 წუთი და ესტონეთს აქვს მთელ მსოფლიოში ყველაზე მაღალი ეკონომიკური თავისუფლების დონე. ესტონეთში მუშაობს სპეციალური სავიზო პროგრამა სტარტაპების დამფუძნებლებისათვის. აღნიშნული ვიზა განკუთვნილია მათთვის, ვინც არ არის ევროკავშირის წევრი და აქვს სურვილი, თავისი სტარტაპ იდეა განახორციელოს ევროპაში.

ესტონური სტარტაპ-ვიზის მისაღებად საჭიროა სტარტაპის პროექტის არსებობა, რომელსაც იხილავს სტარტაპ კომიტეტი. განმცხადებელს პროექტის წარდგენის მომენტისათვის უნდა გააჩნდეს ყოველთვიური შემოსავლები 130 ევროს ფარგლებში. 130 ევროში შედის კაფეში სადილი - 7 ევრო, საქალაქო ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯი 1,20 ევრო და პროექტების შესაძენად საჭირო ხარჯები.

2021 წლისთვის ესტონეთის სტარტაპების ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 1,4 მლრდ ევრო. Startup Estonia-ს მონაცემებით, ესტონეთში დარეგისტრირებულია 1446 სტარტაპ-კომპანია, რომელთაგან 418 სტარტაპ-კომპანიას გააჩნია მუშაობის 5 წელზე მეტი გამოცდილება.

წარმატებული ესტონური სტარტაპებიდან აღსანიშნავია:

TransfemWise - ამ პროგრამის საშუალებით ხორციელდება ფულადი სახსრების საერთაშორისო გადარიცხვები. ამ პროგრამის მომხმარებლებს შეუძ-ლიათ, გადარიცხონ თანხები სხვადასხვა ქვეყნებში მინიმალური საკომისიო გადასახადის გამოყენებით. დღეისათვის ამ სერვისს იყენებს 6 მლნ-ზე მეტი ადამიანი. პროგრამის შემქმნელები უზრუნველყოფენ ფულის გადარიცხვას ერთი დღის განმავლობაში და გამჭვირვალედ. ამ სქემით ფულის გადარიცხვა შესაძლე-ბელია 71 ქვეყანაში.

Bolt - იგი აერთიანებს ელექტროსკუტერების დაჯავშნისა და გამოყენების სერვისს. აპლიკაცია გაშვებული იქნა 2019 წლისათვის 30 ქვეყანაში, რომელსაც იყენებს 25 მლნ ადამიანი, ხოლო სისტემაში რეგისტრირებულია 500 000 მძღოლი, რომლებიც ახორციელებენ შეკვეთების უზრუნველყოფას.

Plastic - პლატფორმა უცხო ენების შესასწავლად. პლატფორმა ეფუძნება ახალი ენის ადაპტირებულ სწავლებას. იგი ჯერ აანალიზებს მასწავლებლის ცოდნას და შემდეგ აყალიბებს სასწავლო პროცესს ენის ცოდნის დონის მიხედვით. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია მორგებულია თითოეულ კურსს, კონკრე-ტული მომხმარებლისათვის, ხოლო ცოდნის დონე ფასდება ნეირონული ქსელე-ბის საშუალებით.

დღეს ესტონეთი ერთ-ერთი მიმზიდველი ევროპული ქვეყანაა სტარტაპის დასაწყებად. მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან მსურველს

აქვს საშუალება, ესტონეთში გახსნას და აწარმოოს ბიზნესი.უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ესტონეთში 700 ახალი კომპანია გადავიდა მთელი მსოფლიოდან ბიზნესის დასაწ-ყებად და ეს ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელია ევროკავშირის ქვეყნებს შორის.

სტარტაპებს დიდი მხარდაჭერა აქვთ ქვეყნების მთავრობათა მხრიდან. ეს ასევე ეხება სტარტაპების დაფინანსებას. ესტონეთში ფუნქციონირებს რამდენიმე ფონდი. მაგალითად: ესტონეთის განვითარების ფონდი და Enterprise Estonia, რომლებიც აწვდიან ინფორმაციას დამწყებებს და ახორციელებენ ფინანსურ მხარდაჭერას.

ესტონეთში წარმატებით ფუნქციონირებენ მთელი რიგი ბიზნეს ინკუბა-ტორები და აქსელერატორები. მათ განეკუთვნება: Startup Wise Guys – საქმიანობის სფერო: B2B Saas, Fitncech; Buildit Acelleratoz – საქმიანობის სფერო: hardware, lot, ენერგეტიკა, ჯანდაცვა და სხვა; Biomed Incubator - საქმიანობის სფერო: ბიოტექნო-ლოგია, მედიცინა, ვეტერინარია; Tehnopol Startup Incubator - საქმიანობის სფერო: ციფრული ტექნოლოგიები, მწვანე ტექნოლოგიები, ჯანდაცვა; ClimateLaunchpad - საქმიანობის სფერო: სუფთა ტექნოლოგიები.

ესტონეთის კერძო აქციონერთა და ვენჩერული კაპიტალის ასოციაცია (Estonian Private & Venture capital Association) მიზნად ისახავს კერძო კაპიტალის ბაზრის განვითარებას და ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას. იგი აერთიანებს 16 სრულუფლებიან და 22 ასოცირებულ წევრს. ყველაზე პერსპექ-ტიულ ინვესტირებას განეკუთვნება:

Ambient Sound Investments - ფონდი დაფუძნებულია 2003 წელს Skupe -ს შემქმნელი ინჟინრების მიერ, უმცირესობის წილის მართვის მიზნით. 2005 წელს Skupe-ს აქციები გაიყიდა EBay-ზე და ამ დღიდან კომპანია ფუნქციონირებს როგორც კერძო საინვესტიციო ფონდი. იგი ინვესტიციებს ახორციელებს ევრო-პულ და ამერიკულ სტარტაპებში ისეთ სფეროებში, როგორიცაა კომუნიკაცია, მედია და ა.შ. ფონდის მიერ დაფუძნებულ სტარტაპებს შორის არის პროექტი MyHeritage. იგი არის საოჯახო სოციალური ქსელი და გენიოლოგიური პორტალი, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ქმნიან საკუთარ საოჯახო ვებგვერდებს, აზია-რებენ ფაილებსა და ვიდეოებს.

Tevoi Ventures - ფონდი დაარსდა 2016 წელს და აფინანსებს სტარტაპებს ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სკანდინავიაში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ინვესტირებას ახორციელებს ციფრულ ტექნოლოგიებში. აღნიშნული ფონდის დაფინანსებით ხორციელდება Realeyes-სტარტაპი. ეს სტარტაპი ავითა-რებს სერვისს მარკეტოლოგებისათვის, რომელიც საშუალებას იძლევა, წაკით-ხული იქნეს მოსახლეობის ემოციები კონტენტის

ყურებისას. იგი წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას მარკეტინგული კომპანიების საქმიანობის პროცესში.

Vnited Agels VC – ფონდი ინვესტირებას ახორციელებს ისეთ სეგმენტებში, როგორიცაა B2B, Saas და ა.შ. ფონდის მიერ დაფინანსებულ სტარტაპებს შორის არის Monese, რომელიც ემსახურება საბანკო სექტორში ალტერნატიული სერვი-სების შექმნას, რომლითაც შესაძლებელია ანგარიშების გახსნა და ფულის გადა-რიცხვა. ფონდის მიერ ასევე დაფინანსებულია სტარტაპი - GuestJoy, რომელიც ავითარებს პროექტს ტურიზმის სფეროში, რომლითაც სასტუმროების მფლობე-ლებს საშუალება ეძლევათ, დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

**დასკვნა:** საქართველოსთვის მეტად საყურადღებოა პატარა ევროპული ქვეყნების მიღწევები დამწყები მეწარმეობის (სტარტაპების) სფეროში. ესტონეთის მაგალითიდან ნათლად ჩანს სინერგია მთავრობის, კერძო ორგანიზაციებისა და თვით სტარტაპების ერთობლივი საქმიანობის. ქალაქი-სოფელშიც სტარტაპების ამოქმედება და ნამდვილ უნიონებად გადაქცევა დიდი წარმატება იქნება ქვეყნისათვის და ასევე მთლიანად საზოგადოებისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Merab, V., Irakli, K., & Nino, V. (2020). *Coronavirus Pandemic and Prospects of the Georgian Economy*. 556–568. https://sci-conf.com.ua/i-mezhdunarodnaya-nauchno-prakticheskaya-konferentsiya_achievements-and-prospects-of-modern-scientific-research-6-8-dekabrya-2020-goda_buenos-ajres-argentina-arhiv
2. Mixailovich, V. M., Nanuli, K., & Lali, O. (2021). THE SAVING CULTURE AND FINANCIAL GOALS OF POPULATION IN GEORGIA. *European Science Review*, *9–10*, 35–40.
3. Nanuli, K., Merab, V., & Lali, O. (2022). CORPORATE RESPONSIBILITY IN GEORGIA: CHALLENGES AND NEW OPPORTUNITIES. *European Science Review*, *3–4*, 41–45.
4. Ramaz, O., & Merab, V. (2020). *Competitive Strategy in Business*. 127–133. https://sci-conf.com.ua/iv-mezhdunarodnaya-nauchno-prakticheskaya-konferentsiya-the-world-of-science-and-innovation-11-13-noyabrya-2020-goda-london-velikobritaniya-arhiv/
5. Vanishvili, M. (2022). Sustainable financing of innovative technologies in Georgia: Challenges and prospects. *Scientific Collection «InterConf»*, *126*, 51–61.

6. Vanishvili, M., & Lemonjava, L. (2017). Modern Budget Class ification in the Public Finance System of Georgia. *Globalization & Business*, 47–50.

7. Vanishvili, M., & Shanava, Z. (2022). Challenges and Perspectives of Corporate Governance in Georgia. *American Research Journal of Humanities & Social Science (ARJHSS) R*, *05*(04), 118–127.

8. Vanishvili, M., & Sreseli, L. (2022). CHALLENGES OF GENDER MUNICIPAL BUDGETING IN GEORGIA. *InterConf*, 108–114.

9. https://мниап.рф/analytics/Statistika-i-mirovye-trendy-razvitia-startapov/ანუ, https://xn--80aplem.xn--p1ai/analytics/Statistika-i-mirovye-trendy-razvitia-startapov/

10. UBI global world ranking of business incubators and accelerators - November (2019: 14)

11. UBI global world ranking of business incubators and accelerators - November (2019: 15)

12. Best of 2019 (2019): Top 10 accelerators in the European ecosystem. https://siliconcanals.com/news/top-10-accelerators-in-europe-in-2019/